ᲫᲚᲝᲤᲚᲘᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

«ᲬᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲕᲘᲬᲠᲘᲗᲕᲘᲚᲘ»

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

1977

ᲯᲔᲤᲠᲘ ᲩᲝᲡᲔᲠᲘ

ᲙᲔᲜᲢᲔᲠᲑᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲗᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ

«ᲬᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲕᲘᲬᲠᲘᲗᲕᲘᲚᲘ»

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

1977

მსოფლიო ლიტერატურის
ბიბლიოთეკის სარედაქციო საბჭო

გრიგოლ აბაშიძე
ალიო ადამია
მზია ბაქრაძე
გაჩანა გრეგვაძე
თენგიზ გუაჩიძე
ალექსი გომიაშვილი
დავით დუნდუა
თამარ ერისთავი
მაგალი თოდუა
ციალა თოფურიძე
მიხეილ კვესელავა
დავით ლაშქარაძე
კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ელგუჯა მაღრაძე
გივი მელაძე
გიორგი ნატროშვილი
გესარიონ ჟლენტი
ზოთა სულაგერიძე
სიმონ ყაუხჩიშვილი
ნიკო ყიასაშვილი
დემნა შენგელაია
ოთარ ჩხეიძე
გიორგი ციციშვილი
ვახტანგ ჭელიძე
ვახტანგ ჯავახაძე

თარგმანი ინგლისურიდან
გიორგი ნიშნიანიძისა

მხატვარი
ლადო გრიგოლია

ილუსტრაცია სუპერზე
კონსტანტინოვისა



ჯეფრი ჩოსერი და მისი „კენტერბერიული მოთხრობები“

„ინგლისური პოეზიის მამამთავარი“, — ასე უწოდა მეთოთხმეტე საუკუნის დიდ ინგლისელ პოეტს ჯეფრი ჩოსერს ჯონ დრაიდენმა*. ჯეფრი ჩოსერი არა მარტო ინგლისური პოეზიის მამამთავარია, არამედ საზოგადოდ ინგლისური ნაციონალური ლიტერატურისაც. მან პირველმა შექმნა ლიტერატურა საკუთრივ ინგლისურ ენაზე, პირველმა ჩამოაყალიბა ლიტერატურული ენა, რომლის საფუძველზეც განვითარდა თანამედროვე ინგლისური. ჩოსერმა დაამკვიდრა ინგლისური სილაბურ-ტონური ლექსთწყობა ძველი ალიტერაციული ანგლოსაქსური ლექსის საწინააღმდეგოდ. მან ლიტერატურაში დანერგა და განავითარა საუკეთესო ხალხური ტრადიციები, რეალიზმი, იუმორი, სატირა, გროტესკი, რომელთა გარეშე შემდგომი მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ინგლისური ლიტერატურა უკვე წარმოუდგენელია. მაგრამ ჩოსერის მნიშვნელობა მარტო ინგლისური ეროვნული ინტერესებითა და ღვაწლით არ ამოიწურება. იგი საყოველთაოდ აღიარებული დიდი პოეტია, რომელიც სიტყვის ძალით, მხატვრული ოსტატობით არ ჩამოუვარდება პრერენესანსისა და რენესანსის სახელოვან მწერლებს. ჩოსერი ორი დიდი ლიტერატურის მიჯნაზე დგას, დანტესავით აჯამებს ადრე შუასაუკუნეობრივსა და გზას უხსნის აღორძინების ეპოქის ლიტერატურას, ის ინგლისური აღორძინების წინამორბედიცაა და, შეიძლება თამამად ითქვას, პირველი წარმომადგენელიც.

•

მეთოთხმეტე საუკუნე ინგლისის ისტორიაში როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის სფეროებში, მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდია.

თითქმის მთელ მეთოთხმეტე საუკუნეს გასდევს ე. წ. „ასწლიანი

*მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტი და დრამატურგი, რომელიც ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის ფუძემდებლად ითვლება.

ომი" (1337—1453 წწ.). დაიწყო იგი ინგლისის მეფე ედუარდ მესამის დინასტიური პრეტენზიებით საფრანგეთის მეფის გვირგვინის მოსაპოვებლად. ამ აშკარად ფეოდალური, მტაცებლური ომის რეალური მიზეზები ორივე ქვეყნის ეკონომიურ ვითარებასთანაც იყო დაკავშირებული, კერძოდ, ხელოსნობისა და ვაჭრობის, განსაკუთრებით შალის წარმოების განვითარებასთან. ომმა დიდი ეკონომიური ზიანი მიაყენა ორივე ქვეყანას. სამხედრო ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვა ინგლისის მოსახლეობას, ყველაზე მეტად სოფლად ყმა გლეხობასა და მიწის მუშებს. ფაქტიურად, მათი უმოწყალო ჩაგვრის, ექსპლოატაციის, უკიდურესი გაღატაკების ფასად აწარმოებდნენ ფეოდალები თავიანთ „რაინდულ", დაუსრულებელ ომს საფრანგეთთან. და მიუხედავად ამისა, „ასწლიანმა ომმა" მრავალმხრივ დადებითი როლი შეასრულა ინგლისის, როგორც ერის, განვითარებასა და კონსოლიდაციაში. ერთი მიზნის, ერთი დროშის ქვეშ დარაზმა მთელი ინგლისის მოსახლეობა, რომელიც ტომობრივი და სოციალური შემადგენლობითაც ჭრელი და მრავალფეროვანი იყო. ფეოდალური არისტოკრატია უმეტესად სამი საუკუნის წინათ მოსული დამპყრობელი ნორმანებისაგან შედგებოდა, მათ ნაწილობრივ დაუნათესავდნენ და შეუერთდნენ ადგილობრივ ანგლო-საქსთა ფეოდალური ოჯახების მემკვიდრენი, ხოლო გლეხები ძირითადად კვლავ ანგლო-საქსური წარმოშობისა დარჩნენ. ასე რომ, ფეოდალ მებატონეებს ისინი არა მარტო კლასობრივად უპირისპირდებოდნენ, არამედ ეროვნულ-ტომობრივი სხვაობითაც. „ასწლიან ომში" კი საერთო განსაცდელმა და ინტერესებმა ისინი ერთმანეთს დაუკავშირა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლამ გააერთიანა. გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება. ამასთან ერთად, გაიზარდა გლეხის, ხალხთა მასების როლი და მნიშვნელობა. ეს გამოიწვია ომის სამხედრო ტაქტიკისა და ტექნიკის გარდუვალმა ცვალებადობამ. სატურნირო რაინდული ბრძოლის ნაცვლად საჭირო შეიქნა შემოეღოთ ქვეითი და ცხენოსანი ჯარის ფართო მოქმედება. ფეოდალის, ლორდის, რაინდის გვერდით უბრალო ადამიანმა, გლეხკაცმა თუ მეტყველმ თავისი დიდი მშვილდ-ისრის მარჯვე ხმარებით ბრძოლებში საპატიო ადგილი მოიპოვა. იგი მარჯვედ დაეუფლა რაინდებისათვის განკუთვნილ იარაღსაც, შუბსა და ფარ-ხმალს და გმირის სახელის მაძიებელი ფეოდალური არისტოკრატიის გვერდით სიმამაცით თავი ისახელა. „ასწლიანმა ომმა", რომელიც მეფეთა და ფეოდალთა მესვეურობით მიმდინარეობდა, მოულოდნელად წინა პლანზე წამოსწია დაბეჩავებული ხალხი. მათში გაიღვიძა და განმტკიცდა საკუთარი ძალის და ღირსების რწმენა.

ქალაქის მოსახლეობამ, ე. წ. მესამე წოდებამ, ვაჭართა და ხელოსანთა ფენამ ამ ომის წყალობით დიდი მოგება მიიღო. თითქმის შეწყდა შალის ნედლეულის გაგანა ინგლისიდან ფლანდრიაში, რომელიც საფრანგეთს ექვემდებარებოდა. თვით ინგლისში დაიწყო შალის დამუშავება, რასაც მოჰყვა წარმოება-ვაჭრობის გაძლიერება

ეროვნულმა თვითშეგნებამ და სოლიდარობამ შეანელა ფრანგული

კულტურისა და ლიტერატურის ძლიერი ზეგავლენა, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებოდა ინგლისის საზოგადოებრივი აზროვნება და საერო ლიტერატურა „ასწლიან ომამდე".

მეთოთხმეტე საუკუნე ინგლისში „შავი ჭირის" ეპიდემიითაა ცნობილი. ეპიდემიამ 1340 წელს იფეთქა, აღმოსავლეთიდან შემოიჭრა, იტალიასა და საფრანგეთსაც მოედო, თითქმის მთელი ევროპის ტერიტორიაზე გავრცელდა. ინგლისში განსაკუთრებით გამძვინვარდა 1348-49 წლებში. ნაკლები ინტენსიურობით განმეორდა 1361-62 წლებში. გამანადგურებელი იყო მისი ძალა. ისტორიკოსების ვარაუდით, მეთოთხმეტე საუკუნეში ჭირმა ინგლისის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი იმსხვერპლა. „შავ სიკვდილს" მოჰყვა ქვეყნის მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ისევ და ისევ გლეხობას. თუმცა, მიწათმფლობელნი მუშა ხელის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, მაგრამ მიაღწიეს მათ მიმართ მკაცრი კანონის, ე. წ. „სტატუსი მშრომელთათვის", გამოცემასა და გატარებას. ლორდები იმდენად ავიწროებდნენ თავიანთ ყმებს — ვილანებს, აგრეთვე დაქირავებულ მიწის მუშებს, არენდატორებს, რომ გლეხთა პროტესტი გარდუვალი აღმოჩნდა.

1381 წლის გაზაფხულზე ინგლისი ერთბაშად მოიცვა გლეხთა დიდმა აჯანყებამ. მას მძლავრი ბიძგი მისცა 1380 წელს მთავრობის მიერ საყოველთაო სულადი გადასახადის დაწესებამ, რაც გამოიწვია „ასწლიანი ომის" გაჭიანურებამ და ინგლისის ზედიზედ დამარცხებამ ბრძოლებში. ამ დიდ დემოკრატიულ მოძრაობას სათავეში ედგა შესანიშნავი ორგანიზატორი, ხელოსანი უოტ ტაილერი. გლეხობის შთამაგონებელი იდეური ბელადი იყო ჯონ ბოლი, ერთი ლატაკი მღვდელი კენტის საგრაფოდან. განთქმული მჭევრმეტყველური ქადაგებებით, რომლებშიაც მგზნებარედ ილაშქრებდა წოდებრივი უფლებების, სოციალური უთანაბრობის, ფეოდალური იერარქიის წინააღმდეგ. თავის ქადაგებებში იმდენად ხშირად მიმართავდა ცნობილ ხალხურ ლექსს: „როცა ადამი მიწას ხნავდა, ევა კი ჯარას ატრიალებდა, ვინ იყო მაშინ ბატონი?!", რომ ეს სიტყვები 1381 წელს საბრძოლო ლოზუნგად იქცა.

„ასწლიანმა ომმა" დათვური სამსახური გაუწია ინგლისის მეფის ხელისუფლებას. ფეოდალურ მტაცებლურ ომში გაწვრთნილმა გლეხობამ იარაღი აღმართა იმავე ფეოდალებისა და მეფის წინააღმდეგ, რომელთაც ეგონათ, რომ ხალხს ბრმად იყენებდნენ თავიანთი მიზნებისათვის. ვისაც იარაღი არ გააჩნდა, გაბედულად ხელკეტით მიდიოდა საბრძოლველად. გლეხთა ორგანიზებული აჯანყება მეფე რიჩარდ მეორის მთავრობამ ვერაგულად ჩაახშო. მისი ბელადი უოტ ტაილერი მუხანათურად მოკლეს. ბევრი მამაცი და თავდადებული ვაჟკაცი სიკვდილით დასაჯეს. შემდგომში ინგლისელმა ხალხმა ბელადებისა და გმირთა სახელები უკვდავჰყო სიმღერებსა და ბალადებში. მართალია, აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან მაინც გამოიღო შედეგი. მეფე და ლორდები შეშინდნენ და ზოგ დათმობაზე წავიდნენ. შემსუბუქდა შრომის ანაზღაურების კანონები, გადასახადები. დროთა ვითარებაში ინგლისის

სოფელმა და ქალაქმაც შედარებით სული მოითქვა, შემდეგ საუკუნეში ყმობა თითქმის გაუქმდა.

მეთოთხმეტე საუკუნეში ინგლისში ფეოდალიზმმა ძლიერი ორმხრივი შეტევა განიცადა. ერთი იყო 1381 წლის გლეხთა აჯანყება, მეორეკი რელიგიურ-რეფორმატორული და ერეტიკული მოძრაობა.

რომაული კათოლიკური ეკლესია ადრე შუა საუკუნეებში ინგლისშიაც ისე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, წარმოადგენდა ხელშეუხებ ძალასა და ავტორიტეტს ცხოვრების ყველა სფეროში. მას ექვემდებარებოდა აზროვნება და მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა, მორალი და პოლიტიკა; იგი მტკიცედ იდგა ფეოდალური იერარქიის სადარაჯოზე. მიწებითა და დიდი შემოსავლით უაღრესად მდიდარი ეკლესია ფეოდალური სისტემის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ამდენად, მასაც გაიზიარა ამ სისტემის ხვედრი, თანდათანობითი რღვევა და დაცემა, რამაც პირველად აშკარად იჩინა თავი ინგლისში მეთოთხმეტე საუკუნეში. რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ პირველი დარტყმა შიგნიდან მიიღო, სამღვდელოების წარმომადგენელთაგან. ეს დარტყმა არ იყო შემთხვევითი და მოულოდნელი. პროტესტი კათოლიციზმის, პაპის კურიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში შეინიშნებოდა როგორც ხალხურ საერო ლიტერატურაში, ისე სასულიერო მწერლობაშიაც. საკმარისია იმის გახსენებაც, რომ ვაგანტებმა, გოლიარდებმა შექმნეს სამღვდელოების, ბერ-მონაზვნების, საერთოდ რელიგიის მსახურთა შამხილებელი შდიდარი პოეზია, მრავალნაირი სატირული სახეები, ხასიათები, ამბები, ანეკდოტები და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალა ჩოსერს ოსტატურად აქვს გამოყენებული და მხატვრულად სრულქმნილი „კენტერბერიულ მოთხრობებში“.

რელიგიური მოძრაობა ინგლისში არც ერთფეროვანი იყო და არც გლეხთა აჯანყებასთან უშუალოდ დაკავშირებული. მაგრამ თავისი სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებებით გამოხატავდა ფართო მასების, დემოკრატიული ფენების სულისკვეთებას. მეთოთხმეტე საუკუნის ეკლესიის რეფორმის მესვეური და სულისჩამდგმელი იყო ჯონ უიკლიფი (1324—1384 წწ.), ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლული ღვთისმეტყველი. თავის ტრაქტატებში ის გმობდა კათოლიკურ რელიგიურ დოგმებს, ქადაგებდა ადამიანთა თანასწორუფლებიანობას ღვთაებრივი ძალის წინაშე, რითაც, უდაოდ, ეხმაურებოდა სოციალური უფლებებისათვის მებრძოლი ფართო მასების იდეალებს. უიკლიფი თვლიდა, რომ ბიბლია ყველა მორწმუნისათვის თანაბრად მისაწვდომი უნდა ყოფილიყო. მისი თაოსნობით ითარგმნა საღვთო წერილი ლათინურიდან ინგლისურ ენაზე. ბიბლია ინგლისელი ხალხისათვის მშობლიურ ენაზე აამეტყველა, რაც ერისათვის დიდ კულტურულ მოვლენად იქცა და გადამწყვეტი გავლენა იქონია ინგლისური ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრების რთულ პროცესზე. ჯონ უიკლიფს სდევნიდა ადგილობრივი კათოლიკური ეკლესია და რომის პაპი როგორც ერეტიკოსს, მაგრამ მისმა მოძღვრებამ მრავალმხრივ გზა გაუკაფა რეფორმაციულ

მოძრაობებს ევროპის სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ჩეხი იან ჰუსი ცნობილი უიკლიფიანელი იყო. თვით ინგლისში მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს მას აღმოუჩნდნენ მტკიცე მიმდევრები, ერეტიკოსები, ე. წ. „ლოლარდები“ (ირონიული სახელწოდებაა, ნიშნავს „ლოცვის მოლულლუღეს“). თავისუფალი აზროვნებით, ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლებით, თანასწორუფლებიანობის ქადაგებით ლოლარდები მეფის მთავრობისა და გაბატონებული კათოლიკური ეკლესიისათვის საშიშ მზარდ ოპოზიციურ ძალად იქცნენ. სასტიკი ინკვიზიციური დევნის შედეგად მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში ისინი განადგურდნენ, მაგრამ მწვალებლური და რელიგიურ-რეფორმაციული მოძრაობის ჩახშობა ბოლომდე ვეღარ მოხერხდა. მან მეტი გზნებით იფეთქა შემდეგ საუკუნეებში.

მეთოთხმეტე საუკუნე, ეს ბობოქარი საუკუნე, რომელსაც არ დაკლებია ომი და ავადმყოფობა, სისხლის ღვრა და შავი ჭირის ეპიდემია, მძიმე გადასახადები და ხალხთა მასობრივი ჟლეტა-მოსპობა, ფეოდალური შინაომები და რელიგიური დევნა-შევიწროება, მაინც დიადი სოციალური და კულტურული ძვრების საუკუნეა ინგლისის ისტორიაში. ამ საუკუნეში დაიწყო ფეოდალური მეურნეობის სანაცვლოდ ხელოსნობისა და ვაჭრობის, მესამე წოდების, ქალაქების სწრაფი განვითარება, რასაც მოჰყვა ქვეყნის ეკონომიური აღმავლობა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოება. ამ ბობოქარ საუკუნეში დასრულდა ინგლისის სახელმწიფოს ცენტრალიზაცია, ჩამოყალიბდა მთლიანი ინგლისელი ერი, ამასთან ერთად ინგლისური ენაც. მან საბოლოოდ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, სძლია ფრანგული ენის ბატონობას, თანდათანობით სალაპარაკო და სახელმწიფო ენად იქცა. ინგლისური ენის ჩამოყალიბების პარალელურად ამ ენაზე იქმნებოდა ინგლისური ლიტერატურაც. ეს ორი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის პროცესი იმდენად მჭიდროდ იყო ურთიერთდაკავშირებული, რომ ძნელი სათქმელია, რომელმა რომელი განაპირობა — ენის შექმნამ ლიტერატურის შექმნა, თუ პირუკუ, ლიტერატურისამ — ენის ფორმირება, მაგრამ ფაქტი უდავოა: ორივე პროცესის სათავეში იდგა ჯეფრი ჩოსერი. ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ მეთოთხმეტე საუკუნეს ხშირად უწოდებენ „ჩოსერის საუკუნეს“, „ჩოსერის ეპოქას“. იმდენად ძლიერი იყო მისი შემოქმედების გავლენა შემდგომი პერიოდის ლიტერატურაზეც, რომ ჰომდევნო ლიტერატურულ პერიოდებს, ლამის ვიდრე მეთექვსმეტე საუკუნემდე, შექსპირის ეპოქამდე, ზოგჯერ ამ სახელწოდების ორბიტში აქცევენ.

*

ადრე შუასაუკუნეობრივი მწერლობა ინგლისში ევროპული მწერლობის განუყოფელი ნაწილია, იგივე იდეური, ჟანრობრივი, მხატვრული ტენდენციებით ხასიათდება, როგორც ევროპის სხვა ქვეყნების ლიტერატურა, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ნორმანების დაპყრობიდან, მე-

ოერთმეტე საუკუნიდან ინგლისში ლიტერატურა სამენოვანია. სამ ენაზე არსებობდა და ვითარდებოდა, რაც დიდად აყოვნებდა და ართულებდა დამოუკიდებელი ინგლისური ეროვნული ლიტერატურის ფორმირებას. სასულიერო მწერლობა ძირითადად ლათინურ ენაზე იქმნებოდა, საკარო — ფრანგულ ენაზე. რადგან ფრანგული ლიტერატურა იყო გაბატონებული ნორმანული წარმოშობის ინგლისის მეფეთა კარზე და ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრეებში. ხალხის მასების სალაპარაკო ენად კვლავ რჩებოდა ადგილობრივი ანგლო-საქსური დიალექტები, ოღონდ ფრანგული და ლათინური მინარევების გამო საგრძნობლად სახეშეცვლილი. ეს იყო. ე. წ. ანგლო-ნორმანულ-ფრანგული ენა. ამ დიალექტებზე იქმნებოდა ადგილობრივი ხალხური ლიტერატურა, ანონიმური და არაანონიმური, რაინდული პოეზია. მხატვრული პროზა და ლირიკა. ჩოსერამდელი სამენოვანი ლიტერატურა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ენობრივადაც და იდეურ-მხატვრული მიმართულებითაც. ამავე დროს მათ შორის არსებობდა შეხების წერტილები და ძლიერი ურთიერთზეგავლენა,

მეთოთხმეტე საუკუნეში იწყებს დამკვიდრებას ორიგინალური ინგლისური ლიტერატურა. ჩოსერის თანამედროვე პოეტის უილიამ ლენგლენდის ალეგორიულ-დიდაქტიკური პოემა „პიერ მხვნელის ხილვანი" (დაახლოებით 1362 წ.), მართალია, ფორმით ტიპიური შუასაუკუნეობრივი ქალაქური პოეზიის ძეგლია, დაწერილი ძველი ალიტერაციული ლექსით, მაგრამ იგი საშუალო ინგლისურ ენაზე შექმნილი პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ლენგლენდი, დემოკრატი პოეტი, გლეხთა იდეოლოგი, მშობლიურ ხალხურ ენაზე ხალხისთვის და ერისთვის წერდა. „პიერ მხვნელი" გლეხთა აჯანყების დროს დიდად პოპულარული ნაწარმოები იყო. ჩოსერის მეორე თანამედროვე პოეტი ჯონ გაუერი, ლენგლენდის საპირისპიროდ, ანტიგლეხური, ანტიდემოკრატიული ორიენტაციის მიმდევარი გახლდათ. იგი ფეოდალთა ინტერესებს იცავდა და ხარკს უხდიდა სასახლის კარზე და არისტოკრატიულ წრეებში დადგენილ შუასაუკუნეობრივ ლიტერატურულ ნორმებს. წერდა ფრანგულ და ლათინურ ენებზე. მაგრამ შემოქმედების ბოლო პერიოდში, თავის ბოლო ნაწარმოებში — „შეყვარებულის აღსარება" (1390 წ.) — ინგლისურს მიმართა; საუკუნის ახალ ტენდენციებს გვერდი ვეღარ აუარა. როგორც ჩანს, ამ საქმეში ჩოსერსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა.

ჯეფრი ჩოსერმა მომავალი ეროვნული მწერლობის და, ამდენად, თავისი შემოქმედების ერთადერთ ენად ინგლისური მიიჩნია, და რაც მთავარია, ლონდონური დიალექტი, რომელიც პოეტის მოღვაწეობის დროს თანდათანობით იკავებდა სახელმწიფო საყოველთაო ენის ადგილს. მაგრამ ჩოსერის დამსახურება არ იფარგლება მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველის მიგნებით, გამოცნობითა და დამკვიდრებით, არც ვერსიფიკაციის სფეროში რეფორმატორობით. მთავარი ისაა, რომ ჯეფრი ჩოსერმა შექმნა სრულიად ახალი ლიტერატურა. მან, როგორც მე-

სამე წოდების იდეოლოგმა, ფეოდალური სამყაროს შიგნით ფორმირებული პროგრესული, დემოკრატიული ძალის გამომხატველმა, რეალისტური, ჰუმანისტური ლიტერატურის განვითარების პერსპექტივა ადრე შუასაუკუნეობრივი ლიტერატურის წიაღშივე დასახა. ჩოსერი უშუალოდ არც „ასწლიან ომს" აღწერს, არც „შავი სიკვდილის" მძვინვარებას და არც 1381 წლის აჯანყებას. მაგრამ მისი შემოქმედება იმ სინამდვილისა და დემოკრატიულ სწრაფვათა ანარეკლია, რომლებიც წარმოშვა ამ რთულმა ისტორიულმა, სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა.

ყველა ის აზრობრივი, მხატვრული, ჟანრობრივი თავისებურებანი, წოდებულნი ჩოსერულ ოსტატობად, ინგლისში არსებობდა უკვე ადრე შუა საუკუნეებში და მწერლის თანამედროვე ლიტერატურაშიაც, ოღონდ ჩანასახობრივად, გაფანტულად, მოუწესრიგებლად. ჩოსერის შემოქმედებაში, განსაკუთრებით „კენტერბერიულ მოთხრობებში", მოცემულია მათი მხატვრული სინთეზი, ახლებური გააზრება. ჩოსერი უკან იტოვებს ლენგლენდის მძიმე ალეგორიზმსა და სქემატიზმს, რაინდული პოეზიის ფანტასტიურობას, პირობითობას, სტანდარტებს, ადრე შუასაუკუნეობრივი მოტივების გაუერისებურ გადამღერებას, მონოტონურობას, მწიგნობრულობას და მოსაბეზრებელ, შეზღუდულ მორალიზაციას. ჩოსერი ხალხური, ჯანსაღი, მიწიერი, ცხოვრებისეული პოეზიის, სიმღერების, ოქმულებების, მოარული ამბების, „მისტერიების" და სხვათა ზეგავლენით ქმნის ახალ ლიტერატურას, აღსავსეს დაუცხრომელი სწრაფვით რეალიზმისაკენ, აღორძინების იდეალებისაკენ, აღსავსეს სიცოცხლის სიყვარულითა და ადამიანურობის გამარჯვების რწმენით. ამიტომაცაა „კენტერბერიული მოთხრობები" აღიარებული ინგლისური კლასიკური პოეზიის ერთ-ერთ შედევრად.

ჯეფრი ჩოსერის ბიოგრაფიიდან ბევრი ფაქტი ბუნდოვანი და დაუდასტურებელია, მაგრამ რაც ცნობილია, ისიც საკმაოდ გვაუწყებს, რომ პოეტის შემოქმედებითი განვითარება მრავალმხრივ განაპირობა მისი ცხოვრების რთულმა გზამ. იგი თავისი ეპოქის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის უშუალო მონაწილე ყოფილა.

ჯეფრი ჩოსერის დაბადების თარიღი არაა დაზუსტებული. ვარაუდობენ, რომ ის დაიბადა დაახლოებით 1340 წელს ლონდონში. მამამისი ცხობილი ღვინით მოვაჭრე ყოფილა და მეფის კართანაც დაახლოებული. ჯეფრი ჩოსერს კარგი განათლება მიუღია, თავისი დროისათვის მწიგნობარ და დიდად განსწავლულ პიროვნებად ითვლებოდა. დაწყებული ადრე შუასაუკუნეობრივი რომანებითა და ალეგორიული პოეზიით და გათავებული ფილოსოფიით, ასტროლოგიით, იურისპრუდენციით, იგი შესანიშნავად ერკვეოდა ყველა დარგში, ფლობდა რამდენი-

მე უცხო ენას: ფრანგულს, იტალიურს, ლათინურს, მაგრამ სად ან როგორ მიიღო განათლება, უცნობია. სავარაუდოა, რომ ერთ ხანს სწავლობდა ლონდონის იურისტთა კოლეჯში. 1357 წელს ჩოსერი მოხსენებულია, როგორც მეფე ედუარდ მესამის ვაჟიშვილის, უფლისწულ ლაიონელის მეუღლის პაჟი, რაც მოწმობს, რომ იგი ყმაწვილობიდანვე აუყვანიათ სასახლეში. მეფის კარი ინგლისში იმ დროს ადრე შუასაუკუნეობრივი კულტურის ცენტრად ითვლებოდა. ალბათ ახალგაზრდა ჩოსერი მეფის კარზე ეზიარა რაინდულ წესებსაც და თანამედროვე კულტურასაც. ისმენდა და კითხულობდა ძველ და ახალ მწერლობას, განსაკუთრებით, მდიდარ ფრანგულ ლიტერატურას. ჭაბუკობიდანვე ჩოსერი დაუმეგობრდა ლანკასტერის ჰერცოგს ჯონ გონტს, რომელიც პოეტს მუდამ მფარველობდა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიაც. 1359 წელს ჯეფრი ჩოსერი უფლისწულს ახლდა საფრანგეთში რეიმზე ბრძოლის დროს და მასთან ერთად ფრანგებს ტყვედ ჩაუვარდა. ტყვეობა მისთვის ერთგვარად „სასარგებლო ჭირი“ აღმოჩნდა, ფრანგული ენის ცოდნამ საშუალება მისცა უკეთ გასცნობოდა ტრუბადურებისა და ტრუვერების პოეზიას, ქალაქურ ლიტერატურას, ფაბლიოებსა და ალეგორიულ-დიდაქტიკური ჟანრის ძეგლებს. ჩოსერის მამამ დიდი თანხა გაიღო, მეფე მხოლოდ მცირედად შეეწია და. ამგვარად, მომავალი პოეტი 1360 წელს ტყვეობიდან გამოისყიდეს. სამშობლოში ჩოსერი კვლავ სასახლის ცხოვრებას უბრუნდება, მეფე მას ნდობითა და მფარველობით ეპყრობა, 1366 წელს იგი უკვე ესკვაირთა სიაშია მოხსენებული, მეფეს პირადად ემსახურება და წლიურად კარგი შემოსავალი, ოცი მარკა ენიშნება. ამავე წელს ცოლად შეურთავს დედოფლის ერთ-ერთი სეფექალი ფილიპა. თუმცა პოეტი თავის ნაწარმოებებში ცოლს არსად არ იხსენიებს, მაგრამ ცნობილია, რომ დედოფალს 1366 წელს თავისი სეფექალისათვის „ფილიპა ჩოსერისათვის“ დაუნიშნავს ათი მარკა პენსია წლიურად მის გათხოვებასთან დაკავშირებით.

ჩოსერი ფრანგულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნას იწყებს და სასახლის კარზე მალე „დიდი მთარგმნელის“ (მისი თანამედროვე ფრანგი პოეტი დეშამი ასე მიმართავს ჩოსერს მისადმი მიძღვნილ ბალადაში) სახელს იხვეჭს. ინგლისურ ენაზე მას უთარგმნია თანამედროკე ფრანგი პოეტები და მეცამეტე საუკუნის ცნობილი ფრანგული ალეგორიული პოემა „ვარდის რომანი“, რომელიც ორ სხვადასხვა მსოფლმხედველობის ავტორს ეკუთვნის, პირველი ნაწილი გიომ დე ლორის, რაინდული პოეზიის წარმომადგენელს და მეორე ჟან დე მენს, ქალაქური პოეზიის წარმომადგენელს, პრერენესანსულ პოეტს. თარგმანებში ჩოსერმა ფრანგული ლექსის მუსიკალობა გადმოიტანა, გამოიმუშავა ინგლისურ ლექსში რითმა და რიტმი და წინა საუკუნეში დაწყებული ახალი ინგლისური, კლასიკური ლექსთწყობის განვითარება დაასრულა. პოეტის სიცოცხლეში „ვარდის რომანის“ ინგლისური თარგმანი პოპულარობით „კენტერბერიულ მოთხრობებს“ არ ჩამოუვარდებოდა, ავტორს სწორედ „ვარდის რომანის“ თარგმანის გამო და არა „კენტერ-

ბერიული მოთხრობებისათვის“ უწოდებდნენ თანამედროვენი „სიყვარულის მომღერალს“. შემოქმედების ადრეულ პერიოდში პოეტი ქმნის, აგრეთვე, პოემებს „წიგნი ჰერცოგის მეუღლეზე“, „ჩივილი სიბრალულისა“, რომელთა ღირსება ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ეს არის პირველი ცდა ორიგინალური ინგლისური ნაწარმოების შექმნისა. ამას გარდა, პოეტი უკვე ახერხებს საკუთარი ლირიკული განწყობილებების გადმოცემას.

ჩოსერს ხშირად ანდობდნენ დიპლომატიურ საქმიანობას კონტინენტზე, საფრანგეთსა და იტალიაში. დანამდვილებით არაა ცნობილი, რა მისიით აგზავნიდა მეფე ჩოსერს უცხო ქვეყნებში. სავარაუდოა, რომ იგი უმეტესად სავაჭრო მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ფაქტი ერთია, საფრანგეთსა და იტალიაში მოგზაურობებს წიგნის დაუცხრომლად მოყვარული პოეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი განათლების, საერთო ჰორიზონტის გაფართოებისა და, რაც მთავარია, შემოქმედებითი ძიებებისათვის. 1372 წელს ჩოსერი პირველად მიემგზავრება იტალიაში, ერთი წლით. ამ დროს იტალია ეკონომიურად და კულტურის დონით ყველაზე მოწინავე ქვეყანაა ევროპაში, ეს იტალიის ქალაქების აყვავებისა და აღორძინების განვითარების ხანაა. ჩოსერი ეუფლება იტალიურ ენას, ეცნობა აღორძინების კორიფეების: დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს შემოქმედებას. ინგლისელი პოეტის ბიოგრაფები ვარაუდობენ, რომ ჩოსერი პირადად პეტრარკას შეხვდა და, შესაძლებელია, ბოკაჩოსაც. იტალიაში მოგზაურობა ჩოსერისათვის მობრუნების წერტილი იყო, მან გადასწყვიტა მისი მომავალი შემოქმედების ბედი. პოეტი იმდენად აღაფრთოვანა აღორძინების ხანის იტალიურმა ლიტერატურამ, რომ „დიდმა მთარგმნელმა“ ფრანგული მწერლობიდან იტალიურზე გადაინაცვლა, განსაკუთრებული გატაცებით დაეწაფა ბოკაჩოს თარგმნას. დასრულდა ჩოსერის შემოქმედების პირველი, ფრანგული ლიტერატურის გავლენის პერიოდი და დაიწყო მეორე, იტალიური ლიტერატურით გატაცებისა და გავლენის პერიოდი. მან 1377-78 წლებში კვლავ იმოგზაურა ევროპული რენესანსის სამშობლოში და კიდევ უფრო გაუღვივდა იტალიური ლიტერატურის სიყვარული.

ჩოსერი უმეტესად მიმართავდა ცნობილ ნაწარმოებთა გადმოკეთებას და არა თარგმანს. მის თარგმანებს ძნელია ვუწოდოთ თავისუფალი თარგმანიც კი თანამედროვე გაგებით. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ თარგმნილი ბოეციუსის ტრაქტატი „ფილოსოფიით დამშვიდება“. ჩოსერი ჩვეულებრივ ზედმიწევნით მიჰყვებოდა სიუჟეტს თარგმანში და არა დედნის ტექსტს. ამგვარი სახით ის სიუჟეტებს სესხულობდა იტალიელი მწერლებისგან, ადრეული შუა საუკუნეების პოპულარული კრებულებიდან და თავისებურად ამუშავებდა. „წმ. ცეცილიას ცხოვრება“, „წმ. კონსტანცას ამბავი“ გადმოიღო ადრე შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული ლეგენდების კრებულიდან — „ოქროს ლეგენდა“, ოვიდიუსის „მეტამორფოზებსაც“ ბევრჯერ მიმართა, დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდანაც“ გადაამუშავა რამდენიმე ეპიზოდი, პეტ-

რარკასგანაც. ბოკაჩოს „თეზეუსიდან" ისესხა პალამონისა და არსიტის ისტორია*. ბოკაჩოს „ფილოსტრატოდან" და გვიდო დელა კოლონას „ტროას ისტორიიდან" გადმოკეთებულ „ტროილუსსა და ქრიზეიდაში", რომელზედაც 1379 წლიდან ხუთი-ექვსი წელი მუშაობდა, ჩოსერი იმდენად შორდება პოემის პირველ წყაროებს, რომ მას დამოუკიდებელ ნაწარმოებად თვლიან. პოემაში ჩოსერი ისეთ დიდ დაოსტატებას იჩენს, ისეთ ღრმა ფსიქოლოგიზმსა და მძაფრ დრამატულობას აღწევს, რომ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ინგლისური „ტროილუსისა და ქრიზეიდას" ავტორმა ამ ცნობილი ტრაგიკული ამბის მხატვრული გადმოცემით თავის წინამორბედებს — ბენუა დე სენ მორს, გვიდო კოლონას და თვით ბოკაჩოსაც ბევრად გადააჭარბა. ჩოსერის ეს პოემა სწორედ ამიტომაც აირჩია და დაუდო საფუძვლად შექსპირმა იმავე სახელწოდების თავის დრამას. იტალიელი მწერლებისაგან ჩოსერმა აითვისა სიუჟეტის დინამიური გაშლა, დრამატული კონფლიქტების ბუნებრიობა, სტილის სისადავე, თხრობის სისხარტე.

ჩოსერს მარტო თარგმანები და ინგლისურად გადმოკეთება აღარ აკმაყოფილებს, იგი ცდილობს ორიგინალური ნაწარმოების შექმნას. როგორც კი იწყებს საკუთარი პოემების წერას, მაშინვე მისი ნაწარმოებების ტონალობა იცვლება, შორდება შუასაუკუნეობრივ ნორმებს, რაინდულ და ალეგორიულ-დიდაქტიკურ ჟანრებს. მთავარ ადგილს მათში ფაბლიოსებური იუმორი და რეალიზმისაკენ სწრაფვა იკავებს. „ტროილუსისა და ქრიზეიდას" ტრაგედიაშიაც კი მან შექმნა შეყვარებულთა შუამავლის პანდარუსის რეალისტური კომიკური სახე, რომელიც ბოკაჩოს ახალგაზრდა სერიოზული ვაჟკაციდან, ქრიზეიდას ბიძაშვილიდან ჩოსერთან გარდაიქმნა ხანდაზმულ მოხერხებულ უდარდელ ბიძად. პანდარუსის სახე ერთგვარად შექსპირის კომიკური პერსონაჟების შორეული წინაპარია.

ალეგორიული პოემა „ფრინველთა პარლამენტი", რომელიც პოეტმა 1382 წელს მეფე რიჩარდ მეორის ქორწინებას მიუძღვნა, ცოცხალი, ხალისიანი იუმორისტული ნაწარმოებია. ფრინველებს თავი მოუყრიათ ნადიმზე. მსჯელობენ არწივის მომავალ ქორწინებაზე, ყოველი ფრინველი თავის შეხედულებას იცავს ოჯახზე, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაზე, სიყვარულზე. ბოლოს მათ შორის დავა ატყდება: ერთნი რაინდულ იდეალურ სიყვარულს განადიდებენ, მეორენი — მიწიერს, ხორციელს და პრაქტიკული ცხოვრებისათვის გამოსაყენებელს. მაგრამ მათი დავა დავად რჩება და პოემაც ამით სრულდება. ფრინველთა სახით მწერალი იძლევა ცოცხალ ტიპაჟს, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს, მათ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, ჟანრობრივ, საყოფაცხოვრებო ეპიზოდებს, და ყველაფერი ეს შეფერილია უმტკივნეულო მსუბუქი იუმორით. დაახლოებით ამავე პერიოდში დაწერილ პოემაში „ქების სახლი" იგრძნობა დანტეს გავლენა. ამ ალეგორიულ-დიდაქტიკურ პოემაშიაც, რომელიც შუასაუკუნეებში გავრცელებულ „ხილვის" ჟანრს მიეკუთვნება, გვხვდება შესანიშნავი გონებამახვილური იუმორისტული პასაჟები. პოემა ჩოსერმა დაუმთავრებელი დატოვა. არ დაამთავრა, აგრეთვე, პოემების ციკლი „ლეგენდა კარგ ქალებზე". ჟან დე მენის მთარგმნელი ჩოსერი თვითონაც ქალების გამკილავის როლში გამოდიოდა, ხოლო ქრიზეიდას ღალატის აღწერით ქალებს საამებელი კვლავ ვერაფერი მოუთხრო. მაშინ რაინდულ წესებზე აღზრდილმა პოეტმა გაიზრახა ქალების წინაშე თავისი „დანაშაული გამოესყიდა" და ქალთა სახოტბო-სადიდებელი ნაწარმოები შეექმნა. ამგვარად დაიწყო კრებულის — „ლეგენდა კარგ ქალებზე" — წერა, მასში ოცი ლეგენდა უნდა ყოფილიყო გაერთიანებული, ოც სახელოვან ქალზე, რომლებმაც ერთგულ სიყვარულს თავი შესწირეს. ესენი იყვნენ უმთავრესად ანტიკური ისტორიიდან და მითებიდან ცნობილი ქალები. მწერალმა რამდენიმე ლეგენდა დაასრულა. არც ფრანგული დახვეწილობა და ლექსის მუსიკალობა, არც იტალიური თხრობის სისხარტე დაუკლია ამ პოემებისათვის დიდად დაოსტატებულ მწერალს, მაგრამ იგი ვეღარ კმაყოფილდებოდა დროგარდასული ლიტერატურული სტანდარტებითა და გემოვნებით. რაინდულ პოეზიაზე აღზრდილს, რაინდული თავგადასავლები, სიყვარულის კულტიც კი აღარ იტაცებს. სხვათა შორის, „კენტერბერიულ მოთხრობებში" სერ თოპასის კომიკური თავგადასავალი რაინდობის პაროდიაა; პოეტს აღარ იტაცებს არამიწიერი სიყვარულის განდიდება, ქრისტიანული ასკეტიზმი, დიდაქტიზმი და მორალიზაცია, ცხოვრება, სინამდვილე მთელი სიცხადით, თავისი ავითა და კარგით არ ასვენებს მის პოეტურ წარმოდგენას. ალბათ ამიტომაც მიატოვა პოეტმა შუა გზაზე ეს ორი უკანასკნელი პოემა.

ეტყობა, იტალიაში პირველი მოგზაურობის დროს ჩოსერმა წარმატებით ჩაატარა თავისი მისია, რაკი დაბრუნების შემდეგ მეფისგან ფულადი ჯილდო მიიღო და ლონდონის პორტში დაინიშნა საბაჟოს უფროს ზედამხედველად. საცხოვრებლად ლონდონის ტაუერში, ოლდგეიტში დასახლდა. ჩოსერი მთელი დღეობით ლონდონის პორტში იყო, ხელოსნებში, ვაჭრებში, ხალხში ტრიალებდა. აქამდე თუ მისი სკოლა სასახლის გალანტური ცხოვრება იყო, ფრანგული და იტალიური ლიტერატურა, ახლა იგი საუკეთესო ცოდნას ღებულობს უშუალოდ ცხოვრებიდან. უფრო ახლოს ეცნობა ინგლისის ყოველდღიურ ყოფას, უბრალო ხალხის მდგომარეობას, ხასიათებს, მისწრაფებებს. აქ გროვდება, იწმინდება, იკვეთება პოეტის წარმოდგენაში ცოცხალი, ცხოვრებისეული მასალა „კენტერბერიული მოთხრობებისათვის". 1385 წელს ჩოსერი კენტის საგრაფოს მოსამართლედ დაინიშნა, — კვლავ უბრალო ხალხში უხდება ტრიალი. 1386 წელს კენტის საგრაფოს მიერ პარლამენტის თემთა პალატაში იქნა არჩეული, რაც მისი პოლიტიკური კარი-

* შემდგომში, „კენტერბერიულ მოთხრობებში" ჩოსერმა ზოგი მათგანი შეიტანა გადამუშავებული სახით. მაგალითად, მეორე მონაზონი ყვება წმ. ცეცილიას ამბავს, რაინდი — პალამონისა და არსიტის მიჯნურობის დრამატულ ისტორიას.

ერისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი პარლამენტში ატეხილი დავის მსხვერპლი შეიქმნა და როგორც დამარცხებული ოპოზიციის მომხრე, პარლამენტიდან განდევნეს; ზედამხედველის თანამდებობაც ჩამოართვეს, პენსია საგრძნობლად შეუმცირეს, პოეტი დიდ გასაჭირში ჩავარდა. მისი მფარველი მეფე ედუარდ მესამე ჯერ კიდევ 1377 წელს გარდაიცვალა. რიჩარდ მეორე მოწყალე თვალით აღარ უყურებს კარის პოეტს, მისი ერთადერთი მფარველი და მეგობარი ჯონ გონტი ესპანეთში იმყოფება, მალე ცოლიც გარდაეცვალა. იქნებ პოეტის ამ სავალალო მდგომარეობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ყველასგან გარიყული, სიდუხჭირეში ჩავარდნილი იგი ნუგეშს შემოქმედებაში ეძიებდა და, აქედან მოყოლებული, მთელი თავისი შემდგომი სიცოცხლე მონუმენტური, ორიგინალური პოეტური ქმნილების „კენტერბერიული მოთხრობების" შექმნას შეალია. ეს პერიოდი, დაწყებული 1380-იანი წლების მეორე ნახევრიდან სიკვდილამდე, ითვლება პოეტის შემოქმედების ყველაზე უფრო ნაყოფიერ პერიოდად, მესამე პერიოდად, როცა იგი საბოლოოდ გათავისუფლდა ფრანგული და იტალიური მწერლობის გავლენისაგან, შექმნა ორიგინალური, ნაციონალური ინგლისური პოეზიის შედევრი და, რაც მთავარია, საბოლოოდ მისი პოეტური ძიებანი დასრულდა სინამდვილის, მიწიერი ცხოვრების, რეალიზმის აღმოჩენით. „კენტერბერიული მოთხრობები" ჩოსერის ხანგრძლივი და რთული შემოქმედებითი განვითარების მწვერვალია. პოემა წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათის ამბები, რაინდული თავგადასავლები, ხილვანი, ალეგორიები, ფაბლიოები, იგავები, ქრისტიანული ლეგენდები, ერთი სიტყვით, ადრე შუასაუკუნეობრივი ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრი, მათ შორის გარეულია ცხოვრებიდან აღებული, რეალისტური ამბებიც. „კენტერბერიული მოთხრობები" თავისი აგებულებით მოგვაგონებს ბოკაჩოს „დეკამერონს", საზოგადოდ, ადრე შუასაუკუნეობრივ ევროპულ და აღმოსავლურ კრებულებს, რომლებშიც სხვადასხვა ხასიათისა და ჟანრის ამბები, ზღაპრები, იგავები, ნოველები, პოემები და სხვა გაერთიანებულია მთხრობელთა მეშვეობით. მაგრამ ჩოსერი თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით მთხრობელთა ფუნქციას უქვემდებარებს მაღალ მხატვრულ მიზანს, რაც შეიძლება ცოცხლად, დამაჯერებლად გამოხატოს თანამედროვე ინგლისის სინამდვილე. მისი მთხრობელნი თავიანთი როლის მექანიკური შემსრულებელნი კი არ არიან, არამედ ყოველი მათგანი იმ ამბისგან დამოუკიდებლად, რომელსაც ის ჰყვება, წარმოადგენს დასრულებულ მხატვრულ რეალისტურ სახეს, ტიპიურ ხასიათს. შეიძლება ითქვას, „კენტერბერიულ მოთხრობებში" თვით ამბები იმდენად მთავარი და მნიშვნელოვანი როდია, რამდენადაც მთხრობელთა ხასიათები.

პოემა მთლიანად მარტივი სტრუქტურისაა. ერთ მშვენიერ აპრილის დღეს ოცდაათზე მეტი მლოცველი, პოემის ავტორის ჩათვლით, შემთხვევით თავს მოიყრის ლონდონის განაპირა სასტუმრო „ტაბარდში", ისინი მიემგზავრებიან კენტერბერიში, რათა ემთხვიონ წმინდა

მოწამის ტომას ბეკეტის ნეშტს. სასტუმროს მეპატრონე ჰარი ბეილი პილიგრიმებს ერთად მოგზაურობას შესთავაზებს, ოღონდ გზაში, თავშესაქცევად, თითოეულმა მათგანმა იქითობას ორი ამბავი უნდა მოჰყვეს და ორიც უკან დაბრუნებისას. ვინც ყველაზე უფრო თავშესაქცევ ამბავს მოჰყვება, ჰარი გემრიელი ვახშით გამასპინძლებას ჰპირდება. ამგვარად, ჩოსერს განზრახული ჰქონდა ას ოცზე მეტი მოთხრობა შეეტანა კრებულში, მაგრამ მხოლოდ ოცდაოთხის დაწერა მოასწრო (მათ შორის ორი პროზაული ნაწარმოებია), რომელთაგან ოთხი დაუმთავრებელი დარჩა. და საერთოდ, ჩოსერმა თავისი მონუმენტური ჩანაფიქრის ერთი მეოთხედის განხორციელებაც ვერ მოასწრო, მაგრამ ესეც საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. პოეტმა შექმნა შესანიშნავი რეალისტური ეპოსი, რომელშიც მოგვცა ტიპიურ ხასიათთა მდიდარი გალერეა და გამოხატა აღორძინების ეპოქის სულისკვეთება.

ჩოსერის რეალისტური ოსტატობა მრავალფეროვანია. ეს ეხება, უმთავრესად, პოემის საერთო პროლოგს. ჩოსერს რომ მხოლოდ ეს პროლოგი დაეწერა, მაინც დიდი პოეტი იქნებოდა. აი, პილიგრიმები რეგლობას, საქციელს, მდგომარეობას; იწყებს რაინდიდან, რომელიც ბლოცველებს წინ მიუძღვის, და ამთავრებს ინდულგენციებით მოვაჭრე ბერითა და სასტუმროს მეპატრონის აღწერით. ეს ნამდვილი დემონსტრაციაა, მეთოთხმეტე საუკუნის ინგლისის გამოფენაა. მკითხველის წინაშე ჩაიელის ყოველი წოდების, კლასის, წრის, ფენის, პროფესიის წარმომადგენელი, ცოცხალი ჟანრობრივი ხასიათები. ჩოსერი ბოკაჩოს არ ჩამოუვარდება სასულიერო პირთა და ფეოდალთა მხილებით, მისი შემპარავი ირონია წვდება მესამე წოდების წარმომადგენლებსაც. გაქნილ ვაჭარსაც, ცბიერ ექიმსაც, მექრთამე იურისტსაც, ლოთ, აყალმაყალის ამტეხ მეწისქვილესაც, სამაგიეროდ ჰუმანისტი პოეტი დროებით ივიწყებს ირონიას, როცა უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსულ მიწის მუშას, გულალალ და უმზაკვრო ღატაკ გუთნისდედას თანაგრძნობით ასურათებს.

პოეტი კონკრეტულობისაკენ ისწრაფვის, ცდილობს დეტალური შტრიხებით ტიპიური მხარეების გამოვლენას. მის თვალს არ გამოეპარება არც ერთი დამახასიათებელი წვრილმანი, ისიც კი, თუ როგორ ზის მისი გმირი ცხენზე, ჩანთაში რა უწყვია, როგორ ლაპარაკობს. — ყველაფერ ამას ჩოსერი ყვება ღიმმორეული, უბრალოდ, ფაქიზი იუმორით, უღვარძლოდ და უბოროტოდ, ადამიანის დიდი სიყვარულით, რაც მკითხველში თავშეუკავებელ ჯანსაღ სიცილს იწვევს. აგერ, დედათა მონასტრის წინამძღვარი ეგლანტინი: კოხტა და თავმომწონე ქალია, ფრანგულის ცოდნას იჩემებს, თუმცა მის ფრანგულს ალბათ ვერც ერთი პარიზელი ვერ გაიგებს, ლოცვებს ეგლანტინი განზრახ ცხვირში აღუღუნებს, საჭმელს ფაქიზად მიირთმევს, ისე, რომ თითები არ დაესვაროს (ჩოსერის დროს ჯერ ჩანგალი არ იყო გამოგონებული). ტუსვაროს (ჩოსერის დროს ჯერ ჩანგალი არ იყო გამოგონებული). ტუ-ჩებს ხშირად იწმენდს, რომ ზედ ქონი არ შერჩეს, მაჯაზე მარჯნის

კრიალოსანი უკეთია, გულზე დიდი ოქროს ქინძისთავი ორაზროვანი ლათინური წარწერით: „სიყვარული ყველაფერს ამარცხებს". მონაზვნის გარეგნობის კონკრეტული აღწერის მერე მკითხველს უკვე ეჭვი ეპარება. ეგლანტინი მიწიერ თუ ზეციურ სიყვარულს ეთაყვანება, ასკეტურ იდეალს ეწირება თუ ცდილობს ქალურად მომხიბვლელი იყოს. ზოგჯერ ჩოსერი ერთი მოსწრებული სიტყვით, მოკლე და ლაკონიური შენიშვნით მეტს ამბობს ხასიათის თავისებურებაზე, ვიდრე ვრცელი აღწერებით. როცა მოხეტიალე ბერზე ამბობს, მან ეკლესიებსა და მონასტრებზე უკეთ ის იცოდა, სად რომელი ტავერნა იყო ინგლისის გზებზე, ყველაზე უფრო გემრიელი კერძები სად მზადდებოდა, საუკეთესო ღვინო სად ისმებოდაო, ცხადია, ამ შენიშვნის შემდეგ მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ბერს წმინდანობაზე უფრო მიწიერი ცხოვრება ხიბლავდა. მეზღვაურის ვაჟკაცურ საქმიანობას და წარსულს ერთი მეტაფორით მახვილად გადმოგვცემს, — მისი წვერები ბევრ ქარიშხალს აუწეწიაო — „მის ჟღალ წვერში ყველა ქარს და გრიგალს გაევლო" (თარგმანი გ. ნიშნიანიძისა).

საერთო პროლოგში ტიპთა სტატიკური, გარეგნული პორტრეტებია მოცემული. ყოველ ამბავს ერთვის ცალკე პროლოგი, რომლებშიც პილიგრიმები უმეტესად თავიანთ ამბავს ჰყვებიან. გზა მლოცველებს ერთმანეთთან აახლოვებს, ზოგნი დამეგობრდებიან, ზოგნი, პირიქით — ერთმანეთს ვერ ეგუებიან. ზოგჯერ ეს ურთიერთობანი კამათამდე, ჩხუბამდე, დრამატულ სიმძაფრემდე მიდის. თანამგზავრი ქალების მიმართ ზოგ მლოცველს, მათ შორის ეკლესიის „წმინდა" მსახურებსაც, მეგობრულ გრძნობაზე მეტი სიმპათია უჩნდება. ამგვარ პატარა ეპიზოდებში საერთო პროლოგის პორტრეტულობა, სტატიკურობა გადადის მოქმედებაში, დინამიკაში, დრამატიზმში, რაც ავსებს, აცოცხლებს და უფრო მკვეთრად ავლენს ხასიათთა თავისებურებებს.

ცალკეულ პროლოგებში ჩოსერის იუმორი უფრო დახვეწილი და ელასტიურია. მთხრობელი, დარწმუნებული საკუთარ პატიოსნებასა და ყოველგვარი საქციელის სამართლიანობა-წესიერებაში, ანგარიშმიუცემლად ჰყვება თავის წარსულსა და აწმყოს, ხოლო მსმენელი აშკარად ხედავს მის ნაკლოვანებებს და ღიმილს ვერ იკავებს, რადგანაც ეს ნაკლოვანებები წვრილ-წვრილი ადამიანური ცოდვებია. საზოგადოდ, ჩოსერის გმირთა აღსარებები ადამიანისადმი რწმენით, აღორძინების ხანისათვის დამახასიათებელი მიწიერი ცხოვრების სიყვარულით და ოპტიმიზმითაა აღსავსე. ასეთია ბათიდან მომავალი ქალის პროლოგი-აღსარება. მას თურმე ხუთი ქმარი გამოუცვლია, მესუთე მეოთხე ქმრის გასვენებაზე მოსწონებია, ახლა მზადაა მეექვსედაც გათხოვდეს. იგი მსუქანი და ლოყებღაჟღაჟაა, წითელი წინდები აცვია, ცხენზე მტკიცედ ზის, ხმამაღლა ლაპარაკობს, მთელი გზნებით ქადაგებს, — წმინდა ქალწულობა კეთილი საქმეა, მაგრამ ქრისტე ადამიანთა მოდგმის გამრავლებისა და გათხოვების წინააღმდეგი როდი იყოო. ასე რომ, ბათელ ქალს ღვთის წინაშე ცოდვა არასოდეს ჩაუდენია.

ხასიათთა გამოსაკვეთად, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის მისაღებად ჩოსერი მარტო პორტრეტულ აღწერებს, გმირთა აღსარებებს და მათ შორის ეპიზოდურ ურთიერთობებს არ სჯერდება. იგი დიდი დაკვირვებით ანაწილებს ამბებს მთხრობელთა შორის. ყოველი მათგანი ჰყვება ისეთ ამბავს, რომელიც მის ხასიათს შეეფერება და, ამდენად, პოეტი კიდევ უფრო აღრმავებს და ავლენს გმირის მიდრეკილებებს. იგივე ქალი ბათიდან, რომელიც ქმრების მოხიბვლა-დამორჩილებაში გაწაფულა, საამბობლად ირჩევს ართურის ერთი რაინდის თავგადასავალს. კითხვაზე — ქალს ყველაზე უფრო რა უნდა, რა ურჩევნია, — რაინდს თურმე მრავალი ფათერაკის შემდეგ მიუგნია პასუხისათვის: ქმრის უსიტყვო მორჩილებაო. რაინდი თვითონაც სიყვარულის ტყვეობაში აღმოჩენილა და იძულებული გამხდარა ცოლს დამონებოდა, სხვაგვარად მისი სიყვარული აღუსრულებელი დარჩებოდა.

კენტერბერიულ ამბებში სიცოცხლე ჩქეფს. აღორძინების ეპოქის სული ისეთ დეტალშიაც კი ვლინდება, თუ როგორ ისმენენ პილიგრიმები ამა თუ იმ ამბავს: ქრისტიანულ ლეგენდებზე, მარტვილთა ცხოვრებაზე რული ეკიდებათ. ხოლო ცოცხალ ცხოვრებისეულ ამბებს სიამოვნებით ისმენენ და ზოგჯერ მის ირგვლივ გაცხოველებითაც კამათობენ.

„კენტერბერიული მოთხრობები" დაწერილია ლონდონურ დიალექტზე, რომელიც, როგორც აღინიშნა, საფუძვლად დაედო თანამედროვე ინგლისურ ენას. მწერალი ხშირად ფრანგულ სიტყვებსაც ხმარობს, ფრანგულ გრამატიკულ ფორმებსაც ინარჩუნებს. მაგრამ მისი ენა თანამედროვე ინგლისელი მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად მაინც გასაგებია. ეს კი აიხსნება იმით, რომ ჩოსერის ენა და სტილი უაღრესად სადა, სალაპარაკო, მსუბუქი და გამჭვირვალეა.

ჩოსერის პოეტური ბუნებისათვის ძველი ალიტერაციული ურითმო ლექსი მიუღებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ ფრანგული პოეზიიდან შემოსული რითმა და რიტმი — აუცილებელი. პოეტი ძირითადად იამბიკურ პენტამეტრს იყენებს, დროდადრო ლექსის სხვა ზომებსაც მიმართავს, სხვადასხვაგვარ სტროფებს ხასიათთა და განწყობილებათა შესატყვისად. განსაკუთრებით ყღერადია მის მიერ შემუშავებული ე. წ. ჩოსერისებური შვიდლექსიანი სტროფი, რომელიც დიდად გავრცელდა მეცხრამეტე საუკუნეში ინგლისელ რომანტიკოს პოეტთა შორის. ინგლისური პოეზიის ისტორიაში ჩოსერი კლასიკური ლექსისათვის დამახასიათებელი რითმების შემქმნელ ნოვატორად შეიძლება ჩაითვალოს. „კენტერბერიული მოთხრობების" რითმების სიუხვე და სიმდიდრე მოწმობს, რომ დიდი ვერსიფიკატორი მშობლიური ენის არსენალში ხედავდა მრავალფეროვან რითმათა პოვნის, მიგნების დაუშრეტელ შესაძლებლობებს. „კენტერბერიულ მოთხრობებში" პოეტი აღწევს ლექსის დიდოსტატობასა და სასიამოვნო მუსიკალობას.

*

დანამდვილებით არაა ცნობილი, „კენტერბერიულ მოთხრობებზე" ჩოსერი გარდაცვალებამდე მუშაობდა თუ ჯანმა ადრე უმტყუნა და მისი წერა შეწყვიტა. ბიოგრაფების გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო ათეულ წელს მეფეთა არქივის მდივანიც იყო, ხაზინადარიც, ხან მეტყველ თუ მებაღე, ერთ ხანს უინძორშიაც ცხოვრობდა, ბოლოს ლონდონში — უესტმინსტერის სააბატოს ტერიტორიაზე. ბევრი სიმწარე გამოუცდია, მისი მდგომარეობა ერთხანს გაუმჯობესებულა, როცა მისი მფარველი ჯონ გონტი დროებით დაბრუნებულა ინგლისში. მერე ისევ სიდუხჭირეში ჩავარდნილა. 1399 წელს ტახტზე ავიდა ჯონ გონტის ვაჟიშვილი, ჰენრი მეოთხე ლანკასტერი. ჩოსერმა მას მიმართა სახუმარო ლექსით „ჩივილი ცარიელი საფულის გამო". ახალმა მეფემ შეივრდომა მათი საგვარეულოს მარად ერთგული პოეტი და დიდი პენსია დაუნიშნა, მაგრამ ჩოსერს აღარ დასცალდა მშვიდი, უზრუნველი სიბერე. იგი მალე გარდაიცვალა — 1400 წლის 25 ოქტომბერს. პოეტის ღვაწლი დიდად დააფასეს თანამედროვეებმა. ჩოსერი იყო პირველი ინგლისელი მწერალი, რომელიც ლონდონში, ინგლისის მეფეთა საკურთხეველ და განსასვენებელ ტაძარში, უესტმინსტერის სააბატოში დაასაფლავეს; ამიერიდან მისი საფლავის მახლობლად შეიქმნა ინგლისელ მწერალთა პანთეონი, რომელსაც „პოეტთა კუთხე" ეწოდა.

*

ჯეფრი ჩოსერი დიდად პოპულარული და სათაყვანებელი პოეტი იყო თანამედროვეთა შორის, მაგრამ ჭეშმარიტად დიდი ინგლისელი მწერლისა და ინგლისური პოეზიის მამამთავრის სახელი მან მოიპოვა შემდგომ საუკუნეებში. ყოველმა საუკუნემ ახლებურად აღიქვა და შეისისხლხორცა მისი მდიდარი პოეტური სამყარო.

მეთხუთმეტე საუკუნეში ჩოსერის პოპულარობაზე მეტყველებს მის უშუალო მიმდევართა, ჩოსერის ეპიგონი პოეტების მთელი სკოლის შექმნა, აგრეთვე, „კენტერბერიული მოთხრობების" ხელნაწერთა სიმრავლე. ხოლო 1478 წელს პოემა გამოსცა უილიამ კექსტონმა, რომელმაც პირველმა შეიტანა ინგლისში საბეჭდი დაზგა და დაიწყო წიგნების დასტამბვა. კიდევ უფრო გაიზარდა ჩოსერის მნიშვნელობა მეთექვსმეტე საუკუნეში, აღორძინების ეპოქაში. მისი შემოქმედება იქცა ინგლისის რენესანსის კორიფეების შთაგონებისა და ფასდაუდებელ ლიტერატურულ წყაროდ. უილიამ შექსპირისა და ბენჯამინ ჯონსონის დრამატურგია უხვად ასაზრდოვა ჩოსერის პოეზიამ. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში სახელოვანმა ინგლისელმა პოეტებმა, კლასიცისტებმა ჯონ დრაიდენმა და ალექსანდერ პოპმა დიდი ღვაწლი დასდეს ჩოსერის პოეტური სტილის ანალიზს. დრაიდენმა პირველმა განსაზღვრა ჩოსერის ადგილი და მნიშვნელობა ინგლისურ ლიტერატურაში. 1775—1778 წლებში უილიამ ტერუიტმა პირველად გამოსცა „კენტერბერიული მოთხრობების" გაწმენდილი, შედარებით დადგენილი ტექსტი, ძვალიერცლად დამუშავებული და კომენტირებული. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წელსში ინგლისელმა რომანტიკოსებმა თავისებური რომანტიკული გზნებით დაანახვეს მკითხველს მეთოთხმეტე საუკუნის პოეტის უბადლო ოსტატობა. ამავე საუკუნის ე. წ. „ვიქტორიანელი პოეტი" ალფრედ ტენისონი ითვლება ჩოსერის შემოქმედების ერთ-ერთ დაუცხრომელ თაყვანისმცემლად და პოპულარიზატორად. გასულ საუკუნეში ჩოსერის შემოქმედებისადმი ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ 1868 წელს მის სამშობლოში ჩამოყალიბდა „ჩოსერის საზოგადოება". „ჩოსერის საზოგადოებამ" მიზნად დაისახა პოეტის შემოქმედების საფუძვლიანად შესწავლა, მეცნიერულად დამუშავება, რაც დღესაც შეუნელებლივ გრძელდება. განსაკუთრებით დიდ სიძნელეებს აწყდებიან ჩოსეროლოგები მეთოთხმეტე საუკუნის მწერლის ტექსტების დამუშავება-დადგენისას. ცხადია, მათი ყურადღების ცენტრშია მოქცეული „კენტერბერიული მოთხრობებიც", რომლის სხვადასხვა ხელნაწერებია ჩვენამდე მოღწეული და მათ მიხედვით ძნელდება პირველყოფილი ვარიანტის აღდგენა (პოემის ავტორისეული ხელნაწერი არ შემონახულა). არსებობს ჩოსერის თხზულებათა ბევრი გამოცემა, რომლებსაც დართული აქვთ კარგად დამუშავებული მეცნიერული აპარატი, მაგრამ ამ გამოცემებშიაც „კენტერბერიული მოთხრობების" ტექსტი არაა ერთი და იგივე. ეს უფრო მეტად ეხება მოთხრობების განლაგებას და ზოგან უშუალოდ თვით ტექსტსაც.

თანამედროვე ინგლისელი მკითხველისათვის მეთოთხმეტე საუკუნის პოეტი ჩოსერი არცთუ იოლი გასაგები და წასაკითხია არქაული ლექსიკისა და წარმოთქმის გამო. მიუხედავად ამისა, „კენტერბერიული მოთხრობები" დიდად პოპულარულია ფართო მკითხველთა შორის. მისი ნათელი პოეტური აზრი, წყობა და სახეები თანამედროვე ინგლისელ მკითხველს ეხმარება ძველი ენის სიძნელეთა გადალახვაში. პოემა თარგმნილია თანამედროვე ინგლისურ ენაზეც. საერთოდ, მეთოთხმეტე საუკუნის ინგლისური კულტურის ეს შესანიშნავი ქმნილება თარგმნილია მრავალ ენაზე.

*

საქართველოში გვაქვს შექსპირისა და მილტონის თხზულებები ქართულ ენაზე, მაგრამ არ გვქონდა ჩოსერის ნაწარმოებები. წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს „კენტერბერიული მოთხრობების" პირველ ქართულ თარგმანს, რომელიც ინგლისური ორიგინალიდან შესრულა პოეტმა გიორგი ნიშნიანიძემ*. თუ გავითვალისწინებთ ჩოსერის ენის

* პოემის ზოგადი პროლოგი და რამდენიმე მოთხრობა ქართულად გამოქვეყნდა „ხომლში" და „ცისკარში" (იხ. „ხომლი", 1970 წ., № 5 და 1974 წ., № 9; „ცისკარი", 1975 წ., № 12), საიდანაც ქართველმა მკითხველმა შეიტყო, რომ „კენტერბერიული მოთხრობების" მთლიანი თარგმანი, შესრულებული გ. ნიშნიანიძის მიერ, მზადდებოდა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიაში გამოსაცემად.

არქაულობას, შუასაუკუნეობრივ ცნებათა სიჭარბეს, თუ გავითვალისწინებთ პოემის მხატვრულ სპეციფიკას და დიდ მოცულობას, მაშინ ნათელი გახდება, რა მძიმე მისია იკისრა ქართველმა მთარგმნელმა. ჩანს, ქართველ პოეტს ასულდგმულებდა პრერენესანსული ინგლისელი პოეტის სილაღე, ადამიანური ხასიათების ზოგადურობა, კაცთმოყვარეობა, ნათელი ჰუმანიზმი. შორეული საუკუნეების ეს დიდი ინგლისელი პოეტი, მკითხველისათვის მუდამ ახლობელი და თანამედროვე, გიორგი ნიშნიანიძემ, სრულიად მართებულად, მიზანშეწონილად თარგმნა თანამედროვე ქართულ ენაზე.

ინგლისურ იამბიკურ პენტამეტრს ყღერადობით ქართული თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი რომ შეესიტყვება, — ეს აღმოჩენა შექსპირის მთარგმნელის ივანე მაჩაბლის დიდი დამსახურებაა, რომლის წყალობით შექსპირისა და მილტონის ლექსი ასე ბუნებრივად მოედინება ქართულ თარგმანებში. ამ ტრადიციას აგრძელებს იამბიკური პენტამეტრის შემქმნელი პოეტის—ჩოსერის ქართველი მთარგმნელიც, რომელმაც გადმოგვცა და გვაგრძნობინა ჩოსერის ლექსის სმოვანება და სისხარტე ქართულ „კენტერბერიულ მოთხრობებში".

მაშ ასე, გისურვებთ, პატივცემულო მკითხველო, მხიარულ მოგზაურობას ჩოსერის პილიგრიმებთან ერთად!

ციალა თოფურიძე

კენტერბერიული მოთხრობები

პროლოგი

აქა დასაწყისი კენტერბერიული მოთხრობების წიგნისა

როცა აპრილი მარტის ყინულს გაალხობს წვიმით
და მერე ფესვებს ჩაადნება ნაჟური ცივი,
წყალში ლერწები გაფუვდება და გათქვირდება
და სინოტივე გადმოღვენთავს ხეზე კვირტებად, —
გამოიქროლებს მდელოებზე გრილი ზეფირი
და გზაში რტოებს შემორჩება ყვავილებივით,
ვერ მოუსწრია მზეს ცინცხალი თვალის გახელა
და ჰა, გასულა უკვე ვერძის რკალის ნახევარს.
სტვენენ ჩიტები და გალობას არ ამთავრებენ,
და მერე მთელი ღამე სძინავთ ღია თვალებით —
ისე აღაგზნებს და ახურვებს ფრთოსნებს ბუნება;
და პილიგრიმებს ლოცვა ამ დროს მოესურვებათ,
მათ იზიდავენ შორეული გზები თაფლივით,
რომ მოილოცონ საყდარი თუ წმინდა ადგილი,
მაგრამ მათ შორის მთელს ინგლისში უფროორე ყოვლის
კენტერბერია წმინდა, როგორც უბიწო თოვლი;
კენტერბერიში დაყუდებულ მარტვილის ლოცვით
სული იხსნება, იკურნება გვამი და ხორცი.

მას დღესა ერთსა, საუთვერკში ფუნდუკში ვიდექ,
გზად ჩამოვლილი ვისვენებდი დაღლილი, ვიდრე
გავუდგებოდი მერმე ჩემს გზას კენტერბერისკენ
და ვილოცებდი, ზამთარს აქეთ რომ ვერ ვეღირსე.
მწუხრზე ოცდაცხრა მომლოცველი ფუნდუკს მოადგა,
გზად შეყრილიყვნენ გუნდნი მამრთა და ბანოვანთა

და მეგობრობდნენ ერთმანეთში დები და ძმები,
რაღაი ერთგან მიდიოდნენ იმათი გზებიც.
ფუნდუკში დიდი სიხალვათე ჰქონდათ პალატებს
და მომლოცველთაც არხეინად მოიბანაკეს
და როს სუფევად მიაშურა მზემან საუფლეს,
ჩამოვუარე ყველა სტუმარს და ვესაუბრე.
ვთქვი თუ, მეც მათთან მათებრ ერთი მქონდა სავალი,
მეც ცა მიხმობდა, ან რა იყო აქ დასამალი.
რა მოვიკითხეთ ერთმანეთი და გავიოცეთ,
დავთქვით, რომ ერთად გავდგომოდით გზას ალიონზე.
    რა ჟამი ჩემი უსაქმურად გადის ეგოდენ
(და ვიდრე მერმე მოთხრობებსაც მოგიყვებოდეთ),
სჯობს გაგაცნობდეთ მომლოცველებს და იმათ ამბავს
(ეს მოუხდება მათ მონაყოლ ზღაპრებსაც ალბათ) —
როგორი იყო თვითეული, ან რა წოდების,
სულ მოგახსენებთ, თუ რამ ვიცი მცირეოდენი.
თუ ვის რა ჰქონდა სამკაული, თუ ვის რა ეცვა —
მაშ, წარმოგიდგენთ მათგან რაინდს უწინარესად.
    ის ჭეშმარიტად ღირსეული რაინდი იყო,
და ცხენის ტახტას შეეზარდა სიყრმითვე თითქოს,
შეჰყვარებოდა სიყრმიდანვე მას რაინდობა,
რა სიმართლის და სიყვარულის დაცვა ინდომა.
პატივით რაცხდა რაინდს თვისი ყმა და ბატონი,
და მოვლო გზანი ეკლიანი და სავარდონი,
ქრისტიანეთი და შორეთით მიწა წარმართთა,
და არსად შერცხვა, თურმე არსად არ დასამარდა.
    ჯერ სტუმრებია დამარცხებულ ალექსანდრიას,
და პრუსიაშიც შემოსულა სხვებზე ადრიან.
იყო ლიტვაშიც და რუსეთიც მოვლო რაინდმა,
დიდებით ვლიდა და სახელი დიდი გაითქვა.
იყო გერნადში, ალგეზირის ალყაშიც მოხვდა
და ყველგან დიდი პატივი და სახელი ჰქონდა.
მერე ლიესი და სატალი მოსრა მთლიანად
და ბოლოს დიდი ზღვის ნაპირიც შემოიარა.
გადაიხადა ბრძოლა ბარე თხუთმეტიოდე,
მისგან ნაფრენი ურჯულონი ბედს უჩიოდნენ,

როს ტრემისენში ჯვარს იცავდა. მერე თან ახლდა
პალატის ლორდს და კვლავ მიწები მოვლო წარმართთა.
ქება-სახელით ვლიდა ყველგან ის და ამასთან
მისი ნიჭიც და სიგერგილეც ბევრჯერ დაფასდა.
იყო მორჩილი, ჰქონდა რიდი ქალწულებრივი,
აუგი თურმე ჯერ არ ეთქვა. ამო ზეფირი
თუ იყო სიტყვა მისგან თქმული და ნაუბრევი.
ამასთან ერთად იყო სათნო, ზრდილი, სულგრძელი.
    რაინდის ცხენზე და სამოსზე თუ რამე ითქმის,
ცხენი მართლაც რომ კარგი ჰყავდა და, ერთი სიტყვით,
მისი საკადრი. ხოლო ტანზე სანაქებოსა
ტყაპუჭი ეცვა და ზემოდან ჯაჭვი ემოსა, —
გრძელთა გზათაგან რა დაბრუნდა სარაინდოთა,
იმავე დღესვე სალოცავად წასვლა ინდომა.
    თან ახლდა წული, ახალგაზრდა სკვაირი, მართლაც
ალი და კვალი რაინდების ჯიშთა და გვართა.
შაი ხეეული კულულებით, ხუჭუჭი თმებით,
— ასე, ოცი წლის იქნებოდა, თუ არა ვცდები.
მაღალი იყო და მამაზე ტანადიც თითქმის,
ისეთი მკვირცხლი, სანთიანი — მეტი არ ითქმის.
ახლდა რაინდებს იგი. თავად რაინდის ჯიშის,
ფლანდრიაშიც და არტუაშიც და პიკარდიშიც
ეცვა სუფთად და სიკოხტავე უყვარდა ძლიერ
და სიკასკასე თითქოს ქალურს მატებდა იერს,
მკერდზე ექარგა ყვავილები — ფერთა მთოველი,
და ქალწულივით უხდებოდა ესე ყოველი.
სულ იმღეროდა და გალობდა მისი ებანიც,
იყო მჩქეფარე, ვით მაისის თვე უებარი.
ალბათ იმიტომ არ უყვარდა ხალათი გრძელი,
რომ განთქმულ მხედარს არ შეშლოდა ჯირითში ხელი.
ტკბილი ხმა ჰქონდა, თან ცეკვავდა და მასთან ერთად
ახლა როგორი ხელი ჰქონდა და როგორ წერდა?!
ტრფობით იწვოდა და ფხიზლობდა იგი ერთწილად,
თუ იძინებდა, ბულბულივით ცოტა ეძინა.
გამგონე იყო, სულ ადვილად დაასაქმებდნენ,
აჭრევინებდნენ სადილის წინ პურსაც აგრეთვე.

მსახურად ერთი იომენი ახლდა მარტოდენ
და ჯირითობით ორთავენი ერთურთს ართობდნენ.
იომენს თავზე მწვანე ფერის ქუდი ეხურა
და ფარშევანგის ფრთა გაერჭო წელში მეფურად.
ტანზე ემოსა სამოსელი იომენური,
ფრთას არ ვავნოო — და მიჰქონდა ფრთხილად სხეული.
ხელში ეჭირა დიდი მშვილდი და სხივისებრი
ორბისფრთიანი მის კაპარჭში კრთოდნენ ისრები.
მოკლედ შეჭრილი თმა ჰშვენოდა სახეს ხორბლისფერს,
ემარჯვებოდა ხუროს საქმე პატარობითვე.
მკლავზე ეკეთა სამკლავენი ომში ნათრევი,
ცალკერძ ხმალსა და ფარზე ენთო ათინათები,
მეორე მხარეს განუყრელად ხანჯალი ერტყა,
ნასევადევი რაღაც უცხო ვარაყთან ერთად.
მკერდზე ჰშვენოდა ქრისტოფერის ვერცხლის ორდენი,
ყელზე საყვირიც დაეკიდა თხის რქისოდენი, —
მეტყეველ უნდა ყოფილიყო ეს კაცი, მგონი.
აქ ორ მონაზონ ქალს ნახავდით მლოცველთა შორის,
მათგან წინამძღვარს სახე თითქმის სულ უცინოდა
და წმინდა ლუის ფიცულობდა ის უცილობლად.
მადამ ეგლანტინს უწოდებდნენ მონაზონს ჩვენსას,
უნაზესად და უტკბილესად გალობდა მესას.
ცხვირშიც რომ კარგად ღიღინებდა! ახლა ფრანგული!
გეგონებოდათ — ენა აქვსო ამოქარგული.
ენა სტრატფორდში უსწავლია, როგორც ეტყობა,
და პარიზულად ერთ სიტყვასაც კი ვერ გეტყოდათ.
ყველას თანაბრად ეპყრობოდა თავაზიანად,
ჭამის დროს ფინჩხსაც არ ჰკარგავდა, ლუკმას კი არა.
ღრმად არ ჩაჰყოფდა საწებელში ჩამოქნილ თითებს,
პირს არ აღებდა, არ დაღეჭდა ამ ლუკმას ვიდრე,
რომ წინსაფარზე ნამცეციც კი არ დასცემოდა,
რევერანსის დროს გაღიმება ძალზე შვენოდა,
და ცხიმი რომ არ მოსცხებოდა მისეულ ფინჯანს,
მაშინვე ტუჩებს შეიწმენდდა ნაზად და დინჯად.
მერე ფაქიზად დასწვდებოდა თავის წილ ხორცსაც,
ისე კი მუდამ ცქრიალებდა, და ერთობ ცოცხლად,

ერთობ ლამაზად მოძრაობდა, ჩანს, არ უყვარდა
მანჭვა და გრეხვა ქალბატონთა და დედუფალთა.
ნატიფი ქცევა ჰქონდა თავად და ღირსეულად
ეჭირა თავი, რევერანსის დროს კი სხეულსაც
კდემა და კრძალვა ეტყობოდა, გასაოცარი
მოსიყვარულე ქალი იყო და ღვთისმოსავი.
ხაფანგში თაგვი რომ ენახა, გაგეცინებათ,
მაშინვე ტირილს დაიწყებდა აუცილებლად.
ლეკვები ჰყავდა, სულ რძითა და ფუნთუშით ზრდიდა,
ხორცსაც უწვავდა მერე, როცა გაჭყეპდა რძითა.
ვინმეს რომ ჯოხი მოექნია ლეკვებისათვის,
გაუწყდებოდა საწყალს ალბათ ქალის ნიშატიც.
თავზე მონაზვნის ხილაბანდი ეკეთა კოხტად,
ლამაზი ცხვირი და წყლისფერი თვალები ჰქონდა,
პატარა პირზე ვარდისფერი ბაგენი ესხა,
მწყაზარი შუბლი მშვიდი ჰქონდა, ვითარცა ფრესკა
და ერთ მტკაველზე გადაშლილი, ისე თავადაც
მაღალი ტანის ქალს იტყოდით დია თამამად.
და კაბაც ერთობ მოხდენილი ემოსა ფარჩის,
ხელს უმშვენებდა სამაჯური შემკული მარჯნით
და ყელზე გულის ქინძისთავი ეკიდა დიდი,
ზედ ერთი ასო ა ეწერა კიდიდან კიდით
და ლათინური მოჰყვებოდა AMOR VINCIT OMNIA.*
აქ იყო ერთი მონაზონიც, სუსტი და თხელი,
(ჩვენი მონაზვნის კაპელანი) და სამი მღვდელი,
მათ გარდა — ერთი ბერიც, კაცი ფრიად საქები,
(ევალებოდა მხოლოდ ძიბნა აგარაკების),
ტრფიალი იყო ნადირობის, ისე კი, ალბათ,
სულ მოკლე ხანში ჩაიცვამდა აბატის კაბას.
ცხენზე თუ იჯდა, კაცს ჯირითის უნახავს ხდიდა,
გაჰქუსლავდა და ჩამოჰქონდა შრიალი ხიდან.
და აღარ იტყვით, ზარებს როგორ რეკავდა ახლა!
მე შენ გეტყვი და ოდნავ მაინც იგრძნობდა დაღლას.
მავრიკია და ბენედიქტე თურმე მიაჩნდა

* სიყვარული ყველაფერს ამარცხებს (ლათ.).

დრომოჭმულად და ზედმეტ ჭირად ადამიანთა.
ძველი მოძღვრება უკუაგდო ყველა ერთიან,
ახალზე ფიქრში ბარე ორი ღამე ეთია.
დაუხევია, დაუწვია დია ბევრჯერაც
წიგნები, საცა მონადირის გმობა ეწერა.
უმონასტეროდ რაა ბერი — თევზია უწყლოდ,
უთვისტომოა საწუთროში, ყარიბი უცხო,
უმონასტეროდ რა ბერია, მაგრამ წიგნს ამგვარს
გლეჯდა ბერი და აყოლებდა სენაკის ნაგავს.
მე კი ვიტყოდი, რომ მას საღი ჰქონდა გონება,
განა ბერს სწავლით თავის მოკვლა მოეთხოვება?
მან რომ იმტვრიოს წიგნზე თავი, — რა ჰქნან ხელებმა?
იმათ უშრომლად ამ ქვეყანას რა ეშველება?
ამას გვასწავლის ავგუსტინეც — კარგად უსმინეთ, —
და აკი ბერსაც საქმე მისცა მან, ავგუსტინემ: —
აბა, ის იყო მოჯირითე, დაჰკრავდა მათრახს
და ისარივით მიფრინავდა ულაყი მართლაც.
თან ნადირობდა, — მიდგებოდა კურდღლებზე ჯერი
და ქვეყანაზე ივიწყებდა ყველაფერს ბერი.
სახელოებიც ქონით ჰქონდა მოსვრილი, მგონი,
ქონიც არის და ქონიც, — მხოლოდ ძვირფასი ქონით.
ქუდი ეხურა, რომლის ორთავ ყაითანს ერთად
ოქროს მოზრდილი ქინძისთავით იბნევდა ყელთან.
მელოტი იყო, თითქოს სხივი ადგა ზემოდან
და უელავდა სახეც, როცა აღელდებოდა.
უთიმთიმებდა მრგვალი ტანი მას სიმძიმისგან,
უკრთოდნენ თვალნი ქონის ბზინვით და ციმციმითა.
ნაპატიები და მოვლილი ცხენები ჰყავდა
— აბა, ის იყო პრელატი და ვაჟკაცი მართლაც!
დარდს მისი გული არაოდეს არ გაუთანგავს,
ბატი უყვარდა უფრო მეტად მოხრაკულთაგან.
და მგზავრობისას წაბლა ცხენზე ჯდებოდა მუდამ.
    აქ უდარდელი მნათეც გახლდათ, ტყუილის გუდა,
სულ მოწყალებას თხოულობდა, არც იმორცხვებდა
და ჭორაობდა ის თავისი დღე და მოსწრება.
მაინც რა ენა ჰქონდა, ღმერთო, იმ ცოდვით სავსეს!

ცოლებს იცვლიდა, სულ უბრალოდ, თითქმის წლის თავზე,
მერე ყოველთვის ახალგაზრდებს არჩევდა თანაც,
არ იწუხებდა თავს არაფრით, არამც და არამც.
მთელს იმ მხარეში მაინც თითქმის ყველას უყვარდა,
მევახშეთა თუ მედუქნეთა, მსუქან-მსუქანთა.
ბანოვანთ შორის გასავალი ჰქონდა ისედაც —
აღსარების დროს იმათ ცოდვებს ის არ ისმენდა!
მისთვის რომ გეთქვათ, მეტიც იყო, ვიდრე კურატი.
და ყველა ცოდვაც მიდიოდა მნათეს ყურამდის.
და რაც არ უნდა ჩაედინათ აღმსარებელთა,
ერთს მოუსმენდა და მაშინვე მიუტევებდა.
მასთან იოლად მიდიოდა საქმე ყოველთვის,
თან, რა თქმა უნდა, ხელის ფულსაც დაუტოვებდით.
ხოლო ფულად თუ გაიღებდით მცირეს და ცოტას,
მნათემ იცოდა, რომ მცირედი მიგიძღვით ცოდვა.
უფრო ხშირად კი ფულებს ბლომად ჰყრიდნენ ვიეთნი
და უსაშველო ცოდვებს ასე ინანიებდნენ.
ზოგიერთ ცოდვილს ჭეშმარიტად ქვა გული ჰქონდა,
და არ შეეძლო იმ უბედურს სლუკუნიც ოდნავ,
ჰოდა, ამიტომ ცრემლების და ლოცვების ნაცვლად,
ფულები მაინც გაიმეტოს ასეთმა კაცმა!
მნათე თან ჯაყვებს კაპიშონით დაატარებდა
და ურიგებდა ლამაზ ქალთა, პირმცინარეთა.
მხიარულობდა და ლაღობდა დღე და მოსწრება,
ვიოლინოსაც აჟღერებდა გასაოცებლად.
იცოდა ყადრი სიმღერისა, და ყელ-კისერი
მნათეს რატომღაც თეთრი ჰქონდა, ქალწულისებრი,
მაგრამ ისე კი ღონე ჰქონდა გოლიათური,
იცოდა ყველა დუქანი და ყველა ფარდული,
და სასტუმროში მნათეს უფრო მიუხაროდა,
ვიდრე სადგომში დავრდომილთა და ბოგანოთა:
კაცთან, მნათესებრ ღირსეულთან, სახელოვანთან,
ან რა ხელი აქვთ ბოგანოთა და უპოვართა.
რას არგებს მათი ნაცნობობა, თავად განსაჯეთ,
და მით ერჩივნა ჩვენს მნათესაც ასჯერ, ათასჯერ —
მეგობრობა და მეზობლობა მხოლოდ მდიდართან,
სულ სხვაა მაინც ნაცნობობა ეგევითართა!

ზარმაცი იყო, მაგრამ ფულის ყადრი იცოდა
და არავითარ გარჯას აღარ უკადრისობდა.
ქვეყნად ვინ იყო საწყალი და სათნო მისებრი,
ან მათხოვრობის რა უნარი ჰქონდა ისეთი!
სხვა ვინმე, წმინდა მამათგან თუ წმინდა დედათგან,
მნათეს უბანში მათხოვრობას ვით გაბედავდა.
ქვრივებსაც სთხოვდა და ღატაკსაც არ დაგიდევდათ,
„IN PRINCIPIO“-ს* უკითხავდა, ცეცხლს უკიდებდა
და ბოლოს გროშებს დასცინცლავდა აუცილებლად,
იცოდა მნათემ — ბედი გამრჯეს გაუცინებდა,
იყო ლაღი და უდარდელი ყმაწვილკაცივით,
სადაო საქმე მნათეს კარგად ჰქონდა დაცდილი,
საკვარახჭინო საქმეებში ეს ბედოვლათი
ბერს კი არ ჰგავდა გაცვეთილი ანაფორათი,
მღვდელი ეგონათ მომჩივანთა და მოსარჩლეთა, —
ნეტავი მღვდელის ანაფორას სად გააჩენდა?!
მერე რარიგად უხდებოდა! — ხმასაც იცვლიდა,
ახრჩობდა სიტყვებს, ჯერ ღეჭავდა, მერე ციცქნიდა.
და დღეობებში თუ ლაღობდა ან თუ ილხენდა,
ბანს მოსძახებდნენ ექოები ტაძარ-ციხეთა,
უციმციმებდნენ ტრფობის ცეცხლით თვალნი გალეშილს,
ისე ვითარცა ვარსკვლავები ზამთრის ღამეში.
ჰუბერდი ერქვა, თუ არ ვცდები, აქ მნათეს გარდა
მლოცველებს ერთი წვეროსანი ვაჭარიც ახლდა.
დარახტულ მაღალ ბედაურზე იჯდა მეფურად
და ფარფლიანი ფლანდრიული ქუდი ეხურა,
და მის კრიალა ფეხსაცმელზე მზის სხივი ენთო,
თვითეულ სიტყვას მედიდურად ამბობდა ერთობ,
თითქოს სიტყვაშიც პოულობდა სარფას, მოგებას;
ყველგან დაძრწოდა და ვაჭრის ჟინს ვერ იოკებდა —
ხან მიდელბურგში, ხან ორველში, — თუ არ იგებდა,
ფულს მაინც სცვლიდა ჩარჩებთან თუ გადამყიდველთან.
ჭკვიანი გახლდათ, გამჭრიახი იყო ძალიან,

---

* დასაბამიდან (ლათ.)

ვალს არ იდებდა, ხელი არსად არ მოცარვია,
და საათივით აწყობილი საქმე უყვარდა,
არც ნაღდს გასცემდა, არც ნისიას უყაირათოდ.
მის მოხერხებას, მის მარიფათს ბევრიც ნატრობდა,
მე კი სახელი აღარ მახსოვს მისი რატომღაც.
ახლდა მლოცველებს ოქსფორდელი სტუდენტი ერთი,
სხვა არაფერი იტაცებდა ლოგიკის მეტი,
იმის ბეხრეკ ცხენს სულ უჩანდა ძვალიც და მალიც,
კანი არც სტუდენტს ასკდებოდა მაინცდამაინც.
ფერმკრთალი იყო, ნაღვლიანიც იმიტომ ჩანდა,
ჩამოძენძოდა იმის ქურთუკს ქობა და კალთა, —
მეგობართაგან ვერ აჩუქა ქურქი ვერცერთმა,
ხალხი არ ჰყავდა, სამუშაო რომ მოეძებნა.
ჩაცმაზე უფრო იმ უბედურს კითხვა უყვარდა, —
შემოიწყობდა ქვეყნის წიგნებს თავსასთუმალთან,
იკამათებდა დღე და ღამე არისტოტელთან,
არ აჰყვებოდა სხვის ფეხის ხმას, არ ილოთებდა,
სხვა არც შეეძლო არაფერი, და ჰქონდა წესად
ფულის დაზოგვა, ინახავდა თვითეულ პენსსაც...
როს გასამრჯელოს მიიღებდა მოწაფეთაგან,
მაშინ ორიოდ წიგნის ყიდვას თუ გაბედავდა.
ან წავიდოდა საველრებლად მათი სულების,
ვინც სწუხდა მისი ბედითა თუ უბედურებით.
სწავლა უყვარდა ჩაცმაზე და გავლაზე მეტად,
უთქმელი იყო, არ იტყოდა ორ სიტყვას ერთად,
თანაც ლამაზად წარმოთქვამდა, არ ამატებდა
არაფერს ზედმეტს ერთობ მოქნილ წინადადებას,
კეთილი იყო მისი სიტყვა, საქმე ვარგისი,
სულ სწავლობდა და ასწავლიდა სხვებსაც ხალისით.
სტუდენტის გარდა მლოცველთ შორის იყო ვექილიც,
კაცი ჭკვიანი, საზრიანი, გამოქექილი.
არ აკლდებოდა არასოდეს წირვას და ლოცვას,
ფრთხილი იყო და საკითხს ჭვრეტდა წინასწარ ცოცხლად.
ბრძნულად იტყოდა თავის სათქმელს და ოდნავ მკაცრად,
და ითვლებოდა სამსჯავროში პირმტკიცე კაცად.
სიბრძნისა გამო, სიწმინდისა თუ უზადობის,

თუ დიდებულის ხელოვნების მისის წყალობით,
ეხვია ხალხი და ჩეჩქივით ჰქონდა ფულებიც,
ანდერძს იცავდა და საჩივრებს სპობდა სრულებით,
მე არც მინახავს საქმიანი კაცი მისებრი,
ისე გამრჯე და მეცადინე იყო ისეთი.
მეფე ვილჰელმის კანონები პირზე ეკერა,
(რა ვიცი, ზოგჯერ გვატყუებდა კიდეც ეგება).
მისი ნაწერი არზა ახლაც ასში გეცნობა,
მე შენ გეტყვი და მოუძებნი სადმე შეცდომას,
კანონთა ცოდნა გაჰყვებოდა კუბოს კარამდის,
შინაურულად ეცვა ტანზე ლურჯი ხალათი,
ზედ თექის ქამრით, ქამრის ფოჩიც იყო თექისვე, —
მოდით და ამით დავამთავროთ სიტყვა ვექილზე.

პილიგრიმების ამალაში იყო ვასალიც,
ამ ვასალს წვერი თეთრი ჰქონდა გვირილასავით.
ვერცხლის წყალივით ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა,
დილით ღვინოში ჩამბალ პურით გამოძღებოდა,
სულ ყიყინებდა. თითს იცობდნენ ხოლმე ყურებში, —
ამბობდნენ, ალბათ შვილიაო ეპიკურესი.
გაახარებდა მცირე რამ და წაიმღერებდა,
ყოველი წამი იყო მისთვის ბედნიერება.
რა მეოჯახე იყო მერე, ან რა ვაჟკაცი,
თითქოსდა წმინდა ივლიანეს ჰგავდა რაღაცით,
ისე, პურ-მარილს ნუ იკითხავთ, ლუდი კი არა,
ქვეყნის კასრებში თურმე ღვინოც ედგა კრიალა.
მის სახლში სადილს არ ეძახდნენ უხორცო სადილს,
და თავსაყარად ჰქონდათ სუკიც, თევზიც და ბატიც.
და ტრიალებდა ხორცის სუნი, ღვინის სურნელი
ყოველდღე, ვიდრე წყვდიადამდე, გაუსრულებლივ.
და მის სუფრაზე გადიოდა ჟამი ადვილად
და წელიწადის დრონი ცვლიდნენ მისთვის სადილებს.
მსუქან ქედნებს ხომ ვერ იტევდა დიდი საქათმე,
თევზის მარაგს კი იკმარებდა კუბოს კარამდეც.
მსახური ჰყავდა — ის პილპილით და ცერეცოთი
კერძს ამზადებდა, იმის ჭამით ვერ გაძღებოდი,
ხელუხლებელი სუფრაც ედგა სტუმრებისათვის,

აქაც სასმელი და ხორაგი იყო კისრამდის.
მეც ლორდი ვარო, აიხირა, ტრაბახს გადაჰყვა,
რაინდობასაც ჩემულობდა თურმე ხანდახან,
თოვლივით თეთრი აბრეშუმის ქისასთან ერთად
წელზედ პატარა და ლამაზი ხანჯალიც ერტყა.
შერიფად იყო, ყველა კუნთი ჰქონდა ქვასავით;
მე არც მინახავს ღირსეული მისებრ ვასალი.

აქვე ნახავდით ძველ მექუდეს, ფეიქარს, დურგალს,
მათ მღებავი და მეავეჯე მოსდევდათ უკან.
ცალკე ვიდოდნენ, ვით მდიდართა კასტა თუ მოდგმა, —
თვითეულს თავის დუქანი და საამქრო ჰქონდა.
ყოყლოჩინობდნენ, ტანზეც მხოლოდ ძვირფასი ეცვათ —
შალი და ფარჩა, ტყავი ტყავად და ბეწვი ბეწვად,
სულ არ ჩქარობდნენ, მოძრაობდნენ მძიმედ და დინჯად.
მაგრამ რატომღაც წამდაუწუმ იწერდნენ პირჯვარს.
და ვით ნიშანი ამქარისა ძლიერის ერთობ,
დანები ყველას თეთრი ვერცხლის ქარქაშში ედო.
საქმის ბედ-იღბალს საბჭო მუდამ ამათ ანდობდა,
გარჯაც იცოდნენ თავის დროზე, სმაც და გართობაც.
ჭკუაც უჭრიდათ, უძღვებოდნენ ამქრებს ბეჯითად,
ალბათ გილდჰოლის სავარძლებზე თვალიც ეჭირათ —
საკმაოდ ჰქონდათ საამისო ოქრო და ვერცხლიც,
ასაკიც ჰქონდათ შესაფერი, ჭკუაც და პეწიც.
ამათ ცოლებს კი თავი ლამის მსხვერპლად მოჰქონდათ.
ვინმეს „მადამ“-ი დაეძახნა მათთვის ოღონდაც,
ანდა საყდარში წინა რიგის სკამი დაეთმოთ
და ყველგან მუდამ გრძელი კაბით ევლოთ საერთოდ.
მათ მზარეულიც ახლდა ერთი — უცხო მხარეში
როგორ გაძლებდნენ ბეფ-ბუის თუ კიბოს გარეშე.
შემწვარ წიწილას უკეთებდა ისეთ საწებელს,
მეამქრეები ერთურთს ლამის ლუკმას სტაცებდნენ.
მიხაკ-დარიჩინს უმატებდა ხორცის პუდინგსაც
და მისი ჭამა მგონი სულის ხსნასაც უდრიდა.
სადილებს ცეცხლსაც უხამებდა — არც მაგარი და
არც ნელი ცეცხლი მოუხდება სუფს, მაგალითად;
შესაწვავს ნელი, ძლიერი კი თურმე მოსახარშს, —

თუ ესეც იცი მზარეულმა, ნაღდად შორს წახვალ;
და პირში გემოც მას ისეთი მისცა გამჩენმა,
რომ ლონდონურ ელს ათას ელში გამოარჩევდა.
გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ასეთ ოქრო კაცს
ფეხს უკოჭლებდა მუწუკი თუ რაღაც ოხრობა.
მლოცველთა შორის მეზღვაურიც ერია ერთი,
შკიპერი იყო დარტმუნდელი, მაღალი მკერდით
და ხშირი წვერით. ბეხრეკი და მუქლე ცხენი ჰყავდა,
მუხლამდე სთრევდა ძველი აფრის ხიფთანის კალთა
და ლაფში იყო ამოსვრილი. ზონარით წელთან
მეზღვაურს ყოველ შემთხვევისთვის ხანჯალიც ერტყა,
ბევრი ძვირფასი რამ მოჰქონდა — თუ გზაზე რასმე
კარგს იშოვნიდა — მაგალითად, ნივთსა თუ სასმელს —
ხელიდან აღარ გაუშვებდა, — არ იყო კრავი
და არც მოჰქონდა, როგორც ვიცი, წმინდანად თავი.
ბრძოლების შემდეგ თვალახვეულ ტყვეებს შკიპერი
მუხის ფიცარზე ატარებდა, ანდა წიფელის.
ხეირიანად არც ათბობდა მზე გაზაფხულის
და უკვე იყო გარუჯული და გაზანგული.
ზღვის ხელოვნება ზედმიწევნით კარგად ესმოდა,
როგორც საერთოდ ძველ შკიპერთა უმრავლესობას, —
იცოდა ყველა დინება და წყნარი უბენი,
რიფი, მეჩეჩი, შუქურა და წვიმის ღრუბელიც.
მის გემს კურსიდან ვერაფერი ვეღარ მოწყვეტდა,
ვერც ქარიშხალი, ვერც ნისლი და ვეღარც მოქცევა.
თვითონ ადგენდა ლოციასაც ეს დალოცვილი
და ერთი სიტყვით, ჭიპი ჰქონდა ზღვაზე მოჭრილი,
გემს გოტლანდიდან ფინისტერის ბუმდე და უკან
ისე მართავდა, არ იხმარდა ერთხელაც რუქას.
სცნობდა ბრეტონის სანაპიროს თვითეულ კბოდეს,
თვალდახუჭული დაუვლიდა ესპანურ პორტებს.
ვერ ძლებდა უწყლოდ, ისე როგორც ჩვენ უჰაეროდ
და მის ყღალ წვერში ყველა ქარს და გრიგალს გაევლო.
კარტახენთან თუ შორეული ჰულის ნაპირთან
ხშირად ხედავდნენ „მადელენის“ პირხმელ კაპიტანს.
ერთი ექიმი კაციც გვახლდა გამხდარ-გამხდარი,

არავინ იყო მთელს ლონდონში მისი ბადალი.
ასტროლოგიის დარგში ექიმს რა ესაქმება,
მაგრამ ეს დარგიც არ ესმოდა სხვაზე ნაკლებად.
თურმე ჰოროსკოპს დაუდგენდა სნეულს უცებ და
წამლებით ნამდვილ მკურნალობას მერე უწყებდა.
იგი იმასაც გებულობდა ვარსკვლავებიდან,
რა მოარჩენდა ავადმყოფს და რა უშველიდა.
პირველ ყოვლისა, მის ხასიათს ადგენს მკურნალი —
გრილია, ნედლი, თუ მშრალი და ოდენ მხურვალი.
თუ ეს ნიშატი ერთხელ მაინც ზუსტად დადგინდა,
დანარჩენს მერე მოევლება დია ადვილად.
შენ უკვე იცი, რა წამალი არის საჭირო,
რამ უნდა არგოს ავადმყოფს და რამ მოარჩინოს.
ჩვენს ექიმს ჰყავდა საკუთარი აფთიაქარიც,
კაცი გამრჯე და ჭეშმარიტი სწავლულთაგანი,
თვალდახუჭული უმზადებდა რთულ მიქსტურებს და
ვერ არც კი იყო შემოსული, რომ ისტუმრებდა,
ეს მეგობრობა ექიმსაც და აფთიაქარსაც
უფასდებოდათ წლის დასასრულ ათი ათასად,
ექიმს საკმაო ცოდნაც ჰქონდა და განათლებაც,
სულ წიგნებს უჯდა, მოკლედ, სწავლას ხელს არ აკლებდა.
კარგად იცნობდა ჰიპოკრატეს და ესკულაპსაც.
დიოსკორიდეს უწოდებდა ცოდნის ყულაბას.
იცოდა ჰალი, გალიენი და გილბერტინი,
იქით რუფუსი, ავიცენა და კონსტანტინი,
ავეროესი, გატისდენი, უფრო იოლი
იყო რაზისი, ბერნარდი და სერაპიონი.
მკაცრად იცავდა დღის რეჟიმს და მსუბუქ დიეტას,
მაინცდამაინც არც გართობას არ ეძიებდა.
რეცეპტში ყოველ ასოს რაღაც კუდებს აბამდა,
ეცვა მოცისფრო ხიფთანი და სტავრის ლაბადა,
ფულს ჭირის შემდეგ აგროვებდა, — კაცის წამალი
ოქროა მხოლოდ და რა არის აქ დასამალი.
ერთი სულმუდამ მოკისკისე და მოხალისე
ქალი კაცივით ყინჩად იჯდა შავ თოხარიკზე.
ბათელი იყო, ფეიქარი, ყურს აკლდა, მაგრამ

ტკრიალებდა და ტკაცუნობდა ვითარცა აფრა.
ნაკლს მასლაათით ჰფარავდა და იმდენს ლაყბობდა,
რომ ბარე ორიც ვერ ხვდებოდა ამ ეშმაკობას.
ხელობა კარგად შეისწავლა ბათელმა ქალმა,
გენტელ ფეიქრებს ჭკუიდანაც შეშლიდა ალბათ.
ეკლესიებში შესაწირიც შეჰქონდა ხშირად,
მაგრამ თუ ამ დროს ვიღაც ქალმა მას, მისდა ჭირად,
ფეხი დაადგა უნებურად, ან გაჰკრა ჯლიკვი,
წირვის მაგიერ იწყებოდა საყდარში ცირკი.
ხილბანდს ათს ერთად მოიხვევდა, ყველა მათგანი
ან ნაუშით იყო გაწყობილი ანდა მაქმანიო.
იცვამდა ნატის ფეხსაცმელს და მეწამულ წინდას
და უღვივოდა ტუჩებიც და ლოყებიც წითლად.
ლამაზი იყო, მოცინარი, სახეცქრიალა
და მხიარული სულიანა და ხორციანა.
მას უკვე ხუთი ქმარი ჰყავდა გამონაცვალი
და მეექვსე ბედს დაეძებდა ახლა საწყალი.
თაყვანისმცემლებს ვინ ჩამოთვლის, ისე ეხვივნენ,
ვით თაფლს ბუზები და ლოთების დასტა მეღვინეს.
მოულოცავად არ ტოვებდა წმინდა ადგილებს,
ყველგან ბედიღბალს ავედრებდა უფალს მარტვილებრ.
ბულონიც ჰქონდა მოლოცვილი და გალიციაც,
კელნშიც იყო და ბოლოს რომის სიცხეც იწვნია.
პალესტინაში სამჯერ იყო — ბავშვობიდანვე
სანთლებს უნთებდა მონასტრებში თურმე წმინდანებს.
თავზე ისეთი კალათივით შლაპა ეხურა,
რომ მის მაგიერ სხვები გრძნობდნენ თავს უხერხულად.
თხელი ლაბადა ტანზე ვიწროდ შემოეტმასნა
და უკანალი გეცემოდათ თვალში ერთბაშად,
დეზებიც ჰქონდა ფეხსაცმელზე დიაცს რატომღაც,
სულ კისკისებდა და სიცილით ყველას გვართობდა.
იცოდა ოჯახს რა არგებდა, ან რა ავნებდა
და თავის ხელით ამზადებდა ტრფობის წამლებსაც.
აქ მღვდელიც იყო, მრევლის მწყემსი, კაცი კეთილი,
ძალზე ღარიბი, ტანწვრილი და ხმელი კეტივით.
მისი სიმდიდრე — აზრი სათნო და საქმე ქველი,

ოვის მაბრძოლი კაცი იყო და პირში მთქმელი.
ჭკვიანიც გახლდათ და მოსურნე ნიადაგ სწავლის,
ქველნი სიყვარულს ასწავლიდნენ, სიმართლეს ავნი.
სულ სახარებას უკითხავდა პატარა სამწყსოს
და უდრტვინველი იყო მისი ნამყოც და აწმყოც.
მეცადინე და მუყაითი მშრომელიც გახლდათ
და ვით ყრმას, კეთილს და უცოდველს, უვლიდა საყდარს.
ვინც არ ზრუნავდა საყდრის ბედზე, ერთიან სჯიდა,
მერე კი სახლში იჯდა მარტო და წუხდა დიდად.
ხოლო მეზობელს თუ უჭირდა, ლუკმას უყოფდა,
საწოლს უთმობდა არამქონეს, პერანგს უპოვარს.
იგი გულგრილად სხვათა ტანჯვას ვერ უყურებდა
და ქვითკირივით უდგა თავის უბედურებას.
სული საჭმელზე და სასმელზე არ მისდიოდა,
ერთ ნატეხ პურზეც გადიოდა ხოლმე იოლად.
ქარი ქროდა თუ წვიმა წვიმდა გადაუღებლად,
იქ მიდიოდა, სადაც ჭირი რამ აწუხებდათ,
სადაც შიოდათ, სადაც მისი სიტყვა შველოდათ
და წამალივით სჭირდებოდათ ხან უთქმელობაც.
და ასე მუდამ უმწიკვლოდ და დაუცხრომელად
საქმე უსწრებდა ქადაგებას მთელი ცხოვრება.
ოქროს რომ ფერი ეკარგება და ვეღარ ბრწყინავს,
იქ, რა თქმა უნდა, ჟანგი შეჭამს უბრალო რკინას.
არაკეთილ და მარტოოდენ ტკბილად მოუბარ
მღვდელს უბრალო და კეთილ მრევლთან რა გამოუვა?
თავის ცხვრებს ღალას არ ართმევდა და მათ არც მერე
არ მიუგდებდა სამუშაოდ მომხვეჭელ ბერებს.
ის არც ლონდონში არ გარბოდა ფულის საშოვნად
და პანაშვიდზე მოტირალ მღვდელს არ თამაშობდა.
ფარეხში იდგა დღენიადაგ, რომ ქურდს და მპარავს
არ წარეტაცნა მეყსეულად იმისი ფარა.
კეთილი იყო საქმე მისი, ის იყო მწყემსი
და არა მღვდელი მეროჭიკე და უცხო თესლი,
მას თბილი სიტყვა ქვეყნად ყველა კაცისთვის ჰქონდა.
გარეთ ყოველთვის ბევრი იყო და შინ კი ცოტა.
არ სძულდა იმას უგვანო და ცოდვილი კაცი,

თვისად მიაჩნდა, როგორც წესი, მოყვასის მარცხი.
განწირულს ოდენ უყვავებდა, იმედს აძლევდა
და მხარში ედგა ნიადაგ და მოუქანცველად.
ის არასოდეს ბედით ძლეულს თუ ქვეყნით წამწყდარს
ქვას პურის ნაცვლად არ მისცემდა და ძმარს წყლის ნაცვლად.
მაგრამ თუ მაინც არ უშვებდა ცოდვილს ჯიში და
თავის სიმრუდეს და ბილწობას აღარ იშლიდა,
მღვდელი სასტიკად ჰგმობდა მაშინ მას და ჰკიცხავდა,
ეპიტიმიას უნიშნავდა გლეხს და დიდგვარსაც.
ის მთავართაგან თუ კაცთაგან სულით ძლიერთა
რაიმე პატივს და საზღაურს არ ეძიებდა,
ყველას სიკეთეს ასწავლიდა, მოზარდს თუ ყმაწვილს,
და უწინარეს თვითონ იყო კეთილი კაცი.
აქ გლეხიც იყო, გუთნისდედა, მუშაკი მიწის,
მღვდელს ისე ჰგავდა, თითქოს მისი ძმა იყო ღვიძლი.
ისიც მჭლე იყო და მღვდელივით უჭირდა მასაც,
უყვარდა ღმერთი და ნიადაგ შრომობდა ფარსაგ.
ბევრი ნაკელი გაეტანა მინდვრებში ურმით,
კოჟრებით ჰქონდა მოფენილი ხელიც და ზურგიც.
ერად აგდებდა გუთნისდედა ყინვას და გვალვას,
მისთვის სულ ერთი სეზონი თუ დრო იდგა ალბათ.
სხვისი კეთილი უხაროდა, ცუდი კი სწყინდა,
არ აკლდებოდა არასოდეს საყდარში წირვას.
უჭირდა, მაგრამ, შინ რაც ჰქონდა, ყველაფერს უმალ
წინ დაუდგამდა მეზობელს თუ ოჯახის სტუმარს.
მიწას უხნავდა ქვრივს და ობოლს, სოფელში ყველგან
ნადში იწვევდნენ მეზობლები ბარვად თუ ნერგვად,
ღალას იხდიდა ხშირად უფრო თავისი შრომით,
ყანაში ისე ტრიალებდა, ვითარცა ლომი.
ფაშატზე იჯდა, დაკემსილი შარვალი ეცვა,
ნაშიმშილარი სახე ჰქონდა კაცსაც და ცხენსაც.
აქ იყო ერთი მეწისქვილეც — ბრგე და ძვალმსხვილი,
სქელი ძარღვები დახვეოდა ტანზე ვაზივით.
დღესასწაულზე მუშტი-კრივში კაცს არ ინდობდა
და, რა თქმა უნდა, ის იღებდა ყოჩის ჯილდოსაც;
ძალ-ღონე დევის ბარობაზე ჰქონდა სამყოფად,

ერთი მიწოლით ალაყაფის კარი გაჰქონდა.
ჩასკვნილს და ჩასხმულს სახე ჰქონდა ძალზე უხეში,
ერთ დროს კიდევაც ძველბიჭობდა სიჭაბუკეში.
მწითური იყო, ჟღალი წვერი მსხვილ და კუნთმაგარ
ყბებზე ეფინა და მელიის ბეწვს მიუგავდა.
კბილების ნაცვლად პირში ედო თლილი ლოდები,
მეჭეჭი აჯდა წითელ ცხვირზე თხილისოდენი,
სქელი ბალანი მოზრდილიყო ზედ ჯაგრისებრი,
ღორებს ყურებში რომ ამოსდით, ზუსტად ისეთი.
ნესტოები კი ექნებოდა ალბათ ულაყის,
ბალნით კი არა, სავსე შავი ბალახბულახით.
სუნთქვის დროს პირი ეხსნებოდა რკინის ხუფივით, —
ქვაბი რომ გარბის მოგიზგიზე ცეცხლზე დუღილით.
დიდი ოხერი კაცი იყო — ქალი დობილი
მან არ იცოდა და მუსუსად იყო ცნობილი.
მატყუარა და ქურდიც გახლდათ: ფქვილში ქატოსაც
ისე ურევდა, კაციშვილი ვერ შეატყობდა,
თანაც მესამედს იტოვებდა მინდად ტომრიდან,
მე შენ გეტყვი და, პეშვით ბათმანს ვერ გადმოყრიდა.
თან წამოეღო მეწისქვილეს გზაზე ფარ-ხმალი,
ლაბადა ეცვა თეთრი, მაგრამ მაინც ნახმარი,
ეხურა ლურჯი კაპიშონი, დილა ადრიან
დასცხო თავის სტვირს წასვლისას და ბდღვირი ადინა.
მსაჯულთა სახლის მნეც ერია მლოცველთა შორის,
ღმერთიც და კაციც იმას ერთად სწყალობდა, მგონი.
ბაზრებში ისე ტრიალებდა, ვითარცა სახლში,
სურსათს ზოგს ნარდად ყიდულობდა, ზოგს კიდევ ვახშით.
ისე ყოჩაღად გადითვლიდა საჭდევე ჩხირებს,
ყოველთვის ამ კაცს რაღაც მაინც რჩებოდა მცირე.
მნეს წყალობითა განგებისა ძალუძდა ოდენ,
მსაჯულთა სახლში ყველაზე ბრიყვს, უბირს და ბოთეს,
უკეთ ეცხოვრა და ელაღა ფულების შოვნით,
თან ღირსეულიც ყოფილიყო მოყვასთა შორის.
მსაჯულთა სახლში ოცდაათი ცხოვრობდა კლერკი,
კანონმცოდნესაც აქ ნახავდით და გაქნილ ვექილს,
დიდ მამულებს რომ უძღვებოდნენ მდიდართა ლორდთა

და ხარჯთაღრიცხვა ყველაფერში ზუსტი რომ ჰქონდათ.
ლორდს ამ დროს დარდი არაფრისა არ ჰქონდა, რადგან
მათი ჭკუის და მოხერხების ნამდვილად სწამდა.
ჰოდა, ამ ჯურის მსაჯულებს და ამნაირ ვექილთ
მნე ატყუებდა, ვით ნაგაზებს პატარა ლეკვი.
აქ მოურავიც გახლდათ ერთი, სუსტი და პაწკვი,
პირწმინდად ჰქონდა გაპარსული ორივე ღაწვი,
თმა ხუცესივით შეეკრიჭა, მაგრამ ზედმეტად
სქლად მოეზარდა თხემის წვერზე და საფეთქლებთან.
სახე კომშივით ყვითელი და დამჭკნარი ჰქონდა,
წვრილი კანჭები ყავარჯნებსაც უგავდა ცოტა.
ისე ხელდახელ აზომავდა ზვარს და ახოსაც.
ბაღებს, ბეღლებს და საქონელსაც იქვე მახლობლად,
რომ ღალის ამკრეფს ანგარიში ზუსტი ეგონა
და თაღლითს თვლიდა უერთგულეს ძმად და მეგობრად.
კარგად იცოდა მოურავმა ამინდის ცნობაც,
ტაროსს და ავდარს, როგორც წესი, წინასწარ გრძნობდა. —
სამუშაოებს უხამებდა დარსა და ავდარს
და საამისოდ ვილანებიც საკმაოდ ჰყავდა.
მამულში თითქმის ყველა საქმეს ის ამოწმებდა.
იმისი ზრუნვა სჭირდებოდა ბაღს და ბოსელსაც.
ფარეხი იმას უცდიდა და თავლა-საქათმე,
თორემ უმისოდ საქმეს არსად თავს არ აკლავდნენ.
აქ მოურავის გაცურებას ბევრი ცდილობდა,
მაგრამ იმ დღესვე ჩაიჭერდა კაცს უცილობლად.
წინასწარ გრძნობდა მოურავი გულში რა ედო
მეზვრეს, ათისთავს, მწყემსს და ყველა მსახურს, საერთოდ.
ძილისგუდას და ზარმაცს მაინც შავ დღეს აყრიდა,
სამუშაოზე მირეკავდა ხშირად სახრითაც.
და თუ თავისას არ იშლიდნენ, ბოლოს ციხესაც
ანახებდა და ხარჯებს მაინც ამოიღებდა.
მას ბაღიცა და სახლიც ჰქონდა კარგა მოზრდილი
და უქმეებზე ბოლთას სცემდა მოლზე ლორდივით.
ყველანი ლორდის ხელქვეითად თვლიდნენ რატომღაც,
თუმცა ჭარბობდა ოქროთი და ფულით ბატონსაც.
რა მოხდა მერე, მის წინ თავს თუ ხრიდა მდაბლადა,

სამაგიეროდ აძ დროს რაღაც ძვირფასს სწაპნავდა,
მისსავე ფულებს ბატონს ხშირად აძლევდა სესხად
და, იქვე, ჩვეულებისამებრ, იღებდა ძღვენსაც.
ისე კი, ალბათ, არც შეეძლო ლორდს უმისობა, —
სულ ტრიალებდა, დურგლობაც რომ კარგი იცოდა!
ლამაზ და ფეხმარდ ცხენზე იჯდა — იორღამ ჩორთიც
კარგი იცოდა და სახელად მას ერქვა „სკოტი“,
ნორფოლკში, სოფელ ბოლდსუელში ცხოვრობდა იგი —
თუ გაგიგიათ, ან თუ ვინმე ყოფილხართ იქით.
ტანივით ძველი ხმალიც ერტყა წელზე მოურავს,
მაგრამ ქარქაშში ჩაეანგვოდა და მას დროულად
ვერ მოიხმარდა, ეცვა ლურჯი წამოსასხამი
და მლოცველთ კუდში მოჰყვებოდა კოჭლი თხასავით.
მათ შორის ჩანდა ეკლესიის წმინდა მსაჯულიც,
ძონძროხი კაცი, გვამითა და ხორცით ტანჯული, —
კისერი ქონით დაზნექილი, ვიწრო თვალები
და სახე სავსე სხვირპლითა და ფერისმჭამლებით,
რითაც პატარებს აშინებდა. იყო არშიყიც
და ჩხუბისთავიც (მათში არის რაღაც კავშირი).
იქექებოდა წამდაუწუმ მუნიანივით,
იმას ვერც სოდა, ნაცარტუტა და ვერც მარილი
ვერ გააცლიდა ჭუჭყს და წვირეს და ვერც გოგირდი
ვერ მოუვლიდა ზინთს, წვერზე რომ ეკრა ობივით,
(ცხვირსაც რომ თავი ვანებოთ და არაფერი ვთქვათ
სუნზეც, სლოკინს რომ ამოჰქონდა მყრალი ყელიდან).
ღვინოს მარტოდენ ნიორსა და ხახვს აყოლებდა
და ალბათ მათი ბრალიც იყო ეს აყროლება.
ხმა ბოხი ჰქონდა, ხრინწიანი ხშირი სმისაგან,
— მაინც იმ მყრალ და ოხერ პირში რას არ ისხამდა!
თან ლათინურად დაიწყებდა მთვრალი ბოდიალს —
საქმე არც ასე არ არისო, თქვენ რომ გგონიათ.
იცოდა ორი გამოთქმა და სამი ანდაზა,
ხან ერთს იტყოდა, ხან მეორეს უცბად გზადაგზა,
სასამართლოში ეგდო თავის დღე და მოსწრება.
სად ბერძნული თუ ლათინური ბევრს წამოსცდება,
(ენის წადილი, მაგალითად, თუთიყუშებსაც

ერთდაიგივე სიტყვის ხშირი სმენით უჩნდებათ),
რაღაც მსაჯულმაც შეისწავლა ბოლოს და ბოლოს
და სულ „Questio quid juris*“-ს ამბობდა მხოლოდ.
გათენებამდის თამაშობდა კარტს არიფებთან,
იგებდა — სვამდა და ჩხუბობდა, თუ არ იგებდა.
დასჯაც შეეძლო კაცისა და დაპატიმრებაც.
მაგრამ კვარტ ლუდში სუყველაფერს აპატიებდა, —
არ მიჩივლონო ვილანებმა და ჯაშუშებმა
და გროშსაც იმათ ბარობაზე არ გაუშვებდა.
თუ მისი ჭკუის შეხვდებოდა ვინმე ხანდახან,
წესსაც უხსნიდა და წესიდან ყველა გადახრას —
როგორ აცდება, მაგალითად, ქურდი შოკვეთას,
ანდა მსაჯული ამ საქმეში რამდენს მოხვეტავს, —
„უფულოდ ბარშიც ვერ შესულხარ, შე დაღუპულო,
და სამოთხეში ფუფუნება გინდა უფულოდ?
ედემის ბაღის გასაღები ვიკარს კი არა,
ქისაში უდევს, მე თუ მკითხავ, კაცს ძეწკვიანა“.
მაგრამ მსაჯული აქ კი მართლაც ნაღდად ცდებოდა:
ვიკარის „Significavit“-ი ანდა მცდელობა
ქურდს ვერ იხსნიდა და შეძავის გულს ვერ შეძრავდა
და ქურდი ქურდად რჩებოდა და მრუში მეძავად.
მთელ დიოცეზში ყველა ბიჭს და გოგოს იცნობდა,
ქურდს უტიფრობას ასწავლიდა, მრუშს — უსირცხვობას.
თავზე ლუდხანის აბრასავით ტოტი დაედო
და თვითონ, მგონი, ლუდის კასრსაც ჰგავდა საერთოდ.
ხელში ფარივით პურის დიდი კვერი ეჭირა
და ორთავ ყბებით მუშაობდა დია ბეჯითად.
ინდულგენციის გამყიდველი მოსდევდა გვერდით, —
კაცი ფხიანი, გაქნილი და ეშმაკის ერთი.
მას კუდი ჰქონდა გადასკვნილი კუდზე მსაჯულთან
და ლამის ფეხქვეშ გაგებოდა ამ მაჯლაჯუნას.
პატენტი ჰქონდა აღებული — ხალხში პატენტებს
სხვა ძალა ჰქონდათ და სიგელსაც ფასს უმატებდნენ,
იმ კვირას იყო ვატიკანში რომის ნეტართან

* რას ამბობს კანონი (ლათ.)

და საქონელიც კარგა ბლომად ჩამოეტანა,
მსაჯულს კი ვნებით ეხვეოდა — მადლი უფალსო,
კაცს, შენ რომ გვერდში ეყოლები, რა დაღუპავსო.
სელისმაგვარი, თხელი თმები მხრებზე ეფინა
და ზურგიდან ქალს წააგავდა სუსტი მხრებითაც.
ეგონა, თითქოს თმა გაშლილი უფრო ჰშვენოდა
და მწყრალად იყო ამიტომაც კაპიშონებთან,
ხოლო მელოტ კინჩხს ერთი ციცქნა ქუდით მალავდა
და ისიც ერთი ფერის იყო მისთა დალალთა.
თუმცაღა ქუდზე მაცხოვარის ხატიც ექარგა
და მით კეთილად განაწყობდა ალბათ ეპარქსაც.
სულ ახალთახალ და კეწკეწა ინდულგენციას
პაპის მაშვალი წყვილს შილინგად ჰყიდდა მეტწილად.
ქოსა იყო და წელში კოხტად გამოყვანილი,
ხოლო თვალები სწრაფი ჰქონდა ვერცხლის წყალივით.
მოყვითალო და მტკნარი სახე საპონს უგავდა.
და ფაშატივით ატოკებდა ხოლმე უკანალს, —
ის ამ სისუსტეს არც მალავდა ხალხში, პირიქით,
სულ ამ საკითხზე კიკინებდა თავის წვრილი ხმით.
მაგრამ საქმეში ქვეყანაზე ვერვინ ჯობნიდა
და ნიადაგმცა რუდუნებდა პირზე ოფლითა.
ღვინოდ აქცევდა წყაროს წყალს და ნაცარს ნაღვერდლად
და ქვეყნის გლახას შიშველ ქვაზეც დაასახლებდა.
წმინდა ქალწულის ხილაბანდი ედო სარტყელში
და მიძინების დროინდელი ზეწრის ნაგლეჯიც.
ჯვარს მოზრდილ ყუთში ინახავდა თვლებით მოჭედილს,
აქ იყო გოჭის ბარკალიც და ყოჩის კოჭებიც.
მათი წყალობით ორ-სამ დღეში ეს გაიძვერა
თურმე მოსავალს ერთ გზობაზე იმდენს იწევდა,
რომ არც გაქნილთა დიაკვანთა, არცა მსუნაგთა
ხუცესთა ჩვენთა სიზმარშიაც კი არ უნახავთ.
ის არც გალობას თაკილობდა, ან ეკვდერიდან
ხალხს ისე ტკბილად დალოცავდა და ეგეკვითარ
სიტყვას ეტყოდა ღაღადით და აუჩქარებლად,
რომ ვინ ოხერი მერე გროშებს დაუკავებდა.
ეხლა კი, როცა მათ შესახებ მე ჩემი გარქვით —

გვარი და ჩინი, ზნე და წესი, ავი და კარგი,
ტანიც და ფეხიც, თმაც და ქუდიც და ასე შემდეგ,
როცა ჭამად და მოსვენებად ფუნდუკში შედგნენ,
დანაყრდნენ, დათვრნენ, ჩამოიხსნეს ენიდან კლიტე,
და, ვით ბაზარში, აყაყანდნენ ვიეთნი კიდეც, —
წესით და რიგით ამბავისა დროც არის, ალბათ,
ორიოდ სიტყვა აწ მელექსემ იმაზეც გარქვათ,
თუ ამის შემდეგ რა დავთქვით და რა საქმე ვქმენით
და მერე გზაზე რით შევამკეთ მგზავრობა ჩვენი.
მაგრამ თან არ მსურს თავხედობა დამწამოს ვინმემ,
თუ ყველა მათი ნაუბარი, მქისეც და მძიმეც,
თუნდა გინება, თუნდა ქება, — ურგიც და ვარგიც —
ყველა პირწმინდად გითხარით და უკლებლივ გარქვით.
მე, ძმაო, განა მეცინება და ვხუმრობ ანდა,
მაგრამ თუ ხელი ასეთ საქმეს მოჰკიდე მართლა,
მაშინ კეთილი ინებე და ამ ქვეყნად ოდენ
რაცხე სიმართლე და პატარა სინდისიც გქონდეს.
ცუდსაც არ უნდა მოერიდო, მრუდსაც და ბლაგვსაც,
და სხვაც არ უნდა გამოტოვო სიმდაბლე არსად,
თორემ, სულ შენდა უნებურად, მართალი ვინძლო
ტყუილად აღჩნდეს, მე რომ მგოსნის გაფრენებს ვიცნობ.
ნურც ძმასა შენსა ნუ დაინდობ, თუ მისი ძმა ხარ,
პირში უძრახე ყველაფერი— მარგიც და გლახაც.
ამას გვასწავლის მაცხოვარიც, რამეთუ თავად
კარგი კეთილად შერაცხა და აუგი ავად.
ხოლო თუ ეჭვი ეპარება ამაში ვისმეს,
მას, მოვალე ვარ გავახსენო პლატონი ისევ, —
რომ სიტყვა საქმის ერთადერთი ძმა არის ღვიძლი
და ყოველივეს შეჰქმნი კაცი, თუ სიტყვა იცი.
მე კი უკეთუ სიტყვა იგი არა მყვა შემწედ
და თქმა მართლისა სიმართლისა თუ ვეღარ შევძელ,
თუ ვერ მივაგე საკადრისი თვითეულ მათგანს,
გონჯი ლამაზად გარდავქმენ და წყვდიადი ნათლად,
გამოდის, ნიჭი საამისო და მადლი უფალს
არ მოუცია, ანუ დასტურ გავრჯილვარ უქმად.
სახლის პატრონი, მასპინძელი ჩვენი, რომელთან

თავს ვერც ვინძორის კარისკაცი მოიწონებდა,
ერთი ზორბა და კარგად ზრდილი გახლდათ ვაჟკაცი
და მის ხმას ზარი მოსდგამდა და სიტყვას კაშკაში.
საქმიანი და გაბედული იყო ნამეტურ,
საკმაო ძალა და ღირსებაც ჰქონდა რამეთუ,
ის იყო, კიდეც ვივახშმეთ და შვება გველირსა
და სადღეგრძელოც უნდა გვეთქვა მასპინძელისა,
ხოლო ფუნდუკი შეგვერაცხა ალბათ სამოთხედ,
რომ მეფუნდუკე სიცილით და რიხით წამოდგა,
თვალი მოავლო სათითაოდ ყველა მლოცველთა
და გვითხრა, ერთი კარგი რჩევა მინდა მოგცეთო.
„ქალბატონებო, ბატონებო, — დაიგრიალა,
თქვენთვის ღიაა ჩემი სახლის კარი ნიადაგ.
ასე ტკბილი და უზრუნველი ხალხი ნამდვილად
არც კი მინახავს ამ ფუნდუკში, ფიცი რად მინდა.
მგზავრს რა გამოლევს და არც უცხო ხალხი გვკლებია,
მაგრამ ასეთი სითბო ამ ჭერს არ ღირსებია.
არ მსურს ჩამოგრჩეთ ხალისშიც და სწორედ ამიტომ
ერთ რამეს გირჩევთ და თქვენც კარგად უნდა გამიგოთ: —
აქ ყველა თქვენგანს ერთი გზა აქვს — ლედის და მესირს
კენტერბერიის მონასტრისკენ უჭირავს გეზი.
გზად ალბათ ხშირად შეისვენებთ, თავს მკლავზე მიდებთ,
იმუსაიფებთ და ღვინოსაც გადაჰკრავთ კიდეც,
ლამაზ ამბებსაც მოუყვებით ერთმანეთს მაშინ,
სხვა რამით, აბა, რითი უნდა გაერთოთ გზაში.
კაცს ძალას ჰმატებს ხალისი და გართობა მუდამ,
ღრჯუ და ფეთხუმი თანამგზავრი არავის უნდა.
ჩემს დარიგებას თუ შეისმენთ, არა თუ დაღლას,
სიცხეს, შიმშილს და წყურვილსაც კი ვერ იგრძნობთ ნაღდად.
პირიქით, მე რომ კაცის ზნეს და ხასიათს ვიცნობ,
ლამით აღარც კი დაიძინოთ დუქნებში ვინძლო.
ჰოდა, მაშ ასე გადავწყვიტოთ! — და, ვფიცავ გამჩენს,
უკმაყოფილო და ნაწყენი თუ ვინმე დარჩეს.
ნუ გამითენდეს მაშინ ღამე, გამიწყრეს ღმერთი.
და მამის კუბოც დამკარგვოდეს — სხვა რა ვთქვა მეტი“.
მასპინძლის რჩევა ჩვენც ჭკუაში დაგვიჯდა ხელად
და სუყველანი, როგორც ერთი, ვიქეცით სმენად.

„რამე ბრძნული და ჭკვიანური ვერ გითხრათ, იქნებ, —
თქვა მეფუნდუკემ, — მაგრამ თუ თქვენს აზრებს და ფიქრებს,
იგავ-არაკებს, ლამაზ ზღაპრებს ან თუნდაც სადმე
ყურმოკრულსა თუ ბავშვობაში წაკითხულ ამბებს
ერთურთს ეტყვით და მოუყვებით, მე მგონი, ყველა
ისიამოვნებს და გრძელი დროც გაივლის ხელად.
ორი ამბავი მოვაყოლოთ თვითეულს ოდენ,
აქეთობისას ორი კიდევ მარქაფად ჰქონდეს.
ხოლო ვინც ისეთ ამბავს გვეტყვის, რომელიც მეტად
სასარგებლოც და სახალისოც იქნება ერთად,
იმას, როგორც კი დავბრუნდებით, საერთო ხარჯით
კარგა გემოზე ვაქეიფებთ ტავერნის ბაღში.
ზღაპრის თუ ამბის ცოტა რაღაც, მე მგონი, მესმის, —
მოთხრობაც ვიცი ცოტ-ცოტა და რითმაც და ლექსიც,
თუ გინდათ, მსაჯად მე დავდგები და ბოლოს თვითონ
მე მივაკუთვნებ ყველაზე კარგ მთხრობელსაც ჯილდოს.
არაფერს არ გთხოვთ მსაჯობაში, მაგრამ თუ ვინმე
არ დამეთანხმა, მას სასჯელი მოელის მძიმე —
მთელი გზის ფული და ნადიმის ხარჯებიც ბოლოს
მან ერთმა უნდა გადიხადოს მხოლოდ და მხოლოდ.
თუ ამაზედაც თანახმა ხართ, მეც თქვენთან ერთად
მომიწევს მაშინ გზად მტვრიანი კალთების ბერტყვა“.

უფრო იმანაც გაგვახარა, რომ სახლის პატრონს
ამ რთულ საქმისთვის თავი უნდა დაედგა მარტოს.
და, რა თქმა უნდა, მაშინათვე შევფიცეთ ერთხმად,
რომ, რაკი მისი თავკაცობა გვარგუნა ბედმა,
ჩვენთვის კანონი იქნებოდა მისი ნათქვამი
და არც უმისოდ ნაბიჯს არსად არ გადავდგამდით.
მერე ვიმსჯელეთ ქეიფის და ჯილდოს საკითხზეც
და საქეიფო საქმეებიც მას დავაკისრეთ.
და ასე, ჩვენმა გულკეთილმა სახლის პატრონმა
ჩვენი მსაჯობაც შეიფერა და თამადობაც.
უცბად მხიარულ გუნებაზე დავდექით ყველა
და, რა თქმა უნდა, გავაჩაღეთ ღვინის სმაც ხელად.
ადრე ვიყავით ასადგომი და როგორც იქნა

დავწექით ბოლოს და ზარხოშიც თან ჩაგვყვა ფიქრად.
დილით, ქვეყანას ჯერ მზის სხივი არ დაჰნათოდა,
რომ მამალივით თავს დაგვყივლა სახლის პატრონმა.
სულის მოთქმაც კი არ გვაცალა და გზაშარაზე
სულ კისრისტეხით გადმოგვრეკა ცხვრების ფარასებრ.
შევსხდით ცხენებზე, მეწისქვილემ მომართა სტვირი
და ღამესავით გაილია თვალებზე ძილი.

„აბა, დავიწყოთ! — იგრიალა კვლავ მასპინძელმა, —
მე ჩემი საქმე არასოდეს არ მავიწყდება.
ვინც თავის სიტყვის პატრონია, იმან პირველმა
უნდა გვიჩვენოს მაგალითი, ძმაო, კიდევაც.
ხოლო თუ ვინმეს შევამჩნიე ყალთაბანდობა, —
აქ მწყრალი თვალით გადმოგვხედა სახლის პატრონმა, —
ღვინო აღარ ვსვა და მრისხავდეს ლუდის გამჩენიც,
თუ იმ მასხარას არ ავკიდო მთელი ხარჯები,
მაშ, წილი ვყაროთ და მეტს ნუღარ მალაპარაკებთ,
თორემ თქვენ ასე იყოყმანებთ ალბათ ხვალამდე.

აბა, რაინდო, გმირო კაცო, ჩაყავით ხელი,
თქვენ ყველაფერზე რატომ გწყდებათ, სტუდენტო, წელი,
ჩამოგართმევენ, აბატისავ, მაგ კრიალოსანს“, —
სახლის პატრონი უკვე მართლა საქმიანობდა.
და ალბათ ბედის ჟინი იყო, თუ ოსტატურად
სახლის პატრონმა ხელი თვითონ მოაფათურა,
რომ პირველობა რაინდს არგო და, რა თქმა უნდა,
ამ განჩინებას მხარი ყველამ ერთხმად აუბა.
ასე იყო თუ ისე, ბოლოს ჩვენმა რაინდმა
ბედს თავი მდაბლად დაუკრა და ენა აიდგა.
ჩვენც ჩვენი სახლის პატრონის თუ ბედის სიკეთით
გალაღებულნი მოვეწყვეთ და სმენად ვიქეცით:
„რაკიღა ასე გადაწყვიტა თვითონ განგებამ,
დე, ზრუნვა შენი, ღვთისმშობელო, ნუ მომაკლდება,
თქვენ კი, ძვირფასო მეგობრებო, ახლოს მოდექით,
მინდა სათქმელი გითხრათ არცთუ მცირეოდენი“.
და ყველა ერთად დავადექით მინდორს და შარას
და სიტყვაც მაშინ, როგორც მგზავრი, გამოგვყვა წყნარად.

რაინდის ამბავი

ესქა დასაწყისი რაინდის ამბისა

როგორც ამბობენ ლეგენდები, თურმე ათენში
ცხოვრობდა გმირი და დიდგვარი უდიადესი;
თეზევსი ერქვა მას სახელად, ქველი მისებრი
არ იყო მეფე, არცა კაცი დარბაისელი.
უხვად განავრცო სამფლობელოს თვისის საზღვარნი,
ამრავლა მიწა და მიწაზე კაცნი აზნაურნი.
და ბოლოს სიბრძნემ თუ გმირობამ ჯერ არნახულმა
მას საქალეთიც ანუ სკვითთა მიწაც არგუნა
და იქორწილა დედუფალზე, იპოლიტაზე,
სკვითი ქალწული იყო ვითა მთვარე პირსავსე,
და მიაშურეს ათენს ნეფემ და დედუფალმა
ზეიმით დიდით, ვითა დიდთა მეფეთ უყვარდათ.
გმირმა ცოლის და, ემილიაც, ათენს იახლა
და მოილხინეს მათ სამთავემ ერთად დიახაც.
ათენს სიმღერით და გალობით დიდით მოვიდნენ
და კარიც შეხსნეს სიმღერითვე და გალობითვე.
იმათ სილაღეს არ შეეძლო არ დაეთრო და
თვრებოდა თან და იმღეროდა მთელი მხედრობა.
დრო, მეგობრებო, თავსაყარი რომ გვქონდეს, ალბათ,
სულ დაწვრილებით მოგითხრობდით ამ ლამაზ ამბავს.
თუ ვით თეზევსმა და ათენელთ უბადლო ჯარმა
აოტნა სკვითნი და ვით სისხლმა იდინა ჭარბად;
მამრებში ძალა შეფარული ვით ამოძრავდა
და წელში როგორ გადატეხა სპა ამორძალთა.
როგორ დაიპყრეს იპოლიტა და დედუფალი

გით იყო ცოხე მიუვალი, თვალშეუდგამი.
ანუ ვითარცა იქორწილეს მან და თეზევსმა,
ხალხს მექორწილეს იქ მიდამო ვით მოეთესა.
უნდა მოვეშვა ამგვარ მცირე ამბავთ ახლავე,
ისედაც დიდი მინდორი მაქვს გადასახნავი,
დამივარდება მაშინ ალბათ ხარი უღელში,
ჰოდა, ვაითუ ვერ გავავლო ხნული უღრმესი.
მცირე ამბისაც თხრობამ თუკი გამათამამა,
თვისი სათქმელი მაშინ ვერვინ თქვას თქვენთაგანმა.
სხვებსაც ასევე ელოდება ის სუფრა ალბათ,
ეხლა კი, მოდი, გავაგრძელებ დაწყებულ ამბავს.
მხნე და ზვიადი გმირი როცა ათენს მოადგა
ზეიმით, გმირთა ვით სჩვევიათ სწორუპოვართა,
ის იყო, ფართო გზაშარაზე ბჭეს გამოსცდა და
შენიშნა გუნდი ძაძით მოსილ მანდილოსანთა,
შორიახლო რომ დაჩოქილნი იდგნენ მუხლებზე
და ცხარე ცრემლში ამოეღრჩოთ ურვა უღრმესი.
და, მართლაც, ისე გულსაკლავად მგლოვიარობდნენ,
ისე მოთქვამდნენ საწყალობლად, რომ აქამომდე
ჯერ არ უგრძვნია მოკვდავს ეგდენ სულის კრთება,
ურვა და ჭირი იმათ დიდი ადგათ იმდენად.
და რა იხილეს გმირი, ერთად წამოდგნენ ზეზე
და აღვირიც კი დაუკავა ერთ-ერთმა თეზევსს.
„ვინა ხართ ანუ რაზე სწუხართ, — ჰკითხა პატრონმა. —
ჩემს ლხინში თქვენი წილი ლხენა ვინ არ გადროვათ?
გამარჯვებამ და სალაღობო ალბათ ამბავმა
შურით აგავსოთ გულბოროტნი და დაგაბრმავათ.
ან იქნებ ვინმემ შეურაცხგყოთ, ვის მოენატრა
დღეს ჩემი რისხვა და თამაში ბედისწერასთან?
ეს რა ძაძებში შემოსილხართ, რა ურვა გადგათ?“
მაშინ ყველაზე ხნიერმა და უფროსმა მათგან
ვით მომაკვდავმა სიკვდილის წინ, ისე დასწივლა —
(და მეყსეულად დაიხია უკან ნაწილმა)
და მოახსენა: „ბედმა ლაღმა და საამურმა
შენ, მეუფეო, საამური ჟამი გარგუნა;
დღეს ვინ გაძაგოს, ვინ გაგინოს სიტყვამრუდემა?

ანდა შენს ძვირში ენა რა კაცს მოუბრუნდება?
გთხოვთ მოწყალებას, მეუფეო, გვედრით შენდობას —
გვითანაგრძნობდე დაწუხებულთ აწ და შემდგომაც.
ჩვენო იმედო, მოწყალებას შენგნით მოველით,
აქ თვითეული ჩვენთაგანი, ქალი ყოველი,
ქალბატონი თუ დედუფალი იყო, ბატონო,
დღეს კი ქვრივია, ან ობოლი და უპატრონო,
მოკვდავს ვერ ძალუძს მოირების გზები კვიმატი
ახსნას, გაიგოს ავიცა და კარგიც იმათი.
შეწევნით დიდი ქალღმერთისა აქ, ამ ტაძართან,
თავშესაფარში უპოვართ და მიუსაფართა,
ორი კვირაა ველოდებით შენს დაბრუნებას
და გვწამს, ქალღმერთის ნება შენგნით აღგვესრულება.
მე, დღეს რომ მხედავ, ვით გრიგალით ფესვმორღვეულ ხეს,
კაპანაუსის მეფის გახლდით ერთ დროს მეუღლე,
ის დღე დაიწვას — ქალაქს ალყა ერტყა როდესაც,
ხელთ გამომგლიჯა ქმარი ბედმა უბოროტესმა.
იმა დღის წყევლამ ჩვენც გვიწია: ცხარე ბრძოლებში
ქმრები დავკარგეთ — ჰადესს მიჰყვათ გზა უშორესი.
ხოლო დღეს თებეს, კაცს რომ ბედი არ სწყალობს მართლაც,
ის ბებერი და გადამღრძვალი კრეონი მართავს.
უსამართლობით შეაჩვენა ცა და ქვეყანა —
ოღონდ როგორმე ჩვენი ჯავრი ამოეყარა —
ცოცხლებს ვინ ჩივის, ის უგვანი მკვდრებსაც გადასწვდა.
არ დაუკლია არცა თათხვა, არცა გალანძღვა.
შეაყრევინა თებელების გვამები ერთად,
ვეებერთელა გორი დასდგა უსულო მტერთა
და გარეშემო ჩაარიგა დარაჯი დასტად —
არვინ დამარხოს მკვდარი თვისი ანუ არ დასწვას
და შეატოვა საჯიჯგნავად ყვავსა და ყორანს".

თითქოს ამ სიტყვამ მათი გული გააპო ორად,
ქალები ცივი შეცხადებით დააწყდნენ მიწას,
„შეგვიბრალეო, — როცა ოდნავ გოდება მიცხრა, —
გული მოგილბოს ქვრივისა და ოხერის კვნესამ".
ჩამოხდა გმირი, რა ასეთი ვედრება ესმა,
შეაძრწუნა და შეაწუხა მუხთალმა ბედმა,

ვერც სიტყვა დასძრა, სანუგეშო რაიმე ეთქვა,
შეჰბრალდა მათი უძლური და უმწეო ყოფა,
ვისაც დიდება ჰყვა ოდესღაც თნევად და თრობად.
მერე მტირალნი სათითაოდ წამოაყენა,
ხელი მოჰხვია, ჩამოკეცა ფრთები ნაღველმა,
სიტყვა დასძრა და შემოჰფიცა ხმითა მაღლითა,
რომ ის, თეზევსი, იმ შენს კრეონს დღეს დააყრიდა,
ვერ დაიქადნოს ქვეყანაზე კაცმა ვერც ერთმა
და სულ ჰკვირობდეს მთელი თებე და საბერძნეთი —
ეს რა უყოო — ან იმ კრულმა და დაძრახულმა
ესე რისხვაო განა რითი დაიმსახურა?!

თქვა და გაშალეს საომარი ალამი ქარში,
ცხენები დასძრეს, ფლოქვების ქვეშ განათდა კაჟი.
ათენში კი არ შემოსულან — ტყეებით ბურვილ
გზას შორეული თებესაკენ დაადგნენ მგლურით.
არ დაესვენა ომის შემდეგ გმირს ერთი დღეც კი
და ჰა, არესის ინთებოდა წითელი ცეცხლი.
აღარ იახლა დედუფალი და იქვე სერთან
ისევ ათენში გააბრუნა თვის დასთან ერთად,
გზა განაგრძეს და ჩამოჰყარეს ჟღარუნი ფარ-ხმლის, —
აქ სხვა სათქმელი არ არის და თხრობადაც არ ღირს.

მიფარფატებენ ქარში მათი თეთრი დროშანი,
თვალის მომჭრელი ომის ღმერთი ფარ-შუბოსანი
რომ ახატიათ, ხოლო ყოველთ მათ უწინარეს
თეზევსის დროშა მიირხევა სხივმომფინარე.
და ქარის ტანის უსუბუქეს მიმოტანისგან
მზეზე ჟამიჟამ თავი კრთება მინოტავრისა,
კრეტას კუნძულზე რომ განგმირა დარბაისელმა;
გზაზე მხედრებმა ერთხელაც კი არ დაისვენეს.
გზად თავკაცებთან ითათბირა უკვე თეზევსმა —
მტერი მინდორზე მიესრისათ იქვე თებესთან.

აქ სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ და მოვჭრი მოკლედ —
მეფე კრეონი მან პირისპირ ბრძოლაში მოკლა,
მტერი დაიბნა, აირია მგელი და კრავი,
ვინ სად გაიქცა, ვინ უსიერ ტყეს მისცა თავი.
ათენელებმა მიუნგრიეს კედლები თებეს,

ციხე-ქალაქი დაარბიეს, ძარცვეს და ყვლეფეს.
ჭირისუფლებმა ისამძიმრეს თავისი მკვდრები,
გაპატიოსნდნენ საყვარელი ძმები და ქმრები.
და თავი რომ არ მოგაწყინოთ წვრილმანთა თხრობით,
თუ რაოდენი დაიღვარა ცრემლი და ოფლი,
ვით მოეგრაგნა ქალაქს კვამლი კიდიდან კიდით
ან ვით გლოვობდნენ, ვით მოთქვამდნენ ვაებით დიდით,
თუ ვით სიკეთით, რაიცა ჰქმნა მან ქველმა კაცმა,
რა წყრომა ანუ რა ტკივილი დაბნდა და დაცხრა,
და გაიხარა ქვრივისა და ოხერის გულმა... —
არ დავიჩემებ მჭევრმეტყველის ნიჭსა და უნარს,
რა დაანგრია ქალაქი და მოუკლა მეფე,
შემოიერთა გმირთა გმირმა ათენთან თებეც,
მთელმა იმ მხარემ მფარველობაც შესთხოვა თეზევსს;
მხედრობამ იქვე გაათია ის ღამე მთებზე.
და სისხამ დილით, დაყრილ გვამთა გასაქურდავად,
იძალა ყველა უგვანმა და ყველა მურდალმა.
მალე ბრძოლის ველს მოედვნენ და განუწყვეტელი
ფუსფუსით დიდხანს აბუჯარეს გროვა ცხედრების
და ჰპოვეს ერთგან ერთმანეთზე მისვენებული
ორი ყმა, ორნივ გვაროვანნი და დიდებულნი.
ორივე მათგანს მოვერცხლილი ზუჩი ეხურა
და ჯაჭვ-თორითაც მოსილიყვნენ ორნივ მეფურად.
ერთი მათგანი ვერცხლის ზუჩით იცნეს არსიტად,
ხოლო მეორე პალამონად, ხმლით და ჯაჭვითაც.
ცოცხალმკვდრებს სული კიდევ ედგათ და ბაცაცებმა
იცნეს ორთავ და ვერ დაფარეს მით აღტაცება.
დეიდაშვილნი გახლდნენ თურმე და დედებისგან
ბოძებულ სისხლით ეკუთვნოდნენ თებეს მეფის გვარს.
და ბაცაცებმა წარუდგინეს თეზევსს მაშინვე,
ვითარცა ომის თაოსანნი, დეიდაშვილნი.
და რა იხილა თვის წინაშე კაცმან აზნანმან
კაცნი აზნანნი, ათენს მათი ბრძანა წარგზავნა,
გამოსასყიდზე უარი თქვა — დე, თაოსნებმა
ციხის ცივ კედლებს უჭვრიტონო დღე და მოსწრება.
რა იგი ღამე მიილია და გაცისკარდა,

აყრა უბრძანა მან ასის და ათასის თავთა.
მივიდა ათენს და ამ კაცმა დაუცხრომელმა
მერე სულ მშვიდად გაატარა თვისი ცხოვრება
და იქვე ახლო, ტყვეობაში, დღეს იმოკლებდა
კოშკის საკანში ორი კაცი, ორი მოკეთე —
პალამონი და პალამონთან ერთად არსიტი.
არსად მოეჭრათ ფული მათი გამოსასყიდი.

ასე მისდევდა წელიწადი წელიწადს, როცა,
ერთხელ მაისში ემილიამ, ქალწულმა მორცხვმა,
შროშანს რომ ჰგავდა სინათლით და სიცოცხლით სავსე,
მცენარესავით შეღერებულს აშოლტილ ტანზე
რომ შეფაკლოდა ლოყა-ღაწვი ვით სადედუფლოს,
ვარდებზე უფრო საყვარლად და უებრად უფრო,
იძალა ისე, ვით აკვანში ყრმამან და სისხამ
წამოდგა, ცაზე რა სიბნელე განიხვნა მზისგან.
მაისს არ უყვარს მცონარენი, კეთილს და სათნოს
ღამეთა წიაღ ულმობელი განგაშით აკრთობს —
განუფრთხობს ძილს და განუწყვეტლივ ჰყვირის და ღელავს:
„წამოდექით და მემსახურეთ, ვითარცა ჯერ არს,
სიტლანქეცა და სიზარმაცეც უნდა დათრგუნოთ“.

და ემილია, ვით ყვავილი ფეფებადგმული,
ფრთეებრ სუბუქად შემოსილი დილის სამოსით,
სალამს უთვლიდა მაისს სანდომს და საამოსა.
მის შუბლზე თმებში შეყუჟულნი მტევნად მოჩანდნენ
კულულნი, ხოლო ნაწნავები სცემდნენ კოჭამდე.
და როს ხანძარი წაეკიდა ზეცას უეცრად,
ის შეჰყვა ხეებს, შეერია და შეუერთდა,
კრეფდა ყვავილებს, იას ია და ვარდს გვირილა
ემატებოდა, ეწნებოდა თმებზე გვირგვინად.
და ვით უხორცო ანგელოსი ისე გალობდა...
და იქვე კოშკი, გადმომდგარი სხვა სამყაროდან,
სქელი, ყრუ კედლით მოზღუდული, უპირუსახო,
მიუსაფარი გახლდათ ციხე და სატუსაღო,
სადაც ორი ყმა მიითვლიდა დღეთ ამაოთა,
იმათ დაბლა კი ემილია დანანაობდა
მაისის ბაღში მწვანე ხეთა და ყვავილთ შორის.

მზემ აიმაღლა — გუმბათს ჭვირი დაადგა ბროლის
და პალამონმა სცა საკანის ტალანში ბოლთა —
ვით ნებაც იყო მეციხოვნთა და წესად ჰქონდათ,
ვიდოდა ნელად, ჩერდებოდა ალაგ და ალაგ
და სათოფურის ნასვრეტიდან უმვრეტდა ქალაქს.
ხოლო სარკმლიდან ზურმუხტისფრად ბაღიც კი ჩანდა,
სად, ყვავილებით რომ აევსო პირთამდე კალთა,
დაგოგმანებდა ემილია — ვით ფრია ქარი,
პალამონი კი ხან მწუხარი, ხან ყუჩად მდგარი,
თვალს უშტერებდა მღვრიე ფიქრებს, მოფრენილთ თვისით
და ბუტბუტებდა — ალბათ, თვისით ხდებოდა ისიც;
„რად დავიბადე? რატომ გავჩნდი?“ — და იქვე მსწრაფლად
მისმა ბედმა თუ უბედობამ ბაღისკენ, დაბლა,
ტყვე პალამონი გაახედა სარკმლის რიკულში
და ბედის მყვედრი პატიმარი, ბრმა და პირქუში,
დაბნდა ლამაზი ქალიშვილის უეცარ ხილვით.
„ვაიო!“ — წართქვა ისე, თითქოს გამოხდა ძილით
და მით არსიტიც გააღვიძა და ძილმღვიძარმა
წაიბუტბუტა ბურანიდან ყრუდღა ვითარმედ,
რა შეგემთხვაო, რა ტკივილი გაწუხებს ნეტავ,
ფერი წაგსვლია, უბადრუკიც ჩანხარო მეტად;
ქვითინებ კიდეც, შეურაცხგყო ვიღაცამ ალბათ,
ანუ თუ ურვას მიეძალე ეგოდენ ჭარბად,
დაითმინეო, უნდა მადლიც შესწირო ღმერთებს,
იმათ გაგწირეს, იმათსავე განგებას ენდე.
ალბათ სატურნმა მოგვაგოო ჩვენ ესე ხვედრი,
კაცთ ვარსკვლავეთი გეშავს, ძმაო, სთრგუნავს და ხედნის.
ასეთი ბედით დავიბადეთ და სხვა რამ საშველს
ვეღარ ვნახავთო, რაც არ უნდა უღმერთოდ დავშვრეთ.
სხვა გზა არ გაქვსო — მოითმინე და გაუძელი.
პალამონი კი ყურს უგდებდა ნირშეუცვლელი:
„შენ სცდები, არსიტ, არც კი იცი, საქმე რაშია,
მით ვერ მიმხვდარხარ, ძმაო, ჩემი გულის ხვაშიადს.
ამჯერად განა ისევ ციხის ბნელმა საკანმა,
არა, სხვა ზარმა შემზარა და ამაკანკალა.
აქ რა გვინდოდა, თუ რომ მართლა ბედი გვქონოდა,

ზაგრამ დღეს მომკლა ჭეშმარიტად ბედმა ბოროტმა.
ქალწული იგი დაბლა ბაღში რომ დაგოგმანობს,
მიზეზი ჩემი მოკვდინების არს უყოყმანოდ.
რა იცი, ძმაო, მას მოკვდავი იქნებ არც ეთქმის,
ან იქნებ თავად ვენერაა, დიდი ქალღმერთი“.
და ისე შესძრა აღტაცებამ აღუწერელმა,
რომ ძირს დაემხო და ღაღადჰყო: „ჰოი, ვენერავ,
რაღაი ღირსყავ ბიწიერნი ესე ალაგნი
და გადმოგვხედე მიუსაფართ და იავარქმნილთ,
ზეის სინათლეზე ვინძლო ისევ აღმოგვიყვანდე,
დიდო ქალღმერთო, ვინძლო ისე მაინც გიყვარდეთ,
რომ, თუკი ცაშიც აღარ არის ჩვენი საშველი,
არ ამოგვიგდო ძირი, არცა გადაგვაშენო;
ნუ ანაცვალებ მოკვდავის ჟინს ჩვენს სისხლს და მოდგმას“.
ამასობაში, ჩანს, არსიტი სარკმელთან მოდგა
და რა შეავლო თვალი ბაღში ქალწულის რონინს,
წაერთვა გრძნობა მეყსეულად და მიხდა გონი.
ერთიან შეჰკრა სიყვარულმა — ბაღში ნანახმა
ის პალამონზე მეტად დასწვა, მეტად დადაღა.
გამოხდა ჟამი წამიერი, ხოლო როდესაც
კვლავ მოუფონა ხორცი სულმა უსათნოესმა,
რა გათბა, მერე, რა აღივსო და განებივრდა,
თქვა: „დაცამლეწა სილამაზემ მე ღვთაებრივმან,
ჩემი მდაგველი თუ ვერ ვნახე თუნდა წამითაც
ყოველდღე, ალბათ ეს მომკლავს და ეს გადამიტანს“.
ასეთ სიტყვებზე გაიცინა დედის დისწულმა,
ვერ დაუჯერა თითქოს ყურებს და ვერც ირწმუნა —
ხუმრობო, მაგრამ არც ხუმრობა უნდა შემკადრო.
ხოლო არსიტმა — „სახუმარო რა მაქვს, შე კაცო,
ცაა მოწამე, მხოლოდ სრული სიმართლე გითხარ“.
აქ კი პალამონს შეაცივდა ტუჩებზე სიტყვა:
„რად გინდა სახე დამანახო ასპიტი გველის,
მაგით რა დიდი სახელი და პატივი გელის.
ზე ძმა ვარ შენი, შენი ხორცის და შენი სისხლის,
და არა ერთხელ შემოვფიცეთ ერთმანეთს ისიც,
რომ მხოლოდ სიკვდილს, სიკვდილსა და არა ცხოვრებას

შეეძლო ჩვენი დაცილება და განშორება.
მივშველებოდით ერთმანეთს და კარგი გვეთესა,
სიყვარულში კი, რა თქმა უნდა, მით უმეტესად.
ღმერთმა ნუ ქნას და ჩავდგებითო ცეცხლში მაშინვე
ერთმანეთისთვის, რა გვიჭირდეს დეიდაშვილებს.
შენ კი ფიცს სტეხავ, ჩანს, სიმართლის გზა დაგიგდია,
ანდა მე შენი ვერაფერი ვერ გამიგია.
ვიცი, რომ ძმა ხარ და სხვა ვინმე არც მივის ქვეყნად
და აი ამ ძმამ ჩემი ნდობა, ვით ფლიდმა, ხელჰყავ.
ის მოისურვე ჭკუამწყარალმა, ის მოინატრე,
ვისაც სულ უნდა ვემსახურო მე სიკვდილამდე.
ვერა, ღმერთები ბოროტს გზას ვერ დაგილოცავენ,
ის მე პირველმა შევიყვარე — ცაა მოწამე,
შევიყვარე და გაგიმხილე ძმას და მეგობარს,
გაგიმხილე და გამიგებდი-მეთქი, მეგონა
და შენ კი განზე განმიდექ და მშრალზე დამტოვე,
როცა შველა და დახმარება გმართებს მარტოდენ;
ან ღალატია ან უკუღმა ბრუნავს ქვეყანა".
მაშინ არსიტმა საავდაროდ წარბნი შეჰყარა:
„ფიცი და რჯული შენ გატეხე, ჩემი სათქმელი
აქეთ მითხარი, აქეთ მერჩი და მემართლები.
ეს მე ვიგრძენი მისი ტრფობა შენზე პირველად,
რა შუაში ხარ, შენ ხომ მხოლოდ გაიკვირვე და
პირქვე დაემხე ვით უხორცო სულის წინაშე.
ხოლო ჭეშმარიტ ტრფობასა და ლოცვა-წირვაში
ერთობ დიდია განსხვავება და ჰა, მეგობარს
განდობ ჩემს გრძნობებს და დასტურად ესეც გეყოფა.
პირველმა ნახე, მაგრამ იმას არკი ველოდი,
რომ მე რატომღაც მაჯობებდი მაგ პირველობით.
და იმ სიბრძნესაც გაგახსენებ ხალხში გაგონილს.
გულთათვის ერთიც არ არისო ქვეყნად კანონი,
სიყვარულია თვით კანონი, მისი მაგვანი
არც რამე რჯული, არცა წესი არს კაცთაგანი.
სწერენ კანონებს, არს კანონთა დაუწერლობაც,
მათგან ვერც ერთი სიყვარულთან მაინც ვერ მოვა,
თვინიერ თვისი ძალისხმევის თუ შეჭირვების,

კაცი სიყვარულს ემონების და ეწირების,
თუნდ ქვრივი იყოს, თუნდ ქმრიანი, თუნდა ქალწული,
სულ შრომობს მისთვის დამაშვრალი და დაქანცული.
ჩვენ კი შორიდან უნუგეშოდ და უსასოოდ
ამ ტრფობით უნდა ვიარსებოთ და ვისაზრდოოთ.
მისი ალერსი უნაზესი და უტკბილესი
მხოლოდღა სიზმრად თუ ეზმოვა ჩვენთან დილეგში.
ორი ქოფაკის მაგონდება, ძმაო, ამბავი,
ერთი ძვლის გამო რომ აიკლეს ხალხი ღავდავით;
ერთურთს დაჭამდნენ ქოფაკები ალბათ, ვინ იცის,
ძერას რომ ძვალი არ აერთვა იმათ ცხვირის წინ.
სასახლეებში ერთი წესი ჰქონდათ მარადის —
ეცხოვრათ თვისთვის, არ ეკითხათ ყოფა არავის.
რა ვქნა, გიყვარდეს. სხვა რა გზა გვაქვს, მეც ჩემდათავად
ის სიკვდილამდე მეყვარება, მორჩა, გათავდა!
მე ეს რომ ვიცი, გულიც მიტომ მეთანაღრება,
ბედს უნდა ვენდოთ, თუ გვიშველის, ისევ განგება".
ბევრი იდავეს, იკამათეს მრაელად და ჭარბად,
მაგრამ მე აღარ გაგიგრძელებთ აქ იმათ ამბავს,
მთავარი რომ არ დაგვავიწყდეს: დიდგვარი ერთი
(ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ, სულ მოკლედ გეტყვით),
სახელგანთქმული დიდებული პერიტოესი,
თეზევსის სიყრმის მეგობარი უსათნოესი,
მობრძანდა ათენს ვით სტუმარი მას დღესა ერთსა
და მეგობართან დღე უტკბილეს მოლხენად ექცა
იმას ბავშვივით უხაროდა შემოვლა სტუმრად
და მასპინძელთან საუბარი, სიტყვა და სუფრა.
გმირსაც უყვარდა იგი მასზეც უმეტეს იქნებ
და თუ ოდნავად დავუჯერებთ უძველეს წიგნებს —
მომკვდარა ერთხელ, თეზევსმა კი სიკვდილსაც სძლია,
და მეგობრის სულს ჰადესამდის ფეხდაფეხ სდია.
მაგრამ არ მინდა ყოველივეს მივყვე და მოვყვე, —
პერიტოესი და ტყვეთაგან ერთ-ერთი მოყმე,
არსიტი, კარგად იცნობდნენო ერთურთს ყრმობიდან
და მეგობრობდნენ თურმე კარგი მეგობრობითაც.
პერიტოესის თხოვნით გმირმა მაშინ არსიტსო

თავისუფლება მიანიჭა სულ უსასყიდლოდ,
მაგრამ პირობაც ჩამოართვა, აქ უცილობლად
უნდა ითქვას და განიმარტოს იგი პირობა —
თურმე თეზევსმა და არსიტმა იმთავიდანვე,
ორთავ კარგა ხანს ითათბირეს ერთად, ვითარმედ,
თუ ამას იქით ან ათენში, ან მის კედლებთან
არსიტს ყმა ვინმე წამით სადმე მოახელთებდა,
გინდა რიჟრაჟი ყოფილიყო, გინდა მიმწუხრი,
იქავე უნდა გაეკოჭათ იგი იმ წუთში,
აღარ გასჭრიდა მაშინ მოძმის სიტყვა არც ერთი
და იმ შენს არსიტს ქათამივით თავს წააწყვეტდნენ.
ჩქარობს არსიტი, რა აუწყეს სიტყვა ამგვარი,
ანდა ვისა აქვს მართლაც თავი დასაკარგავი.
მაგრამ რა ხდება, რატომ წვალობს ასე არსიტი,
თითქოს უბეში ერთად უზის ასი ასპიტი,
ტირის, პირს იხოკს, იკრუნჩხება დიდის ურვისგან,
თუ მოაწია ჟამმა მისი აღსასრულისა.
„რად დავიბადე, რად ვერ ვიგებ ბედის სამართალს,
საკანიც ჩემთვის თითქოს უფრო დაპატარავდა,
სამარესავით ჩამითრია ბრმამან და ბეცმან,
განსაწმენდელად მიმაჩნდა და ჰადესად მექცა.
მაინც რა ჩემდა ჭირად მიცნო პერიტოესმა,
როგორ დამღუპა მეგობრობამ, რა დღეს მოვესწარ.
ვგდებულიყავი ამ საკანში, ასეთ სატანჯველს
მერჩივნა რკინის ბორკილი და ციხე ათასჯერ.
მე მისი ხილვა, ასე ცოცხლად ვინც შემიწირა
(და რაც ღმერთებს და ბედს არ ყოფნით ცაში სიცილად),
ყოველი ხილვა მედებოდა გულზე მალამოდ“.
და გულმოკლული მიუბრუნდა იქვე პალამონს:
„შენ გაიმარჯვე, ეს შენ გერგო სვე უტკბილესი,
რა გიჭირს, ძმაო, არხეინად ზიხარ დილეგში.
რისი დილეგი, როცა ბაღი არის ედემის,
რა იცი, კეხიც მოგიბრუნდეს მერე ეგების.
და მე კი უნდა ვიყო სადღაც დასაკარგავში
და დღე ყოველი უნდა ჩემთვის იყოს განგაში.
შენ რაინდი ხარ და დიდგვარი დარბაისელი,

ერთ მშვენიერ დღეს მზეც ამოვა ალბათ ისეთი,
რომ განგიცოცხლებს, განგიცხადებს ყველა ოცნებას,
მე კი არც ვიცი, ძმაო, სული სად ამომძვრება.
თვითონ განგებამ განმარიდა ყოფას ღვთაებრივს,
და ვერცა ცეცხლი, წყალი, მიწა, ვერცა ჰაერი,
ვერც კაცი, რაც ამ სტიქიებმა შეანაწევრა,
ურვას და წუხილს ვერ შემიცვლის მე აღტაცებად,
ტკივილში უნდა დამიღამდეს წუთისოფელი;
მაშ, სიცოცხლეც და სიხარულო, გემშვიდობებით.
ამაო არის მიერ კაცთა ძნელსაცნაურთა
ღმერთების ძრახვა ან ხსენება მათი აუგად,
მადლით შერაცხეს მათ ყოველი ყრმა თუ მხცოვანი
და რაღა უნდა დარჩენოდათ კაცთ სათხოვარი.
მაინც თხოულობს ადამის ძე ოდენ სიმდიდრეს,
რომ დავრდომილდეს, შეირყვნეს და ძრწოდეს სიკვდიმდე.
მეორე ითხოვს, ციხის კედლებს გასცდეს ოღონდაც
და შინ კი ყმა ჰკლავს, რა უნდოდა შინ, რა ოხრობა!
ყოველ ნაბიჯზე ელოდება კაცს განსაცდელი.
ჩვენ კი სხვას ვითხოვთ, სულ სხვა რამე გვსურს გზას აცდენილთ,
ჩვენ იმ მთვრალს ვგავართ, მთელი დღე რომ დაბორიალობს—
კაცმა რომ სახლი ვერ იპოვნო, გაგონილაო,
სახლი კი ვიცი, აქვეაო ორ ნაბიჯზედა,
შენ ქუჩა მითხარ, ქუჩის პოვნა რომ გამიძნელდა, —
ჩვენც ყველა მისებრ დავბანდალობთ წუთისოფელში
და გვინდა რაღაც უკეთესი და უმჯობესი,
ღვინისგან მხარი მოგვქცევია მეინახეთა,
მე კიდეც დამცა, მისროლა და ქარს მიმახვეტა.
როგორ მეგონა, ჯურღმულიდან გავიდოდი და
არ გავძღებოდი სიმღერითა და ლაღობითა.
და აჰა, უნდა ამომგლიჯონ ძირფესვიანად,
რაც ჩემთვის ასე უტკბესი და ძვირფასი არი.
ო, ემილიავ, გშორდები და გემშვიდობები,
ხსნა აღარ არის, მუხთალი და ცრუა სოფელი“.
და პალამონი მაშინ მიხვდა, ვით დარჩა ობლად
და რას ნიშნავდა უმეგობროდ ციხეში ყოფნა,
ცრემლი წასკდა და გულამოსკვნით მიენდო ქვითინს

და ბნელ საკანში დატრიალდა ცოდვის დღე დიდი,
ცივი კედლებიც თითქოს აჰყვნენ კვნესას და გმინვას,
ცხარე ცრემლებმა შეაპარეს ბორკილებს ბზინვა.
და მერე არსიტს მიუბრუნდა: „იყავი მედგრად,
შენ აგირჩია, შენ გარგუნა წყალობა ბედმა.
ჰა, თითქოს უკვე დასვირნობ თებეში კიდეც.
მე არც გახსოვარ, ან რად გინდა, რომ სევდას ვგვრიდე.
შენი ჭკუა და მოხერხება რომ ვიცი, მალე
ჯარს შეჰყრი, თანაც ერთს კი არა, ორიოდს ბარე,
დალაშქრავ ათენს, აუტეხავ ათენელთ წრიალს,
ან დააჩოქებ, ან დაანგრევ ადრე თუ გვიან;
იმ ქალწულს ითხოვ, დაიურვებ დიდი ხნის სურვილს,
მე საწყალს ალბათ ამომძვრება დარდისგან სული.
თუ წარმოვიდგენთ ყველა ამას ცხადად და ნათლად,
შენა ხარ ჩემი უდიდესი მეტოქე მართლაც.
მე რა ვარ აბა, ცარიელი ძვალი და ტყავი,
ამ ტყავმაც უნდა სიყვარულში წავაგო თავი.
ჩემს გვამში უნდა ჩამოთავდეს სიცხეც და ყინვაც.
ტირილი უნდა შემიცვალოს კვნესამ და გმინვამ.
და ყველა ამას მიუმატე სიგიჟეც ტრფობის,
ჰოდა, არ ვიცი, როგორ გაძლებ ასეთი ყოფით“.
აქ, ამ სიტყვებზე შეუღონდა გული პალამონს,
შურმა დასძლია უთვისტომო, უამხანაგო.
მერე ცეცხლივით მიინავლა, ღრჯო და გულცივი
ვით გაცივებულ კერიაში, დარჩა კუნძივით.
და თქვა: „ქალღმერთო, კერპო ცივო და უანგაროვ,
სიტყვით რომ შეჰკარ მარადისით მთელი სამყარო,
რომ ამოსჭერი ალმასების ლამაზ ტინებზე
წესი და რჯული და კანონი უსასტიკესი.
ჩვენ შენ გმორჩილებთ, შენ გვთრგუნავ და შენვე გვასწავლი
და შენ მოგყვებით უზარმაზარ ცხვრის ფარასავით.
მით პირუტყვივით ვიგეშებით კაცი ყოველი
და ვისჯებით და ვიცემებით და ვით ცხოველი
შიმშილს, სიცივეს და ტკივილებს იტანს უთქმელად,
ჩვენც ისე ვიტანთ, ოგივ ხვედრი განგვეკუთვნება.
როგორ იქნება სამართალი ქვეყნად, როდესაც

უნდა იტანჯოს მიწყივ გულმაც უსათნოესმაც,
ცხოველზე მეტად ვეწამებით — კაცი ნიადაგ
თავის ხორცს ებრძვის, წესისამებრ რელიგიათა,
ცხოველი არრას ერიდება, ოღონდ არგებდეს, —
რაც მის სულს სურდეს, მის ფერ-ხორცსაც სურდეს აგრეთვე.
ცხოველი კვდება და ბარდება ღმერთს უზრუნველად.
კაცი? — წვალება მერე უნდა ნახოს სულელმა!
არც სიცოცხლეში, არც მიწაზე ადგა კარგი დღე,
სცემეს, ათრიეს, არაფერი იმას არ ჰკითხეს.
თავი იმტვრიონ დღე და ღამე ღვთისმეტყველებმა,
მე ის ვიცი, რომ ყველაფერი კაცს ემტერება.
გველს ვხედავ, ძმაო, ქურდს და მპარავს ვხედავ ნამდვილად,
კაცთ გულებისგან რა უზომოდ დიდი გაზრდილა.
ნებაზე ცხოვრობს, თავისუფლად დადის მიწაზე,
ათასი გულიც არ ეყოფა იმას იჯრაზე.
ის ნებით ცხოვრობს, მე კი ტყვე ვარ — ასე უნდობლად
მომექცა ბედი — ღმერთს რა სწადდა, კაცს რა უნდოდა?!
ჯერ იუნონამ გაგვისწორა თებე მიწასთან,
ვენერამ კედელს მიგვაწყვიტა, ქარი ვითარცა.
და განსაწირად დაგვაუღლა მტრობამ და შუღლმა“.
ჩვენ, როგორც ვატყობ, მოგვიმრავლდა ლექსები უხვად,
აქ მივატოვებ პალამონს და არსიტთან მივალ,
ვნახოთ, გავიგოთ რა დღეშია, სტკივა თუ სცივა.
აჰა, ზაფხული იწურება, დამოკლდნენ დღენი,
ისევ ისე სწუხს მიჯნური და ტუსაღი ჩვენი.
ძნელია მათი სალმობანი და გვემა უღმრთო,
უფრო ძნელია თქმა, ვინ დაშთის გვემული უფრო.
და ასეა თუ ისე, ერთი ის არის ცხადი,
რომ გაიყარნენ გზანიცა და ცხოვრებაც მათი.
საწყალ პალამონს, რაც თქვენც უწყით ცოტად თუ ბევრად,
სიკვდილის დღემდე მიუჩინეს ციხეში თრევა.
ხოლო არსიტი, როგორც დათქვეს, ვიღაცა ბიჭმა
გადააცილა ბინდის პირზე ათენის მიჯნას, —
აღარ ეღირსოს, აღარ ერგოს არსიტსო მეტად
მიჯნურის თვისის, სულის თვისის ხილვა და ჭვრეტა.
აწ თქვენ განსაჯეთ, მიჯნურებო, უკეთუ მათგან

ვის უფრო უჭირს, ვის უმეტეს ტანჯვის დღე ადგას!
დიახ, ქალს ხედავს პალამონი ყოველდღე თითქმის,
მაგრამ ციხეში ის სიცოცხლის დღეებსაც ითვლის.
თავისუფლებამ ყველაფერი აჩუქა არსიტს,
უმიჯნურობ კი აღარაფერს არა აქვს ფასი.
მათ ორთავ უფრო თქვენ გაუგებთ, მიჯნურნო, ალბათ,
და მე კი, მოდი, გავაგრძელებ დაწყებულ ამბავს.

ცხოვრობს არსიტი, უღიმღამო მისებრ ცხოვრებით
დაავადდების სული კაცის, ხორცი მძოვრდების.
გრძნობა ერთმევა, უბნელდება არსიტს გონება,
იგივე ხდება დღენიადაგ და მეორდება.
ურვისგან მისებრ არ ყოფილა ჭკუათმყოფელი
ძე ხორციელი, რაც აშენდა ესე სოფელი;
და ფერმა ეშხი, ხორცმა პოხი, სისხლმა ყუათი
ერთად დაკარგეს, დადნა გვამი ვიდრე სულამდი.
და ძველი მხოლოდ ჩაცვივნული დარჩა თვალები
და თვალში მზერა არეული და ნამთვრალევი,
მთლად ჩამოყვითლდა და ჩჩვილისებრ გახდა უძლური,
აავსო კაცნი სამდურავით, სახლი წუწუნით.
თუ მისდა ჭირად სადმე ყური მოჰკრა სიმღერას,
მერე მთელი დღე ქვითინებს და ცრემლად იღვრება.
ისე ძალუმად შეიცვალა ის დარდისაგან,
რომ სულ სხვა კაცად გარდიქმნაო და გარდისახა.
ხმაც შეეცვალა, მოუბრუნდა სიტყვაც სხვაგვარად.
ისე გაწელა, რა ჭაპანი და რა ზამბარა.
ამურის ურვას კი არ ჰგავდა მისი გოდება. —
ეს ჭირმა იცის, როცა თავში წვირე გროვდება,
როცა სიბრაზე სულს დაგვალავს და იმ ხრიოკში
ამოღივდება აზრი რამე, ცრუ და რიოში.
და ერთი სიტყვით, ჭმუნვით, ჯავრით, წყვლით მისმიერით
გაუკულმართდა მისი ზნეც და მისი იერიც.
გარდიქმნა კაცი... ეს ვიკმაროთ მოდი ამჯერად,
მთელი დღე ხომ არ მოვუნდებით მაგის აღწერას.

რაც მას გარდახდა (ასე განვლო ორიოდ წელმა),
ის ნახა ჩვენმა მაწყევარმა და მტერმა ჩვენმა.
მას დღესა ერთსა, როცა არსიტს ეძინა ტკბილად,

ღმერთების მაცნე შინ მერკური შემოჰყვა დილას,
თავსასთუმალზე მიუფინა ქათქათა ფრთები
და დააამა ამბროზიის უებრო შხეფით.
და კვერთხი ელვად შეკვარული შემართა მყისვე
და აირეკლა მისი ოქროს კულული მზისებრ,
(ეხლაც იგივე სამოსელი ემოსა მქრქალი,
ვით მაშინ, არგუსს რომ დაუვსო ასივე თვალი)
და წარსთქვა ღმერთმა: „მიდი ათენს. იქ შენმა სულმა
განაგდოს ესე ბორგნეული ღვარძლი და ურვა“.
და გაეღვიძა ტკბილად ამბრის ლამუნში საწყალს,
თქვა: „ჭეშმარიტად, წუწუნის და წუხილის ნაცვლად,
უფრო ზრუნვა და თადარიგის დაჭერა მმართებს,
დიახაც უნდა ვიჩქარო და ვესტუმრო ათენს.
სიკვდილით დასჯა არ მაშინებს, იქ მისგან ახლოს
მაინც ვიქნები, ვეცდები და ეგების ვნახო“.

წამოდგა, სარკეს თვალი ჰკიდა მან უნებურად
და სადღა იყო იერი და ფერი მეფური.
ვიღაცა გლახა უყურებდა არსიტს სარკიდან
და ბებერიც კი ჩანდა უფრო ის ასაკითაც.
უცბად იაზრა, რა უჭვრიტა დიდხანს მდაბიოს —
რა მოხდა, მართლაც, მდაბიობა რომ დავაპირო
და ჩემს ნებაზე ვიცხოვრებო მაშინ ათენში.
ბედმაც სიზმარი ვინძლო ცხადის ჰქმნას უცხადესი.
თქვა და კიდევაც აღასრულა — მყის შეიმოსა
ხამით და ფლასით და დიდგვარი იქცა დემოსად.
ერთი ნაცნობიც ვით მსახური, ისე იახლა,
იმასაც ფლასი აკვდებოდა ტანზე დიახაც.
გზაში ყველაფერს უკაკლავდა მსახურს ქვითინით,
ვიდრე ყოველი არ ასწავლა ხუთი თითივით.
ბილიკ და ბილიკ არც უელიათ, ფართე შარაგზით
ვერც ოგრძნეს, ისე შემოვიდნენ ათენ-ქალაქში.
კარისკაცს უთხრა, დავეძებო მუშა-მშრომელი
სამსახურს, მეო მეხერხება საქმე ყოველი.
მოკლედ რომ მოვჭრათ, აღისრულა მან განზრახული,
რა სასახლეში მიუჩინეს მას სამსახური,
რაღაი გვერდით დაიგულა გულის ჯავარი,

კარგად გაიგო ყველა მისი ავან-ჩავანი,
არც თვითონ იყო უქმად, წელზე ფეხებს იდგამდა,
თავს არ ზოგავდა, რომ მოეგო გული დიდგვართა.
სისხლმაც თანდათან ძარღვში დენა იწყო იჩქითად
და ჭაბუკურმა ძალამ თავი ისევ იჩინა.
ჯერ ყრმა იყო და მოჰყვებოდა მუხლიც და ხელიც.

ასე უჩუმრად მიილია ორიოდ წელი.
სასახლის კარზე ფილოსტრატედ იცნობდნენ არსიტს
და მსახურთაგან არვინ ჰყავდათ იმისი ფასი.
სეფე ქალთ სცნობდა, შინა კაცად გაენდო მდივანთ,
სამეუფეო პალატებშიც სტუმრობდა ხშირად.
პირზე ეკერათ მისი ქება სასახლის ასულთ,
ზნეს უდიდებდნენ, უწონებდნენ სიტყვას და პასუხს.
შენდობითა და წყალობითა თვისითა მეფემ,
ამბობდნენ, ჯერ არს აღამაღლოს ყმაწვილი ეგე —
მისთვის ხელ-ფეხი მცირე საქმეთ შეუკრავთ ვიწროდ,
დიდთა საქმეთა დაგვანახონ უკეთო ვინძლო.
აქებდნენ ერთხმად და ვითარცა წიგნებში ხდება,
მეფის ყურამდეც მიაღწია ხოტბამ და ქებამ,
მეორე დღეს კი ფილოსტრატეს უქებდნენ სვე-ბედს,
რა იგი ყულად აეყვანა პალატში მეფეს.

ოქროც გაეღო მეფე-ბატონს ყულისთვის ბლომად —
გაიგოს ერთი, რას ნიშნავსო ჩემს ყულად დგომა.
ცალკე თებელი დიდგვარობაც უხდიდა ოქროს,
ხარკად აძლევდა როგორც ყმა თუ, ვასალი როგორც.
ფულს ხელმომჭირნედ უძღვებოდა, უფრთხოდა ხარჯებს —
შურისგან არვინ არ უმტროს და არც ხინჯად დარჩეს.

ათენ-ქალაქში ასე განვლო მესამე წელმა
და ბევრმა წყალმაც ჩაიარა, არ აკლდა დელგმაც.
არ დაუკლია ამაგი და წყალობა თეზევსს,
პატივში ჰყავდა მთელი წელი ყმაწვილი ესე.
აქ მივატოვებ მეფის ყულს და მოვიგლი ციხეს,
ვნახოთ ტუსაღი, ორი წუთით მის ბედსაც მივყვეთ.

შვიდი წელია არნახული და საარაკო
წუხილით გული უწვრილდება კოშკში პალამონს.

ტყვეობაც უფრო გაიწელა და გახანგრძლივდა,
რაც ტუსაღს ხელი მოუთავა ტრფობამ ცალმხრივმა.
შენიშნა მისი უმწეობა ციხის პატრონმაც, —
მანამდე ტუსაღს გრძნობა მაინც არ ღალატობდა.
ბედმა გასწირა და სოფელმაც არ აპატია,
დილეგში აბა რად უნდოდა ტრფობა პატიმარს.

ინგლისურ ლექსის დიდოსტატად ვინ გამოცხადდეს,
რომ ახსნას ურვა? მე არ ძალმიძს, ცაა მოწამე.
მე ისე ვიტყვი, როგორც სიტყვა მოვა თავისით...
ამბობენ, იყო ჟამი ვითარ სამი მაისი
(რაღაი ასე ღაღადებენ ზღვა ლეგენდები,
თქვენც ეს ამბავი სინამდვილედ რაცხოთ ეგების),
როცა განგებამ გადმოხედა ტუსაღს მოწყალედ,
ხოლო ღმერთები უქმად კაცს გზას არ ულოცავენ.
და პალამონმა იძალა და შუაღამისას
ციხით გამოხდა, გამოსხლტა და გამოხალისდა.

თურმე თებელნი დატრიალდნენ, რაღაც იღონეს,
ღვინოში ბანგი შეაპარეს მის მეციხოვნეს,
ულუფაც მისცეს თრიაქისა, თითქმის საღორე,
ღვთის წყალობა გვაქვს, ის ღორივით ჩამოაგორეს.
დილით ნჯღრევისგან ჩამოაწყდა მკლავი ამხანაგს,
თქვენც არ მომიკვდეთ, თვალიც კი არ დაახამხამა.
პალამონი კი გარბოდა და ქარს იტოვებდა.

ათენდებოდა-მას ათენის მიდამოებთან
და ლტოლვილი კი სადმე უნდა დამალულიყო.
ჰა, ეძებდა ჭალა არ იქნება საფრად ურიგო,
სწრაფად მოიხედ-მოიხედა, გზას გადმოსცდა და
ჩაყლაპეს მოცვთა, მიიჩქმალეს ბუჩქთა მოცხართა.
ბინდამდე უნდა წოლილიყო ასე უჩუმრად,
არც ებუჯარნა, არც ეარნა, არც ეჩურჩულა.
ღამით ივლიდა, ალბათ მისი თებეც ღამეში
გამოჩნდებოდა ასე ტკბილი და უამესი.
განგაშით უნდა შეეყარა ჯარი მაშინვე
და ათეწს უნდა მოსდგომოდა სპა განგაშითვე.
და ზმანებებში უკვე ჰვრეტდა ნადიმს დიდგვართა,
თუ ვითარ ნეფე თავზე გვირგვინს როგორ იდგამდა,

— ასეთი იყო მისი ნება, აზრი აზრითი.
მაგრამ აქ მოდი მოვიკითხავ ამბავს არსიტის —
ცრუობდა ყმებთან, პასუხობდა ხალხს ჩიქორთულად,
ვიდრე ხაფანგი არ დაუგო ბოლოს ფორტუნამ.
და აი ერთხელ, როცა ზეცას შესწვდა ტოროლა
და ნისლში სხივი გაიყონა თითო-ოროლა,
და მერე, როცა გამობრძანდა ეტლით ფებოსი,
(ჩიტები ლამის ჩამოასხდნენ ოქროს კოფოზე)
და მისმა გზნებამ თუ მშვენების მისის ალმურმა
ცვარი დაორთქლა და ჰაერი მით ასალბუნა, —
გამოეღვიძა ტკბილად არსიტს, მას რა ხანია
აგერ ყოველი ცისკარი და დღე უხარია;
ეს დღეც ლხენის და სიხარულის დღედ თუ ეგულვის
და ასე იმად ეგებება გახარებული,
სატრფომ კვლავ თავი მოაგონა, აჰყვა თვითონაც,
მოახტა ცხენს და ათენის ბჭე ჩამოიტოვა.
გული მოუწვა რაღაც ტკბილმა დარდმა ანაზდად,
მიუშვა ცხენი და ცხენდაცხენ სდია შარაგზას
და მალე სწორედ იმ პატარა ჭალას მიადგა,
სად პალამონი თვალს უფრთხოდა ადამიანთა,
ფიქრობს, თუ აქვე ტირიფისგან და სუმბულისგან
გვირგვინს მოვწნავო ჩემი სატრფოს სიყვარულისად,
და მზეს შესძახის, ლამის ქარიც ხმით მიმოზიდოს:
„თვეო მაისის, ყვავილთ ფარჩა-დიბით მოსილო,
გვირგვინი მინდა სადედოფლო და გვეედრები
შემომაწიე ლერწები და მწვანე კლერტები“.
ჩამოხდა ცხენით, ჭალის პირთან ჩამოქვეითდა
და შეჰყვა ხეთა ჩამოკაფულ-ჩამობელილთა.
ამო და ამო სურნელება, ტკბილი და ტკბილი,
უფრო და უფრო მატულობდა ბილიკ და ბილიკ,
და შესდგა, საცა პალამონი ბუჩქში ბილიკთან
უცდიდა ღამეს მით სახითა კმაყოფილითა.
არც კი იძვროდა ადგილიდან, ანდა რა ექნა,
სიკვდილის შიშს თუ ფესვი გულში მაგრა გაედგა,
მან არ იცოდა, რა გადახდა არსიტს, მერედა,
რომ ეთქვათ კიდეც, განა ყველას დაიჯერებდა,

ნუ გვავიწყდება ძველთა სიბრძნე იგავად თქმული —
ტყესაც და ველსაც აბიაო თვალი და ყური.
რა არ მომხდარა ქვეყანაზე — წამიწამ წყებად
დღესაც უცხო და უცნაური ბევრი რამ ხდება,
მაგრამ არსიტი იმას მაინც რას იფიქრებდა,
პალამონი თუ დარაჯობდა მას ტირიფებთან,
ის კი თვალს წამით არ აშორებს — აი არსიტმა
მწვანე ლერწები მოუსინჯა ხეებს ყასიდად,
ყვავილსაც დასწვდა, შეატეხა ტოტი იელსაც,
იმღერა კიდეც, მერე დაჯდა და ფიქრს მიეცა.
უცნაურია თვითეული წუთი მიჯნურის:
ხან მქუხარეა, ხან ყრუვდება დიდი სიჩუმით,
ხან კლდე-ღრე დადის, ხან კი სწორზეც გული ელევა,
ხან სიგიჟეა, ხან მარტოდენ გონიერება.
ქვეყნად ყველა კაცს — ტანჩიებსაც და გოლიათებს, —
ყველას ვენერა ამბოხებს და აფორიაქებს,
პარასკევია ვენერას დღე და, როგორც ვიცით,
ფერს პარასკევი დღეში თითქმის ათასჯერ იცვლის,
კვირაში მაგას მართლაც შვიდი პარასკევი აქვს...
ფიქრობს არსიტი, ფიქრში სახე განაზებია,
ეჰ, ფიქრიც არის, განა ყველა ფიქრი გვანაზებს:
„რად დავიბადე, რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე, —
თავს ეკითხება, — იუნონამ ენაკვიმატმა
ისე დაგვწყევლა, — თებე წელში ვერ გაიმართა.
დღეს ვიღას ახსოვს ან კადმოსი, ან ამფიონი,
საქმენი მათნი, საგმირონი, საკაფიონი.
კადმოსმა მისცა თებეს ფუძე და დასაბამი,
გალავნით შეჰკრა, დაბეჭდა და დაასამანა,
თავზე პირველმა შემოიდგა მეფის გვირგვინი
და ჰმორჩილებდა იმას შიდა, დია ირგვლივიც.
მე მისი მოდგმა, მისი თესლის ჩამომავალი
სხვის კარზე ვცხოვრობ დღეს სამადლოდ, როგორც მავანი,
ძარღვებში სისხლიც აღარ შემრჩა ალბათ მეფური,
მტერი მმფარველობს, ჩემი სისხლით გალაღებული,
მე კი მას უნდა ვემსახურო, ვით მაწანწალა —
ან ვინ დამწყევლა, ან ცხოვრება ვინ წამამწარა,

უფრო უარესს და უმეტესს კიდევ მოველი —
ჩემი სახელი უნდა ვმალო წუთი ყოველი.
არსიტი ვიყავ დღემდე, დღეს კი, მოგილხენია,
ფილოსტრატე ვარ, — ფილოსტრატე ვინ ოხერია!
ჰოი, მარსო და იუნონავ, ნეტავ როდემდე?! —
თქვენ დაგვანგრიეთ, თქვენ დაგვავსეთ, თქვენ ამოგვკვეთეთ.
მხოლოდ ჩვენ ორნი გადაგირჩით, საწყალ პალამონს
ციხის სინესტე დღესაც გულზე ადევს მალამოდ,
მე კი სულ სხვა გზით დამიარა, — ცის სიმაღლიდან
უფრო გადმომწვდა, მკერდზე გული შემომაღლიტა
და მაინც მომკლა, აშკარაა მტრობა ფარული,
და სულ ერთია, კაცს ზიზღი ჰკლავს თუ სიყვარული.
შენა ხარ ჩემი მოკვდინება, ო, ემილია,
შენი თვალები სიყვარული და სიკვდილია.
ისე გამავსე, სული ისე გამილამაზე,
თითქოს მანამდე არც ვყოფილვარ ამ ქვეყანაზე,
ნეტა მქნა მხოლოდ შენი ღირსი. შენი სწორფერი...“

დაწუხდა, დადრკა და ემძიმა წუთისოფელი.
უცბად ფეხის ხმა შემოესმა და გონს მოეგო,
აიხედა და კაცის ლანდი ხეს გამოეყო.
პალამონს ეკლად ესობოდა მოძმის ზრახვანი,
ბოლოს იკადრა და დასტოვა თავშესაფარი.
ახლა კი მართლა უყურებდა არსიტს უნდობლად,
მაინც იმ საწყალს, რა ახალი ჭირი უნდოდა;
გაშრა, გაფითრდა, სიტყვას თავი ვერ მოუყარა:
„შე გულბოროტო გაიძვერავ, ო, შე უქნარავ,
ხომ წაგასწარი... შენ ვინ მოგცა იმის უფლება,
რომ იჩემებ და მემართლები ჩემს საკუთრებას.
ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი მაინც არ იყო, —
არსთა გამრიგემ ვით განგვსაჯოს და განგვარიგოს?!
თეზევსს ატყუებ ახლა თურმე, მეც გამაცურე,
როგორ დაკარგე ასე მაინც სახე კაცური.
ან მოგკლავ, ან ზედ დაგაკვდები, ძმის მამწარებელს
ცოცხალი თავით ემილიას არ დაგანებებ.
შენი მტერი ვარ მოსისხლე და დაუნდობელი,
ორთავ ვერა და ვერ დაგვიტევს ერთად სოფელი,

ძლიერს, როგორც იქნა, დავაღწიე თავი სატანჯველს,
უძლური ახლა იქნებ სიკვდილს ვერც კი გადავრჩე,
მაგრამ რა გზაა: არა, შენთან სხვა გზაც არა ღირს,
მე უნდა მოგკლა, თუმც არა მაქვს ხელთ იარაღი.
შე მუხანათო, ახლა მაინც ვერსად წამიხვალ...“

გაშრა არსიტი, შეაყოვნა სიტყვა წამითღა
და აიტოტა, როგორც ლომი ფაფარაყრილი,
გასხლტა და დუშმანს გაუშიშვლა ცხვირწინ მახვილი.
„ეფიცავარ ზეევსს, აგკაფავდი ძაღლის ლეშივით,
ბილწო, ჭკუაზე რომ არ იყო ეგრე შეშლილი,
ხმალი გქონოდა, ცოცხალს მართლა არ გაგიშვებდი,
ვერ გიშველიდა ვერც გიჟობა, ვერც საგიჟეთი,
აღარ მწამს ფიცი, აღარც რჯული, დეიდაშვილებს
ამიერიდან არაფერი არ გვაკავშირებს.
სიყვარული და მიჯნურობა არსად, აროდეს,
არ ჰმორჩილებდა კაცის წესს და კაცის კანონებს,
მეც მართლა მიყვარს ემილია, როგორც გითხარი,
და, რაკი შენც ხარ ჭეშმარიტად ჩემებრ დიდგვარი,
და რაკი ჩემებრ უიმქალოდ გიმძიმს საწუთრო
და სიყვარული გინდა ბრძოლით მიისაკუთრო,
ხვალ, სიტყვას გაძლევ, — ბინდს როგორც კი დაძლევს ნათელი,
გამოვალ მალვით და აქ შენთან დავიბადები,
ვით წესია და დარბაისელს ვით ეკადრება,
(არცა ღირს უფრო ნაჩქარევად და ნაადრევად),
ისიც იცოდე, მოსართავებს და სამაჯურებს
ჩემზე უკეთესს მოგართმევ და დაგასაჩუქრებ,
საჭმელსაც მოგცემ და თექაც მაქვს მგონი საშენო,
ტყეში ამაღამ მუხლი მაინც რომ მოასვენო,
ხოლო თუ დილით მეც გამგმირავ წესით მხედრულით,
მაშინ მკვდარს აბა რა მექნება სასაყვედურო,
ქალი შენ გრჩება, ვერ გაგიყოფს ვერვინ სასთუმალს“...

„მე თანახმა ვარ“, პალამონმაც დაუდასტურა
და გასცდნენ ერთურთს, მიიყრიდნენ ფეხქვეშ ბილიკებს,
გამთენიისას ისევ ერთად რომ შეყრილიყვნენ.

ო, უმოწყალო კუპიდონო, ო, ტრფობის სახლო,
ერთი გყავს მდგმური, სხვას ვერც ჰგუობ ოდნავ და ახლოს.

როგორც ამბობენ, მეუფების და ტრფობის ნაწილს,
არც დაუთმობს და ვერც ვერავის გაუყოფს კაცი.
მეტოქეებსაც სიყვარული ასეთი სწამდათ.
მიჰქრის არსიტი, ფიცის სიტყვა თან მიაქვს დარდად.
ალიონზე კი საომარი საკაზმი წყვილი
გააჩინა და მერე გზასაც გაუყვა დილით,
ამ ბორცვს გადივლის, სადაცაა იმ კორდზეც გავა
და ბრძოლის ველზე დამთავრდება ეს გზაც და დავაც.
თან შიაქვს ორი სატევარი, ორიც ჰოროლი,
მუზარადი და მუზარადთან თორიც ორ-ორი.
არც გზაა შორი, ერთი კიდევ შემოკრა ლურჯას
და აჰა, შენი პალამონიც, მზირალი ურჩად.
და ორივენი ისე შეკრთნენ და ისე დაფრთხნენ —
რაღა ბახალა, ანდა რაღა უმწეო მართვე,
მაგრამ მაშინვე უკუაგდეს ლაჩრული შიში,
როგორც თრაკიელ მონადირეს სჩვევია ჭირში,
როცა წარაფთან ელოდება მძვინვარე ნადირს
და თან კაჟდება, დრო ლოდინში რაც უფრო გადის.
აი, ნადირიც აჩხრიალებს დახრუკულ ჩირგვებს,
გულაღმა ქვები ტრიალებენ მის ტორქვეშ პირქვე,
აქეთ მზად არის თრაკიელიც, ცოტაღა რჩება,
„წამიც და“—ფიქრობს—„მზეს დაკარგავს ერთ-ერთი ჩვენგან
და ეხლა თუ არ დაგასწარ და არ ჩაგცხე, ბრიყვო,
მაშინ ჩვენ ორში ის ერთ-ერთი მე უნდა ვიყო“.
როცა ერთმანეთს შესცქეროდნენ, ორთავე მათგანს
იგივე აზრი აწვალებდა, იგივ დღე ადგათ,
სალამიც კი არ გაიმეტა არც იმან, არც მან
და უსიტყვოდვე გააგრძელეს თორების ჩაცმაც.
ისე კი ერთურთს შეაშველეს ჩაცმაში ხელი,
თითქოს სულ ასე ერთობოდნენ მრავალი წელი...
მერე ეღარუნმა გადირბინა კორდები შორი,
შუბის შხუილი ჩააჩუმა წივილმა თორის,
მაშინ გამძვინდა პალამონი, ვითარცა ლომი,
ამოყარა და ამოყარა ცეცხლი და ომი;
არსიტი ვეფხად გადაიქცა, აბრუა ზიზღმა,
მიწას არ თმობდა გოჯა-გოჯა, სისხლს მისხალ-მისხალ.

მალე არც ერთი აღარ ჩანდა ბურში და ბუღში
და დუეშა სისხლი მოიკიდა, სისხლმა კი დუეი.
ზედ ბრძოლის ველზე მივატოვებ ორთავე მათგანს,
ცოტას თეზევსზეც მოგიყვებით, მისი დროც დადგა.
ბედი, განგების ხატს რომ ქარგავს და აგვირისტებს,
ჩვენის ცხოვრების წარმმართველი და სიკვდილის დღე,
გზა ღვთით მისჯილი მხოლოდ მან ჰყოს, მან განარიგოს,
მან აღასრულოს რაც რომ იყოს, რაც რომ არ იყოს,
და მსჯავრს სვე-ბედის, რაც ეგების, ბრძენი სულ ელის,
ეგ არ ეგების, არ იქნების — ბჭობენ სულელნი,
ბედია ჩვენი სიყვარული და სიძულვილიც,
ტანჯვა ტკივილით იწყება და რჩება წყლულივით.
ბედი იყო, რომ ნადირობა თეზევს ურჩია,
სულ რომ არ იყო ნადირობის ბაიბურშიაც,
არადა იმ დღეს, ისე სისხამ და ადრიანად
მაინცდამაინც რა ირემი მოეპრიანა.
დასცხეს მარეკთა, წამოყარეს ძაღლნი ღავღავით,
შეიქნა გრიალ-ზრიალი და ერთი ამბავი, —
ამდენი გარჯა ჩანს ფუჭად და უსარგებლოდაც,
არადა შენი ხელით მოკლულს სულ სხვა გემო აქვს.
თვალის სეირი სიამოვნებთ ქალებს დიახაც,
ჰოდა, თეზევსმა ბანოვანთა გუნდიც იახლა.
სეფე ქალები ცხენით ვიდრე ტყემდე ივლიან,
არ მოაწყენენ იპოლიტას და ემილიას.
ჯერ ძაღლები და მარეკები მიჰყვნენ ბილ[illegible],
მანდილოსნებმა შუა გზაში მოიშილიფეს,
და გზაზე ისე თათბირობდნენ მონადირენი,
ვითარმედ ჭალას მიიჩნევდნენ პოვნად ირმების,
და მართლაც ასე მოახსენეს მერე მეუფეს
და ჰა, მარეკნიც ჭალისაკენ სერებს შეუყვნენ.
მით უკეთესი, დაიჭირა გეზი თეზევსმაც,
დასჭყივლა ცხენს და შემოისვა ოქროს დეზებზე
და ვიდრე სხვებმა ბილიკები მიკეც-მოკეცეს,
იაბო უკვე გაეყვანა თეზევსს მოკლეზე,
მერე კორდისკენ დაუჭირა თავი იაბოს,
ვითარმედ კორდი ირმებს უფრო ჰყვარებიათო.

ამ ღელეს იქით ტყე იწყება, კორდი მერეა,
ქვიანს ღრე შეცვლის, მოცვიანი — კორკიმელიანს.
ტყეც ჩამოთავდა, გამეჩხერდნენ კორკიმელებიც
და აზურმუხტდნენ მზის სხივებში კორდის ფერები.
გაიხედა და ბრძოლის ველზე სისხლი იღვრება,
ორი ყმა იბრძვის, რა ირმები, რისი ირმები.
ერთმანეთს შეშლილ ხარებივით დაჯახებიან,
საცა გავიდნენ, დასხეპილი დარჩა ხეები,
ვინ უნდა იყვნენ? — აღვირს გმირმა ხელი მოჰკიდა,
ცხენი ასკუპა და მიაგდო ზედან მორკინალთ.
„შესდექით!“ — მაღლით ჩამოსძახა, ხელში მახვილმა
იელვა მზეზე და ცხრა თვალი გამოახილა,
„შეწყვიტეთ ბრძოლა, თორემ თავებს დაგაყრევინებთ.
ახლა კი თვითონ ვინ ბრძანდებით, გამაგებინეთ,
ასე რომ ჩეხავთ უმოწყალოდ და გააფთრებით
ერთიმეორეს, რას უჩივით, რას ემართლებით.
თითქოსდა განზრახ ქვეყანას და ხალხს განდგომიხართ
და დაგრჩენიათ მარტოოდენ შვებად ომიღა.
ვერ გამიგია, რა ხალხი ხართ და რა რჯულისა,
ომობთ თვინიერ შიკრიკისა და მსაჯულისა.
ეგ ხომ სასახლის გართობას და თამაშს მიაგავს“.

პალამონმა კი სათქმელს ბოლოს თავი მოაბა:
„ო, მეუფეო, მოგახსენებთ ყველაფერს ნათლად,
ჩვენ ორთავენი სასიკვდილო გახლავართ მართლაც
და ნუ გგონიათ ამაოდ და ტყუილად ვიბრძვით, —
ჩვენ ეს სოფელი ჭეშმარიტად ორთავეს გვიმძიმს.
და ნურც. კეთილო მეუფეო, ნუ ჩათვლით, თითქოს
მე თქვენგან რამე წყალობას და შენდობას ვითხოვ, —
ჯერ მე მომკალით, დამიბნელეთ საწუთრო ჯერ მე
და მომაყოლეთ უკან ჩემი მეტოქე მერმე; —
აგერ რომ დგას და ვერ გიცვნიათ, მეუფევ, ახლაც,
თქვენი მოძულე და მოსისხლე არსიტი გახლავთ!
თქვენ მიუხურეთ მას ათენის ჭიშკარი მძლავრი
და, როგორც მახსოვს, თქვენ დაადეთ სიკვდილის მსჯავრიც,
მან კი უცოდველ ფილოსტრატედ გაახლათ თავი
და ერთმანეთში გადაჰკიდა კარგი და ავი.

კარგა ხანია, რაც უტიფრად გატყუებთ იგი,
თანაც რომ ჩუმად გედავებათ ცოლისდას იქით.
დიახ, მშვენიერ ემილიას ეტრფის და ყვარობს,
მაშინ მეც გეტყვით, ანდა მართლა როდემდე ვმალო,
პალამონი ვარ, დიახ, თქვენი საბრალო ტყვე ვარ,
მაგრამ მომწყინდა, მეუფეო, ციხეში თრევა,
ეგრე რომ მიმზერთ, კიდევ შევძლებ ათიოდ მაგდენს
და არც ვარ თქვენი მოსისხარი არსიტზე ნაკლებ,
არსიტზე ნაკლებ ემილიაც არ მიყვარს, მეფევ,
ჩემს ოცნებაში სულ ვუკოცნი თითებს და ფეფებს,
სიკვდილსაც მისი სიყვარულით უშიშრად ვხვდები
და სულ ერთია, ჩემით ვკვდები, თუ მეფის ნებით,
ვართ ორივენი ჭეშმარიტად სიკვდილის ღირსნი“.

გაწყრა თეზევსი, შემოაწვა წარბებზე ნისლი,
თქვა: „ნათელია ყოველივე და თქვენი ენით
რა აღიარეთ თანამდები და ბრალი თქვენი,
აღარ გაწამებთ, მიმითვლია უკლებლივ სრულად
ამიერიდან თქვენს ბედსა და იღბალზე ზრუნვა,
იგი გადაწყდა — და ვფიცავარ ულმობელ არესს —
ვეღარ აცდებით აწ ვერც ერთი სიკვდილის კარებს“.

ამასობაში ბანოვანნი და მანდატურნი
მოსულიყვნენ და ყურს უგდებდნენ სულგანაბულნი,
შეჰბრალდათ ბედი საბრალოთა ორთა ლტოლვილთა,
ცრემლიც კი წასკდათ ემილიას და იპოლიტას.
ამბობდნენ, ასე უმოწყალოდ და უმიზეზოდ
ორი სიცოცხლე სიკვდილს კაცმა როგორ მისცესო
და ჰკვირობდნენ თუ სიყვარული მათი ვით არი
უბედობა და უიღბლობა ეგევითარი.
ასეთი ხვედრი დიდგვართ მაინც არ ეკადრებათ,
სისხლი ნახეს და შეიცხადეს სეფექალებმა,
სისხლი ნახეს და იმათ მეტიც აღარ უნდოდათ —
ნუ იქცევიო, მეუფეო, ასე ულმობლად.
ზოგი უზანგს წვდა, ზოგი მუხლზე ჩამოეკეცა,
იმათ შემყურეს მოუბრუნდა გული მეფესაც
(სიბრალული ხომ ხშირად სტუმრობს კეთილშობილთან),
რისხვას დაეხსნა, ბოლოს დაცხრა და დაშოშმინდა,

როს სძლია ბრაზი, აზრის მტერი უსაზიზღრესი,
მაშინ იაზრა უბედობის მათის მიზეზიც
და ბრაზმა მრუდედ და უკუღმა რაც განიკითხა,
გონებამ წაღმა წაიკითხა აზრი იქიდან: —
პირუმტკიცეა საზოგადოდ კაცთა ბუნება,
სიყვარულში კი კაცი კიდეც დაძაბუნდება, —
და საამებლად გულმწუხართა მათ ბანოვანთა
სახე გაშალა, მოაია და მოავარდა,
ტყვეთა ავ-კარგი განარიგა დია კეთილად
და სეფე ქალებს გაღიმება გააბედინა.
„სირცხვილი იმ კაცს, — გაიფიქრა, — სუსტს და დამაშვრალს
ვინც გამოუთვლის წყელას და ურვას ოდენ თამაშად,
ანდა თუ ჭირში გული მაინც არ მოუფონა
არც იავარქმნილთ, არც დავრდომილთ, არცა უპოვართ,
მისთვის ერთია დიდნი ცდანი და სალმობანი
მხდალის, მორჩილის, გულზვიადის და მზვაობარის.
სადაა ღმერთი — კრავის წილი და მგლის არჩევი
რა ხელმა არწყას და გაზომოს ერთი არშინით“.
ჯანღი და ნისლი გადიყარა მაშინ მეფემან
და წუთისოფლის სიავენი დია ებევრა.
მეფური თვალი გაუსწორა კარგსაც, აუგსაც
და გულმართალმა ხალხს ასეთი სიტყვა აუწყა:
„ო, ტრფობის ღმერთო, სიყვარულო, benedicite!*
მარტო ერთ ხელში რა ძალა გაქვს, რა ღონეს იტევ!
რაც ქვეყანაზე არსებულა რაზა და კლიტე,
მაგ ღვთიურ ხელით დაამსხვრიე, ტეხე და წყვიტე.
შენი ისრები ვერ იქნა და რომ ვეღარ გაცვდა!
და რა თამაშად მიგითვლია განცდანი კაცთა!
აი, პალამონს ანდა თუნდაც იმის ძმას — არსიტს
სხვა რამ რა უნდა ჰქონებოდათ სილაღის ფასი,
დღეს ორივ უნდა პატრონობდეს ღვთაებრივ თებეს,
ვით წესიცაა და შეშვენით დიდგვართ და მეფეთ.
ხოლო ისინი არც უფრთხიან სიკვდილს და ერთად
მოსულან ტრფობით გულდამწვარნი მოსისხარ მტერთან.

---

* გვაკურთხე (უფალო) (ლათ.)

რამ აუბნია ასე მაინც ორთავეს თავგზა,
რომ ასე ერთად მიითვლიან ავსაც და კარგსაც.
მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ამგვარის ძალით
მოშალოს ზღვარი და წარხოცოს მიწაზე კვალიც.
შეხედეთ, გრძნებამ სიყვარულის იდუმალ მეფის
ერთმანეთს როგორ გადაჰკიდა დიდგვარი ძმები.
ეს — სიყვარულმა მოიტანა ამდენი ზიზღი
და თავის მსახურთ საზღაური მიაგო სისხლით.
რომ ჰკითხოთ, ალბათ ბრძენად მოაქვს ორივეს თავი,
არადა ძველი აღარ შერჩათ ფერი და ტყავი.
და კიდევ უფრო სასაცილო ის არის მაინც,
რომ იგი, ვინც გზა აუბნია ორთავე რაინდს,
ამ ტანჯვას, რაიც ორივე ყმას ეგოდენ უღირთ,
არარად აგდებს, როგორც ფუჭს და ამასთან უღირსს,
მაგრამ კაცს თურმე ყოველივე იწვნიოს უნდა,
ყრმა იქნება თუ გადამღრძვალი ბებერი თუნდაც.
სიჭაბუკეში მეც ვუკმევდი სიყვარულს საკმელს,
ის იყო ჩემი ყველა აზრი, სიტყვა და საქმე.
და კარგად ვიცი, რა ტკივილით აწამებს მოკვდავს,
ხშირად იმის ხვედრს სჯობს წამება ჰადესში მყოფთა.
დამღამებია მეც ბევრი დღე ჭირით და თმენით
და ამად მინდა მოგიტევოთ ცოდვანი თქვენი.
და რაკი ამას ბანოვანთა ცრემლებიც მთხოვენ,
მეც დღეის იქით დავივიწყებ უკლებლივ ყოველს.
მაგრამ თქვენც უნდა შემომფიცოთ, დღეიდან არსად
აღარ მიმტრობთ და არც დალაშქრავთ ათენელთ საზღვართ,
შუღლი ყოფილი დავივიწყოთ და მტრობის ნაცვლად
ისე ვიცხოვროთ, სულკეთილმან ვით კაცმან კაცთან.
მე შემინდვია თქვენი ყველა ცოდვა და ბრალი“...
დადრკნენ მებრძოლნი, მოარიდეს მეუფეს თვალი
და მეგობრობა შემოჰფიცეს ორთავემ ერთად.
ბოლოს თეზევსმა სიტყვა ბრძანა წინაშე ერთა:
„გვარი დიდი გაქვთ, ოქრო-ვერცხლი გივით ურიცხვი,
ცოტაა თქვენთვის დედუფალის სიყვარულიც კი:
თქვენი სწორფერი ქვეყანაზე ქალი თუ არის,
წინ რა დაგიდგეთ, ანუ ვითარ გკადრონ უარი

(ემილიაზე მოგახსენებთ — ის ხომ მიზეზი
იყო ამ ქიშპის უგვანის და უსაზიზღრესის).
და მკლავი რაგინდ გქონდეთ მტკიცე და მოუღლელი,
ორივე ერთად ერთ ქალს ხომ ვერ დაეუღლებით.
თქვენ ორში მისთვის რა თქმა უნდა, ერთი არსებობს,
მეორის ცდანი არის ფუჭი და უსარგებლო.
მეორის ძალვა, ყველა იჭვი, ყველა თათბირი
ერთად იავარ უნდა იქმნეს და გაბათილდეს
და რაკი მეც მსურს ვცნა ბედითი თქვენი სიმართლე,
აჰა, კვალდაკვალ მივყევ ვიდრე სულის ძირამდე
და, აი, რა ვცან ვით განკითხვა და განაჩენი
(მერე თვით ბედმან განარიგოს სხვა დანარჩენი),
ამ სიტყვას ნუღარ გადაუხვევს თქვენგან ნურავინ,
მან დახსნას თქვენი უმძრახობა და სამდურავი,
თქვენაც მენდეთ და შემინახეთ სიტყვის ნამუსი —
ახლა აქედან გაბრუნდებით თქვენსავ მამულში.
არ მინდა როგორც პალამონის, ისე არსიტის
არც რამ საური, არც რამ ხარკი, არც რამ სასყიდი.
ხოლო წლის თავზე რა გვაახლებთ ათენს მალემსრბოლთ,
ას-ასი მხედრით დაბრუნდებით საასპარეზოდ,
საომარ ველზე ესე დავა რომ დავასრულოთ
და წესისამებრ გამარჯვებულს შევრთოთ ასული.
რაც შეეხება თვითონ ბრძოლას — თქვენგან რომელიც
დაუნდობელიც აღმოჩნდება და ულმობელიც
და, უფრო მეტიც, ის, რომელიც მოჰკლავს მეორეს,
ან ტყვედ ჩაიგდებს მეტოქეს და იმის მეომრებს,
ან უკუ დახევს ან თუ მიჯნას გადაცილდება,
გამარჯვებულიც ის იქნება აუცილებლად.
ქალიც მისია. ჩვენ კი არა, ბედი მიიგებს
თავის წყალობას სვებედნიერ ადამიანებს.
ბრძოლას ათენში გაგიმართავთ დიდის დიდებით,
მოგიწვევთ დიდგვართ და მსაჯადაც მე დაგიდგებით,
ან უკეთესად ვინ გიმსაჯოსთ წესის თანახმად,
თამამად გეტყვით, განგიკითხავთ ორთავ თანაბრად.
ვით მსაჯი, ბრძოლას მე დავიწყებ იმთავიდანვე
და რა პირობაც მოგახსენეთ, მით დაგიმთავრებთ.

თუ თანახმა ხართ, მაშინ მარქვით თქვენი დასტურიც
და დამანახეთ სიჩაუქე ანალგაზრდული.
მაშ, მოდი, ასე გადაწყვიტეთ თქვენ თქვენი ბედი".

სხვა არც უნდოდათ მეტოქეებს ამაზე მეტი —
სიხარულისგან გაუბრწყინდა თვალები არსიტს,
დაამდა, დატკბა პალამონიც ხორცით და არსით,
სული ქალებსაც მოუფონა თეზევსის სიტყვამ
და დიდხანს, დიდხანს მხიარული გუგუნი იდგა.
ალაპარაკდა, აყაყანდა ყმაცა და მეფეც,
მაგრამ ამ ქვეყნად ვინ აჯობებს ყაყანში თებელთ.

დაემშვიდობა, როგორც იქნა, ათენელთ ორთავ
და გზას დაადგნენ, წინ მრავალი სავალი ჰქონდათ.
არც ერთი აღარ ემდუროდა იღბალს და სვე-ბედს
და ოცნებებში უკვე კიდეც ხედავდნენ თებეს.

ალბათ გამკიცხავთ, თუ ის ზრუნვა მცირედი მაინც
ვერა ვთქვი, რაიც ამ ბრძოლაში მიუძღვის რაინდს.
გულს უმტკიცებდა ათენელებს მეფე და მათაც
მოეწყოთ სურდათ ასპარეზი მეფური მართლაც.
ასეთი ბრძოლა არც სიზმარში გვინახავს ცოდვილთ
და ვფიქრობ, ალბათ არც ყოფილა მიწაზე ოდით.

გოდოლ-კედელი წამომართეს გრანიტის თლილის
და ნაწიბურზე კაცის სიგრძე დაადეს თხრილი.
ამფითეატრმა დაიკავა მთელი ის არე,
იმის სიმაღლე სამოც მტკაველს აღწევდა ბარე.
საფეხურებად აამაღლეს ყოველი რიგიც, —
ბოლო რიგიდან ჩიტიც ჩანდა პირველის იქით;
აღმოსავლეთ და დასავლეთით ჭიშკრები ჩადგეს,
ქვის კედლის ფონზე მარმარილოს კარი ჩნდა მჩატედ.
კედლებს ქანდაკით ამშვენებდნენ მანძილ და მანძილ,
რთავდნენ ათასგვარ სამკაულით, უნჯით და განძით,
ყველამ ივარგა მაშინ, ოდენ ვარგოდა ვინც კი,
ვინ რწყვა იცოდა, ვინ ზომა და ვინ კიდევ რიცხვი.
და ბევრი ბგერის ზნეს სწავლობდა, ბევრი კი ფერის,
წვრილმან საქმეთ კი ვერც ჩამოთვლი ერის თუ ბერის.
უხვად სწყალობდა მეფეც თითო მენცარს თუ ოსტატს,
ვინც ხორცს ასხამდა აზრს და ფერსაც ჰმატებდა ხორცთან.

აღმოსავლეთით კურთხეულმან მეფემან ფარსაგ
სდგა სამლოცველოც არნახული არვისგან არსად,
მსხვერპლს შესწირავდნენ აქ ვენერას ქალწულნი მორცხვნი,
მოიოხებდნენ გულს, ტრფობისგან გათანგულს, ლოცვით.
დასავლეთით კი საზორავი დაუდგეს არესს,
ვერ ამყოფინეს ოქრო ათი ბათმანი ბარე,
აქ, ომის ღმერთის სამსხვერპლოში მხედართ და მებრძოლთ
სიკვდილზე მეტი დია უნდა ვედრებით ეგრძნოთ.
ერთი სამსხვერპლო ჩრდილოეთით და ოდნავ ქვევით
აღმართეს თეთრი ალებასტრის ქათქათა ქვებით,
ლამაზად მორთეს ალაგ-ალაგ, მეწამულ მარჯნით,
გუმბათოვანი გოდოლები მარცხნივ და მარჯვნივ.
მერე აკურთხეს, ამწყალობეს და ბრძენთა უბრძნესს,
უსპეტაკეს და წმინდა ქალწულს დიანას უძღვნეს.
ღვთიურთან ერთად ტაძრებს მადლი კაცისაც ესხა —
ქანდაკებები, ჩუქურთმები, ფერი და ფრესკა.
ყველა ამხელდა ღვთაებათა ზნესა და ნიშატს,
ხატი ჩნდა გრძნობად, ქანდაკება — აზრად და ნიშნად.
რაიც ეხატა, ვთქვათ, ვენერას ტაძრის კედლებზე,
მოკვდავს რა უნდა მოეხილა მის უკეთესი.
აქ იყო ძილი განმფრთხალი და შეშინებული,
მეფე და მონა, უპოვარი და დიდებული.
იქით ტირილი მოეხატათ, ურვა-წუხილი,
ცრემლი და სევდა დაჭდეული გულს მარწუხივით,
ვნების ცეცხლი და წარმოთქმული ზოგან სირცხვილით
თავდადების და ერთგულების ყველა ფიცილი.
გულზვაობა და მკრეხელობა და სილამაზე,
რაც კი ოდესმე არსებულა ამ ქვეყანაზე.
ბედოვლათობა, მფლანგველობა უყაირათო,
ასე რომ უყვართ მიჯნურებს და უხარიათო,
წვა და განცხრომა, თავხედობა, ძალა, იმედი
და იჭვი კლანჭებჩაკვანძული სულის სიღრმემდი,
ხელში გუგული რომ ეჭირა, ტაში, თამაში,
სიმღერები და ფეშტემალი ფრთებად ქამარში,
ღიმილი, გზნება მოტყინარი და აღტყინება
და ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ეწირება,

რაც ემსხვერპლება ქვეყნად ტრფობას, ან რა ჩამოთვლის,
რაც იყო, არის, და იქნება მარადჟამომდის.
აქ იყო მთელი კითერონი — დიდი დიახაც,
სამეუფეო გვირგვინიან და ტახტიანა,
მადლი ბევრი ჩქეფს პალატებში, გზნება ბევრი დუღს,
ჩანს ტერასები ჭალებითურთ, ბაღნი ტევრითურთ;
მღვიმეებში და ხეივნებში ცხოვრობს ალერსი,
მიწა ალმურში გატრუნულა უსაყვარლესი
და სასახლეში სიზარმაცე დგას კარისკაცად,
გადმოუგდია სიყვარულის მძლავრ ქარიშხალსა
ულამაზესი ყრმა ნარცისი, ჩეროვანებში
ჩანს სოლომონიც, ვერ გამძღარა აქაც ალერსით.
არ ივიწყებენ ჰერაკლესაც, ხოლო მედეა
თავისის გრძნებით მათ ყველაზე გარდამეტია.
აქვეა კირკეც, მოშორებით თურნოს, კრეზევსი
და სხვა მრავალნი. — მთვრალნიც, ბრმანიც, და უბეცესნიც,
ისინი იმას გვასწავლიან, რომ ვერც გონებით,
ვერც სიბრძნით, გრძნებით, ვერც მშვენებით და ვერც ქონებით
ვერ მოიპოვებ სიყვარულის ტახტის უფლებას
და ეს სამყარო სულ სიყვარულს განეკუთვნება,
მის მეუფებას ემონება კაცი ყოველი,
სიყვარულია მათის ბედის გზების მქსოველი.
ჩვენ ეს ვიკმაროთ და მოვზიდოთ ხელში სადავე,
თორემ მათ ამბებს დილამდისაც ვერ გავათავებთ.
ზღვაში ვენერას ქანდაკება დანანაობდა,
ნათელი შუქი დასდგომოდა ზე სამყაროდან,
მწვანე ზვირთები თამაშობდნენ მის თეძოებთან,
ქალღმერთი სიცრცეს იკრებდა და იკერძოებდა,
ლურჯი მტრედები აფურჩქნიდნენ თავზე ნიავქარს,
ოქროს ბარბითი მიებრჯინა მკერდზე იალქნად,
თავზე გვირგვინი შემოედგა ქორფა ვარდების
და მცირდებოდნენ ზღვის სილრმენი და სიფართენი.
ოქროსთმიანი მის წინაშე დგას კუპიდონი,
ფრთებზე მინდობილს, ხელთ ისარნი აქვს უბიწონი;
ბრმაა ყრმა იგი და არსთაგან სხვას არავითარს
არ ესმის რას სჭვრეტს თუ ყრმა იგი ამ სიბრმავიდან.

რატომ არ უნდა აგიწეროთ მარსის ტაძარიც
და ფრესკაც, ხატიც — მის კედლებზე კარგი რაც არის,
ადგილი აღარ დარჩენიათ მოუხატავი —
სულ წითლად ენთო კედლებს სისხლი, ცეცხლი, ღადარი.
იგი თრაკიულ სამლოცველოს მოგაგონებდათ,
ასე რომ უყვარს ღმერთს სპათა და ლეგიონერთა,
ომის შემოქმედს სწორედ, როგორც მოგეხსენებათ,
ყველაზე უფრო თრაკიაში მოესვენება.
ერთ-ერთ კედელზე ტყე მოჩანდა ხშირი და შავი,
ჯირკვი და კუნძი და მუხები დამსკდარი ტყავით,
შიშით და ძრწოლვით აგავსებდათ სურათი მათი,
დია უჭირდათ აქ ცხოვრება კაცსა და ნადირს.
გრიალი იდგა და ტყეს შიგან უხილავ გრიგალს
მოენგრია და მიეყარა მუხები რიგად
და იქით ტყისპირ მთათა ფერხთით და კლდეთა ფერხთით
იყო ტაძარი სისხლიანი ომების ღმერთის.
იგი რკინისგან ჩამოესხათ, წარაფს და წვერილს
ვიწრო ტალანი მიჰყვებოდა ბნელი და გრძელი.
ჟამი-ჟამ უცხო ზრიალი და გუგუნი უცებ
შესძრავდა მთებს და ზანზარებდა რკინა და ფუძე.
უსარკმლო სახლებს უზოგავდნენ მზის ნათელს ჭიჭოდ,
პატარა სხივი მოჰყვებოდა მართ ოდენ ღრიჭოს,
ნათელი მქრქალად ედებოდა ალმასის კარსაც
და ისიც რკინით მოჭედათ ქურუმებს ფარსაგ
და კედლებს რომ არ ეჭრიალათ გაბმით და ხანგრძლივ,
რკინის სვეტებზე დაებრჯინათ თაღები ტაძრის.
იქ იყო ცხრაპირმორღვეული ბრაზი და რისხვა,
შავი ღალატი დანთხეული კედელზე სისხლად,
ხელმრუდობა და თაღლითობა, უმწეო შიში,
ცოცხლად დამწვარი საქონელი, კვამლი, შიშინი.
კეთილს უტიფრად ვიღაც ფლიდი დაუდგა ცხვირწინ —
ქიტონქვეშ მალავს მის მოსაკლავ სატევარს ბილწი.
იქ სარეცელზე უსულგულოდ ვიღაცა მოკლეს,
აქეთ მეორეს ორივ ყური შეაჭრეს მოკლედ.
განხეთქილება იმუქრება... და მოთქმა-ურვით
ცა შეუყრია მხედარს, სისხლის ოხშივრით ბურვილს.

თვითმკვლელსაც ვხედავ, დაჟონვია თმებიდან სისხლი,
სიკვდილი მაინც ვერ მატულობს ხორცით და სისქით,
მაღლა ტახტზე ზის უიღბლობა ქუში და ავი,
უყმურს ნიადაგ ჩამოსტირის ცხვირ-პირი ყვავის.
იქ სიგიჟე დგას — აძახე და აყვირე მხოლოდ,
დგანან გინებაც და ჩივილიც ტალანის ბოლოს.
აქოთებული ბუჩქში გდია ვიღაცის მძორი,
იქით ზღვა ხალხი იხოცება შიშით და ძრწოლით.
ფარზე დაუდევს ვიღაც ტირანს მოკლულის ღვიძლი,
ომით დანგრეულ ქალაქებში მიწაღა იძვრის.
ზღვაში ხანძარი მოსდებია აფრებს და ანძებს.
აქეთ დათვს კაცი მოუგუდავს ღელესთან ღრანტზე.
აკვანში ბავშვი შეუსანსლავს ტახსა თუ აფთარს,
იქ მზარეული დაფუფქულა მდუღარე ქვაბთან,
რისხვაში არვინ ავიწყდება ულმობელ არესს —
მოაკვლევინა მეხრეები ცხენებს და ხარებს,
დააჩეჩქვინა ბევრი მგზავრი ვეება ბორბალს
და კიდევ ბევრის უბევრესი დასტოვა ობლად.
დიდი ჯაფა აქვთ დღენიადაგ არესის მსახურთ,
ცეცხლი გიზგიზებს მის ქურაში ზამთარ და ზაფხულ,
მისმა არ იცის მოსვენება დაზგამ თუ ჩარხმა,
ჩარხავენ შუბებს და ჭედავენ ისრებს და ფარ-ხმალს.
ზევით, სულ მაღლა, ცა და მიწის ჭეშმარიტ მიჯნად
ელვების ტახტზე გამარჯვება ფეხმორთხმით იჯდა.
ვეებერთელა რკინის ხრმალი ალმასებრ ბასრი
ძაფზე ეკიდა მისი თავის დამართ და დასწვრივ.
ანტონიუსის და ნერონის აქ ვნახე მარცხი,
იულიუსის აღსასრულიც ავი და მკაცრი.
ისინი იმ დროს არ ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ ილბალს
აქ ხატავდნენ და ამზადებდნენ უკუნთა მილმა.
მარსის მუქარა ასე სჯიდა, რაც აახატა
მან რკინის გუმბათს — იგი მერე სულ ზუსტად ახდა.
ზე სამყაროში, უზენაეს ტაძარში ზესთა
არს კაცთა ბედის უამრავი ხატი და ფრესკა.
დღეს ეს ვიკმაროთ. ძველ წიგნებში თქვენც მრავლად ნახავთ
ამგვარ ამბებსაც, ამგვარ ფრესკას და ამგვარ ნახატს.

მეწამულ ეტლზე დგას შლეგივით მზირალი მარსი
და მოსასხამი, როგორც სისხლი, დაღვრია მხარზე.
ორი ვარსკვლავი მფარველობს და შველის უებრად,
რუბეუსი და რუბეუსზე მეტად პუელა.
იარაღში ზის მოკვდავთ სისხლის ტრფიალი ღმერთი,
კაცის ხორცს სჯიჯგნის ხვადი მგელი მწოლარე ფერხთით,
ასეთი მარსი დაეხატა კედელზე მხატვარს
გამო მიზეზთა იდუმალთა სხვათა და სხვათა.
ახლა დიანას მადიდებელ ტაძარს დავხედოთ,
ზოგ რამეს სრულად მოგახსენებთ, ზოგს სანახევროდ.
დააგვირისტეს სულ ჩუქურთმით და საღებავით,
ყველა კედელი გუმბათამდი და თაღებამდი.
აქ ნახავთ ტყეში სანადიროდ გასულ დიანას
თავის განუყრელ ისრიანა და მშვილდიანა,
იქით კი ფრესკა ყურადღებას იპყრობს მნახველთა
თუ ვით კალისტო გარდასახა დათვად ქალღმერთმა,
ცას სფეროთ მიღმა, გარსთა გარე მიანასკვა და
ახლა კალისტოს ვჭვრეტთ პოლარულ ჭვია ვარსკვლავად.
რაღაც მნათობად მერე მისი შვილიც გარდაქმნა
და დედას უკან დაადევნა ცაში კვალდაკვალ.
იქით დაფნისი ხედ იქცევა სიყვარულისგან
(ალბათ მიმიხვდით, პენეოსის ასულს ვგულისხმობ).
აქ აქტეონი თვისის ძაღლთა მსხვერპლი გამხდარა —
რა შიშველ ქალღმერთს თვალი ჰკიდა მან მოკვდავთაგან,
შემოესივნენ გარს ძაღლები კუდაკრეფილი,
წამოაქციეს და დააძღნენ მშიერ მგლებივით.
აქეთ კედელზე, სად ფერთაგან სჭარბობს ყვითელი,
ტრიალ მინდორზე ატალანტა ტახებს მიდენის.
ატალანტა და მელეგარე მაშინ დიანამ
დასაჯა ყველა მსახურიან და მხედრიანა.
და სხვა მრავალი... სუყველაფერს ხომ ვერ ჩამოთვლი,
ვინძლო ვეღარც კი გავათავოთ ხვალ საღამომდის.
ხარირმის ქედზე გადმოეწყო ქალღმერთს მუხლები,
გაშლიდა ხელს და გუგუნებდა ტყე ხელუხლებლივ.
დაბლა ტერფებთან დარგულ მთვარეს სძრავდა წვივებით,
მძლავრობდა მთვარეც და გარბოდა თვალსაწიერი.

თუმც ხალისს ჰმატებს მოსასხამი ზურმუხტისებრი,
ოქროცურვილი კაპარჭიც და ოქროს ისრებიც,
მაგრამ უფსკრულებს პლუტონიის დამზერს ქალღმერთი
და ამოდიან სიღრმეები მის სიმაღლემდის.
წევს მელოგინე მის წინაშე ცრემლდანაჟონი,
ვით მზე წყვდიადით, აღმოცენდის ყრმაი საშოით.
უწყვეტლივ ვიდრე ზესთა ზემდე დაბლა ქვეყანით
ისმის ვედრება: „ყოვლადწმინდავ, მეოხ მეყავი!“
ტყე და ირემი, ქალღმერთი და შორით ნუკრები,
ყველა უნაკლოდ დაეხატა მხატვარს უკლებლივ.
გამოლამაზდა მთელი გარემიდამოეთი
საასპარეზო თეატრონით, გზით და მოედნით.
სამსხვერპლოებმა, საზორავმა, საყდარ-ტაძარმა
დახატა ოთხივ ჰორიზონტი და გარდაცვალა,
ბევრი რამ იშვა აქ გრძნობიდან და აზრიდანაც,
ხოლო ყოველი ჰყვეს მეფემ და ხაზინადარმა.
თეზევსზე მერე მოგახსენებთ, მოდი ამჯერად
თებელთ მივხედოთ, ვინ მოკვდება, ვინ გადარჩება.
ჰა, მოახლოვდა დათქმული დღეც, ათენში მალე
თვალის სეირში ათენელნი დაღლიან თვალებს,
დაბრუნდებიან მეტოქენი ას-ასი მხედრით
და ბრძოლის ველზე გაცხადდება ბედი და ხვედრი.
სულ დარჩეული ბიჭებია, თვითეულ მხედარს
მარჯვენა ერჩის, იარაღში ყელამდე სხედან.
მას შემდეგ, ღმერთმა რაც ქვეყანა ჩვენ, კაცთა მოგვცა,
მსგავსი აროდეს არ უნახავთ არც ბრძენთ და მოძღვართ.
ზღვა მეომართა გადმოვიდა ფეხდაფეხ ხმელზე,
ეს რაოდენი ყმა ჰყოლია დიდებად ხმალსა!
დია მახვილის სადიდებლად და ბრძოლის ხოტბად
მოდგა და მოდგა ნაპირებზე არესის მოდგმა.
თვითოეული აქ, ათენში ელოდა სახელს,
უყვაოდათ და უცინოდათ პირი და სახე.
ასეთ რამეს რომ მოვსწრებოდით ინგლისშიც, ჩვენთან,
არანაკლები იქნებოდა მსურველთა ჯგლეთა.
Par amour* მეტრფე რაინდსა თუ პალადინს მაშინ

* სიყვარულში, სიყვარულით (ფრ.).

რა რკინის გული გაუძლებდა კერასთან სახლში?!
ფეხდაფეხ თუ ვერ მიუსწრებდა, წყალდაწყალ ცურვით
მივიდოდა და მოიკლავდა ბრძოლების წყურვილს.
რა უნდა იყოს უკეთესი, მითხარით, ქვეყნად,
ქალის გულისთვის ვიდრე მტერთან პირისპირ შეყრა.
    პალამონს მართლაც გაუღიმა, ეტყობა, ბედმა,
მისი ბიჭები მღერიან და არიან მედგრად.
ერთი მათგანი ვერ იმაგრებს ლაჯებში ლურჯას
და დამფრთხალ ფაშატს ცეცხლი სცვივა თვალთაგან ბღუჯად.
რკინის თორ-ჯავშანს რა ტანი და რა ძვალი უძლებს,
ვინძლო ბრძოლამდე წაფორხილდნენ მიწაზე უცებ.
იქით მესამეს თავი მოაქვს შუბით და კვერთხით,
მრავალი თავი დაგორდება დღეს იმის ფერხთით.
თორ-ჩაჩქანსა და მუზარადებს ბრდღვიალა მზიდან
სხივები ბღუჯად ჩამოჰქონდა და ხმელზე ყრიდა.
აქ რა იარაღს არ ნახავდით — ბოძალს თუ გორდას,
ზოგს ბოძალისა და ზოგს გორდას იმედი ჰქონდა.
    და მაინც მისი მხედრიონის მთელი სიტურფე
იყო თრაკიის საამაყო გმირი ლიკურგე.
სახე საავდროდ დაღაროდა მიწყივ ჭმუნვაში,
ღრუბლებად აწვა შავი წარბი და წვერ-ულვაში;
ბუღა ხარივით დაქაჩავდა ხოლმე ხანდახან
ჯიღა თვალებს და ცეცხლებს ყრიდა ორთავ თვალთაგან.
შუბლს შეკრავდა და აღარ ჩანდნენ თვალნი წარბებში,
წარბს გახსნიდა და ცეცხლი წვავდა თვალთ უხარბესი.
ვეება ტანი ნაშენი აქვს რაინდს გრანიტით.
მაინცდამაინც გრანიტით და სხვა არა რითი.
შხვართი მკლავები გარს იკრებენ ქარს მათრახივით,
დაიქნევს მკლავს და ქარი წივის და მართლა ყვირის,
ორთვალა ეტლზე დგას მდიდარი და უუხვესი,
ერთად უბია ოთხი თეთრი ხარი უღელში,
ჯაჭვის პერანგზე შავი დათვის ტყავი მოუსხამს
და უცხოობენ ათენელნი დათვს უცხოურსა.
ზურგზე აყრია შავი თმები ყორნის ფრთებისებრ
და კულულებად იფანტება ფრთები მხრებისკენ,
ადგას გვირგვინი გვირგვინთაგან თავს უმძიმესი

მთლად მოოჭვილი ალმასის და ლალის მძივებით.
ოცი მწევარი გარს არტყია, თოვლის სითეთრის,
ხბო შევარცხვინე, კანჭები აქვთ მწევრებს ისეთი!
ოღონდ მიუშვი, ლომს დაგლეჯენ, ირემს კი არა,
ირმებს მუსრავენ ნუკრიან თუ ბიჟიკიანა.
პირი აუკრეს — ვაჰ, თუ ვინმე მიასიკვდილეს,
დაადეს ჯაჭვიც — არ ასტკივდეს თავი სიფრთხილეს!
ასი ვასალი მოჰყოლია მარტო ლიკურგეს
და ასი ცხენი ცეკვავს გზაზე და მიციბრუტებს.
    არც არსიტია მხოლოდ ასი მხედრის ამარა,
ემეტრიოსი — ჰინდოთ მეფეც ახლავს ამალას.
მის ცხენს ნაქარგი ოქრომკედის შვენის ხალიჩა
და სხვა ცხენებზეც ლამაზია და მაღალიც ჩანს,
თავად მეფე კი ომის ღმერთს ჰგავს — წითლად ანთია
მის ტანზე თარსის აბრეშუმის გრძელი მანტიაც,
ნიგვზის უმსხოსი აბნევია გულს მარგალიტი,
ხოლო ხოროში მარგალიტი კი აღარ ითქმის.
ბაჯაღლო ოქროს ჯიდაო აქვს ზედან ტახტრევანს,
ლალი აყრია ისე, მეფეს ვით ეკადრება.
ოქროს სალტეთი შეუმკია თმა გიშრისფერი
და ბზინავს სალტე, ვით ბინდბუნდში რიჟრაჟისპირი.
თვალებდ მისი — მოყვითალო, ცხვირი მაღალი,
ტუჩები ლალის, ხოლო სახე — ვარდის მაგვანი.
გუგებში გზნება — რა თვლების და რა მძივებისა,
მართ ოდენ ცეცხლი ძუ ლომისა გამძვინვებისას.
ალბათ ოცდახუთ წელს თუ მისცემთ, არც ჭაბუკია,
და არც კაცია, აწი უნდა წვერს ჩამუქება.
სიტყვა ჯერ ხორხში ებურთება და იგვიანებს,
მერე მოსკდება და იცლება მეხის გრიალით,
დაფნის გვირგვინი შემოუდგამს თავზე ლამაზად,
მისი სურნელი ათრობს ალბათ მთელს ამალასაც.
მედიდური და უთეთრესი მასთან ცარცივით
მარჯვენა ცერზე შემოუსვამს მეფეს არწივი.
თაკს დასტრიალებს ემეტრიოსს ასი მხედარი
ერთიმეორის უმეტესნი და ნამეტანნი.
გახლავან ყველა აზნაურნი და დარბაისელნი

და აქ, ათენში მოიყვანა ხმალმა ისინიც.
ყველა მათგანი აქ მოელის თავის დიდებას —
ამათ ხომ ომი არასოდეს არ მოსწყინდებათ.
ჯერ მარტო მათი სპილოები და ავაზები
დაიკავებენ მთელ მოედნებს და აავსებენ.
ამგვარის ზარით და ზეიმით ქალაქ ათენში
კვირადღეს ჯარი შემოვიდა უდიადესი,
შესაგებებლად გამოვიდა მთელი დემოსი,
დაბლა ნემსსაც ვერ ჩაგდებდით იმ მიდამოზე.
კურთხეულმა და ღირსეულმა თეზევსმა თვითონ
თავს ყველა სტუმრის მასპინძლობის სიმძიმე იდო,
თავ-თავის ბინა მიუჩინა თვითეულ მხედარს,
ზრუნვა-პატივიც არ დააკლო შვილს ვითარ დედამ,
ბატონს და მსახურს განურჩევლად სწყალობდა უხვად —
აქ ათენშიო მასპინძლობა ასეთი უყვართ,
ჰოდა, თქვენც კარგი დაგემართოთ, იმ უცხო სტუმრებს
პირზე სულ მისი სიავკარგე ეკერათ თურმე.
ხოლო რაც იმას შეეხება, თუ სად და ვითარ
რომელ ბანოვანს რა სიამეს მუსიკა ჰგვრიდა,
ან თუ რა ძღვენი — არმაღანი მიართვეს თეზევსს,
ან მანდილოსანთ რა მანდილი ეფინათ თმებზე,
ვინ რამდენს სვამდა, ანუ რომელს რა ცეცხლი სწვავდა,
ან მაგიდის ქვეშ რა დღე ედგათ ათასგვარ ძაღლთა,
ან ვინ სად იჯდა, რას ამბობდა და როგორ სჯიდა,
რა ვარსკვლავები ჩამოჰქონდა კაშკაშა ციდან —
ამაზე არრას მოგახსენებთ, რამეთუ მწადის
ამათგან ყოვლის უმთავრესი გავხადო ცხადი, —
აქეთკენ მინდა ყურადღებაც მივმართო თქვენი
და ჰა, მთავარსაც გეტყვით ჩემი უბრალო ენით.
გამთენიისას, როცა მზისგან განიხვნა მრუმე,
ტოროლას სტვენა შემოესმა პალამონს თურმე,
ჯერ ბინდი იყო, არ დაეგდო ცა ცისკრის ვარსკვლავს,
და არცა კაცის ჭაჭანება არ იყო არსად.
არ მოასვენა პალამონი სულმა და ხორცმა
და სამლოცველოს მიაშურა მარხვად და ლოცვად.
შეწევნას თხოვდა მიჯნურობის გამრიგე ქალღმერთს,

არ გაიწიროს, არ დამარცხდეს, არც სულით წარწყმდეს,
სალოცავი დროც გამოზომა მისხალ და მისხალ —
ვენერას ჟამი არის ვითარ მეოთხე სისხამ,
მუხლმოდრეკილმა საკურთხევლის ფუძენი კოცნა,
მერე დაბნდა და როგორც წყალმა, იდინა ლოცვამ:
„ო, მეუფეო, მარადისად და უსასრულოდ,
იუპიტერის მშვენიერო დიდო ასულო,
ამხიარულებ კითერონის მთებს თოვლიანებს
და ყველა სულდგმულს შენ სიცოცხლეს უცხოვლიანებ,
მოხედე ამ ჩემს უმწეო და უსასო ქვითინს,
შენ მოგტიროდი, შენი იყო ჩემი დღე დღითი.
ჩემი ტანჯვა და მწუხარების გამოთქმა მიჭირს,
მჭევრმეტყველების ჭეშმარიტად არ დამყვა ნიჭი,
ვერ მიპოვია ჩემი სიტყვა, — როგორც ეტყობა,
სულ დაცამლეწა ერთად მტრობამ და უბედობამ.
შენ მაინც უნდა შემეწიო და მითანაგრძნო,
სხვა ჩემებრ ბედკრულთ უთანაგრძნე შენ ვითაარცა
და ვფიცავ, მხოლოდ შენ გემონო და გემსახურო, —
შენ, სიცოცხლეო, სილამაზევ და გაზაფხულო.
ვფიცავ, ვებრძოლო ქალწულობას, არ ვაჭაჭანო
სიმარტოვე და სიკერძოვე სამარადჟამოდ.
მე იარაღი მხოლოდ იმად არ ამიღია,
რომ დეიდაშვილს შევებრძოლო ომში იღბლიანს
და არაფრად მიჩნს გამარჯვებაც, დიდო ქალღმერთო,
მე იმას ვჩივი, სულ სხვა ჭირი არ შემახვედრო,
არ დამაცილო ემილიას, ჩემო იმედო,
და არ წამწყმიდო, არ გამწირო, არ გამიმეტო,
მისი გულის გზა მიმასწავლე, ქვეყნად მარტოდენ
მას შემაყარე, ოდენ მის თავს დამაპატრონე.
აქ ვინ ვის დასძლევს სულ ერთია, ვინ ივაჟკაცებს,
შენ მხოლოდ მის ტანს ჩამახვიე და მიმატმასნე.
მრისხანე მარსი მარტო მიწის პირზე ბატონობს,
შენ კი, ქალღმერთო, ცაც გმორჩილებს უკაბადონო.
ადვილად ძალგიძს ჰქმნა ყოველი და აღასრულო,
ულამაზესო, უბადლო და უხვო ასულო,
არ დაგივიწყებ სიკვდილამდე ასეთ სიკეთეს,

ღღე და მოსწრება მსხვერპლს გწირავდე, საკმელს გიკმევდე.
ორც შეიძლება არ მახსოვდე, ხოლო უკეთუ
ბედი მიმეტებს და გულის სწორს მართმევს უბედურს,
უმორჩილესად გვედრი მაშინ, რომ ხვალ დილითვე
დამძლევდეს მტერი, დამცემდეს და ზე გადმივლიდეს,
მიჯობს არსიტმა ჭეშმარიტად მომკლას ახლავე,
ვიდრე მას ჩემი ემილიას გვერდით ვნახავდე.
შენ შეისმინე აჯა ჩემი, არ მიმატოვო
და ეგებ ერთხელ გავიხარო მეც, ქალბატონო!“
    გულზე მალამოდ დაედინა პალამონს ლოცვა,
მერმე დაანთო წმინდა ცეცხლი და ამბრი მოწვა,
არავინ უწყის რა წავიდა ზეცაში მსხვერპლად,
დაბლა კი ბევრი იფარფატა ნავლმა და ფერფლმა,
და აი უცბად ძვრა შეუდგა ქალღმერთის ქანდაკს —
ნიშანი ეგე ზე საუფლოს თანხმობას ჰგავდა,
მისი ვედრება შეისმინეს ზენარ და ზესთა
და უცხო ნათლით აკიაფდა კედელზე ფრესკაც.
ყველაფერს მიხვდა მეყსეულად მლოცველიც მაშინ
და გულლაღი და ბედნიერი დაბრუნდა სახლში.
    მზეც გამობრწყინდა. განვლო კიდევ მცირედმა ხანმა
და პალატშიაც შემოვიდა მზის სხივი ხამად,
სწრაფად წამოდგა ემილიაც, და ტაბლას ნაცვლად
სეფექალები სალოცავად ტაძრისკენ დაძრა.
მიგალობობენ დიანას ჰიმნს ქალწულნი გაბმით,
თან მიაქვთ თეთრი კელაპტრები, მური და ამბრი,
თაფლით პირსავსე დიდი რქები შეწირულ ძროხის
და ზვარაკისთვის განკუთვნილი პატარა ნოხი
(ესე ყოველ თან მოჰქონდათ მლოცველებს, როცა
ძველ დროში ტაძრებს ეწვეოდნენ წირვად და ლოცვად)
და ღვთისმოსავმა ემილიამ დასტოვა დანი
და ტაძარს შიგან განიბანა წყაროს წყლით ტანი;
არ მინდა გავთქვა საიდუმლო შეწირვის ძველის,
თუმც აქ ყოველი დაწვრილებით აღწერას ელის,
არაფერია, კაცმა რომ თქვას, ამაშიც ძვირი,
მაგრამ მე მაინც მირჩევნია მოვმუწო პირი.
    ჩამოივარცხნა ნაწნავები წყაროსებრ სავსე

და შემოიდგა ნედლი მუხის გვირგვინი თავზე,
მერე შიშველმა საკურთხეველს დაუნთო ცეცხლი
და ცეცხლის გზნება დაეუფლა პირ-სახე შეცვლილს.
წესი ყოველი აღასრულა, ვითარცა ჯერ არს,
ესე წესები სტაციუსმაც აღწერა ძველად.
    მაღლა აღაპყრო მერე ხელნი, ქალწულებრ მორცხვად,
და დიანასკენ აღავლინა მხურვალე ლოცვა:
    „ო, ღვთაებრივო მეუფეო ტყეთა სიმწვანის,
იდუმალება ზღვის და ხმელის შენ შეიცანი,
პლუტონთან ერთად მართავ გარსებს და ჯურღმულებსაც,
დაუფლებიხარ კაცის გულს და აზრსაც უღრმესად.
ქალწულთ მფარველო, ჩემიც იცი შენ ყოველივე,
იგივ პატრონად და მფარველად მეც მომევლინე
და ნუ მექნება შენი რისხვა, ისე ვითარცა
აქტეონს ექმნა, შენმა ეშხმა რომ წარიტაცა.
მინდა ქალწულმა განვვლო ჩემი წუთისოფელი,
არვის ვუყვარდე, ერთი ვიყო განუყოფელი,
შენთან ყოფნა და ნადირობა ტყეში ნიმფებთან
ამ სულს უსაზღვროდ განმიშლიდა და განმიფენდა.
მე ტყე-ტყე მინდა რომ ვირბინო, ვიდრე საშოში
უცხო სიცოცხლე გამოვნასკვო და მოვაშუშო.
მე არ ვესწრაფი მამაკაცებს, სწორედ ამიტომ
უნდა დამინდო მე კაცთაგან და განმარიდო.
ო, სამსახებავ ღვთაებრივო, ჩემი გულისთვის
თვინიერ ჩემდა დია იშვა დავა ურიცხვი,
ლამის გაგიჟდეს პალამონი, ჭკუა არსიტსაც
ღალატობს — თითქოს აღარ არის ხსნა აღარსითგან.
დაუტკბე გული გაავებულთ და დაუამე,
რომ დატკბნენ, დაცხრნენ და დამეხსნან ვინძლო უმალვე.
ორთავ ცხოვრებაც შთააგონო ვინძლო უქალოდ,
ვნება და ხურვა განუფანტო და განუქარვო,
ან მათ შეჰყარო, ვისაც სისხლი ეთამაშების,
ხოლო თუ უკვე ვერ ეგების მათგან საშველი
და ჩემი ბედიც განიბეჭდა უკვე ეთერში,
მაშინ იმათგან უმჯობესი და უკეთესი —
ვისაც სიკვდიმდე ვეყვარები — მექმნეს მეუღლედ,

აკმარე ტანჯვა და ტრფიალიც ჩემი შეუნდე.
მომხედე, მეფავ, სიწმინდისა, ჩემთა თვალთაგან
წამსკდარი ცრემლი ნაკადულად დის შენს ქანდაკთან,
ჩემი ღირსების და სიწმინდის დაცვა-შენახვა
მე შენგან ვიცი და მსაჯულიც ჩემი შენა ხარ!
გებარებოდეს ბედი ჩემი ამიერიდან...“
თვალი მოეწვა ტირილისგან და მიებნიდა.
საკურთხეველზე ორი ცეცხლი იწვოდა უხმოდ,
ემატებოდათ მგზნებარება უფრო და უფრო,
და აი უცბად იდუმალი განგების ნიშნად
ერთ-ერთი გაჰქრა უმიზეზოდ და ისევ იშვა,
მეორე ცეცხლიც აღაზევა უხილავ ბიძგმა
და მერე ისიც მიიბჟუტა და ერთობ მიცხრა,
მაგრამ ვიდრემდის გაქრებოდა, გაქრობის შიშით
მოჰყვა, ვითარცა სველი შეშა, სისინს და შიშინს
და მერე მართლაც, ვით ქარაგმა იდუმალ მისნის,
მას წვეთ-წვეთობით, მისხალ-მისხალ დადინდა სისხლი.
მლოცველიც უცბად აღიტაცა მსახვრალის ხელმა
და დაბნდა, ისე დიდი იყო შიში და გვემა
და ვიდრე გონი მიხდებოდა, იძალა ბედად
და იკივლა და შეაწუხა ადგილის დედა,
გონს რომ მოეგო, სიხალვათემ შეაკრთო დიდმა,
აიხედა და მის წინაშე დიანა იდგა.
„ნუ სწუხარ, — უთხრა, — უხორცოთა მათ არსთა დასმა
უკვე დაასკვნა შენი სვე და სასწორზე დასდგა
და შეჰკრა ფიცი და განბეჭდა ეთერში წიგნად —
და რაც ღმერთებს სურთ, იგი მერმე ქვეყნადაც იქმნას:
ორ მეტრფეთაგან შენ უცილოდ იმ ერთ-ერთს ერგე,
ვინც უფრო დაშვრა და მით უფრო მიიდრკა შენკენ.
სხვას არრას გეტყვი, შენ რომ ცეცხლი შეუგზნე ცარგვალს,
ესე ყოველი იმა ცეცხლმა გამცნოს და გარქვას“.
ეს თქვა და ჟრჟოლა წაეკიდა მის მშვილდს და ისრებს,
გაჰქრა და სხივი დაათოვა მთელ ტაძარს მზისებრ,
ჩამოწყდა ქალი, მოიქანცა და სახტად დარჩა,
მარტოდენ სისხლი მოერია ეგოდენ გარჯას.
ძროხის რქებიდან მოწვეთავდა მზისფერი თაფლი

და ცისფერ ბინდად ტრიალებდა მური და ამბრი.
საკურთხეველზე ფრთებს იქნევდა კოცონი კენტი,
დაწუხდა ქალი: „არ ყოფილა საშველი ჩემთვის,
შენი სახელი დღემდე სულში სინათლეს მფენდა,
დღეს ჩემი ბედიც მომინდვია, დიანა, შენდა“.
თქვა და შინისკენ გაეშურა. ახლა კი ალბათ
დროა და მოდი მოვიკითხავ არსიტის ამბავს.
გათენდა, მარსის საწირავი საათიც დადგა,
და ჰა, არსიტიც მიეახლა საზორავ-საყდარს.
თან წარიტანა შესაწირი ნივთი და ძღვენი
ძველ წესისამებრ და აღაპყრო მარსისკენ ხელნი.
მუხლზე დაეცა და ომების მრისხანე უფალს
სული და გული გადუშალა ბედკრულმა უმალ:
„ღმერთო ძლიერო, შენ თრაკიის მთის მწვერვალებში
დაგიდევს ბინა უმაღლესი და უმძლავრესი.
ძლიერნი ამა სოფლისანი მაგ შენს იარაღს
ემონებიან სკიპტრიანა და ტახტიანა.
შენ მოგიხმობენ გმირნი მტრების მოძალებაზე
და გულოვნებას შენ ურიგებ მოწყალებასებრ.
ღმერთო, მიიღე შესაწირი ჩემი მცირედი,
შემოდი ჩემში, გამრავლდი და განმიძლიერდი.
მონა-მორჩილი გევედრები ყოვლად უღირსი,
შემიწყნარე და შემეწიე ურვა-წუხილში
და გაიხსენე შენი ტანჯვა, მიუსაფარი,
შენც აგიბნია სიყვარულმა თურმე გზა-კვალი,
ვენერას დასწვდი კანონის და წესის გარეშე
და დაიტიე მთელი ქვეყნის ეშხი მკლავებში,
მაგრამ ვერც მაშინ დაიურვე ვნება აშლილი,
ბედმა გიმუხთლა და სირცხვილით დაგწვა არშიყი,
გვემა და ურვა მოგეახლა უდიადესი,
როცა ვულკანმა გაგახვია უცბად ბადეში.
მეც, შენებრ კრული, შენ გენუკვი, ღმერთო, მარტოდენ,
შენ თუ გამიგებ, შენ თუ მიხსნი და მიპატრონებ.
მე ყმაწვილი ვარ, არ მაქვს დიდი მიხვედრილობა —
ეს კარგად იცის მთელმა თებემ და მხედრიონმაც,
მე მხოლოდ ტრფობა მასულელებს — ერთმა ყმაწვილმა
ამდენი ხალხი შეაწუხა და მოაცდინა.

ისიც ვიცი, რომ ამაოა ესე ყოველი,
ხვალ ბრძოლის ველზე თუ დაღამდა წუთისოფელი.
შენ ერთმა უწყი, ვინ მოკვდება, ვინ გადარჩება,
თუ ვის არ გუნებ ემილიას და გამარჯვებას.
ამად მოვედი შენს საყდარში, ამად ასევე
ძველი წუხილიც მოგაგონე და გაგახსენე —
ხვალ ბრძოლის ველზე გამარჯვება, გვედრი, მაღირსო —
მე — ბრძოლა-გარჯა, შენ — დიდება სამარადისო.
შენს ტაძრებს ყველგან მოვილოცავ, უუშორესი
არ დამრჩეს მიწაც — თრაკია თუ პელოპონესი.
საკურთხეველზე, სვეტებსა და ტაძრის კედლებზე
დავკიდო ხმალი და ფარ-შუბი საუკეთესო.
საგვარეულო დროშები და ბაირაღები
მალე თრაკიის ალმასის კარს შემოაღებენ.
შეგწირო თმებიც წინაპართა წესის თანახმად,
დღემდე ვერც ერთმა ვერ შებღალა იგი დალაქმა.
თებეში, მარსის საზორავზე დიდ მოოქროვილ
ბარძიმში შენი წმინდა ცეცხლი არ გამოვაქრო.
მაშ, შემიბრალე, მარსო, შენი მონა-მორჩილი
და მაღორძინე გამოკვანძულ ბელტში ბორჯივით!“
მიიჩუმათა ბორგნეული სულის მუდარამ,
ის იყო, იჭვმაც იფათურა და იბუჯარა,
რომ ჯერ კანკალი აუვარდათ კარის ხიმინჯებს,
აზრიალდა და აგუგუნდა მერე რკინის ბჭეც,
ცეცხლი კაცივით გადმოვიდა საკურთხეველიდან,
დაფეთებული ყმა გაჩენის საათს წყევლიდა,
ამბრი უკმია, ვერ გაუძლო ცისფერ ოხშივარს
და ხარბი ცეცხლი მოითელა და დაშოშმინდა.
და ბოლოს, როცა დაასრულა წირვა არსიტმა,
ქანდაკზე ჯავშანს ჯაჭვებივით სიტყვა დასცვივდა:
„შენ გაიმარჯვებ“ — დააბრუნა ეხო გუმბათმაც,
არსიტს გაეხსნა პირისახე და გაუნათლდა,
მადლი შესწირა სისხლისა და ომის მეუფეს,
ხვალ ყოველივე გამოცხადდეს და გამზეურდეს.
თითქოს გაივსო და გამაღლდა ყმა სიმაღლითაც,
კი არ გაიქცა შინისაკენ, მართლა გაფრინდა.

ამ დროს ისეთი დატრიალდა ცაში ამბავი,
უძრავმა გარსმაც და ეთერმაც იწყო დგანდგარი,
ღმერთნი აზავთდნენ, ვეღარ სცნობდნენ თურმე ერთმანეთს
და ქვეყანასაც დაღუპავდნენ ალბათ, ღმერთმანი.
თვითეულს თავის კაცის დაცვა სურდა მარტოდენ
და უხორცონი კამათობდნენ და კამათობდნენ.
ბოლოს სატურნმა, უხუცესმა და ხანდაზმულმა,
უკუნთა მცოდნემ მირიადთა აწ გარდასულთა,
ხვანჯივით დახსნა გზები, აზრის ვით დიდოსტატმა,
შუღლმა და დავამ რაც დაბურდა და მიმოტმასნა.
სიჩაუქეს რომ სიბრძნე ბევრჯერ აღემატება,
თქვენც კარგად იცით და არც უნდა მას განმარტება.
რაკი სიკეთის ნაშიერნიც მტრობად მიმძლავრდნენ
(და თუმცა ჩალის ფასად უღირს სატურნს სიწყნარე),
ზავი არჩია და გაიხმო განზე ვენერა.
იცის მოხუცმა, რომ მის სიტყვას დაეჯერება:
„ასულო ჩემო, მოკვდავთაგან ჯერ არვინ იცის,
თუ ვით განვსაზღვრავ სიღრმესა და სიმაღლეს სივრცის.
ზღვათა ძრაობას მუდამ ჩემი ქმნადობა უძღვის
და მაშინ გემთა ქარავნებიც ხოხავენ მუცლით.
ბნელ სენაკებში განდეგილთ და პატიმართ ვახმობ,
მე ვარ სასრული და საწყისი, შორი და ახლო.
წინაუკმობას და სიძნელეს მე თვითონ ვბადებ
და წუთისოფელს მე ვუწესებ ყავლებს და ვადებს.
და როცა ლომის ზოდიაქოს საბრძანისს გავალ,
ვსჯი ყველა მოკვდავს, უხვად ვთესავ შუღლსა და დავას.
პალატებსა და სასახლეებს მე ვუნგრევ ფუძეს,
წავთვლემ და არღა მეუფებენ მეფენიც უცებ,
მუსრს ვავლებ ხუროს, ყველა ქარგალთ, შეგირდთ თუ მოძღვართ,
სამსონის ძალაც ხელოვნებამ დროისამ მოწყლა.
ეს მე გახლავარ მბრძანებელი ათასგვარ ჭირის,
ჩემი მზაკვრობით ხვავი მიწყივ იცვლება მწირით,
ჩემი მზერიდან გამოსჭვივის სენი და ლპობა
და ყოველ წამში ცოცხალ აწმყოს ვამსგავსებ მყობადს.
მაშ, ნუღარ სტირი! ვით აღუთქვი შენს ერთგულ მეტრფეს

ის ქალი, აღთქმა ჭეშმარიტად სიცხადედ გექმნეს!
თუმც ომის ღმერთი გამარჯვებას არგუნებს არსიტს,
მაგრამ არც მისი გამარჯვება შენს სიტყვას არ ცვლის.
შენ დღენიადაგ კამათობ და პაექრობ მარსთან,
ისე დიდია თქვენს შორისი სხვაობა არსთა,
მაგრამ შეწევნით ჩემით, ჩემო ტურფა ასულო,
ფიცი და სიტყვა მარტოოდენ შენ აღასრულო!"
აქ მივატოვებ ვარსკვლავთა და ცათა მოსახლეთ,
თქვენც უწყით, ცაში რაც განბეჭდეს და გარდმოსახეს.
უმთავრესს გეტყვით, მაგრამ მინდა ამ უმთავრესშიც
ითქვას სათქმელი ყოველგვარი ღვარჭნის გარეშე.
ათინას ქალაქს საზეიმო დაუდგა დარი,
ტკბილი მაისი აბა რისი მაისი არი,
ორშაბათ დილით გააჩაღეს ქუჩებში ლხინი
და სიხარული დაიძლია, ვითარცა ხილი.
ახალგაზრდობა ფუტკარივით ეხვია ტაძრებს,
ვენერას ლოცვით ვერ იქნა და მაინც ვერ დაცხრნენ,
მაგრამ რაკიღა ხალხს სეირი ელოდა დილით,
ბოლოს და ბოლოს გაიხსენეს ღამეც და ძილიც.
ხოლო ცისკარზე, ის-ის იყო მზე ცის წვერს დასწვდა,
ჯაჭვი და თორი აგრიალდა მეომარ დასთა,
ცხენთა ჭიხვინი შეუერთდა ძაღლების ღაღავს
და სასახლისკენ ნიაღვრისებრ იდინა ხალხმა.
ფარ-შუბს და ჯავშანს სასახლესთან მზის გულზე ჩავლილთ
მარგალიტივით ეყრებოდათ ჭვირი და ჭავლი.
ბოძალი, მშვილდი, სატევარი, წალდი და ლახტი,
ხალასი რკინა თუ ფოლადი და ოქრო ნაღდი!
ზუჩი, ჩაჩქანი, მუზარადი, ჩაჩქანი, ზუჩი,
ჩქარ-ჩქარი სვლა და მოედანიც გაივსო წუთში.
დარახტულ რაშებს მოაფრენენ აზნაურნი დიდნი,
ფეხით მოდიან უაზნონი და ყმანი მკვიდრნი.
ვინ მახვილს ლესავს, ვინ უმაგრებს კაკლის ტარს ნაჯახს,
ვინ კიდევ მორთვა-მოკაზმვაში ძვირფას დროს ხარჯავს,
უქმად კი ვერვის ვერ იხილავთ, იქაც და აქაც
კაცი რუდუნებს, ძაღლი კბილს ჭამს, ცხენი კი ლაგამს.
საჭურვლის ოსტატს ქლიბითა და ჩაქუჩით ხელში

დღე ადგას, შენს მტერს, ისე ოხრავს და ისე ხვნეშის.
ნაღარა, ნესტვი, დაფდაფები, საყვირი, ბუკი —
სისხლი დუღდება და სასმენელს სიჩუმე უკვირს.
თუ ვინ ვის დასძლევს, ან ვინ უნდა გადურჩეს ხიფათს —
აქვთ საჭოჭმანოდ ყველა ჯურის მკითხავთ თუ მჩხიბავთ.
ნაძლევს არავინ ერიდება, ბევრ მათგანს უკვე
თვისი რჩეული მხედარიც ჰყავს და საკმელს უკმევს.
ზოგი ადიდებს თრაკიელთა მეფეს და ზოგი
ჰემეტრიოსის მხარ-ტანს აქებს, შოლტივით მოქნილს,
თუ ბუღა თვალი იმას მართლა უელავს ფართოდ,
ოცი გირვანქა ამას წალდი ჰქონია მარტო.
ბრბო გუგუნებდა, მზე მაღლობდა და ათენებდა,
იბადებოდა დღე თებელთა და ათენელთა,
განგმირა ღამე ცხრათვალა მზემ, არც სასახლეში
არ დარჩა ბინდი დასაძენძი და დასახლეჩი.
აი, თეზევსსაც გაეღვიძა — ბუკმა, დუმბულმა
განუფრთხო ძილი და სიფხიზლეც მსწრაფლ დაუბრუნა.
მეტოქეების ნახვა ბრძანა ჯერ გმირთაგმირმა,
პირველად მათთან ისაუბრა და ითათბირა,
მეფურ მორჭმული დაჯდა მერმე ღია სარკმელთან,
ბრბო ქუხდა — ხალხი მისით დია იამაყებდა.
მაშინ ჰეროლდმა მასპინძელთა, ისე სტუმართა
ბრძანა სიჩუმე და ყველანი დააჩუმათა,
ყბედიც დამუნჯდა, ჩაუვარდა ენა მოლაყბეს
და უკანანი წინ წადგნენ და მილაგდ-მოლაგდნენ,
სულგანაბული ხალხი მეფის სიტყვას ელოდა,
ბოლოს იკადრა, როგორც იქნა, სიტყვა ჰეროლდმაც:
„მეუფე ჩვენი, წყალობითა ბრძნობისა თვისის,
უწყალოდ რომ არ დაიღვაროს მოძმეთა სისხლი,
გიკრძალავთ ჩეხვას, სასიკვდილო დაჭრას თუ შებმას
და გამძვინებას, ისე, როგორც ბრძოლაში ხდება.
მისსავე დათქმულ ძველ პირობას იმად ცვლის მხოლოდ,
რომ არ სურს ვინმეს თავის კარზე მოეღოს ბოლო.
და ბრძანებს: „დია აღიკრძალოს სიკვდილის მსჯავრით
წესის ხელყოფა მიერ ყმისა, გინდ მიერ მთავრის.
და ჩამოერთვას მებრძოლთ: შუბი, ხანჯალი, წალდი,

ბოძალი, მშვილდი, სატევარი, შურდული, ლახტი.
რაც შეეხება, თვით მოშუღართ, ისინი ერთხელ
ერთმანეთს უნდა საბრძოლველად ხმალდახმალ შეხვდნენ.
და მერე ბრძოლა განაახლონ ქვეითად მხოლოდ,
ერთი მეორის დაწვენამდე მიწაზე, ხოლო
ვინც ტყვედ ჩაიგდებს თვის მეტოქეს, არ უნდა მოჰკლას,
არამედ ზღვართან მიიყვანოს — თვის სისხლს და მოდგმას
ასე მიაგოს მან პატივი. — ძლეული თავად
ზღვართან დარჩება, დამთავრდება ვიდრემდის დავა.
და აწცა დასტურ აღესრულოს ბრძანება ესე! —
მეომრებს ისღა დაგრჩენიათ, გახვიდეთ ველზე.
ღმერთები იყვნენ თქვენი შემწე! აღიღეთ ხმალი
და განაცხადეთ თქვენივ ნება ბრძოლით და ძალით!“

ხალხმა იქუხა — იგრიალა მეხმა ათასმა,
ექო გოდოლებს მიასკდა და ქედებს გადასცდა:
„კურთხეულ იყოს კაცთმოყვარე მეფე თეზევსი,
რაც უფრო ნაკლებ სისხლს ვიხილავთ, მით უკეთესი!“
დაჰკრეს დაფდაფებს და საბრძოლო ხმა ამორისხეს
და ჰეროლდები ხალხს წაუძღვნენ თეატრონისკენ.
ეზო და კარი გააგრძელეს გზაგზა ქუჩებმა,
დიასახლისებს უნახავი ვინ გადურჩება.
მეტოქეები მოჰყვებიან მეფეს მხარდამხარ
და მალვით უკან იხედება ორნივ ხანდახან,
ემილიას თუ უყურებენ. უკან თამამად
დარახტულ რაშებს მოაჭენებს ქალთა ამალა, —
დამწკრივებულან და გასულან გზაზე წყვილ-წყვილად
სეფექალები თვალუჟუჟნა და თვალციმციმა,
მზე შუბის ტარზე გასულიყო და მიამიტი
მანდილოსნების გულს იგებდა კარგი ამინდი.

მაღლით ჯდა მეფე, მერმე ქალნი, დაბლით ზვიადი
დარბაისელნი და გაივსო ამფითეატრი.
საფეხურებზე და მერხებზე დაჯდა დემოსი,
ყმები მიწაზეც მოკალათდნენ კარგა გემოზე,
არსიტის ჯარი დასავლეთის ჭიშკარს მოადგა,
ამოიოხრეს სეფექალთა და ბანოვანთა.
აღმოსავლეთით ურდულები შეხსნეს ალაყაფს

და პალამონის ასი კაციც გამობანაკდა.
წითელი დროშა დასავლეთის კართან ნანაობს,
თეთრი ალამი დაჰფრიალებს თავზე პალამონს.
საასპარეზო ველზე გასულ ორას მეომარს
არ აკლდა ძალა თუ მებრძოლის ფხა და მხნეობა.
ორივე გუნდი მაინც ისე ჰგავდა ერთმანეთს,
თითქოს შუაზე გაეჭრათო ვაშლი, ღმერთმანი.
იმათ წოდებაც ერთი ჰქონდათ, ჩინიც, თვისებაც,
და ასაკით ხომ ყველა ერთი იყო ისედაც,
ხოლო როდესაც ორივ გუნდი წყვილად დარიგდა,
ვერც განარჩევდით ერთურთისგან მათ ჭეშმარიტად.
ას-ასზე მეტი არ იყოსო — მეფის შიკრიკმა
ორჯერ გულდაგულ გადათვალა გუნდნი რიგრიგად.
კარი ჩაკეტეს, გადახედეს ერთურთს ქალებმა,
„ჯერი თქვენზეა, მეომრებო!“ — იყო ბრძანება.

რა სიწყნარეა, ნუთუ ველზეც არავინ არი,
აი ჰეროლდთაც ამოიღეს მუხლიდან ქარი,
მერე უეცრად შეარხია ჰაერი დაფმა,
და იმავ წამში დეზიც მოხვდა ლურჯას და წაბლას.
ახლა გამოჩნდეს რომელ მხედარს რამდენი ძალუძს!
ფარ-ხმლის ჯახუნი შეედავა დეზების წკარუნს.
წინ-წინ გავარდა, ვისაც მკლავი და გული ერჩის
და შუბის წვერი ჩაატოვა მეტოქეს მკერდში.
ხმლები ვადაში გადაიმსხვრა და რკინა წივის,
ნატეხს მზის ჭავლი დასციბრუტებს რკინასებრ ცივი.
დახიეს ჯაჭვი, დაუჩეჩქეს გვერდები ჩაჩქანს,
გაფატრეს მკლავი და თვალსა და ხელს შუა დაჭკნა,
იდინა სისხლმა, ტანზე გაჩნდა ლაქები მრეში,
ვიღაც აყვირდა და პირდაპირ შევარდა მტრებში,
ცხენმა უგანა, რაღა ეხლა გაუწყრა ღმერთი,
და ყმამ ბრაგვანი მოადინა ცხენების ფერხთით.
მერე ვიღაცამ იქ ვიღაცას უმარჯვა კეტი,
ხოლო იმ საწყალს, მგონი, აღარც დასჭირდეს მეტი.
ერთ-ერთი დაჭრილს ტყვედ მიათრევს დანიშნულ ზღვართან,
ისე ჩამოწყდა, აგერ-აგერ მოადენს ზღართანს.
კაცი მრავალი დაატყვევა ორთავე მხარემ,
ბარე ათ დაჭრილს კიდევ ელის ტყვეობა მალე.

მეფე გზადაგზა ასვენებდა დაქანცულ-დაღლილთ
და სულს ითქვამდა არანაკლებ დაღლილი ხალხიც.
მეტოქეებიც არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს,
ერთმა ჯაჭვიც კი ჩაუხია თითქმის ფერდამდე,
მეორემ ზუჩი გაუხვრიტა მაშინ მეტოქეს,
და ბარე ორჯერ ბანოვანთა გულნიც შეტოკდნენ.
ვერ მიედრება ომში არსიტს თვითონ გალადის
დაჭრილი ვეფხვიც გულბოროტი და მუხანათი,
პალამონივით საშინელი და შემზარავი
თვით ბელმარიის ულმობელი ლომიც არ არის.
ბრაზით და ზიზღით დაღმეჭიათ ორთავ პირსახე,
ომში კი ბრაზი სიგიჟეა, ზიზღი — სისწრაფე.
სისხლი წკანწკარით დაედინა თორს და მუზარადს
და სისხლის ფერი მათ ორივეს სულს უნუსხავდა.
მაგრამ ყველაფერს საწყისი და დასასრული აქვს,
სწორედ დასასრულს ესწრაფოდა მთელი დუნია,
უმისოდ მზეც არ ჩადიოდა, და ჰა, უეცრად
ემეტრიოსმა, ჰინდოთ მეფემ უჩაუქესმა,
ისარი სტყორცნა პალამონს და კაცთა აზნანთა
წაიღეს შენი პალამონი დათქმულ საზღვართან.
დატყვევებამდე პალამონმა კიდევ იძალა
და ჰა, იტვირთა ჰინდოთ მეფის ტანი მიწამან,
ლიკურგემ თავი გამოიდო, მაგრამ იმ წამსვე
ისიც ცხენიდან ჩამოიღეს იქვე მიწაზე.
აზრი დაკარგა შემართებამ და გარისხებამ,
რაკი ნათელი ყოველივე იყო ისედაც —
დანიშნულ ზღვართან ჩაუქინდრავს თავი პალამონს,
განზე გამდგარა, ანდა ვიღას ელაპარაკოს.
ერთად დამთავრდა მისთვის ბრძოლაც და სიყვარულიც,
გამჟღავნდა ბედის სიმუხთლე და მტრობა ფარული.
მაშინ თეზევსმა შემოგარენს მოავლო თვალი,
მოწეულიყო დრო სამართლის, განსჯის და ძალის,
მანდატურთაგან აღარავის აცალა ფიქრიც
და ასე არქვნა მან, მეუფემ, ჰეროლდთ და შიკრიკთ:
„დამთავრდეს ბრძოლა! ზედმეტ დავას არა აქვს აზრიც

და გამარჯვება წესისამებრ მიაგეთ არსიტს,
ემილიას კი მე არსიტის — თებელი მთავრის,
მეუღლედ ვრაცხავ, ასეთია ათენის მსჯავრი!“
ეს თქვა და ერთხმად იგრიალა თეატრში ხალხმა,
დაგუდული ხმით აგუგუნდა კლდეები გალმა,
გუგუნზე ჟრჟოლა წაეკიდა ტაძრებს და ზღუდეს,
შეკრთა ჰაერი და ნიავი წავიდა მრუდედ.
ნეტავ რასა იქს სიყვარულის დიდი ქალღმერთი?
დაწუხებულა და ბრაზი ჰკლავს სასოწარკვეთილს.
თაკილობს მსჯავრსაც და თვალებში ცრემლიც ერევა,
„წვიმას იწყებსო“ — ცას გახედეს ათენელებმა,
„ნუ ტირიხარო, — ანუგეშა მაშინ სატურნმა,
ნუთუ ვერა გრძნობ, შენი სიტყვა რომ არ გამტყუნდა.
არსიტს ბრძოლაში მარსი ჰყავდა გამმარჯვებელი,
მაგრამ მას ჩემთან ერთი ბრძოლა კიდევ ეგების!“
დასცხეს საყვირებს ჰეროლდებმა და შიკრიკებმა
და ბრძოლის ველზე მოზეიმე სპა იკრიბება —
ხალხი ბრძოლაში გამარჯვებულ ყმას ესალმება,
ხოტბა მიაგეს მას ელჩებმაც და დესპანებმაც,
ჯერ ადრე იყო დავანება შემოღამების
და უცბად უცხოდ გაირინდა შემოგარენი.
არსიტმა ზუჩი მოიძრო და ვითა ყრმა ცელქი,
მოახტა ცხენს და თეატრისკენ წავიდა ცეკვით.
ჩამოატარა მოედანზე ქურანა მფრთხალი
და გულის სატრფოს გაუსწორა შორიდან თვალი,
ქალწულმაც ნაზად გადახედა. ჩვენც ვუწყით, ვგონებ,
ბედნიერებას ყველა ქალი თუ რარიგ ჰმონებს,
გადახედა და გააყოლა ქალწულის გულიც,
მაგრამ უეცრად მიწით აღჩნდა ბუღი და ბური,
სატურნის გრძნებით თვით პლუტონმა გადუხსნა სიღრმე
ბედნიერ მეტრფეს, რათა მისი მოეშთო სიყრმე,
ბურმა ცხენს თავგზა აუბნია, უმტყუნეს მუხლთა
და შენი მეტრფე თავით მიწას დააწყდა უღვთოდ.
თანაც ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მაღლა ალბათ
გაკვირვებაც კი ვერ მოასწრო საბრალო ქალმა.
არსიტი თავქვე წავიდა და სიპი ქვა დახვდა,

დაცემულს მკერდი გაუნგრია ქურანას ტახტამ.
სისხლის ტბა დადგა, დაუღამდა თეთრი დღე შავად,
სულ უკუღმა და სულ ბედითად იდინა ჟამმა.
სასახლისაკენ წაასვენეს ცრემლით და მოთქმით
კაცთა აზნანთა მისი სისხლის და მისი მოდგმის,
ვერ გახადეს და ჩაუხიეს სატევრით ჯაჭვი
და მიბნედილმა რაღაც სიტყვა დამარცვლა ღვლარჭნით —
ემილიას თუ მოუხმობსო განგების ძალით
და სასთუმალთან დაუჯინეს მტირალი ქალი.
ავმა ამბავმა მოუშხამა გული გმირთაგმირს
და თეატრიდან გაემართა ათენს პირდაპირ.
გზადაგზა ჭმუნვაც დასძლია და სიტყვას უმატა,
იმის შემყურეთ მოელხინათ ვინძლო სტუმართაც,
ან ვინ დასტოვებს ამდენ სტუმარს უმასპინძელოდ,
თითქოს არც მარცხი უნდა იყოს საბედისწერო.
პირიქით, თითქმის კმაყოფილნიც ჩანან ისედაც,
ღმერთის წყალობით რაკი შუღლმა არვინ იმსხვერპლა.
კიდევ იოლად გადაურჩნენ... „შენ ეხუმრები
ამდენ მოქიშპეს“, — საუბრობდნენ გზა-გზა სტუმრებიც.
ვის რამ მალამო, ვის ბალზამის სუნიც ეამა,
ვის კაცმა არგო, ვის მჩხიბავმა და კუდიანმა.
აჰა, უებრო მრავალძარღვაც და ასფოდელაც —
ძვალი მოდგება... ჩირქი წავა... ყბა გასწორდება...
მეფემ აქიმნი დაასია დაჭრილ-დაკოდილთ
და ქსენონებში იყო ერთი ალიაქოთი.
არ დარიოსო ღამით ხელი სტუმრებს წუხილმა,
დილამდე სუფრას შემოუსხა და მოულხინა.
ორივე მხარეს აამა და კიდეც გაართო
და არც მათ დარჩათ რამ სადაო თუ საკამათო,
ტურნირი რისი ტურნირია, თუკი რაინდმა
მარცხი არ ნახა ან სახელი თუ არ გაითქვა.
თუ დაგესია უცბად ოცი კაცი მეომარს,
რაღა თქმა უნდა, ვერ გიშველის შენი მხნეობა.
შეგკრავენ, აბა რა იქნება, და გაკოჭილი
ტყვედ ეყოლები, როგორც ყმა და მონა-მორჩილი.
მხედარს კი არა, ცხენსაც უჭირს, — ამდენ ქეტებში

და მათრახებში არც მას ადგას დღე უკეთესი.
ცხენს რაღას ერჩი, ცხენმა მაინც რა დაგიშავა...
ჰოდა, ასეთ დროს ვინ გიწოდებს მხდალს და მშიშარას.
ლხინის ამბები ხალხს აუწყეს დილით ჰეროლდთა
და დაზავებულ სტუმრებს ყველა მასპინძელობდა.
და მაშინ აღარც სიყვარულმა არ დააყოვნა
და გადივიწყა ყველა მტრობა და უმძრახობა.
ურიცხვი გასცა საბოძარი მეფე ბატონმა
და უსაჩუქროდ, ყმა რაა და, ყმაც არ დატოვა.
კაი სამი დღე იქეიფა მთელმა ათენმა
და ჰა, მაღალმა მზემ მეოთხე დღეც გაათენა.
მაშინ თეზევსმა, ისე როგორც მეფეთ შეჰფერის,
გამოაცილა კარიბჭემდე ფეხით მეფენი,
გზა მშვიდობისა დაულოცა ვით მეგობარმა
და ასი ცხენი გზაზე თვის ჩრდილს გაეგოგმანა.
რაკი საერთოდ კიდევ დამრჩა სალაპარაკო,
მოდი, მივხედავ ჯერ არსიტს და მერე პალამონს.
არსიტს დღითი დღე უსივდება გულმკერდზე წყლული,
სიცხეც მატულობს და ვერაფრით ვერ იკლავს წყურვილს.
მკურნალთა ჯიბრზე სისხლიც უფრო შედედდა თითქოს
და ნაკვეთ სისხლში შხამად რჩება ხურვა და სითბო.
წამალმა პირი სააქეთო ვერ მოუნახა,
და ვერ ივარგა ვერც დანამ და ბალახბულახმა.
ვეღარც სიცოცხლემ იღორძინა, ძალი და ღონე
გაჰქრა და სული განწირული სნეულ გვამს ჰმონებს.
რა გამოდევნის სისხლში გასულ შხამსა და ბალღამს,
მყესი მოიწყლა, ძარღვი მოლბა და ხორცი გალღვა.
მოითელა და მოიმჩვარა ძვლის პირზე კუნთი
და მთელი ტანი დაშთა ვითარ უძრავი კუნტი.
გამოიცადა წამალიც და მალამოც ქვეყნის
და ის მკურნალნიც, ქვეყანას რომ იკლებდნენ კვეხნით.
მაგრამ აქიმებს გინდ გავარდეს სიქა და ქანცი,
თუკი სენს თვითონ ვერ ერევა ბუნება კაცის,
ხოლო ბუნება რა წავიდის უკუ და დაბლა,
მოეშვი აქიმთ და ძიება დაუწყე საფლავს.
და ჰა, არსიტიც მხოლოდ თავის აღსასრულს ელის,
არ მოირთვება ვიდრე სული წყვდიადით ბნელით,

არ დაინთქმება ვიდრე ბნელში ქვეყანა უღვთოდ
და სულთამბრძოლი სატრფოსა და პალამონს უხმობს:
„ჩემს უმწეო სულს ვეღარ ძალუძს თუნდა მცირედიც
გათქვას წუხილი მანამ, ვიდრე მივიძინებდე.
მსურს სათქმელივით დაგიტოვო სული ქალბატონს,
აწ ჩემი ბედიც და ცხოვრებაც სულმა განმარტოს.
შენ ერთადერთი თუ გაიგებ მას მოკვდავთაგან,
რაც ჩემს გვამიდან უკვე თეთრად ამოქანდაკდა.
ვაი ჩემს დღეს და ვაი ჩემს თავს! გაუხარებლად
გამომატარა რაოდენი გზა მწუხარებამ.
ვაი შენ, ჩემო ემილიავ, აწი ვერასდროს
ვეღარ გიხილო და ლანდადაც ვერ მოგელანდო.
გულის მეუფევ და სხეულის მით მოკვდინებავ,
ჩვენმა ბედმა თუ უბედობამ ასე ინება.
რაა ცხოვრება, რატომ ეტრფის კაცი სიცოცხლეს?
დღეს აქ ვარ, ჭია ხვალ საფლავზე ამომიცოცდეს.
არვინ ჩამყვება სამარეში, — მრუმე ბინდიდან
მარტო მოვსულვარ ამ ქვეყნად და მარტო მივდივარ.
ჩაიკარ გულში ერთხელ მაინც შენი არსიტი
და მოთმინებით მოუსმინე, კიდევ რას იტყვის:
ღმერთმა ისეთი ბედი მოგვცა მე და პალამონს,
დიდი ხანია გავხდით ქვეყნის სალაპარაკო
და, ვფიცავ ღმერთებს, ქვეყანაზე არვინ მეგულვის
მიჯნური მისებრ ერთგული და თავდადებული.
ენა ვერ იტყვის მის სიმტკიცეს და მოთმინებას,
მე ის ვიცი, რომ ის აროდეს არ იწირება,
ახლა ჭკუა და მოხერხება, მშვენიერება...
სახელი გინდა? — ბევრი მეფეც ვერ მიედრება,
ნუღარ იკითხავ მის გმირობას, მის სიმამაცეს,
ჯარს მოვწყვიტეთ და ოცმა კაცმა ძლივს დავამარცხეთ.
მე მასზე უფრო შენი ღირსი, შენი სწორფერი
არვინ მეგულვის სტუმართ შორის წუთისოფელის,
ურვა რომ წავა და ქორწილის დრო დაგიდგება,
ნუ დაივიწყებ პალამონს და ჩემს დარიგებას...“
ნერწყვი გაუშრა, ხმა წაერთვა, სიტყვა გაუწყდა
და გადმობერტყა გარეთ სული გვამის გვადრუცმა.

ტერფის წვერებზე შემოეჭდო ყინვა უეცრად,
ბარძაყებს შეჰყვა და მთელ სხეულს გარემოეცვა.
ცივი სიკვდილი სისხლს კუმშავდა და მიდევნიდა,
ძალა და ღონე იღვრებოდა ხმელ თითებიდან,
აზრმა და ცნობამ იუცხოვა ეს უძრაობა,
დაბნდა და მაშინ გულიც დადგა, ხორცი დაობლდა,
გაჰქრა ულპობი ჭვირიც მზისა, ვით უმთავრესი
ნიშატი კაცის და წყვდიადიც ჩადგა თვალებში.
ემილიასკენ დარჩა მზერა, ბგერა უაზროდ
ჩაინთქა მკერდში — რა სიტყვად ქმნა ვეღარ მოასწრო.
სულმა კი სულეთს მიაშურა, ხოლო იქამდის
ვერ მიდის ჩემი გონება და ვერც დავიქადნი.
მე პატრიარქი არ გახლავართ, სულის სამყოფელს
პატრიარქები იცნობენო, როგორც ამბობენ
და აქ არც იმას მოგიყვებით, რაც მისტიკოსებს
და მოგვებს წიგნად უწერიათ საიქიოზე.
მოკვდა არსიტი — ჩვენ მადლი და მის სულს ცხონება!
ცოცხლებს მივხედოთ, სული უფრო გვეუცხოება!
ცივად შეჰკივლა ემილიამ და ტირილს მოჰყვა,
დაწუხდა მეფეც, პალამონსაც აღმოხდა ოხვრა
და მერე ცხედარს განარიდეს მწუხარე ქალი
და სასახლეში დატრიალდა ცოდვა და ბრალი.
აქ დაწვრილებით არ აგიწერთ, თუ სატრფო ვითარ
ღამეებს თეთრად ათენებდა და ცრემლებს ღვრიდა.
თქვენც ჩემზე კარგად გაგეგებათ ობლობა ქვრივის
და იმის გულში რაც ტანჯვა და ვაება ღივის.
და ისიც უწყით, რომ სატრფო თუ მეუღლე ხშირად
ცხოვრებას განზე განუდგება და თავსაც სწირავს.
ათენში გლოვის დღე დაუდგა ყრმასა და ბებერს,
უბედურ არსიტს დასტიროდა ყმაცა და მეფეც,
ქვრივები მოთქმით მოძახოდნენ, დედები გაბმით,
ჭაბუკნი ჩუმად და ქალწულნი ქალწულებრ სხვაფრივ.
მე კი ვიტყოდი, ეგოდენი გლოვა და ურვა
არც ტროას ახსოვს, ტროელების რძალმა და მულმა,
შეგინებული როცა მათ წინ ცხედარი ეგდო,
ვერ დააღვარა ეგოდენი ცრემლები ჰექტორს.

ვაი, შენს ბედსო — პირს იხოკდნენ ცოლები, ვითარ
რას: გერჩოდაო ბედი ეგდენ ლამაზს და მდიდარს.
კაცთაგან ვერვინ თეზევსს ჭმუნვა ვერ განუქარვა,
მარტოდენ მამამ, კაცმა მხნემ და ტკბილმოუბარმა,
დაანუგეშა — ვით ბეხრეკმა და ვით ქუნქრუხმა,
კარგად იცოდა ბედის ბრუნვა წაღმა-უკუღმა,
და თურმე არც ის ეშლებოდა, რომ ამ სოფელში
გლოვას ლხენა ცვლის და გონჯს — კარგი და უმჯობესი.
და უთხრა: „ერთ დროს საფლავების ბედკრულ ბინადართ
აქ უცხოვრიათ, ეს მზე იმათ თავზეც ბრწყინავდა.
და ვინც ცხოვრობდა და ცხოვრებას ვინც იკვეხნიდა
ვით წესი, უნდა წასულიყო მერმე ქვეყნიდან.
რაა სოფელი, ნუთუ მართლა მწარე კვამლია,
მოვლენ სტუმარნი, იტირიან და კვლავ წავლიან
და დაღლილ მგზავრებს, როცა ძილი დაეუფლება,
დაავანებს და წარავლენსო ღმერთი სუფევად“.
და დაზაფრულს და დაწუხებულს სიტყვამ კეთილმა
გული მოულბო და იმედი გააბედვინა.
მაგრამ ცხედარს ხომ მოვლა უნდა და აღაპს ზრუნვა —
რომ ახლა მაინც გაიხაროს არსიტის სულმა.
და ითათბირა ხაზინდართან თეზევსმა დიდხანს,
თუ რა პატივი ეგებოდა რაინდს და დიდგვარს.
და გარდაწყვიტეს — კორდის პირზე, ჭალაში, სადაც
პალამონსა და არსიტს სიმწრის დღე ადგათ მართლაც
და უმტკიცებდნენ ერთურთს ტრფობის უფლებას ბრძოლით,
რომელი იყო მტყუანი და რომელი სწორი,
სადაც არსიტი გულის წუხილს, დარდსა და ფიქრებს
უმხელდა ხეებს, — სწორედ იმავ ჭალაში, იქვე,
აუგონ წესი და ცხედარი კოცონზე დასწვან,
ასე სთქვა მეფემ და ჰეროლდმაც ბრძანება გასცა.
წამოაქციეს ასწლოვანი მუხა და თხმელა
და ხუროებმა გამორანდეს ძელები ხელად,
მაღლით დაეწყოს გარდიგარდმო ძელები ძელებს
და ზედ ცხედარი და სასახლე დაიდგას მერე.
ხოლო შემდგომ კი დიდი ცეცხლი შეუდგეს დაბლით
და მოეკმიოს ჟამიდან-ჟამ მური და ამბრი,

ხოლო თეთრი და ვარდისფერი ძოვნ და დიდა
დაგვირისტდეს და ჩაეფინოს სასახლეს შიგან,
გაპატიოსნდეს თეთრი დიბით ტან-ფეხიც ცხედრის
და ხელთათმანი მათგან იყოს უდავოდ თეთრი.
დაფნის გვირგვინით დაამშვენეთ, ხელში კი ხმალი
ააღებინეთ — არც ჰადესში იქნების მხდალი.
მერე საცხედრე დაასვენეს სასახლის ბაღში,
ეთხოვებოდა ცხედარს ქალი, კაცი თუ ბავშვი.
მის უბედობას დასტიროდნენ ვაებით დიდით
და ვეღარც მეფე იმაგრებდა ტირილს და ქვითინს.
პალამონს თმებიც მოეზარდა და წვერ-ულვაშიც
და მთელი სახე დაღარვოდა მიწყივ ურვაში,
უბედურს უხვად მოეყარა თმებზე ნაცარი
და საპყარივით დადიოდა ბანცალ-ბანცალით.
ემილიას კი ნუ იკითხავთ, — ისე ბღაოდა,
რომ ატირებდა ქვასაც მისი საცოდაობა.
და ისე, როგორც დათქვეს, მეფემ ცხენი ასიდან
მეჯინიბეებს მხოლოდ სამი შეაკაზმვინა,
არსიტის ღერბი დააქარგეს სქელ თოქალთოებს
და ცხენებს მიწა გაუგდეს და გაუფართოვეს.
ერთ მხედარს მხოლოდ გარდაცვლილის შუბი მოჰქონდა,
მეორეს ფარი მოჭედილი წმინდა ოქროთი.
ხოლო მესამეს ხელთ თურქული მშვილდი ეჭირა —
ვით მეჯინიბეთ განარიგეს თავში ბეჯითად.
და ჭალისაკენ მგლოვიარე ხალხი დაიძრა,
ეტირებოდა ყრმას და მოხუცს, ქალს და რაინდსაც.
ხოლო საცხედრე საბერძნეთის დიდგვართ მოჰქონდათ
და გმირთაგან და დიდგვართაგან იყო კოჰორტაც.
მთავარი ქუჩა გაატარეს ნელი ნაბიჯით,
უხმოდ ვიდოდნენ წყნარ ქალაქში და წყნარ ამინდში,
სახლებს და ქუჩებს ბინდისფერი ძაძა ემოსათ —
მთელი ათენი დაამსგავსა ღამეს დემოსმა,
ცხედარს მხარმარჯვნივ მოჰყვებოდა მეფე თეზევსი,
მხარმარცხნივ მამა უხუცესი და უბებრესი,
ხელთ თასნი ეპყრათ როგორც მამას, ისე გმირთაგმირს,
სისხლით და ღვინით, რძით და თაფლით სავსე პირთამდი.

პალამონს ირგვლივ შემორტყმოდა ხალხი ზღვასავით,
ხოლო მათ უკან გულმოკლული და ჭირნასვამი
მარტოდ ვიდოდა ემილია ხელში კელაპტრით.
მას, რჯულისა და წესისამებრ ძველის ელადის
უნდა დაეგზნო წმინდა ცეცხლი. გუნდმა მონათა
აჰა, გვირგვინად სარეცელი კოცონს მოადგა.
კოცონი იგი მაღლივ ტაძრებრ იყო ნაშენი,
განი და სიგრძე მისი კიდევ ოცი საჟენი,
ფიჩხი და ჩალა ფუძის პირზე ეწყო კონებად,
სასახლე რბილად ირწევაო ზედ — გეგონება.
    არსად ეტვირთა მიწას გვამი ასე იოლად,
ხეებს სახელი ეგოდენი არსად ჰქვიოდათ:
ნაძვი, ჭადარი, კვიპაროსი, მუხა, ჩინარი,
არყი, კოპიტი, ზეთისხილი, ვერხვი, იფანი,
თხმელა, წიფელი, ევკალიპტი, წაბლი, კედარი,
არსად ღმერთები არ ყოფილან ასე შემცბარი,
როცა ტყე მოსჭრეს და შორეულ მთებს მიადენეს
იმ ადგილიდან ნიმფა, ფავნი და დრიადები.
არ გაიმეტეს ერთად არსად ხე ამოდენი,
ამდენჯერ არსად არ ენახათ ფესვებს ფოთლები,
არსად ამდენი არ დამფრთხალა ერთად ფრინველი,
არსად ენახა მხეცს ასეთი დღე საშინელი,
არსად დამჭკნარა ასე უცბად და უჩვეულოდ
ბალახი, ასე ჭალა მინდვრად არსად ქცეულა.
არსად კოცონი ასე მაღლა არ აზიდულა,
არსად საცხედრე არ მოურთავთ ასე მდიდრულად.
არსად არავის არ ენახა ერთად ამდენი
ნელსაცხებელი, მური, ამბრი, მუშკი, სანთელი,
ატლასი, დიბა, მოვი, თვალი პატიოსანი,
ია, მიხაკი, ფურისულა, ვარდი, სოსანი,
დიადემების, გვირგვინების, გირლიანდების,
თაიგულების და წნულების მირიადები.
და არც არსიტი არ ყოფილა თურმე საცოლის
ხელით დანთებულ სარეცელზე არსად ნაწოლი
და არც მშვენიერ ემილიას არსად უთუოდ
კოცონი საქმროს დასაწვავად არ აუნთია.

სიკვდილი ასე სულიან და ასე ხორციან
არ ეგრძნო სატრფოს, ასე არსად არ ულოცია.
    მძლავრობდა ცეცხლი, შიგ აყრიდა ხალხი საბოძვარს,
ჯერ მცხუნვარებამ ძელებიდან წყალი გამორწყა,
და როცა თავი წაუქციეს თაფლის ბარძიმებს,
ვეება ფრთები დაიქნია ცეცხლმა არწივებრ.
თაფლს რძე და ღვინო მიაყოლეს, და როს ფარ--ხმალიც
ჩაყარეს, უკვე ნავარდობდა ცეცხლი მაღალი,
ხალხმა ცეცხლს სამჯერ დაუარა, სამჯერ უყივლა,
ჭალა და კორდი გადირბინა სამჯერ ქუხილმა,
სამჯერ აღმართეს მეომრებმა მაღლა შუბები,
მერე შინისკენ გაემართნენ ქალნი უკლებლივ,
მერე კოცონი მოითელა, ცეცხლი გამოქრა,
ფერფლი გაცივდა, მერე კიდეც მოსაღამოვდა,
ხოლო ვით ღამე უთიეს და სისხამ დილითვე
თამაშობანი განაახლეს და იჯირითეს —
ამაზე ვერას მოგახსენებთ, ამად ასევე
ვერაფერს კრივზე და ჭიდილზეც ვერ მოგახსენებთ,
ვინ სად იმარჯვა, ვის წყალობდა ბედი ჯირითზე,
ვით დაცხრა წყლული, და ვით მოწყლა ლხინმა ჭირიცა.
მე მთავარს ვიტყვი — და ამბავიც ესე ეგების
დაგვნებდეს ბოლოს, როგორც ციხე აუღებელი.
    მას შემდეგ ბევრმა ჩაიარა წყალმა და ბერძნებს
დარიც ედგათ და ღვთის წყალობაც ჰქონიათ ბევრჯერ.
და დღესა ერთსა ჯდნენ ბერძნები პალატში ბჭობად,
ჭვრეტდნენ მომავალს, აფასებდნენ აწმყოს და მყობადს,
არ დარჩენიათ განუსჯელი კარგიც და ნაკლიც
და როცა წყვეტდნენ მეზობელი ქვეყნების საკითხს,
ორიოდ სიტყვა სხვათა შორის იმაზეც ითქვა,
რომ მეტი ნდობა ეგებოდათ თებესთან დიდგვართ.
მაშინ თეზევსმა შიკრიკები აფრინა თებეს,
ათენში თვისთან პატიჟობდა პალამონს მეფე.
ის კი დაფრთხა და გზას ათენში გაუყვა უმალ,
თითქოს ავი რამ უგრძნო ავის ჩვეულმა გულმა.
მაწ — იქეთურის, აქეთურის თეზევსმა უთხრა,
მერე დასხდნენ და ემილიაც აწვიეს სუფრას.

თეზევსი დიდხანს შეჰყურებდა მდუმარე დარბაზს,
პირველი სიტყვა მასპინძელსაც უჭირდა ალბათ,
არ სურდა ბნელით გამოეხმო წუხილი ძველი,
არადა ტრფობა აგერ უკვე მრავალი წელი
ელოდა პასუხს და მეფემან დასძლია რიდი
და სტუმარს სიტყვა მოახსენა წყნარი და მშვიდი:
„უწინარეს და უპირველეს, ყოვლის გამჩენმა
ჩვენს გაჩენამდე სიყვარულის ჯაჭვი გაჭედა,
არ დაკარგოსო გზა ცხოვრების არსმა არც ერთმა
და ჯაჭვით შეჰკრა და ერთმანეთს შეუნაწევრა.
უკუნისამდე უკუნითი მან მეუფემან,
ასე დალოცა შეერთება და შეუღლება
და განაწესა ჰასაკი და ჟამი ურღვევი,
ჟამი ავსების, მოწიფების და დაუღლების.
დროს ვერ გადუვა ვერა ქალი, თუ გადაუვა,
ქალობაც მისი მით სათუო და სადავოა.
ვიეთნი თვისის ვნებისა და გზნების წყალობით
ჰასაკზე ადრე ესწრაფვიან ნაყოფს ქალობის,
ხოლო სახელის და ღირსების მოტრფიალენი —
უფრო მდორედ და ხშირად უფრო მოგვიანებით.
მაგრამ ასეა თუ ისეა, ცხადი ის არის,
რომ მუდამ უნდა აღესრულონ ჟამნი ღვთისანი,
თვითეულ არსში ღმერთის ნება ასე ვლინდება.
ეს არის მისი ძალაცა და მისი დიდებაც.
ნაწილი მრთელით განმტკიცდება — კაცი რომელიც
მრთელს არ ცნობს — არის თავის მტერი დაუნდობელი,
ძველი ქაოსი სიყვარულის დიდმა ბეზიკმა
ამ ჯაჭვით შეჰკრა და ამ წესით დააწესრიგა,
ყველა არსთაგან, ლეგენდები ვით გვიამბობენ,
წარწყმდა ამ წესის მხოლოდ ურჩი და მეამბოხე,
განგებამ სულნი მათ არსთა და მყოვარ საგანთა
რიგ-რიგად ერთურთს დააწყვილა და ასაყვარლა.
მეტრფეს სხვა სატრფო შეუნაცვლა, მზე ბნელს შეყარა
და უსასრულოდ აღორძინა ესე ქვეყანა.
ფესვებს ღერო ცვლის, ღეროს შტო და შტოებს კვირტები —
ეს ყველამ ვიცით, თუ რომ ოდენ დავუკვირდებით,

ავიღოთ მუხა, მაგალითად, რკოში ცხოვრება
ფესვებს რომ გადგამს მუხას უკვე ეუცხოვება,
მერე უზომოდ გაიზრდება და გაივსება,
ბოლოს მოტყდება, დაჭკნება და გარდაიცვლება.
ქვაც რომ ქვა არის — მტვერი ხდება გაუთავებელ
მისვლა-მოსვლაში და მტვერს ქარნი ასუფთავებენ,
ანდა რამდენი წყალმრავალი დაშრა მდინარე,
ბევრი ვარსკვლავი მოწყვეტილა სხივმომფინარე,
ყველაფერს ერთი პირუთვნელი წესი განაგებს —
დღეს ხავსი ფარავს ბევრ ნასოფლარს და ნაქალაქევს,
აქ შეყრილ ყველა ჩვენთაგანსაც ეს დღე მოელის,
მზე რომ მზე არის, არც მზე რჩება ჩაუქრობელი,
ისე ფართოა ეს შარა და ისე დიდია,
რომ ზედ მეფენიც და მსახურნიც ერთად მიდიან.
იგი ზოგს ზღვაზე შემოხვდება, ზოგს სარეცელთან
და გზაზე ყველა დაქანცული მგზავრი ეცემა,
და ყოველივე ამას წმინდა და უდიდესი
წარმართავს ძალა, ვით მიზეზთა დიდი მიზეზი.
ფესვებს და ფოთლებს, მთის მწვერვალებს, ქვებს და ბალახებს,
ადამიანებს, ყველა სულდგმულს, სოფლებს, ქალაქებს
და ღელეებს და მდინარეებს თუ წყალვარდნილებს
იუპიტერი მოავლინებს და წარავლინებს.
ვინ აღუდგება ღმერთის ძალას? ან მოკვდავთაგან
იოტისხელა ძალუძს ვინმეს რამის გარდაქმნა?
მაშინ, ყველაზე ჭეშმარიტი ისა ყოფილა,
რომ სცნო ღვთის წესი შენის ბედით თვით კმაყოფილმა,
მიენდო ბედს და შეენივთო ნებსით განგებას —
მხოლოდ ის წესი არ ქრება და არ იკარგება.
უკუღმართს უყვარს ბუზღუნი და მიწყივ ყოყმანი,
მას მოაქვს ჯანყი და ამბოხი ძმის და მოყვარის,
ანდა რაღა დროს ბუზღუნია — მოკვდა არსიტი,
არ ჩანს საშველი აღარც აქეთ და აღარც იქით.
ღვთის წყალობაა, მე თუ მკითხავთ, მოკვდე ძლიერი,
ვიდრე უმწეო და უძლური, ღრჯუ და ხნიერი,
თუ მოსაკლავი იყო კაცი, მაშინ ასეთი
კარგი სიკვდილით არ მომკვდარა ჩვენგან არც ერთი.

ხოლო სიკვდილი მშვენიერი არის იმდენად,
მასში სიცოცხლის რამდენადაც მზე დაინთქმება.
სიკვდილს სიცოცხლე ალამაზებს, თორემ სიბერე
არის შვენების სიმცირე და გონჯის სიბევრე.
სიკვდილიც უნდა გიხაროდეს თურმე, რამეთუ
სიყრმე მეტია სიბერეზე თუნდ სიამითურთ.
რაღას ვწუწუნებთ, რას ვბუზღუნებთ, თუ ათასებში
მარტოდენ არსიტს ხვდა სიკვდილი ულამაზესი,
რაღას ყოყმანობს მისი ძმა და მისი საცოლე,
ამდენ გლოვაში რაა კარგი და მოსაწონი.
აწუხებთ ცაში იმის სულს და ძვალს სამარეში,
თავსაც ნიადაგ იწამებთ და მით უარესი.
ხოლო თავად მე ასე ხანგრძლივ იმად დავშვერი,
რომ არ იქნა და არ დაადგა თქვენს ბედს საშველი.
მინდა შეუღლდეთ და ახალი შეჰქმნათ ცხოვრება,
კაცთა კაცის ვყოთ — ღმერთს მადლი და მის სულს ცხონება!
ერთ სიხარულად შევაერთოთ ორი ნაღველი
და ვიყოთ ღმერთის დიდი ნების გამომსახველი".
მერე ცოლის დას მიუბრუნდა: „მე ჩემი გარქვით,
აწ თქვენვე უწყით თქვენი ბედის ავიც და კარგიც.
აგერ პალამონს ამდენი ხნის ცდითა და თმენით
გაუყაჟირდეს ლამის შავი ბინდივით თმები.
ერთგულებით და სიყვარულით ეგოდენ წრფელით
დაიმსახურა ჭეშმარიტად მან შენი ხელი.
მის გულს აკლია, დაო, შენი დასტური მარტო
და ჩაბარდები მეუღლეს და მეუფე ბატონს.
ვნახოთ ამჯერად წყალობაც და სიკეთეც შენი,
ღვთით ბოძებული ეგ ქალობა თუ ვითარ გშვენის.
მეფე კი არა, მსახურიც რომ გყოლოდა საქმრო,
ვერ აუქცევდი გვერდს, იმდენი მან შენთვის დათმო.
დიდი ურვითა და შურვილით ეგოდენ ურჩით
მან შენი გარე შემოწერა განძი და უნჯი...
შენ კი რაინდო, — მიუბრუნდა პალამონს მეფე,
ვით თავდადებულს და მეტრფეთგან ჭეშმარიტ მეტრფეს,
ის დაგრჩენია შენს დედუფალს მოჰკიდო ხელი".
და გაფართოვდა დარბაზები ფართო და ვრცელი.

ცრემლები წასკდათ სეფე-ქალთ და სიცილი დიდგვართ
და ლოცვისა და კურთხევისაც მრავალი ითქვა.
მერე ქორწილი გააჩაღეს და მერე მარტო
დარჩნენ და ღმერთმა სიყვარულის მათ ნებაც დართო.
ცხოვრობს თებელი პალამონი ტკბილად და მშვიდად,
მასთან ბედი და ღვთის წყალობა სტუმრობენ ხშირად,
ემილიას კი ისე უყვარს თავისი ქმარი,
ისე ზრუნავს და მისი ისე მორჩილი არი,
რომ არც კი იცის თუ არსებობს ქიშპი და ეჭვი
და უცილობლად ყველაფერში ქმარს უდგას გვერდში.
აწ, დავასრულოთ, მოდი, ჩვენი ამბავიც ამით
და ღმერთმა ჩვენდაც ჰყოს ზეგარდმო კურთხევა — ამინ!

აქა დასასრული რაინდის ამბისა.

მეწისქვილის ამბავი*

რაინდის ამბავი ყველას მოეწონა და კმაყოფილმა ჰარი ბეილიმ, მეფუნდუკემ, ის იყო სიტყვა ბერს გადაულოცა, რომ კარგად შეზარხოშებულმა მეწისქვილემ უცბად ყვირილი ატეხა, არავის ყური არ ათხოვა, ერთი ორჯერ მეფუნდუკის საცემრადაც კი გაიწია და, ბოლოს, თვითონ დაიწყო პატარა სალაღობო ამბის მოყოლა ერთი ხუროსა და მისი მეუღლის შესახებ.

გულუბრყვილო და ხანდაზმული ხუროს სახლში მდგმურად ცხოვრობს სტუდენტი ნიკოლასი და ახალგაზრდა დიასახლისს, ლამაზ ალისონს შორიდან ეკურკურება. ვნების ციებ-ცხელებით შეპყრობილი ყმაწვილი, როგორც იქნა, ერთ კვირა დღეს ჩააგონებს სახლის პატრონს, რომ ორშაბათს წარღვნა დაიწყება; ხურო ოჯახის გადასარჩენად თადარიგს დაიჭერს და მთელი ღამე მუშაობს. ამ დროს ნიკოლასი და დიასახლისი სახლში სიამტკბილობენ, მაგრამ ალისონის მეტრფე დიაკვნის, აბსალონის, მოულოდნელი სტუმრობით ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდება, ხმაურზე მეზობლები მოცვივდებიან და შეიტყობენ ამ სასაცილო ამბავს.

* ეს და კიდევ რამდენიმე მოთხრობა ქართულ თარგმანში გამოტოვებულია. მათ ნაცვლად მოცემულია ამ მოთხრობების მოკლე შინაარსი.

მოურავის ამბავი

მეწისქვილის მოთხრობამ მგზავრები გაახალისა; მხოლოდ ხუროდყოფილ მოურავს ვერ მოუნელებია იგი, საკუთარ შეურაცხყოფად მიაჩნია მოხუცი ხუროს სირცხვილი და მეფუნდუკეს სთხოვს ამბავი მოაყოლინოს ერთ მეწისქვილეზე.

კემბრიჯთან ახლოს, სოფელ ტრემპინგტონში, ცხოვრობდა ქურდი და ყიამყრალი მეწისქვილე ცოლით, გასათხოვარი ქალიშვილითა და ძუძუთა ყრმით. ერთ დღეს ორი სტუდენტი ეწვევა მის წისქვილს ხორბლის დასაფქვავად. მეწისქვილე სტუდენტებს ცხენს დაუფრთხობს და თავის ქალიშვილს ნახევარზე მეტ საფქვავს გადაამალინებს. ჯაგლაგის ძებნით გასავათებულ მუშტრებს შუაღამემდე შეაგვიანდებათ და ისღა დარჩენიათ მეწისქვილეს ღამის გასათევი სთხოვონ დარჩენილი ფქვილის საფასურად, რაზედაც ძუნწი მასპინძელი სიამოვნებით თანხმდება. ღამით ოთახის სივიწროვისა თუ ბედის ჭირვეულობის გამო ერთი სტუდენტი მეწისქვილის მეუღლეს დაეპატრონება, მეორე კი მის ქალიშვილს. დილით ყველაფერი გამომჟღავნდება, მაგრამ მეწისქვილეს საჯაროდ თავის მოჭრის ეშინია და ბედს ურიგდება.

ვექილის ამბავი

ამასობაში პილიგრიმებმა საკმაოდ დიდი მანძილი გამოიარეს. გზადაგზა კიდევ კარგა ხანს ირთობდნენ თავს სტუდენტთა ოინების მოგონებებით და გულიანად ხარხარებდნენ. მზე შუბისტარზე იქნებოდა გადასული, როცა მეფუნდუკემ ცხენი შეაყენა, დრო არ ითმენსო—შეუძახა ხალხს და ვექილს სთხოვა მორიგი ამბავი დაეწყო. ამ უკანასკნელმა თავი ჯერ შორს დაიჭირა — გამორჩეული ისეთი არაფერი ვიციო და ვერც ჩოსერივით მომყვებაო სიტყვა, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა ჰარი ბეილის ნებას და თავისი აღთქმის აღსრულებას შეუდგა.

რომაელი იმპერატორის მზეთუნახავი ქალიშვილის, კონსტანცას სილამაზის ამბავი სირიის სულთნის ყურამდეც მიაღწევს და მის ხელს სთხოვს გვირგვინოსან სასიმამროს. სათნო და ღვთისმოსავი კონსტანცა მხოლოდ მაშინ მისთხოვდება სულთანს, როცა ეს უკანასკნელი მაჰმადიანობას ქრისტეს სჯულს ანაცვალებს, მაგრამ მალე ბრბო აღსდგება, გაქრისტიანებულ სულთანს დაამხობს და მოჰკლავს, ხოლო დედოფალს ძველი ნავით შუა ზღვაში გაიყვანენ და ბედის ანაბარა დასტოვებენ. იმედს არ ჰკარგავს კონსტანცა, დღედაღამ ლოცულობს და სულს იმაგრებს. ნავი ბოლოს ბრიტების ქვეყანას მიადგება. კონსტანცას მშვენებით მოხიბლული ბრიტების მეფე ალაც თმობს თავის წინაპართა ღმერთებს, ქრისტიანად მოინათლება და ცოლად შეირთავს მზეთუნახავ ქალს, რომელიც მას ვაჟს აჩუქებს.

ბედის სიმუხთლე კიდევ მრავალგზის დააკარგვინებს კონსტანცას მყუდროებას და სამკვიდრებელს, მაგრამ რწმენა და ღმრთისადმი ერთგულება ყველაფერს უკლებლივ ისევ მოაბოვებინებს. მის ვაჟს, მავრიკიას რომის პაპად აკურთხებენ.

მეზღვაურის ამბის პროლოგი

ცხენზე გასწორდა მეფუნდუკე: „ამ ამბავიდან
ჭკვიანი კაცი, მეგობრებო, ბევრს ისწავლიდა,
მაგრამ, მამაო, დამერწმუნე, ეს შენს ღირსებას
არაფერს ავნებს... მაშ, დაიწყე, შენ ხომ ისედაც
ჭკუის თუ სიბრძნის მოძღვარი ხარ... ღმერთო, გვიხსენი!
აბა, მამაო, შენი ხმალი — ჩვენი კისერი“.

კარგიო, მაშინ მღვდელმაც აღარ დაუგვიანა, —
ოღონდაც პირჯვარს ნუ იწერო, შვილო, ნიადაგ.

„არა, მართლაო? — შეიცხადა სახლის პატრონმა, —
ზუსტად ამ პასუხს მოველოდი შენგან რატომღაც,
ძველი ხარ, ძველი, — ჯერ არც გითქვამს, კაცო, ზღაპარი
და გაიყიდე, ანდა მე რას გამომაპარებთ,
ნაღდი ამბავი თუ იწყება, ახლა იწყება —
გეენის ცეცხლი, ცოდვა, ტანჯვა, შვიდი ცთუნება,
სხვა რამ, ამაზე უკეთესი, არც გვეგულება.
ჰოდა, მზადა ვართ, ყურთასმენას ნუ დაგვიჩლუნგებ,
გისმენთ, ბატონო... ეჰეი, მანდ ცოტა სიჩუმე!“

„მამის სულს ვფიცავ, მაგას წყალს ვერ ავამღვრევინებ, —
თქვა მეზღვაურმა, — ძმაო, სიტყვა მეც მათქმევინეთ,
რა მოხდა, გინდაც მღვდელი იყოს! ან რა მიცვნია
მეზღვაურს მღვდლობის; არა, ძმაო, არა, ბიძია,
ეგ რომ მოჰყვება შეგონებებს და იქადაგებს,
ჩვენ მერე იმის ამოძირკვას უნდა გადავყვეთ.
მე დამაცალეთ, დროს რომ ვკარგავთ აქ უმაქნისოდ,
გული მიკვდება, ერთი უნდა გამოგაფხიზლოთ.
მე არ ვარ, ძმაო, არც ბრძენი და არც მჭევრმეტყველი,
ჭირის დღესავით მძულს ლაქლაქი მათებრ ბრტყელ-ბრტყელი,
ეს ლოღიკაო, ეს სიბრძნე და რიტორიკაო, —

ეგლა მაკლია, მეც ქალივით ვიჭორიკანო.
ანდა გზადაგზა ლათინურით რომ გაგვბერავენ! —
რა ვქნა, ეს კუჭი ვერ ინელებს უცხოს ვერაფერს.

მეზღვაურის ამბავი

აქა დასაწყისი მეზღვაურის ამბისა.

პატარა ქალაქ სენ-დენიში, არც ისე ძველად
ცხოვრობდა ერთი დიდვაჭარი, და როგორც ყველა
მისებრ დიდვაჭარს, მასაც ჰქონდა იერი მკაცრი,
ჰქონდა პატივიც და სახელიც ჭკვიანი კაცის.
მეუღლე ჰყავდა, კაცს უნახავს გახდიდა ქალის,
არადა მართლაც რას ნახავდა უკეთესს თვალი.
ჰოდა, არც უნდა დაუკავოს ჭკვიანმა კაცმა
ასეთ ქალს გავლა-გამოვლა და გემოზე ჩაცმა.
მაგრამ ზოგს გარდა პურისა და ლოგინში წოლის,
სხვა სიკეთეზე მიჩვეული არა ჰყავს ცოლი.
დაპირებები კი — იცოცხლე! — იციან ბევრი
და ბოდიშობენ მერმე დიდის კოცნით და ხვევნით,
ისე კი რა სჯობს იმას, როცა ვაჟკაცი ქმარი
ცოლის ნამდვილი პატრონი და მზრუნველი არი.
არ აკლებს ტან-ფეხს, ხელის გულზე ქინძი რომ მოჰყავს
და საჭმელ-სასმელს ოჯახში რომ მოაყრის ოხრად.
მაგრამ თუ ძალზე ღარიბი ან, შეგცოდე ღმერთო,
ძუნწია ქმარი და ქვაწვია კაცია ერთობ,
მაშინ სხვამ უნდა შეინახოს იმისი ქალი,
ან ქირით გასცეს, რაც ძნელი და საშიშიც არი.

მდიდართან ერთად დიდვაჭარი გახლდათ გულუხვიც
და ვერ ცხოვრობდა ერთი იჯრით, ერთი ულუფით.
და დილიდანვე ღია ჰქონდა კარი სტუმრისთვის,
მის პურს მდიდარიც და ღარიბიც ჭამდა ურიცხვი.
ხოლო მათ შორის ერთი ბერი განსაკუთრებით, —
ხალხს დამოძღვრავდა და მარილს და პურს აკურთხებდა,
მერე იჯდა და გემრიელად გიახლებოდათ, —
თვეში ორ-სამჯერ შეივლიდა მიახლოებით.

ოცდაათი წლის იქნებოდა, მაგრამ გაქექილ
კაცს ჰგავდა, იყო თამამიც და წარმოსადეგიც.
ის და ვაჭარი თურმე ერთურთს ცნობდნენ ყრმობიდან
და ნაცნობობა სამეგობროდ დღესაც ყოფნიდათ.
ხოლო სულიერ ძმასთან, კარგად მოგეხსენებათ,
დაახლოება ვაჭრებს როგორ ესახელებათ.
ბერიც მოყვარეს უწოდებდა, — განა ზემოდან
უცქერდა ძმობილს, — იმას რამე შეეშლებოდა?!
ჰოდა, ვაჭარი ვერ უძლებდა გრძნობას მცირედსაც
და საპატიო სტუმარს გზამდე მიაცილებდა, —
ეტყოდა, ძმაო, ვინ გაყოო ჩვენი ქონება,
ეს ოქრო-ვერცხლი შენიც არის, მამის ცხონებამ.
ძმა ჯონი (ჩვენს ბერს ჯონი ერქვა) — კარგი, ერთი.
ხომ არ გგონია ფული ხელის ჭუჭყზე მეტიო.

არ მოვიდოდა უსაჩუქროდ ბერი ვაჭართან,
ქვას გახეთქდა და თავს ყველასთან მოიქაჩლავდა.
ჩამოუვლიდა ბავშვებს, ქალებს, მერმე კაცებს და
მსახური რაა, მსახურსაც კი გულს არ დაწყვეტდა.
გვიან ღამემდე შეიქცევდა სტუმრებს იგავით, —
რაღაც თხრობა თუ სიტყვა ჰქონდა მაინც იმგვარი,
ყველას თავ-თავისს შეურჩევდა, უცხო სტუმრებთან
კაი დიდი ხნის ნაცნობივით ისაუბრებდა.
ჰოდა, ბერს ხალხიც, რაღა ბევრი გაგიგრძელოთ და,
ჩიტი რომ მზის სხივს ელოდება, ისე ელოდა.

ერთხელ ჩვენს ვაჭარს ბრიუგეს დიდი ბაზრობა უქეს
და დასთქვა კიდეც წასულიყო სავაჭროდ ბრიუგეს.
მანამდე კაცი გაუგზავნა პარიზში ძმობილს, —
ოჯახში სტუმრად პატიჟობდა კეთილის გრძნობით:
სხვა არვინ მყავსო, წინასწარვე მადლობას გწირავთ,
წასვლამდე მინდა გავატარო ორი დღე ტკბილად.

ბერს კუდი ჰქონდა გადასკვნილი აბატთან კუდზე
და წამოსვლაზე ნება დართო იმანაც უცებ, —
ენდობოდა და ვერაფერში ეტყოდა უარს,
მე შენ გეტყვი და ბერსაც ენა აკლდა თუ ჭკუა.
ის იბარებდა მონასტრების მოსავალს მუდამ,
ხოლო ასეთ კაცს ფერებაც და პატივიც უნდა.

დილით მიადგა სენ-დენიში დიდვაჭრის კარებს
და შესახვედრად გამოცვივდა ოჯახი გარეთ.
თან წამოეღო ორი კარგა მოზრდილი ტიკი —
აქეთ მალვაზის ღვინო იდგა, ვერნული — იქით,
კაკბებიც ჰქონდა, იქეიფეს მოყვრებმა კარგად
ის ორი დღე და ლამის ჭერიც ახადეს დარბაზს.
მესამე დღეს კი დილიდანვე ჩვენმა ვაჭარმა
თავის კანტორის ახლოს არვინ გააჭაჭანა, —
არ შემეშალოს ანგარიში დანახარჯისო —
მიუჯდა დავთრებს, ხელი გაჰკრა საანგარიშოს.
ეს საბაჟოო, ეს სარფი და გასავალიო, —
ბალანსზე ყველა წვრილმანიც კი დასაყვანია,
ჰოდა, იჯდა და გადითვლიდა ვერცხლით პირსავსე,
ოქროთ პირსავსე ათასნაირ ქისას ქისაზე.
ერთი ამბავი ჰქონდათ უკვე გარეთ მსახურთა,
მეუღლეც ადგა, ცეცხლი გაჩნდა, კერაც გახურდა.
ამასობაში გაახილა თვალი სტუმარმაც,
მან კი ანგარიშს თავი მაინც ვერ მოუყარა.
ჯონიმ კი ბაღში უცბად, შენ ხარ ჩემი ბატონი,
ლოცვა დაიწყო, რაკი თავი დაიმარტოვა,
მაგრამ შემთხვევით ბაღს მოადგა ვაჭრის მეუღლეც
და მალე ის და ჯონი ერთად ბილიკს შეუყვნენ.
მოახლე ახლდა თან ქალბატონს, მაგრამ ბზესავით
ჩურჩუტი იყო უბედური და უმეცარი.
რა სჯობს საუბარს ჯონისთანა კაცთან ათასგვარ
ამბავზე, ჰოდა, საუბრობდა ქალიც გზადაგზა.
„მოყვარეო, — სიტყვა გაუბედა ბერს ქალბატონმა,
ადრიან დილით წამომდგარხართ ზეზე რატომღაც“.
„ხუთი საათი კი მეძინა, საქმე ისაა
კარგად გეძინოს, თორემ ხუთიც საკმარისია.
არა, ის არის აბა ძილი, როცა ნებივრად
გორაობენ და შუადღისას წამოდგებიან.
შენ, შვილო ჩემო, რაღაც კაცის ფერი არ გადევს,
გამოგლეკია მთელი ღონე და არაქათი.
გასაგებია! ქმარს ისტუმრებ, უიმისობა
ხანგრძლივ გელის და ღამით თავი არ დაგიზოგავს“.

ამ აზრზე თვითონ გაეცინა ძმა ჯონს უტიფრად,
მერე შერცხვა და ღაწვებიც კი წამოუწითლდა.
„აბა, კი! — ქალმა შეიცხადა, — კარგით, გეთაყვა,
მაგაზე ფიქრობს ზუსტად ჩემი ქმარი, დღედაღამ!
ეჰ, ვინ რა იცის რა დღეში ვარ, ქალი არცერთი
მას არ მოითმენს, — მიკვირს კიდევ როგორ გავძელი.
დაღამება მძულს, როს საწოლში ვარ, უმძიმესი
დარდი მაწვება ისე, თითქოს ვგდივარ დილეგში,
ჩემი ჩივილი დღემდე მართლა კაცს არ სმენია,
მაგრამ სულ ასე უთქმელობა მაინც ძნელია, —
ერთხელ, ვიფიქრე, ქალმა როგორ გავძლო ამდენი,
წავალ-მეთქი და სადღაც წყალში გადავვარდები“.
საკუთარ ყურს არ უჯერებდა ძმა ჯონი ჯერეთ,
მაგრამ, იცოცხლეთ, დაფაცურდა მერე და მერე.
„ო, შვილო ჩემო, წმინდა ჯვარი გფარვიდეს მაღლით,
არ მიატოვო მწუხარების და გლოვის სახლი.
გული კი უნდა მოიოხო, — კეთილის რჩევით
ჩვენ, კაცნი, ხშირად განუკურნელ სენისგან ვრჩებით.
და სახარებას გეფიცები, სხვა დროსაც მითქვამს,
ჩვენს საუბარზე არავისთან არ დავძრავ სიტყვას“.
„მეც ვფიცავ, თქვენი ყოველგვარი რჩევა თუ აზრი
მყის აღვასრულო, რაგინდ ძნელი იყოს და მკაცრი
და არსად გავთქვა არასოდეს, მე ამას ვამბობ
მხოლოდ თქვენდამი ერთგულების და ტრფობის გამო“. —
ამოატანა ქალმა სიტყვებს კვნესა და ოხვრა
და მერე ამას, რა თქმა უნდა, ბღლარძუნიც მოჰყვა.
იცოცხლეთ, ქალი გაიტლიკა და ენად იქცა: —
„აქ ეხლა ამის დრო არ არის, თქვენს მზესა ვფიცავ,
ოდესმე გეტყვით, მაგრამ იმას რა ენა მოთვლის,
რაც ღამეები მითენია უშით და მოთქმით
ამ თქვენი ძმის თუ მოყვრის ხელში... ეჰ, ღმერთო, ღმერთო...
დღეს აღარ ვიცი ქვეყანაზე ვის უნდა ვენდო“...
„ო, წმინდა მარტინს გეფიცები, ბოლოს და ბოლოს
რა ჩემი ძმაა, სულიერი შვილია მხოლოდ,
მოყვასს ყასიდად თუ ვეძახი, აქ, ჩემს ღმერთავ,
შენ მეგულები მარტოდენ და მოვდივარ შენთან,

შენა ხარ ჩემი სიყვარული, და ოდენ შენგნით
განცოცხლდა ჩემდა აზრიცა და შვენებაც შექმნის.
გამიზიარე ეგ წუხილი ბოლომდე ბარემ,
თორემ ხომ იცი ის უგვანი მოგვისწრებს მალე".
„მეყო რამდენიც ვითმინე და რამდენიც ვმალე,
ვინ დაგვიმადლის უთქმელობას, ბატონო, ქალებს,
არ გამომადგა თქვენი ძმა თუ მოყვარე ქმარად,
თქმა მიჭირს, მაგრამ არც თავს ზევით არ არის ძალა —
უფრო პურშავი არ გენახოთ ამ ქვეყნად კაცი,
მერე უხეში, უჟმური და ერთთავად მკაცრი.
მრცხვენია, მაგრამ, როგორც ღვთის კაცს და როგორც წმინდანს,
ისე შეგკადრებთ: ქალი ვარ და ალერსი მინდა.
ეგ უბედური, ისე სტუმრის მოყვარე კია,
მაგრამ მე რა ვქნა, გენაცვალე, მეც ცოლი მქვია.
სტუმარს კი ხვდება, მაგრამ ჩემთან იკითხეთ ერთი,
არც ვიცი მისგან არაფერი, წამების მეტი.
თურმე კაცს ექვსი სათნოება (თქვენც იცით ალბათ),
უნდა ჰქონდესო, რომ მოწყალედ შეხედოს ქალმა:
იყოს ჭკვიანი და მოშურნე ყოველგვარ საქმის,
მამაცი, უხვი და უყვარდეს კერა და სახლი
და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თავისი ცოლი, —
ჩემს ქმარს კი ღმერთმა ყველა მადლი წაართვა მგონი.
ეჰ, ხალხს რომ ჰკითხო, რა გიჭირსო ეგოდენ მდიდარს,
მე გროშიც არ მაქვს, მაგალითად, დღეს მქონდეს, მინდა,
სულ ასი ფრანკი — ჩვენს ქუჩაზე ებრაელ ვაჭარს
გუშინ ნისიად გამოვართვი დიბა და ფარჩა
და თუ ექვს დღეში ვერ დავფარე „მდიდარმა" ქალმა
ურიის ვალი, მთელ ქალაქში თავს მომჭრის ალბათ.
ქმარსაც ვერ ვეტყვი, მე რომ მაგის სიძუნწეს ვიცნობ,
აქეთ გამთათხოს და ბავშვივით დამტუქსოს ვინძლო.
ეს ლაპარაკიც წამოვიწყე მხოლოდ იმ მიზნით,
რომ თუ მიშველით, თქვენ მიშველით მისგან და მიხსნით.
რაც გინდა მთხოვეთ, თუ არ მოგცეთ ასმაგი წონით,
განელონივით შემაჩვენეთ, ბატონო ჯონი".
მაშინ კი ბერმა გაქექილმა — ქალო ლამაზო,
ჩემი ყურები რას ისმენენ ნეტავ ამასო.

ღარიბი კი ვარ, მაგრამ ახლა ბედკრულს მოწყალედ
თუ ვერ შეგხვედე, რაღად მინდა თავი ცოცხალი, —
როგორც კი წავა შენი ქმარი, ქალო საწყალო,
ას ფრანკს მოგართმევ შენ რომ იცი, იმის საზღაოდ, —
ჯონის აქ სული შეუგუბა ლამის ქლოშინმა,
ებდღვნა ქალბატონს და მკლავებში მაგრად მოეღლიმა,
„ახლა კი, — უთხრა, — დაწყნარდი და სახლში წაბრძანდი,
საჭმელს მიხედე, გადამესკვნა კუჭი ნაწლავთან,
გაგვიშუადღდა აქ მე და შენ, ჩემო სულიკო,
კარგი საუზმე არ იქნება ახლა ურიგო".
„დიდი ბატონი ბრძანდებითო", — უთხრა ქალმა და
ჩიტივით შეფრთხა ბილიკზე და შეინავარდა.
ჯერ საყვედური მნემ მიიღო, მერე მსახურმა
და ბოლოს ფრთხილად ქმარს კარებზე დაუკაკუნა.
„ვინ არის"? — ქმარმა გამოსძახა, — „მე ვარ, ძვირფასო,
გამოდი კარში, ჩვენც შენი ვართ კარის მიღმაცო.
შენ გელოდებით, აგერ უცხო კაციც მოღალე,
უშენოდ ლუკმას არ ჩაიდებს პირში მოყვარე.
კერძი გაცივდა, შენ კი მაინც არ გეყურება,
გადაგიყოლოს ლამის კაცი ფულის ცთუნებამ,
არც შინაური იცი შენ და არც გარეგანი,
მე კარგი, მაგრამ არად აგდებ ძმას და ეგ არის.
მოეშვი ჩქარა და გადასდე განზე დავთრები,
არ ვიცი, მართლა რას ჯანჯლობ და რას იმადლები.
არც ძილი იცი შენ და აღარც გათენებაცო,
ბოლო დღეც ერთად გვეჭიკჭიკა ტკბილად, შე კაცო".
„ქალმა ვაჭრობის რა იცისო, — უთხრა ვაჭარმა,
შენ მხოლოდ ერთი ჩაგაცვა და გასვა-გაჭამა.
ვაჭრობის საქმე მხოლოდ ერთს თუ ესმის ასიდან,
ისიც არ ვარგა, თუ ზედ ოფლის ზღვაც არ დასდინდა.
მე კი, გეთაყვა, თავნს კი არა და ნაღდს კი არა,
იმასაც ვყიდი, რაც არა მაქვს, მომგებიანად.
აქეთ მიხდიან მადლობასაც. ქვეყნად არავინ
არ იცის ჩემი ანგარიში და სათვალავი,
მაგრამ დრო მოვა, როცა ჩემს სვრელს თავში გავიტან,
როცა მოვიგდებ, მე რომ მეყოს, იმდენ კაპიტალს,—

მაშინ კი ვეღარ გამაჩერებ სახლში, შვილოსა,
ჰაიდა, წავალ და წმინდანებს ჩამოვილოცავ.
ჩამოვიშორებ ყველა ჭუჭყს და ცოდვას მთლიანად,
მეც ვიგრძნო ერთი თავი მართალ ადამიანად.
ასეთი მარხვა უნდა ჰქონდეთ ვაჭრებს წესდებად,
თორემ მევახშეს ხალხში არც კი გამოესვლება.
მტერი კი არ ვარ ჩემი თავის... სისხამ დილითვე
გავყვები გზას და ხვალ ღამემდე იქნებ მივიდე.
ბრაუგეში დიდხანს არ დავრჩები, ხოლო მანამდის
შენ გებარება გასაღები ჩემი პალატის,
ასევე სახლის კუთხე-ყურე, ეზოს მტვერიც კი...
დუქანიც... ჰოდა, საყვარელო, აბა, შენ იცი...
ჩემს არ ყოფნაში თუ საჩვენო შეგხვდეთ მუშტარი,
არ დამიკარგოთ, კაი ტკბილი სიტყვა უთხარით,
და შენებურად ფულის ფლანგვას თუ არ მოჰყვები,
ჩემს ჩამოსვლამდე გეყოლება მაძღრად მოყვრებიც, —
გაძლევ სურსათს და რძე და თაფლით სავსე ბიდონებს
და გარე-გარე სახარჯოსაც ცალკე გიტოვებ".

კანტორის კარი გამოხურა მერე მეუღლემ
და ორივენი სასადილოს ტალანს შეუყვნენ.
სუფრაც გაშალეს, მოათავა ლოცვა სტუმარმაც,
დაზნიქა ტაბლა ცხელ-ცხელმა და ნუგბარ-ნუგბარმა —
შემწვარი, თლილი, მოხარშული, ნედლი, რბილობი, —
და ის ბოლო დღეც მიილია სიამ-ტკბილობით.

საღამოს სუფრა ის-ის იყო აშალეს კიდეც,
რომ ვაჭარს ბერი მოუხმობს და მხარზე ხელს ჰკიდებს
და ეუბნება: „ესე იგი, ხვალ სისხამ დილით
გახვალთ სახლიდან და ბინდამდე მთელი დღე ივლით.
არ დაგავიწყდეს ავგუსტინეს ლოცვის თქმა გზაში,
ძალასაც მოგცემს და უჟმურის თილისმას დაშლის.
ფრთხილად, მაგ გზაზე ათასგვარი ყაჩაღი დადის,
ნუ გადაჰყვები გზაში ზედმეტ ქეიფს და ნადიმს, —
ხომ იცი, გაწყენს ამ სიცხეში, — თუ ავი მაინც
გვნებს, ლოცვას არც მე მოგაკლებ და არც ჩემი დაი.
აბა, ნახვამდის, გზა მშვიდობის, მეტს აღარ დაგღლი,
წმინდა ჯვარი და ანგელოზი გფარავდეს მაღლით.

ისე, თუ ჩემი დახმარება და შველა გინდა,
ყოველმხრივ მზად ვარ გემსახურო, მოყვარეო, წმინდად.
— სახლს მიგიხედავ, ვით მეგობარს, მეც ბევრი ძალმიძს,
ღამეც ვიფხიზლებ, წაძინებად მეყოფა წამიც.
სამაგიეროდ ერთ რამეს გთხოვ, — ნამდვილად თუა
ჩვენს შორის ძმობა, მაშინ, ალბათ, ვერ მეტყვი უარს, —
უნდა მასესხო ასი ფრანკი, აქ ახლოს თქვენთან
მშვენიერ ძროხას სულ ას ფრანკად ყიდიან ბედად.
თუ მხარს ამიბავ და ოქროსაც ვიშოვით ამდენს,
მაშინ ის ძროხა საზიაროდ ორივეს გვყავდეს.
ვალსაც უკლებლივ დაგიბრუნებ, შენ როცა მეტყვი,
სხვამ არ დამასწროს — არაფერი არ მინდა მეტი.
ოღონდაც, ძმაო, არავისთან არ დაგცდეს სიტყვა, —
ბედი ხელიდან რატომ უნდა გაუშვა, მითხარ.
კარგად იყავი, ყველაფრისთვის უზომოდ merci, —
გთხოვ, საიმედოდ შეინახო ეს ჩემი სესხი".

ვაჭარს სიამით გაეშალა პირ-სახე მკაცრი:
„ო, კარგი ერთი, ძმაო ჯონი, მადლობად არც ღირს,
რაც გამაჩნია და, საერთოდ, აქ რასაც ხედავთ,
ეს თქვენიც არის, აბა, ძმობა სხვა რაა ნეტავ.
ასი კი არა, მთხოვეთ მთელი ოქრო და ვერცხლი
და თუ უკლებლივ არ მოგართვათ, ჩავიწვა ცეცხლში.
მაგრამ, მოყვარეო, მე რომ ვაჭრის ცხოვრებას ვიცნობ,
საერთოდ, არც კი გამახსენდეს ეგ ვალი ვინძლო,
თუ თქვენვე მომცემთ, დამავალებთ ნამდვილად დიდად,
გინდ ვერცხლით იყოს, — რითაც გინდათ ან როცა გინდათ.
ფულს, კარგად იცით, ანგარიში და ყავლი უყვარს,
თუ მართლა გინდა მისი ხვეტა ბზესავით უხვად".

და ძმას მაშინვე ასი ფრანკი გამოუტანა, —
თქვენთვის სულ ასე მეძლიოსო აწ და მუდამაც.
არავის ეს არ შეუნიშნავს, — შუაღამემდე
კვლავ ღვინო სვეს და ცოტა კიდეც გადაამეტეს.
მერე ძმა ჯონი გააცილეს ორთავ ჭიშკრამდე,
თავი ძილს მისცეს და მსახურნიც მიწყნარდ-მიჩქმალდნენ.
ვაჭარი სისხამ გზას გაუდგა — იმის მოურავს,
ჩანს, დაეჭირა თადარიგი დია დროულად,

ბრჯუგეში ადრე ჩამოვიდნენ, ადრე ვაჭრობაც
გაახურეს და ვაჭრობაშიც ვერვინ აჯობათ, —
ყიდვა-გაყიდვა, აქ საცალო, იქ საბითუმო, —
სულ ტრიალში ხარ, ამას ყიდი, იმას ყიდულობ.
ორთავეს დაჰყვათ ფულის ყადრი დედის მუცლიდან
და ვერცერთს თავის მოსაფხანად ვერ მოუცლია.
ვის ახსოვს შენი საჭმელი და შენი სასმელი,
სანამ ბზრიალებს დახლზე ფრანკი უკანასკნელი.
მაგრამ სენ-დენის დავუბრუნდეთ, — აქ, სენ-დენიში,
ჯონიმ მგზავრებზე მიიტანა ჯერ იერიში, —
ყველა დალოცა, — კარგად იცის, ვით გულთმისანმა,
მალე სადილზე მიიწვევენ მას წესისამებრ...
კაციც აწვიეს — და იმწამსვე გაჩნდა დალაქთან,
თმა შეისწორა, გაკოხტავდა და ყრმებრ გალაღდა.
გასამხნევებლად არაყს დაწვდა, ღვინოც ცივ-ცივი
მიაყოლა და ხალხს წარუდგა სიცილ-სიცილით.
ქალბატონი კი ძვირფას სტუმარს ხელს რომ ართმევდა,
გრძნობდა სადაოც აღარ ჰქონდა მას მეფართლესთან,
სანაცვლოდ ძმასთან ანგარიში ჰქონდა პირადი —
მარტოდენ საწოლს დაურწევდა ტკბილად დილამდი,
თანაც ვერავინ გაიგებდა ასეთ ამბავს და
ხელთ მოიგდებდა მუქთად დიბას და ფიანდაზსაც.
ხელი ხელს მისცეს და უსიტყვოდ ორთავ მორიგდნენ
და რიჟრაჟამდე აღვიძებდა ერთურთს ორივე.
დილით ძმა ჯონიმ ისაუზმა, სახლიც დალოცა,
ვით წესად ჰქონდა ძმას წმინდას და უანგარისა,
და გზას გაუდგა — მსახურთაგან, თუნდა მცირედაც
ძვირს და ეჭვს ბერზე გულში აბა ვინ გაივლებდა.
—დღეს აქ იღვიძებს, ხვალ იქ სძინავს, — ბერის ცხოვრება
ასეთია და ეს არც არვის ეუცხოება.
ვაჭარმა, როცა ილეოდა ბრჯუგეს ბაზრობა,
კიდევ დარჩენა მიიჩნია დიდ უაზრობად,
ჰოდა, იმ დღესვე გამობრუნდა, სახლი ნამდვილად
ეამა დაღლილს და ცოლთანაც ისიამტკბილა.
მაგრამ მაშინვე გამოუჩნდა, როგორც იღბლიან
კაცს, დიდი საქმე და მან უკან არ დაიხია, —

ლომბარდელ ვაჭრებს დაესესხა ოცი ათასი,
ხოლო ასეთ ვალს გასტუმრებაც უნდა ვადაზე,
ჰოდა, პარიზში დაუარა ნაცნობ-მეგობარს, —
ვალებს მოსთხოვდა, ანდა რაღაც უნდა ეღონა.
მოყვარესთანაც შეიარა, მის ვალს ზედმეტად
თვლიდა ვაჭარი და ფულს როგორ გაახსენებდა,
ისე, უბრალოდ ინახულა — ძველ ძმაკაცებთან
ყოფნა უყვარდა და ორიოდ თასსაც აწევდა.
ძმა ჯონთან ახლაც ბევრი ჰქონდა სალაპარაკო, —
თუნდ ვაჭრის შნო და მარიფათი რომ დაანახოს,
საქმეები რომ ისევ კარგად მისდის, ღვთის მადლით,
ყაირათობაც კარგი იცის, წყალობს ყისმათიც,
ან იმ საქმიდან, ეხლა მას რომ ხელში უჭირავს,
რა ფულს აიღებს, ვით გააჩენს მისით უჩინარს.
ჯერ უსმინა და მერე ასე მიუგო ჯონიმ:
„შენ ძმაო, საქმე მართლაც კარგად მიგიდის, მგონი,
მუყაითი ხარ, იცი კარგი შრომა და ღვაწლიც,
მეც მიხარია წინსვლა შენებრ ჭკვიანი კაცის.
ბევრიც ვერ იზამს, შენ რაც საქმე გიქნია ქველი,
განა მე კი არ გამიმართე ამასწინ ხელი,
სიტყვას მოჰყვა და მე რომ ფული წავიღე სესხად,
უკან ოქროთი ჩავაბარე მეუღლეს შენსას...
მაგრამ ამაღამ არ მეცლება, სიმართლეს გეტყვი,
აბატს დავპირდი უსიკვდილოდ ჩამოვალ-მეთქი.
მე შენთან ყოფნა მირჩევნია ნამდვილად, მაგრამ
აბატმაც ხელი ამ ბოლო დროს მოგვკიდა მაგრად,
შენც კარგად იცი, სამსახური ვაჭრობას არ ჰგავს,
რას იზამ, აბა, ბედნიერად, აბა, სულ კარგად.
მეუღლეს შენსას გადაეცი მოკითხვა ჩემი,
ჩათვალე თითქოს არც წავსულვარ და შენთან ვრჩები“.
რაღას იზამდა დიდვაჭარი — საყვარელ ძმობილს
დაემშვიდობა დიდი ამბით და დიდის გრძნობით,
იმ დღესვე საქმე ნაცნობებთან გაშანსა კვაჭმა
და მიმწუხრისას ფულიც თავზე საყარად გაჩნდა,
ლომბარდელ ვაჭრებს დაუბრუნა მაშინვე ვალი
და კარგა ბლომად შეისყიდა დიბა და შალი.

და შინისაკენ გამოსწია — ამაღამ ცოლთან
დაიკვეხნიდა, სატრაბახო მიზეზიც ჰქონდა —
მან ამ საქმიდან ხელში სარფიც მოიგდო კარგი,
სულ მცირე, ასე, ათასამდე ხალასი ფრანკი.
ცოლი ჭიშკართან შეეგება დაღლილ-დამაშვრალს,
სუფრა გაუწყო, აკოცა და გაეთამაშა,
ტკბილად ავახშმა და ლოგინშიც ქმარს გულთბილადვე
ეჭუკჭუკა და ეალერსა ვიდრე დილამდე.
და მთელი ღამის ნაჯაფმა და ნაბახუსევმა
დილით კვლავ სცადა ლამაზ ცოლთან გაღლაბუცება.
ცოლმა — რა ცეცხლი შეგიჩნდაო ამ ადრიანად,
გაკიცხა, მაგრამ ქმრისკენ მაინც გადმოტრიალდა,
მაგრამ მეუღლე მობუზღუნე ნახა თუ არა,
მოულოდნელად ქმარს ხუშტურმა წამოუარა:
„ხომ იცი, შენზე ნაწყენი ვარ, როგორ მეგონა...
(რომ გამირბიხარ, სად გარბიხარ, კარგი, გეყოფა),
როგორ მეგონა, შენ თუ რამეს დამიმალავდი,
ეჰ, ყველა ქალი ცბიერია და მუხანათი.
ვალს რომ გაძლევენ, ჩემს უჩუმრად რატომ ინახავ,
შენს გამო გუშინ მოვიმდურე ბერი კინაღამ,
კიდევ კარგი, რომ ვალზე სიტყვა ჩემს მოყვარესთან
არ დამცდენია, თორემ საწყალ კაცს უარესად
გავარისხებდი, — მოვაბეზრე თავი ისედაც
და გუშინ წასვლაც ალბათ მიტომ მოიმიზეზა,
ჰოდა, ვალი რომ მომეთხოვა, მაშინ, სულიკო,
ჩვენ შორის უნდა ყველაფერი დაკარგულიყო.
— ყველა უჯიშოს მიწოდებდა და უჯილაგოს, —
ასეთი რამე მეორეჯერ არ დავინახო!
როგორც კი ვალებს გადმოგცემენ, თუნდა მცირედსაც,
შენ ჯერ მე უნდა მომახსენო აუცილებლად.
ისე კი შენთან, სიყვარულო, რა მაქვს სადაო,
მხოლოდ მეწყინა... ამით მოვრჩეთ და გავათაოთ“.
კიდევ იოლად გადავრჩიო, ცოლი ანაზდად
მაშინ ძმა ჯონზე გაწიწმატდა და გაკაპასდა:
„ო, ის თაღლითი, ის უგვანი და უცხვირპირო,
მოვიდეს, როგორ ვაწუწუნო და ვაწრიპინო.

მაშ, აბა ვალი მივეციო, — მაგ სალახანამ
მეგონა ძღვენი მომიტანა და გამახარა, —
ისე, რაღაცას დუდღუნებდა, პირზე სიკეთის
ღიმიც ეფინა, ჰოდა, ვალზე რას ვიფიქრებდი.
ნიადაგ აქ რომ დაეთრევა ნება-ნებისად,
ასიოდ ფრანკი ძღვნად დიახაც უნდა ეკისრა,
ას ფრანკს კი არა, ვიცი, მისებრ ხშირი სტუმრები
მოყვრის ცოლისთვის ათას ფრანკსაც არ იშურებენ.
რა თავი მოაქვს, სადაური ეგ მყავს დიდგვარი,
ანდა მე ვიზე ნაკლები ვარ, ერთი მითხარი.
ისე მეც შენი მოვალე ვარ, ჩემო სულიკო,
და ამ ვალს მუდამ არც მე გიხდი, მგონი, ურიგოდ.
თუ კიდევ რამე მმართებს შენი — ძალმიძს ასმაგად
გადაგიხადო როგორც ტურფამ და ლამაზმანმა.
— იმ ფულით უკვე შევიძინე დიბა-ფარჩები,
განა თვითონვე არ მიყიდდი შენივ მარჯვენით?!
შენ იქით გეთქმის საყვედური, მე რომ მასაქმებ
და წინდაც რომ არ გიყიდია აღდგომას აქეთ.
ჰოდა, გაჩუმდი, ვინძლო აქეთ არ გამაჯავრო,
სჯობს, ჩემი ვალი ჩაიბარო ეხლა საჩქაროდ“.
მაშინ ნამდვილად გახდა ცხადი და გასაგები
ქმრისთვის, თუ როგორ უგზო-უკვლოდ გაქრნენ ფრანკები.
„რას იზამ, — უთხრა, როცა ბოლოს ბედს შეურიგდა, —
ამომიგდია მე ამჯერად წყენა გულიდან.
ამ თვითნებობას დაანებე თავი ახლავე,
თორემ შენ მართლა დამღუპავ და დამაგლახავებ“.
მე დავამთავრე, ჩქარა წილი ჰყარე, თუ ძმა ხარ,
თორემ აქედან ალბათ ბევრი წავა უმძრახად“.

აქ დასასრული მეზღვაურის ამბისა.

მეზღვაურის ამბის ეპილოგი

მოუსმინეთ მეფუნდუკის მხიარულ
სიტყვებს მეზღვაურისა და დედა
იგუმენისადმი თქმულს.

„Corpus Dominus!“* — დაიყვირა სახლის პატრონმა,
აღელვებული სხვებზე მეტად ჩანდა რატომღაც, —
ღმერთმანი, მართლაც კარგი იყო. შენი ხომალდი
კარგად ატარე და კარგადაც ქარს უზოგავდი.
არ უნდა ენდო ბერებს კაცი, უნდა საჯაროდ
გათათხო, სახლთან ახლოს რომ არ გაიჭაჭანოს.
ვისი ჯერია. ანდა ვის სურს სიტყვა აიღოს,
ჰა, ჩქარა-მეთქი, არ მცალია სამუსაიფოდ“.
მერე კი უცბად სულის მოთქმა აღარ გვადროვა,
ხმა დაიბოხა და გაწელა მაღალფარდოვნად
და, საოცრებავ! — უცბად უცხო ხმა შემოგვესმა:
„თქვენ გევედრებით, ო, მილედი, ო, პრიორესა, —
იგუმენიას მიუბრუნდა, — კიდევ სანამდის
უნდა გელოდოთ, შეგვაწიეთ თქვენი ტალანტიც“.
„კარგი, კეთილი“, — შეიფერა ბოლოს იმანაც
და პილიგრიმებს საამო ხმით გაგვეხმიანა.

---

* სხეულო უფლისაო' (ლათ.)

პროლოგი სერ თოპასის ამბისა

აქა მეფუნდუკის მხიარული სიტყვები
ჩოსერისადმი თქმული.

იღუმენიამ, როგორც იქნა, საოცარ ამბავს
თავი დაადგა; ყველა დუმდა, — ისინი, ალბათ,
თვითონ ამბავმა ჩააფიქრა. და აი, ეხლა,
თითქოს პირველად დამინახა, ბიჭივით შეხტა
მეფუნდუკე და უცბად ყველას თავზარი დასცა:
„შენ ვინ ხარ, ძმაო, თითქოს ჩვენთან ხარ და თან არც ხარ,
ყველას ირიბად რომ უყურებ და ცხვირით თვითონ
მიწას რომ ჩიჩქნი, მაგით რისი თქმა გინდა ვითომ.
მოიწი აქეთ, დაგვენახე, გაშალე შუბლი, —
არ გავიგონო, თუ კაცი ხარ, მტრობა და შუღლი,
უტიეთ ხალხნო, ჩემზე ცოტა ახმახიც კი ჩანს,
სხვა ჩამოსხმაა — ასეც მიტომ გვიყურებს ყინჩად.
ისე, ამ ტანის, მხარ-ბეჭის და თმა-წვერის პატრონს
ქალმა უარი, ჭკუა თუ აქვს, არც უნდა ჰკადროს.
მაგრამ რად გინდა, თუკი ყრუა ანდა მუნჯია;
ერთი რამ სიტყვა მაინც ეთქვა დღეს ამ უჯიათს.
აბა, დაიწყე, ოთხი, ძმაო, ორჯერ ორია, —
არა, შენ თავი მართლა მუნჯი ხომ არ გგონია?!“
— „სჯობია, ისევ სხვამ დაიწყოს. ამქვეყნად, მართლაც,
სხვა არაფერი გამიგია, ლექსების გარდა“.
— „აჰა, ბატონო, ხომ გითხარით, მე კაცურ სიტყვას
მისგან ნამდვილად არ ველოდი, მართალი გითხრათ“.

ამბავი სერ თოპასისა

აქა დასაწყისი ჩოსერის ამბისა სერ თოპასის შესახებ.

მაშ, ყური მიგდეთ, ვახსენოთ ღმერთი,
ერთ ლამაზ ამბავს მე ჩემებრ გეტყვით,
ლექსი წავიდეს ღვარად,
ცხოვრობდა ერთხელ რაინდი ერთი,
ჯირითისა და ტურნირის მეტი
არც კი იცოდა სხვა რამ.

იმას სერ თოპასს უხმობდნენ, ისე
ფლანდრია ერქვა ქვეყანას მისას
ხოლო პოპრინგი ადგილს,
მამა ბატონი ჰყავდა და ქისა
სავსე ჰქონდა და რჩებოდათ ისღა,
ესვათ ცხოვრების მადლი.

თოპასი კარგი ყმაწვილი დადგა,
ისე დამშვენდა, ვითარცა ვარდმა
ვარდობის თვეში იცის,
უბრალოდ თვალს ვერ მოწყვეტდით, მართლაც,
სულში სიწმინდე ჩაედგა სანთლად,
მადლი აესხა მიწის.

შოლტივით ტანი, მკლავი მაგარი,
ხოლო თვალები ნუშისმაგვანი,
თეთრი შუბლი და ღაწვი.
ბრჯუგეს შარვალი და წვივსაკრავი
და კორდოვული წაღა მაქმანით
მართლაც ხატავდა ყმაწვილს.

შვლებსა და ირმებს დასდევდა მთაში,
შემოივლიდა მამულებს რაშით,
თვალს ახარებდა მაშინ.
ჩიტს შევარდენით დასდევდა ცაში,
არ დარჩებოდა მეტოქეთ ვალში.
გრაფი იყო თუ პაჟი.

ყმაწვილს ეტრფოდა ქალწული მრავლად:
ვარდიც და იაც, საროც და ალვაც,
და გულში ჰკლავდნენ ტკივილს,
ვაჟს კი მოსწონდა რიდი და კრძალვა
და იმ ეკლიან ბუჩქს ჰგავდა ალბათ,
ნაყოფიც რომ აქვს ტკბილი.

და აი, ერთხელ, ლამაზმა ვაჟმა
თავისი ფრთების ინდომა გაშლა,
ტახტა დაადგა შავრას,
ტანზე აისხა ხმალი და დაშნა,
შემოჰკრა დეზი, იკადრა რაშმაც
და ნიავივით გაჰქრა.

ჩამოუარა წიფლნარს და მუხნარს,
(გამოცდილ შავრას გაუძლო მუხლმა),
ხევებს დაუყვა ვიწროს,
მაგრამ, ის იყო, გამოსცდა უღრანს,
ძარღვებში სისხლი მოაწვა უხვად
და გულში ტრფობა იგრძნო.

ველზე ტყის პირად ჰყვაოდა ქანდა
და მიხაკიც და ზაფრანაც ჩანდა,
კაცს რომ აღაგზნებს მწვავედ.
იმით ან სადილს კაზმავენ, ანდა
კათხებში ყრიან ზაფხულ და ზამთარ,
როცა ელის ლუდს სვამენ.

ხეებზე სირნი გალობდნენ ირგვლივ,
შაშვის ხმა სცვლიდა წყაროთა ლიკლიკს,
გუგულს — ბულბულის სტვენა,
ტვიწში ელივით აბოლდა ფიქრი
და ყმამ მუცელში და ძვალთა შიგნი
იგრძნო უებრო ლხენა.

მერე თანდათან აემღვრა მზერა,
ათრთოლდა, გულმა უმატა ძგერა,
თავს როგორ უნდა სძლიოს

და მეყსეულად დეზი ჰკრა მერანს,
ცხენი ხელივით გაიჭრა ველად
    და გაიტაცა სიოც.

გზამ უსასრულომ მოქანცა შავრა
აჰა, ჩარდახიც, ვითარცა თავლა,
    ბალახით მოჰკლას დაღლა,
ჩამოხდა ვაჟი, — მიწაზე გავლა
ისურვა, მოლი ეფინა დაბლა,
    ცაში მზე იდგა მაღლა.

„წმინდაო დედავ, გულს მიდნობს ტრფობა
და რაც დრო გადის, მერთმევა გრძნობა,
    ჭკუა დავკარგო ლამის.
მას სიზმრად ვხედავ, ვისიც მკლავს ტრფობა,
ის ფერიების დედოფალს მოჰგავს
    და ერთად ვწვებით ღამით.

მე ქვეყნად იმ ერთს მივსტირი მხოლოდ,
თუ ვცხოვრობ, მისი იმედით ვცხოვრობ.
    მისთვის ყველაფერს დავთმობ,
შეებრძოლები ავსა და ბოროტს,
ტყე და ღრე ვივლი, ბოლოს და ბოლოს
    მაინც ვიპოვი სატრფოს“.

და ვაჟი ისევ მოახტა მერანს,
თავის საწადელს მიაღწევს, სჯერა,
    და მიმწუხრისას ტყეში
გრძნეულთა მხარეს გახედა ცერად,
ალაგ ზურმუხტი სჭარბობდა ფერად,
    ალაგ მრუმე და მრეში.

მაგრამ უეცრად დეევგმირი ერთი
წინ აღემართა, ვითარცა სვეტი,
    და სჭექა ვითარ მეხმა:
„სდექ, არ გაგიწყრეს მაღალი ღმერთი,
თორემ, ტერმაგანს ვფიცავ, ამ კვერთხით
    შუა გაგაპობ ეხლავ.

ნუთუ ვერაფერს ხვდები, —
ის ტყე ვერავინ ვერ უნდა ნახოს,
სად ფერიების მეუფე სახლობს,
    — გესმის ფლეიტის ხმები?

სერ თოპასი კი მიუგებს თავხედს:
„ხვალ დამანახე მებრძოლის სახე,
    ხვალ გამიმაგრდი, ბრიყვო,
ხმალს მოვიტან და შუაზე გაგხევ,
ხვალ გაგითენებ, თავხედო, შავ დღეს,
    სადაც არ უნდა იყო.

    ვეღარ გიშველის ღმერთი,
და სიჩაუქე მიჩვენე მაშინ,
შუბის წვერზე რომ გარჩები ფაშვით;
    ხვალ გამიმაგრდი-მეთქი“.

შემოაბრუნა ყმაწვილმა ცხენი,
ჩქარობდა, რადგან შორი და გრძელი
    გზა უნდა ევლო ხანგრძლივ.
მტერმა გოხი და გოროხი მთელი
ესროლა, მაგრამ უფალის ხელი
    გადაეფარა ყმაწვილს.

— ყური დაუგდეთ ჩემს ლამაზ ამბავს,
მსგავსი აროდეს გსმენიათ ალბათ
    და არ დაიბნეთ ვინძლო, —
ყმაწვილი ბედმა ატარა წაღმა,
მიადგა მამის ძველ ციხე-დარბაზს
    და გულში შვება იგრძნო.

შეჰყარა ყველა მსახური ერთად,
უბრძანა ერთხმად სიმღერა ეთქვათ,
    ეთქვათ ქება და ხოტბა:
„სატრფოსთვის, მე რომ მარგუნა ღმერთმა,
შეყრა მომიწევს ჯადოქარ მტერთან
    მე — ჩვეულებრივ მოკვდავს.

მაგრამ მანამდე მე მინდა ყველამ

მიამბოს რამე, თუ გმირთა ძველად
    რა ბილიკები მოვლეს,
რა სასახლე აქვთ ან პაპებს ფერად,
მეფეთ რა უყვართ, ან მიჯნურთ მზერა
    ვით ებინდებათ ხოლმე.

ვინძლო ღვინოში ჩაიკლას გრძნობა
და მამამ თასი დაუდგა თოპასს —
    მოდი, დალიე, შვილო!
სულ არ იცოდა ყმაწვილმა ზომა,
კვლიავიანი ნამცხვარიც ბლომად
    ზედ მიაყოლა ღვინოს.

ჯერ გადაიცვა ტილო და ნარმა
და მერე ძებნა დაუწყო შარვალს
    თოვლივით თეთრი ფერის,
ჯაშვის პერანგიც მოირგო კარგად,
ბრძოლაში სწორედ თორანი ვარგა, –
    ვერას დაგაკლებს მტერი.

პალდუმის მერე მანტიის ნაცვლად,
მაინცდამაინც თეთრ კამზოლს დაწვდა,
    თეთრი უყვარდა მართლაც.
და როცა სარკეს ყმაწვილმა კაცმა
შეავლო თვალი, სიტყვაც ვერ დაძრა,
    ისე მოხიბლა ლანდმა.

მობრუნდა, თავზე დაიდგა წუთში
ტახის ეშვებით შემკული ზუჩი,
    მუხლზეც დაეცა ბოლოს
და დაიფიცა ფიცილით ურჩით,
რომ მისი გულის განძი და უნჯი
    მას ეკუთვნოდა მხოლოდ.

ღირდა სპილოს ძვლის ქარქაში ნახვად,
ისე ბზინავდა უცხოდ და რაღაც
    ისეთი ფერი ედო,
მსუბუქად ადგა ფეხთ ტყავის წაღაც

და სერ თოპასმა გამოვლო ლაღად
    ციხის ბანი და ერდო.

ხელთ კვიპაროზის ეჭირა შუბი,
სოფლის შარაზე გავიდა შუკით
    და ჩაუარა მუხნარს.
თავს ადგა მთვარის გრძნეული შუქი
და ვაჟს ანაზდად მტრობა და შუღლი
    გადააავიწყა მწუხრმა
    და გზას გაუყვა მოყმე...
— პირველი თავი მთავრდება ამით,
თუ არ დაგღალეთ, მე კიდევ ძალმიძს
    მეორე თავიც მოვყვე.

●

მაშ, ბატონებო, დამიგდეთ ყური,
მთავარი აზრის სიმართლე სრული,
    ცხადია, ჯერ არ მითქვამს.
მთელი ამბავის სული და გული —
ბრძოლა, შეხვედრა და სიყვარულიც
    ახლა იტვირთოს სიტყვამ.

ყველას გსმენიათ სახელი ჰორნის,
ლიბოსი, გიის და პლენდამორნის,
ბევისის, ომის ლომის,
მაგრამ თოპასმა ჭკუით და გონით,
შეუპოვრობით, ხერხით და ღონით,
    ყველა დაჩრდილა, მგონი.

თოპასმა ვარდი გაირჭო ზუჩში,
დეზი ჰკრა თავის მერანს და წუთში
    გადააფრინა ფერდობს.
— შენა ხარ კაცის ციხე და ბურჯი
და, როცა მიჯნურს და რაინდს უჭირს,
    შენ დაიფარე, ღმერთო.

გმირი ომში და ბრძოლაში ცხოვრობს
და თოქალთოზე იძინებს მხოლოდ,
    არ აშაქანებს ბოროტს.
თუ ცხოვრობს, იბრძვის ნიადაგ, ხოლო
თუ იბრძვის, ცხოვრობს და მისი ბოლოც
    ბრძოლაში ჰგიეს მხოლოდ.

თოპასმა ველზე რუს წყალი მოსვა
და ვით პარციფალს, გმირს და ღვთის მოსავს,
    ყველა ღირსებით შემკულს,
უეცრად რაღაც...

აქ მეფუნდუკე ჩოსერს აწყვეტინებს
ამბავს სერ თოპასის შესახებ.

●

სერ თოპასის ამბის ეპილოგი

„ჯვარო წმინდაო!.. მოვკვდი კაცი, გეყოფა, კმარა, —
დაიღრიალა მეფუნდუკემ. — არა და არა,
არ შემიძლია, გენაცვალე, მეტის მოსმენა,
— ხედავთ, თავი რომ გაუტოლა ურცხვად მგოსნებსაც!
ჩვენ რახარუხი გვინდა კიდევ? — შენ, ჩემო ძმაო,
ველარც ხალხს ამჩნევ — ვერ უყურებ, ყველა ჩამოწყდა“.
— „რაღა მე მარტოს მაწყვეტინებთ, ეს რა წესია,
თქვენ თუ არ გესმით, მე რა გიყოთ, ლექსი ლექსია, —
მე მაინც თავი დავიცავი. — ისე, ბიძია,
მართალი გითხრათ, უკეთესი არც შემიძლია“.
— „ლექსს არ ვაგინებ, — დაატანა თან სიტყვებს ღვარძლი, —
და არ ვაგინებ იმიტომ, რომ გინებად არც ღირს;
— მე დღემდე, ძმაო, სხვის საქმეში არ ჩავრეულვარ“, —
და გემრიელად შეიკურთხა გაჯავრებულმა, —
„რა გითხრა, იცი, თუ ეს საქმე მე ჩამაბარეთ,
რა შუაშია რახარუხი და ჯალამბარი,
ამბავს რითმისთვის კი არ ვყვებით, — თვითეულ ამბავს
შინაარსი აქვს და შინაარსს აზრიც აქვს, ალბათ.

სიტყვა მეორედ უნდა მოგცე, რაღა თქმა უნდა,
იმედი არის, არ დაიწყებ კვლავ აბდაუბდას.
გინდა ლექსად თქვი, გინდა პროზად — მაგრამ, გეთაყვა,
ისე თქვი, გულზე რომ მოხვდება ყველა ჩვენთაგანს“.
    „პროზად ერთი რამ მართლა ვიცი, — დავიწყე ნელა, —
და მგონი, დიდად კმაყოფილიც დამრჩებით ყველა.
თუ ისიც აღარ მოგეწონათ და თქვენებურად
თუ ვერ ავაწყვე, მაშინ მართლაც არ ვვარგებულვარ“.

ჩოსერის ამბავი

ჩოსერის ამბავი პროზად მელიბეუსის შესახებ, რაც ბიბლიური მრავალტანჯული იობის ერთ-ერთ ხალხურ ვარიანტს წარმოადგენს, უფრო ქადაგურ შეგონებას ჰგავს, ვიდრე მოთხრობას: მელიბეუსის ქალიშვილს, სოფიას, სახლში სამი ავაზაკი შეუვარდება და დასჭრის. მთელი ნაწარმოები ეთმობა მელიბეუსისა და მისი მეუღლის, პრუდენციას, შორის ამ ინციდენტით წამოჭრილ კამათს, თუ რამდენად მართებულია რისხვის რისხვით განკურნება, ბოროტების გამოქვითვა ისევ ბოროტებით. კამათში ერთმანეთს უპირისპირდება იობის, სოლომონის, წმ. პავლეს, ისო ზირაქის, წმ. ავგუსტინეს, პაპი ინოკენტის, სენეკას, ციცერონისა და კასიოდორუსის აზრები და შეხედულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით და ყველგან გამარჯვებული კეთილგონიერი პრუდენცია გამოდის. მისი მსჯელობები უკლებლივ იქით მიიმართება, რომ მისაგებელს ოდენ ღმერთი მიაგებს ბოროტს და რომ ადამიანი სამართალის ძიებითა და შურისგებით ოდენ ეურჩება ყოვლისმპყრობელს. და, მართლაც, მეუღლესთან კამათში დამარცხებული მელიბეუსი ბოლოს ყველაფერს უკლებლივ მიუტევებს განცვიფრებულ ავაზაკებს.

ბერის ამბის პროლოგი

აქა მეფუნდუკის მხიარული სიტყვები ბერისადმი თქმული.

მელიბეუსის და მეუღლის მისის შესახებ
როს ამბავს მოვრჩი, მეფუნდუკემ ისე შესძახა,
თითქოს და ჩემი მადლიერიც ჩანდა ამჯერად,
იყვირა უცბად და უნებურ ჩვენც შეგვაჩერა:
„უარს ვიტყოდი ერთ კასრ ელზეც, ძმაო, ოღონდაც
ჩემს მეუღლესაც მოესმინა შენი მოთხრობა,
ასეთი დიდი ერთგულება და მორჩილება
მასაც ჭკუაზე მოიყვანდა აუცილებლად.
ო, ქრისტეს ძვლებო, მაგალითი აი ეს არის!
როდესაც ჩვენი უგუნური და უმეცარი
მზარეულები ვირებივით გაოჩნდებიან,
სახე ევსება ცოლს ბურძგლებით და ნაოჭებით,
მერე ქაქანებს უთავბოლოდ, ბორგავს და ხვნეშის,
ბოლოს კი კეტსაც მომაჩეჩებს უეცრად ხელში:
„დასცხე, ჭკუაზე მოიყვანო კეტით ეგება,
— არ ამოგვაგდეს ამ მშიერმა ძაღლის ლეკვებმა!“
ხან თითქოს მუღი გადმოხედავს ჩემს ცოლს უნდობლად,
ხან კი საყდარში ვითომ ადგილს არ დაუთმობენ,
აქაც და იქაც მე მომდგება, ისე გამთათხავს,
ღელეში თავის დახრჩობასაც ვფიქრობ ხანდახან:
„ამ ქალაჩუნამ თავი აქეთ მე შემაცოდა, —
რა გათმენინებს შენი ცოლის შეურაცხყოფას?
ერთი ცოლი გყავს და იმასაც თუ ვერ პატრონობ,
რაღას მომყვები, რად არ დარჩი სახლში, ბატონო?“
დილამდე ანჩხლობს და პირიდან ალი ამოსდის
და ჩვენს ოჯახში არის ერთი ალიაქოთი:

„არც სახლში ვარგა, ეკიდება საქმეს უნდილად,
მაგას მე მხოლოდ მოჯალაბე გოგოდ ვუნდივარ.
ის რა კაცია, თავის ცოლსაც თუ არ დაიცავს!
ასეთი ქმარი და პატრონი ცეცხლში დაიწვას!“
რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე, — მთელი ცხოვრება
ან ჩემს ცოლს უნდა ველაქუცო, ან უცოდველთა
სისხლის ზღვა უნდა დავაყენო, — სხვა გზა არა მაქვს
და გადის ჩემი დღე ცისმარე ასე ჰარამად.
არა და მუდამ იმას ცდილობს ჩემი კნეინა,
რომ სადმე ერთი კაცი მაინც მომაკვლევინოს.
სულ იმას ელის, აბა, ბნედა როდის მომივლის,
რომ დავერიო მტერ-მოყვარეს ხვადი ლომივით.
ის კი არა და ხშირად ღამეც კი მიდარაჯებს,
აბა, თუ ვისმეს გამოვუტან ძილში განაჩენს.
თუ ვაწყენინე, ჯერ დამშუშხავს ალიყურებით
და მთელი კვირა ვცხოვრობ მერე გარიყულივით,
იმის ხელს გემო მე კი არა ბევრმა გაუგო
— ეჰ, კარგი ერთი... ქალია და რა უნდა უყო?!
თქვენი ჯერია ახლა, ბერო, ჰოდა, ბატონო,
აბა, თქვენ იცით, შუა გზაზე არ მიგვატოვოთ, —
როჩესტერია იმ მთის იქით, რაღაც გვითხარი
სახალისო და როჩესტერშიც შევალთ პირდაპირ.
რამე მსუბუქი მოგვიხდება, თორემ შუადღის
მზე გადმოდის და ოფლად წავა მთელი ყუათი.
ისე, არ ვიცი რა გიწოდოთ — მესიერ ალბანი,
სერ ჯონი, სერ ტომ, თუ სხვა კიდევ რაღაც ამგვარი?!
არც სჯული ვიცი ბერებისა და არც წოდება.
ალბათ, ჩემსავით უმეცარი არც კი ცხონდება.
მესენაკე ხართ თუ, არ ვიცი, ძმაო, ვინა ხართ,
მაგრამ ასეთი ლოყა-ღაწვი ჯერ არ მინახავს.
ეტყობა, თქვენსკენ ყველამ იცის მადლი ბარაქის
და თავი არც თქვენ დაგიზოგავთ, ძმაო, არაფრით.
ნამარხულევის არაფერი თქვენ არ გემჩნევათ.
სწორი ხართ, ძმაო, რასაც შეჭამთ, ის თუ შეგრჩებათ.
მაგრამ პირში თქმაც მიყვარს ხოლმე. — მწირი არა ხართ,

თქვენ აბატი ხართ, აბატობამ იცის ბარაქა,
ან მღვდლობა უფრო პასუხსაგებ საქმეს გავალებთ
და საპატიო წევრად გრაცხავთ მთელი სავანე.
ვიცი, რომ ბედის მორჩილი ხართ და ღვთის მონა ხართ,
მაგრამ თქვენსისქე კაცსაც ალბათ ვერსად მონახავთ.
ფუ ეშმაკს! მაგრამ დიდი ცოდვაც არის ნამდვილად,
პაემანებზე თქვენს მაგიერ ჩვენ რომ დავდივართ, —
ის არის მტერი, ღმერთიც იმას უნდა რისხავდეს,
ვინც თქვენ ბერობის გზა გირჩიათ ქალთან მისვლამდე.
რომ ასრულებდეთ, ძმაო, იმას თუნდაც ნახევრად,
რასაც თქვენ ცოდვად მიიჩნევთ და რაც გეძრახებათ,
ჩვენს შორის ახლა გაივლიდით მამალ მგელივით,
ძარღვში და კუნთში რკინასავით გამოკვერილი,
გამოგყვებოდათ გვერდში მამას შვილი შოლტივით,
ვეება ტოტი მუხის ხეზე ვით ამოზრდილი.
ბერო, რიზა და ანაფორა ვინ გადაგაცვათ,
ვინ გადააჩვევს ხორცის ჭამას მგელს და ავაზას.
ეჰ, მე რომ პაპი ვყოფილიყავ, რიზებს უკლებლივ
შარვლით შევცვლიდი და ცელიბატს გავაუქმებდი,
ბერებს კანონად დავუდგენდი ცოლის მოყვანას,
რომ არ ეხარჯათ თესლი ასე დაუზოგავად.
მერედა რა თესლს აფუჭებენ! — აბა, ჩვენ რა ვართ?
ტანად ჩვენ აღარ ვარგივართ და მუხლად და მკლავად.
ჩვენი ფესვების მონაზარდი ისევ ჩვენსავით
სუსტია, ძმაო, ნაცვეთია და ნაქლესარი.
დღეს ჭეშმარიტად თქვენში დარჩა ძალა ცხოველი,
ტყუილად კი არ გეხვევიან ჩვენი ცოლები;
თქვენ სიყვარული ნაღდი იცით, ჩვენ კი ვთამაშობთ,
ვენერას სუფთა ოქროებით უხდით საბაჟოს.
ფული კი არა, გემეტებათ მთელი სულ-გულიც,
ჩვენ წვრილი ფულით ვევაჭრებით, ლუქსემბურგულით.
— არა, ხომ არ გწყინთ? გეხუმრებით... ისე, ძმობილო,
ამ ხუმრობაში ცოტა ნაღდიც მსურს გაგრძნობინოთ“.
ბერმა ყოველი მოისმინა და ასე გვითხრა:
„მე შევასრულებ, ბატონებო, ჩემს აღთქმულ სიტყვას, —
ორ თუ სამ ამბავს მოგიყვებით, მაგრამ მანამდე,

თუ ზოგიერთთა არამკითხეთ არ დამამადლეს,
წმინდა ედვარდის მარტვილობა მინდა გიამბოთ,
ხოლო რაკიღა ბევრი გვისმენს აქ უნიათოდ,
აჯობებს წვრილი ტრაგიკული ამბები გითხრათ,
რომელთაც თვითონ ვაგროვებდი წარსულში დიდხანს, —
ასამდე მაინც ჩავიწერე, სენაკში ვიდრე
ვეყუდე მწირად და თან ლექსად გავრითმე კიდეც.
ესე ამბები, ჩემის აზრით, იმათ ეხებათ
ვინც ტრაგიკულად დაიღუპნენ, — ერთდროს, ეგება,
ღმერთი სწყალობდათ იმათ, თანაც მათი ცხოვრება
დიდება იყო და უსაზღვრო სიამოვნება,
მაგრამ უეცრად კერპებივით დაიმსხვრნენ ბოლოს
და დაშთნენ ვითარ უსუსურნი მატლნიღა მხოლოდ.
ისე, ვით მავნე სახეს იცვლის კაცთა ცდუნებად,
ამ ამბავთ ლექსიც არეული ემსახურება.
ვით წესი, მათთვის ჰექსამეტრებს ხმარობდნენ ძველად, —
ექვსი ტერფისგან შემდგარ სტრიქონს, — ამიტომ ყველამ
გულისხმიერად მომისმინოს, რამეთუ თავად
განსაზღვროს ჩემი მდარე ლექსი რა მეტრით წავა.
მაგრამ ვიდრემდის დავიწყებდე, მსურს გაგაფრთხილოთ,
რომ თქვენ ზოგს უკვე იცნობთ კიდეც და უადგილოდ
არ შემედაოთ და, ამასთან, თვითეულ მათგანს
მე ჩემებრ ვიტყვი არეული წესრიგით, რადგან,
გინდა ისე თქვი, გინდა ასე, აზრი ერთია,
თქვენ ის მითხარით, რვა სტრიქონში თუ ჩამეტია".

ბერის ამბავი

აქა დასაწყისი ბერის ამბისა.

ლუციფერი

მე ტრაგედიებს დავიწყებდი ლუციფერიდან, —
არ ეკუთვნოდა იგი მოკვდავთ არსებათ, მაგრამ
სიკვდილის მეფედ იწოდება ამიერიდან, —
დიდება მისი ღვთაებრივი სიზმარებრ განჰქრა

და წარწყმედილი ჯოჯოხეთში რიალებს ახლა.
— უბრწყინვალესო ანგელოსო, დღეს კი სატანავ,
უკუნისამდე შენს ბედ-იღბალს სტიროდე ვაგლახ
და არ ელოდე სასოების თუნდა ნატამალს!

ადამი

ადამი, კაცთა წინაპარი, ღმერთმა რომელიც
დამასკოს ახლოს საკუთარი ხელებით შეჰქმნა
და არა ბილწი თესლით იშვა, განუზომელი
და უსასრულო მეუფებით ცხოვრობდა ქვეყნად,
მარტოდენ ერთ ხეს ეკრძალვოდა და როცა შერყვნა
ღვთაების აღთქმა და როდესაც მაცთურს მინებდა,
დასაჯა ღმერთმა და მიწაზე დაღოღავს ეხლა
ტანჯვად, წვალებად, რუდუნებად და მოკვდინებად.

ოლოფერნი

ოლოფერნივით მამაცსა და უშიშარ სარდალს,
სხვას, კაცთა მოდგმა თურმე არც კი იცნობდა ძველად,
სოფლებს და დაბებს აოხრებდა, ქალაქებს სწვავდა
და მის წინაშე ცახცახებდა სულდგმული ყველა.
მოძმეთ ერთიან აღემატა და არც თუ ძნელად,
ბედმა გაუწყო სიკეთის და წყალობის ტაბლა,
ვით რჩეულს, ლამის მთელი ჯარიც მიაგო მცველად
და მეყსეულად თავი მისი დაგორდა დაბლა.

ჯერ დაპყრობილ ხალხს გაძარცვავდა გულქვა სარდალი,
მერე მონებად გაიხდიდა და ყოველ მათგანს
აიძულებდა ტირანისთვის ეცა თაყვანი,
თითქოსდა ღმერთი ნაბუქოდონოსორი გახლდათ, —
ურჩს და თავნებას ჩამოხრჩობა ელოდა ნაღდად.
ბეთულა იყო, ოლოფერნს რომ არ დაეთანხმა,
მის წინააღმდეგ ერთადერთი მხოლოდ ის აღდგა,
ელიახიმი ედგა მაშინ ქალაქს მღვდელმთავრად.

და აი, სულ რომ არ ელოდა, სარდალს სიკვდილი
მაშინ ეწია, — ახალგაზრდა ლამაზი ქალი
და პატრიოტი, — მას სახელად ერქვა იედითი,
ღამით მტრის ბანაკს თურმე მარტო მიადგა მალვით,
კარავში იწვა ოლოფერნი უგონოდ მთვრალი,
მოჰკვეთა თავი დამმონებელს ადამიანთა,
ვით მოქალაქემ მოიხადა თავისი ვალი
და დილით მოძმეთ მტრის მოჭრილი თავი მიართვა.

კ რ ე ზ ე ვ ს ი

ერთ დროს ლიდიას განაგებდა მეფე კრეზევსი,
თურმე კიროსსაც ძილს უფრთხობდა ლიდიელთ ძალა,
მაგრამ არც კრეზევსს გაუთენდა დღე უკეთესი, —
ერთხელ დუშმანმა მისი ცეცხლით მოშთობა ბრძანა.
მაშინ გაწვიმდა მეუსეულად და თქეშმა წყალმა
ჩააქრო ცეცხლი, — რა უწყოდნენ უმეცარ კაცთა,
რომ კრეზევსს ბედი, ამჯერად რომ აღუდგა ფარად,
განუმზადებდა სახრჩობელის გასანთლულ ბაწარს.

როგორც კი სიკვდილს გადაურჩა, კრეზევსმა ისევ
მტრის წინააღმდეგ გაილაშქრა, რამეთუ სწამდა,
ფორტუნა სასწორს ამჯერადაც დახრიდა მისკენ,
უძღები გული ჰქონდა მეფეს და დიდი მადა
და გამარჯვებას უკვე კიდეც ხედავდა ცხადად.
სიზმარშიც რაღაც ნიშნეული ესიზმრა კრეზევსს
და წყალობათა მომლოდინე მარადის ცათა,
რატომ არ უნდა გაეშუროს სალაშქროდ დღესვე.

ესიზმრა — ხეზე თვითონ ზევსმა მოჰბანა მკერდი,
ხოლო ფებუსმა პირსახოცი მიაგო ციმციმ,
ჰოდა, კაცს ნიშნად რაღა უნდა ამაზე მეტი,
ღვთით განცხადებულს არ სჭირდება ფიცი და მტკიცი.
ქალიშვილს უთხრა ყოველივე, — მარტო მან იცის
თუ როგორ ახსნას და განმარტოს აზრი სიზმრების,
მაგრამ მეუფეს შეეცვალა სიამე სიმწრით,
მაინც რა უთხრა მშობელ მამას შვილმა ისეთი:

„სახრჩობელაზე დაასრულებ სიცოცხლეს შენსას, —
ამჯერად უკვდავ ღმერთებს ასე სწადიათ ალბათ, —
სიზმარში ზევსი წვიმას ნიშნავს, ფებუსი მზესა,
ანუ მზით აღძრულ უსაშველო ხვატსა და გვალვას, —
შენს გვამს ხან ხვატი გამოახმობს, ხან წვიმა განბანს“.
— ასე აუხსნა ეს სიზმარი გრძნეულმა შვილმა.
ენა დაება, სულის მოთქმა ემძიმა მტარვალს
და ლამის მთელი გულ-მუცელიც ჩაუწყდა შიგან.

სახრჩობელაზე მიიცვალა ლიდიის მეფე.
აურაცხელმა სიმდიდრემაც ვერ იხსნა მისგან,
ამ ტრაგედიებს განგება ჰქმნის, მარტოდენ სვებედს
ძალუძს ყოველი შეაბრუნოს, მარტოდენ ყისმათს
ხელეწიფების ცხადი ჩვენი გარდაქმნას სიზმრად,
გულდაჯერებულს ემალება იგი ნიადაგ,
რომ მერე საწყალს მეუსეულად დაატყდეს რისხვად,
წაშალოს პირით მიწისაგან და ჰყოს იავარ.

პ ე დ რ ო ს ა ს ტ ი კ ი

პედრო, შენ ერთი, გინდ სახელით, გინდა სიმდიდრით
მთელს ესპანეთში აღეზევე ყველაზე მეტად.
შენმა ღვიძლმა ძმამ მოინდომა შენი სიკვდილი,
ჯერ მამულიდან გაგაძევა სატანჯად შენდა,
მერე ალყაში მოგამწყვდია მთელს ჯართან ერთად,
ბოლოს კარავში შეგიტყუა, ბარძიმით შესვა
ძმის სისხლი, მასაც, როგორც მკვიდრ ძმას, ძარღვში რომ ედგა
და დაეუფლა სახელსა და სიმდიდრეს შენსას. —

შავმა არწივმა თეთრ მინდორზე მოგიშთო გული,
მას „ბოროტების ბუდე“ ამ დროს მეოხად ჰყავდა,
კარლ ოლივერი კი არ გმტრობდა, არამედ თული,
თული და ქურდი ოლივერი, რომელსაც მადა
მგლის უფრო ჰქონდა და ფლიდობით განელონს ჰგავდა.
ის ბრეტონიდან იყო მოდგმით, ბრეტონშიც ერთობ
მრავალი სული შეიწირა ფლიდობით, რადგან
გულის მაგიერ იმ უგვანოს თურმე ქვა ედო.

კვიპროსელი პეტრო

სახელგანთქმულო გმირო პეტრო, ალექსანდრია
პირით მიწისგან შენ წარხოცე ვითარცა მტვერი!
სარაცინელთა არმიებიც რომ მიანგრიე,
მოყვასთ შორისაც გაიჩინე მრავალი მტერი,
რამეთუ შურდათ უკუღმართებს საქმენი შენი
და შენთა მოძმეთ მოგისწრაფეს სიცოცხლე ძილში.
ცვალებადია ეს სოფელი! გმირთაგან ბევრი
გაუგზავნიათ იმა ქვეყნად შურით და შიშით.

ბარნაბო ვისკონტი

მილანის თავი, ქვეყნის ჭირი და ლხინის ღმერთი, —
ეს ხომ ბარნაბო ვისკონტია! მისხალ და მისხალ
რომ მაღლდებოდა მართ ვითარცა მწვერვალი ეტნის;
უცბად საკუთარ სიძემ, ანუ ძმისწულმა მისმა
დიდებაცა და დროსტარებაც უქცია სიზმრად
და წამში თავქვე გადმოამხო ცადასვეტილი, —
რატომ და რისთვის, — მე არ ვიცი და მარტო ისღა
მრჩება, ამ ამბავს რომ დავუსვა შავი წერტილი.

უგოლინო

საბრალო გრაფის, უგოლინოს, მწუხარე ამბავს
მუდამ თანა სდევს უსაშველო ურვა და სევდა;
ასეთი მძიმე სატანჯველი ამ ქვეყნად ალბათ
კაცთაგან არვის არ არგუნა მუხთალმა ბედმა, —
პიზასთან ახლოს უგოლინო სამ შვილთან ერთად
უკუნ დილეგში ჩაამწყვდიეს. უფროსი ვაჟი
ხუთი წლის იყო და ბედს თითქოს მორჩილად შეხვდა,
მის უმცროს ძმებს კი თავი ისევ ეგონათ სახლში.

წინდღით როჯერსმა, პიზაელმა ეპისკოპოსმა,
ცილი დასწამა უგოლინოს, ქალაქი აღდგა,
ზოგი გრაფს მტრობდა, ზოგი კიდევ გრაფის ოქროსთან

წილს ეძიებდა და უბრალოდ გასწირა ხალხმა,
ციხის დილეგი მიუჩინეს უბედურს სახლად,
სადაც შვილებთან სიკვდილამდე უნდა ეცხოვრა.
ასეთ ღალატს და უმსგავსობას ინგლისშიც ნახავთ,
როცა სიმართლეს სძლევს სიბრმავე და უმეცრება.

დღიურ ულუფად უგოლინოს უბედურ ოჯახს
მხოლოდ წყალი და ობიანი ხმიადი ჰქონდა.
და აი ერთხელ მეციხოვნემ, საქმეს რომ მორჩა,
ჩახერგა კარი და ტალანში შეწყვიტა ბოლთა.
და მიხვდა გრაფი თუ რა ცუდი ამბავი მოხდა, —
შიმშილით სიკვდილს აუწყებდა კარის ჩახერგვა
და დასტურ ახლა დატრიალდა დილეგში ცოდვა,
გაუშრა ნერწყვი და განწირულ შვილებს გახედა.

„რად სტირი, მამა? — ჰკითხა მაშინ უმცროსმა შვილმა,
დაუგვიანდა დღეს საჭმელის მოტანა დარაჯს,
პურის ნატეხი მაინც გვქონდეს, ძალიან მშია,
თავბრუ მეხვევა, აღარა მაქვს ღონე და ძალა,
აქ რატომ ვზივართ, სახლში მინდა, წავიდეთ ჩქარა.
ან მაჭამე და დავიძინებ — მამი, დილამდის
ხმასაც არ გაგცემ, მხოლოდ ჩემთვის ვიქნები წყნარად,
ოღონდაც ახლა მომიტანე ლუკმა ხმიადი“.

ხსნა არსაიდან მოდიოდა, კარს არ უღებდნენ,
მთელი ორი დღე იწუწუნა პატარამ კიდევ,
მესამე დღეს კი მიიცვალა მამის მუხლებზე.
გრაფმა სიმწრისგან უცბად ჭამა დაუწყო თითებს
და ბორგნეულმა ლამის ძვალი გადაღრღნა კიდეც;
— „ბედო კრულო და უკუღმართო, შენ ხარ მარტოდენ
მიზეზი ჭირის და ამ ქვეყნად არსებობ ვიდრე,
სულ უმიზეზოდ უნდა ძრწოდეს კაცის გვარტომი“.

ხოლო ბავშვებმა რა იხილეს შლეგად ქცეული,
როგორ იჭამდა მამა თითებს, ტირილი მორთეს, —
რამეთუ მაგას ნუ იზამო, ჩვენი სხეული
ჭამეო, მამა, შეგაწუხებს შიმშილი ოდეს,
ნუღარ ტირიო და მომავლის იმედი გქონდეს, —

ბოლო გრაფს ძალა არ შესწევდა რაიმე ეთქვა,
მერე კი იმათ დამშვიდებას ცდილობდა ოდენ
და კვირის თავზე მიიცვალა ორივე ერთად.

შიმშილით მოკვდა უგოლინოც. — გასრულდა ცოდვა,
სულმა დასტოვა სამყოფელი ჭმუნვისა, სადაც
ერთ დროს სახელი და მეფური ცხოვრება ჰქონდა,
სადაც ხარობდა და ლამაზი შვილები ჰყავდა,
სადაც ეწამა... და თანდათან ამაღლდა ცადა.
ამ ნაღვლიან და მძიმე ამბავს სავსედ და სრულად
იტალიელი დანტეც აღწერს, ვითარმედ ადამს
ვერარა ძალუძს, ბედი როცა უკუღმა ბრუნავს...

აქ რაინდი და მეფუნდუკე ბერს
სიტყვას აწყვეტინებენ.

მონასტრის კაპელანის ამბის პროლოგი

„ო, ღმერთო ჩემო! — იღრიალა უცბად რაინდმა,
ეს რა გლოვისა და ტირილის დარი დაგვიდგა,
რას ჰგავს ამდენი ცოდვა-ჭირი და უბედობა,
კმარა, აქამდე რაც გვაწამეთ, ისიც გვეყოფა.
მე, მაგალითად, გმირის მარცხმა და უიღბლობამ
სასო წარმკვეთა და ცის კარი გადამიღობა.
განა არა სჯობს, როს დიდება სიმწრით იწყება
და როცა მერე გმირობას და თავდავიწყებას
მოაქვს უსაზღვრო სიხარული და გამარჯვება,
რაც ბედის ტრიალს, გვწამს, გაუძლებს და გადარჩება.
მიყვარს ხმა იგი, ძლივს მესმოდა რაიც მანამდე,
ბოლოს რომ რეკავს და იმედის სხივით მანათებს“.
    რაინდთან მაშინ მეფუნდუკეც დადგა მხარიმხარ,
თქვა: „წმინდა პავლეს ზარებს ვფიცავ, თქვენ მართალი ხართ,
ხედავ, რა გვიყო, — ღვთის მსახური ვარ აქაოდა;
შიშით გვზარავდა და ყვავივით თავს დაგვჩხაოდა.
ეს „სიმუხთლეო“ თუ რა ვიცი რაღაც დოზანა,
ვერა კაცი ვერ წაუვა ბედით მოსავალს.
— ერთ დროს რაც იყო და არ არის, ხალხნო, ცოცხლები
იმაზე რა თავს ვიწუხებთ და რას ვიხოცებით.
ჩანს, არც ღვთის შიში არ ჰქონია ამ უპატრონოს,
— მაშინ მგზავრობას რად გვიმწარებ ასე, ბატონო,

მერე შენს ამბებს, გამარკვიე ერთი თუ ძმა ხარ,
პეწი და ეშხი ასე მაინც რამ დაუკარგა.
ბატონო ბერო, თუ, რა ვიცი, ვიღაც პეტრე ხართ,
ცოტა ხალისი ჩემგან რად არ გადაგედებათ, —
მაგ ეჟვნებს რომ არ ეჟღრიალათ, ძმაო, ვიდრემდის
შენს ციცქნა ამბებს კემსავდი და ჩაჰკირკიტებდი,
მე, ცოტას გაწყდა, წმინდა თომას ძვლებს გეფიცებით,
არ ჩამეძინა და არ მომწყდა ძირში კისერი,
ჰოდა, ტალახში რომ მომეღო უცბად ზღართანი,
ნეტავ კიდევ თუ იქნებოდი მაშინ მართალი.
სიტყვის ლაზათს და ოსტატობას მაშინ, მითხარი,
აზრი და ფასი არა აქვს-თქო არავითარი.
ვიღაც ბრძენს მართლაც კარგად უთქვამს: „მუდამ გახსოვდეს,
რაც უნდა დაშვრე, მაინც ვერსად და ვერასოდეს
ვერ ნახავ ნაყოფს, კაცს და მსმენელს თუ ვერ იპოვნი,
და აზრი შენი ამაოა, სიტყვა — ლიტონი“.
მე, ძმაო, ეგრე ნუ მიყურებ, ღმერთმა იმდენი
ჭკვა მაინც მომცა, რომ გავიგო შენი ამბები.
დიახ, ამაში კი ვერკვევი, შენ სხვა მითხარი...
თქვი ნადირობის ანდა რაღაც ეგევითარი“,
„სწორედ, მზადა ვარ გადავიქცე ლაპარაკადო, —
თქვა ბერმა, — ჩემი მე მოვრჩი და სხვებმა გაგართონ“.
გაკენწლა ბერი მეფუნდუკემ გულში უზრდელად,
მაგრამ ხმამაღლა მხოლოდ მამის ძვლები უხსენა,
მერე კაპელანს მიუბრუნდა: „მაგის ჯინაზე
თქვი რამე, თორემ ბერი უფრო თავს დაიფასებს,
რაღაც ცოცხალი მოგვიყევი, — შენი ჯაგლაგიც,
ხომ ხედავ, ძმაო, რომ დაღღლავს ვაივაგლახით.
მაგრამ მაგ შენს ცხენს თუ უყურე და მაგ ჭირიანს
თუ ებოდიშე, მაშინ დღეს ვერ გაგვიცინია“.
„კეთილი, — უთხრა კაპელანმა, — ზღაპრის მოყოლაც
მგონი, არ მიჭირს, შენ გაგართო, ძმაო, ოღონდაც,
ისე, ხანდახან შენს გემოზე თუ ვერ შევკაზმო,
არ შემაგინო, — სხვას ეამოს იქნებ, შე კაცო“. —
იმან ერთი კი გადახედა სერ ჯონს ელამად,
მაგრამ თქმა აღარ დააცალა მას კაპელანმა.

მონასტრის კაპელანის ამბავი

აქა დასაწყისი მონასტრის კაპელანის ამბისა მამალ შანტეკლერისა და ქათამ პერტელოტის შესახებ.

მთებში, ტაფობის მწვანე პირზე და ჭალის გვერდით,
პატარა ქოხში ქვრივი ქალი ცხოვრობდა ერთი.
მას შემდეგ, ქმარი რაც დამარხა, სულ ჭირის თმენით
მიზოზინებდნენ მისი წყნარი სიბერის დღენი.
ხარობდა ორი ქალიშვილით და იმათ გაზრდას
მისი სიცოცხლე თანაბარად ეყო და გასწვდა.
სხვა არც შეეძლო გაეწირა ამაზე მეტი,
ჰოდა, ცხოვრობდა ისე, როგორც მისცემდა ღმერთი.
დაუდიოდა სამი კარგა მოზრდილი ღორი,
ერთი ძროხა და მასთან კიდევ ბოჩოლა ორი,
ერთი ბატკანიც, თეთრი როგორც ქათქათა თოვლი,
და თან ყველაზე საყვარელი, სახელად მოლი.
საჭმელს იკლებდა და გოგონებს უყოფდა ქვრივი,
ხშირად ულუფად ჰქონდა მხოლოდ ვახშამი ცივი.
არ წუხდა, — გინდა ყოფილიყო გამხმარი პური, —
წყაროს ცივ წყალზე მიატანდა კეთილის გულით.
ღორმუცელობას ხშირად მოსდევს სენი და ყამი,
მარხვით კი უფრო გაიკაჟა მოხუცმა გვამი.
შრომა და ჯაფაც ხელს უწყობდა ამაში ალბათ
და ავადობა არც იცოდა რა იყო ქალმა.
და წელკავს მაშინ, როცა იდგა ახალი წელი,
აღარ შეეძლო შეეშალა ცეკვაში ხელი.
აპოპლექსია უცხო იყო ნამდვილად მისთვის,
არ სვამდა ღვინოს და მით თვალზეც არ ეკრა ბისტი,
ღვინო კი არა საწყალს ხშირად უჭირდა კერძიც
და ხმელ პურს ალაგ რძე ალბობდა, ალაგ კი ნერწყვი,
მაგრამ ქვრივს მაინც იშვიათად დასძლევდა სევდა,
და დედა-შვილნი უდრტვინველად ცხოვრობდნენ ერთად.
მის ეზო-კუთხეს ღობე ერტყა ეკლის და ბარდის
და გარე-გარე მორაჯგული გამხმარი ლარტყით.

შიგ დადიოდა მედიდური მამალი დინჯად
და დედლებს უხვად სთავაზობდა მატლსა თუ ფინჩხას.
ესე ზვიადი შანტეკლერი ყოველდღე სისხამ
მთებს აღვიძებდა და პირველი ხვდებოდა ცისკარს
და შეუმცდარად, მას ყოველსა ცისმარე დღესა,
რეკდა, ვითარცა საშობაო ორღანოს მესა
და როგორც წესი, წინ უსწრებდა მონასტრის ზარებს,
ბადალი მისი არსად იყო შინა და გარე.
ყურს კარგად აკლდა საბრალო ქალს და მაინც ბედად
მამალი მასაც აღვიძებდა შვილებთან ერთად.
მზე რომ შუბის ტარს ასცდებოდა, მაშინვე ისიც
გარემოს ისევ დაატკბობდა გალობით თვისით.
თავზე ისეთი მარჯნისებრი ედგა ბიბილო,
რომ დედლებს თვალი დარჩებოდათ ზედ უსიკვდილოდ.
ნისკარტი მისი იყო ვითარ შავი აქატი,
ბოლო ფირუზი, ყელ-კისერი ყალმით ნახატი.
სხეული ოქროს ვარაყის და მზის ბრწყინვალების,
სპილოსძვლისფერი დეზები და თეთრი ბწკალები.
თუ რომ ჟამი-ჟამ აჰყვებოდა სევდას შინაგანს,
შვიდი დედალი გაართობდა მაშინ შვიდმაგად.
ცივ ნიავს არვინ აკარებდა მამალს, ოღონდაც
ეგ გაერთოსო და გარს ერტყა ოქროს კოჰორტა.
ხოლო მათ შორის უკეთესი სხვათა ყოველთა,
მშვენება მისი ჯერ ვერვის რომ ვერ გამოეთქვა,
იყო ლამაზი პერტელოტი, მამლის ცოლებში
უსაყვარლესი და ყველაზე უსათნოესი.
იმას არავინ ასაქმებდა, საკენკს უხვადაც
უნაწილებდნენ და სულზედაც მეტად უყვარდათ,
ვით ქმრის მორჩილი, თვინიერი და გულმართალი.
თუ გონიერი — სხვა არც იყო მისი ბადალი.
და ქმარიც ისე ჩაეჭირა, — ყველას სჯეროდა,
რომ შანტეკლერი არც სუნთქავდა უპერტელოტოდ.
იმას მეუღლის ქება მხოლოდ შვებად მიაჩნდა
და პერტელოტის გალობაში იყო ნიადაგ,
(კაცის ენაზე ლაპარაკი, გაგიკვირდებათ,
ძველ დროში კარგად იცოდაო ყველა ფრინველმა).

ერთ მშვენიერ დღეს, საქათმეში, გამთენიისას,
როცა ის იყო ირთვებოდა ზეცა იისფრად
და ქანდარაზე დაბუდებულთ ისევ ეძინათ,
უცბად ბიბილოაშლილმა და ფრთაგაძეძილმა,
გამოიღვიძა შანტეკლერმა და, შეპყრობილმა
უზომო შიშით, უჩვეულოდ დაასლოკინა.
ქმარს პერტელოტმა მხარი გაჰკრა — ჩემო ძვირფასო,
რას სლოკინობო, ანდა ფერი რას მიგიგავსო, —
გაიღვიძეო, შემოგევლე! — ხოლო მამალმა
ბოლოს შიში და აღელვება ვეღარ დამალა
და ცოლს გაენდო: „დაცამლეწა შიშმა სრულებით,
რაც ვნახე, მტერსაც, ქალბატონო, არ ვუსურვებდი.
სიზმარი იყო, მაგრამ. ნუ ქნას, ჩემო ხატებავ,
ღმერთმა ამ შიშის აღსრულება და განცხადება.
— ვითომ, ეზოში სასეირნოდ რომ გამოვედი
და ღობეს დინჯად ჩავუარე, როგორც ყოველთვის,
უცბად თვალნათლივ დავინახე — ეკლის ბუჩქიდან
რაღაც მოძვრება და თვალები ჩემსკენ უჭირავს.
ძაღლს ჩამოჰგავდა, მაგრამ ფერი არ მეცნაურა,
მფრთხალი იყო და არც ძაღლივით ჩანდა ხმაურა.
ხშირი, ფაფუკი, მოყვითალო ბეწვი ემოსა,
მაგრამ ყურები უღვიოდა უფრო ენდროსფრად,
კუდი გრძელი და დიდებული, ხოლო თვალებში
სხივი რამ ედგა გამჭოლი და უმხურვალესი“.
„და ამან ასე შეგაშინა, ვაი სირცხვილო,
არსად თქვა, თორემ არ ეყოფა არვის სიცილად.
ან ცოლთან ამას როგორ ამბობ, შე უნიათო,
— სად გავამხილო, ასეთ ამბავს როგორ მიამბობ?! —
ღმერთო, თუ ქმარი არ იქნება ქალის იმედი
და მამაცი და უშიშარი სულის სიღრმემდი
და სულგრძელი და გულმართალი, ანდა ძუკნა ძაღლს
და კაპას კატას არ ებრდღვნა და არ გაუმკლავდა,
ო, ღმერთო, მაშინ რა ფასი აქვს მასთან ცხოვრებას,
მის ხელში ქალი ხომ დაჭკნება და ჩამოხმება.
— არა, მე მხოლოდ ის მაკვირვებს, კაცი სადამდის
უნდა დაეცეს და სადამდის უნდა დამდაბლდეს,

როცა მეუღლეს ურცხვად ასეთ რამეს უბედავს,
— ეს კაცი ან მე მატყუებს და ან გასულელდა!
თურმე წიწილის გულს გიფარავს, ჩემო მკვეხარავ,
ეგ ოქროს ფრთები და ატყუებ ცოლს და ქვეყანას,
ანდა იმდენი ვაჟკაცობა გამოგეჩინა,
რომ შენი შიში სხვისთვის მაინც არ შეგეჩივლა.
ისე, ძვირფასო, აქამდისაც გცოდნოდა უნდა,
რომ შიში მუცლის ამოყორვით იწყება მუდამ.
ღვინომაც იცის, — ყველაფერმა, რაც კუჭში ჭარბად
ჩავიდა, მერე ჩამჟავდა და ნახევრად ჩალპა.
ამას რომ ნაღვლის ხურვა მოსდევს და ხურვას ღვიძლის
გაბერვა — ეს ხომ დღეს უბრალო გლეხმაც კი იცის.
ხოლო მაგ სიზმრებს სწორედ ნაღვლის ხურვება იწვევს,
მაგრამ კოშმარსაც უნდა დახვდე, ძვირფასო, მტკიცედ, —
ნაღველი რას არ მოგალანდებს, — ქვესკნელში, ვითომ,
ცეცხლი გედება და ავსული გაწვალებს თვითონ,
მოფრიალდება რკინის შავი კარი და უცებ
ათასი მგელი და ქოფაკი დაგიღლეტს მუცელს,
ვერას გახდები მათთან შენი თხოვნით და ხვეწნით,
— ნადირი რისი ნადირია, მხეცი — რის მხეცი.
მერე ჯამეჩი გეტაკება კუპრივით შავი,
შავი ჭინკები, შავი დათვი და შავი წავი.
უცებად ვიღაცა რკინის კლანჭებს კისერში გავლებს
და გწამს რომ ვეღარ გადურჩები უჟმურს და მავნეს
და სხვა მრავალი, — აქ ყველაფრის ჩამოთვლა ნაღვლის
გამწვავებაზე და ტკივილზე ორივეს დაგვღლის.
მე მეტსაც გეტყვი; მაგალითად, რომაელ კატონს
ბრძენ კაცად სთვლიან ამ საკითხშიც და აი რატომ:
„სიზმარი ცრუა, — გვეუბნება, — არამც და არამც
არ ენდოთ სიზმრებს“, — მგონი მარტო კატონიც კმარა.
ჰოდა, მიდი და სასაქმები დალიე ზეთი,
ცოტა გამაგრდი და სხვა რამე არც გინდა მეტი.
ეგ შხამი ეხლავ გამოდევნე, შიშს ხელი ჰკარი,
და მალე ისევ ჩემი კარგი იქნები ქმარი.
ექიმს არ ვიწვევ, — რომ მიყურებ, ძვირფასო, მაგრე,
მე მედიცინა კი არ მესმის ექიმზე ნაკლებ, —

სხვა ბალახებსაც მიგასწავლი — გულზიდვას შველის
და სულს მოგითქვამს, პერტელოტი მოგიკვდეს შენი.
და ჩემი ხელით გაგიკეთებ, ძვირფასო, ოყნას,
თორემ ეს ჩემი განათლებაც ხომ დამრჩა ოხრად.
ერთი ბალახი კარის ყურთან იზრდება აქვე, —
ეხლავე უნდა თადარიგი ამნაირ საქმეს,
მაგრამ მზეს უნდა მოერიდო — სითბო და სიცხე
ასეთ დროს ნაღვლის კიდევ უფრო სიმძაფრეს იწვევს, —
შენ მაშინ ნახე სულელური ბოდვა და შიში
და მუწუკსაც რომ გამოგაყრის ტანზე და პირში
და მერე ვიდრე ეგ ბოდვა და სიცხე არ გავა
მწოლიარე ხარ და ნიადაგ თავსაც გრძნობ ავად,
არრა გეჭმევა, უჭმელობაც გაგახდენს ბოლოს, —
დღეში ერთხელ ჭამ ჭიაყელას მსუბუქ ხორცს მხოლოდ,
ამ დროს პირდაპირ მისწრებაა აბზინდის წვენი,
ნამდვილი ხსნა და გადარჩენა მას მოაქვს შენი,
მერე გვირილის ნაყენი და წვეთები პიტნის
გიხსნის გაზისგან და ბოლომდის გაგკურნავს თითქმის,
ხოლო თანდათან კუჭში გახსნას და მუცლის გვრემას
შხამიც გამოაქვს და ხურვებაც ნელი-ნელ ქრება.
ეჰ, არაფერი არ სჯობია ხეჭრელას ნაყოფს —
შენ ხსნა და შველა, აი, უნდა იმისა ნახო.
მაშინ კი მართლა გეშველება. — ბოლოს თუ გობით,
ჯულბასაც შეჭამ, ძველებურად დაიწყებ ფოფინს!
ხოლო თუ ძილიც გინდა გქონდეს წყნარი და მშვიდი,
ამ ქვეყნად, კარგო, მხოლოდ მიტომ არსებობს შინდი“.
მამალმა დინჯად მოიქექა კისერი ბწკალით
და მედიდურად გაუსწორა მეუღლეს თვალი:
„ულრმესად გმადლობთ, ქალბატონო, თქვენს დარიგებას
არ დავუჯერო არ ივარგებს და არ იქნება,
მაგრამ რაც კატონს შეეხება, სიზმრის გარშემო
არ შემიძლია სხვისი აზრიც არ გაგახსენოთ.
ვიცი, რა დიდი სწავლულია თქვენი კატონი,
მაგრამ სიზმრების საკითხში კი ცდება, ბატონო,
ვგონებ, კატონზე არანაკლებ დაეჯერება
ძველთა მამათა სიბრძნესა და გონიერებას —

რამეთუ კაცის თვითეული გინდა სიზმარი,
გინდა ზმანება, აზრიაო ნათლისმიერი,
ხოლო ღვთის ნება, ისე როგორც ბედის ხატება,
კაცს ჟამიდაჟამ მხოლოდ სიზმრით განეცხადება.
ავიღოთ თუნდა ციცერონი — სიზმრის საკითხზე
აი, რას ამბობს და რანაირ ამბავს აგვიწერს:
გზად ორი კაცი ვიდოდაო, — იმათ საერთო
ფიცი მიეცათ და რაღაცა აღთქმაც დაედოთ,
შემოალამდათ, მაგრამ ვერსად ვერ მოიძიეს
ბინა და ერთობ შეაწუხა ორთავ სიცივემ.
შუალამისას, როგორც იქნა, ვერსად რადგანაც
ორი საწოლი ვერ იშოვეს, ერთმა მათგანმა
ბოსელს მიმართა, მეორემ კი სადღაც ანაზდად
ფუნდუკში ტახტი მონახა და ზედ მოკალათდა.
ბოსელში სითბო მოემწყვდიათ ხარებს ოხშივრით
და ალაგ-ალაგ ჩალაც იყო მიშლილ-მოშლილი.
მეორეს ბედმა უკეთესი ხვედრი არგუნა —
ფუნდუკში ჭერქვეშ ტახტი მაინც შეხვდა ხრაგუნა
და როცა თავი ძილს მისცეს და მილაგ-მოლაგდნენ,
რაღაც უცხო რამ დაესიზმრა ტახტზე მწოლარეს, —
ვითომ ბოსელში ხარებთან რომ იწვა, ძმობილმა
ინახულა და ასეთი რამ შეატყობინა:
„ხართან ვწევარ და ხარის ფუნა მიდევს სასთუმლად,
მიშველე, ძმაო, ალბათ ავმა სულმა მაცთუნა,
მოდი, ჩვენს შორის თუ არსებობს ძმობა ნამდვილი,
ნუ დაყოვნდები, თორემ მოკლულს მნახავ ხვალ დილით“.
გამოიღვიძა შემცბარმა და გულდაბინდულმა,
მაგრამ არ სწამდა სიზმარი და პირი იბრუნა,
იგივე ნახა, მაგრამ ეხლაც ვერ იმყოფინა
სარწმუნოდ ის და ბოლოს ასე უთხრა ძმობილმა:
„დაგაგვიანდა. უკვე მომკლეს, — აი ჭრილობა,
ხვალ მაინც მოდი უთენია აქ უცილობლად,
კართან ვაგდივარ, ჩალის კონა მხურავს ზემოდან, —
ოქრომ დამღუპა, ნეტავ გროშიც არ მქონებოდა.
და მკვლელი ჩემი რომ არ დარჩეს განუკითხავი,
ყველას უამბე, რაც ნახე და მე რაც გითხარი“, —

და ყველაფერი დაწვრილებით ჩამოუკაკლა,
ვით მოიძია და ვითარ ჰკლა ვიღაც უგვანმა.
რა დაასრულა, გზა ლანდივით უხმოდ გასცურა,
და კაცის თვალთა მიჰფარდა და იქცა წარსულად.
ის იყო ზეცას ღამის ბინდი მზემ განუქარვა,
გვამს მიაშურა მარტოხელმა ჭირისუფალმა,
მაგრამ მრუმეში აქ შეფარვით და შეუცნობლად
ზედ ბოსლის ყურზე მეფუნდუკე ფაციფუცობდა
და უცხო კაცის დანახვაზე სახლის პატრონმა
რაღაც იაზრა და სიწითლემ დაჰკრა რატომღაც, —
უთენიაზე გასწიაო თქვენმა ძმობილმა,
ისე უჩუმრად გაქრა, თითქოს აქ არც ყოფილა, —
ცუდად ენიშნა ეს სიტყვები მაშინ მეგობარს —
უცხადდებოდა ზუსტად ძმისგან რაც გაეგონა
და დახორებულ ჩალასაც რომ იქვე ანაზდად
თვალი შეავლო, სიზმრის მრუმეც დღეებრ განათდა
და მაშინ ვითარ შეპყრობილმა დაიღრიალა
და მოსკდა ხალხი ბანიან და აივნიანი.
„ხალხო, ჩემი ძმა სისხლის მსმელმა და ავაზაკმა
ოქროს გულისთვის აქ სიცოცხლეს გამოასალმა,
ჩალის ქვეშ გდია უბედური, აწ დამნაშავეს
თქვენ საზღაურიც მიაგეთ და თქვენვე დასაჯეთ“.
გვამი იპოვნეს, განბანეს და მალე გაუკვლელ
გზას გაუყენეს და საჭირო წესიც აუგეს,
ხოლო იმ დღესვე მეჯინიბე და მეფუნდუკე
მოსამართლისკენ გააქანეს ორთავ შურდულებრ,
გააქანეს და იქ იმდენი ურტყეს ორთავეს,
რომ მეჯინიბე გატყდა როგორც საქმის მოთავე,
მერე ცოდვები აღიარა სახლის პატრონმაც
და სიკვდილითვე შეუცვალეს მასაც კატორღა.
ასე იყო და ასე ხდება თურმე ყოველთვის, —
ვერავითარი რიოში და მიეთ-მოეთი
ხმას სიმართლისას ვერ ჩაახშობს და ბნელ რიდედან
ადრე თუ გვიან იგი მზეებრ გამობრწყინდება,
და ასე ყველა სიზმარი და ყველა ზმანება
კარგი წიგნივით იკითხება და ისწავლება.

თუ ნებას მომცემ, ქალბატონო, ციცერონიდან
სიზმრის შესახებ ერთ მაგალითს კიდევ მოვიტან:
„ძველ დროში ვიღაც ორ მეგობარს, როგორც გვიამბობს
დიდი სწავლული, ზღვა სავალად ჰქონებიათო,
მაგრამ იმ დილით ზღვა მოეგდო ფეხქვეშ ქარიშხალს
და გამგზავრება იმ ავდარში ვერვინ გარისკა.
სხვაც ბევრი დარჩა წაუსვლელი და ორთავემაც
პორტში მწუხრამდე დაუცადა გამოდარებას,
გრიგალი ჩადგა და სიბლანტე ზღვაზე შიგნიდან
ამოიმართა და ღრუბელიც გადაიკრიფა.
გახარებულმა მეგობრებმა, ვიდრე საწოლებს
მიაშურებდნენ, ერთხელ კიდევ აწონ-დაწონეს —
თუ ვითარ სისხამ ავდგებითო და პირველსავე
გემს გავყვებითო დილით პორტში პირობისამებრ.
იმ ღამეს სიზმრად ყრმა იხილა ერთმა მათგანმა
და უთხრა, შენი წასვლის დროო ჯერ არ დამდგარა,
ხოლო თუ წახვალ, მოკვდებიო... — დილით ძმობილმა
ძმობილს უკლებლივ ყოველივე შეატყობინა,
მაგრამ არ ეყო იმ მეორეს თურმე სიცილად
ეს სიზმარი და ცრემლით თვალიც აუციმციმდა, —
— მაშ, გადაწყვიტე პორტში დარჩე! რაღაც კოშმარმა
ვაქკაცი კაცი მიკვირს ასე როგორ მოგშხამა!
არა გრცხვენია?! სიზმრის გამო უნდა შეცვალო
ამხელა საქმე, შენ ბჟუტურავ და უმეცარო?!
კაცს ათასი რამ ესიზმრება — მე, მაგალითად,
ამომიღია ბევრჯერ მკვდარი თვით საფლავიდან,
დუშმანს მეც ბევრჯერ მოვუკვლივარ, ბევრჯერ ადვილად
დავმხრჩვალვარ წყალში და კლდიდანაც გადავვარდნილვარ.
ყველა ზმანება, ჩემო კარგო, და მოჩვენება
ტყუილია და ტყუილს ხომ არ დაეჯერება.
მაგრამ შენ ისე შეგაშინა, ძმაო, ზმანებამ,
რომ ჩემი სიტყვა, გატყობ, გულზეც არ გეკარება.
მე წავალ და ჩემს ბედს ვეწევი, შენ კი, ძვირფასო,
როდემდე გინდა მაგ სიზმრებით თავი იმასხრო?“

ასე დასცილდნენ მეგობრები ერთმანეთს მაშინ
და გაბედული იმ დილითვე გავიდა ზღვაში,
მაგრამ ჯერ გემი შუა გზაზეც არ იყო, როცა
გრიგალმა ზღვაში ჩაძირა და მგზავრები მოწყლა
და ძმის დაღუპვის საშინელი ამბავი პორტში
დილით გემებმა მოუტანეს განგების მორჩილს.

ო, პერტელოტო, საყვარელო ქალო და ცოლო,
ცოტა სიზმრებსაც დავუჯეროთ ბოლოს და ბოლოს,
ვით განგების ხატს ჩვენ თვითეულ კოშმარს და სიზმარს
უნდა შეეხედოთ უფრო საღად და უფრო ფხიზლად.

შემთხვევით ამას წინეებზე კენულფი მეფის
ვაჟის, ნეტარი კენელმის და მისი მკვლელების
საშინელ ამბავს ვკითხულობდი, თუ გახსოვს, რვა წლის
უფლისწულს ტახტი ჩააბარეს და ერთხელ ყმაწვილს,
მანამდე, სანამ თავს მოჭრიდნენ, ესიზმრა ვითომ
ყელს უღადრავდა ბასრი ხანჯლით დეიდა თვითონ.
ღამით ნანახი დილით ბავშვმა უამბო ძიძას,
ძიძამ კი ბევრი დაარიგა და რჩევაც მისცა,
მაგრამ მით საქმეს ვერ უშველა... ძვირფასო, გვედრი,
შენც წაიკითხო... არ იქნება სულ სამი გვერდიც.
მაკრობიუსიც გადაშალე, — მისეულ „სიზმარს“
ბედი მართავს და ისიც იმას ისახავს მიზნად,
რომ ზმანებათა კანონები ისწავლოს ხალხმა
და წაიკითხოს თვითეული სიზმარი წალმა.

„ბიბლიას“ მაინც ხომ ვერ შეცვლი?!. გეყოფა, კმარა.
დანიელს სიზმრის სასწაული სწამდა თუ არა?!
ანდა იოსებს რაღას უზამ? — მაშ, ერთი სიტყვით,
აზრი ყოფილა თურმე ყველა სიზმარში თითქმის.
რას მეჯიბრები, — ფარაონსაც, მეფეს და დიდგვარს
სწამდა სიზმრების, — თუკი საქმე შეჯიბრზე მიდგა.
ხოლო თუ მეფეს, მაშინ მისი მოდგმის და სისხლის
ყველა კაცს ანუ მთელს ეგვიპტეს სჯეროდა სიზმრის
და თუ ანალებს გადაქექავ გარდასულ ჟამთა
ყველას სიზმრების და ზმანების უკლებლივ სწამდა,
ლიდიის მეფეს, რა სიზმარი ესიზმრა, კრეზევსს? —
ხეზე გაძვრა და მერე მართლაც დაჰკიდეს ხეზე.
სიზმრების ენით ზოგჯერ მხოლოდ სიფრთხილე გვმართებს,
ზოგჯერ პირიქით, — სული უნდა განაღო ფართედ.
ანდრომაქემაც, მან ჰექტორის მეუღლემ, რაღა

მაინცდამაინც ქმრის სიკვდილი სიზმარში ნახა?! —
რკინის ჭიშკრის წინ სასიკვდილოდ დაჭრილი ეგდო,
და დილით მიტომ არ უშვებდა გადაღმა ჰექტორს,
მაინც თავისი გაიტანა მეუღლემ ბოლოს, —
მაგრამ რას იზამ, — ურჩს სამარე ასწორებს მხოლოდ.
ტროას გასცდა და აქილევსმა განგმირა მართლაც, —
ყველას თავისი სვე განაგებს და ბედი მართავს.
მთელი ღამე რომ ჩამოვთვალო, სიზმრებზე რაიც
მსმენია, ალბათ ვერ მოვრჩები დილამდე მაინც.
მე იმას ვიტყვი, რომ წეღანდელ სიზმარში ნაღდად
ავიც ბევრია და ვაი თუ უკლებლივ ახდა!
რაც შეეხება სასაქმებელ ზეთსა და წამლებს,
მე ვერ მიხსნის, და შენ თუ გინდა ახლავე დავლევ.
ისე, საერთოდ, შენც ხომ იცი წამლებს რომ ვერ ვსვამ,
არ ვუსურვებდი მათ დალევას მოსისხლე მტერსაც,
გვეყოფა, იქნებ ეს სიზმარი ამდენად არც ღირს, —
ისე, სულიკო, ყოველგვარი შიში თუ მარცხი,
შენ რომ შეგხედავ, თვალს რომ მოვკრავ შენს მაღალ კისერს,
არც ყოფილაო, ისე ჩანს და მქრქალდება ისე,
ერთს ჩემებურად შემოვძახებ ყიყლიყოს რიხით
და უბედობას თვითონ ვერჩი და ვებრძვი იქით.
და ეს ცხადია, ისე როგორც In principio
Mulier est hominis confusio*.
ეს ლათინური სიბრძნე გვამცნობს რომ ქალი კაცის
არის ღვთიური საბოძვარი, უნჯი და განძი.
შენს თბილ ბუმბულს რომ შევეხები, ძვირფასო, ღამით,
საწყალს საქათმე მომეჩვენოს სამოთხედ ლამის
და ჩვენი ქანდრის სივიწროვეს რა ვუთხრა, თორემ
მაშინ ბუქნა და კოტრიალი მადლია სწორედ.
შენ მასულდგმულებ, თორემ ვეღარც გავძლებდი ალბათ, —
ჩემი ტოლების დღეს მიწაში ძვლებიც კი დალპა“.
თქვა და ისკუპა ქანდარიდან, ხოლო მის უკან
შვიდმა დედალმა, შვიდმა ცოლმა შვიდჯერ ისკუპა,
შვიდივეს თავი მოუყარა მშვიდი კაკანით

* კაცის ცთუნებაა ქალი დასაბამიდანვე (ლათ.)

და წინ წარუძღვა, თავს ერჩივნა შვიდივ მათგანი.
ხოლო მის გვერდით, როგორც ამას ყველა ელოდა,
ადგილი იგი დაიკავა მყის პერტელოტმა.
შანტეკლერს სული შეუგუბდა ალერსისგან და
მეუღლეს ყელთან ნაზად ორჯერ ჩაუნისკარტა,
მერე ლომივით გაიფოფრა, ფრთა ფრთას შემოჰკრა
და მის ყივილზე დღე შემოკრბა გარეშემოდან,
მზე ბიბილოსებრ შემოადგა, და თეალდასავსებ
ღამეს დეზი ჰკრა და ტალახად შერჩა დეზებზე.
მერე ნაგავი გადაქექა და ნაგავიდან
ფეტვის მარცვალმა მოანათა ვით მარგალიტმა, —
ამ ლუკმას ბარე სხვა დედლებიც გულით ნატრობდნენ,
მაგრამ მამალმა ის პერტელოტს არგო მარტოდენ.
ეზოში იგი დიდხანს მეფურ დაბიჯებდა,
გულს იმაგრებდა და წუხანდელ შიშს არ იმჩნევდა,
მაგრამ მას თავი დავანებოთ, სალაპარაკო
კიდევ ბევრი გვაქვს საიგავო და საარაკო.
იმ დღიდან, როცა მიწა იშვა, (როგორც ამბობენ,
მარტის თვე იდგა), მზე გამოსცდა თავის სამყოფელს,
ვერძიდან კუროს ზოდიაქოც განვლო ხალისით,
გაიმაღლა და ორმოც გრადუსს მისწვდა მაისში.
და უებარი თვალი ღვთისა ამ სიმაღლიდან
დასცქერდა მამალს და ოქროსფერ ნათელს აღვრიდა,
მან კი მზეს თვალი მოუშუტა და მეყსეულად
რაღაც იგრძნო და მერე იმის ახსნას შეუდგა,
რომ ცეცხლის ბურთი თითქოს კუროს ვარსკვლავთა დასტას
მხოლოდ და მხოლოდ ოცდაორი გრადუსით ასცდა,
ხოლო ყოველი ესე თურმე იმას ნიშნავდა,
რომ დღეს დაუთმო საბრძანისი ცაზე რიჟრაჟმა,
საყდარში წირვას მღვდელიც მორჩა, — დღე დაილოცა,
მიდი, იცხოვრე, — რაღა გინდა მეტი, შვილოსან.
„ჩემო სულო და თვალის ჩინო, ო, პერტელოტო,
ამ წყალობაზე მეტს ქათმები რაღას ველოდოთ.
შენც იცხოვრე და მეც მაცხოვრე! — აჰა, ბალახი,
კორტნე და კენკე, მეც გავლაღდე და შენც გალაღდი!“
და აი, სწორედ აქ იცდიდა უბედურებაც. —

ძას მოსვლა მხოლოდ შვების შემდეგ მოესურვება,
შვება, საერთოდ, არს სუსტი და წარმავალიცა
და ვეღარ გასძლო შვებამ დიდხანს ვერც მამალისამ.
— მე მხოლოდ შვების გზებს ავხსნიდი, ხანი რომელსაც
არ უწერია, ღმერთს რომ ნიჭი მეტი მოეცა.
ისე კი, ძმებო, შანტეკლერის და პერტელოტის
ამბავში, როგორც არტურისა თუ ლანსელოტის
ისტორიაში, ერთი ტყვილიც არ ურევია,
და პოეტს სიტყვა, ძმებო, არც აქ გამრუდებია,
მაშ, ყური მიგდეთ — ამბავიდან მართალთაგანი
ჩვენც დავასრულოთ საარაკო ესე ამბავი.
აქ ერთი მელი, გრძელი, ყღალი კუდის ამარა,
ცხოვრობდა ყველა მისებრ ფლიდი მელის მაგვარად,
იმ შეჩვენებულს ალბათ მართლა ღმერთი სწყალობდა, —
დიდხანს ცხოვრობდა არხეინად ხევში წყაროსთან.
გამოეთხარა ღამით ბებრის ღობე ამჯერად
და განეზრახა თაღლითს ჩვენი მამლის დაჭერა.
და შანტეკლერიც ბედად იქვე ფაციფუცობდა,
ცბიერი მელა სად ჯირკვივით იწვა უგრძნობლად.
ეს გაიძვერა ალბათ ბებრის გასელას ეზოდან
და გოგონების ხელსაქმეს და გარჯას ელოდა.
დრო შესაფერი შეურჩია და გაიძვერამ
გაშალა კუდი და კისერიც კი წაიგრძელა, —
კარგად იცოდა, ვით ქურდებმა და ბაცაცებმა,
რომ გაფოფრილი ქათმებს უფრო თავზარს დასცემდა. —
სიგრძე და სისქე დასაფრთხობად არის მისწრება, —
ეჰ, შანტეკლერო, სად წაუხვალ შენს ბედისწერას!
— აი, იუდა ჩვენი დროის და განელონი,
ტროა-ქალაქის დამღუპველი აი სინონი!
ფლიდო ოთხფეხო, ყველა დროის ავთა არსთაგან
უავესი და უარესი შენ ხარ ასმაგად!
მაგრამ, მამალო შანტეკლერო, შენ ხომ სიზმარმა
გამცნო საფრთხე და თითქმის გიხსნა სიკვდილისაგან,
ცოლს რომ აჰყევ და გარეთ მაინც გამოჩერჩეტდი,
ეხლა, საწყალო, ვერ გიშველის ცოლი ვერცერთი!
სწავლულს სწავლული ედავება და ეურჩება

და ეს საკითხი მაინც რჩება გადაუჭრელად: —
ღმერთმა განსაზღვრა კაცთა ბედი მათ გაჩენამდი,
თუ ნება მისცა მოქმედების და არჩევანის? —
აზრი იმდენად იბურდება უფრო, რამდენად
მეტი სწავლული ერთურთს უქმად ეკამათება,
და მაინც არ ჩანს რომელია მათგან მართალი,
ანდა საკითხი გადუჭრელი დღემდე რად არი.
სად შემიძლია ძირში ქექვა და გამორჩევა,
მის გამოჩენას იქნებ სჯობდეს არ გამოჩენა,
ის ძირი ბევრჯერ გადაქექა ჯერ ავგუსტინმა,
ბოეციუსმაც ბევრი ჩხრიკა და ბროდვარდინმაც,
რათა როგორმე გაერკვიათ — ღმერთმა მაღალმა
დაგვრთო უფლება აღვასრულოთ, რაც შეგვაყვარა,
თუ უჩინარმა, უსახოომ და უსასრულომ
ნება გვიბოძა იმად რომე არ აღვასრულოთ!
მარქვით ამათგან მან ზენაარ ზესთა განგებამ
რომელი აზრი შთაგვისახა და რით განგვკვება —
ეს არის წესი მიზეზობრივ-შედეგობრივი,
და არა ბედი განსაზღვრული და განბჭობილი.
— აი განგება ღვთაებრივი, აი წესრიგი,
დასაბამიდან შთასახული და განთესლილი.
მაგრამ მე სიტყვას გადავედი... ჩვენ ხომ მამლიდან
მივყევ-მოვყევით და გავერთეთ... ჰოდა, ამრიგად,
რაკიღა ჩვენმა შანტეკლერმა ცოლს დაუჯერა,
და მერმე მისმა სიბეცემაც და სიურჩემაც
ეზო ყურეში გაიყვანა უთადარიგოდ,
მაშინ მოხდა ის, უნდა დასტურ რაც მომხდარიყო. —
ქალის აყოლას ბოროტება მოსდევს უცილოდ, —
არ შეიძლება კეთილს ავიც არ მიუწყვილოს,
მისით მოვიდა ქვეყნად ცოდვა, მისმა ცთუნებამ
დაგვიხშო ზეცა, წარგვწყმიდა და გაგვასულელა.
ამით თითქოსდა თავად ქალთა აუგს ვამბობდე, —
ო, არა, ნურას უკაცრავად, — მე ხომ მარტოდენ
მამლის გულისთქმას მოგახსენებთ, — თვითონ მამალმა
ასე იაზრა და დაასკვნა დია თამამად.
მე კი, თუ მკითხავთ, — ამ საკითხზე სულ სხვა აზრის ვარ,

— უფრო ფაქიზად ვუყურებ და უფრო აზიზად
თანდათანობით ჯალაბობამ და პერტელოტმაც
მზის მცხუნვარ გულზე გადინაცვლა ღობის ჩეროდან
და ყველა ერთად წარიტაცა მტვერში ღვანჭალმა
და მცხუნვარება ვით განცხრომა ამომაჭარდა,
შანტეკლერი კი მსახურებდა კუჭს დაუზარლად,
ბალახს კორტნიდა, მუსრს ავლებდა ბუზს და ბუზარას.
მისი ყივილი შედარებით დედლის კაკანთან
იმ სირინოზის გალობას და ჰანგს მიაგავდა,
ფიზიოლოგმა რომ აღწერა — ზღვათა სიღრმიდან
მათი გალობა, როცა გრძნებით სმენას გიხიბლავს.
და აი ჩვენმა შანტეკლერმა, როდესაც ძნასთან
მოფრენილ მსუქან ბუზანკალას ის იყო დასწვდა,
უეცრად ბუჩქთან თვალი მოჰკრა განაბულ მელას
და, რა თქმა უნდა, გამოფხიზლდა საწყალი ხელად.
რაღაცა ცივმა გულში ისე ძალუმად გაჰკრა,
რომ უნებურად დაამგვანა ყივილი კაკანს,
განსაცდელის ჟამს ყველა თავის საშველად გარბის,
ეს კუ იქნება, კურდღელი თუ პატარა ზღარბი,
მაგრამ ჩვენს მამალს შიშმა დასცა ისეთი მეხი,
რომ საწყალს არც კი მოუცელია უბრალოდ ფეხიც.
მაგრამ აქ მისდა გასაოცრად ცბიერმა მელამ
სიტყვა თქვა რაღაც უჩვეულოდ რბილად და ნელა:
„ბატონო ჩემო, რამ დაგაფრთხოთ, — როგორ მეგონა
ასე გულცივად მიმიღებდით ძმას და მეგობარს,
განა აქ მოსვლას გავბედავდი ეს რომ მცოდნოდა,
მაგრამ, ვიფიქრე, სიბერეში, მოდი, ოღონდაც
სირინოზთ ხმასთან მოპაექრე და მოკამათე,
მისი ტკბილი ხმა გამაგონა და მომკლა-მეთქი.
— მერე ვით გალობთ, რა გრძნობით და რა გატაცებით,
ან რა ტემბრი გაქვთ, რა რიტმები და კადანსები,
ძვირფასო მილორდ, დედათქვენმა და მამათქვენმა
იცოდნენ ჩემი აღტყინება და აღმაფრენა
და ხშირად თვისთან მიმიწვევდნენ ხოლმე მსმენელად,
და სტუმარს პატივს არ მაკლებდნენ, — მოგეხსენებათ,
მეც გამეგება სიმღერისა მგონი ცოტა რამ

და სადაო და საკამათოც არა გვქონდა რა.
ისე თუ ბართლა გამეგება რამე ამ ქვეყნად,
მაშინ უნდა ვთქვა, ისე როგორც საქმის გამგებმა —
იმ ცხონებულს რომ ჰქონდა-მეთქი ხმა ვერცხლისებრი
არასდროს არსად არ მსმენია ტემბრი ისეთი.
ის რომ ბწკალებზე შედგებოდა, თვალს მოჭუტავდა,
მთელი ქათმობა იყრებოდა მის საბუდართან.
სუნთქავდა მდორედ, ერთობ ღრმად და მუდამ თანაბრად
და მით თანდათან დღეს ანთებდა და ბინდს ზარავდა
და მზის სხივივით წვრილდებოდა მისი კისერი,
— არა, ძმობილო, არ მსმენია მე ხმა მისებრი.
დარბაისელი მამრიც გახლდათ — ხალხში გასული
იყო ვით სიბრძნე მისი სჯა და სიტყვა-პასუხი,
„დიდყურა ვირის“ მაგონდება, ძმაო, ამბავი —
რაღაცით იყო ის მამალი მისი მაგვანი,
გახსოვთ, მღვდლის შვილმა ფრთა მოტეხა, მაგრამ მამალმაც
ვალის გადახდა არ დააკლო, არ დაამადლა,
რიჟრაჟზე აღარ გააღვიძა, — მაღლა ქანდრიდან
აღარ დაჰყივლა და ცხოვრება დააკარგვინა.
მამათქვენს მამალს არ ვუდარებ, ისე ვითარცა
არ შეიძლება მიდარება დიდის ციცქნასთან.
ისე, უბრალოდ მივუწყვილე; ხოლო ბაჯაღლომ
ვით ოქროს, ვინძლო თქვენ მამასაც გადააჭარბოთ“.
ვეღარ გაუძლო შანტეკლერმა ეგოდენ ხოტბას,
მოლღვა ვით ცვილი და ვით თაფლი თანდათან მოტკბა,
ბოლოს ჭკუაზე გადასულმა გაშალა ფრთები
და დავიწყების ბანგს მიეცა არსებით მთელით.
ეჰ, შანტეკლერი კი არა და მოთნეს და მლიქვნელს
წარუწყმედია ხშირად დიდნი მეფენიც იქნებ.
შხამს სინამდვილის მბრძანებელნი რამდენჯერ ჭარბად
ამჯობინებდნენ სიცრუის და ტყუილის შარბათს,
ეკლეზიასტეს შეგონება — ერიდე ქლესას —
ვინ შეისმინა და რომელმა მიიღო წესად.
და შანტეკლერმა მოიღერა გალობად ყელი
მინაბა თვალნი, ბწკალზე შედგა, გამართა წელი
და როცა ზეცას მიაწვდინა ყივილი გაბმით,

მაშინ ის, ამ წუთს ვინც ელოდა ლოდინით ხარბით,
უცბად მივარდა, დაეკიდა კბილებით კისერს,
ზურგზე მოიგდო და ცუნცულით გასწია ტყისკენ.
ეჰ, რა ავი და რა მუხთალი ყოფილხარ, ბედო!
გულში იმედი საწყალ მის ცოლს ამაოდ ედო,
ამაოდ ქების ისუნთქავდა მამალი სურნელს
და პარასკევიც სულ ამაოდ გათენდა თურმე.
ჰოი, ვენერავ, მიჯნურობის სიამის ღმერთავ,
მამლის გულიც ხომ მარტოოდენ ტრფობისთვის ძგერდა,
არ ამრავლებდა იგი მოდგმას, არამედ მხოლოდ
შენ გმსახურებდა და შენ მაინც გასწირე ბოლოს.
ო, ჯეფრი, სიტყვის დიდოსტატო გარდასულ დროთა,
შენს ლექსს მადლი და რაოდენი შვენება ჰქონდა,
შენ ხომ რიჩარდის აღსასრული აღწერე ლექსად,
თუ რომ რიჩარდიც მიიცვალა პარასკევ დღესა.
მეც რომ გამაჩნდეს თქმის შენებრი მადლი და ეშხი,
წყევლა-გინებით ჩავბეჭდავდი პარასკევს ლექსში,
და ავს და ღალატს, ასე უხვად პარასკევს რაიც
კაცთათვის მოაქვს, ვიგლოვებდი ლექსებით მაინც.
ამდენი ურვა, ეგოდენი ვიში და მოთქმა
არ ახსოვთ ერთად არც ბერძენთ და არც ტროელთ მოდგმას,
როცა პიროსმა პრიამოსი განგმირა დაშნით, —
ისეთი ცოდვა დატრიალდა ქათმებში მაშინ.
მაშინღა მიხვდა პერტელოტი მისნობას სიზმრის,
მაშინ ცნო მტერი, მაშინ იგრძნო მისდამი ზიზღი.
მაშინ დაეჭვდა, მაშინ აღჩნდა შიში და ძრწოლა
და შეიცხადა ჰაზდრუბალის ვითარცა ცოლმა,
რომაელებმა როცა ცეცხლზე დაუწვეს ქმარი
და მით შეუვალ კართაგენსაც შეუბეს კარი.
გალანძღულმა და გულმოწყლულმა წილხვედრით ავით
ვეღარ გაუძლო და გეენა ცეცხლს მისცა თავი.
რაღაი უქმროდ დაიგულეს თავი ქათმებმა,
მოჰყვნენ გოდებას, ისე ცოლებს ვით ეკადრებათ.
ასე მოთქვამდნენ დიდგვართ დანი და მეუღლენი,
როდესაც ცეცხლი გზაგზა ნთქავდა რომს შეურყვნელი
და მოსაკლავად გამოჰყავდათ ქმრები ჯალათებს

და განადგურდნენ პატრიკები და გაჩანაგდნენ.
მაგრამ ჩვენ მივყვეთ შანტეკლერის და მელის ამბავს —
ეს ღრიანცელი ბოლოს ქვრივმაც გაიგო ალბათ,
რადგან ეზოში გამოენთო კრულვით და მალე
ფეხდაფეხ ორთავ ქალიშვილიც გამოჰყვა გარეთ,
ერთერთმა ქალმა თვალი ჰკიდა მელიას გაღმა,
შეიცხადა და მეორე დაც მაშინვე აჰყვა.
„არიქა, ჩქარა, არ შეგვასწროს ჭალაში წუწკმა, —
თქვა და მელისკენ, ვით ისარი, გავარდა უცბად.
უკან და მიჰყვა, მერე დედა კრულვით და წყევლით
და გზაგზა კიდევ მეზობელიც გამოჩნდა ბევრი.
ძაღლებიც აჰყვნენ, ჯერ გერლანდი და მერე კოლი,
კატა ტალბოტიც გამოვარდა ქუჩაში მგონი,
საბრალო მალკინს თითისტარი ეჭირა ხელში
და მდევრებს კუდში მიჰყვებოდა ქუშით და ხვნეშით.
პაპამ ხელჯოხი წამოიღო, უკან კი სწრაფად
გამოჰყვა ძროხა და სირბილში გაუსწრო პაპას,
მერე ხბოებიც შეკუნტრუშდნენ, გოჭებიც დაფრთხნენ
და ჟრიამული გადაედო თიკნებს და ბატკნებს,
იქით იხვები აწიოკდნენ, იხვებს კი ახლა
ბატებიც აჰყვნენ და ფრენაც კი დაიწყეს მაღლა,
ფუტკრებმა სკები მიატოვეს, ზაზუნა თაგვებს
ელდა ეცათ და ხვრელში სოროს დაუყვნენ თავქვე.
და განა ძალმიძს დავატიო რითმიან ბწკარში,
რა ღრიანცელი და რა შფოთი იქ ატყდა მაშინ,
არ მოსწრებია ასეთ რამეს არამც და არამც
არც ჯეკი სტროუ, გარს რომ მტერი ეხვია ჯარად.
ვინ საყვირს, ვინ ბუკს, ვინ კი მწყემსის სალამურს დასწვდა
და გადაისკვნა ბილიკი და ორღობე გზასთან,
ზოგი ხუმრობდა, თავს იქცევდა სეირით ზოგი
და გამორბოდნენ ეზო-ეზო, ბოგირ და ბოგირ.
ძაღლი და კატა აირია, — ხოლო ბევრ მათგანს
ისიც ეგონა, რომ განკითხვის საათი დადგა.
მაგრამ უყურეთ ეს ამბავი როგორ დასრულდა, —
ჩვენმა მამალმა მომაკვდავმა და გულწასულმა
ბოლოს როგორღაც მოიხედა, გულიც მოეცა

და განიღვიძა მით ნუგეშმაც უსათნოესმა.
და ბედი წაღმა ახლა მისკენ შემოტრიალდა,
ზეცით დაჰბერა სულმა ლაღმა და მოტყინარმა,
გახედა, შორით გამორბოდა ხალხი საშველად
და ხსნის იმედმა გვამი მორთო და დაამშვენა.
„მე თქვენს ადგ ლზე, ღირსეულო, — მაშინ მამალმა
მიუგო მელას, — თავს ვიგრძნობდი უფრო თამამად
და ამ უსაქმო ხალხს, ასეთის თავგამოდებით
რომ დაგედევნა და თან ეჭვი მცირეოდენიც
არ ეპარება დაჭერაში, მე თქვენს ადგილზე
რაღაც საკადრისს მივუგებდი ამ უმაქნისებს,
ანდა ვიდრემდის სოროს ხვრელში შევაყოლებდი,
მათ უმწეობას სიტყვით მაინც შევაგონებდი“.
„თქვენ მართალს ბრძანებთ, — თქვა მელიამ, მაგრამ იმ წამსვე
სიტყვებთან ერთად დაუვარდა მსხვერპლიც მიწაზე,
ხოლო ჩვენს საწყალ მამალს მეტიც აღარ უნდოდა,
შეხტა ხეზე და გამოხედა დუშმანს უნდობლად,
ახლა კი მიხვდა როგორ შეცდა და ქურდბაცაცამ
ნერწყვი ჩაყლაპა და კბილები აუკაწკაწდა,
მაგრამ მსხვერპლს მაინც გაუღიმა: „ჩემო ძვირფასო,
არ მინდა თავი დავიმცირო და გავიმასხრო,
ვიცი, რომ ცუდად მოგეპყარით, მაგრამ მერწმუნეთ
ვერ მიგიწვევდით სტუმრად სახლში, თუ არ მხეცურებ, —
არ მენდობოდით, — ახლა მხოლოდ გვედრით შენდობას,
ჩამობრძანდით და ერთურთს ვენდოთ აწ და შემდგომაც“.
„რას ბრძანებთ, თქვენ რომ დაგიჯეროთ აწ, მელავ ჩემო,
დედლებმაც უნდა მომაფურთხონ და შემაჩვენონ,
თქვე მართლა ტაკიმასხარა და ქვეყნის ოხუნჯო,
ხომ არ გსურთ ისევ ვიმღერო და თვალი მოვხუჭო,
ამ ქვეყანაზე ყველა ბრმა და ყველა უქნარა
ჩემებრ დასაჯოს ჭეშმარიტად უნდა უფალმა“.
„არა, გეთაყვა, მხოლოდ მას სჯის ღმერთი უფალი,
ვის ჩემებრ უყვარს მუსაიფი და საუბარი“, —
თქვა და სოროსკენ გაცუნცულდა მშიერი მელა.
ამ არაკიდან ერთი რამე შევიგნოთ ყველამ:
ნდობა ყოვლისა არ ეგების, უფრორე ქლესას, —

ის სიტყვას ხმარობს ავისა და ბოროტის თესვად.
ამბავი თითქოს მელასა და მამალზე გარქვით,
მაგრამ კაცსა რგებს უფრო მისი ურგიც და მარგიც,
ნაჭუჭი უნდა გადაყარო, ფუჩეჩი გაფრცქვნა,
და სძინავს ქერქსა და ფუჩეჩში ნაყოფს და მარცვალს,
ასე ვპოულობთ კარგს და კეთილს, და მოდი ამით
ჩვენც სულ კეთილად ეს ამბავი გაგვეგოს, — ამინ!

აქა დასასრული მონასტრის კაპელანის ამბისა.

მონასტრის კაპელანის ამბის ეპილოგი

„აი, ეს მესმის, — იგრიალა სახლის პატრონმა,
გადიხარხარა და ვითარცა ვაცი ატროკდა, —
გეკურთხოს, ძმაო, ხვანჯარი და რაც ხვანჯარში გაქვს —
ამ ქვეყნად ღმერთმა გაგაჩინა მართლაც არშიყად,
ეგ ანაფორა რომ არ გედგას ვიწროდ წვიეებთან,
ამ ქალებს შენგან მაშინ ვინღა იპატიებდა?!
აბა, თქვენ იცით, სადმე მარტო არ მიატოვოთ,
თორემ ზღვა ქალიც არ ეყოფა ამ უპატრონოს,
შეხედე ერთი რა მკერდი და რა მხარბეჭი აქვს, —
სადმე ხაროში გადაგვეგდო გზად, არ გვერჩია?!
არა, თვალებიც რომ მიუგავს ზუსტად მამლისას?
— ეს რა მოგვიყვა, ყველა როგორ გაგვახალისა!“
და მეფუნდუკემ იხარხარა კიდევ კარგა ხანს
და მერე უცბად გადახედა ექიმს ვაგლახად.

ექიმის ამბის პროლოგი

„აბა, დაიწყეთ“... — მასპინძელმა ასე მიმართა
გამოცდილ ექიმს, — „წუთისოფლის ერთი სიმართლე
თქვენ მოგვახსენეთ, თქვენი სიტყვაც გვესალბუნება“.
„ნება თქვენია, მზად ვარ თქვენდა მე მსახურებად“,
თქვა ექიმმა და გადმოგვხედა, „მაშ, ბატონებო,
მეც მომისმინეთ, სმენა იყოს და გაგონება“.

ექიმის ამბავი

აქა დასაწყისი ექიმის ამბისა.

„როგორც გადმოგვცემს რომაელი ლივიუს ტიტუს,
თურმე ოდესღაც მამულებს და სასახლეს მდიდრულს
ფლობდა რაინდი ვირგინიუს, ღირსებით სავსე,
და მტერ-მოყვარე ფუტკარივით ეხვია თავზე.
ბედმა მას შვილად ერთადერთი ქალი არგუნა,
მაგრამ რაინდის მოდგმა ამით არ დაკარგულა.
ქალი დამშვენდა, გაიზარდა და გახდა უზადო.
ულამაზესად მიიჩნევდით თქვენც უსათუოდ,
რამეთუ თვითონ სრულყოფილი დედაბუნება
მოწყალე თვალით თითქოს მხოლოდ მას უყურებდა,
თითქოს ამბობდა იგი: „თუკი მომესურვება,
დაატკბოს კაცი მაშინ ჩემთა ძუძუთ სურნელმა.
ვინ შემედრება, მოკვდავთაგან ვინ მოვა ჩემთან?
თუმცა კაცთაგან ბევრიც ქმნიდა, ხატავდა, ჭედდა,
ამაოდ დაშვრნენ ოსტატები უუძველესნი —
პიგმალიონი, მერე ქსენეც და აპელესიც.

ჩემთან ჭიდილში დამარცხდება კაცი ყოველი,
და ჩემს მეტოქეს გარდუვალად ეს დღე მოელის,
რამეთუ იყო შემოქმედის უებრო ზრახვა:
მარტოდენ ჩემი ხელმწიფება შექმნად და სახვად,
მე თვითონ ვძერწავ ყველა ფორმას, ნივთი ყოველი
ჯერ საშოში მყავს უსუსური და უცოდველი,
ყველა ხორციელს ვზრდი და ვავსებ ყველა არსებას,
როცა მე მინდა, როცა მსურს და გუნებაზე ვარ,
უზენაესის ნება არის ჩემივე ნება
და ეს ქალწულიც გამოვძერწე მე მისდა შვებად,
მისდა დიდებად დღესაც ვბადებ ყველა ხორციელს,
რომელნიც დღემდის აღვავლინე და ვაღორძინე!“
ამას ამბობდა თითქოს თვითონ დედაბუნება.
თოთხმეტჯერ შეხვდა ქალი იგი მზის მობრუნებას,
ბუნებაც შვებას ეძლეოდა მისი შემყურე
და, როგორც ყვავილთ, შვენებით და ნათლით შემკულებს,
აძლევდა ფერს და სურნელებას, ამ ქალსაც თურმე
ასევე ფრთხილად აპკურებდა ფერსა და სურნელს
შიგ საშოშივე, სანამ მზის სხივს ნახავდა მერე,
აღარ იკითხავთ ეხლა თვითონ სურნელს და ფერებს?
თებემ ჩამოქნა მისი თმები, და ნაწნავები
მდინარეს ჰგავდა გაზაფხულზე — ჟამს მომძლავრების.
და ვით უზადო გახლდათ ქალი ნათლის სვეტივით,
იმდენად სათნოც იყო იგი და გულკეთილიც,
ისეთ სრულყოფას მოჰმადლიდა იგი ქმნილება,
რომ მჭვრეტელს ქება დასცდებოდა აუცილებლად.
სიწმინდის სახლი იყო მისი სული და ხორცი,
ქალწულობაშიც, ვით ტაძარში, შევიდა ლოცვით,
შევიდა კდემით, მორჩილებით სულთა მწირველთა,
შევიდა მშვიდი და სიმშვიდეს დიადს მინებდა.
თავდაჭერილი მიხვრა-მოხვრა, ქცევა კრძალული,
სიტყვა-პასუხი გონივრული, ხმა — სალამური.
მჭვრეტყველების მადლი აკლდა თითქოს მის ნათქვამს,
არც ბრძნული იყო, მაგრამ ისე იტყოდა ნათლად
და ისე ამოდ დამარცვლიდა თვითეულ სიტყვას,
რომ ეს სიმართლე მერე კიდევ ისმოდა დიდხანს.

პირუმტკიცობა და სიცრუე მიაჩნდა ტანჯვად,
უყვარდა საქმე, უხდებოდა ყოველი გარჯა,
მცირე საქმესაც ეძლეოდა მთელი არსებით,
და ბახუსი ხომ უცხო იყო მისთვის სავსებით.
თავისი მადლიც შეაპარა ვენერამ ერთობ,
თითქოსდა ცეცხლზე გადაასხეს ქონი და ერბო.
და მშვიდს და სათნოს დრო და ჟამიც ჰქონდა ულევად,
რომ მოეძია შეპარული სულში ცთუნება,
და მაშინ მსწრაფლად განილტვოდა ავთა კაცთაგან,
რათა მოეშთო გზა მზაკვარ და მაცდურ განცდათა —
ამიკობის თუ ღლაბუცობის, საცა მოლხენას
უსაქმურობა და უმიზნო გვემა მოჰყვება.
ამგვარი თნევა ნაადრევად ამწიფებს ყრმათა
და ერთობ აჩვევს სითამამეს, რაც ერთი ათად
ამძაფრებს ხოლმე მათ ცხოვრებას ხრწნად და წარწყმედად,
ამ სითამამის სიბრძნეს მაინც ის ვერ აცდება,
როცა დრო მოვა და მეუღლედ იქცევა ქმართან.
თქვენ, ბანოვანნო, ვინ უზრდიდით ქალწულთა, ყრმათა
თქვენს ბატონებს და ქალბატონებს, ამ არაკიდან
ალბათ არაფერს არ მიიჩნევთ თქვენდა გაკილვად,
რამეთუ უწყით, რომ ქალწულთა წვრთნასა და აღზრდას
ორი რამ თან სდევს, ოდითგანვე ორი რამ ახლავს:
ან სულ პატივით უნდა რაცხონ თქვენი სახელი,
ანდა ერთიან შეაჩვენონ: დამეთანხმებით,
რა ბედენაა ამიკობა, რაკი თავადაც
უარყვეთ გზანი ცოდვისანი კაცთა მავანთა.
ღვთის გულისათვის, ასწავლიდეთ მათ სათნოებას.
თქვენივ პატივიც მაგ აღზრდაში მოიპოვება.
ბრაკონიერთა თუ თავისი წარსული დაჰგმეს,
უარყვეს ძველი ხელობა და უგვანო საქმე,
მაშინ კაცთაგან ტყეებს უკეთ მათ უპატრონონ. —
თქვენც იგივ ძალგიძთ, თუ ინდომოთ გულით, ბატონო,
მუდამ ფხიზლობდეთ, რომ არ დაჰყვეთ გრძნებას ცთუნების,
რომ არ დაიხშოს თქვენთვის ზეცის კარი სრულებით.
რამეთუ მსგავსი უგვანობა ღალატად ითქმის
და რაგინდ მალო, მაინც ყველა გაიგებს თითქმის,

და ცოდვათაგან უდიდესი, რითაც მარცხდება
ძე ადამისა, არს უბიწო სულის წარწყმედა.

თქვენთვის, მამებო და დედებო, ის უნდა მეთქვა, —
რომ სულ ერთია, ძე რამდენი გარგუნათ ღმერთმა,
თქვენი ვალია, რომ ივარგოს თქვენმა შობილმა,
ასი თვალი და ასი ყური უნდა მოიბათ.
თქვენივ ცხოვრების მაგალითით და კიდევ იმით,
რომ აღზრდის ვალი დასჯასა და გეშვაშიც გვით,
იხსნით მათ სულებს, დამერწმუნეთ, და მათ ცხოვრებას,
თუ წარწყმდნენ, ესე ცოდვაც თქვენვე მოგეთხოვებათ;
უგერგილო და უნიათო მწყემსი კაცისგან
მგლებს უამრავი ცხვარ-ბატკანი გაუტაცნიათ.
ვგონებ ეს ერთი მაგალითიც საკმარისია,
და გავაგრძელოთ იმის თხრობა, რაც დაგვიწყია.

ქალწული იგი, არის ესე ამბავი ვისიც,
ქალბატონობას არ ეტრფოდა. ცხოვრობდა თვისით.
და კითხულობდნენ, ვით მოწაფე დაჯდება კითხვად,
მის სულში ნაწერ ყოველ აბრს და თვითეულ სიტყვას.
ისე, ვითარცა ქალწულობის გახანგრძლივებას —
ეგოდენ იგი უბიწობის გზას ეძიებდა.
და მშვენიერ და სათნო ქალის სახელს ვიეთნი
ამართ და დამართ, ოთხივ კუთხივ იხსენიებდნენ.
აქებდა ამ ქალს კაცი მეტრფე ყოვლის კეთილის
კაცი მოშურნე, კაცი ბედით გულდაწყვეტილი,
კაცი, ვის სხვისი სიხალისე ადარდიანებს,
კაცი, ვინც ხარობს, როცა უჭირთ ადამიანებს.
(ყველა მოხიბლა ამ ამბავმა და ლაპარაკმა)
ქალწული ესე დღესა ერთსა მიდის ქალაქად,
დედასთან ერთად სალოცავად ეწვევა საყდარს,
როგორც სჩვევიათ ხოლმე ქალთა და ჭაბუკ ყრმათა.
იმ ქალაქს ერთი მოსამართლე ჰყავდა, რომელიც
დიდი სახელის და სიმდიდრის იყო მფლობელიც.
და მოხდა ისე, რომ ამ ქალწულს გზაზე ამოვლილს
თვალი ჰკიდა და თვალსა და გულს ასიამოვნა.

მაგრამ წაუხდა საქციელიც, იგი იმდენად

დაბნდა, დაუნჯდა და ვნებანი ვერ განიტევა.
და მერე ასე გადაწყვიტა გულში თავხედმა —
ესე ქალწული უცილობლად ჩემი გახდება.
და იმავ წუთში უწმინდურიც შეუძვრა სულში.
უთხრა თუ, ლაფიც თავს დაგსხმია, თუ ხელი უშვი,
მაგრამ მზაკვრობით თუ ჩაიგდებ, ისე კი სხვაფრივ, —
ვერც ძალით, ვერცა ძალადობით, ბანგით თუ თაფლით.
თანაც არ უნდა აჩქარდეო, არამც და არამც,
ასე ეტყოდა მას მაცდური, რამეთუ ღვარად
უვის ქალწულსო მოყვარენი და თან ეგოდენ
კეთილიაო, რომ ვეროდეს ეღირსებოდე
მაგ ქალსო, თორემ მის უბიწო სხეულსაც ოდნავ
ვერ შეეხება სიმრუშის და სიბილწის ცოდვა.
მაშინ მან დიდი გამორჩევის და ფიქრის შემდგომ
თვისთან მოიხმო ერთი კაცი, რომელსაც ენდო,
როგორც მზაკვარს და მასთან ერთად საკმაოდ თავხედს, —
ასეთ თავხედს თუ გაანდობდა თაღლითი ზრახვებს, —
დასვა და ამცნო ყოველივე. უთხრა, — მესამემ
არ გაგეგოსო, თორემ ახლავ გამოესალმე
სიცოცხლესაო, და თავხედიც იყო თანახმა,
და გაიხარა მოსამართლემ, ერთობ გალაღდა.
გზადაგზა ბევრი ითათბირეს მალვით და ჩუმად
და მერე ბევრი საბოძვარიც უბოძა სტუმარს.
და რა დაასკვნეს, თუ როგორ და სახელდობრ როდის
მოეღებოდა ბოლო ამდენ ცდასა და ლოდინს,
და მოსამართლეც თავის გვამის დარღვეულ ძალებს
დაიურვებდა, რასაც თქვენვე შეიტყობთ მალე,
წავიდა იგი, (თურმე ერქვა მას კლავდიუსი,
ხოლო გულბოროტ მოსამართლეს კი — აპიუსი),
ეს არ გეგონოთ მოგონილი რამე ზღაპარი,
მართლა მომხდარა თურმე ძველად ესე ამბავი,
სახელებიც კი სინამდვილეს შეეფერება.
შეიპყრო ურგი მოსამართლე ციებ-ცხელებამ
და დანიშნულ დღეს მოელოდა სულმოუთქმელად.
მას დღესა ერთსა, წიგნი იგი თვით გვეუბნება,
სამსჯავრო სახლში ჯდა, ვითარცა წესია მისი,

განიკითხავდა მომჩივანთა წყრომით და რისხვით,
არჩევდა, სჯიდა, ამართლებდა და უეცრადა
თავის თავხედი კლავდიუსი გამოეცხადა
და მოახსენა: —მეუფეო, მოწყალევ ყოვლად,
სამართლიანად განიკითხე შენი ყმის თხოვნაც,
მომიტანია საჩივარი ვირგინიუსზე,
განიკითხეთ და საკადრისიც თქვენვე მიუზღეთ,
ხოლო უარზე თუ დადგება, უნდა მადროვოთ
და მოწმეებსაც წარმოგიდგენთ მალე, ბატონო“.
მოსამართლე კი ამბობს — „ვერას გეტყვი უმისოდ,
მე მასაც უნდა მოვუსმინო, ვისაც გულისხმობთ,
გაგზავნეთ კაცი და მოუხმეთ. ისიც გახსოვდეთ,
პასუხს მართებულს მოსამართლე გეტყვით მარტოდენ“.
მაშინ ეახლა მოსამართლეს სხივმომფინარი
ვირგინიუსი და მიაგეს მას საჩივარი,
სადაც ასეთი უკადრისი სიტყვა ეწერა:
„უფალო ჩემო, მხოლოდ თქვენგან ველი შეწევნას,
და უპოვარი მოგახსენებთ მე, კლავდიუსი,
რომე რაინდი ერთი, გვარად ვირგინიუსი,
მტერია ჩემი: უკანონოდ ქალი წამართვა
და შეაფურთხა ყველა წესს და ყველა სამართალს.
მოახლედ მყავდა, ოჯახიდან არ ვიცილებდი
და ერთ ავდარში, იქცეოდა როცა მილეთი,
ქურდულ მომტაცა მაგ რაინდმა — ქვეყნად იმდენი
დამემოწმება ამას, ოღონდ საქმემ ინდომოს,
იგი არ გახლავთ ქალი მისი, როგორც აცხადებს,
აღმისრულებდეთ მაშინ ჩემი გულის საწადელს,
დამიბრუნებდეთ მონას ჩემსას ჩემდა შეწევნად“.
აი, ამ წიგნში რა უგვანო სიტყვა ეწერა.
თავხედს ერთი კი გადახედა ვირგინიუსმა
და მუხანათი არც კი შეცბა, არ გაილურსა.
და ვიდრე აუგს მოჰყვებოდა ისე, ვითარცა
ცრუ მოწმეებსაც იმოწმებდა ესევითართა,
ვიდრე დასძრავდა სიტყვას იგი თავის აზრიდან,
არ დააცალა მოსამართლემ, წარბნი აზიდა,
ვირგინიუსის მოსმენაც კი აღარ ისურვა,

და განაცხადა უტიფარმა დარბაისლურად:
„თქვენ, ვირგინიუს, ვინც წაართვით ქალი ბოგანოს,
ის ქალი ისევ თქვენვე უკან უნდა მოჰგვაროთ.
ნუღარ აყოვნებთ — აი სიტყვა და განაჩენი,
მერე ჩვენ ვიცით, მერე ჩვენვე ვყოთ დანარჩენიც“.
კეთილშობილმა რა ისმინა ვირგინიუსმა,
რა სატანჯველი განუმზადა მას აპიუსმა,
თუ ვით სიგიჟემ ავხორცობის თვისი ქალწული
ხელთ გამოსტაცა, შინ დაბრუნდა გულდაკაწრული
და ჩაიკეტა ის პალატში პატიჟად მისდა
და მერე თვისი ქალიშვილიც მოიხმო თვისთან
და რა იხილა თვინიერის უებრო კდემა,
უფრო ერთიან იავარჰყო ურვამ და გვემამ,
და იმ ურვამ თუ სიბრალულმა აუბა ენა,
თუ თვით რაინდმა ვერ გაუძლო ეგოდენ თმენას,
ასე თქვა: „შვილო, ვირგინიავ, ორი გზა გვის —
ან თავის მოჭრა, ანდა მხოლოდ სამარე ცივი,
მე, მამას შენსას, დღეს ასეთი ბედი მარგუნეს,
რომ უნდა მოკვდე, როცა ამას არ იმსახურებ,
ეგრე გათავდე ხმლით და დანით, ვითარცა მხედავ,
ო, შვილო ჩემო, მოკვდინებავ მით ჩემთა დღეთა.
მე მოგკლავ, ვისაც სასოებით გამომიზრდიხარ
და ჩემს ფიქრებში წუთითაც კი არ დამიგდიხარ.
ჩემო იმედო, სიხარულო უკანასკნელო,
უკანასკნელმა ტანჯვამ შენმა არ მომასვენოს.
ჭირით და თმენით ბედის თასი დღეს უნდა შეს[illegible] —
შენი სიკვდილი განუზრახავს მამასა შენსა.
ზიზღის კი არა, სიყვარულის გამო აღსრულდი —
და მოგკლას მამამ სიყვარულით თვისი ასული.
ასე ინდომა აპიუსმა, კაცმა-იქიდნამ,
რა ბედი შენი ხელაღებით მან განიკითხა“ —
და ყოველივე მოახსენა მან ასულს თვისას,
რაც უკვე თქვენვე უწყით ცისა და მიწის რისხვად.
„ძვირფასო მამავ, შემიბრალე, მაცოცხლე მაინც“,
შეჰყვირა ქალმა და მკლავები მოჰხვია რაინდს,
ვითარცა მისი ჩვეულება იყო სიყრმითვე.

ცრემლი წასკდა და სანთელივით მიხდა სიყვითლე.
თქვა: „ნუთუ მართლა უნდა მოვკვდე. ნუთუ სამარის
კარამდის ჩემთვის აღარ არის რამე წამალი?“
„აღარ არისო, სასოებავ,“ — უთხრა პასუხად,
„მაშინ ერთი რამ შემისრულე“, — სთხოვა ასულმა, —
„მატირე მაინც, ბედი ჩემი გამოვიგლოვო,
როგორც თავისი სიკვდილის წინ დრო მოითხოვა
ჭმუნვად და გლოვად მან ასულმა იეფთეისამ,
მზის და სიცოცხლის სიყვარული არც მას ეღირსა. —
მხოლოდ იმიტომ დაისაჯა, რომ პირმცინარე
მამას შემოხვდა სხვა ყოველთა მათ უწინარეს“.
ქალწულს აქ გული შეუღონდა, ხოლო როდესაც
გონს მოეგო და საკმარისი ღონე მოეცა,
თქვა „კურთხეულ არს ღმერთი იგი, უფალი ჩემი,
რა ქალწული მშვა, რა სიკვდილში ქალწული ვრჩები.
ჰყავ ნება შენი, მამავ, უმალ დამიტირებდე,
ვიდრე უბედურს, მე სიწმინდეს შემიგინებდნენ“.
ისიც ითხოვა, აღსასრული რა თვისი იგრძნო,
უმტკივნეულოდ წარეკვეთათ კისერი ვინძლო.
და ისევ გული შეუღონდა და გონმიხდილი
მიჰყვა ბურანს და სიზმარივით განვლო სიკვდილი.
და მისი თავი დავრდომილმა რაინდმა მაშინ,
ვით არმაღანი, წარადგინა სამსჯავრო სახლში,
და იქ დამხვდურნი ისე შეცბნენ, ისე დაშინდნენ,
რომ მისი დასჯაც მეყვსეულად ბრძანეს მაშინვე. —
ჩამოვახრჩოთო აქვე; მაგრამ მოულოდნელად
იქუხა ხალხმა და აღმოხდა ხალხს აღშფოთება, —
ყველას გაეგო მათი ყალბი, ცრუ განაჩენი
და მოსულიყვნენ აქ სიმართლის გადასარჩენად.
ცნეს კლავდიუსის თაღლითობა, და საწადელიც
მოსამართლისა გახდა მათთვის მზეებრ ნათელი.
ბევრი სმენოდათ დღემდეც მისი კაიკაცობის,
რაკი სამართალს მრუდედ წყავდა მისი სასწორი.
ხელმრუდობაში სწორედ ეხლაც დროზე მიუსწრეს,
დაატყვევეს და ციხეც ჰპოვეს სააპიუსე,
სადაც მოიკლა თავი ურგმა, და კლავდიუსი,

გაიძვერა და მუხანათი ყმა აპიუსის,
გამოიყვანეს მაღალ ხეზე ჩამოსახრჩობად,
მაგრამ სიავეს კვლავ სიკეთის ძალამ აჯობა
და დიდის თხოვნით რაინდისა მოლბნენ იმდენად,
რომ კლავდიუსი ასცდა სიკვდილს და განიდევნა.
ხოლო ისინი, ვინც ადგენდნენ იმ ცრუ განაჩენს,
საღრჩობელებზე სიკვდილს თურმე ვეღარ გადარჩნენ.
აქ ჩანს, თუ ცოდვას რაოდენი სიავე მოსდევს.
გწამდეთ, რომ ღმერთი დასჯის ბოროტს, კაცთაგან ოდეს
არავინ უწყის, ვერ დაახშოს ხმა სინიდისის
ძე ხორციელმა ვერცა გრძნებით, ვერცა თილისმით,
თუნდა კაცთაგან მალო, შენდა დაურიდებლად,
ადრე თუ გვიან ცოდვა მაინც წარმოჩინდება.
არც ბრძენმა უწყის მოკვდავთაგან, არცა სულელმა,
როდის დარეკავს ზარი, ანდა რა აღსრულდება.
მეც გირჩევთ, რომე ცოდვა გიჩნდეთ დიდ საძრახისად
და განგარიდოთ ავ გზათაგან მან მარადისმან.

აქა დასასრული ექიმის ამბისა.

ინდულგენციის გამყიდველის ამბავი

ექიმის ნაღვლიანმა ამბავმა ყველას გული დასწყვიტა. გუნებაზე ახლა ან კათხა ლუდი მომიყვანს, ანდა რამე მხიარული ამბავიო, — განაცხადა ჰარი ბეილიმ და სიტყვა ინდულგენციის გამყიდველს გადაულოცა. მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ იქვე გზისპირ დუქანში კარგად დანაყრდა, ზედ ერთი-ორი კათხა ქაფიანი ლუდიც დააყოლა და ასეთი რამ უამბო მერე მომლოცველებს:

სამი უდარდელი, ქარაფშუტა ყმაწვილი მთელ ცხოვრებას განუწყვეტელ ქეიფსა და მოლხენაში ატარებს. ერთხელ, სმის დროს, როცა ქუჩაში მათი მეგობრის ცხედარს ჩამოატარებენ, გადასწყვეტენ თავად სიკვდილი მოიძიონ და დასაჯონ. გზაზე განძს იპოვნიან, მაგრამ გამდიდრების სურვილით ჭკუაზე გადამცდარნი მალე ერთმანეთს ამოხოცავენ და ასე შეეყრებიან სიკვდილს.

დასასრულ, ამბის მთხრობელი პილიგრიმებს მოუწოდებს შეისყიდონ მისი ინდულგენციები ცოდვათა მიტევებად.

ბათელი ქალის ამბის პროლოგი

„ქალის საკითხზე და ოჯახზე აუცილებლად
ვენდობი მხოლოდ ჩემს საკუთარ გამოცდილებას.
მისი ავ-კარგი, მისი წესი და უწესობა
თორმეტი წლისას უკვე მართლა კარგად მესმოდა.
ხუთჯერ გავთხოვდი, ჯვარს ვიწერდი ეკლესიებში
და ერთგულების ფიცი ხუცესს ხუთჯერ მივეცი,
რა მექნა, ქმრები მიკვდებოდნენ — იქნებ არ გჯერათ,
მაგრამ ხუთივე თავს მერჩივნა — იცის გამჩენმა.
ქვეყნად ისეთიც არის ჯური ადამიანთა,
სხვებს რომ ცოდვებზე უკიჟინებს ხოლმე ნიადაგ.
მაგათ რომ ჰკითხოთ, ქრისტე ღმერთი რაკი ქორწილზე
ერთხელ მივიდა, ამით ყველა ბედის მორჩილსაც
ძალუძდეს თითქოს ცხოვრებაში ერთხელ მარტოდენ
ითხოვოს ცოლი, ანდა მხოლოდ ერთხელ გათხოვდეს.
მაგრამ, მითხარით, ქრისტე ღმერთი რატომ აუგად
ოთხჯერ გათხოვილ სამარიტელს არ ესაუბრა?
უთხრა, მეხუთეც არ გეთვლება რაკი ქმარადო,
ვითარცა ცოდვა, იგი ქმარიც უნდა განაგდო.
ასე განსაჯა სიწმინდისა მან მეუფემან,
მაგრამ, მითხარით ერთი, ამით რას გვეუბნება, —
თუკი მეხუთეც არ შერაცხა ქმრად, სამარიტელს
მაშინ ვინ ეგო, ან რომელი ჰყვა ჭეშმარიტად?
ვინც ამას მეტყვის და ამიხსნის, — მისთვის, გეთაყვა,
კენტერბერიში ვილოცებდი ალბათ დღედაღამ,
მაგრამ სად არის ეს ბრძენკაცი, ან ვით განმარტოს
ჩემთვის ეგოდენ საჭოჭმანო და საკამათო.

ღმერთმა რქვა კაცთა განმრავლდითო — ეხლა აქედან
რაც უნდა მრუდედ წაიკითხონ აზრი მზაკველთა,

ერთი რამ მაინც ნათელია: უნდა ცოლ-ქმარმა
კარგად იჯაფოს, როგორც კაცთა მოდგმის მომყვანმა.
ქმარს უთხრეს და-ძმას განუდექი და მშობლებს მოწყდი
და იქმენ ცოლთან ერთი სული და ერთი ხორცი.
მაგრამ იმაზე თუ რამდენჯერ უნდა ითხოვო,
ანდა გათხოვდე — მოიყვანოს თითომ თითოო,
თუ თხუთმეტიო — არაფერი არსად წერია
და საცნაურად ყოფა მისი მართლა ძნელია.

აი, ავიღოთ სოლომონი — ცოლი გარშემო,
გიყვარდეს, მრავლის უმრაველესი ჰყვა უსაშველოდ.
მისი სიმდიდრის რომ მოეცა ღმერთს მეათედიც,
ასე მძორივით მაშინ სულსაც არ მივათრევდით,
ჩვენგან არცერთი ამ კურთხეულ მეფეს უდავოდ
არ შეიძლება მივამსგავსოთ და შევუდაროთ —
ყოველლამ თითო ცოლთან იწვა, — უხვად წყაროთა
სიცოცხლისათა სმევდა — ღმერთი ისე სწყალობდა.
მადლობა უფალს, მე რომ ხუთი ქმარი მარგუნა,
ხუთივ მიყვარდა და ხუთივეს ვედექ მსახურად
და ვმსახურებდი მათ რჯულისა და წესისამებრ
და თითო ქმრისგან თითო კარგი მაინც ვისწავლე.
ვცხოვრობდი მხოლოდ მოთმინებით და სულგრძელობით,
ფლასებს ვიცვამდი, ხელმომჭირნედ ფულს ვუძღვებოდი,
ბედოვლათობას ან რა მრჯიდა?! — ავს და უკეთურს
უნდა განუდგე, შინ სიკეთე გინდა უკეთუ,
ხოლო რაიმე რომ შეიგნო, ვით ზღვა უძირო,
ცხოვრების შხამიც სვა ბოლომდე უნდა უცილოდ.
ვიდრემდის ხურო დაიდგამდეს სახლში კარადას,
ჯერ ხერხვას სწავლობს, ლაქის წასმას, გათლას, გარანდვას.
მეცნიერება მაქვს ხუთი ქმრის, გამოცდილება
ხუთმაგად მძლავრი, მწამს, მეექვსეც გამობრწყინდება.
ჩემო მეექვსევ, შენ ექვსმაგად მეძლიერები,
გამოჩნდი ბარემ, გზა განვაგრძოთ მეცნიერების,
რა ბედენაა მარტოოდენ უბიწოება,
თუ მიჯნურობით ხორცი ჰყვავის, სული ცხონდება?!
შეუღლებით და ქორწინებით არვინ წაწყმდება,
ოღონდ წყვილს ჰქონდეს ენერგიის ზღვა და გაძლება.

გათხოვება სჯობს მუდამ ლოდინს და შეცოდებას,
სიწმინდე ალბათ აგრძნობინეს კაცებს ცოლებმა.
არ სწყალობდაო ღმერთი ლამეხს მრავალცოლიანს,
ამბობენ, მაგრამ ეს ბრალდება განა სწორია?
აბრაამსა და იაკობსაც ვრაცხთ წმინდანებად,
მათ სიწმინდეში ეჭვიც არვის არ გვეპარება.
მაგრამ რამდენი ცოლი ჰყავდათ? ანდა რამდენმა
მიბაძა მათ ბედს, ვით სიწმინდის ნამდვილ ხატებას?
ან სად გვიკრძალავს შეუღლებას წმინდა ბიბლია?
მაშ ვინ გვაცთუნებს და სწორი გზა ვინ აგვიბნია?
სად დააწესეს ჩვენი ყოფის დრო და თარიღი,
დრო შესაყარი, გასაყარი თუ გასარიყი?
მოციქულებიც გავიხსენოთ — იმათგან განა
რომელმა ქალთა ქალწულებად დარჩენა ბრძანა?
ამ საკითხს მათგან თვითეული დუმილით ხვდება,
რამეთუ უწყის თვითეულმა მეუფის ნება;
მათ შეიძლება რჩევა მოგცენ — მარტოდენ რჩევით
გვასწავლონ რამე — და ჩვენ ჩვენი უფალნი ვრჩებით,
კაცის ნებაა თუ ამ რჩევას როგორ ირწმუნებს,
ხოლო ყოველი იძულება არის სიცრუე.
თუ ქალწულობა დაუწესა ქალს მეუფემან,
რად არ აკრძალა მაშინ ტრფობა და შეუღლება?
მაგრამ თუ აღარ იარსებოს მინდორმა თესვად,
ქალწულობისამ ვით იხაროს ნერგმა და ფესვმა?
წმინდა პავლემ რომ შეკავება ვერ ბრძანა ქალთა,
ამაში განა დიდი სიბრძნეც არ არის მართლა?
ქალწულობაში შეჯიბრი აქვთ მონაზვნებს ახლა,
მაგრამ ამ ჯილდოს ვინ მიიღებს, იმასაც ვნახავ.
ეს ქალწულობა ყველა ქალწულს კი არ ეგების,
არამედ იმას, ვის უბიწოდ რაცხს გამგებელი,
ქალს წმინდა პავლე, რა თქმა უნდა, არ ესწრაფვოდა
და ოდენ სულით უმანკოთა და უზადოთა,
რომელთაც გული ციურ გზნებით აქვთ დაფერფლილი,
წილხვედრად ბრძანა მარხულობა ქალწულებრივი.
მაგრამ წმინდანმა ქალს ქალობა არ დაუძრახა
და ქალის ტახტი კვლავ ოჯახში დარჩა უძრავად,

ქალი ქმარს უნდა ახარებდეს — თუ დაქვრივდება,
მეორის პოვნა უნდა შესძლოს ქალმა კიდეევაც.
მეორე ქმარი ქალებს არსად გვაქვს აკრძალული,
მაშ, რატომ უნდა დავარღვიოთ წესი ქალური.
ვწერა ცოდვად თქვეს — მით სიმართლე გვითხრეს დიახაც,
მაგრამ მერწმუნეთ არა ყველგან, არა ნიადაგ.
დიდი ცოდვაა, ვთქვათ, ღალატი და უზნეობა,
ნამუსის ახდა და ყოველი ძალმომრეობა.
ქერქეტის ხელში წმინდა ცეცხლი ვერ იკელაპტრებს,
არამედ შთანთქავს და გადასწვავს ირგვლივ ყველაფერს,
და მხოლოდ სულში უზნეოში, სულში ბინძურში
ჩნდება ბოროტად ზადი სიძვის, შანკი სიმრუშის.
მხოლოდ ქალწული და მეუღლე არის უბიწო, —
მათ აუშენონ ფუძე სულსა და განუმტკიცონ.
მე, რა თქმა უნდა, იმ ქალწულის გულისთქმაც მესმის,
თავი რომ მოაქვს უბიწობის მარტივი წესით.
დე, იამაყოს მონაზონმა უბიწო ხორცით,
მე ცხოვრებას ვქმნი და ვერაფრით ავყვები მოცლილთ.
სახლის პატრონი ოქროს ჭურჭლით უბრალო სუფრას
არ დაამშვენებს და არ დადგამს ყოველდღე უქმად.
დღიურ სუფრაზე დე, ხის ჯამი და კოვზი იდოს,
ცხოვრებაც ასე უბრალო და ნაღდია მიტომ.
ბევრი ბილიკი მიდის ხსნისკენ, მაღალმა ღმერთმა
ცალ-ცალკე გზები მხოლოდ ცაში შეჰყარა ერთად.
მაგრამ ჩვენ როგორც ბიწიერნი მსახურნი, მუდამ
სულის ხსნას ღმერთის მოწყალებით ველოდოთ უნდა.
ხსნად და სრულყოფად სიქალწულე მიაჩნდათ ყველგან,
სადაც ჩვენ, ბედკრულთ, მარტოოდენ ცოდვილი გვერქვა.
უფალმა ჩვენმა, ქრისტე ღმერთმა, ცოდვილს და ბედითს
ხსნის გზა ასწავლა და დაადგა თავს ნათლის სცეტი —
მიჰყიდ-მოჰყიდოს ყოველგვარი უნჯი და განძი
და გაჰყვეს, როგორც ღარიბი და ყარიბი კაცი.
გადარჩენის და ხსნის მარტოდენ ის არის ღირსი,
ვისაც სწამს უფლის და დარჩება ერთგული მისი.
მე არა ღირს ვარ — მე ამ ქვეყნის შვენებაც მათრობს
და ამისთვისაც, ყოვლისშემძლევ, უღრმესად გმადლობ,

და მთელი ქვეყნის აურაცხელ უნჯებს და განძებს
მე ამ ცხოვრების სიამეშიც უკლებლივ გავცემ.
რატომ არსებობს ნაწილი და ასო სხეულის,
თუ არა მუდამ იყვავილოს სულმა სხეულმა,
თუ არა კაცის იღორძინოს მიწყივ ნაყოფმა,
არყოფნის ძლევად, და სიკვდილის ჩვენის დამხობად,
არ შეუქმნია ყოვლისმპყრობელს ჩვენი ასონი
არც შეცდომით და, რა თქმა უნდა, არც უაზრობით,
— ამის გაგება არ სურს მარად მარხვებზე მზრუნველს,
ის მისთვის შარდის გამოყოფად არსებობს თურმე.
საუბედურო ისეთებიც გვხვდებიან ბოლოს,
ვინც მას ქალ-ვაჟის განსხვავებად მიიჩნევს მხოლოდ.
ამაზე მეტი უაზრობა აღარც არსებობს —
— რას იტყვით, ჩემო ლამაზებო და ძვირფასებო?
— იყო და არის მათთვის მხოლოდ ერთი პასუხი,
ვინც ყოფის ფესვებს ასე უცბად აუფასურებს —
— ისინი მხოლოდ სიცოცხლისთვის შექმნა უფალმა
და კაცს ცხოვრება დაუამა და მოუგვარა.
დიახ, იმათთვის, ვინც ქორწილის წესმა შეჰყარა,
ღმრთივ არსებულა ეს სიამეც და ეს ქვეყანაც.
— ცოლს მიაგოსო კაცმა ვალი, — ჩვენს საღვთო წიგნებს
ასეთი სიტყვა სულ ამაოდ შემორჩათ იქნებ?
რა ვალზე არის ლაპარაკი აქ, ძვირფასებო,
ის მარტოოდენ მოსაშარდად თუკი არსებობს?
    არც ის იქნება სწორი, კაცს თუ ბოსტხოგე ძალით
გადაიხადოს უცილობლად თავისი ვალი.
უბიწოება კაცს არ ღუპავს — ცოლი ბევრ წმინდანს
არ ჰყავდა, მაგრამ ჩამოჰქონდა ვარსკვლავი ციდან.
ქვეყნად წმინდანი ქალიც ბევრი ცხოვრობდა უქმროდ
და ამ უქმრობით ბრწყინდებოდა სიწმინდე უფრო.
მე მეტსაც გეტყვით, წმინდა ქალი თუ პურს ჰგავს ხორბლის,
პურს სურნელოვანს და მაწიერს უმეტეს ყოვლის,
მეუღლე ქალი მაშინ ქერის ჩამოჰგავს ხმიადს,
მშიერ კუჭზე რომ გემრიელად იჭმევა ფრიად.
და ორივენი ხორბალიც და უბრალო ქერიც
ერთ ცის ქვეშ მოდის, ერთი ქარის ქროლვაზე მღერის,

წმინდა მარკოზის სახარება თუ კარგად გახსოვთ,
იქ, მდინარესთან ქრისტე ღმერთმა დამშეულ ხალხსო
ქერის პურებით უმასპინძლა — და გაძღა ერი
და კიდევ დარჩა გოდრებშიო ხმიადი ქერის.
მეც, რა თქმა უნდა, ჩემს შემოქმედს როგორიც სურდა,
ისეთი გავჩნდი და ისეთი დავრჩები მუდამ,
თუ სასახელო ვერ ვიქნები წმინდანთა მსგავსად,
ქმარს ხომ ვახარებ და ვუმრავლებ ძირსაც და გვარსაც,
რაც ღმერთმა მომცა უსიკვდილოდ უკლებლივ გავცემ,
მიტომაც არის ეს სხეული მძლავრი და გამძლე.
და ცამ შემრისხოს და გამიდნეს ჯანიც უმალვე
თუ ოდნავ მაინც ვიძუნწე და ვიწუწურაქე
და ქმარმაც ღამით, გინდა დილით, გინდა მწუხრამდე,
ასეთ ცოლს ვალი დროზე უნდა გადაუხადოს,
ტყუილ-უბრალოდ არ შერაცხეს ქმარი მოვალედ,
ხოლო მიღება ვალის ვის არ აღაფრთოვანებს.
შენ მოვალე თქვი — სულ ერთია კოჭლიც და კუტიც,
თუ მოვალეა, მე ათმაგად ავიღებ კუთვნილს,
ქმრის სხეულს უფრო მე განვაგებ. — ეს სიბრძნე კარგად
იცოდა ჩემმა უბედურმა ხუთივე ქმარმა.
დიახ, ბატონო, — მოციქულმა ცხოვრება ჩემი
ასე მასწავლა და მეც მისი ერთგული ვრჩები,
ხოლო როდესაც მიდუღდება ძარღვებში სისხლი,
სულ ასო-ასო თვალწინ მიდგას ნათქვამი მისი".
    „ღმერთო, გვიშველე! — შემოგვესმა მოულოდნელად
ინდულგენციის გამყიდველის მოთქმა-გოდება, —
თქვენ, ქალბატონო, მე თუ რამე მესმის, ხანდახან
ეკლესიებშიც გამოდგებით ნამდვილ ქადაგად.
ამასწინებზე გადავწყვიტე ცოლის მოყვანა,
მაგრამ, რად გინდა, — თქვენმა სიტყვამ გულს შემომყარა,
რა მრჯის, მითხარით, რა ქვას ვიხლი, ბატონო, თავში,
ჩემს მტერს და თქვენს მტერს ამოდენი ვალი და ვაზში.
არა, ძვირფასო, არა, ცოლის მთხოვნელი არ ვარ,
გინდ ვარდი იყოს, გინდა კიდევ სარო და ალვა,
ეგლა მაკლია შეგ ულელში გაეყო კისერი,
ცოლის თხოვაში ან რა ყრია მაინც ისეთი?!

„მოიცა, ვაჟო, მთავარ სათქმელს მე ეხლა ვიწყებ,
შენ მერე ნახე, გენაცვალე, ნამდვილი სიცხე,
ახლა რომ გავხსნი, იქ ისეთი ლუდი მაქვს კასრში,
ხელებს გაშლი და მალაყებსაც გადახვალ მაშინ.
— ცოლ-ქმრის ამბავი შენ მე მკითხე, — ანდა არის კი
ქვეყნად ცოლქმრული საიდუმლო, მე რომ არ ვიცი.
გმართებს ყველაფრის მართლაც კარგი აწონ-დაწონვა,
ნიადაგ რომ არ იწყევლიდე მერმე კაცობას,
აქ ეხლა სწორედ ბევრს მოვიყვან ამის მაგალითს
და თუ ჩვენ შორის რომელიმე მსმენელთაგანი
სწორს და სიმართლეს ვერ შეიგნებს ჩემს ნათქვამიდან,
თვითონ იქცევა მომავალში ის მაგალითად.
— ასე გვასწავლის პტოლემეოს ალმაგესტელი
და ეს პირადად თქვენ გეხებათ გასამკეცებით“.
„აბა, თქვენ იცით, შუა გზაში არ მიგვატოვოთ,
—კვლავ ოჯახის და კვლავ ცოლქმრობის თქვით, ქალბატონო“,—
ინდულგენციის გამყიდველმა ბათელ მატრონას
სულის მოთქმა და მოფიქრებაც აღარ ადროვა.
„სიამოვნებით, ბატონებო, ჩემს უხეირო
სიტყვიდან ზოგჯერ იქნებ ოდნავ გადავუხვიო,
მაგრამ ცოტ-ცოტა ისიც იყოს გართობასავით —
მე, გენაცვალე, მართლა ჭკუას კი არ გასწავლით.
რაზე შევჩერდი, აღარ მახსოვს, — ქმრებზე, ცხადია, —
რაც ნაღდად ვიცი და სულ გულზე რაც მახატია.
თუ ერთი მაინც გავურიო სიცრუე, მაშინ
ცეცხლში ჩავიწვა, არ მივიდე ცოცხალი სახლში.
ხუთიდან სამი კარგი იყო ჩემს ქმართა შორის,
სამაგიეროდ გახსენებაც არ მინდა ორის.
ბებრები იყვნენ სამივენი, მაგრამ მდიდარი
და, რა თქმა უნდა, პატივს მცემდნენ, როგორც გითხარით,
მაგრამ ჩემს პატივს იმოდენა ძალას ატანდნენ
და ისე სწუხდნენ ამ პატივის გამოხატვამდე,
რომ მათთვის მართლაც ტანჯვა იყო ჩემი ცოლობა,
მაგრამ რა მექნა, ეს მანამდის უნდა სცოდნოდათ,
მეც არ ვუთმობდი და სამივეს საფლავს ვუთხრიდი,
ცოლი ვიყავი და მიმქონდა ჩემი კუთვნილი.

არც მათი ოფლი მაწუხებდა, — ნაღუნღულევი
და ცხელი მიყვარს ქვეშაგები, როგორც ღუმელი.
მათ რომ ვიგონებ, აღარც ახლა ვწუხვარ — პირიქით,
უფრო სალაყბოდ მახსენდება და საქილიკოდ,
სახლს და ქონებას მიმტკიცებდნენ, ღამით ოღონდაც
ჩემთან სულ ცოტა შეღავათი მაინც ჰქონოდათ.
სახლი და განძი ჩემი იყო, მაინც ისედაც
და ეშმაკობა მათი მხოლოდ მახალისებდა, —
მაგრამ ნიადაგ ლაქუცი და პატივისცემა
ბოლოს და ბოლოს თურმე მხოლოდ ხიზღად იქცევა.
ჩემის ღრმა რწმენით ოჯახებში ხოლმე ცოლებმა
იციან ქმრებთან კეკლუცი და თავმოწონება,
მაგრამ თუ ქმარი ცოლს ნიადაგ ფეხქვეშ ეგება,
ცოლს სძულს და მაშინ ქმარზე რაღა გული ექნება?
ღამით, გიყვარდეს, სულის მოთქმას აღარ ვაცლიდი,
ახლა მე თვითონ ვმოქმედებდი მართლაც კაცივით
და ოფლად ვღვრიდი, არ მომცემდნენ ვალებს ვიდრემდე,
და ალიონზე წელს საწყლები ძლივსღა ითრევდნენ,
დენმაუური შაშხი საწყალ ჩემ ქმრებს კი არა,
აუცილებლად მეკუთვნოდა მე ერთს მთლიანად,
ისე მოვთრგუნე სამივე და ისე გავწვრთენი,
რომ ღამით თუ ვერ მოქმედებდნენ მთელის განცდებით,
სამაგიეროდ დღისით კრეფდნენ ვარსკვლავებს ციდან,
ხან მოვს მჩუქნიდნენ, ხან სამაჯურს, ხან კიდევ წინდას
და საჩუქრებით მავიწყებდნენ იმ უკმარობას
და ჩემზე უფრო მეტად ხოლმე მათ უხაროდათ.
ყური დამიგდეთ, ბანოვანნო, თუ რომ ქვასავით
არ გადაყრუვდით, მაშინ ჭკუას კიდევ გასწავლით,
გასწავლით ქალის რა სიკეთე რისგან იწყება,
გასწავლით მალვით დროსტარებას, ფიცს და მტკიცებას.
გასწავლით ლაქუცს, თუ რომ თვალის ახვევის გარდა,
სიცრუის თქმაში ვერა კაცი ვერ მოვა ქალთან,
იგივე სათქმელს პატიოსან ცოლებსაც ვეტყვი,
რაც გააჩნიათ, მოისურვონ იმაზე მეტი.
თუკი ჩავარდით და თუ მართლა სიმწრის დღე გადგათ,
უარი სტკიცეთ ქმარს და იქით დაუწყეთ თათხვა.

ქმართან დავაში მეორეჯერ რომ აღარ მოცდეთ,
მოახლეები დაიყენეთ მაშინვე მოწმედ.
ეი როგორი უნდა იყოს ქმრების გინება:
„მეც მომისმინე, ვაჟბატონო, თუ შეიძლება,
—მეზობელს თავზე ყველაფერი როგორ გადასდის,
ან მის ცოლს, — მე კი, რომ მოგჭამო ჭირი ათასიც,
მაინც ძონძებში უნდა ვიყო დღე და მოსწრება,
დღეს ჩემზე უკეთ ყველა იცვამს და იმოსება.
მე რომ გავივლი, დახლიდრები ცხვირს მიბზუებენ,
აწი აღარც კი გამესვლება კარში სრულებით.
შენ კი იმ ტუტუც გოგოს ისევ კუდში დაჰყვები,
არ გაგიგია, რას ჰყვებიან თქვენზე ბაყლები?
იმ მაჭანკალთან რა საქმე გაქვს, შე მოღალატევ,
დედულეთს ერთხელ თუ წავედი, თავს მოგანატრებ.
გონება როგორ აგირიეს ასე ჭაკებმა,
ამ სიბერეში აწი რაღა გემაჭანკლება,
მე კი თუ სადმე მივესალმე შემთხვევით ნაცნობს,
მთელი ერთი თვე მეჩხუბები და შვიდ ტყავს მაძრობ.
მერე ნიადაგ მხოლოდ მთვრალი მოდიხარ სახლში,
არც მეზობელი იცი შენ და არც თოთო ბავშვი,
შენს გამო ვსვამო, ქალბატონო, სულ აქეთ მებრძვი,
ასე თავის ცოლს არ ეპყრობა ნამდვილად მხეციც.
ჩემს საჭმელს მუქთად მიირთმევო ცოცხალი მძორი,
კაცმა არ უნდა ითხოვოსო ღარიბი ცოლი.
(მაგრამ მართლაც რომ შეგხვედროდა მდიდარი, ალბათ
თავს დაიხრჩობდი, — სიამაყით მომკლალ ქალმა).
რაკიღა ცოლი სანთელივით ჩამოქნილი გყავს,
შინ იჯექიო, — დღე და ღამე ამას ჰყვირიხარ,
ჩემს დარაჯობას სამუშაო დღეებს ანდომებ,
თითქოს კაცებმა მოიცალეს ჩემთვის მარტოდენ,
ზოგს თითქოს ჩემი ხმა მოსწონდეს, ზოგს თეძოები,
ზოგს მხოლოდ ჩემი ხასიათი, ზოგს ვეცოდები.
ზოგს წვივები და ზოგს თმა რბილი აბრეშუმივით,
ზოგს კი უბრალოდ ან ვნება კლავს, ანდა სურვილი.
კაცმა რომ მართლა დაგიჯეროს, ამ ქვეყანაზე
თითქოს არ იყოს არც სიწმინდე, არც სილამაზე

და თითქოს უნდა წაირყვნეს და წარწყმდეს უკლებლივ
რაც უმანკოა, სანეტარო და სანუკველი.
ხოლო მახინჯი და მათხოჯი რომ ვიყო, მაშინ,
იტყოდი, თვითონ უხვდებაო ჭაბუკებს გზაში.
ისე სწორია — უშნო იხვიც გვიან თუ ადრე
თავის შესაფერ მამალს მაინც იპოვის სადმე,
ძნელია მართლაც და თვითეულს ნამდვილად გვიჭირს
ხელუხლებელი შევინახოთ ქალური ნიჭი,
როდესაც ყველა მუდამ იმის ხელყოფას ლამობს,
— რამ გააჩინა მაინც ასე ტკბილი და ამო.
დაძინების დრო რომ მოაწევს, ძლივას მაშინღა
იხსენებ ვალს და შენივ ბედის გინებაში ხარ, —
ცოლის თხოვაო მოიგონა იმ უკუღმართმა,
ვინც რომ წაწყმდაო და სიწმინდე აღარ უყვარდა.
— შენი წარწყმედა მერე ნახე, შე გაიძვერავ,
განა არ იცი, რომ ღვთის გმობა არ შეიძლება?!
ბუზღუნა ცოლი, როგორც ხშირად წიგნში სწერია,
ცეცხლდავსებული არის ბოლით სავსე კერია
და ქმარს ბოლიო მუდამ გარე-გარე მიდევნის,
მაგრამ მე თავს ვერ მოვიტყუებ ამგვარ მითებით,
შენ ხომ მთელი დღე დაყიალობ ყველგან ისედაც,
და, რა თქმა უნდა, გარეთ სულ სხვა ბოლი გიზიდავს.
ცოლების თხოვის ახალ წესს და კანონებს ეძებ —
როცაო, კაცი, მაგალითად, ყიდულობს კეცებს,
ხმას გაუსინჯავს ჯერ საღი და მაგარი თუა,
ასევე, დოქებს და ქოთნებსაც ფსკერსა და ყუას,
ყიდვამდე უნდა შემოწმება ცხენებს და ვირებს,
ვიდრე ძალგიძსო, ანდა გვიან არ არის ვიდრე,
ქალის სინჯვა კი უფრორე და მეტადრე გვმართებს,
ხინჯი და მანკი გამოჩნდესო თანხმობის თქმამდე, —
მაგრამ, სულელო, გიჟისა და ქერქეტის გარდა
ჯვარის წერამდე ვინ მიგიშვებს, მითხარი, ქალთან.
ზოგჯერ იმასაც კი მაბრალებ, თითქოს და შენგან
პატივს და ზრუნვას მოველოდე სულისა შვებად,
თითქოს ნიადაგ გინდ მწუხარი, გინდა დაღლილი,
თვალებში უნდა მიყურებდე ერთგულ ძაღლივით,

ენა არ უნდა მოაბრუნო „უქალბატონოდ“,
უნდა ბავშვივით მომიარო და მიპატრონო,
დედოფალივით არ მომაკლო ჩაცმა-დახურვა
და არანაკლებ პატიობდე ჩემთა მსახურთაც,
გალაღებული უნდა გყავდეს კარის ფარეშიც
და ვპარპაშებდე ასე თითქოს მტერ-მოყვარეში —
შე მართლა ქვეყნის მატყუარავ, ასეთ სიცრუეს
შენზე თავხედი გაიძვერაც კი არ ირწმუნებს.
აგერ, შეგირდი ჯენიკინი მეწვია ახლა —
ხუჭუჭთმიანი... ქუჩის თავში რომ ცხოვრობს მაღლა, —
თუ არ გასტანსო, ქალბატონო, დღეობა დიდხანს,
მეც წამოვალო თქვენთან ერთად, — გუშინღამ მითხრა.
არც მივაქციე ყურადღება ამდაგვარ წვრილმანს,
რას ვიფიქრებდი მისი მოსვლა თუ ასე გწყინდა,
მეზობელიც კი ვერ მოსულა უბრალოდ ჩემთან,
— მომწყდით, არცერთი არ მინდიხართ, დაგწყევლოთ ღმერთმა.
შენ ეს მითხარი, რა უყავი ზანდუკის კლიტე,
ახლა ფულებიც დამიმალე — ეგ მაკლდა კიდევ,
შენი ქონება მგონი ჩემი ქონებაც არის,
ანდა ვინ გაყო ერთ ოჯახში ცოლი და ქმარი,
ჩქარა გააღე, არ დამჭირდეს მეორედ თხოვნა,
თორემ განახებ როგორ უნდა დამალვა დოვლათს,
ჩემი დოვლათი შენს ქონებას ასმაგად ჭარბობს,
მე შენ გასწავლი ღორობას და სიძუნწეს, ხარბო.
მე არც ისეთი სულელი ვარ, იცოდეს ღმერთმა,
ორივე განძი ხომ არ გინდა დაგითმო ერთად?!
რაზე მდარაჯობ დღენიადაგ, რა ნერვებს მიშლი? —
მეც ფულთან ერთად ხომ არ გინდა ჩამკეტო სკივრში.
ის არ სჯობს მითხრა — წადი, ოღონდ დაბრუნდი მალე,
მე მჯერა შენი, არ გადარეב უზნეო ქალებს, —
და მეც ძაღლივით ვიქნებოდი ერთგული ქმარის,
ცვილივით რბილი, დამყოლი და ცხვარივით წყნარი.
გავლა-გამოვლა ჰაერივით სჭირდება ქალებს,
გული ჩადგება საგულეში, თვალი წყალს დალევს;
აი, რა უთხრა უბრძენესმა და უკვდავთა სწორმა,
ალმაგესტელმა, ერთხელ თურმე ბუზღუნა ცოლ-ქმარს: —

„მაშინ იცხოვრებ, მხოლოდ მაშინ ხარ მოქალაქე,
როცა არ ფიქრობ, ბედს კაცი თუ ქალი განაგებს“,
მიდი და დატკბი ამ ცხოვრებით, შე უხეირო,
ეგ შენი ტახტი ვიდრე ღმერთს არ შეურყევია,
ან, მე შენ გეტყვი, შემოგაკლდა ჩემი ალერსი,
შუაღამემდე არ დადიხარ ანდა ქალებში,
შე უნამუსო, შენთან მაინც არ ვარ მტყუანი,
აბა მითხარი, თუ ოდესმე მითქვამს უარი.
მაგრამ სულელი მეზობელ კაცს ცეცხლს დაუკავებს
და უბოდიშოდ გააბრუნებს ბნელში უკანვე,
რა მოხდა, კაცი თუ გათბა და გზა გაინათა,
ცეცხლი ხომ ისევ შენი კერის რჩება ბინადრად.
რატომ გგონია, რომ ლამაზი ჩაცმა-დახურვა
აუცილებლად პატიოსან ქალსაც დაღუპავს,
თანაც დასტურად რომელიღაც უცხო პოეტის
ერთი უაზრო მონაჩმახი მოგყავს ყოველთვის:
„ქალს ალამაზებს მხოლოდ კდემა და მორიდება,
სადა სამოსში სული უფრო გამოვლინდება,
თავსამკაული, სამაჯური ანდა გულქანდა
მშვენებას მისას აქარწყლებს და ლაზათს უკარგავს“.
— ვიღაც გიჟის და დამთხვეულის ამ აბდაუბდას
შენებრ ქვაწვია მოიწონებს, რაღა თქმა უნდა.
თუ სადმე წასვლას ვეპირები, კატას მამსგავსებ,
ნუ გაქვსო კატის სიკოხტავე და სიკისკასე,
ბეწვი შენც უნდა დაგიწვასო სახლის პატრონმა, —
ბეწვშეტრუსული არ გადისო გარეთ რატომღაც,
მაგრამ, სულელო, კატასავით თუკი კოხტა ვარ,
ქურდი მოგპარავს ჩემს თავს, როგორც ბევრჯერ მომხდარა,
მიდი და სდიე მას, რაც იყო და აღარ არის,
ან დაჯექი და უფრო ბლომად მოსწვი ბალანი.
ხოლო კატა კი ჩამოიცლის გზად სახურავებს,
ვით მცხუნვარება, ვით ცხელება და სიმხურვალე.
და გზაზე არვის არ დასტოვებს გაუხელებელს
და სახურავებს სულ ბრაგაბრუგს აუყენებენ.
ეჰ, კატასავით რომ მქონოდა სახე ნახატი,
თაყვანისმცემელს მეც როგორმე გამოვნახავდი.

და არგუსიც რომ დამაყენო თავზე ასთვალა,
ხომ იცი, მაინც გავახერხებ რამეს მასაც ანაც.
ის კი არადა, ერთხელ მართლა თუ მოვინდომე,
შენდა უნებურ ხელ შემიწყობ აქეთ თვითონვე.

ცოლის სიყვარულს ქვეყნად ცეცხლთა შორის უმთავრესს
გეენიას და ჯოჯოხეთის ხანძარს უდარებ,
ქალის ვნება და ალხორცობა, როგორც ამბობდი,
არის ქვესკნელის ჯურღმულების ოდენ ამბოხი.
როგორც ქვიშაში წყალი, ქალშიც რჩება იმდენად
ერთგულება და სულის ყველა ავლადიდება,
თითქოს ნელინელ ქმარს, ვით ჭია, ფესვებს უხრავდეს
და უბნელებდეს მზეს, ცხოვრების მისის მწუხრამდე
— თითო კაცს თითქოს ელის სამი უბედურება,
სამთავეს უძლებს, მეოთხეთი განადგურდება,
მაგრამ ყველაზე უმეტესი ამა სამთაგან
ყოფილა ცოლი კაპარჩხანა და ბოზანდარა".

ქმრებს მუდამ ასე ვახურებდი — ისინიც ბოლოს
თავის შეცდომებს აბრალებდნენ სიმთვრალეს მხოლოდ.
ტყვილზეც და ჭორზეც მოწმეებად ერთი-ორ გლახას,
დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ადვილად ნახავთ:
ან დისწულები გამოჩნდება, ან თვითონ დაიც.
ბოლოს და ბოლოს სალახანა მსახური მაინც.
და ჩემს ქმრებს მუდამ ჭრელ-ჭრული და ფერად-ფერადი
რიოშითა და ტყუილებით კარგად ვბერავდი.
ვშიშობდი, ტყუილს დაუდევრად ვამბობდი იქნებ
და დამატებით ჩოჩორიკით ვისროდი ტლინკებს,
მაგრამ, თუ ზოგჯერ ოდნავ მაინც გავმტყუნდებოდი,
ვფუფქავდი ჩემს ქმრებს, როგორც კუპრი ადუღებული —
როცა ის იყო მენგრეოდა თავზე შენობა,
მაშინ ეს ჩემი ადუღება მართლაც მშველოდა:
ვინც ადრე მივა, ის პირველიც დაფქვავსო ხორბალს, —
და მეც დროულად მიხდებოდა დაფქვაც და ცხობაც,
იერიში და გამარჯვება ერთი ვიცოდი,
ცრუ მოწმეებიც კვერს მიკრავდნენ ვით უბიწონი
და ქმრები ისე დაფრთხებოდნენ და ისე ძრწოდნენ,
რომ მერე აქეთ მიყვებოდნენ თავიანთ ცოდვებს

ბებერი ქმარი განუწყვეტლივ ჯდა ბუხრის პირას,
წელს ძლივს ითრევდა და ვერც ფეხზე დგებოდა ხშირად,
მაგრამ მე იმას გარყვნილებას ვწამებდი მუდამ —
რას სჩადი-მეთქი, რად დადიხარ კარი-კარ მრუდად,
ღა სულის მოთქმას არ ვაცდიდი ქმარს საღამომდის.
ის კი ფიქრობდა, რაკი ასე ვეჭვიანობდი,
მიყვარდა კიდეც, — და ბავშვივით გაიხარებდა.
(მაგრამ იმ საწყალს ქალი როგორ შეიყვარებდა!)
გავიხურავდი შუაღამით ტალანის კარებს —
ჩემი ლამაზი გულისსწორი მიცდიდა გარეთ,
სახლში ცისკარზე ვბრუნდებოდი — მეუღლეს ვეტყვი,
ჩემს კახპა ფარეშს ვდარაჯობდი აქამდე-მეთქი,
ეჰ, მართლაც რა დროს ვატარებდი! საწყალმა ქალმა
ასეთი ბედი აირჩია მიწაზე ალბათ.
შამაკაცებზე სუსტები ვართ, მაგრამ სანაცვლოდ
მაღალმა ღმერთმა არსი ჩვენი სხვა მხრივ განავრცო,
იმდენი მოგვცა მოხერხება, მადლი და ნიჭი,
რომ კაცებს ჩვენი დაოკება ნამდვილად გიჭირთ.

რაც გინდა იყოს, ერთი რამით მაინც ვამაყობ,
და, კაცმა რომ თქვას, ჭეშმარიტად მაქვს სატრაბახოც:
ჯერ არ ყოფილა ისეთი რამ, მე რომ მეტწილად
ოდესმე მაინც, მეგობრებო, არ მიმეღწია,
ბოლოს და ბოლოს ქმრებს ძაფივით თითზე ვიხვევდი
და, რა თქმა უნდა, ავს მიხდიდნენ მუდამ სიკეთით,
როცა ძლივს ალერსს ისურვებდნენ დიდის დიდებით,
მე ვჯიუტობდი და უარზე მტკიცედ ვიდექი
და ვიდრე სკივრებს არ გახსნიდნენ, ვიდრე ვაჭრულებრ
არ ვივაჭრებდით, არ მომცემდნენ ვიდრე საჩუქრებს,
ფეხს არ ვიცვლიდი და რად უნდა იმას მტკიცება,
რომ ყველაფერი, ბატონებო, ფულზე იცვლება.

მათთან ყასიდად როგორც კნუტი თუ ვკრუტუნებდი,
მხოლოდ იმიტომ, რომ განმევრცო დრო რუდუნების,
მაგრამ რად გინდა — მარტოოდენ დენმაურ შაშხით
ჟინს ვერ მოიკლავ და კრუხივით იჯდები სახლში,
ეჰ, დრო და ჟინი მქონებოდა მეტი ოღონდაც,
თორემ ბებრები, რა თქმა უნდა, არ მეყოფოდა,

სამაგიეროს მე ვუხდიდი, — იცის გამჩენმა,
ვახშში და ვალში ქვეყანაზე არვინ დამრჩება,
ერთს თუ მეტყოდნენ, იქით მუდამ ასს ვუბრუნებდი
და მყავდნენ ასე ბატკნებივით გასუსულები,
ბებერს კი არა, თუნდაც ათჯერ ღონიერ ლომკაცს,
ვალს არ შევარჩენ — ან მე მოვკლავ ან თვითონ მომკლავს,
მერე კი ტკბილად დავუყოვავებ — „გვეყოფა, კმარა,
ლენჩი და შტერი, რა თქმა უნდა, არც მინდა ქმარად,
ახლა კი მოდი და მაკოცე — რაც იყო, იყო,
ავი და მავნე, მოდი, წყალმა რეცხოს და რიყოს,
გახსოვს იობის მოთმინება? — ჩვენც ჭირთა თმენით
უნდა სიმშვიდე მოვიპოვოთ სულისა ჩვენის,
და ვით სულგრძელმა მამაკაცმა მოისვინდისე
და მომიტევე მე უბედურს გულის სიფიცხე,
ქალის შენდობით და პატიეთ ოდენ ღირსება,
სიდარბაისლე, სიქველე და ძალა იზრდება,
ცოლქმრულ დავაში მამაკაცი ქალს თუ დაუთმობს,
მოუბრუნდება ცოლსაც გული უფრო და უფრო,
რაკიღა ღმერთმა კაცი მეტი ნიჭით მომადლა,
იმას ეგების მიტევებაც და დათმობაცა,
არავინ გინდა სიყვარულში ჩაგეზიაროს
და გადის ჩხუბში და დავაში დრო უსიამოდ,
რაკიღა ასე მარტოს გინდა დამისაკუთრო,
დამიყვავე და დამიამე მაშინ საწუთროც.
და, საყვარელო, მართლაც შენი ერთი ma belle chose*,
გულს დამიტკბობს და შუბლზე ნათელს გადამაფენსო,
მე შენთვის მინდა ჩემი ტრფობაც და სიყვარულიც,
და, რა ვქნა, მას თუ არ ჰპატრონობ და აღარ უვლი“.

სამივე ქმარი უსაშველო და დამქანცველი
ძალისხმევით და რუდუნებით მაინც გავწვრთენი.
ახლა მეოთხეს წარმოგიდგენთ, — იმთავიდანვე
მე ის მეოთხე, ვერ იქნა და ვერ ავიტანე.
დილიდან სვამდა — და ყოველღამ მთვრალს და გალეშილს
უყვარდა ხოლმე ღლაბუცობა ქვეყნის ქალებში,

* ჩემო მშვენიერო (ფრანგ.)

მეც ლამაზი და ახალგაზრდა ვიყავი მაშინ
და მარტოს გული მისკდებოდა მთელი დღე სახლში,
ჩანგზე ვუკრავდი, დღეობებში გულისცემამდი
მიყვარდა ცეკვა და უზომოდ კიდეც ვცეკვავდი.
ხოლო შიგდაშიგ ცოტა ღვინოს თუ გადავკრავდი,
ვერც მაჩერებდნენ მაშინ დღე და ღამის გაყრამდის.
მეტელიუსმა ღვინის გამო თავის საცოლეს
კეტი დაჰკრა და არტყმევინა თავი საწოლზე,
რა მოხდა, ღვინო თუ დაგლიე, — საქმე ის არის,
ქმარსაც მზად ჰქონდეს სულ სხვა ღვინო მეუღლისათვის,
მაშინ ხომ აღარ დავთვრებოდით — ვენერას სადმე
რომ ხელი ჰკიდონ, ქვეყნად ღვინოს იმიტომ სვამენ,
ვით ზამთრის სუსხი წყალს ანიჭებს ყინულის სისქეს,
ღვინის ხურვებაც სიყვარულის მიილტვის მზისკენ,
კარგად იციან არშიყებმა და მუსუსებმა,
რომ მთვრალი ქალი ერთ თხოვნაზე გაისუსება.

მაგრამ იმ ძველ დროს რომ ვიხსენებ, ერთად ტანჯვასთან
ია და ვარდიც მეფინება გულზე ანაზდად,
და ჟრუანტელი ძველებური ისევ დამივლის,
თითქოს და ისევ დამდგარიყოს ჩემი ამინდი.
არ მიცხოვრია ქვეყანაზე თურმე უბრალოდ
და ასე მომისაღამოვდა ტკბილად, უფალო,
მიმწუხრის ბინდმა წარიტაცა ჩემი მშვენება
და გამოხუნდა, რაც ცისკარმა მზისფრად შეღება,
მხოლოდ სისხლს შერჩა ძველი ღელვა და ძველი შფოთი,
მაგრამ საფქვავად ძველ წისქვილში აღარვინ მოდის,
შემომრჩა მხოლოდ ფუჩეჩი და ქატოს ნარჩენი,
მაგრამ ქატოსაც გამოუჩნდნენ იქნებ ვაჭრები?!

მეოთხე, როგორც მოგახსენეთ, არშიყი გახლდათ,
მაგრამ გონებას ის ჩემზედაც კარგავდა ნაღდად,
ეგოდენ ღალატს, რა თქმა უნდა, არ დაეუთმობდი
და მეც საკმაოდ გავიჩინე ნაცნობ-უცნობი,
ამაზე ქმართან სიტყვას აბა როგორ დავძრავდი,
ისედაც ყელზე განასკვული ჰქონდა ბაწარი.
მხოლოდ მეგობარ და-ქალებთან ქეიფს ვუმატე
და უნდებოდა დრო სუფრიდან მისვლას სუფრამდე,

ჩემი შემყურე აღარ იყო ქმარი ეჭვისგან,
ჰკლავდა ბოღმა და გული ღამის ხელით ეჭირა,
დამიყვავა და დამიამა, სიტყვა დაშაქრა
და შინისაკენ მოაბრუნა ყველა გზა-შარა,
საქმეს მიქებდა და მიწიურ ედემს მადრიდა
და რაღაც იგრძნო ოჯახური ცოდვა-მადლისაც
და საწყალ მის სულს, აქ რაკიღა შეძლო ამდენიც.
საიქიოში იქნებ ეხლაც ადგას ნათელი,
ზოგჯერ უმწეოდ ჩაჰქინდრავდა თავსაც ბუბართან,
ცოლის ღალატის ვარაუდი გულს თუ უბრავდა.
ღმერთია მოწმე, იგი მარტომ დავასამარე,
სამაგიეროდ ჩემს საყვარლებს მივეც საკანე...
მე არ ვუდარებ დარიოსის აკლდამას, მაგრამ
იმის საფლავსაც დიდგვაროვნის იერი დაჰკრავს, —
საკურთხეველთან ასვენია — წირვაც და უქმეც
მას უნთებს სანთლებს ზღვა ხალხი და საკმეველს უკმევს.
დარჩენილ დოვლათს, რა თქმა უნდა, ჩემი აჯამი
ქმარის საფლავის მოკაზმვაში არ დავხარჯავდი, —
იმხელა ცოდვებს ფულით რაღას გამოისყიდდა,
ხოლო იქ კარგად მივიდოდა ოთხი ფიცრითაც.
ვიდრე მეხუთე მეუღლეზე რამეს გეტყოდეთ,
ჯერ მისი სული მოვიხსენო მინდა შენდობით,
თუმცა ყველაზე უსაშველო გახლდათ ხუთიდან
და მასთან ყოფნა ჯოჯოხეთში ყოფნას უდრიდა,
მისი ბრალია, ავდარში რომ დილით ვერ ვდგები,
მისი ნაცემი მე რომ ეხლაც მტკივა გვერდები,
მაგრამ ხანდახან გუნებაზე ღ ებოდა როცა,
ერთ რამედ ღირდა მისი თითო უბრალო კოცნაც.
და თუ იწვოდა ჯოჯოხეთად დღე საღამომდე,
სამაგიეროდ ღამე იყო ოდენ სამოთხე,
სამოთხეში კი თუნდაც ერთხელ თუ შემოხვედი,
სალხინობელიც გავიწყდება და ჯოჯოხეთიც.
ქალის ბუნება, ხასიათი ანდა ცხოვრება,
ქალი ვარ, მაგრამ ხშირად მეც კი მეუცხოვება —
შეყვარებულის ხელმანდილი ქმარის კაბაზე
მეტად გვიღირს და ასჯერ უფრო მეტად ვაფასებთ,

წყალში იყრება ხშირად ქმრების დიდი ამაგიც
და ერთ უბრალო თბილ სიტყვასაც ცხრაჯერ ვამაღლით,
ხოლო საყვარლის რკინის ბეჭედს ძალუძს უსაზღვროდ
გაგვახაროს და ღვინოსავით დაგვაბურსალოს,
რაც გვეკრძალება, მარტოოდენ იმას ვესწრაფით
და დაფარული გვსურს ნათელი გვექმნას დღესავით,
ვისაც მოვწონვართ, მუდამ მისგან უკუ ვიქცევით
და ვისაც ვძულვართ, სიყვარულს და სულს ვეფიცებით.
ბაზარში მუდამ ის ძვირდება, რაც უკმარია, —
შეყვარებულიც ასე უძვირს ყველა ქმარიანს.
ჩემი მეხუთე მეუღლე კი — ღმერთმა აცხონოს! —
ღარიბი გახლდათ და ვერ იყო დიდი საცოლო,
მომეწონა და მეც გავყევი დაუფიქრებლად —
ცოლს სახლს თუ არა, სიყვარულს ხომ გაუმდიდრებდა,
ერთ დროს ოქსფორდშიც კი სწავლობდა, მერე რატომღაც
მიატოვა და მგონი ვიღაც ქალზე დარდობდა,
და საბოლოოდ ელინორთან, ერთ ჩემს და-ქალთან,
დადგა მდგმურად და მერე ბოლოს ჩემთან დაბარგდა.
მე და ელინორს ბევრი გვქონდა მართლაც საერთო
და ერთ დღესაც კი ვეღარ ვძლებდით უერთმანეთოდ,
იმას ვანდობდი ჩემი გულის წუხილს მარადის
და სულ უბრალო წვრილმანსაც კი არ ვუმალავდი.
ქმარს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა, მისი ნათქვამი
წინ რომ ხვდებოდა — გინდ ტყუილი, გინდა მართალი,
ყოველ წელიწადს, დიდმარხვაზე, როცა ცოტა რამ
იყო ხელსაქმედ და საშურიც არა გვქონდა რა,
ჩამოვივლიდით მეზობლები ქუჩებს კარიკარ
და ჭორის თქმაში ვამჟღავნებდით შნო და მარიფათს.
მე და ელინორს ოქსფორდელი გვახლდა სტუდენტიც
და სამთავ ჭორის თქმაში ერთურთს ტოლს არ ვუდებდით,
და ქალაქგარეთ დღისით, შენ ხარ ჩემი ბატონი,
ერთ ჩვენს ნაცნობთან თავს ვიყრიდით სამშაბათობით,
და აი ერთხელ, მახსოვს ადრე გამოზაფხულზე,
მზე ყოველ სულდგმულს უჩვეულოდ გულს რომ აღუგზნებს,
ველზე გავედით სასეირნოდ — თანაც ცისკრამდე
მეუღლე ბედად ვაჭრებს გაჰყვა ლონდონისაკენ,

— მიდი, რაც გინდა შენს ნებაზე მოიხალისე,
მე შენ გეტყვი და დროს მეუღლე გიანგარიშებს,
ამ დროს არ უნდა დაიხარჯოს წუთიც უსაზოდ
და იმ ერთ წუთში წლის ოდენიც უნდა მოასწრო,
და მეც გალობას ცისკრისას თუ წირვას მწუხრისას
ვესწრებოდი და არ ვხარჯავდი წამსაც უღირსად,
დღესასწაული, სატირალი ანდა ქორწილი
მართლაც რომ ზუსტად ჩემზე იყო ზედგამოჭრილი,
თანაც ყოველდღე ნაირ-ნაირ კაბებს ვიცელდი,
მე შენ გეტყვი და არ მელაგა სკივრში წყვილ-წყვილი,
ათასჯერ მაინც გავაღებდი ზანდუკს წასვლამდე
და ათასჯერვე დაუელიდა სიო ტანსაცმელს,
ასეთ ამბებში, რომ ხდომოდა ბევრი კიდევაც,
მღილი და ჩრჩილი სკივრში ფეხს ვერ მოიკიდებდა.
და აი, სამნი მინდორ-მინდორ ვვიდოდით ნებად,
სალაპარაკო ამ დროს მუდამ თავისით ჩნდება,
ისე გაეერთეთ და იქამდე შევყევით სიტყვას
და სიყვარულსა და განცდებზეც იმდენი ითქვა,
რომ ამ ღლაბუცში სტუდენტს ისიც ვუთხარი ბოლოს,
რომ ქმარად მისი მსგავსი კაცი მომწონდა მხოლოდ —
თუ დამაქვრივა ღმერთმა-მეთქი, მაშინ შენს მეტი,
მე სხვა კაცი და სხვა მეუღლე არ მინდა-მეთქი;
ისე, ჰაერზე არ ამბობენ ამნაირ სიტყვებს
და რაღაც აზრი და მიზანი მეც მქონდა იქნებ —
ჭკვიანი კაცი გრძნობს მომავლის ბედსა და ალბალს
და გამოღმა ცვლის, რაც უჩუმრად გარდიქმნა მიღმა,
მე იმ თაგუნას რა ვუთხარი, რომელიც მხოლოდ
სიბეცის გამო ერთ მესასვლელს უკეთებს სოროს.
იმას რომ ქვებით ამოუჩრის ვიღაცა მალე,
სულს უბედური წყვდიადსა და შიმშილში დალევს,
არა, გეთაყვა, — ისე უნდა დაქსელო გზები,
რომ ქვევით სიღრმე გაშინებდეს, სიმაღლე ზევით.
ვუთხარი, — შენთვის უნდა მეთქვა-მეთქი ადრევეც,
რომ მთელ ღამეებს შენზე ფიქრში თეთრად ვათენებ,
რომ გამოვთავდი, რომ სიკვდილის პირას მივედი,
რომ მომეწურა გადარჩენის ყველა იმედი,

რომ სიზმარშიაც შენის ხელით მიყრი სატევარს,
სისხლში ამოსვრილს უწყლოდ მაგდებ ძაღლთა სათრევად.
მაგრამ ნუ სწუხარ, — ეგ სისხლიო, როგორც მიხსნიდა
ბებია აზრის გამოტანას ყველა სიზმრიდან,
ეგ სისხლი-მეთქი ცხადში ნიშნავს მხოლოდ სიმდიდრეს
და სატევარიც უცილობლად კარგზე გვითითებს, —
— (როცა შევატყვე, სტუდენტს შიში და სიძაბუნე,
ჩემი სიზმრები სულ კეთილად შემოვაბრუნე)...
ეჰ, რამდენი რამ ავონდება კაცს უნებურად
და რამდენი რამ წამხდარა და გაცუდებულა.
გაოცებაც კი ვერ მოასწრო ჩემმა არშიყმა,
მეოთხე ქმარმა რომ ფეხები მართლაც გაფშიკა.
მოთქმით ვტიროდი, დავიტყავე ბარე მუხლებიც,
მაგრამ თავს მაინც, კაცმა რომ თქვას, არ ვიწუხებდი,
— განაღდებული უკვე მყავდა ქმარი მეხუთე
და აგერ ცხედრის ყურთან ორთავ ერთად ვეყუდეთ.
ეკლესიაში მივასვენეთ დილით სასახლე,
იქაც ვიყვირე, ვიკივლე და ვიმამაძაღლე,
კუბო სტუდენტსაც კი მოჰქონდა, როგორც მეზობელს,
და მხარიც კი არ მოუცვლია ტაძრის ეზომდე,
ერთ რამედ ღირდა მარტო მისი ტანის ყურება,
— ან ფეხს როგორ დგამს და წელშიც რომ არ იღუნება!
ქანდაკივით რომ იდგა მერმე ტაძრის პარმაღზე —
რომელი ქალი გაუძლებდა ამ სილამაზეს?
ოცი წლის იყო კურთხეული, მე კი ნამდვილად
ორმოცის გახლდით, მაგრამ ბებრებს ვინ მიმადრიდა? —
ბარე ოცი წლის მეც მიდუღდა სისხლი ძარღვებში
და გულს მიწვავდა მგზნებარება მზის უმძაფრესი,
ღმერთო მაღალო, მომიტევე, — რისი ბებერი,
როცა მიჭირდა დაოკებაც ჩემი ვნებების,
ვერ ვჩერდებოდი ერთ ადგილზე ვერცხლის წყალივით,
არ მასვენებდა სურვილი და ცეცხლის წადილი,
თეთრი, ელვარე და მეჩხერი მქონდა კბილები,
რაც ვნებიანის ნიშანია აუცილებლივ.
საკმარისია მარტო ხუთი ქმარიც დასტურად,
ჩემი ქალობა რომ არ დაჭკნა და არ დასრულდა,

იმ ხუთ მოწმეს და იმ ხუთ მომსწრეს გვერდს ვინ აუვლის,
თუ რა სანდომი და როგორი ვიყავ ძრაუული.
ნათლიად ორი ღმერთი მყავდა — ერთი ვენერა,
— ეს მისგან არის ჟამი ჩემს გულს რომ ვერც ერევა;
მეორე მარსი — სწორედ ომის ღმერთის წყალობით
მე ვიმარჯვებდი, ვიმაგრებდი სულს და ვმძლავრობდი,
რითი ჰყვაოდა და მძლავრობდა ტრფობა მარადის,
თუ არა ცოდვით, მზაკვრობით და ოდენ ღალატით,
თავისუფლებას და სიუხვის წესს თუ მასწავლის
ჩემი ბუნება, ჩემი მზე და ჩემი ვარსკვლავი!
ქალური მადლიც მით მიკურთხეს და მომანიჭეს,
ყველას ვუღებდე აფროდიტეს ტაძრის კარიბჭეს
და გვერდით რომ არ ჩამიარონ ტყუილ-უბრალოდ,
მარსის სიმხნეევეც ალბათ მიტომ მომეც, უფალო.
ის სიყვარული სიყვარულად არ მიმაჩნია,
საცა ცოცხლად არ შევმუსრულვარ და არ დავჭრილვარ.
შავი თუ თეთრი, გამხდარი თუ მსუქან-მსუქანი,
ჩემთვის ერთია, — ავარვაროს ოღონდ ბუხარი.
ჯერ არ გაევლო თვესაც, როცა მივმართე სტუდენტს
გადაელახა კრძალვისა და სირცხვილის ზღუდე,
ისეთი ჯვარი დავიწერეთ ტაძარში მალე,
მთელი სამი თვე სულ პირზე რომ ეკერათ ქალებს,
და მე სულელმა მთელი ჩემი ეზო და სახლი
და რაც გროშები დავზოგე და ვაგროვე მარხვით,
სულ სათითაოდ ჩავუთვალე ხელებში სტუდენტს
და თავში ვირტყი ხელი, როცა წაეედი მრუდედ.
მერე კი ბევრი ვაგინე და გავთათხე, მაგრამ
ერთ მშვენიერ დღეს ყურის ძირში მუშტები დამკრა.
ამის შემდეგ კი არაფერი არ მწამდა მისი,
კატა-ძაღლივით ვჭამდით ერთურთს დღისით და მზისით,
მეც ჩემებურად ძველებურად ავიშვი მაშინ
და დავდიოდი საჭორაოდ სახლიდან სახლში.
მას ასეთი რამ, რა თქმა უნდა, ჭირივით სძულდა
და წარმართების მაგალითებს ჰყვებოდა მუდამ:
რომაელმაო, სიმპლიციუს გალმაო, მგონი,
მხოლოდ იმიტომ გააგდოო თავისი ცოლი,

რომ უმანდილოდ, თავშიშველი გავიდა გარეთ,
ხოლო მეორე მხოლოდ მიტომ დასაჯეს მწარედ,
რომ ცირკში ქმარის უკითხავად წავიდა მარტო
და მეც ვით ქმარსო უნდა რაღაც პატივი დამდო.
— ეკლეზიასტეს შეგონებაც მსმენია მისგან,
და აქაც ჩემი განქიქება სჭვიოდა მიზნად, —
ცოლი არ უნდა გასცილდესო საკუთარ ერდოს,
გარეთ გასულსო კარგი ქმარი არც უნდა ენდოს,
გადამიშლიდა ათასნაირ წიგნებს და დინჯად
წამიკითხავდა დროგადასულ ტაეპს თუ ჰიჯრას:
„ვინც რომ სასახლეს მხოლოდ ვაზის კლერტისგან აგებს,
ვინც რომ გუთანში ფაშატს აბამს დიდი ხნის მაკეს,
ვინც რომ მეუღლეს სალოცავად გაუშვებს მარტოს,
თავის მტერია და არაფრით არ არის სანდო“.
მაგრამ ამაოდ, — თავაწყვეტილ ქალს მოთხრობა და
არაკი რაღას მიხსნიდა და რას მომთოკავდა,
ანდა რა გული მექნებოდა მასზე, როდესაც
ჩემში სიკეთეს ვერ ხედავდა მცირეოდენსაც,
პირიქით, იმის დროგადასულ წესს და სამართალს
მე უწესობით ვპასუხობდი ხოლმე სამმაგად.
ყური კი მაშინ გამიხეთქა და ყრუდ დამტოვა,
როცა სულელმა დავუხიე წიგნი რატომღაც,
ის წიგნი, მგონი, თავზე უფრო მეტად უყვარდა
და ყოველ ღამე ედო ხოლმე თავსასთუმალთან,
იმ საწყალს მისი თვითეული სიტყვა სჯეროდა,
თუ კითხულობდა, კარგად გრძნობდა თავს უჩემოდაც,
წიგნს ვალერი და თეოფრასტე ეწერა მგონი
და საკმაოზე დიდიც გახლდათ ზომით და წონით —
იერონიმუს კარდინალი დაურიდებლად
იოვინიანს სიტყვასა და აზრს უგინებდა.
გარდა ამისა წიგნში სიბრძნე სხვაც ბევრი გახლდათ —
ტერტულიანეს შრომა ცვლიდა ქრიზიპეს ტრაქტატს,
მერე ტროტულა მოდიოდა, აქვე აბატი
ლამაზი ქალის, ჰელოვისის წიგნსაც ნახავდით.
არც სოლომონის არაკი თუ სიბრძნე არ აკლდა
და ანდაზაც და ლექსიც ბევრი გახლდათ არაკთან,

ეს წიგნი მისთვის იყო როგორც ზეცის წყალობა
და საკითხავად რუდუნების დროსაც სცალოდა,
პირიქით, ყოველ მუშაობას და რუდუნებას
ამ წიგნის გამო ეჭვის თვალით თუ უყურებდა,
გარჯას კი არა, სიამესაც თვლიდა ზედმეტად
და ნამდვილ შვებას იმ დაწყევლილ წიგნში ეძებდა
მაინც ამ წიგნში რა გინდოდათ, რომ არ გენახათ,
თითქოს ბიბლია დაეწერათ წიგნად ხელახლა —
— აზრები, ბედი და ამბები უბრწყინვალესი
უზომოდ იყო ცოდვილებზეც და წმინდანებზეც,
მაგრამ, რად გინდა, როცა წიგნი უყვარს მამაკაცს,
ვეღარ უხსენებ მაშინ ქალის სახელს ხმამაღლა.
„ვინ დახატაო ლომი?“ ჰოდა, თუ რომ ქალებსაც
ეცადათ კაცთა ცოდვისა და მანკის გალექსვა
და წიგნებად რომ დაეწერათ მათი სიმდაბლე,
სიმრუშის საკითხს მაშინ სხვაფრივ გადასინჯავდნენ,
ნათლად და ცხადლივ მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა,
თუ რაოდენი სიბილწე აქვს კაცს უჩვენოდაც.
ქალი ვენერას ნაყოფია, კაცი მერკურის
და დასაბამი აქვთ ოდითგან განსხვავებული,
მერკური თუკი სიბრძნეა და მომხვეჭელობა,
ვენერა მხოლოდ სიგიჟეა და მფლანგველობა,
დასაბამიდან დაუნდობლად ერთურთს ებრძვიან
და მათი მტრობა ხორციელის ბედის ღერძია,
როდესაც თევზის ზოდიაქო მერკურს ჩაყლაპავს,
ვენერა ცაზე მხოლოდ მაშინ ჩნდება ჩახჩახა,
და ვენერა რომ ჩადის, მუდამ მაშინ გამოდის
ცაზე მერკური გინდა დილით, გინდ საღამოთი.
ეს ასეა და არც ის არის გასაოცარი,
რომ გადამღრძვალი გინდ სწავლული, გინდა მგოსანი,
ავსა და აუგს ურცხვად ჰკადრებს ხოლმე ვენერას,
რაღაი ძალა არ ერჩის და არ ემღერება?! —
და უმწეომ და ასე ქვეყნის გლახამ ამიტომ
ქალები უნდა გალანძღოს და უნდა აგინოს?
მაგრამ ისე ვით ძირგავარდნილ წუღებს, სრულებით
არც ამ სწავლულებს ჩვენ, ქალები, არ ვეპუებით.

ცოცხალ ლეშს და გვამს ანდა რაღა დაეჯერება —
სად უსუსურის კინკლაობა და სად ვენერა?!
მაგრამ მე ისიც მინდა გითხრათ, დანო და ძმანო,
თუ რა გადამხდა იმ წყეული წიგნისა გამო.
— არც იმა ღამეს არ ეძინა ჩემს ქმარს და დიდხანს,
შუაღამემდე უჯდა თავის ფოლიანტს კითხვად,
როგორც ყოველთვის, ჯერ კირკიტი დაუწყო ევას,
თუ როგორ მოჰყვა იმის ცოდვას ადამის ძლევა
და, რა თქმა უნდა, გაიხსენა ამასთან ისიც,
რომ ამ ცოდვისთვის დაიღვარა მაცხოვრის სისხლი.
და ბოლოს იმის კვერის დაკვრაც მიბრძანა, ქვეყნად
რომ ქალის მიერ კაცის ძლევა გრძელდება ეხლაც.
მერე სამსონის და დალილას ამბავს გადასწვდა —
ქალმა ანგელოზს ტანჯვა როგორ გაუათასა,
დეიანირამ, ცოლმა ვითომ უერთგულესმა,
უეცრად რა დღე დამართაო თვით ჰერკულესსაც.
მერე სოკრატეს რიგი იყო — (აღარც სოკრატეს,
ჩანდა, ამ წიგნის ავტორები არ დაზოგავდნენ),
როდესაც მისმა უანჩხლესმა ცოლმა ქსანთიპამ
ჯერ აგინა და მერე კიდევ ისე გაწირა,
რომ მელოტ თავზე წამოამხო ღამის ქოთანიც,
ასეთი სიტყვით მოუბრუნდა ცოლს საცოდავი:
„ამ ელვისებურ ჭექა-ქუხილს, როგორ მეგონა,
ამდენი წვიმა ასე უცბად თუ მოჰყვებოდა“.
სოკრატეს ამბავს, რა თქმა უნდა, კრეტის დედუფლის
მოჰყვა ცხოვრება წარწყმედილი და უკეთური —
შიშსა ჰგვრის მისი ავხორცობა ადამიანებს,
მაგრამ ჩემს მახინჯს ანიჭებდა ოდენ სიამეს,
ხოლო როდესაც ჯერი მიდგა კლიტემნესტრაზე,
ქმარს სურნელება ჩაეღვარა სულში ემბაზის;
მერე კი ვიღაც ერიფილე გამოკიაფდა —
ერთ სამაჯურზე გაეყიდა ქმარი იაფად, —
მტრებისგან თავი დაიძვრინა ამფიარაქსმა,
მაგრამ თებეში მას სიკვდილი მაინც არ ასცდა;
და, ასე, წიგნში გრძელდებოდა უკიდურესად
მძიმე ამბები უგვანსა და უკეთურებზე,

ლიმას ლუჩია მოჰყვებოდა — მათ, ქალბატონთა,
საკუთარ ხელით დაეხოცათ ქმრები რატომღაც —
თურმე მეუღლე საწყალ ლიმას სძულდა იმდენად
თავისი ხელით არ მოეკლა, ვერ მოითმენდა,
ხოლო ლუჩიას ქმარი თურმე ისე უყვარდა,
რომ ერთ წუთსაც კი ვეღარ ძლებდა თურმე უქმაროდ
და სიყვარულის წამლებს თურმე იშდენს ასმევდა,
რომ სიცოცხლეც კი მოუსწრაფა უკანასკნელმა.
ორივე ქმარი ოდენ ქალის ვნებებს გადაჰყვა
და ქალის ხელით შეტრიალდა ბედი თავდაღმა.
ლატუმიუსმა, ვიღაც კაცმა, ერთხელ მეგობარს,
არიუსს, ამცნო თვისი ჭირი და უბედობა,
რომ ბაღში ხეზე თავს იხრჩობდნენ მისი ცოლები,
ხოლო მიზეზი იყო მისთვის შეუცნობელი,
მესამე ცოლსაც ამ ხის ტოტზე დარჩა ცხოვრება —
რაშია საქმე, ან ამასო რა ეწოდება.
ხოლო მეგობარს არიუსმა ისე უსმინა,
თითქოს ზეციდან მოესმოდა ტკბილი მუსიკა,
გახარებულმა ხელიც დაჰკრა მხარზე უნებურ —
არიქა, ძმაო, იმ ხის ნერგი მეც მარგუნეო,
იქნებ ჩემს ბაღშიც იხეიროს იმ კურთხეულმა,
ჩანს, ყველაფერი საბოლოოდ ჯერ არ სრულა.
მერე სხვა თავი იწყებოდა — ვიღაც ქალებმა
ქვენა ვნებებსო ვერცერთი რომ ვერ იკავებდა,
საწოლს დააკლეს ქმრები დანით და აისამდე
სულ საყვარლებთან იალერსეს და გაისარჯნენ,
თან ახურებდნენ გაციებულ ცხედრებს წვივებით
და არ უგრძნიათ სინანული არცერთს მცირედიც.
ზოგი ნემსს ტვინში ურჭობდა და ქმარს ისე ჰკლავდა,
ზოგი საწამლავს აპარებდა ჭიქაში წყალთან,
წიგნში ასეთი უმსგავსობა იყო მეტწილად
და ამის გამო ღამით ხშირად არც კი მეძინა.
სორო არ ჰქონდა ჩვენს იატაკს ალბათ იმდენი,
მინდორს ბალახი და ბაღებში ხეებს კვირტები,
რამდენი ლექსი და ანდაზაც იმან იცოდა,
უყვარდა თქმა და ვეღარ ძლებდა უიმისოდაც: —

„ცოლს არაფერი არ მოუვა სახლში უშენოდ,
მაგრამ თაკისახლს მას ნურასდროს ნუ გაუშვებო“;
„სჯობს გაათიო ერთი ღამე მაღლა თავანზე,
ვიდრემდის შენი ანჩხლი ცოლი მუშტს გითავაზებს.
ის ამაღამაც მოგაბეზრებს თავს უეშველად
და სანამ გულს არ მოიოხებს არ მოგეშვება“;
„თუ ერთხელ მაინც შეიხსნაო ქალმა საკინძე,
მერე კამათობს მორალის და კდემის საკითხზე“, —
და სხვა მრავალი — მანკიერთა და ბიწიერთა
მაგალითებით მშხამავდა და გულს მისიებდა.
როდესაც მივხედი, რომ არ იყო არსით საშველი
და მთელი ღამე ამაოდ და უქმად დავშვერი,
ვებდღვენი წიგნს და ამოვგლიჯე სამი ფურცელი
და ჩემს სისხლისმსმელს თან ისეთი სილა ვუძღვენი,
რომ იქვე უკან კვრიაში ჩაჯდა უსიტყვოდ —
ვაი, შენ-მეთქი, შენ წიგნს მეტი არ მოვუსმინო.
მერე კი თავბრუ დამესხა და გონს რომ მოვედი,
სისხლი თქრიალით მომდიოდა და, უფრო მეტიც,
შეშინებული დამცქეროდა ქმარი ზემოდან
და გალენჩებულს დანით კბილი არ ეხსნებოდა,
ის იყო, კიდეც დააპირა სადღაც გაქცევა.
რომ მივაკივლე — ციხე-მეთქი ვეღარ აგცდება.
ხომ ხედავ, ვკვდები, შე ურჯულო, და სიკვდილის წინ
მაკოცე-მეთქი, თუკი კიდევ შეგრჩა სინდისი.
უცბად მოლბა და ჩემს წინაშე მუხლზე დაეცა,
ან სინდისმა თუ შეაწუხა უზენაესმა,
შემინდეო და მომიტევე, ჩემო ალისონ,
ეს ყველაფერი სულ იმ წიგნის ბრალი არისო,
შევცდიო, ჰოდა, დამნაშავეს აბა რა მეთქმის,
მაგრამ, ძვირფასო, ცოტა შენც კი გადაამეტე.
მე, რა თქმა უნდა, ერთი სილა კიდევ ვაჭამე —
მომშორდი-მეთქი, სულს ვღაფავ და რაღად მაჯავრებ,
დიდი ხნის მერე, როგორც იქნა, ზავი დამყარდა
ერთად — დავასთან, სიამესთან, ჩხუბთან, ყაყანთან,
მაგრამ მაშინვე, ორივემაც დავდეთ პირობა,
რომ ამას იქით გარდუვალად და უცილობლად

მომიცემოდა ყოველგვარი თავისუფლება
და ყოველდღიურ ნება-სურვილს ამისრულებდა,
სამაგიეროდ თავს აღარც მე მოვაბეზრებდი
ჭინჭყლით, კამათით, სიჯიუტით თუ უმეცრებით.
ოჯახს, გასავალ-შემოსავლის განაწილებას
მხოლოდ მე უნდა გავძღოლოდი აუცილებლად.
და წიგნს რომ აღარ მოჰყოლოდა აყალ-მაყალი,
ნაკუწ-ნაკუწად დავხიე და ცეცხლში ჩავყარე, —
ამოვისუნთქე, როგორც იქნა, დარდი გულიდან
გადამეყარა და მეუღლეც ბედს შეურიგდა.

„ჩემო ძვირფასო და ერთგულო ცოლო, ალისონ,
ლხენა მოგეცეს, მე შენ მეტი არ გაგარისხო,
მე შენს ხელთა ვარ, — შემინახე ოღონდ სიკვდიმდე
პატიოსნება შენი, როგორც ჩემი სიმდიდრე“.
და იმ წუთიდან სიტყვა რაა, მწარე სიტყვაც კი
არ გვითქვამს, ახლად შეუღლებულ ცოლ-ქმარს ვითარცა,
ხოლო ნდობა და ერთგულება ჩვენი მეტადრე
აღარ გენახოთ დანიიდან ინდოეთამდე,
ღმერთმა აცხონოს — ისეთ წმინდას, ისეთ შეურყვნელ
კაცს სადღა ნახავს ამ ჩვენს დროში ქალი მეუღლედ,
ხოლო თუ ჩემი არ მოგწყინდათ ხმა, ძვირფასებო,
ერთი ამბავი, ნება დამრთეთ, მეც მოგახსენოთ.

აი რა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს ეკლესიის მსაჯულმა და მნათემ

მნათეს სიცილი აუვარდა — ეს რა გაწელა!
ჯანი მოგეცეს — აი, ამას ჰქვია გაძლება.
აქ ეკლესიის მსაჯულს უცბად გული მოეცა,
ეტყობა, რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა მომენტსაც —
ის ხომ მნათესთან საკინკლაო საბაბს ეძებდა
და ჰა, ერთბაშად მოაწყვიტა, როგორც მეწყერმა:

„ბუზსა და მნათეს ღმერთმა ერთი გზა დაუსახა,
მაცხოვარს ვფიცავ, რა მნათე და რაღა ბუზარა,
მართლაც ორივემ სად არ გინდა ცხვირი არ ჩაჰყონ,
არ შეგვაწუხონ, არ დაგვჭამონ, არ იყაჩაღონ,

— ვინ გკითხავს სხვისი მოთხრობების სიგრძე-სიდიდეს
ან ჭკუას როგორ გეაზეკლი და როგორ გკითხეთ?“

„მიდი, მაგინე... ხომ იცი, რომ ვერ გამაჩუმებ, —
თანაც ისეთი მოთხრობები ვიცი მსაჯულზე,
მთელი გზა ხელი სულ მუცელზე უნდა გეჭიროს,
ეგ წვერ-ულვაში მართლა უნდა დაგაგლეჯინო!“

„თავს მოუარე, გირჩევნია, შე მამაძაღლო,
მართლა ულვაშზე დამაფურთხე, თუ არ გაწამო,
უყურე ერთი, თავს რომ აძლევს ამდენ უფლებას,
არა, კიდეც რომ მექადნება და მებუქრება“.

„აბა, გეყოფათ, ყვინჩილებო, — სახლის პატრონმა
წარმოგვიდგინა მოჩხუბარნი ასე ხატოვნად, —
არა, ორივე ერთად მაინც რამ გადარია,
აცალეთ ახლა, ამბის თხრობა ამ ადამიანს,
თქვენი დროც მოვა სადაცაა, ჩემო ძამია,
ასემც გიქნიათ, ერთმანეთი დაგიჭამიათ“.

„თუ ნებას მომცემს აგერ მისი უწმინდესობა,
მე მზად ვარ, — მნათეს ფეიქარმა მზერა ესროლა,
მოჩხუბრებს ენა ჩაუვარდათ — ბოლოს მნათემაც
შეაქო ქალი ისე, ბერებს ვით ეკადრება.

აქა დასაწყისი ბათელი ქალის ამბისა

ძველად, სულ ძველად, არტურის დროს, ვისაც დიდებით
ინგლისში ხშირად იხსენებენ დღესაც ბრიტები,
გარე-მიდამოს მითიური ედო ელფერი
და იმ სრულყოფას უგალობდნენ გუნდნი ელფების.
და ილტვოდნენ და ებმებოდნენ ხშირად კეცლუცი
ფერიის გრძნებით მთებიცა და ზღვებიც ფერხულში.
— ეს მაშინ, ყოველ შემთხვევაში, სწამდა ხორციელს,
დღეს კი მითის სულს აბა როგორ ააღორძინებ,
როცა ტყე და ღრე ბორიალობს ჯოგი ბერების
და არაფერი რჩებათ ჯვარით გადუწერელი.
რამ მოამრავლა ეს ბერები მაინც ამდენი,

ანაფორები ფეხქვეშ გზაზეც რომ ვვებლანდება,
ერთ კაცთან ასი ერთად მოდის გალასახადზე
და ერთ შილინგად ჯვარს პირუტყესაც გადასახავენ.
სულ აიაზმას ასხურებენ ტბებს და ჭაობებს
და კლდე-ღრეებშიც რაღაც დოგმის გამო დაობენ.
ბოდა, მათ ხელში რა ფერია გაძლებს, მითხარი,
ელფი და სილფი, ან სხვა კიდევ ეგევითარი.
და სადაც ელფებს მხიარული ჰქონდათ ფერხული,
იქ ვიღაც ბერი მობაკუნობს დღეს უხერხულად,
ცხვირში ღიღინებს საგალობელს და გასკდომამდე
ნაწყალობევით სავსე აბგას ძლიესღა მოათრევს.
ესლა ყოველდღე ცისკარზე და შეღამებულზეც
სად აღარ ნახავთ წყვილებსა და შეყვარებულებს
ან რატომ უნდა ეშინოდეთ იმათ ქაჯების,
როცა მათ ნაცვლად დღეს ბერები დაალაჯებენ.

სასახლის კარზე მეფე არტურს ჰყავდა რაინდი,
ჯერ ყრმა-ჭაბუკი, მკვირცხლი, მარჯვე და მუყაითი.
გადაეყარა გზად რაინდი ვიღაც ქალიშვილს
და აბუსკნავა თურმე როგორც ყურის ბალიში.
ხალხი აღშფოთდა, ღმერთი გაწყრა, ვაჟი გამტყუნდა,
სიკვდილით დასჯა ბრძანა მაშინ მეფე არტურმაც.
მაგრამ ზედმეტად გულსაწყალ და სათნო დედოფალს
ჭაბუკი ესე შეებრალა, როგორც ეტყობა, —
სთხოვა მეუფეს განეკითხათ იგი ხელახლა
და განმკითხავად ბანოვანნი გამოენახათ.
მეფე დათანხმდა... დედოფალმა, ვით განმკითხავთა
მთავარმა, მაშინ დამნაშავეს ასე მიმართა:

„ამ სიკეთისთვის ღმერთს შესწირეთ მადლი, რაინდო,
მაგრამ რაკიღა არ გვსურს ქალის ცოდვაც დავიდოთ,
ერთი პირობით გადურჩებით მსჯავრს უცილობლად
და აქვე უნდა მოგახსენოთ იგი პირობაც:
— უნდა გვაუწყოთ, ქალთა მოდგმა ამ ქვეყანაზე
რას უფრო ეტრფის, რას ესწრაფვის და რას აფასებს.—
ვადად გეძლევათ წელიწადი, — ერთი წლის შემდეგ
ერის წინაშე ამ დარბაზში კვლავ უნდა შეგვხვდეთ,

რაინდის ფიცით შემოგეფიცეთ, რომ დაბრუნდებით
და ჩვენი ვალი არ დაგრჩებათ გადაუხდელი“.

რა უნდა ექნა იმ უბედურს? — ბედმა მუხთალმა
სიკვდილი ქალის სამსახურში გამოუცვალა.
ღმერთი ახსენა უბედურმა და გზას გაუდგა,
ღვთის მოწყალებით უნდა ეცლო, რაღა თქმა უნდა...

შემოიარა გზა ყოველი ამართ და დამართ,
მოვლო ყოველი ქალაქი და ყოველი დაბა.
და დაჰკითხავდა ყრმას თუ მოხუცს, ქმრიანს თუ უქმროს,
ამ ქვეყნად თუ რას აფასებდნენ ყველაზე უფრო.
მაგრამ, მერწმუნეთ, ვერ იპოვით ორ ქალსაც ალბათ,
ორთავ ერთი რამ რომ მოსწონდეს, — თუ ერთმა ქალმა
ბარისა გითხრათ, მთისას იტყვის მეორე მაშინ
და ბარში მთისას გაიგონებთ, ბარისას მთაში.
ერთს მარტოოდენ პატივი და ფერება უყვარს,
მეორეს ფული, — ოღონდაც კი ახარჯე უხვად.
მესამეს გავლა-გამოვლა და მეოთხეს ჭამა,
ხოლო მეხუთეს სიყვარული სჭირდება ჭარბად.
ზოგს ტკბილი სიტყვა ურჩევნია ფულსა და დოვლათს
ზოგთან მუქარა გამოდგება, ზოგთან კი თხოვნა,
ისე, რაღაცას მეც თუ მკითხავთ, ყველაზე ნაღდად
თავის მოქონვა და ქება ჭრის ყოველთვის ქალთან.

მაგრამ არიან ისეთებიც. თავისუფლება
ვისი სულისა ერთადერთი არის სუფევა.
მათ ქმრები უნდა უყურებდნენ როგორც თანასწორთ
და ოდენ უნდა უმეგობრონ და უთანაგრძნონ,
იმათთან ერთად უნდა წყვეტდნენ ყველა საკითხსაც
და არასოდეს არ აკადრონ ხალხში გაკიცხვა.
მას ქმარმა საქმე თუ არ უქნა და არ უკუთხა,
მაშინ ოჯახში ყველაფერი წავა უკუღმა.
რადგან ყველა ქალს, თუნდაც ზარმაცს და დაუდევარს,
ხშირად ქება და წაქეზება მართლა უხდება.
ასეთ ქალს, მისი ჭეშმარიტი თუ ხარ მოკეთე,
ნაკლს ნურასოდეს ნუ უხსენებ, — ცუდად მოქმედებს,—
ყოველი ქალი ვერ ნათობდეს იქნებ მზესავით,

მაგრამ მზეობას, რა თქმა უნდა, ყველა ესწრაფვის,
ზოგი არც ტყუილს ერიდება და უსაფუძვლოდ
მლიქვნელობს, ოღონდ თქვენი ნდობა დაიმსახუროს.
მთელი ცხოვრება ზოგი ქალი ბევრს აიძულებს,
ჩათვალოს იგი გულის ნამდვილ მესაიდუმლედ,
(მაგრამ ქალებთან საიდუმლოს თქმას რა ფასი აქვს
და ტრფობა განა საიდუმლოს შენახვაზეა?)
როგორც აგვიწერს ოვიდიუს ნაზონი — მიდასს,
მეფე-კაცს, ერთი უჩვეულო ნაკლი-რამ სჭირდა, —
ვირის ყურები ჰქონებია და უშნო ყურებს
ქვეყნად არავის უჩვენებდა საწყალი თურმე.
მეფეს მეუღლის ერთგულების სჯეროდა მხოლოდ
და საიდუმლოც, ვით მეგობარს, გაანდო ბოლოს,
— ასეთი ბედი გვარგუნაო მაღალმა ღმერთმა —
და დააფიცა, რომ ნანახი არვისთვის ეთქვა.
დღე მიილია, როგორც იქნა, მეორე დილით,
ექავებოდა მის ქალბატონს ენა და პირი,
ხოლო საღამოს ქალმა უკვე აშკარად იგრძნო,
რომ უთქმელობით მომკვდარიყო კიდევაც ვინძლო,
— ორი დღე ვმალე, ჰოდა, მეტი როდემდე ვმალო, —
თქვა საწყალმა და მიაშურა პატარა წყაროს,
ჩურჩულ-ჩურჩულით შეაპარა ჩუხჩუხს და რაკრაკს, —
მე უბედურმა ჭეშმარიტად არ ვიცი რა ვქნა,
ერთ საიდუმლოს გაგანდობ და არ გამთქვა არსად —
ვირის ყურები აბიაო ჩემს ამაყ ქმარსა,
რაც შემდეგ მოხდა, აქ მისი თქმა არა ღირს ახლა,
ამ მითს მკითხველი ოვიდიუს ნაზონთან ნახავს.
ვეღარაფერი ვერ გაუგო ქალებს რაინდმა
და ხეტიალში წელიწადი კიდეც გავიდა.
სულ დააბნია მაინც მათი ენის ჭარტალმა
და თავი თვისი განწირულად კიდეც ჩათვალა.
დაწუხებული ბრუნდებოდა უკან, როდესაც
ქალების გუნდი დაინახა ველზე კბოდესთან,
წრე შეეკრათ და ჰქონდათ ერთი სიცილ-ხარხარი,
არცთუ შორს იყვნენ და რაინდმაც არ დაახანა, —
ტყუილად ყოფნას მცირე საქმეც გვიჯობს საერთოდ

და იქნებ რაღაც ჭკვიანური კიდეც გაეგო.
მაგრამ ის იყო, ვაჟმა ველზე ფეხი შემოდგა,
უცხო ნათელი შემოადგა გარეშემოდან,
გაიხედა და სადღა იყო გუნდი ქალწულთა, —
შორით ნანახი ვით სიზმარი, ისე გაცრუვდა,
მათ ნაცვლად ველზე ჩახჩახებდნენ ოდენ ბუჩქები
და მოჭრილ კუნძზე ჯდა ასი წლის უსმელ-უჭმელი
ბებერი ქალი, ლამის უკვე ქცეული ჩონჩხად,
მაგრამ იმისმა გამოხედვამ ვაჟს თვალი მოჭრა.
„სერ, — მიაძახა, — მე თქვენ კარგად გიცნობთ, რაინდო,
და ჰა, მოვედი კიდეც თქვენთან სამუსაიფოდ,
თქვენი გამოხსნა ეხლა მე თუ ძალმიძს მარტოდენ
და მე რომ შეგხვდით, იღბლიანო, ღმერთს უმადლოდეთ“.
— „მაშინ მითხარით, ქალთა მოდგმა ამ ქვეყანაზე
ყველაზე უფრო რას ესწრაფვის და რას აფასებს?“
—„ერთ სურვილს თუკი შემისრულებთ, პასუხი მზად მაქვს“,—
თქვა ბებერმა და მთებში მეხი გავარდა სადღაც.
—„წამიწყდეს სული, თუ ნამდვილად არ აგისრულოთ,
თქვენ რაც არ უნდა უცნაური რამ მოისურვოთ“.
—„უკვე გადარჩით, ვინ გადავა ანდა ქალთაგან
თუნდაც ერთ სიტყვას, რასაც ჩემი ადევს ყადაღა! —
და ჯადოქარმა გახარებულ რაინდს უჩუმრად
ყველა ქალების საიდუმლო ჩაუჩურჩულა.
ორთავ მაშინვე გამოსწიეს სასახლისაკენ
და დედაქალაქს მოაღწიეს კიდეც ცისკრამდე.
დაბრუნდაო და ფეხზე დადგა მთელი სასახლე,
ჯერ მარტო მისი განმკითხავი იყო ასამდე,
ვერ პატიობდნენ ვერც ბანოვანთ და ვერც სეფე-ქალთ,—
ჩვენი სიმართლე ისევ კაცმა თქვასო ეგება.
მათ შორის ეჭვი დიდი ჰქონდა მაინც დედოფალს
და მწყაზარ შუბლზე აჩნდა ოდენ უიმედობა,
მაგრამ ნანატრი სიტყვა დასძრა ბოლოს რაინდმა
და მთლად დარბაზი მდუმარების ზღვაში დაინთქა:
„ყოველი ქალი დღენიადაგ და შეურყევლად
თურმე ესწრაფვის მამაკაცზე სრულ მეუფებას,
ეტრფის დამყოლ ქმარს და აფასებს ქმრის მორჩილებას,—

ამად არსებობს სიყვარულიც და ქორწინებაც,
— აი, ეს არის ჩემი სიტყვა — აწ, დანარჩენი
თქვენ მოიძიეთ, — სამართალიც და განაჩენიც“.

და მთელს დარბაზში ყველა ქალი, ერთი ვითარმედ,
იყო თანახმა ვით ყრმათაგან, ისე ქვრივთაგან.
აღარ ეთქმოდა არაფერი აღარც დედოფალს
და ისევ ბედით შეეცვალა ყმას უბედობა. —
განკითხვაც ქალის გვარობასა და ბარობაზე
კარგი სცოდნიათ სეფექალებს და ბანოვანებს,
ხოლო ის იყო ყმას მიაგეს მისაგებელი,
რომ სნეულივით აკრუსუნდა ავი ბებერი.
ვაით და ვიშით, როგორც იქნა, ბოლოს წამოდგა,
დარბაზს გახედა და შესჩივლა ხალხს საწყალობლად:
„ახლა კი, ხალხნო, გევედრებით, ვინძლო სამადლოდ
ასე კეთილად მე და ეგ ყმაც გაგვასამართლოთ.
— პასუხი იგი მე ვასწავლე, სანაცვლოდ რაინდს
უნდა სრულ ეყო ერთი ჩემი სურვილი მაინც,
მეც მხოლოდ იმას გევედრებით, რომ უცილობლად
თქვენის დასწრებით აღასრულოს ყმამან პირობა.
— მსურს ცოლად გავყვე, ბატონებო, ნუ დავიზარებთ
და ყმას თანხმობა ვაიძულოთ პირობისამებრ“.
მეხის გავარდნას ჰგავდა მისი სიტყვა დარბაზში,
ხოლო რაინდის ფეხქვეშ მიწამ იწყო ბარბაცი.
— „სიტყვა მივეცი ჭეშმარიტად, მაგრამ ბებერმა
უფრო ბებრული მოისურვოს რამე ეგება“.
„ო, არა, ნურას უკაცრავად — იყო პასუხად, —
ჯერ ჟამი ჩემი ქალწულობის არ გარდასულა.
მე, რა თქმა უნდა, ბებრუხანა და მახინჯი ვარ,
მაგრამ შენ გონჯად არ მსახავდი, როცა გიჭირდა.
მე შენს ცოლობას ქვეყნის უნჯზეც კი არ დავთმობდი
და მე ხომ შენი საყვარელი ვარ ქალბატონი“.
„საყვარელიო, — შეიცხადა ციცად რაინდმა, —
სჯობს აქვე მოვკვდე — არ ყოფილა ხსნა არსაიდან“.
მაგრამ იმ დღესვე იქორწილა და უეჭველი
თანხმობის ნიშნად წამოაცვა ბებერს ბეჭედიც.

მე, რა თქმა უნდა, ლექსს და სიტყვას არ დაგამადლით,
რომ დაწვრილებით აგიწეროთ სმაც და ჭამადიც
და არც მოლბენა და ცეკვაა ძნელი საოქმელად,
ანდა სიმღერა, მხოლოდ ქორწილს რომ ეკადრება,
მაგრამ არც ცეკვა და არც ლხინი მათ არ ჰქონიათ,
სუფრაზე იდგა ოდენ ურვა და აგონია,
მერე უჩუმრად დაიწერეს ჯვარიც მღილისებრ
და უჩუმრადვე გამოსწიეს მერმე შინისკენ.

კუნძივით ეგდო ყმა საწოლზე — ურვა უნდობლად
მუსრავდა სხეულს, სინანული გულ-ღვიძლს უდნობდა.
მეუღლეს მისას და ცხოვრების მისის მეგობარს
ჩუმად დაჰმზერდა ბებერი და ეღიმებოდა.
და ასე თეთრად დაათენდა ღამე, როდესაც
რაინდს ბურანში უცბად ცოლის ხმა შემოესმა:
„რა დაგემართა, საყვარელო, როგორ დაუთმე
ნაღველს მიჯნურის მგზნებარება და სიჩაუქე.
ჰა, ჩვენი ღამეც მიიწურა, მალე მწვერვალით
ნასროლი სხივი ჩვენს საწოლზე გაიელვარებს“.
—„მე ხომ სასახლის რაინდი ვარ — შენ კი უგვარო
ვიღაც მდაბიო და ამასთან ულვთოდ უგვანო,
ჰოდა, რად გიკვირს გულცივობა ჩემი ამგვარი,
ვგდივარ კუტი და უილაჯო, როგორც საპყარი.
მხოლოდ სიკვდილი თუ დამიხსნის, მხოლოდ ბნელეთში
თუ გასძლებს ჩემი გული ასე ღრჯუ და ხენეში“.
—„შენ სიყვარული რომ შეგეძლოს, მაშინ ეგოდენ
ურვას და წუხილს ბოლო მალე მოეღებოდა.
რა თავი მოგაქვს წინაპრებით, ხორცის სანაცვლოდ
სხვისი ნატკვერი ძვლებით გინდა კუჭი განაძღო?
სხვისი დიდებით ვერ იდიდებ, თუნდაც სიკვდიმდე
უწყალოდ დაშვრე, თუკი თვითონ ვერ ქმნი სიდიდეს.
რაინდობა თუ მარტოოდენ გვარიშვილობა
ჩემს სიგონჯეს და სიმახინჯეს ჰგავს უცილობლად.

როგორც წერს დანტე, პოეტი და მენცარი ბრძენი,
თურმე ვერ აღწევს ყველა რტომდე ფესვების წვენი.
ნიჭი და მადლი ჭეშმარიტად თვითეულ მოკვდავს
არა ხორცის და სისხლისაგან, ღმერთისგან მოსდგამს,

ხორცით და სისხლით ბოძებული ფერს მარად იცვლის
და იხარჯება მით, ვითარცა ხორცი და სისხლი.
„კოცონს მანამდე შემორჩება ნათელი წმინდა,
ვიდრე სრულად არ მიიქცევა საწვავი წიდად,
გვარიშვილობა ცეცხლს იმაში მიაგავს მხოლოდ,
თავში კაშკაშებს და კვამლად რომ ირევა ბოლოს,
ცეცხლის რჯულს და გვარს ვერაფერი ვერ შეცვლის ქვეყნად,
გვარიშვილობა კი კაცთაგან მრავალმა შერყვნა,
რას გარგებს კვეხნა დიდებითა პაპათა შენთა,
როცა განგებამ სხვა ქამთან და სხვა ბედთან შეგრთა.
ცოდვა ათმაგად ეწერება ლორდსა და ჰერცოგს
და ყველა იმას ვინც გარდასულს იკვეხნის კერძოდ,
ვინც სხვის დიდებას დღენიადაგ სესხულობს ურცხვად
და თავი თვისი, ვითარცა კერპს, წინაპარს უძღვნა.
ასეთი კაცი სიძულვილის ღირსია მხოლოდ
და, როგორც ყოვლად უმაქნისი, ეკუთვნის ბოროტს,
ნიჭი და მადლი გამყღავნდება კეთილი საქმით,
მხოლოდ სიკეთით ითრგუნება მანკი და ნაკლი.
მას ვერ დაიტევს ამიტომაც გვარი და სისხლი
და თუ არსებობს არა სისხლით, არამედ ღმრთისით.
მე კეთილშობილთ არ ვეკუთვნი, მაგრამ თუ შემწედ
მექმნება ღმერთი და თუ თესვაც კეთილის შევძელ,
მაშინ დიდგვარზე უდიდესი ნამდვილად თვით ვარ
და თავს ვერაფრით გავუყადრებ მეფეს და დიდგვარს.
„რად მითვლი ცოდვად სიდუხჭირეს, თუ არც მაცხოვარს
არ უცხოვრია ამ სოფელში ოდენ განცხრომად:
მას იუდეველთ მეფის ტოგას ვერვინ გახდიდა
და ხალხი უნდა დაემოძღვრა ოქროს ტახტიდან.
მაგრამ ხვედრია სიღარიბე სულით მაღალთა
და ხვედრი იგი ღმერთმა იმათ ფესვს ჩაახატა.
განძი მაღალ სულს ვერ შეამკობს ვერავითარი,
ქვეყნად ის ოდენ სიღარიბით ხდება მდიდარი,
ხოლო მოშურნე მქონებელი მაინც ვერ ძღება,
გინდა ნიადაგ ევსებოდეს ქისა ვერცხლებით,
მქონებელნი და მომხვეჭელნი ძალშიც ბორგავენ
და უდრტვინველად ქვეყნად მხოლოდ სძინავს ბოგანოს.

და მიწყივ ასე მცირე ზრუნვით და თაღარიგით
მხიარული და გულკეთილი გახდა ღარიბი,
უქონლობაში სიწრფელეა და სიჯანსაღე,
ღმერთმა სიწმინდე სიღარიბის თესლში შთასახა,
მის სიმძიმეში ინახება სულის მადანი
და იჭედება ჭეშმარიტი ძალა ადამის,
ყვლეფენ უქონელს და ნიადაგ ოდენ ძარცვავენ
და ხელი ვერ კი მიუწვდინეს ნამდვილ განძამდე.
რაკიღა ცხოვრობს უდარდელად და უდრტვინველად,
თავის თავს იცნობს და ითვლება ღმრთის კუთვნილებად,
ქვეყნის სიმართლე იბადება მისი სიმწრიდან,
რაც თვითონ სიმწრით გამოიბრწნა და განიწმინდა.
მაშინ რად განსჯი სიდუხჭირეს ასე უკულმა,
თუ იგი ადამს თვითონ მამა ღმერთმა უკურთხა.
„სიბერეც უღვთოდ შემიგინე — ცოდვად ვინა თქვა
ხანდაზმულობა და სიბერე ადამიანთა.
რქებს არ დაგადგამს ჩემი კუზი და ნაოჭები, —
ჩემთან სურვილი არ ექნება კაცს გამორჩენის,
ვიცი, საწყალო, ისე ყრუ და ბრმა ხარ ისეთი,
რომ ერთგულებით კიდევ უფრო შეგეზიზღები,
მაგრამ მე ძალმიძს ჭაბუკური ვნება დაგიცხრო,
მე ხომ ნიჭიც და დიდი მადლიც მაქვს სამაგისო,
ერთგულებას კი ჩემსას უნდა დაემშვიდობო,
რაკიღა იგი არად გიღირს უკუპიდონოდ,
სამაგიეროდ ახალგაზრდამ და მიმზიდველმა
ჭირი მრავალი მოგიტანო უნდა კიდევაც.
ვინძლო შეგშალო, გაწყევლინო ვინძლო გაჩენა
და სასიკეთო არაფერი არ შეგარჩინო.
— ამოირჩიე, რომელი გსურს — ბედის სასწორზე
დევს შენი ბედი — ან ეხლა და ან არასოდეს!“
ჭაბუკი შიშმა ადიტაცა და დაბნეულმა
ესღა შეჰბედა პირმოქუფრულ ცოლს მეუსეულად:
„ჩემო ბედო და სიყვარულო, მე განა ძალმიძს
განვჭვრიტო ბედის თუნდა ერთი უბრალო წამიც,
როგორც მეუღლემ სახიერმა და როგორც ბრძენმა,
ისე ჰყავ, ვითარ განარიგა განგებამ ზენამ“.

— „ჩანს, რომ მნებდები, სიამაყე დათრგუნე უკვე
და დაინახე ქალიცა და ცხოვრებაც უკეთ“.
— „გემორჩილები“.
— „მაშინ მოდი შენს სიყვარულთან,
გული განუთბა მას და, ვით ყრმას, ბაგე განუტკბა,
აწ ქალი, ანუ ბედი აღარ დაგემდურება, —
მიიღე ერთად სიყვარულიც და ერთგულებაც,
მაშ, შემომხედე — ჩემს უტურფესს და ულამაზესს
განა მეორეს კიდევ ნახავ ამ ქვეყანაზე?“
და სიყვარულის ტახტიც გულში უმალ დაიდგა,
მზეთუნახავი რა იხილა ცოლი რაინდმა —
იმის წინ ჯერეთ სულ ყმაწვილი იდგა ქალწული
და ყრმამან მკლავი შემოაჭდო, ვითარ მარწუხი.
გზა ცხოვრებისა სიყვარულით განვლეს, ვიტყოდი, —
ერთურთის ღირსი პატივით და ოდენ სიტკბოთი.
ღმერთმა ყველა ქალს მისი დარი ქმარი გვარგუნოს
და ასაყვარლოს თავი ჩვენი საგულდაგულოდ,
ცოლის მორჩილ ქმარს სიკვდილამდე ბედი სწყალობდეს
და არ მოაკლდეს სიყვარულის სიტკბო აროდეს.
სიცოცხლე გრძელი მოგვანიჭოს ქალებს მეუფემ,
რომ თითოს ერგოს არანაკლებ ექვსი მეუღლე,
ხოლო ჭირვეულ ქმარს, ნიადაგ ვინც უსაფუძვლოდ
კამათობს ცოლთან, — დაუმოკლოს გზანი საწუთროს...
— გზა სიყვარულის — გზა ძოწის და ანდამატისა,
უსულგულოს კი — გზა ჰქონია ჯანდაბამდისაც!

აქა დასასრული ბათელი ქალის
ამბისა

მნათეს ამბის პროლოგი

მნათეს მსაჯული დაეჩაგრა სადმე ოღონდაც
და რაც ბრაზი და ბოღმა ჰკლავდა, თან ამოჰქონდა,
მაგრამ არ ვიცი შიშის გამო ანდა ყასიდად,
კარგა ხანს დუმდა, რასაც ჯერეთ ვერვინ ახსნიდა.
ხოლო როდესაც დაამთავრა სიტყვა ბათელმა,
თავისი აზრი სხვებთან ერთად უთხრა მნათემაც:
„თვითონ სიცოცხლის მეუფემან გაგახალისოთ,
რაც ჩვენ ნამდვილად გაგვახარეთ, ჩემო ალისონ;
ისე, მრავალი საგულისხმო აზრიც გვითხარი,
ნამდვილად ბრძნული და ნიადაგ განსაკითხავი,
მაგრამ რაკიღა გართობაზე გული გველევა,
მოდი, აზრები განიკითხონ ღვთისმეტყველებმა,
მე კი მსაჯულზე ისეთი რამ მინდა გიამბოთ,
ნამდვილად არვინ არ დამრჩებით აქ უსიამოდ.
თუნდაც იქიდან დავიწყებდი. რაკი ნიადაგ
საქმეებს არჩევს ნაძირალა ადამიანთა,
მსაჯულს ქურდებთან მაინც ნახავთ გზაზე მიმავალს,
მე მეძავთანაც შემინიშნავს, არ დაგიმალავთ“.
„ამდენი, მოდი, არ ვაკადროთ ერთურთს მგზავრებმა,—
თქვა მეფუნდუკემ,— არ გჭირდებათ ჩემი სწავლება,
მაგრამ თავისი სახლეარი აქვს, მგონი, ღლაბუცსაც.
— ერთმანეთს მაინც ნუ ავიგდებთ ასე აბუჩად“.
„თქვას, დააცალეთ, — ეკლესიის წმინდა მსაჯულმა
ჩაიბურტყუნა და კბილები გააკრაჭუნა, —
ილაზღანდაროს, მალე ჩემი ჯერიც დადგება
და ასეთ ბერებს, აქ რომ თავი მოაქვთ ბატკნებად,
რა დღე ადგებათ ჯოჯოხეთში, იმას გიამბობთ, —
მერე თქვით მსაჯულს არაფერი შესძლებია-თქო“.

ისევ იფეთქა მეფუნდუკემ — „რა გემართება,
ასე თუ ჩხუბი გაუმართე, რა ქნას მნათემაც?!“.

მნათეს ამბავი

აქა დასაწყისი მნათეს ამბისა

მაშ ყური მიგდეთ: ჩვენს მხარეში სამრევლოს მწყემსად
ერთი მკაცრი და გამოცდილი ხუცესი გვესვა.
ჭირის დღესავით სძულდა ხუცესს მოთნე და ქლესა,
უბრალოდ ვერვინ შეჰკადრებდა უმცირეს ძღვენსაც,
უძლური იყო მავნეცა და ბოროტიც მასთან
და ბარე ორი კუდიანი კოცონზე დასწვა.
მამა მრავალი შეაჩვენა მრუში და ქურდი
და აწყევლინა ბედი ყველა ზარმაცს და უნდილს,
ფიცის გამტეხებს კუჭს უხმობდა ხანგრძლივი მარხვით,
შუაღამემდე ალოცებდა დაქანცულ-დაღლილთ.
ყველაზე მკაცრად სჯიდა მაინც მრუშსა და მეძავს
და რას გასჭრიდა მასთან მათი თხოვნა და ხვეწნა.
შავ დღეს აყრიდა ყველა როკაპს, გულქვას და ბედითს
და ზოგჯერ მგონი მოსდიოდა ზომაზე მეტიც.
აღარც სახუცოს ურჩ გადამხდელს არ აკლდა გინდაც
საჯაროდ ხალხში თავის მოჭრა, ლანძღვა და ქირდვა.
ვინც შემოსაწირს არ სწირავდა, არა თუ ღვთისგან,
არამედ თვითონ ხუცესისგან ელოდა რისხვა, —
მათი სახელი შავ სიაში შეჰქონდა ხუცესს,
რომ მერე კვერთხით ეპისკოპოსს მოეწყალა უცებ.
ისე, საკომლოც კი შეეძლო მიეღო ნარდად
და ეკლესიის მსაჯულიც ხომ ამიტომ ჰყავდა.
მერე მასავით გაქნილსა და ყოველმხრივ გაწვრთნილს
ვერსად მეორეს ვერ ნახავდა ნამდვილად კაცი.
ჯაშუში მრავლად დაექსაქსა ოთხივე კუთხივ
და მსხვერპლი ბადეს მოჰყვებოდა ვითარცა ზუთხი.
ჩაივლიდა და უცოდველსაც დასცემდა თავზარს,
ცოდვილს ხომ მრავლად იშოვიდა და მასთან ქრთამსაც,

იმაზე უფრო დაუნდობელს და უფრო თავხედს
ხხვას ვერ ვიპოვით, ფეხდაფეხ რომ მთელ სოფელს დავყვეთ.
მე ჩემსას გეტყვით — მსაჯულისა არასდროს, ვფიცავ,
არც მშინებია, — ვერ დამადებს უბრალოდ თითსაც“.
„ხელს როგორ ვახლებთ, ხალხო, ჭინკას და მაჯლაჯუნას“, —
ვერ მოითმინა ეკლესიის წმინდა მსაჯულმა.
„ამ კაცმა მართლაც არ იქნა და აღარ გვადროვა, —
ახლა კი მნათე გაამართლა სახლის პატრონმა. —
თქვენ ნურაფრის ნუ გერიდებათ, მიდით, გეთაყვა, —
რა უნდა ამ კაცს, არა მაინც რას დაგეტაკათ?!“
„ქურდს ქუდი ეწვის, ბატონებო, — ახლა მნათემაც
შემოუტია, — ასეც მიტომ მეკამათება.
მაგრამ მე ჩემსას მოგახსენებთ — იმ მიდამოზე
მსაჯულს ნაცნობი მაჭანკალიც ჰყავდა სამოცი
და სწორედ მათი შემწეობით იმან ყოველთვის
იცოდა ქვეყნის ჭორიცა და მიეთ-მოეთიც.
ისე გაფცქვნიდა ცოდვილს, კაბას არ შეარჩენდა, —
ასე შიშველი დაგბადაო შენმა გამჩენმა.
ერთი ყეყეჩი მსაჯულს მოწმედ მუდამ თან ახლდა,
კათხა ლუდისთვის ტყუილზეც რომ იყო თანახმა.
არსად ცოდვილზე არ დასძრავდა სიტყვას ხუცესთან
და დანაშაულს უმჟღავნებდა ოდენ უმრწმესად.
იუდასავით ცალკე ქისას დაატარებდა
და ოქროს ფულებს ატენიდა გაუთავებლად,
ხოლო ჭუჭყიან სპილენძის და ვერცხლის მონეტას,
ვით გადასახადს, ხუცესს ცხვირთან მიუგორებდა.
ცხოვრობდა ასე უდარდელად და არხეინად
და თავსაყარად იყო საქმეც და სახეიროც.
კვირაში ერთხელ შეივლიდა ნაცნობ მეძავთან,
მაგრამ იმასთან მსაჯულს სულ სხვა რამე ეწადა —
გამოკითხავდა, მასთან ხშირად თუ ვინ სტუმრობდა
და საუბარში ჩაურთავდა ერთ-ორ ხუმრობას.
იყო შემთხვევაც, როცა ზოგჯერ ვიღაც ჩერჩეტებს
ხან საცეცხლური რჩებოდათ და ხანაც ბეჭედი.
— ასეთი კაცი, რა თქმა უნდა, მეტად ფასობდა
და აბა, როგორ იქნებოდა მისი დაზოგვა.

— ყვირილს ასტეხდა, (ის კი არა, ცასაც შესძრაედა,
როცა მსაჯული ცოტა ფულზე გახლდათ ქესატად),
მიუსტებოდა სახლში ჩერჩეტს, სულს უმწარებდა
და ზედ თვალებზე აფარებდა პაპის ბრძანებას,
მის აჯა-თხოვნას, რა თქმა უნდა, ყურს არ უგდებდა
და სამსჯავროში მიათრევდა სულმოუთქმელად.
თუ მღვდელი იყო, მას გაკრეჭა არ ასცდებოდა
და ჰა, მსაჯულიც ძმობას ახლა ეფიცებოდა:
„შავი სიიდან, ჩემო ძმაო, გაგიხარია,
ჩემივე ხელით ამოგშალე კარგა ხანია;
ეპისკოპოსის კვერთხისაგან ძმა თუ მოკეთეს
ვერ გამოიხსნის, ურჩევნია მის თვალწინ მოკვდეს“.

რა ენა იტყვის და ჩამოთვლის, მსაჯულს რამდენი
მოუტანია „ძმისთვის“ ტანჯვა და განსაცდელი?
და სამრევლოსაც სძულდა იგი შავი ჭირივით, —
მსაჯულთან ბრძოლა ვით სიკვდილთან გახლდათ ჭიდილი.

და აი ერთხელ, უფრო მეტი ფულის წყურვილმა
შორ სამწყსოშიაც გამგზავრება მოასურვილა, —
ერთი ნაცნობი ქვრივი ქალი უნდა დაეფრთხო,
რაკიღა შიშით იწყებოდა საქმე საერთოდ —
ასეთი ხერხი ქვრივ ქალებთან სჭრიდა უებრად —
და ამის მერე სხვის ცოდვებსაც გამოსტყუებდა.

გზაზე იომენს შეეყარა, ცხენით მიმავალს,
მიესალმა და შეაწია ღიმი იმანაც,
იომენს მწვანე მოსასხამი ადგა მეფურად
და თავზე ბეწვის დიდებული ქუდი ეხურა,
მხარს მშვილდ-ისარი უმშვენებდა ოქროთ ნაჭედი
და იმის მერანს ათას ცხენში გამოარჩევდით.

„სალამი, ძმაო,—მგზავრს მსაჯულმა ცხლად მიაყარა,—
ჯანი და ღონე ნუ მოგაკლოთ ღმერთმა მაღალმა“.

„გმადლობთ, ძმობილო, — დაუბრუნა მას იომენმა, —
ამ დამგზავრებით მართლაც გულით მასიამოვნებთ,
არ დავიღლებით, თქვენც ნამდვილად კარგი ცხენი გყავთ,
საიდან შოხვალთ ანდა საით გაგიწევიათ?“

„გადასახადის ასაკრებად მივეშურები;
მე უფროსი მყავს, ძმაო, მტერსაც არ ვუსურვებდი“.

„ბეილიფი ხართ?“ — ჰო, დიახო, — უთხრა თამამად
და ვინაობა უცხო კაცთან ურცხვად დამალა:
ბეილიფობა ბევრად სჯობდა იმის ხელობას,
ის კი არა და, მსაჯულობის კიდეც რცხვენოდა.

„A depardièux,* ბეილიფი მეც ვარ თქვენსავით,
არც ნაცნობი მყავს ამ მხარეში, არც ნათესავი
და თქვენთან ყოფნა ახლა ჩემთვის არის მისწრება.
მითუმეტეს, თუ საერთო გვაქვს საქმე ისედაც.
ახლავე უნდა დავძმაკაცდეთ, კაცის გატანა
ჩვენშიც იციან, ყინულიან მთების გადაღმა.
აუცილებლად შინ მესტუმროთ უნდა, ძმობილო,
ვიცი, ნამდვილად არ დამრჩებით უკმაყოფილო“.

კარგიო, — სახლში სტუმრობაზეც კი არ დაჰზარდა
და რამ ცთუნება არც მოსვლია მსაჯულს აზრადაც,
მერე ერთმანეთს ხელი მისცეს — ძმობის სახოტბოდ
და სადიდებლად მისვლა-მოსვლაც გავაჩაღოთო.
სხვა მასზე უფრო ბედნიერი არვინ ეგონა
ჩვენს მსაჯულსა და, სად ცხოვრობთო, ჰკითხა მეგობარს.
„ვცხოვრობ შორეულ ჩრდილოეთში, მაგრამ რაკიღა
თქვენ ჩემი ბედის მოზიარე ამხანაგი ხართ,
ამიერიდან ვეღარ გავძლებთ უერთმანეთოდ
და შორს სტუმრობაც, რა თქმა უნდა, უნდა გავბედოთ“.

„მე თქვენთან ყოფნა არასოდეს არ მომწყინდება,
ბევრს რამეს ნიშნავს ჩემთვის თქვენი გამოცდილებაც,
ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ — ისე, ხანდახან
ნამდვილად მიჭირს“, — თქვა მსაჯულმა უფრო ხმადაბლა.

„რა დაგიმალო, ჩემს საქმესაც ვერ ავუდივარ, —
ცოტა არ იყოს, მსაჯულს მგზავრმა უთხრა უნდილად, —
რასაც ვმოულობ, თითქმის ბატონს მიაქვს უკლებლივ
და დღე-ნიადაგ აქეთ მებრძვის და მემუქრება.
მიწყივ ვრუდუნებ, როცა მძინავს, თითქმის მაშინაც
ვზრუნავ და ვფიქრობ, — ვინ რა იცის რა ყოფაში ვარ!
თუ რამეს ვაღწევ — ოდენ მტრობით და თაღლითობით
და უსაფუძვლო მუქარით და შიშით, ვიტყოდი.

* ღმერთს ვფიცავ (ფრ.)

სულს მით ვიბრუნებ, თუ შემთხვევით ვინმე წაწყმედილს
რაღაც წავგლიჯე ჩემდა იღბლად და წავაფცქვენი“
„დიახ, გეთაყვა, ყველაფერი უნდა წაგლიჯოთ
და კიდეც უნდა მიასრისოთ, როგორც ბაღლინჯო.
მათ არც მე ვინდობ — თუკი ერთხელ ხელში მოვიგდე,
ნელინელ ვწუწნი და ვიზოგავ მთელი ორი თვე.
მაშ, ოჯახს ხომ ვერ ვაშიმშილებ! რასაც ვშოულობ,
სულ სახლში მიმაქვს — შოვნასაც ხომ თავის შნო უნდა
— რა ცოდვა უნდა ვინანიო, როცა ერესი
ყველაზე უფრო მღვდლებშია და მერე ბერებში,
ხოლო ცოდვილებს ორი გროში თუ დავაკელი,
მით დაბრკოლდება წარსაწყმედი ოდენ საქმენი.
ახლა კი, თუ ძმად და მეგობრად არ გეძრახები,
კეთილო კაცო, მომახსენე თქვენი სახელი“.
მგზავრი შეირხა, პირზე ღიმმა გადაურბინა
და უპასუხა მსაჯულს კიდევ უფრო გულგრილად:
„მე, ძმაო, ეშმას მეძახიან... ჯოჯოხეთიდან
გეახელით და თქვენც ურიგოდ არ დამხვედრიხართ.
ჩემი კუთვნილი ხარკი — მანკი, გინდა აბრუნდი,
უნდა ვნახო და დღესვე უკან უნდა გავბრუნდე,
თქვენ მართალი ხართ, მეგობარო, მე ხომ ოდითგან
დაუნდობელი ვარ მევალე ოდენ ცოდვილთა
და ოთხივ კუთხივ ასეც მიტომ დავალ ქურდივით,
რომ მოვკრიფო და ჩავიბარო ჩემი კუთვნილი“.
„ღმერთო, რა მესმის, — შეიცხადა მაშინ მსაჯულმა, —
რას ვიფიქრებდი, — ან აქამდე რაშ გაგაჩუმათ.
მე იომენად მიგიჩნიეთ, საოცარია,
იომენები ნუთუ მართლა თქვენშიც არიან?!“
„სახე და ფორმა ჯოჯოხეთში არვის ჭირდება,
ფორმით ვერაფერს გაახერხებ, ძმაო, ჭინკებთან.
გარეგნობისთვის არ ვიწუხებთ თავს არც მიწაზე,
მაგრამ, როგორც კი შემოგხედავს კაცი, იმწამსვე
ფორმასაც თვითონ მოგიძებნის, — კაცი სახითაც,
ართუ უსახოდ, ჭეშმარიტად არსს ვერ აღიქვამს, —
ზოგს მაიმუნად ვეჩვენები, ზოგს იომენად,
ანგელოსადაც მრაცხენ ხოლმე სიამოვნებით,

(ბოდიში, ცოტა შეურაცხგყოთ აქ უდრომადროდ
ანგელოსების გახსენებამ იქნებ, ბატონო?)
სახის გარდაქმნა ჯადოქარსაც ძალუძს ადვილად,
ჯადოქრობა კი ეშმამ შეჰქმნა და დაადგინა“.
„რაში გჭირდებათ სახის შეცვლა? ამ დროს ლაჩრულად
ხომ არ იქცევით?“ — მოიძია ფრთხილად მსაჯულმა.
„არა, გეთაყვა, — იერის და სახის გარდაქმნა
მარტოდენ კაცის წარწყმედაში გვშველის ხანდახან“.
„რა საჭიროა ამოდენი დავიდარაბა?“ —
„მოკვდავს მფარველი ანგელოსი მუდამ თან ახლავს,
შენ რას ასწავლი ჭკუას, ძმაო, ქვეყნის მაწყევარს
და ნურც ადვილი ნუ გგონია კაცის წარწყმედა, —
გიჟივით დავძრწი, გადავაბი ერთურთს დღე-ღამე
და ერთ უბრალო მსხვერპლსაც ვერსად გადავეყარე.
ჩვენ რას გვედრები—მახეში გვყავს ლამის სამყაროც, —
ისე, შენც კაი გაქექილი ჩანხარ საკმაოდ.
მაგრამ სიმართლე ჭეშმარიტი თუ გსურს გაიგო,
ჩვენც ღვთის ნებას და წმინდა მიზანს სრულვყოფთ, ძამიკო.
და უწმინდურთა სიძულვილში აუცილებლად
სიწმინდისა და სიყვარულის ნებაც ვლინდება.
ჩვენ ღვთის წინაშე უძლურნი ვართ და უმწეონი,
უმისოდ ცოდვილს არც ვსჯიდით და არც ვუწყრებოდით.
სულის კი არა, ღმერთი გვამის გვემას გვავალებს,
დავესევით და ჯოჯოხეთად ვაქცევთ სავანეს.
აი, იობი გაიხსენეთ — თითქმის ბოლომდე
ნიჟიც და ძალაც შევალიეთ იმ სიბოროტეს,
ხოლო ცოდვილის ბედი ცაში თუ გადაწყდება,
ჩვენ მაშინ ძალგვიძს ხორცთან ერთად სულის წარწყმედაც.
ხშირად ცოდვილის სულიც ბნელი, როგორც მიწური,
უნდა ავავსოთ რიოშით და ოდენ სიცრუით.
ხოლო ამ ტყუილს თუ გაუძლო, როგორც უძირო
ზღვის სიანკარე, ლამაზდება სული უცილოდ.
ბევრჯერ ყმებადაც გაიხადეს წმინდა მამებმა
ჩემი მოძმენი თავის თნევად და საამებლად.
წმინდა დუსტანსაც ხელთ ისეთი კვერთხი ეჭირა,
რომ ქაჯიც ბევრი მსახურობდა დია ბეჯითად.

— მე ასე ჯერ არ დავცემულვარ, თუმცა, ძმობილო,
ერთმა წმინდანმა ძალა თვისი მეც მაგრძნობინა“.
„ნიღბისთვის მახათს, სადგისს, ძაფს და ხანჯლის შვილასაც
თქვენც სტუდენტივით იმარაგებთ ალბათ წინასწარ?“
„არა, გეთაყვა, — მავნემ მართლაც იუკადრისა, —
არც ძაფი გვინდა სტუდენტივით და არც სადგისი.
ჩვენ დაბადებით ფხა ისეთი დაგვყვა ღმრთისაგან,
რომ მრავალ სახედ ჩვენ თავს თვითონ წარმოვისახავთ.
ანდა ჯერაც თბილ გვამს ვიპარავთ ტაძრის ეზოდან
და კაცის სახით ვცხოვრობთ თითქმის უმრავლესობა.
ხომ გახსოვთ, თქვენმა სამეფოლმაც, როგორც ქადაგმა,
ხალხს პითონისას სხეულიდან ელაპარაკა,
— შენ, ძმაო, ამას ვერ გაიგებ, — ქვეყნად მარტოდენ
ამდაგვარ ცოდნას ღვთისმეტყველს და პოეტს ანდობენ.
ხოლო თუ შენსას არ დაიშლი, მაშინ უძირო
ქვესკნელს და ჯურღმულს უცილობლად უნდა უცქირო.
ახლავე უნდა წამობრძანდე, თუ აგრე გინდა
მერე ქაჯების შეჩვენება თეთრ კათედრიდან.
მაშინ დანტეზეც უკეთესად იტყვი, უკეთუ
საკუთარ თვალით დაინახავ ავს და უკეთურს.
და ვიდრე ერთურთს გავეყრებით, ძმაო, მანამდე
მტერსაც ეხილავ უბილწესს და უმუხანათესს“.
„მაგრამ, რად უნდა გავიყაროთ? ჩვენ ხომ საკუთრივ
ჩვენივე ნებით მეგობრობა ერთურთს აღვუთქვით?!
მე ჩემი ფიცის ერთგული ვარ, ძალაც მეყოფა,
რომ სიკვდილამდე ვუმეგობრო ძმას და მეგობარს.
აწ აღარც ძალგვიძს ალბათ ყოფნა უერთმანეთოდ,
მით უმეტეს თუ ბედმა საქმეც მოგვცა საერთო,
და რასაც გზა-გზა გამოვადნობთ და წარვიტაცავთ,
ერთად გავიყოფთ მასაც ისე, ძმანი ვითარცა“.
„კეთილი“, — უთხრა უწმინდურმა, — როგორც გინდოდეს“.
გზა გააგრძელეს და გავიდნენ ტრიალ მინდორზე.
ვიდრე იმ სოფელს მიაღწევდნენ, რაიც წილად ხვდათ,
და დარბევა და ძარცვა რისიც დათქვეს წინასწარ,
გზად თივით სავსე ურემს შეხვდნენ, — ლაფში ვიწროსთან
ჩაფლულიყო და ადგილიდან ვეღარ იძვროდა:

ურემს პატრონი გარს ურბენდა და გულმოწყენილ
პირუტყვებს სცემდა დაუნდობლად და უმოწყალოდ:
„წადით, ეშმაკსაც წაუღიხართ, თქვე უქნარებო,
აღარაფერი აღარ ძალგიძთ დაუხმარებლად!
ასეთი სუსტი რამ დაგბადათ? დაგწვათ გამჩენმა!
ჭამა და ველზე კოტრიალი ხომ გემარჯვებათ?!
არა, ურემი ასე მაინც რამ გადაზნიქა?
ფუი, შენს გამჭედს! — გზა გქონია ჯანდაბამდისაც!“
აბა კარგიო, და იმწამსვე წმინდა მსაჯულმა
უწმინდურს თვალი საქმიანად ჩაუპაუნა:
სეირს ვუჩვენებ მაგ გლეხუჭას, — ხედავ, რას ამბობს, —
გამოვიჭიროთ სიტყვაზე და ჭკუა ვასწავლოთ.
— ურემიცა და პირუტყვებიც თქვენ დაგილოცათ,
მიდით, მუქთაა, რაღა გინდათ მეტი, შვილოსან.
მე სამსჯავროში წავაბრძანებ ღმერთის გმობისთვის,
აბა, ავჩქარდეთ, თორემ ამდენს კი არ მოგვიცდის“.
„ასე არა სჯის სამართალი, ძმაო, ქვესკნელის,
ჩვენის გაგებით ეგ არ არის ავის მთესველი.
მხოლოდ ესაა, რომ ზედმეტად განრისხებულმა
რისხვაც უხამსოდ გამოხატა თავისებურად“.
მართლაც მეურმეს, მცირე ხანმა განვლო თუ არა,
გულზე მოეშვა და სიბრაზემ გადაუარა,
მიეალერსა პირუტყვებსაც, დასცხეს იმათაც
და ჰა, ღრანტეედან ფერსოც ფარსაგ ამოიმართა, —
„თქვენი ჭირიმე, ცოტა კიდევ მიდით, ბიჭებო,
მე რა კაცი ვარ, აბა, თქვენ რომ არ დაგიჯეროთ,
ვინ გაგიმეტებთ სასაკლაოდ და სასალახოდ,
ბუნების ძალამ თქვენი მარცხი არ დამანახოს!
მაშ, ერთი კიდევ... მიდი წაბლავ, მიდი გიშერავ!
აჰა, გავედით სამშვიდობოს, — ღმერთმა გიშველათ!“
„ახლა რას იტყვი, — თქვა ავსულმა, — მუდამ ასეა
და რას გაუგებ გლეხიკაცის ზნეს და ხასიათს, —
ეგ ერთს რომ ფიქრობს, თვალი იქით სხვაზე უჭირავს,
ჰოდა, რას უზამ ასეთ ბრიყვს და ასეთ უჯიათს.
სჯობს, გავეცალოთ, ვერც ჩაუთვლი ბუზღუნს ცოდვებად,
ისედაც მისგან არაფერი არ გამოდნება“.

მაშინ მსაჯული ავსულს უკან გაჰყვა უჩუმრად,
სოფელს მიადგნენ და მეგობარს ჩაუჩურჩულა:
„აქ ერთი ქვრივი ქალი ცხოვრობს, ძუნწი მასავით,
სხვა არც იქნება ქვეყნად, თუმცა მე რას გასწავლით.
ბებერია და ყურს აკლია, თანაც მეტადრე
მაშინ ყრუვდება, ცოტა ფულზე თუ წაედავე.
მაგრამ მე რისი ძმა ვიქნები, თუ ამსიშორე
გზა გატარეთ და ორი გროში ვეღარ გიშოვეთ.
აქ ხალხი ცხოვრობს, ჭიქა წყალსაც ნუ გამოელით,
თუ ტკიპასავით კუდის წვერზე არ გამოებით.
ქვას გავხეთქავ და რაღაც ფარას მაინც დავციცქნავ,
ისე, თორმეტ პენსს არც კი ვიღებ თითო კაცისგან“, —
თქვა და მაშინვე ქვრივის კარზე დააბრახუნა,
ავად გახედა მოძალადეს ავის მსახურმა.
„გააღე კარი, თუ მღვდელსა და ბერს არ ეხვევი,
რაღას აყოვნებ, რატომ გრჩება უკან ფეხები?!“
„გწყალობდეთ ჩემი ყოვლისშემძლე ღმერთი, ბატონო!—
კარის გაღება აღარ გინდათ მაინც მადროვოთ?
ვერ გავიგონე, მგონი ალბათ რაღაც მითხარით,
ყრუ ვარ, ვინაა ჩემი შემწე და განმკითხავი“...
„რა თავს ისაწყლებ, კარგად იცი, თუ რა მოგელის,—
როგორ დალოცე ქვეყნის მტერი და ღვთისმგმობელი?
აი, ბრძანება, — ხვალ დილითვე გამოცხადდები,
შენ სხვა ცოდვებიც გადევს ბარე ორი ამდენი“.
„თქვენ, ჩემო კარგო, ნასვამი და მთვრალი ბრძანდებით,
მაგრამ არც მთვრალმა არ მაკადროთ უნდა ამდენი, —
ამ სიბერეში განა ასე როგორ წავრწყმდები,
სული დავლოცო ღმერთისა და ქვეყნის მაწყევრის?
სად შემიძლია მაგსიშორე გზაზე წანწალი,
მე ახლაც უნდა თბილ ლოგინში ვიწვე საწყალი.
ისე, უკეთუ რამე ცოდვა-ბრალი მიმიძღვის,
დამიწერეთ და ალბათ მერე მაინც მივიცლი —
აგერ იურისტს გამოვგზავნი, მაგრამ ნამდვილად
ან მეხუმრებით, ანდა ვინმემ გული გატკინათ“.
„ეგრე ორმაგი დაგიჯდება, ძუნწო ქოფაკო,
თორმეტი პენსი გიჯობს ბარემ აქვე მოგვაგო.

შენც გადარჩები, უბედურო, ამდენ წვალებას
და ჰა, ბატონო, მეც ახლავე დავხევ ბრძანებას.
— ისეთი ძუნწი ხუცესი გვყავს, დასწვას გამჩენმა,
მე მაგ ფულიდან ორი პენსიც კი არ დამრჩება“.
„თორმეტი პენსი?! — შეიცხადა ცივად ბებერმა,
ერთად ამდენი ფული საწყალს დია ებევრა, —
თორმეტი პენსი ამ კვირაში არც კი მინახავს,
აღთქმაში მივე ბოლო პენსი გუშინ წინამძღვარს,
მთელი ზაფხული ფხალზე ვარ და ხშირად ემათხოვრობ
და ნუ დაიდებთ ქვრივ-ოხერის ცოდვას, ბატონო“.
„შენ ეგეთები არ გაგივა ჩემთან, ხომ იცი,
არა, უფულოდ, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი!“
„ღმერთია მოწმე, გროში რაა, გროშიც არა მაქვს“.
„მართლა ნუ მოგცა ღმერთმა მადლი და ხვავ-ბარაქა!
ფული არა გაქვს, ნივთს წავიღებ! — ტაფა მომეცი,
უარს არ ვიტყვი არც ტაფაზე ასეთ მომენტში.
ვალი და ვახში ძველიც გადევს ალბათ ათმაგი —
შენ არ იყავი შენს საწყალ ქმარს რქებს რომ ადგამდი?!“
„ო, ღმერთო ჩემო! რაებს ჩმახავთ, როგორ მაკადრებთ?!
არც მინახავხართ არასოდეს არსად აქამდე.
მე ქმრის ერთგული და მორჩილი გახლდით მარადის
და ფიქრადაც კი არ მომსვლია მისი ღალატი,
წაიღეთ ტაფა, — თქვენი იყოს, თქვენ დაგჭირდებათ, —
გეენა ცეცხლში მაგ ტაფაზე დაგწვან ჭინკებმა!“
„მაშ, ესე იგი, ჯოჯოხეთში ჰგზავნით, დედილო?“ —
ქვრივს ერთობ დინჯად დაეკითხა სულწაწყმედილი
—„თუ ტაფას აღარ დამიბრუნებს ჯანდაბამდისაც
გზა ჰქონიაო“, — ქვრივი ახლა მართლაც განრისხდა.
„რამ გადამრია, არა, ისე რამ დამაჩლუნგა,
რომ უკან რამე დავაბრუნო?“ — უთხრა მსაჯულმა.
„შენ თურმე შენივ ტაფიანად ჩემი ყოფილხარ, —
თქვა ბოლოს მავნემ, მომღიმარმა და კმაყოფილმა.
იქ ისეთ რამეს ნახავ, უნდა ვთქვა გულახდილად,
არცერთ მსაჯულს რომ არ უნახავს დასაბამითგან“.
და ჯოჯოხეთში ჩაათრია სადაც ოდითგან
არს სამყოფელი უღმრთოთა და ოდენ ცოდვილთა.

რამე ღირსება რომ ჰქონოდა მსაჯულს, ნამდვილად
ორიოდ სიტყვას მაშინ არც მე დაგამადლიდით,—
თუ რა დღე ადგა ჯოჯოხეთში იმ სულწაწყმედილს
და რა ჭირი და ტანჯვა ერგო აურაცხელი,—
სულ დაწვრილებით აგიწერდით, ძმებო, ოღონდაც
მთელი სიცოცხლე მოვუნდები მაგის მოყოლას.
ამიტომ უნდა ფხიზლად იყოს კაცი ნიადაგ
და ლოცულობდეს მიწყივ, ვიდრე არ დაგვიანდა!
არ სძინავს, ძმაო, პირსისხლიან ნადირს არასდროს
და ვით იქნება სახლის კარი არ გადარაზო.
მუდამ გფარავდეთ ქრისტეს ჯვარი! ოდენ ჯვარცმიდან
კაცთათვის ხსნის და გამარჯვების მზეი გაბრწყინდა!

აქა დასასრული მნათეს ამბისა

ეკლესიის მსაჯულის ამბის პროლოგი

მსაჯულს იმდენად მოერია ბრაზი და ბოღმა,
რომ გამტყუნება ახლა მნათეს დაუწყო ზოგმა.
„რაკიღა არ გიჩნთ, ბატონებო, რიოში ცოდვად,
მეც მათქმევინეთ ორი სიტყვა, მეც ძალმიძს ბოდვა,
— მნათე ჯოჯოხეთს მართლაც ისე საოცრად იცნობს,
მალე ავსულად თავი თვითონ შერაცხოს ვინძლო.
გახსოვთ, ქვესკნელში ერთხელ ვიღაც ყოფილა მნათეც,
როგორც ამბობენ, ანგელოსმა აწვია ჰადესს,
ორივემ ერთად მოიარეს სკნელები გარსთა,
რათა შეეცნო ბიწიერი გვარი და კასტა,
მაგრამ ვერ ნახა ჯოჯოხეთის ქვაბში და სკნელში
მნათემ ბერების ვერცა სული და ვერცა ლეში.
ყოველ ჯურღმულში ერისკაცთა სულები ეგდო
და გაიკვირვა მაშინ მნათემ დიახაც ერთობ:
ნუთუ ეგოდენ სულნეტარნი არიან ბერნი,—
ჰკითხა ანგელოსს,— რომ ბერთაგან ვერ ვნახეთ ვერვინ?!"
არაო,— უთხრა,— თქვენი გვარიც ჰგიესო მრავლად,—
და სკნელის კიბეს კიდევ უფრო დაუყვნენ დაბლა.
და უცოდველმა მან ცოდვილთა უტიფარ თავადს
რქვა მნათესაკენ მოეწია ბინძური გავა.
ასწია კუდი ავსულმა და უკანალს ერთად
მოსწყდა, ვით მღილთა ნისლი, სულნი წარწყმედილ ბერთა.
ზუზუნ-ზუზუნით ტალღა იგი წავიდა მაღლივ
და გამოავსო წამში დიდნი ქვაბნიც და თაღნიც.
მერე თავადმა თვალი მღილებს მოავლო ავად
და დაუბრუნდა იგივ ტალღა იმწამსვე გავას.
შეწუხდა მნათე, მაგრამ, დიდის წყალობით ღმრთისით,
მიწაზე სული მაინც ისევ დაბრუნდა მისი.

და მერმე მნათეს უსაშველო შიში რამ სძრავდა
მუდამ, როცა კი იგონებდა ხვედრს ბედკრულ ძმათა,
„ესეთი ბედი ყველა მნათეს მოელის ალბათ;
— ახლა კი მოდი მოგახსენებთ ერთ მართალ ამბავს“.

ეკლესიის წმინდა მსაჯულის ამბავი

აქა დასაწყისი ეკლესიის წმინდა მსაჯულის ამბისა

ჰოულდერნესში მიწა არც თუ მცირეოდენი
ჭანჭყია მხოლოდ, — არის ტბებიც და ჭაობებიც,
საეკლესიო შემოსაწირს თუ სამადლობელს
აქ ერთი მნათე იბარებდა თურმე მარტოდენ.
სამაგიეროდ მრევლს თავის ნიჭს არ აყვედრიდა
და ათას რამეს ჰქადაგებდა თეთრ კათედრიდან:
„საყდარი ღმრთისა, ძმანო, სათნო საქმის გარეშე
არის უდაბნო უდაბური და უარესიც, —
მიცვალებულთა სულის ხსნისთვის კითხვა დავითნის
უნდა მივანდოთ უცილობლად ბერს იმთავითვე.
თქვენც კარგად უწყით რა დუდღუნი იცის ხუცესმა, —
ან წაუძინებს, ანდა სათქმელს იტყვის უმრწმესად.
მას ყველაფერი თავსაყარად უვის ისედაც
და სხვისი ცოდვით, რა თქმა უნდა, ვერ აღიგსება;
ბერი და მნათე სხვა საქმეა, — ტკბილის ფსალმუნით
მიცვალებულის სულს ბერი თუ მოუსალბუნებს.
ხუცესის მესა თუ დავითნი თქმული უნდილად
მკვდარს რას უშველის, ღამე მნათემ თუ არ უთია.
ჰოდა, ეს საქმე, ყრუ და ბრმაო ადამიანო,
აუცილებლად ოდენ მნათეს უნდა მიანდო.
რამეთუ სრული წესისა და რჯულის გარეშე
სულს ჯოჯოხეთის ცეცხლი დასწვავს უმხურვალესი“.
ასე ლამაზად ქადაგებდა მსახური ღმრთისა
და იცლებოდა ღვთისნიერთა ჯიბე და ქისა.
მის მისვლას ახლა სხვა, მეორე ელოდა მრევლი

და აქაც იყო ღვთისნიერი მორწმუნე მრავლად.
აიკეცავდა მერმე კალთებს და ერთხელ თვეში
სოფლებს კარიკარ დაივლიდა გაწვდილი პეშვით.
ამ დროს უცილოდ იახლებდა ერთ თავხედ ბერსაც,
წიგნში წყალობის ვისაც ჰქონდა აღნუსხვა წესად, —
თუ ვინ რა დღეს და რაოდენი გაიღო ყველი,
კვერცხი, კარაქი, შაშხი, მწნილი, რომი თუ ელი.
ბერს კი იმდენი თავხედობა ყოფნიდა ხოლმე,
რომ ერთს თვითონაც შეუტეედა ხელმოკლე კომლებს:
„ყველი არა გაქვთ, ფქვილი იყოს, ან ხახვის გალა,
რომზე ნაკლები კაი ლუდი რით არის განა?
ფული მოგვეცი, — წიგნში ვიწერთ ყველაფერს სესხად —
პენიზე სანთელს გამოგითვლით, შილინგზე —მესას.
აქ არაფერი იკარგება, თუ ფული არ გაქვთ,
მატყლი მოგვეცი, ძაფი იყოს... ფალასი, ნარმა.
აბა, გეთაყვა, წიგნში შენი სახელიც შემაქვს —
სულსაც არგუნე, დაო ჩემო, მცირედი შვება?!“
და ასე მუდამ დიდ ბარდანებს ბერი ათასგვარ
ხორაგეულით გაჩურთავდა ხოლმე გზადაგზა.
ხოლო ღვთისნიერ მასპინძელთა გვარებს რიგრიგად,
რაღა თქმა უნდა, იქვე გზაში შლიდა წიგნიდან“.
„ტყუილებს ჩმახავ!“ — უთხრა მსაჯულს მომლოცველთაგან
ერთ-ერთმა ბერმა და ნათქვამზე არ დაეთანხმა.
„განაგრძე, ამას რას უყურებ“, — სახლის პატრონმა
უყვირა მსაჯულს და ბერს სიტყვა აღარ ადროვა.
ბატონი ხარო — და როდესაც ყველა გაჩუმდა,
სათქმელი ისევ გააგრძელა დინჯად მსაჯულმა:
„და, აი ასე, სოფელ-სოფელ, ასე კარდაკარ
ჩამოიარა როცა მრევლი ჩვენმა ქადაგმა,
ბოლოს იმ სახლსაც მიაშურა, საცა ნიადაგ
თავს ევლებოდნენ და უგებდნენ ფეხქვეშ ფიანდაზს,
მაგრამ კეთილი მასპინძელი თურმე ამჯერად
ავად გახლდათ და თავს როგორღა მოიქაჩლებდა.
„Hic Deus*“, — მნათემ მიახალა უმალ ავადმყოფს, —

* აქა ღმერთი (აქა მშვიდობა) (ლათ.)

ძმობილო თომას, დროა უკვე სენი განაგდო,
ბევრი კარგი დრო მახსოვს, ძმაო, ამ მაგიდასთან,
შენ ჩვენს საყდარსაც მეტად დიდი ამაგი დასდე“,—
და მერე კატა ჩამოაგდო იქვე ტახტიდან,
მოიშილიფა, ჩამოჰკიდა ქუდი დაღლილმა
და, როგორც წესი, მოკალათდა მერე ბუხართან, —
მას ეს ადგილი აქ ყველაზე მეტად უყვარდა.
(ამ დროს ქალაქში ვაჭრებთან და დახლიდარებთან
იმ ნაწყალობევს ბერი ფულზე ახურდავებდა.
და ბინაზედაც ისევ იმ ბერს უნდა ეზრუნა —
ტყუილად კი არ შეარჩია მნათემ მეგზურად!)
„მოხარული ვარ თქვენის ნახვით, ძმაო“, — სნეულმა
წაილუღლუღა თითქოს, მაგრამ არც განძრეულა. —
ვეღარ ძალმიძსო მასპინძლობა, ხოლო მნათესთვის
ბევრი რამ გახდა ამით ცხადი და უცხადესიც.
„ღმერთია მოწმე, ბევრი ღამე მითენებია
შენთა ცოდვათა შესანდობლად და მიტევებად.
ვინ მოთვლის, რარიგ მილოცნია, ანდა რამდენი
მე შენს სახელზე დამინთია წმინდა სანთელი.
და ex cathedra* მუდამ საღვთო წერილს გიხსნიდი,
არ დამიკლია კანონი და კათეხიზისი.
ხოლო ყოველი სიტყვის ახსნას და განმარტებას
დიდი სჭირდება, ძმაო, ჭკუაც და განათლებაც.
ბევრჯერაც მითქვამს, რომ წყალობა დღიურ ულუფად
უნდა გაიღო ბერებისთვის უფრო გულუხვად.
ფული არ უნდა დაიშუროთ წმინდა საქმისთვის...
— რაღაც ვერ ვხედავ, სად ბრძანდება დიასახლისი?“
—„ალბათ ეზოში თუ გავიდა, აქვეა სადღაც,
ორიოდ წუთში დაბრუნდება“, — და ამ დროს მართლაც,
დიასახლისიც შემობრძანდა ოთახში, მაგრამ
რატომღაც მნათეს დანახვაზე სიწითლემ დაჰკრა.
„ამდენად როგორ მოგვიძულე, წმინდაო მამავ,
ექვსი თვე არის, აღარ ჩანხართ“, — შეჰკადრა დამან,
წამოხტა მაშინ ყმაწვილივით მნათე და ნდომით

* კათედრიდან (ლათ.)

გადაეხვია ღაჟღაჟა და ფუნთუშა დობილს,
ჩაჰკოცნა, ჯვარი გამოსახა და მეტის მეტი
გულითადობით აღუღუნდა, ვითარცა ტრედი:
„მე, რა თქმა უნდა, უფრო მეტი პატივი მმართებს—
თქვენზე უკეთესს ვის ესტუმროს საწყალი მნათე...
სადაც არ ვიყო, თქვენს მსახურად მიგულეთ ყველგან
და მეგობრის და ახლობელის სახელი მერქვას.
ბევრი მინახავს კარგი ქალი და ლამაზ ქალსაც
ბევრს შევხვედრივარ, მაგრამ თქვენზე ლამაზს კი—არსად“.
„აბა, რას ბრძანებთ,—ერთი სიტყვაც არ მიმაქვს გულთან,
ისე კი, თქვენთვის ჩვენი კარი ღიაა მუდამ“,
„Grand merci*, შვილო, — უთხრა მნათემ, — სიმართლე
გითხრათ,
გულს სიყვარული შთამისახა კეთილმა სიტყვამ.
თუ ნებას მომცემთ, ქალბატონო, ჩვენს თომასს მინდა
უმწეობის ჟამს ჩავაგონო რაღაცა წმინდა.
შენც კარგად იცნობ, შვილო, ხუცესს, უნდილს და უგვანს —
ავადმყოფებში დროს აროდეს დახარჯავს უქმად.
იმის საქმესაც მე ვასრულებ, — ეს ერთი კაცი,
მიკვირს ნამდვილად, ამდენ რამეს ან როგორ გავწვდი.
ხან წმინდა პეტრეს ვიშველიებ, ხან წმინდა პავლეს
და კანონის და რჯულის რაღაც ცოდნასაც ვავლენ“.
„ეგებ თქვენ რაღაც ჩააგონოთ, წმინდა მამაო,
მაგ უჟმურს, თორემ მე, ეტყობა, გავცდი ამაოდ.
როგორც არ უნდა მოეფერო და დაუყვავო, —
ესმის ამ კედელს? — ყველაფერი ქრება უკვალოდ, —
ხან გვერდში ტკბილად მივუწვები, ხან მოვეხვევი, —
კაცი კი არა, მართლა კლდეა გაუტეხელი.
სულ კუნძივით დუმს, მაგრამ ვინმე თუ შეედავა,
დაძინებამდე იბუზღუნებს მაშინ ერთავად“.
„Je vous dis**, თომას, უგუნურო, — ალბათ საწყალმა
არც უწყი მავნემ და უჟმურმა როგორ დაგცადა.
სულის სიგლახე არ იქნების ღმრთისგან არასდროს
და კაცმა მავნე ისევ თვითონ უნდა განაგდოს“.

* დიდად გმადლობთ (ფრ.)
** თქვენ გეუბნებით (ფრ.)

ქალს ამ სიტყვებმა თითქოს შვება გაუადვილა:
„ისე, მამაო, რას ინებებთ გულით სადილად“,
რაკიღა იგრძნო, საქმე კარგად გამოდიოდა,
მნათემ დინჯად თქვა: „მე ხმელ პურზეც გავალ იოლად!
ისე, შემწვარი ბატკნის ბეჭიც მყოფნის იჯრაზე,
კუჭმაჭი იყოს, გინდაც ერთი ფრთა ყვინჩილასი.
ხორცეულს თითქოს გეახლებით, მაგრამ გულით კი
მძაგს და პირუტყვის დაკვლას, შვილო, ვერ შევურიგდი.
ხოლო სიკვდილზე თუ გამივლის ფიქრი წამითაც,
იმ დღეს უცილოდ ჭამის მადა უნდა წამიხდეს.
ამ დროს ყოველთვის სახარება მშველის მარტოდენ
და განწმენდასაც ოდენ უნდა მას ვუმადლოდე,
— ნუ მიწყენ, შვილო, შენ რას გერჩი მე უმადური, —
ჩემთვის ვწუწუნებ, ვინძლო სული არ მოვადუნო“.
„მე თქვენთვის, თორემ, გაიგებდით, რა უდიდესი
უბედურებაც თავს დაგვატყდა, ჯერ ხუთი თვეც კი
არ მიწურულა, რაც, მამაო, შვილი დავკარგეთ.
— მერე როგორი ბიჭი იყო და რა ავკარგი!“
„გავიგე, შვილო... მაშინ, მახსოვს, გახლდით სენაკში
და ვიწურავდი სულში ლოცვით ციურ ზედაშეს,
როცა უეცრივ უბედურის სული ვიგრძენი,
ვით მაღლდებოდა ცად, წმინდა და წაუბილწველი.
ჩემთან სენაკში სხვა ორი ძმაც გახლდათ იმჯერად,
მათ სიწმინდეზე მე კი არა, მღვდელიც გიჟდება,
(ამას წინაზე სწორედ მღვდელმა დართო უფლება
ნებაზე მოვლონ თუნდაც ყველა სახლი უკრებლად).
ჰოდა, შეიგრძნეს ჩემთან ერთად ორთავ იმათაც,
ღვთით დადგრომილმა თუ ნათელმა ვითარ იმატა.
სვეტი ნათლისა იგი იდგა ვიდრე ცათამდე
და მეყსეულად აღვავლინეთ ლოცვა სამთავემ.
მერე „Te Deum*“ ვიგალობეთ, მერე რიგრიგად
გათენებამდე ვკითხულობდით წმინდა ბიბლიას,
ჩვენი ლოცვა კი გულის სიღრმით ამოტანილი
შეუვალი და უმტკიცესი არის რვალივით.

* შენ უფალო (ლათ.)

ჩვენთვის ხსნილია ყველა კარი იდუმალების
და გვესმის შორი ღაღადისიც ცით მონაბერი.
მარხვით და ლოცვით გახდა გვამი ჩვენი ნატიფი,
დავგმეთ ტკბობა და ვიუცხოვეთ სმა და ნადიმი,
ტკბობა და თნევა წარმავალი და ამაოა,
ტკბობამ და თნევამ სული ჰკლა და ცა გადაღობა.
სხეული უნდა აშიმშილო ადამიანმა
და სული შენი დააპურო უნდა ნიადაგ.
ბერს არ სჭირდება სრა-სასახლე, სმა და ღრეობა,
თავს მკლავზე მისდებს და იჯრაზე პურიც ეყოფა.
ამიტომაც აქვს ძალა, შვილო, ჩვენთა ლოცვათა, —
გვამიდან სული მოგვეზარდა და ამომძლავრდა.
ორმოცი დღე რომ იმარხულა სინას მწვერვალზე,
სული მოსესი მაშინ გახდა მზეებრ ელვარე,
კანონი მაშინ გაუმჟღავნა ღმერთმა მაღალმა,
როს ხორცი დადრკა და სხეული სულმა დაღალა.
ილიაც ასე მარხულობდა — და როს ალაგმა
სხეული თვისი, ღმერთთან მაშინ ილაპარაკა.
მღვდელმთავარ აარონს, ისე როგორც რჯულის სხვა მსახურთ,
ნიადაგ უნდა ემარხულა ზამთარ და ზაფხულ,
მშიერი უნდა წარმდგარიყო წინაშე ღმერთისა,
რამეთუ გვამი სულს უზმოზე ჰმსახურებს ფხიზლად.
ვაი მას, ამ წესს ვინც დაარღვევს! — ნაძრახს და დევნილს
ხსნა არ ექნება სირცხვილისგან სიკვდილის დღემდის.
ნეტარ არიან უპოვარნი, — გვასწავლა ქრისტემ
და შეაბრუნა გზანი ყველა გლახაკთა ცისკენ.
სიქალწულესთან დაგვაუღლა ძმანი და შეგვრთა
სიღარიბესთან უპოვართ და გლახაკთა ღმერთმა.
ღორმუცელობამ მოგვიხურა სამოთხის კარი
და დავალთ ქვეყნად ახლა ასე ნახევრად მკვდარი.
ნამდვილად ბედი იგულისხმა მორჩილთა ბერთა,
როცა ნეტარად უპოვარნი შერაცხა ღმერთმა.
რომელნი უფრო ახლოს ვდგავართ საუფლოს კართან—
ჩვენ, ბერები, თუ ამა სოფლის ძლიერთა კასტა?!
— გეენამ დასწვას განდიდებით ეგოდენ ურჩით
და აღზევებით მონაგარი განძი და უნჯი!

გადმოუგდიათ უსაშველო ფაშვი და სისხლი
წამოსწოლია თვალთა მათთა აღვსილთა ზიზღით,
იხვებივით რომ მიიქნევენ ქონიან გავას
და ღორებივით ნიადაგ რომ ოხრავენ თავად.
ან რა წესსა და კანონს უნდა ელოდო მათგან,
როდესაც გვამმა სული მათი მთლიანად შთანთქა.
მათი „cor meum eructavit*“ რომელ ღმერთს ესმის,
ანდა ფსალმუნმა მათი გულის ვით შესძრას ფესვნი.
ყველა მათგანი დღესაც ისე, ვითარცა ძველად,
სულ სხვა გზით დადის და სულ უცხო ბილიკებს თელავს.
კაცთაგან ოდენ ჩვენ ვიმარხავთ მაცხოვრის სიტყვას,
რაც არასოდეს არ სმენიათ მდიდართ და დიდგვართ.
— ამად გვწყალობდა მამა ღმერთიც და მეტსაც ვიტყვი:
წუთისოფელში ოდენ ჩვენს ხმას ისმენდა მიწყივ.
და როგორც ლაღი შევარდენი, ჩვენი ხმაც ისე
ცას მოაპობდა შეუმკრთალი ნავარდით ღმრთისკენ.
ეჰ, თომას, თომას, ანდა იმას რა ენა მოთვლის,
ძალა და ნიჭი რაოდენი მოგვეცა მოდგმით.
და ჩვენ რომ არა, უგუნურო, დღეს შენთა ძვალთა
ვერ მოიძევდა ვერაკაცი საფლავში ალბათ.
ბედს უმადლოდე — ჩვენი ლოცვით და ჩვენი ზრუნვით,
რომ ცოცხალი ხარ და რომ კიდევ გიდგია სული“.
„ღმერთია მოწმე, ძმაო, ჩემი დღე და მოსწრება
სულ ფულს გწირავდით, მაგრამ არრა მარგეს ლოცვებმა.
დრო იყო, როცა მთელს თქვენს ძმობას მარტო ვარჩენდი,
არ დამიკლია არაფერი, ხედავს გამჩენი.
გავღარიბდი და არ დამადგა მაინც საშველი.
ჩანს, რომ მე და თქვენ ამაოდ და უქმად დავშვერით“.
„ასეთი რამე არც უნდა თქვა, ძმაო, სირცხვილით,
მე შენი მიკვირს, ამდენ მლოცველს რატომ იცვლიდი?
ხსნად ერთი კარი გაეღება მოკვდავს უფლისგან! —
შენ, ჩემო ძმაო, უმდგრადობას დაუღუპიხარ.
ცოდვა ის არის, რომ თვითეულს ყველა ბერთაგან

---

* ჩემი გულიდან ამოდის (ლათ.) — ლოცვა

ფული მცირე და უმნიშვნელო ერგო ერთთავად.
ხოლო თუ რომ ერთს შეხვედროდა მთელი სიმდიდრე,
თითის ტკივილსაც ვერ იგრძნობდი ალბათ სიკვდიმდე.
იმას გოჭები გაუგზავნე, ამას — ბატები
და ნაწილ-ნაწილ დაარიგე ფული რამდენი.
არა, ძმობილო, არა, ძმაო, ეს განუსჯელი
ბედოვლათობა არც შენ გრგებს და არც სხვას უშველის.
მოდი, ავიღოთ მაგალითი ფრიად მარტივი:
თორმეტ ნაწილად გამიყავი ერთი ფარტინგი,
ხომ ნოლს მიიღებ ანგარიშით ეგევითარით?
რა უნდა ერგოს წილად თითოს, ერთი მითხარი.
ძალა მთელსა აქვს და თუ ვიღაც შენებრ ჩერჩეტმა
მთელი დაშალა, ხელში მუდამ ნოლი შეგვრჩება.
ჰოდა, შენ მუქთად გდომებია თურმე, ყმაწვილო,
გვამს უმწეობის და სიგლახის ბრკე მოაცილო.
მთელი კუთვნილი გინდა მნათემ, გინდა ხუცესმა,
უნდა მიიღოს ისე, ღმერთმა ვით დაუწესა.
მე შენს ფულებთან რა ხელი მაქვს, — დაე, უფალმა
სწორი გზა მისცეს, ვიდრე მავნეს არ მოუპარავს!
მე მხოლოდ იმას ვისურვებდი, როგორც მავალებს
ბერის სინდისი, რომ მოხმარდეს ფული სავანეს.
ხომ გახსოვს, თომა მოციქულმა ჰინდოთ ქონება
როგორ შესწირა ქრისტეს საყდარს დაუყოვნებლად.
ხსნა სწორედ ასეთ წირვაშია, — ზეცის კურთხევა
მას ელის, საყდარს ვინც შესწირავს მთელ საკუთრებას.
შენ კი ნიადაგ უმადურმა და მოწუწუნემ
მთელი ოჯახი დაავსე და დააუძლურე.
მეუღლეს მაინც რაღას ერჩი, — რა გებრძოლება
ასე ცხვარივით თვინიერთან და უცოდველთან.
ბრძენს კარგად უთქვამს — „ნუ იქნება კაცი ოჯახში
ძაღლივით ავი და ვირივით ტლუ და ოჩანი,
რომ მერმე ჭირში მეგობრებმა არ მიატოვონ“, —
შენ კი, პირიქით, გულს გვიხეთქავ ყველას, ბატონო,
სირცხვილი, თომას! — ნეტა რამ გქმნა ასე უბრმესი,
რომ არც კი უწყი რა ასპიტი გიზის უბეში.
მე რომ აქ არა, ამ ღვთისნიერ ქალს ამჟამადაც

ეგ შენი გველი დაგესლავდა და დაშხამავდა.
ცეცხლთან თამაშობ, არ გადიქცეს ქალი ასპიტად,
თორემ ავს და კარგს ამ სოფელში ყველას გაგვწყვიტავს.
ქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს, — ფრთხილად, ძმობილო,
უმწეო ქალმა ძალა თვისი არ გაგრძნობინოს!
სიავე დიდი ცოდვა გახლავთ იმ შვიდთაგანი,
მოკვდავთ რომ ცელავს, ვით პირბასრი იატაგანი.
სიავემ იცის კვლა კაცისა, — ის ჭეშმარიტად
იშვა კაცისა კაცის მიერ კვლად ეშმაკისგან.
რა ენა მოთვლის იმ უამრავ და იმ უთვალავ
ბიწიერებას, რაც სიავემ კაცს მოუტანა.
და მეც დღედაღამ ამად ვვედრი ყოვლის შემოქმედს,
იმდენად მაინც არ გაგვწიროს და არ შემოგვწყრეს,
რომ ავი კაცი არ შერაცხოს ქვეყნის განმგებლად,
თორემ საწყალნი ხომ მოგვსრა და ხომ გადაგვლეკა.
ასეთ ავ კაცზე წერს სენეკა, რომ ძველად, სადღაც,
ერთ ქვეყანაში, ავი კაცი მბრძანებლად დადგა.
უკუ დაბრუნდა ბედის ჩარხი, ბალახი გახმა
და ქალაქად და სოფლად თალხი ჩაიცვა ხალხმა.
...ერთ მშვენიერ დღეს, დილით მეფის რაინდი ორი
გზას გაჰყვა რაღაც უმნიშვნელო საქმეზე, მგონი.
ერთი იმ დღესვე გამობრუნდა ქალაქში, მაგრამ
მეორე თითქოს პირისაგან მიწისა გაჰქრა.
ეჰვი პირველზე მიიტანა მეუფემ მაშინ
და მყისვე კაცი გაუგზავნა უბედურს სახლში:
„რაკი ძმა უღვთოდ გაიმეტე, შენც შენივ ძმისგან
მოკვდები, ძაღლო: დაე, სისხლი განბანოს სისხლმა“.
და მისი მოკვლა დაავალა მესამე მებრძოლს,
ვინძლო ღალატით და მზაკვრობით მოეკლა კერძოდ.
მაგრამ როდესაც გზად ვიდოდნენ, წყლის პირზე, ბექთან,
ბედად სწორედ ის დაკარგული რაინდი შეხვდათ.
სამივეს დიდად გაეხარდა და უკან მსწრაფლად
სასახლისაკენ ისევ ბილიკს დაუყვნენ დაბლა.
„ეს კაცი არვის არ მოუკლავს — მრთელი და საღი
კვლავ თქვენს წინაშე დგას, მეფეო“, — ღელავდა ხალხი.
მეფემ კი ავად იქუხა და შეჰყარა წარბნი:

„ამჯერად ჯალათს მოსაკლავად სამთავეს წავგვრი.
— პირველს ვსჯი, რადგან არ ეგების მეფის მსჯავრს შეცვლა,
მეორეს — რაკი ძმას სიკვდილის მიზეზად ექცა.
ხოლო მესამეს — უფრო დიდის წვალებით, რადგან
ასე უტიფრად გადავიდა მეუფის ნათქვამს“, —
და სამთავენი, მოსამკელი ვითარცა ჩალა,
მეფემ იმ დღესვე ჩააბარა ულმობელ ჯალათს.
ამბობენ, ერთობ ჰყვარებია ღვინის სმა კამბიზს
და ხშირად თურმე მთელი კვირა ღრეობდა გაბმით.
ერთხელ ვიღაცა მორალისტმა ვითომ და მადლად
მბრძანებელს ჭკუის სასწავლელი სიტყვები ჰკადრა:
„ნემთვრალეობა სამარცხვინო მანკია კაცთა
და სხვათა უფრო მეფეთ ჰმართებთ ღვინოსთან გაცლა.
პირში არავინ არ დაძრახავს მემთვრალე მეფეს,
მაგრამ პირს უკან ძვირს და აუგს ძაღლივით ყეფენ.
ერიდე ღვინოს, მეუფეო, ვინც ღვინოს ჰმონებს,
ჭკუა ღალატობს და ხელ-ფეხშიც არ მოსდევს ღონე“.
„პირიქით, — უთხრა მბრძანებელმა, — ეგ არ თქვათ არსად,
ღვინო კაცს ჭკუას უმატებს და უმაგრებს მკლავსაც.
და დღესვე საქმით დაგიმტკიცებთ, თუ გინდათ, ნათქვამს“,—
თქვა და ტაბლაზე ღვინით სავსე თასები დადგა.
დათვრა მეფე და ბოლოს შვილი მოიხმო თვისთან
და ვინ უწყოდა, თუ გალეშილს რა ჰქონდა მიზნად.
დადგა თასი და ყმაწვილივით წამოხტა ცოცხლად,
მოზიდა მშვილდი და ისარი შვილს გულში სტყორცნა.
„ახლა რას იტყვი? რა დამაკლო ღვინომ და ბანგმა?
ჭკუას და ღონეს განა ყველა მოკვდავი კარგავს“.
მე, ძმაო, სხვა თუ არაფერი, ბოლოს და ბოლოს
ამგვარ ამბებით ჭკუას მაინც ვასწავლი ბოროტს.
ჭკუის სწავლება გლახაკს უნდა და არა დიდგვარს,
ცოდვა და ბრალი დიდგვარისა ამ ქვეყნად ვინ თქვა.
დიდგვარებს პასუხს იქ მოსთხოვენ, — სიკვდილის შემდეგ
იმათ ტანჯვა და ურვა ელით, ჩემს მტერს და შენს მტერს!
გინდა კიროსი გავიხსენოთ, მეუფე სპარსთა,
მდინარეს რომ ვერ გადავიდა, იმდენად გაწყრა,
რომ დამნაშავედ მან მდინარე შერაცხა კერძოდ

და წვრილ რუებად მისი დაშლა უბრძანა მებრძოლთ,
დასაჯეს წყალი და რუებად დაშალეს მართლაც,
ანდა რომელი გადვიდოდა მბრძანებლის ნათქვამს.
ბრძენის სიტყვები — მოერიდე ავს და მრისხანეს, —
უნდა გვახსოვდეს უკუნითი უკუნისამდე.
და ჭეშმარიტად, ქრისტიანმა კაცმა განა თუ
რისხვა, ყოველი ავი აზრიც უნდა განაგდოს.
მოინანიე და ახლავე განიკურნები —
ერთად გავფანტოთ ყიამეთი და უკუნეთი".
„არა, ძმობილო, ჭეშმარიტად დღეს ალიონზე
მოვინანიე ცოდვები და ბევრიც ვილოცე.
შვებაც ვიგრძენი, — ხელმეორედ მონანიება
ახლა ნამდვილად არც ავადმყოფს მეპატიება".
„მაშ ოქრო მაინც შემოსწირე ძმათა სავანეს,
ვით ჭეშმარიტი ქრისტიანის რწმენა გავალებს,
თანაც, ხომ იცი, რა ხელმოკლედ ვცხოვრობ ამჟამად,
ამ ეკლესიის აშენებამ სულ დაგვამშია, —
ალდგომას აქეთ თითქმის რვა თვე მიახლოებით
ხამანწკასა და ლოკოკინას გეახლებოდით.
თქვენ რომ ძროხის ბეჭს ითლიდით და ღვინოს წრუპავდით,
ჩვენ, ძმაო, ყელი ამოგვყავდა მაშინ გუმბათის.
ეხლაც ისე დგას და თავს წვიმა გეაწვიმს ნიადაგ,
წელს სენაკებშიც ვერ დაეგებთ ალბათ იატაკს.
აბა, რას იზამ, — არ ვიტეხავთ თითქოს იხტიბარს,
მაგრამ აქამდე ქვის ფულიც არ გადაგვიხდია.
ეხლა თუ ვინმემ არ გვიშველა, აუცილებლად
უნდა დავყიდოთ ახალიც და ძველი წიგნებიც.
ხოლო, შენც იცი, სულიერი საზრდოს გარეშე,
თავს ისე ვიგრძნობთ მალე, როგორც შავ სამარეში, —
ბერი შტერი და უმეცარი თუ გეყოლებათ,
გეენა ცეცხლმა დაწვას, ძმაო, თქვენი ქონება.
რა გეშველებათ, უგუნურნო, მაშინ უჩვენოდ,
ვის სიტყვას უნდა ენდოთ მერე და დაუჯეროთ.
ღმერთმა ისეთი სვე გვარგუნა — ილიას აქეთ
სულ თქვენ გმსახურებთ, როგორც კაი ყმა და ვასალი".
ატირდა მნათე და დაეცა მუხლზე უეცრად, —

რაღაცა ოქრო ეხლა მაინც უნდა მოეცათ.
მაგრამ, პირიქით ავადმყოფი ზიზღით აღივსო,
თითქოს უეცრივ მოემატა ცეცხლი სახმლისო:
„მსურს მთელი ოქრო შენ გადმოგცე, მე ხომ ისედაც
ძმა ვარ თქვენი და ხსნაც კვლავ თქვენგნით თუ მეღირსება".
მნათეს ტუჩები გაუთეთრდა, — „დიახ, საკუთარ
ძმად მიაჩნიხარ მთელ სავანეს, რაღა თქმა უნდა, —
ძმობის უსტარი ცოლს მივეცით ამას წინეზე.
— არ იკარგება ჩვენთან წვლილი სულ უმცირესიც".
„ო, ეგ კი მართლა არ ვიცოდი, — უთხრა სნეულმა
და რაღაც ხველა აუვარდა ანაზდეულად, —
მსურს განვიწმინდო — მთელი ჩემი ავლა-დიდება
უკვე თქვენია, — აწი უფრო თქვენ დაგჭირდებათ.
მიიღე იგი, მაგრამ მხოლოდ ერთის პირობით, —
სავანის ბერნი ჩინიანიც და უჩინონიც, —
ყველა გაიყოფთ ერთმანეთში ჩემს განძს თანაბრად" —
და, რა თქმა უნდა, ჩვენი მნათეც გახლდათ თანახმა.
„ეფიცავარ, — მნათემ თავდახრილმა თქვა მორჩილებით —
შენს ანდერძს აწი ვერ დაარღვევს ძე-ხორციელი".
„მაშ, ხელი ჩემთან შემოჰყავი, განძი შიგ მიდევს,
(მე უბედურმა ან აქამდე როგორ ვითმინე),
წელს ქვევით ფრთხილად ჩამოჰყევი, თითქმის ბაყვებთან
მომუჭე ხელი და ნამდვილი განძიც აგყვება".
„გროშს არვის მივცემ", — გაიფიქრა გულში მნათემ და
მივარდა სნეულს თითქოს სულის ამოსართმევად.
„კურთხეულ იყავ, ძმაო თომას, აწ და მარადის!" —
და მნათემ მკლავი შეაცურა თითქმის გავამდის,
ის იყო მისწვდა „საწადელსაც", რომ მეყსეულად
ცხლად მყრალი სუნი შეაფრქვია ხელზე სნეულმა.
(თანაც იმ ბილწმა დააქუხა ისე ვაგლახად,
რომ ალბათ გული დაწყდებოდა ბეხრეკ ჯაგლაგსაც).
გველნაკბენივით წამოვარდა მნათე ტახტიდან,
რაკიღა ასე მწარედ შერცხვა და გათახსირდა.
უბედურს სახე შეეშალა და გაწიწმატდა
და სიტყვებს ვეღარ პოულობდა სიბრაზისაგან:
„მე შენ გიჩვენებ როგორ უნდა ბერის გათათხვა

და თუ არ მოვკვდი, გადაგიხდი ამაგს ათმაგად.
ისე დაგწყევლი, სულ გავწყვიტო შენი სინსილა,
შე, ხეპრევ, შენა! ნუთუ მართლა ამის ღირსი ვარ?!“

თურმე მსახურნი მნათეს ოინს უჭვრეტდნენ მალვით, —
არ დაკლებია ასეთ სეირს ოჯახში არვინ.
მაგრამ როდესაც მნათე უშვერ გინებას მოჰყვა,
მალე კინწისკვრით გააბრძანეს „მოსული მოყვრად“.
რაღას იზამდა უბედური, — იგინა ბევრიც
და სასტუმროსკენ გაეშურა კრულვით და წყევლით.
აქ კი ბუხრისპირ, ვიღაც ბერთან მეგზური მისი
კამათელს ურცხვად აგორებდა დღისით და მზისით,
ის კი არა და მის წინ ერთურთს კინაღამ დასცხეს
და მნათეს სიტყვაც არ დაუძრავს საკუთარ მარცხზე.
დიდხანს უმიზნოდ იტრიალა საწყალმა ცეცხლთან
და როცა თვისი უმწეობის თვითონაც შერცხვა,
ერთ ნაცნობ ლორდთან გადასწყვიტა უეცრად წასვლა,
რომ ამ საქმეზე უცილობლად ეჩივლა მასთან.
და აჰა მუხის დიდი კარი შეაღო დინჯად, —
ამ დროს კი მისი ბრწყინვალება სადილად იჯდა.
თუმცა დანა კბილს არ უხსნიდა ჩვენს მნათეს, მაგრამ
არ დავიწყნია არც ლოცვა და არც თავის დაკვრა.

„კეთილი იყოს შენი მოსვლა, — მიუგო ლორდმა
და მაგიდისკენ მიიწვია მოხრილი ოთხად, —
მამაო, რაღაც შემცბარი თუ ნაწყენი ჩანხართ,
თვალებიც მიტომ დაგიბინდათ ფიქრების ჯანღმა,
რაშია საქმე, რა ტანჯვის და ჭირის დღე გადგათ?
თუ რამე ძალმიძს დახმარება, მე მუდამ მზად ვარ“.

„სწორს ბრძანებთ, შვილო, ხასიათზე დიახაც ვერ ვარ, —
ღვთის მოციქული შეურაცხმყო ვასალმა თქვენმა,
მართალი გითხრათ, არ ველოდი მზაკვრობას მისგან, —
რამდენი კარგი გავუკეთე და როგორ მიზღა,
მაგრამ ხეპრე და მუტრუკი რომ იქნება კაცი,
მასთან ძმობა და მეგობრობა ნამდვილად არც ღირს, —
მთელს ჩვენს სავანეს ჩირქი მოსცხო, ლანძღავს და ქირდავს,
შე მას ვუჩვენებ, თუკი საქმე ამაზე მიდგა“.

„გვარქვით მოძღვარო...“ „ნუ მიწოდებთ, ბატონო,
მოძღვარს, —
ბოლო სიტყვაზე მნათემ თავი დახარა მორცხვად, —
მე ხარისხიც მაქვს, მაგრამ მაინც მრცხვენია მუდამ,
როდესაც ვინმე მხოლოდ „რაბის“ მიწოდებს თუნდაც, —
დიდი ხანია სიამაყე დავთმე და დავგმე“.

„როგორც გენებოთ... აღარ იტყვით, რაშია საქმე?“

„მე, რა თქმა უნდა, არ ვუჩივი იმ უზრდელს, მაგრამ
გული მისკდება ბოღმისგან და არ ვიცი, რა ვქნა.
მე — კარგი, მაგრამ იმ უგვანო რეგვენმა ცხადლივ
უტიფრად დაჰგმო ეკლესიაც, რწმენაც და მადლიც“.

„ქვეყნად ყველაფერს ეშველება — თქვენ მხოლოდ მარქვით
და, ვფიცავ ჯვარს, თუ არ წარგხოცოთ ყოველი მანკი.
მიკვირს, ღვთის გმობა როგორ უნდა იკადროს კაცმა,
ხომ იცი, არვის არ შევარჩენ ქირდვას და ლანძღვას“.
მაშინ კი მნათემ რაც გარდახდა, კარგად თუ ავად,
სულ დაწვრილებით ჩაუკაკლა სუფრაზე თავადს.

დიასახლისსაც მოეცალა სამასლაათოდ
და განაბული ყურს უგდებდა მნათეს ნაამბობს.
მაგრამ როს სიტყვა დაასრულა მნათემ, რატომღაც
არაფერი თქვა არც ლორდმა და არც ქალბატონმა.

„მაინტერესებს, თქვენ რას იტყვით მაინც, მილედი?“

„მე მგონი, უნდა მიუტევოთ აუცილებლივ, —
ეგ ყოველივე ავადმყოფის ბოდვას მიაგავს
და სულგრძელობა, ვით წმინდა კაცს, გმართებთ დიახაც.
ქვეყნად სიგლახე ყველა გლახაკს ეპატიება, —
არ უნდა გვწყინდეს ტლუ და ბილწი კაცის გინება“.

„ო, არა, ნურას უკაცრავად, — ამ სალახანამ
ეს რა სირცხვილში გადამაგდო, რას გადამყარა.
ეხლა თუ ჭკუა არ ვასწავლე მაგას, ეგება
ხვალ უფრო მეტი მკადროს ყველა ტლუ და რეგვენმა.
თანაც თანაბრად გაჰყავიო თორმეტ ნაწილად,
მაშასადამე მთელი ჩვენი ძმობაც გაწირა“.
ლორდი კი მღვრიე ფიქრს წაეღო, — გულში ბეჯითად
ანგარიშობდა და რაღაცა ვერ განეჭვრიტა:
„რა თავსატეხი მიუცია იმ სულწაწყმედილს,

რომ არც წილადის არ უდგება წესი არც ერთი.
ბგერა და სუნი ჩახლართული მაინც ისეა,
გავამეტრიის კანონებით თუ აიხსნება.
სულ მთლად რეგვენი არ ყოფილა, — ასეთ თავსატეხს
ბევრი სწავლული თავის წიგნშიც მოათავსებდა".
მერე კი მნათეს მიუბრუნდა — „რაღა თქმა უნდა,
ეგ სალახანა ეკლესიას და ხალხს განუდგა.
ძმებსაც თავს ლაფი გადაგასხათ მან სამარცხვინოდ,
— არა, თანაბრად როგორც გინდა გაანაწილო.
აქ უწმინდური ურევია — ასეთ თავსატეხს
მგონი, სწავლულიც ვერ აუვა ვერც ათასამდე.
კმარა, სადილი გაგიცივდა უკვე, მამაო,
ასეთი კაცი ჩვენ არ უნდა გავათამამოთ,
მაგრამ უწმინდურს უწმინდური დასჯის მარტოდენ
და ჭკუაზედაც მოიყვანსო, როგორც ამბობენ".
ბატონს სკვაირი ჰმსახურებდა — ღვინოს უსხამდა,
ბარკლებს უთლიდა, უმარჯვებდა კერძს დაუზარლად.
როცა ბოლომდე მოუსმინა მნათეს ლაპარაკს,
ვითომ ხუმრობით, ლორდს ასეთი რამ შეაპარა:
„წყალში იყრება, როგორც ვატყობ. თქვენი ამაგიც,
მაგრამ თუ მნათე ერთ-ორ სტერლინგს არ დამამადლის,
(გამოცვლა უნდა ძველ მოსასხამს. ჩემო უფალო,
და თავი რატომ შევიწუხო ტყუილ-უბრალოდ),
მაშინ ეხლავე ერთ იმნაირ რამეს ვასწავლი,
ზუსტად გაუყოს ძმებს კუთვნილი ნამდვილ ძმასავით".
„მოსასხამს აგერ მე გაჩუქებ, თუ უსაუბოდ
ამ საქმეს რამეს მოუხერხებ, შე უსაქმურო".
„აქ, ამ დარბაზში, სადაც სუსტი სიოც არა ქრის
და არ შეარხევს ჰაერს არც ხმა და ლაპარაკი,
ეტლის ისეთი თვალი უნდა დადგათ მორებზე,
არაუმეტეს აქვს თორმეტი წკირი რომელსაც.
საღერძე ჭრილი უნდა ჰქონდეს ბორბალს უთუოდ,
წკირებს კი — გული, რა თქმა უნდა, ოდენ ფუტურო.
რაკი სავანეს რიცხვი უნდა იყოს ცამეტი,
არცა ნაკლები, ბატონებო, და არცა მეტი,
მაშინ თორმეტი ძმა ბორბალთან წრედ შეიკვრება,

მეცამეტე კი, ვით მოძღვარი, მნათე იქნება —
თითო ძმას ცხვირი თითო წკირის სვრელზე ედება
და თორმეტივე სვრელი ასე დაიკეტება.
მნათემ კი, როგორც ყველა დიდი საქმის მოთავემ,
ღერძის ჭრილს უნდა მიუშვიროს ნესტო ორთავე.
მეორე მხრიდან შიშველ გავას ის ტლუ მიადგამს,
მუცლის ღრუში რომ ქარიშხალი უზის ნიადაგ.
და ასე ჭრილში დააქუხოს უნდა რეგვენმა.
მე კი წილადის მცირე რამე თუ გამეგება,
ყველა ბგერა და მთელი სუნი აუცილებლად
უდანაკარგოდ და თანაბრად განაწილდება.
არ შეიძლება არ გამოვყოთ მნათე ბერთაგან,
ვით ღირსეული და რჩეული მამრი ერთთავად,
ბოლოს და ბოლოს, ერთადერთმა ჩვენმა ქადაგმა
უნდა მიიღოს დასტურ სხვებზე მეტი ათმაგად.
ეკუთვნის კიდეც და ძმათაგან განა მცირედაც
პირველობაში მნათეს ვინმე შეეცილება?
ის კი არა და, მე რომ ამის მქონდეს უფლება,
უთუოდ მთელ განძს მივაგებდი მნათეს უკლებლად".
მაშინ სტუმრებმა, ქალბატონმა და თამადამაც,
ქარაგმა იგი ამოხსნილად ერთხმად ჩათვალა.
ბატონმაც მსახურს მოსასხამი მოატანინა, —
დაიმსახურა ჯეროვანად იგი სკვაირმა. —
რა იცი, იქნებ, პტოლემეოსს და ევკლიდესაც
გასჭირვებოდათ მისი ზუსტად ახსნა კიდევაც.
მერე სმა-ჭამა გაჩაღდა და სუფრა გახურდა
და მოილხინეს ვით ბატონთა, ისე მსახურთა.
მნათეს დანა კბილს არ უხსნიდა, მაგრამ ყასიდად
ჭიქას ლოკავდა და ძროხის ბეჭს ჩიჩვილს აცლიდა.
მერე ვიღაცამ ჭკუა უქო ბებერ სნეულსაც
და კვლავ ხარხარი აუვარდა ხალხს მეყსეულად.
სიცილ-ხარხარით დაამთავრა სიტყვა მსაჯულმაც,
— მე მგონი კიდეც მივედითო, — თქვა და გაჩუმდა.

აქა დასასრული ეკლესიის წმინდა მსაჯულის ამბისა.

სტუდენტის ამბავი

ეკლესიის მსაჯული სტუდენტმა შეცვალა. მისი ამბავი ბოკაჩოს ნოველის გალექსილ ვარიანტს წარმოადგენს.

ერთი იტალიელი მარკგრაფი ცოლად ითხოვს ღარიბს, მაგრამ მშვენიერ და კეთილშობილ გოგონას, გრიზილდას. გრაფი თითქოს ბედნიერებას ეწია, მაგრამ ბუნებით უნდო და ეჭვიანი ადამიანი სულ ახალი და ახალი განსაცდელის წინაშე აყენებს საკუთარ ცოლს, რათა დარწმუნდეს ქალის ერთგულებაში და იგი თავისი წოდების ღირსად შერაცხოს. ამ მიზნისათვის გრაფი არავითარ უხამს და აუგ საქციელს არ ერიდება, მაგრამ გრიზილდა მუდამ ბედის მორჩილია, არაფერში არ ეწინააღმდეგება მეუღლეს და ერთგულობს.

ყველა გაოცებულია გრიზილდას სულის სიმტკიცით და სათნოებით. ამდენ განსაცდელს ვერცერთი ქალი ვერ გაუძლებსო, ამბობს აღტაცებული ჩოსერიც.

ვაჭრის ამბავი

სიტყვას ახლა ვაჭარი იღებს.

სამოცი წლის რაინდი, იანუარი, ბოლოს, როგორც იქნა, გადასწყვეტს ცოლის თხოვას. დიდი ხნის ძიების შემდეგ არჩევანს რაინდი მშვენიერ მაიაზე შეაჩერებს და მალე ქორწილსაც გადიხდის. იანუარს თავდავიწყებით უყვარს თავისი ახალგაზრდა მეუღლე და მთელი არსებით ეთაყვანება. მაიას კი გული რაინდის პაჟისაკენ, დამიანესაკენ მიუწევს. ხანდაზმული ქმარი დაბრმავდება, მეუღლეს გვერდიდან არ იშორებს, მაგრამ ქალი მაინც ახერხებს მის ღალატს. განგების ძალით, რაინდს თვალხედვა სწორედ მაშინ დაუბრუნდება, როცა ცოლი პაჟს ეალერსება. მაგრამ მაია თავს მაინც გაიმართლებს — მან თითქოს ასეთი აღთქმა მისცა ღმერთს და საკუთარი შეცოდებით მეუღლეს თვალთახედვა დაუბრუნა.

ვასალის ამბის პროლოგი

ძველად მამაცი ბრეტონები როცა ილხენდნენ,
უხუცეს ბარდებს ამღერებდნენ ლეის სიმღერებს.
თვითეულ ლეის თხზავდა თურმე ოდენ ქალწული —
ქალს ჰმორჩილებდა ლექსის უნჯი და საგანძური.
იმ უნჯის ძვირფას თვლებიდან და ალმასებიდან
მეც ლეის ერთი მარგალიტი ვიცი ზეპირად.
ისე კი სწავლით თავი, ძმებო, მე არ მომიკლავს,
ჩემთვის უცხოა ციცერონიც და რიტორიკაც.
არ მეხერხება ლაპარაკი სიტყვაკაზმული,
არც პარნასელი არ მყოლია შემწედ ასული.
ფერებს მინდვრებში თუ ვანსხვავებ ოდენ ყვავილზე,
ხმა არ მომყვება, თუ ვიმღერებ, ვჩხავი ყვავისებრ,
მაგრამ ორ სიტყვას, მეგობრებო, თუ ნებას დამრთავთ,
მეც მოვახერხებ ღვთის წყალობით როგორმე ალბათ.

ვასალის ამბავი

აქა დასაწყისი ვასალის ამბისა

ძველ არმორიკში იყო ერთი დიდი რაინდი,
ხოლო რაინდის ხოტბად სხვა რამ განა რა ითქმის,
თუ არა ტრფობა შეურყვნელი არსად, აროდეს,
ჰოდა, ჰყვარობდა იგი ქალს და მასაც ჰყვარობდნენ,
ყალმით ნახატი გახლდათ ქალი — მის სილამაზეს
ენა ვერ აღწერს — რისი ძოწი, რისი ალმასი,
თანაც იმდენად წოდებული, ისე დიდგვარი,
რომ იგი უფრო ოცნება და უფრო მიმქრალი

ოდენ იმედი უწინარეს იყო რაინდის,
ვიდრე — თუ ტრფობა გამხელილი და ჰეშმარიტი.
მიჯნურის გული კი მოეგო რაინდს ოღონდაც
და ირგვლივ მტერი სულ გაწყვიტა და ამოხოცა,
მაგრამ მის ბრძოლებს და საგმირო საქმეს თუ არა,
მის ტრფობას ქალმა გვერდი მაინც ვერ აუარა,
უფრო მას დაჰყვა გული მისი ახალგაზრდული, —
თანაუგრძნო და ცოლობაზეც მისცა დასტური.
მაშინ რაინდმა ქალს შეჰფიცა, რომ სამუდამოდ
ის, ვით ღვთაება, საკვედრელი და სამუდარო,
კვლავ დარჩებოდა რაინდისთვის, და ქორწინება
ვერ მიჩქმალავდა სატრფოსადმი მის მოწიწებას.
„გმადლობთ ასეთი აღთქმისათვის, ჩემო მიჯნურო, —
მიუგო ქალმა, — მეც ერთგულად უნდა მიგულოთ,
თავს არ შეგაწყენთ არასოდეს — კუბოს კარამდის
უცხო იქნება თქვენთვის დავა, ანდა კამათი“.
და მართლაც ისე მსუბუქად და ისე იოლად
იდინა ჟამმა, ფრთა წარიღო თითქოს ფიორმა.
ქვეყნად ძმობა და მეგობრობა, დასტურ, მარტოდენ
ჩნდება ურთიერთმორჩილებით, როგორც ამბობენ,
ძალმომრეობას ვერც ნამდვილი ტრფობა აიტანს,
შეხმატკბილება და შვებაა მისი ყაიდაც,
თავისუფლება ქმართან ერთად ცოლსაც ეგების,
ტრფობას რამეთუ მსახურებენ ოდენ მეფენი.
მხოლოდ ტრფობაში მიაჩნია ყველას უდიდეს
ტანჯვად, თუ რამე აიძულეს, ან მიუთითეს —
შეცდომა მოსდით ვით მეფეებს, ისე კაცუნებს,
ხან გვამი ჩვენი, ხან ვარსკვლავთა ბრუნვა გვაცთუნებს,
და რაც არ არის ჩემი ბრალი, რატომ მითითებ,
მითია კაცი და იხსნება ისევ მითითვე.
მაშინ სიმართლე ის ყოფილა, კაცმა არასდროს
სხვას არ ასწავლოს, ან აჰყვეს და ან უთანაგრძნოს,
სწორედ ასეთი აღთქმა მისცა სატრფოს რაინდმა
და მათ ოჯახში ტრფობის ტახტი ასე დაიდგა.
აი, ცოლ-ქმრობა, აი, ტრფობა! — აქ თვითეული
აუცილებლად მონაც არის და დიდებულიც, —

ყმაა ტრფობაში და ოჯახში ოდენ დიდგვარი
და ღმერთი არის შემწე მათი და განმკითხავი.
სულით ზეცაში, ხოლო გვამით დაბლა საყდარში
ასეთი წესით დაეუღლა ერთურთს ქალ-ვაჟი.
რაინდს მამული დიდებული ჰქონდა პენმარკთან
და ცოლთან ერთად შინისაკენ გამოემართა.
ვერასდროს იმას ვერ გაიგებს წმინდა ასკეტიც,
ცოლქმართა შორის რა ბრძნობა და რა სიკეთეა.
შეიცნო მრავლად სიკეთეც და სიბრძნეც რაინდმა
და წელიწადიც სიზმარივით ტკბილად გავიდა.
(სახელი მისი არვერაგუს, — ფიცხი და ცხარი
კაირუდიდან მოდიოდა იმისი გვარი).
წელმა რომ განვლო, არვერაგუსს მოეპრიანა
ხეტიალი და კვლავ დაუწყო ძებნა იარაღს.
ამჯერად ინგლისს ეწვია და, როგორც ამბობენ,
იქ ორი წელი დაჰყო თურმე ამ მეამბოხემ.
რასა იქს ამ დროს, ბატონებო, მისი შველივით
ლამაზი ცოლი, დორიგენე, მარტოდ შთენილი?
სევდას მოუცავს მისი გული — ღონემიხდილი
მზეს ეგებება დღე ცისმარე ოდენ ქვითინით.
მეგობრები და ახლობლები ამ უსამანო
სევდის ცდილობენ განქარვებას, მაგრამ ამაოდ. —
ლამის ლაციციც კი დაუწყონ სეფექალებმა,
მის გულს კი მაინც არაფერი არ ეკარება.
მაგრამ ნიადაგ რუდუნმა და გარჯამ მიწყივმა
პიტალო კლდენიც აღგავაო თურმე მიწიდან.
და მეცადინე მეგობართა ქალთა წყალობით
იმის სხეულში კვლავ იმედის მოსკდნენ წყარონი,
ქმრისგან წერილიც მოუვიდა ქალს საღდგომოდ —
მე მოკლე ხანში ჩამოვალ და არ იდარდოო.
მაშინ კი მართლა მოკეთდა და გამოხალისდა
გული ქალისა, კეთილისა და მოყვარისა.
და მაშინ ნაცნობ-მეგობრებმა და ქმრის სახლობამ
გასეირნებაც შესთავაზეს ზღვისპირ მახლობლად.
მზემ და ზღვაურმა სევდა გულის ბევრს განუქარვა
და დორიგენეც უნდა დაჰყვეს იმათ მუდარას.

და მართლაც იქვე, ხან მდუმარე, ხან მობარბაცე
ზღვის პირად, იდგა მათი ძველი ციხე-დარბაზი,
ნიადაგ ქროდა გრილი სიო და ნიავქარი,
თვალს იტაცებდა თეთრი აფრა და იალქანი,
და ერთ-ერთს ალბათ დღესა ერთსა შორი ინგლისით
გამოჰყვებოდა მეუღლე და სატრფო იმისიც.
— ზოგჯერ, ვით ზღვაში, შედიოდა ფიქრის ტალღებში
და ყრუვდებოდა მღვრიე ზღვა და ცა უთალხესი
და მხოლოდ მაშინ გრძნობდა ქალი, თუ რაოდენი
შიშის აღმძვრელნი იყვნენ ავად მდგარნი კბოდენი
და როცა ქარიც წარაფებში ქროდა ზუზუნით,
უმწეო იყო მათ წინაშე და უსუსური.
„ღმერთო, ამ ქვეყნად უსახონი და სახოვანნი
შენ შეჰქმენ არსნი ცოცხალნი და ნივთნი მყოვარნი,
ყველა კეთილად მოავლინე, გზა და ცხოვრებაც
ოდენ კეთილი დაუსახე შვილთ უცოდველთა.
მე კი არ მესმის ამ უცხოთა და საკვირველთა
კლდეთა სიკეთე ნიადაგმცა შიშს რომ გვინერგავს.
— კლდე ხომ ყველაფერს ეურჩება და ედავება
და არც ტკივლი აწვალებს და არც ნეტარება.
არ მოაქვს რამე სარგებელი გინდა კაცთათვის
და გინდ მხეცთათვის, სულიერი ქვეყნად რაც არის,
დასაბამითგან კლდენი ოდენ ჰკლავდნენ ხორციელს
და, ვით მახვილნი, ქვესკნელიდან თუ ამოცვივდნენ.
მეცნიერი და ღვთისმეტყველი ბრძენთა უბრძნესი
რამ გამართლებას ამ კლდეებსაც გამოუძებნის,
მაგრამ კლდე ამით არ იცვლება; — ღმერთო, მაღალო,
გვედრი, ქმარსა და სატრფოს ჩემსას კვლავ შემაყარო,
წყალქვეშა კლდენი განარიდო დაღლილ ხომალდებს
და ზურგის ქარებს შეაწევდე და უზოგავდე“.
რაკიღა კლდენი აღუძრავდნენ საშინელ ფიქრებს,
მყუდრო რამ მღვიმე გამონახეს მეგობართ იქვე —
ჩეროვანებში შრიალებდა პატარა ღელე
და მოქნილ სხეულს აკაწრავდა ჩხირებს და ღერებს —
აქ ცეკვა-თამაშს უმართავდნენ ჭალაკის პირად
და ჭადრაკითაც შეიქცევდნენ ქალბატონს ხშირად.

ერთხელ დიდ ბაღსაც მიაშურეს და რაკი იმ დღეს
არ აპირებდნენ დაბრუნებას ღამემდე ვიდრე,
ხორაგეული და სასმელი წაიღეს მრავლად
და წარიტანეს გასაშლელი პატარა ტაბლაც.
დამდეგი იყო მაისისა და ირგვლივ ოდენ
ტკბილი სურნელი ასდიოდა ხეებს და ტოტებს.
ბაღში ღვთიური დაღვრილიყო ნიჭი და მადლი,
ერთი სიკეთით დამთვრალიყვნენ ძეძვნი და ვარდნი.
შვენება მისი განაქრობდა ყოველგვარ სევდას
და ადამის ძეს ალბათ კუბოს კარამდიც სდევდა.
სერობის შემდეგ გააჩაღეს ცეკვა და ლხინი —
პაჟი და ქალი, ყრმა და წული, წყვილი და წყვილი,
დორიგენე კი განზე მდგარი ეულად იქვე
ქმართან ინგლისში გაჰყოლოდა უნაზეს ფიქრებს.
აქ პაჟთა შორის ერთი ვაჟი, უმეტეს სხვათა,
ღირსეული და მასთან უფრო ლამაზიც ჩანდა,
ტანზეც ისეთი მშვენიერი სამოსი ეცვა,
თითქოს მაისის შეენივთა მიწაც და ზეცაც.
თვალს ვერ მოწყვეტდით წრეში იმის სრიალს და რონინს
და არც ლექსში და სიმღერაში არ ჰყავდა ტოლი,
იყო მხნე, ლაღი, ჭკვიანი და მდიდარიც ერთობ,
ამ ქვეყნად თითქოს ღვთის წყალობა მხოლოდ მას ერგო.
და ვით ვენერას ქურუმსა და ტრფიალის ფარეშს
თავს აწონებდა მთელი ციხე-დარბაზიც ბარე.
მაგრამ ეს ორი წელიწადი, ვით თვალი ხვითოს,
მხოლოდ მშვენიერ დორიგენეს ეტრფოდა თვითონ,
ავრელიუსი (ასე ერქვა ამ ლამაზ ყმაწვილს).
მალავდა გრძნობებს, ვით მფლობელი სამყაროს განძის.
ტკბილ შარბათს რაკი მარტო სვამდა, ქვემოთ და ქვემოთ
თანდათან უფრო მწარდებოდა შარბათის გემო.
გულისთქმას ვერვინ ვერ მიუხვდა, სიმწარე ბოლოს
თითქოს სევდიან სიმღერებში გამოკრთა მხოლოდ
და ეს იყო, რომ ელეგიას, სონეტს თუ რონდელს
იგი უიღბლო სიყვარულზე მღეროდა ოდენ.
ხვაშიადს ვაჟი ვერ ამხელდა, ვითარცა ექო,
სხვაფრივ ბედნიერს სიყვარული ასეთი ერგო.

ზოგჯერ ლხინის და ცეკვის შემდეგ, როცა სეფექალთ
მარტოდ მყოფთ უფრო ემღერებათ და ეცეკვებათ,
ჟრუოლა რომ დაჰკრავთ უჩვეულო და უცხოური
და ოცნებებში წასულთ რაღაც ჟინი მოუვლით,
უმიზეზოდ და თითქოს ოდენ განურჩეველად
ავრელიუსი დორიგენეს თვალს უშტერებდა.
ქალს კი ეს მზერა ვერ გაეგო და ვერ აეხსნა,
ერთად რომ ჰგავდა დიდ საყვედურს და დიდ ალერსსაც.
და იმ დღეს, როცა მწუხრზე ბაღი ლურჯად ჩამუქდა,
გასეირნება შესთავაზა უცბად ჭაბუკმა,
რაკი ვაჟს კარგად იცნობდა და თავი თამამად
ეჭირა მასთან, ქალმა თხოვნა არ დაამადლა.
ავრელიუსმაც, როგორც იქნა, სიტყვა გაბედა
და გული მისი გარეთ გაჰყვა მისთა ბაგეთა:
„არვერაგუსის ნაცვლად ბედს და იღბალს მეტადრე
შენგან მე უნდა გავეგდე და გადავეკარგე,
რომ აღარასდროს არ თუ ცხადლივ, ღამე სიზმრადაც
აღარ მეხილე უკუნითი უკუნისამდე.
შენ ხარ წამალი, მე რაც ჭირი და რაც სენი მჭირს
ამქვეყნად მისი განკურნება მხოლოდ შენ იცი.
მხოლოდ შენს ტრფობას ძალუძს ნათელ მზეს არ გამყაროს
და დაკარგული დამიბრუნოს მთელი სამყაროც.
— მე ჩემი გარქვი, ეხლა მხოლოდ პასუხს მოველი —
გთხოვ, ნუ იქნები უმოწყალო და ულმობელი“.
„ნუთუ სიმართლეს ლაპარაკობ? — ქალს მეუსეულად
ესღა აღმოხდა და კარგა ხანს არც განძრეულა, —
ჩემთვის ბევრი რამ ცხადი გახდა, მაგრამ, ღმერთს ვფიცავ,
უმალ მრისხავდეს დედა ღვთისა და ვიქცე მიწად,
ვიდრე ვიმრუშო და საყვარელ ქმარს ვუღალატო,
— გთხოვ, მსგავსი რამე არ მაკადრო აწი არასდროს“.
გულზე მოეშვა ქალს და სიტყვაც სცადა გზადაგზა
და ბოლოს კიდეც გაეხუმრა ჭაბუკს ანაზდად.
„თუ მართლა ჩემი სიყვარული გინდა ჭაბუკო,
უნდა მაჩვენო ზღვა უკლდეო და უჭაუხო,
უნდა მოძირკვო კბოდეები და ქარაფები,
რომ ზღვაში აღარ აშინებდეს გემს არაფერი,

როცა ქარიშხლებს დაულეწავ კლდეთა საყუდელს,
სიყვარულს ჩემსას მხოლოდ მაშინ დაიმსახურებ.
რაკიღა ამას ვერ გაწვდება შენი ძალღონე,
დამეხსენი და ჩემი ბედის მონად მამყოფე.
გათხოვილ ქალთან რა ხელი გაქვს—მე ხომ ქმარი მყავს,
რად ხელჰყოფ იმას, თვითონ ღმერთმა რაც განარიგა?"
კვლავ ჰკითხა ვაჟმა უილაჯოდ, ვით ხანდაზმულმა
ბერმა: „მაშ, უარს მეუბნები თურმე პასუხად?!"
„ნამდვილად უარს!" — ვაჟისთვის კი ქვეყნის დამხობას
ჰგავდა ეს სიტყვა და უბედურს კვნესა აღმოხდა.—
„ვინ აღასრულებს ასე მკაცრ და სასტიკ ბრძანებას?
მხოლოდ დრო დაშლის ამ ქარაფებს და ზღვა წალეკავს,
კაცის სიცოცხლე მას ათასიც კი არ ეყოფა" —
და შორს მოისმა ყრუ გუგუნი კლდეთა ექოთა.
ვაჟი გასცილდა იმ მიდამოს, — გზაზე წყაროსთან
სეფექალების მხიარული გუნდიც გამოჩნდა,
ჯერ ქალბატონი ასეირნეს შებინდებამდე,
მერე შინისკენ სიმღერებით გამოემართნენ.
დასტოვა ბაღი ბოლოს ურვით მოკლულმა ვაჟმაც,
მიმავალთ თვალი გააყოლა და ბნელში დაშთა,
ვერ მოერია სინანულს და სინდისის ქენჯნას,
დაეცა გზაზე და მოტეხილ ტოტივით შერჩა.
კარგა ხანს ტევრში ბუკიოტი ჰკიოდა მწარედ,
მერე ნიავმა დაჰბერა და გამოკრთა მთვარეც.
ავრელიუსს კი მეყსეულად ღამის მნათობმა
დიდი ფებუსი მოანატრა გულით ტატომღაც,
მისი ოქროს ძმა გაახსენდა და უნებურად
მაშინ აპოლონს შეჰღაღადა გაბრუებულმა:
„ცათა მეუფევ, ჯიღოსანო სხივგაუმქრალო,
გზაო ცხოვრების და სიცოცხლის დიდო უფალო.
ძრაობა შენი და ოდნავი შემობრუნებაც
სულ ყვავილებად ებეჭდება გულზე ბუნებას.
და სვეკურთხეულ შენს სრბოლაში განუწყვეტელი
ძალით იღვრება, ვით სიცოცხლის ძარღვი, ეთერი.
ვაებას ჩემსას შენ მოხედე, დიდო ღვთაებავ,
ერთი სიკვდილი ჩემს ტანჯვაში მეცოტავება.

შენი სიცოცხლის სიყვარული და აღტაცება
თუ ამხსნის ამ ტვირთს, სიკვდილივით გულს რომ მაწვება.
არარაობას ჩემსას, ღმერთო და უმწეობას
შენის ცხოვრების ხელმწიფება უჩნდეს მეოხად!
შენს ღვთაებრივ დას და უბიწო ქალწულს ლუციანას
ჰმორჩილებს ზღვანი და ჯურღმულნი მისნი უძირო,
და როგორც იგი, კანონის და წესის მთესვარი,
შვენებას შენსას და სრულყოფას მიწყივ ესწრაფვის,
ასევე მასაც წყვდიადების უკუნეთიდან
ზღვათა ჯურღმულნიც ესწრაფვიან და მიელტვიან.
— გვედრი უფალო, დამან შენმან მოქცევა გაბმით
გაუხანგრძლივოს არმორიკის კბოდოვან ნაპირს,
რომ ორი წელი მაინც შავი სიშიშვლე კლდეთა
ზღვის მოქცევისგან აღარ ჩანდეს ტალღათა ზედან,
მაშინღა ძალმიძს მივეახლო ქალბატონს ჩემსას,
მივეახლო და სიყვარულის შარბათი შევსვა,
წიაღი მთვარის — საშო წმინდა, არსი ულპობი
აღივსებოდეს ორი წელი შენის სრულყოფით,
რათა იმდენი ძალა იგრძნოს და ხელმწიფება,
რომ ორი წელი ზღვა დაბმული ჰყავდეს რიფებთან,
ხოლო უკეთუ დაი შენი არ შემიწყნარებს,
ქვესკნელმა შთანთქას და განაქროს კლდენი სიზმარებრ.
— თუ შემიცოდებ, მომანიჭებ, მზეო, სიცოცხლეს,
იმან იცოცხლა მარტოოდენ, ვინც შეიცოდე!"
და მიხდა გონი მეყსეულად, ხოლო ძმამ მისმა
შინ მოიყვანა გონმიხდილი მიჯნური სისხამ.
სულიერთაგან იმან ერთმა იცოდა ქვეყნად,
იმის უბედურ ავრელიუსს რა ჭირიც შეხვდა.
აქ მივატოვებ სნეულ მეტრფეს მისი ძმის გვერდით
და ერთ-ორ სიტყვას უმამაცეს რაინდზეც გეტყვით.
სახელიანი დაუბრუნდა მშობლიურ სახლ-კარს
და შინ ერთგული და ლამაზი მეუღლე დახვდა,
დარდი და სევდა მაშინ წამში გარდიქცა ლხენად
და წამი იგი სახლში ერთად იწამა ყველამ,
ერთ მოხვევნაში დაავიწყდა ქალს გულის ტანჯვა
და ტანჯვასავით ალბიონიც ისევ შორს დარჩა.

რაღა თქმა უნდა, არ მოსვლია რაინდსაც აზრად,
თუ ვიღაც ვაჟმა მის ცოლს რაღაც უხამსი ჰკადრა.
კვლავინდებურად ისევ ტკბილად იდინა ჟამმა
და ბედი ჭარბად მოართმევდათ თაფლსა და შარბათს —
ლხენა, ტურნირი, სიყვარული, ტურნირი, ლხენა —
ისიყვარულოს მისი წილი ღამემაც, დღემაც.
ხოლო უბედურ ავრელიუსს, ნიადაგ მჭმუნვარს,
გულ-ღვიძლს უდნობდა სხვისი წილი დარდიც და ურვაც,
სარეცელს ეკრა ორი წელი ღამით და დღისით
და ძმა თუ იყო ერთადერთი იმედი მისი.
ძმას თუ უმხელდა, მხოლოდ ძმას თუ ანდობდა ფიქრებს,
ბრ იქცეოდა ფიქრი უთქმელ ტკივილად ვიდრე,
მაშინ კი დუმდა უთვისტომო სული ეული,
ვით პამფილუსი, გალათეას ტრფობით ძლეული, —
სულს არაფერი არ უმღვრევდა გარეგან თითქოს,
რაკი სიმშვიდეს თან სდევს რაღაც სილბოც და სიტკბოც,
მაგრამ დიდ ტანჯვას ხორციელი ვერვინ გამოთქვამს,
თუკიღა ტანჯვა კვალად თვითონ ტანჯვით გამოტკბა.
ტიროდა ძმაი — აქიმთაგან სნეულს ვერცერთმა
ვერ არგო, ძმასაც ძალა მეტი აღარ შესწევდა.
ერთდროს ბუნებისმეტყველებას ისიც სწავლობდა
და ხარბად სვამდა მწარე ბადაგს ცოდნის წყაროდან,
და სხვათა შორის, ორლეანში, როგორც სტუდენტებს
სჩვევიათ ხოლმე გატაცება, ყოველ უქმე დღეს
ის და იმისი მეგობარნი ერთად, ვიდრემდე
არ მოიწყენდნენ, მჩხიბავთ წიგნებს უკირკიტებდნენ.
ერთმა იმისმა ამხანაგმა, თუმცა სამართალს
სწავლობდა თვითონ და მსაჯულის გზას იკაფავდა,
თეთრი მაგიის ფოლიანტიც გამონახა და
თავბრუ დაასხათ წმინდა აზრის აღმართ-დაღმართმა. —
ეს წიგნი მთვარეს განმარტავდა — სიბრძნით მოძღვართა
თითქოს და მთვარეს საყუდელი ჰმონებს ოცდარვა
და რაღაც კიდევ ამის მსგავსი, ჩვენ, რა თქმა უნდა,
მოგვეჩვენება ეს რიოშად და აბდაუბდად,
ისიც ეწერა, რომ ხიბლისგან კაცთა ვითარმედ
ქრისტეს რწმენა და ანგელოსნი მისნი გვიფარვენ.

— ესე ყოველი გაიხსენა ძმამან ყრმობიდან
და ხსნის იმედმა გულს ნათელი ლბილი მოჰფინა.
—თუ გრძნეულს ძალუძს გაუმრუდოს ყველას თვალხედვა,
მწერი ყვავილად მოაჩვენოს, კაცი სახედრად,
მაშინ კლდეებსაც განაქარვებს ხიბლი თილისმის
და გამოკეთდეს მაშინ ჩემი ძმაიც, ვინ იცის.
— მენცართ და გრძნეულთ, გამიგია დღესასწაულზე
შუა დარბაზში დაუდგიათ უცბად აუზი,
დასრიალებდა წყალსა ზედან ნავი მრავალი
და წყალსა შიგან უხვად იყო თევზი მავანი,
ანდა ყურძენი მიცოცავდა უცბად კედლებზე
და იქით ბაღი იწყებოდა საუკეთესო,
ზოგჯერ ლომები გამორბოდნენ, ზოგჯერ დარბაზი
ზე იწეოდა და მიჰქროდა სადღაც ცარგვალში.
ბაგრამ ზმანება თუ მყოვარი ხატი ნამდვილი
უცბად ერთ წამში გაქრებოდა ხოლმე კვამლივით.
— ორლეანს უნდა მივაშურო, იქ უსათუოდ
იქნება ვინმე, ჩემს სნეულს ძმას რომ უსალბუნოს.
ან ვინძლო სადმე გადავაწყდე ისეთ ჯადოქარს,
თვითონ რომ ადგენს გრძნების ყველა უკულმართობას,
ასეთ კაცს, ვიცი, ელფიცა და სილფიც მსახურებს
და არ იქნება, არ იცნობდეს მთვარის საყუდელთ,
მას, ვინც ადვილად იმორჩილებს სიტყვით ჭინკებსაც,
კაცის განკურნვა, აბა, როგორ გაუჭირდება,
მას შეუძლია კბოდეები აღგავოს უცებ
და ქარაფებსაც მოუშალოს ძირი და ფუძე.
ქვესკნელში შთანთქას აღერილი კლდე უადგილოდ
და დაღლილ გემებს გზა შინისკენ გაუადვილოს.
გრძნეულის ძალას დორიგენე ვერ აღუდგება
და უნდა დაჰყვეს ვაჟის ყველა სურვილს უთქმელად.
მხოლოდ გრძნეული თუ გვიშველის, სხვაფრივ უდავოდ
მოელის ოდენ სატანჯველი ძმას სამუდამო.
აქ უცბად ვეღარ მოუთმინა საცოდავს გულმა
და ყველაფერი მიახალა ავადმყოფს უმალ.
ძმამ მოუსმინა, მოხალისდა და დამცხრალ თვალში
რაღაც იმედი ნათელივით ჩაუდგა მაშინ.

და გადასწყვიტეს, რაკი ხსნის გზა უჩვენათ ღმერთმა,
ორლეანს ორთავ წასულიყვნენ იმ დღესვე ერთად.
ის იყო ქალაქს მიაღწიეს ადრიან დილით, —
ორლეანამდე აღარ იყო სამიოდ მილიც,
რომ გზაზე ბედად გადააწყდნენ ერთ ნაცნობ მენცარს
და პირველსავე მის ნათქვამზე ორთავე შეცბა:
„მე კარგად ვიცი, რად გარჯილხართ“, — მენცარი ბრძენი
მგზავრებს რატომღაც მიმართავდა ლათინურ ენით.
და ცხადი გახდა საუბარში გზადაგზა მართლაც,
რომ ბრძენმა მათი საიდუმლო უწყოდა ნათლად.
მერმე საერთო ნაცნობებიც მოჰკითხა ძმობილს,
მარად მოუცლელს არ ენახა რომელნიც წლობით. —
ზოგი უცხოეთს წავიდნენო, ზოგს რა არ შეხვდა
და ზოგიც აღარ არიანო იმათგან ქვეყნად,
ამის გამგონეს მენცარს გული ეთანაღრება —
თავისი უნდა გაიტანოს მაინც ნაღველმა.
ხოლო როდესაც ის-ის იყო გალავანს მიწვდნენ,
მენცარი იგი დაღლილ მგზავრებს შინ სტუმრად იწვევს.
ტკბილად მასპინძლობს, მოასვენებს ორთავეს ჯერეთ
და გრძნეულების ხელოვნებით გაართობს მერე.
მასპინძელს მართლაც ქვეყნის მთელი ქონება ჰქონდა
და კარგა ხანი იმ სიმდიდრეს ჰკვირობდნენ ორთავ.
მაგრამ ვიდრემდის მოუსხამდა დიდებულ სუფრას,
მენცარმა ძმები ლამის მართლაც შეშალა სულ მთლად.
შუა დარბაზში ააყვავა ტევრი და მტილი
და სტუმრებს სული შეუგუბდათ სურნელით ტკბილით.
ჩეროვანებში ტერასების გადაღმით ერთგან
უცბად გამოჩნდა მობუბუნე ირმების ჯელგა.
ხშირ ჩირგვებიდან გამოენთნენ მწევრები მყის და
ქორბუდებს უცბად მოზუზუნე ისრებიც მისწვდა,
მერე მარეკნი მიესივნენ დაკოდილ-დაჭრილთ,
აფეშხოებდნენ და დიდ ბეჭებს ითლიდნენ ხანჯლით.
იქით მიმინო დაადევნეს თოვლისფერ ყანჩას
და მერე ორი მონადირე ანაზდად გაჩნდა,
მერე ტურნირი გაიმართა რაინდთა, ხოლო
ძმებმა ნამდვილი საოცრება იხილეს ბოლოს —

მწვანე მდელოზე, ჩეროვანში ბებერ ცირცელთა
ავრელიუსი დორიგენეს ცეკვად იწვევდა.
აქ კი უნებურ ტაში დასცხო ჩვენმა მიჯნურმა
და გახჭრა ხატი და მუსიკის ჰანგიც მიჩუმდა,
კვალად დარბაზი ამოცურდა ცისფერი ბინდით
და გრძნება იგი განიდევნა საგნით და ნივთით.
სამივე ისევ აღმოსავლურ ტახტაზე ისხდა
და იატაკიც ხისა ფეხქვეშ კელავ იდგა ხისტად.
ბოლოს სწავლული თავის ერთგულ პაჟს ეუბნება:
„დააგვიანეს მგონი ჩვენმა მზარეულებმა,
დროა, სადილი კი არა და მეფის საკადრი
სუფრაც მზად უნდა ყოფილიყო, ძმაო აქამდის“.
„უკვე მზად გახლავთ ყველაფერი, — მიუგო პაჟმა, —
ბატონო, წუთიც არ სჭირდება მაგიდის გაშლას“.
„მაშ, წამობრძანდით, მეგობრებო, თორემ უნებურ
სულ დააგიწყდეს ლამის ჭამა გამიჯნურებულს“.
როცა დანაყრდნენ, მოილხინეს და ხასიათზეც
მოვიდნენ, ძმები უცბად ატყდნენ და აწრიალდნენ,
ხელად საქმეზე გადგიდნენ და დაუსაბუთეს,
თუ ვითარ კლდეებს და ყოველგვარ ჭართა საყუდელთ
ეპირვებოდათ მიწით აღგვა — სხვაფრივ საწადელს
ვერ მივაღწევთო და ამაოდ უნდა გავწვალდეთ.
„ბრეტონის კლდეებს, — თქვეს სტუმრებმა, — ცოტად თუ ბევრად
სენიდან ვიდრე გარონამდე მოუწევთ რღვევა“.
შორს დაიჭირა ასეთი რამ მენცარმა ბრძენმა —
ათას ოქრომდე ავიღებო კლდეების ძლევად.
ისე, ათასიც ცოტააო — ამაზე სტუმართ
გაეღიმათ და დაამშვიდეს სწავლული უმალ
— ათასი რაა, უფრო მეტიც მოგაგოთ იქნებ —
და ბრძენკაცს ხელიც გაუწოდა მიჯნურმა იქვე.
რა მოაგვარეს საქმე სწრაფად და ჰაიჰარად,
ყრმეებრ გალაღდა ჩვენი მეტრფე და გაიხარა,
ბევრი იხუმრა, თასი ღვინო კიდევ გადაჭრა
და წლობით უბრად მგლოვიარე იქცა ქადაგად.
მერე თავის მხსნელს მიუბრუნდა — რაკი უმწიკვლოდ
ეწყობა საქმე, გზას დავადგეთ, რაღას ვუცდითო.

„ნება თქვენია. მაგრამ ისიც ნუ გავიწყდებათ,
რომ ორთავ ძალზე დაღლილი ხართ,—თქვა მასპინძელმა,—
ცისკარზე გავალთ“.—და ნამდვილად როგორც გრძნეულმა
თქვა, დაქანცული ყმა ცისკრამდე არც განძრეულა. —
მტკიცე სიტყვამ და ჩასახულმა გულში იმედმა,
შვებასთან ერთად, ძილიც ტკბილი გამოიმეტა.
და უთენია, მანამ ვიდრე მზე წყვდიადს სძლევდა,
ძმები ბრეტონის გზას დაადგნენ მენცართან ერთად.
გზაში მრავალჯერ შეისვენეს — ხანგრძლივი გზაც და
თოში და სუსხიც ტკბილი იყო ამ გრძნეულ კაცთან,
შობის დღეები თენდებოდა — ზეცაში მჭრქალად
მიბეჟუტულ ფებუსს აკლდა თვისი სითბო და ძალა,
თუმცაღა დაბლა დაეზნიქა ძალუმად თხისრქას,
მაინც ალმაცერ მოცვივოდნენ სხივები მისგან,
ორსახიანი იანუსი კერასთან იჯდა
და წითელ ღვინოს აყოლებდა შაშხიან იჯრას,
თრთვილი და სუსხი გარეთ ველებს ვერცხლისფრად ლამბავს
და ზეცის თაღი მრუმე ჯანღად ჩამოდის დაბლა.
„ნოელ!“ — ადამის სიხარული კარიკარ დადის
და შობის ხიდან იდუმალი იღვრება მადლი.

თავს ევლებრდნენ ძმები სტუმარს — მისთვის უჩინარს
სიტყვის უთქმელად გააჩენდნენ და არც უჭირდათ,
დროულად საქმეს შესდგომოდა ბრძენი ოღონდაც
და მაგიდაზე ლამის ჩიტის რძეც გამოჰქონდათ.

ეგოდენ ურვამ მიჯნურისა და ჭირ-ვარამმა
ბრძენს გული ცოდვა-სიბრალულით მოუვარაყა.
და ახლა ისიც მოელოდა სულმოუთქმელად
მთვარის სწორ ფაზას და ფაზაში მის დაბუდებას.

ბრძენი რიცხვს და ჟამს ეძიებდა ღამის ბეზიკის.
ჩემთვის უცხოა ასტრალური წყვა და წესრიგი —
მხოლოდ იმ წესით თუ ძალუძდა კლდეთა დაძლევა, —
კლდეებს ჩანთქავდა მიწით, ან ზღვით წარიტაცებდა,
ქალიც სარწმუნოდ ამ სასწაულს მაშინ შერაცხდა, —
ასე ეწერათ სამჩხიბაო წიგნის მწერალთა.
ტოლედურ ტომში მრავლად იყო უცხო ნახატიც

და ვარსკვლავთ ბრუნვის ტაბულებსაც მრავლად ნახავდით,
ეწერა წლებიც და ნიშანთა ნუსხა და ცხრილი,
რიცხვების ჯამი, პროპორცია, ფესვი თუ ძირი,
ცალკე ვარსკვლავთა გადახრა და სხვაობა ცენტრთან
და სხვა მრავალი მონაჩმახი მჩხიბავთა ძველთა,
მენცარს რვა სფეროს გათვლის შემდეგ უნდა გაეგო
ალნათს რა მრუდი აშორებდა ვერძთან საერთოდ,
რომელიც უკვე მეცხრე სფეროს გადადიოდა
და ამ სირთულეს თავს ართმევდა ბრძენი იოლად.
გაიგო მთვარის საყუდელნი უკვე უკლებლივ,
და არც შემართვა მისი დარჩა გამოუკვლელი,
გამოარკვია შემაღლების მისის კვადრატი
ბრძენი სწავლულის სიზუსტითა და სიმკაცრეთი.
და ისე შერთა რიცხვთა კვანძნი გვირისტს ასოთა,
რომ მერე საქმეს წვეთი წყალი აღარ გასვლოდა.
— მრავალი წელი შეალია თურმე მენცარმა
წარმართ მჩხიბავთა თითქმის ყველა დარგის შესწავლას.
და აი ერთხელ, სულ უბრალოდ, სწავლულმა ბრძენმა
შეჰკრა თილისმა თუ მოგვური ჯადო და გრძნება
და ჰა, სენიდან გარონამდე ნაპირზე სიგრძივ
კლდე თვითეული აღიგავა პირისგან მიწის.

გადაეწურა ავრელიუსს იმედი თითქმის
და სიმწრით ვეღარ იკავებდა ვერაფრით ქვითინს,
ისე დარია ხელი ეგდენ ლოდინმა ვაკაცს,
მაგრამ ზღვის ხილვით დასტურ შეცბა და სახტად დაშთა,—
არ უჯერებდა თვალს და ზღვათა შფოთით და ღელვით
გაბრუებული რბოდა როგორც მიჯნური ხელი, —
არსად ქარაფი, აღარც ფლატე და აღარც კბოდე,
სწორი ნაპირი, ზღვის სივრცე და ზღვაური ოდენ!
ბრძენის წინაშე მუხლმოყრილი დაემხო ბოლოს
და სიტყვა მისი მწირის ლოცვას მოჰგავდა მხოლოდ:
„მადლობა შენ და სიყვარულის მძლეთა მძლე ქალღმერთს,
ყველა მიჯნურის ნატვრა ასე სიზმარებრ ახდეს!
მხოლოდ თქვენ უნდა გიმადლოდეთ სიცოცხლეს ჩემსას“—
და იმ დღეს მენცარს მსგავსი ხოტბა სხვაც ბევრი ესმა.
მერე მიჯნურმა მიაშურა პირდაპირ საყდარს —

ღვთისმოსავ სატრფოს აქ წირვაზე ნახავდა ახლაც,
და არც შემცდარა! — ამბიონთან ხატის და ღმრთის წინ
თავდადრეკილი, აჰა, წმინდა ხატებაც მისი.
„ლოცვა მეც ბევრჯერ აღვავლინე თქვენდა ურიცხვი
და თავი თქვენი იმდენს ნიშნავს ჩემი სულისთვის,
რომ თქვენი დარდი და წუხილი თუნდა მცირედიც
გარდუვალ სიკვდილს მომიტანდა ალბათ, მილედი.
თუ არა ჩემი უსაშველო ტრფობა თქვენდამი,
მე ეხლაც ოდენ უნდა ვდუმდე, როგორც ცხედარი,
მაგრამ ვაი რომ ჩივილით და მიწყივ წუწუნით
გულზე გასკვნილი დავიამო უნდა მუწუკი,
მხოლოდ ქვითინში მეცხოვრება, სხვაფრივ ნამდვილად
გაუფერულდა ეს ცხოვრება და გაბათილდა.
დე, ნურად გიღირთ ჩემი ტანჯვა, მაგრამ პირობა,
რა ვქნა, კვლავ უნდა მოგაგონოთ დღეს უცილობლად —
აღსრულდა იგი და თქვენს სიტყვას გვერდს ნუ აუვლით,—
ტრფობაა ჩემი ერთადერთი დანაშაული.
— ხომ გახსოვთ ბაღში რაც აღმითქვით, რა უმძიმესი
ხარკი დამადეთ და უსასო ტანჯვას მიმეცით,
რაკი აღსრულდა ყოველივე — კლდე ზღვამ წალეკა,
კი არ მოვითხოვ, ველი აღთქმულს, ვით მოწყალებას.
იქნებ არც ვიყო ამის ღირსი და მე უღირსმა
ვით ხელვყო განძი მეგობრისა და მეუღლისა,
სიწმინდე თქვენი მეტად მიღირს, ვიდრე განკურნვა
იმ დიდი ჭირის, რაც მუხთალმა ბედმა მარგუნა,
მაგრამ მე მაინც მოგახსენებთ, რომ სიტყვა თქვენი
უკვე აღსრულდა — ზღვის უფსკრულში დაინთქნენ კლდენი.
ახლა თქვენ იცით — თქვენს ხელთაა ჩემი სვებედი
და იქნებ ქვეყნად კაცთა შორის მეც ვიხსენები,
ზღვის პირზე გელით — თვალი ერთხელ მაინც შეავლეთ,
უკლდეო ნაპირს ვითარ შვენის ტალღის შრიალი“.
და ამ სიტყვებით განერიდა. ქალს მარტოდ შთენილს
ისე დარია სევდამ ხელი, ვერ იტყვი ენით.
„როგორ მეგონა, — ვერ აეხსნა რეტდასხმულს დიდხანს,—
თუ ასეთ მახეს დამიგებდა ჩემივე სიტყვა.
ან რარიგ უნდა მცოდნებოდა, რომ ქვეყნად მოკვდავს

მართლა შეეძლო სასწაული მითიურ მოგვთა.
ბუნების წესი აირია, გრძნებაში მუდამ
ტყუილი მართლად გამოჩნდება, მართალი მრუდად“.
და შემცბარი და ნირწამხდარი დაბრუნდა სახლში,
რა სული ახსნის ამ ფიქრებს და რა ჭკუა განსჯის?
მთელი ორი დღე განერიდა ჯიშს და ჯურს კაცთა
და ვერ დაეხსნა კოშმარულ ფიქრს და შიშის განცდას.
ოჯახშიც ვერვის ვერ გაენდო — მეუღლე მისი
შორს, უცხოეთში გაეგზავნათ რაღაც მისიით.
გადარაზავდა დორიგენე პალატის კარებს
და უსასო და გულმოკლული ტიროდა მწარედ.
„როგორ დამიგო ბედმა მახე! ხსნაც არსაიდან
არ არის ჩემთვის, ოდენ გესლით და სამსალითა
მევსება სული. რა ახლოა სიკვდილის ზღუდე, —
გზაც აქეთ არის. სიბილწის და სირცხვილის წუთებს
სიკვდილი მიჯობს, რა თქმა უნდა, ფიცის გატეხა
ჩვენს ოჯახსა და ჩვენს სიყვარულს არ ეკადრება.
მხოლოდ სიკვდილი თუ მიშველის — მრავალ ბანოვანთ
დაუძლევიათ ასე ბედის შეუვალობა.
მომკვდარან თავად, მაგრამ სულით არ წარწყმედილან.
და ხსნას ელოდნენ საკუთარი სისხლის წვეთითა.
რომელი ერთი ჩამოვთვალო, — მათი სახელი,
ვით სიქალწულე, უზადოა და უზაკველი.
როცა ათენში ტირანებმა მოჰკლეს ფიდონი,
შემოახიეს მის ასულებს ტანზე ქიტონი
და ტანშიშველნი გამოიხმეს დარბაზში ცეკვად,
თითქოს და ფერი დაეკარგათ უზადო სპეკალთ,
მაგრამ სირცხვილს და თავის მოჭრას უბედურებმა
თავის დახრჩობა ამჯობინეს მაშინ უნებურ,
ასე დაიცვეს მათ ღირსება და სისპეტაკე,
ხოლო ბრბო ოდენ ტაშს უკრავდა, როგორც სპექტაკლზე.
მესენელ ყმათაც იძალადეს, ვითარ მხეცებმა,
და მოინდომეს თურმე სპარტელ ქალთა შერცხვენა,
თავი მოიკლეს სათითაოდ მიუკარება
ქალებმა, არც ერთს არ ძალუძდა მტრის შეყვარება.

აღარც ტყვედქმნილნი არ უთმობდნენ ავხორც მესენელთ
და სიწმინდის და ღირსების წესს თვით აწესებდნენ
ანდა რას ამბობს ისტორია სტიმფალიდაზე?
წმინდა ყოფილა და ლამაზი ის ქარიტასებრ
და როცა სახლი დაურბიეს მას ტირანებმა,
დიანას ტაძარს მიაშურა ნამტირალევმა
და ისე მძლავრად შემოეჭდო ქალღმერთის ქანდაკს,
რომ მერე ვეღარ ააგლიჯა ქალწული ბანდამ
და ქანდაკებას ზედ დააკლა. — სხვა ბევრსც მიჰყვა
პატიოსნება და სახელი ამ ქვეყნის მიღმა.
დაცვა სიწმინდის, ვით საუნჯის და საგანძურის,
უპირველესი ვალი იყო ყველა ქალწულის.
მაგრამ ასევე სიწმინდე და პატიოსნება
მოეთხოვებათ ჯვარდაწერილ მანდილოსნებსაც
ბევრია ამის მაგალითიც — როცა აღსრულდა
განგების ნება და მტრის რისხვა მისწვდა ჰაზდრუბალს,
მეუღლემ მისმა ჯერ კოცონზე დასწვა შვილები
და მერე შვილებს უკან მიჰყვა დაუჩივლებლივ —
რომაელთაგან დამცირებას და განქიქებას
მან თავის მოკვლა ამჯობინა დაუფიქრებლად.
არ შეუშინდა თურმე სიკვდილს არც ლუკრეცია,
ისე დალია სული, არც კი დაუკვნესია,
ტარკვინიუსმა ვერ მოასწრო თვალის გახელაც,
რომ ლუკრეციას სული უკვე ცას მიარღვევდა.
ანდა როდესაც შეესივნენ მილეთს გალები,
იგივ ღირსების და სიწმინდის სულის ბრძანებით
შავი სიკვდილი მილეთელმა შვიდმა ქალწულმა
თავის სისხლხორცით დააპურა და დაარწყულა.
და სხვა მრავალი მისთანანი, ან რა ჩამოთვლის
თავი რამდენჯერ გაუწირავს ქალს აქამომდის?
როცა სულს ლევდა ჰაბრადატი, მიწყივ ქომაგმა
და თანამდგომმა ცოლმა მისმა უთხრა მომაკვდავს: —
„მიწაზე დაღვრილ შენს სისხლს ჩემიც შეუერთდება,
დაიქცეს იგი სულის შენის შემავედრებლად“.
სიცოცხლით სავსე ქალნი, ყრმანნი თუ ლამაზმანნი,
ჭირში მტკიცე და შეუდრეკნი იყვნენ ქვასავით,

იმათ სიკვდილი ამჯობინეს თავის შერცხვენას
და სუსტ არსებათ ამ დროს ძალა მუდამ შესწევდათ.
მხოლოდ სიკვდილი თუ დამიხსნის, ანდა სადამდე
ვატყუო ქმარი, მუხანათმა და მოღალატემ,
მეუღლემ ჩემმა ყოველივე უნდა იცოდეს,
დემოციონის ქალმაც ასე დასთმო სიცოცხლე,
და სედაზერის შვილთაც ბედი ერგოთ იგივე,
თუმც დაიხოცნენ, თავი მაინც არ შეიგინეს.
მხოლოდ სიკვდილით დააღწია ნიკანორს თავი
თებელ ქალწულმა, — ან ვითარცა მოსწყვეტენ ყვავილს
ბრმად და უაზროდ, ასე ბრმად და ასე უაზროდ,
სიცოცხლე თვისი სხვა თებელმა ქალმაც მოაზრო.
როს მაკედონელ კაცთან შეცდა, ნიკერატესის
მეუღლეც სწორედ ამის გამო ჩადის ჰადესში.
ალკიბიადეს გულის სწორმაც ეს გზა ინატრა,
როს მათი ბედი სულ უკუღმა წარედინა და
აღარ აღირსეს დიდი გმირის ცხედარს დამარხვა.
ასე ძველთაგან დღესაც ისმის დია ამაყად
ალკესტასა და პენელოპეს წმინდა სახელი,
როგორც ქალური ერთგულების გამომსახველი.
პროთესელაუსს უკან მიჰყვა ლაოდამია.
ეს გზა თუ მიხსნის, სიკვდილი ხომ ერთი წამია
და ვითარ უნდა შემაშინოს წამმა, რომელიც
იქნება ჩემი სიყვარულის შემამკობელი.
თავი უსიტყვოდ ანაცვალა ბრუტუსს პორციამ,
ერთს ეკუთვნოდა მარტოოდენ სულით-ხორციან.
ორთავე ერთ დღეს დაიმარხნენ. — არ შემიძლია
აქ მასთან ერთად არ ვახსენო არტემიზიაც.
ხოლო ტეიტა დედოფალი, მტკიცე ქვასავით,
პატიოსნებას და ღირსებას დღესაც გვასწავლის“.
ასე მოთქვამდა დორიგენე დღემუდამ თითქმის
და როგორც ხსნას და გადარჩენას ელოდა სიკვდილს.
არვერაგუსი მესამე დღეს დაბრუნდა ცოლთან
და მიხვდა ცოლის შემხედვარე, რომ რაღაც მოხდა.
ხოლო როდესაც მოიძია მიზეზი ქმარმა,
ქალს მწუხარება გულით მოსკდა, ვითარცა წარღვნა.

„ღმერთმა დასწყევლოს ის დღე, როცა ამ ქვეყნად გავჩნდი,
რაღა უშველის აწი ჩემებრ დაკოდილ-დაჭრილს“ —
და ყოველივე დაწვრილებით უამბო რაინდს,
რაც თავს გადახდა და უკლებლივ ჩვენც ვუწყით რაიც.
დანარჩენს აწი მოგახსენებთ. უსმინა კარგად
და მერე ტკბილად დაუყვავა მეუღლეს ქმარმა:
— სულ ეს იყოო, — ეკითხება, — „დიახ, მეუფევ,
განა არ კმარა?“ — გააოცა კითხვამ მეუღლე.
„ნუ ტირი, ჩემო სიყვარულო, წილხვედრილს ბედით
ვერ აღუდგება წინ ვერავინ სულელის მეტი.
უცილოდ უნდა შეასრულო აღთქმული სიტყვა,
რაკი პირობა დაგიდვია და ფიცი გითქვამს.
ფიცის გატეხვით არ შებღალო სიწმინდე შენი, —
მე თუნდაც დღესვე მოვკვდებოდი უსაზღვრო შვებით,
ოღონდაც სიტყვას ნუ გადახვალ — ციური განძი
სიტყვაა მხოლოდ, არ იყოფა სიტყვა და კაცი“.
ცრემლები წასკდა არვერაგუსს, მერე თავს სძლია
და უთხრა: „ვწუხვარ და წუხილი დიდია ფრიად,
გთხოვ, ეს ამბავი არ გაიგოს არავინ ქვეყნად,
არც დიდებულმა მოკვდავთაგან და არცა გლეხმა.
მე კი როგორმე გავამართლებ სიცოცხლეს ჩემსას,
თუ არ მომიდნო ამ უსაზღვრო შხამმა და გესლმა.
ერთ რამესაც გთხოვ — უნებურად არ გაგთქვას დარდმა
და საყვედურის ერთი სიტყვაც არვისთან არ თქვა“.
მერე პაჟთ უხმო გაჰყოლოდნენ ქალბატონს მყუსვე
და შინ უმისოდ მოსულიყვნენ უკანვე ისევ.
გამოაცილეს დორიგენე უსიტყვოდ პაჟთა
და გულმოკლული რაინდი კი შინ მარტო დაშთა.
ის იყო ხალხით სავსე ქუჩა კიდეც გამოვლეს
და დათქმულ ადგილს მიაღწიეს, რომ აქამომდე
ყუჩად მდგარი და მომლოდინე ზედ მოედანთან
ავრელიუსი მისკენ სწრაფად გამოემართა. —
უთვალთვალებდა ქალის სახლ-კარს იგი შორიდან,
დაიღალა და ბოლოს ბაღთან ცდა ამჯობინა.
და, როგორც იქნა, უნებლიედ თუ განგებისად,
აჰა, ჩვენს მიჯნურს ქალთან შეყრა თურმე ეღირსა,

სიხარულისგან შიგან სული გაულამაზდა
და მაღალის ხმით მიესალმა სატრფოს ანაზდად,
ჰკითხა თუ საით გაეწია ასე ბეჯითად.
ქალი დაიბნა, ბრუ დაესხა თავს და შეჭირდა
და თქვა: „ბრძანებით მეუღლისა, აჰა, ავსულო,
მოვსულვარ შენთან, სიტყვა ჩემი რომ აღვასრულო“.
ქალის ნათქვამმა ვაჟი შესძრა სულით ხორციან,
გული ჩაუდგა საგულეს და ხუნდი მოსცილდა,
ახლაღა იგრძნო ქალის სულის უცოდველობა
და მეყსეულად, თითქოს მხოლოდ ამას ელოდა,
უთანაგრძნო და მოწიწებაც იგრძნო მისდამი,
ვის სულშიც სანთლად სისპეტაკე ენთო მზისდარი.
იგრძნო მისი ქმრის პირმტკიცობაც და რაინდობაც, —
თუ არ სულგრძელი, მას ამ წუთში ვინ დაინდობდა?
თუ არ სულმტკიცე, ამ დროს სიტყვას ვინ არ გასტეხდა
და იმის თვალში გაიზარდა იგი ასკეცად.
მაშინ ძლეულმა დორიგენეს მიმართა მშვიდად:
„ვიცი, აღთქმული ჩემთვის ფიცი ჭირივით გჭირდა
და ვით სიწმინდის ქურუმსა და შეწირულ მოსავს
შავი სიკვდილიც კი გერჩივნა დღეს ჩემთან მოსვლას.
შენი სიწმინდე ამჯობინა საკუთარ სირცხვილს
მეუღლემ შენმა — დაე, ასე მრუში და ბილწი
მე სიკვდილამდე დავიტანჯო, ოღონდ თქვენ გქონდეთ
ამ უწმინდესი სიყვარულის სიამე ოდენ.
და რაც აღმითქვით, ყველაფერი შეგინდოთ მინდა
და გაპატიოთ — ვალი ჩემი არ გმართებთ დღიდან.
სრულად ვივიწყებ ყოველივეს და გვედრით ძმურად
მეც ასე თქვენი ცხოვრებიდან წამშალოთ სრულად.
თქვენებრ რომ ყველა ასრულებდეს სიტყვას და აღთქმას,
ცის მეუფება დადგებოდა მიწაზეც, რადგან
პაჟიც რაინდი გახდებოდა ერთგული ქალის
და ალბათ არსად წარწყმდებოდა ადამის გვარი“.
მტირალი ქალი ვაჟს მუხლებზე შემოეხვია
და ფოთოლივით აცახცახდა თავით ფეხიან,
მერე შინისკენ გასწია და ქმარს დამშვიდებით
უთხრა ყოველი და ჩაუდგა გვამს სამშვინველი.

— მეც დავასრულე და სათქმელი ჩემი გითხარით
და, მგონი, თითქმის არრა დამრჩა გასარითმავი.
კვლავ წარედინა ჟამი ამოდ და უზრუნველად,
ისე ვით მეტრფეს სული სატრფოს სულს უსურვებდა —
არც რამე იჭვი, ანუ ქიშპი და პაექრობა
და ავსაც ავი იმათ შორის აღარ ეთქმოდა.
კაცი ქალს ღმრთეებრ თაყვანს სცემდა — მეტი სიკეთე
ალბათ არ თქმულა არც ცაში და არც იმას იქეთ.
ავრელიუსი თავის სახლში, იქვე მახლობლად
ჯდა დღედაღამ და წყალში ჩაყრილ ფულზე ნაღვლობდა.
— ამდენი ფული ჯადოქარსო ტყუილ-უბრალოდ
მაინც რატომ და რისთვის უნდა მიეცე, უფალო, —
ვაითუ ვალებს ვერც მამული ვერ აუვიდა,
— აი, თუ გინდა გაბახება სიყვარულითა!
ან ვადა თუ არ გამიგრძელა, მაშინ უდავოდ
მომიწევს სადმე გადაკარგვა შორს სამუდამოდ.
რა იცი, იქნებ შევებრალო, ისიც კაცია
და ვალი ვინძლო ჩაიბაროს ნაწილ-ნაწილად".
აცრემლებული მერე რკინის კართან მივიდა
და მთელი ფული ამოხვეტა რკინის სკივრიდან.
აქ ნახევარი არც კი იყო, — უნდა ეცადა
ხვეწნა-მუდარით მოესინჯა ბედი მენცართან.
„ბატონო ჩემო, მოწყალეო, გვედრით მორჩილად
მაპატიოთ და თანამიგრძნოთ ბედის თოჯინას,
მე ცხოვრებაში ბევრჯერ მსაჯა სულმა მაცთუნმა,
მაგრამ ჩემს სიტყვას არსად მაინც არ გადავსულვარ,
დღეს კი თქვენ უნდა დამეხმაროთ, — გთხოვთ თანამდები
ნაწილ-ნაწილად ჩაიბაროთ და განვადებით.
სხვაფრივ მთლად უნდა გავღატაკდე — სულს გეფიცებით,
ვალს ვერ აუვა მთელი ჩვენი გვარის მიწებიც".
სწავლულმა მშვიდად მოუსმინა, მერე ყმაწვილკაცს
ჰკითხა, თუ მასთან ხომ არ შერცხვა, ხომ არ გაწბილდა,
პირობისამებრ ყოველივე ხომ აღასრულა.
— დიახო, პაჟმაც, რა თქმა უნდა, დაუდასტურა.
— თუ აღასრულა, ხომ ეწია იგი საწადელს,
— არაო, პაჟმა, თქვენ ამის თქმა აღარ მაცალეთ, —

და დაწვრილებით მოახსენა მენცარს ყოველი,
რაც თქვენ უწყით და ჰსაჯეთ ჩემთან ერთად რომელიც.
არ დაუკლია არც რაინდის ხოტბა-დიდება
და სულსწრაფობა თვისი ბევრჯერ დაჰგმო კიდევაც,
წმინდანად რაცხა დორიგენე — ქმრისთვის ღალატი
იქნებოდაო სატანჯველი მისთვის მარადი
და სხვა მრავალი... სიყვარული თვისი რატომღაც
დაუფიქრებლად შემფიცაო მე ქალბატონმა.
„...ისე დამრია ხელი მისმა საცოდაობამ,
რომ სრულად ვიგრძენ ფიქრთა ფუჭთა და ამაოთა
მთელი სიბილწე... დავუყვავე ქალს, დავუტკბი და,
რაღა თქმა უნდა, გავაბრუნე უკან უთქმელად".
„ძმაო, სულგრძელად მოქცეულხარ, — მაშინ მენცარმა
გული გაშალა და საუბრის ტონი შეცვალა, —
და ნურც ყოფილა, ქრისტეს ჯვარო, წმინდა დედაო,
სულგრძელობაში პაჟს სწავლული ვერ შეედავოს!
— ეგ ვალი სრულად შემინდვია! ამიერიდან
მე გროში შენგან არც ეხლა და არც მერე მინდა!
ვალი დაფარე სულგრძელობით და უბიწობით,
ისე ჩათვალე, თითქოს ერთურთს არც კი ვიცნობდით!
გმადლობთ, ყოველი რომ სიკეთით და ღვთით დამთავრდა".
— ეს თქვა, მოახტა ცხენს და წუთში გაჰქრა თვალთაგან.
მე მხოლოდ ერთი რამ მსურს გკითხოთ—სხვათა უფრორე
ვინ მოგეწონათ? სათნოებას და მიუწვდომელ
სიკეთეს უფრო ვინ ესწრაფვის? — მხოლოდ ამგვარის
შეკითხვით მინდა დავასრულო ესე ამბავი.

აქა დასასრული ვასალის ამბისა

მეოცე მონაზვნის ამბავი

ბქა დასაწყისი მეორე მონაზვნის ამბისა

დედა ყოველი ბოროტების — ადამის მოდგმამ
უქნარობა და მცონარობა რომელს უწოდა —
მიდრიკავს მუდამ ეშმაკეულ გზებისკენ მოკვდავს
და უკან მხოლოდ ის ბრუნდება გზათა უცხოთა,
რუდუნებითა ოდენ დაშვრა ვინც დაუცხრომლად.
— მიწყივ ძალვითა და სიფხიზლით კაცს ჭეშმარიტად
დაუთრგუნავს და შეუმუსრავს ცდა ეშმაკისა.

ათასი ხრიკით და ხვანჯებით მავნე ნიადაგ
ხლართავს კაცის სულს და ყოველწამს წვრილ-წვრილად
ბორკავს
და თუკი ოდნავ წაუყრუა ადამიანმა,
დაიბურდება ქსელები და იკვრება მორგვად,
ხოლო სულს უფრო ბინდავს მერმე ოხვრა და ბღერგვნა
და კაცი იგი უნუგეშო და უსასოო
ბრმადღა მიჰყვება ამ უკუღმართ გზებს უსასრულოდ.

გონება გვამცნობს — გვამს ყოველი მანკიერება
მცონარებით და უქნარობით დაუფლებია.
სულის სინათლეს მხოლოდ მისი ბანგი ერევა
და სულის გარე ხორცი იწყებს თნევას ნებივრად,
ეჩვევა მხოლოდ თავის პატივს და ცხოვრებიდან
მარტო სარგებელს თუ ეძიებს გაქსუებული,
რამეთუ სხვისი მონაგარი თვისად ეგულვის.

რაკიღა მწადის განვერიდო მის მეუფებას,
დღენიადაგ რომ უფსკრულისკენ მდევნის უცილოდ,
ვთქვი, ცეცილიავ, მოდი, ჩემთა ძმათაც გულწრფელად
ვაუწყო შენი წამებანი და ვით უძირო
ზღვას სიწმინდისას, შენს ცხოვრებას მათაც უცქირონ,
გვირგვინად გედგა, მოწამეო, ვარდი და დაფნა
და შენივ ფეხით მიეახლე საკუთარ საფლავს.

ლოცვა ღვთისმშობლისადმი

შენ გვედრი, ქალწულთ სიქალწულევ, დედაო ღვთისავ,
თვინიერ რომლის არ ეგების სასო ხორციელს,
გამოაფხიზლე სული ჩემი, მავალი სიზმრად,
აუდგი ენა და ნათელთან დააქორწილე,
რათა ჩვენს შორის კელავ განცხადდეს და გამობრწყინდეს
მოწამება და მარტვილობა წმინდა დედოფლის
კურთხევითა და შენდობითა შენის დედობის.

წყალობა ღმრთისა გარდმოვიდა, ქალწულო, შენგნით
და კაცთა შორის მხოლოდ შენით დაისადგურა,
შენ დაუბრუნე პირველყოფის და პირველშექმნის
დიდება კაცს და შენით შესძლო ცოდვის დათრგუნვა.
და გვამი ჩვენი ნაშენები მაღლივ ტაძრულად
იქამდე ჰზიდე და ამაღლე, რომ მშვენიერთა
უფალმა თვითონ შეინივთა და შეიერთა.

და მარადისმა სიყვარულმა შენის სხეულით
მიიღო, დედავ კურთხეულო, ჩვენი სახება,
ჩვენი ხორცი აქვს ეხლა იმას და ჩვენეული
სისხლი ჩქეფს მასში და ძე კაცის ჰქვია სახელად,
აწ და მარადის მის აღდგომას და ამაღლებას
ჰმორჩილებს სული ყოვლისა და ნივთი მყოვარი,
იგია ეხლა ყოვლის მეფე და მაცხოვარი.

სიმაღლე სულის შეაერთე ისეთ სიკეთეს
და ეზიარე იმ სრულყოფას და აღმატებას,

რომ შეიბრალე, შეივრდომე და შეიკედლე
არ თუ ის მხოლოდ, შენს სიწმინდეს ვინც ღაღადებდა
და სიკეთისკენ გზას იკვლევდა დაუხმარებლად,
არამედ ისიც, ვინც გძრახავდა მუდამ აუგად
და სიმართლესაც, ცოტას გაწყდა, არ გადაუდგა,

მეოხმეყავი ობლად შთენილს უდაბნოთ შორის
და გაიხსენე ქანაანელ ქალის ნათქვამი,
რომ ძაღლნი მხოლოდ დაძახებას ელიან შორით
და ძღება უფალთ ნასუფრალით ყველა მათგანი,
ცოდვილს და ძლეულს სასმენელი მეც მომაპყარი
და ლტოლვა ჩემი და უდრეკი რწმენა შენდამი
მიქციე ოდენ გულოვნებად და ჯვრად შეჰკარი.

რათა არ მოკვდეს რწმენა უქმი და უმოქმედო,
მომმადლე ძალა აღსრულებად ასეთი გარჯის,
რომ სული ჩემი წკვარამსა და ბნელს ამოვკვეთო
და სიტყვამ ჩემმა გამოისხას სინათლის ვარჯი
და იქ მეშველოს თვალისმომჭრელ კაშკაშით დაჭრილს,
სად ღვთის დიდებად, ერთად ყველა ძმებთან და დებთან,
საგალობელი მეც უნდა ვთქვა, წმინდაო დედავ.

ციური ნამი ჩამაწურე ავადმყოფ სულში,
გვამის ცივსა და ბნელ დილეგში რომ დამწყვდეულა
და აუვსია ეს ქვეყანა ოხვრით და უშით;
ხორცის ხურვებით, სისხლის ვნებით მუდამ ძლეულმა,
ფრთები, რომელიც სიყრმის აქეთ არ შერხეულა,
კიდევ გაშალოს და ჩვეული შეკრას ირაო
და კვლავ შენს ნათელ გუმბათებში დაიბინაოს.

ჩემთა მკითხველთა მომიტევონ, თუ პოეტურად
ვერ შევამკე და ვერ გამოვთქვი ესე ამბავი,
მაგრამ რაკიღა სიზუსტისთვის უნდა მეზრუნა,
გზას ამიქცევდა კაზმულობა სხვადასხვაგვარი.
— მე მხოლოდ იმას მოგიყვებით, რაც დასაბამით
შემოგვინახეს ლეგენდებმა დიდი წმინდანის
მოწამეობა და ცხოვრება ეგევითარი.

იმთავიდანვე ჯერ არს ავხსნათ წმინდა ქალწულის
სახელი იგი „ცეცილია“, რაც ჩვენს ენაზე
„ციურ შროშანად“ ითარგმნების — ვით განძარცული
სული ყოველი მიწიერით ცის ნათებასებრ
და ისე თეთრი, ვით უბიწო თოელი მწვერვალზე —
განგებით დასტურ წოდებული მისი სახელი,
მისი არსის და მისი სულის გამომსახველი.

მაგრამ ის კიდევ იკითხება ვით „გზა ბრმათათვის“,
რამეთუ ბედი შეაბრუნა ღმრთისკენ მრავალთა,
ან კიდევ სხვაფრივ — „ციდან“ სიტყვა ბოლოს გადადის
„ლია“-ში, რაიც, გამიგია ხშირად თავადაც,
კეთილის ლტოლვად აუხსნიათ ბრძენთა მავანთა —
და რარიგადაც არ შეცვალო, იგი უცილოდ
ან კეთილს, ან ცის სილაჟვარდეს ნიშნავს უძიროს.

ანდა ეგების მისი წმინდა სახელი ნიშნავს
დაუბრმავებელ თვალთახედვას, ბრძნულის და მართლის:
ბრძნული ხომ მისგან ჭეშმარიტად მრავალგზის იშვა,
და თვალთაც მისთა ძალა ჰქონდათ მზის სხივის ფარდი.
მაგრამ ვიეთი ბოლო მარცვალს თუ „ლეოს“-ს ადრის
რაიც „ხალხს“ ნიშნავს, მაშინ იგი „ხალხის ზეცაა“,
ზეცა, რომელიც ხალხს სწყუროდა და ხალხს ეწადა.

ცაში მთვარე და ვარსკვლავები იგულისხმება,
მზე, სხივი მისი და ცისფერი უსაზღვროება
და სულიც მისი ისე ღრმა და წმინდა ისეა,
ვით ცა და სხივიც მისი სულით ისე იღვრება,
ვით მზით და სულიც მისი სწორედ ის სიმღერაა,
ვარსკვლავები რომ უმღერიან ცათა სფეროთა
უცხოდ, მდუმარედ, სანუკვარად, ათასფეროვნად.

და როგორც ცაში არს ძრაობა გრიგალისებრი
და მხოლოდ ცეცხლის მგზნებარება უყვართ მნათობებს,
მის წმინდა სულსაც ლტოლვა ჰქონდა ოდენ ისეთი
და, მიწიერი აღტყინვის და წვის უარმყოფელს,

ციური ცეცხლი შეეკრიბა სულში მარტოდენ,
ყოვლის სიტლანქის შემმუსვრელი და დამლახვრელი
— აი ახსნა და განმარტება მისი სახელის!

ერთ კეთილ სახლში, ქალაქ რომში, ცეცხლის პირ მჯდარმა
შეიგრძნო თურმე ცეციილიამ ღვთიური მადლი:
ის სახარებას კითხულობდა და უცბად ჭარბად
ჩაუდგა სითბო და გონება ცვილისებრ გადნა
და აზრი მთელი ცხოვრებისა იხილა ნათლად.
მაშინ მუხლმოყრით ღმერთს შესთხოვა, რომ ამა სოფლად
სიწმინდე სურდა და სიკვდიმდე ქალწულად ყოფნა.

ხოლო როდესაც მოაწია სიმწიფის ჟამმა
და საქმროც ჯვარის დასაწერად ეახლა ტაძრად,
(მას ვალერიანს უწოდებდნენ) კურთხეულ დამან
ჯერ შიშველ ტანზე გადაიცვა მონაზვნის ძაძა
და მერე მდიდრულ საქორწილო სამოსელს დაწვდა, —
თითქოსდა სული გაღმით დარჩა, გვამი გამოღმა,
მაგრამ გაიჭრა სული ცად და გვამიც გამოჰყვა.

და ჯვრის წერისას სხვა დასთქვა და სხვა იგულისხმა,
ვით კარნახობდა ჭეშმარიტი ბედის მწერალი:
„მოვედ ჯვარცმულის, სატრფოს ჩემის სიყვარულისად
და ჩემს სიწმინდეს ვერ ხელყოფდეს ქვეყნად ვერავინ —
ვერც მანქანება მაცთურის და ზაკვა ვერაგის“.
ნამარხულევი სულის ლოცვა ცის თაღებს შესწვდა
და აჯა მისი შეისმინეს ზენარ და ზესთა.

ხოლო როს ღამით განმარტოვდნენ ჯვარდაწერილნი,
ასე მიმართა ცეციილიამ ქმარს სარეცელთან:
„მე, საყვარელო, სხვა ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი,
სხვა მაქვს ბედის გზაც და უმისოდ ვერ გამეძლება,
ცხოვრებას ჩემსას ცა ფარად ჰყვა, ღმერთი — შეწევნად.
და თუ არ აქცევ სხვათა ბჭობად და საკამათოდ,
მე ერთი დიდი საიდუმლო მინდა გაგანდო“.

მაშინ მუხლმოყრით შემოჰფიცა ვალერიანმა,
რომ ამ ამბავზე სიტყვასაც კი არსად დასძრავდა
და მისი შემწე იქნებოდა იგი ნიადაგ. —
ხოლო თქვა ქალმა — „საკმეველი, აიაზმა და
მური აჩნდება ჩემს ნაკვალევს და ცის საზღვართან
დღედაღამ დგას და მიდარაჯებს ციურ ეროსით
შთაგონებული სხივოსანი ღვთის ანგელოსი.

საკმარისია, მან უხორცომ შენი ჩემდამი
შენიშნოს ვნება მიწიერი, რომ მეუსეულად
მოგიშთოს გული, ხოლო თუკი სული ნეტარი
იწამებს წმინდა შეუღლებას არა სხეულთა,
არამედ სულთა, შენაც გრაცხოს მაშინ რჩეულად,
შეგიდგეს მხარში, დაგაშენოს თავს დამბადებლის
უხრწნადი სხივი და ულპობი ჯვარის ნათელი“.

განცვიფრებულმა და დამფრთხალმა მეუღლემ მისმა,
განგების ძალით, წმინდა ქალწულს ასე მიმართა:
„ვერ ვერწმუნები შენს ნაუბარს, ცხადად თუ სიზმრად,
უკეთუ თვითონ ანგელოსმა არ განმიმარტა, —
შენს სიტყვას მხოლოდ უხორცო თუ აქცევს სიმართლედ,
და თუ სხვას ჰყვარობ, მაშინ თვითონ მე ვიქმ სამართალს
— იმავ დღეს მოგკლავ და სატრფოსაც თავზე დაგაკლავ“.

„მალე იხილავ ანგელოზს და მოგეახლება
მაცხოვრის ჯვარიც, — დაამშვიდა მეუღლემ ქმარი, —
აიას გზაზე სამი მილი განვლე ახლავე,
ბნელ მიწურებში იმდენს ნახავ გლახაკს და ღარიბს,
მათ ღრიჭო კედლებს რაოდენმცა ანათებს მკვარი —
მიდი სახელით ღმერთისა და კაცის უფლებით
და რასაც გეტყვი, მოახსენე იმათ უკლებლივ.

უთხარი რომ მე გამოგგზავნე და რომ უბედურს
სიტყვა და შველა გეჭირვება წმინდა ურბანის,
რომ გსურს სიმართლის გზას დაადგე დასტურ, უკეთუ
ასე ინებებს უპოვართ და გლახაკთ უფალი —
და როცა განგწმენდს მისი სიტყვა და ნაუბარი,
მოგევლინება ანგელოსიც — და გიფარავდეს
პატიოსანი ჯვარი უფლის აწ და მარადის!“

ვალერიანი გზას გაუდგა და სისხამ დილით
დაბალ მიწურებს მიაღწია, სად საფლავთ შორის
ნეტარ წმინდანთა ნახა ერთი მოხუცი ტკბილი,
რომელმაც ჯერეთ მოუსმინა და მერე თრთოლვით
ზეცისკენ ხელი აღავლინა კურთხევად ორივ
და უპოვართა და გლახაკთა შემწე უფალთან
ცრემლიანი ხმით ისაუბრა წმინდა ურბანმა:

„უფალო ჩემო უტკბილესო, იესო ქრისტე,
მაცხოვარო და ჭეშმარიტო დიდებავ კაცთა,
წარმართე ყველა ტანჯულთ გზა და ცხოვრება ღმრთისკენ
და აღაშენე სული მათი უწმინდეს ტაძრად —
ნაყოფი იგი მშვენიერი მომწიფდა აწღა
ძელისა, სულში დაინერგა, უფალი, რაიც,
მონისა შენის, მხევლის ღვთისა და ჩვენი დაის.

მეუღლემ მისმა, ვალერიან, ვინც აქომამდის
დაჭრილ მხეცივით მტრობდა ერთად ნივთს და სულიერს,
გაახლა გული ვით ზვარაკი და ვით ნობათი...
დადრიკა თავი და მონობა შენი სწყურია“.
და ამ დროს ვინმე ბერი ერთი, თეთრი სრულიად,
ერთიან ნათლით შემოსილი გარე და შიგნი,
დადგა მათ წინ და გარდაშალა უცხო რამ წიგნი.

აქ მეყსეულად ყმა დაბნდა და მოეჭრა თვალნი,
ხოლო როდესაც გონს მოეგო, მას თეთრსანმა
გააცნო წიგნის უმთავრესი ანი და ბანი,
ვით ღაღადისი ყოველ ქმნილთა და ვით ოსანა:
ერთია ღმერთი უღმერთოთა და ღვთისმოსავთა,
ერთია აღთქმაც და ერთი ჰყავთ მწყემსი კეთილი!“
— თავს ესე აზრი დააშენა ნათლის სვეტივით.

და მერე ჰკითხა: „გწამს თუ არა, რაც აქ სწერია?“
„მწამს ჭეშმარიტად, — უპასუხა ვალერიანმა, —
რამეთუ მასთან სხვა სიტყვები ოდენ მტვერია,
რამეთუ ქვეყნის აზრს მოიცავს იგი მთლიანად“. —

და გაჰქრა ბერი, რა ყმა იგი ღმერთს ეზიარა,
მაშინ კი ყოვლად კურთხეულმა წმინდა ურბანმა
მონათლა ყმა და მრავალი რამ სხვაც განუმარტა.

შუადღე იყო, შინ როდესაც ვალერიანი
ცოლთან დაბრუნდა—კარის ზღურბლთან მეუღლის გვერდით
შროშნებით ხელში ანგელოსი იდგა ფრთიანი,
როგორც წყვდიადში ანთებული სანთელი კენტი,
— ჯვარდაწერილებს ყვავილები მიართვა თეთრი,
მერე გვერდი-გვერდ დაუყენა ერთურთს ორივე
და რქვა ციური ქორწინების დიდმა მორიგემ:

„ამ შროშნებს უნდა გაუფრთხილდეთ — ნურც სხეულს
თქვენსას
და ნურც სულს ნუღარ მიეახლოს მწიკვლი და ზადი,
მათ ვერ დააჭკნობს ყამთა სრბოლა — პირველქმნის დღესა
სამოთხის ბაღში აღმოცენდა ყლორტები მათი,
ვით უბიწობის და სიწმინდის უზადო ხატი.
და მოკვდავთაგან მათი ხილვა მას ძალუძს მხოლოდ,
ვინც სხეულს სძლია და ყოველ იჭვს მოუღო ბოლო.

შენ, ვალერიან, ვინც ღვთის სიტყვას განუღე გული,
თქვი, რა სურვილი შეგიფარავს მაგ გულსა შიგან?“
—„მე ერთი რამ მსურს ჭეშმარიტად, ერთი რამ მწყურის—
რაგვარმა სიტყვამ მე განმწმინდა, ჩემს ძმასაც იმგვარ
სიტყვის მიჰმადლდეს ყურად ღება და სულის მირქმა —
მე ძლიერ მიყვარს ძმაი ჩემი და გულით მინდა,
რომ მასაც ჩემებრ მიეახლოს ნათელი წმინდა“.

ხოლო ასე რქვა ანგელოსმა: „ორივ თქვენგანი
იხილავთ ცათა სასუფეველს და მოწამების
და სალმობის წილ გაგეხსნებათ ცათა ზეკარი“.
და მეყსეულად მათ წინ მშვიდი და უზაკველი
ტიბურციუსი, ძმაი მისი, დგა მოკრძალებით
განრინებული და ნეტარი ალბათ უებარ
და უცხო ყვავილთ სურნელება თუ აბრუებდა.

„მიკვირს, წლის ამ დროს, — თქვა ჩურჩულით, — რა ძალა ჰბადებს
ეგოდენ უტკბეს სურნელებას შროშნის და ვარდის —
როს ჩემის ხელით ვკრეფდი ხოლმე მაისის ვარდებს,
ასე არასდროს არ მიგვრძნია სიცოცხლე მათი, —
თითქოსდა ყველა გაზაფხულის ღვთიური მადლი
დაღვრილა ირგვლივ სულის ტკბობად და საამებლად
და მე მარადი სიჭაბუკის ძალაც შთამბერა“.

„ჩვენ ხელთ გვიპყრია ეგ ყვავილნი, — იყო პასუხად, —
და თუმც სურნელი მათი ატკბობს, ხილვა ყვავილთა
ვერ ძალუძს მაინც ადამიანს, თუკი აცთუნა
გვამმა მისმა და ანგარებამ თუკი დაბნიდა.
— სულის გზა, ძმაო, სულ სხვა იყო დასაბამიდან,
ხოლო ვისაც სურს ჭვრეტდეს ნათლივ ციურ ყვავილებს,
ის ღმრთისკენ სულის აღმართებით უნდა ავიდეს“.

ტიბურციუსი გონს მოეგო: „მითხარი, ძმაო,
შენს ხმას, ბედკრული, სიზმრად ვისმენ, თუ მართლა ცხადლივ?“
— „სიზმრად, — მიუგო ძმამ, — რამეთუ ეკუთვნი ქაოსს
და განაღვიძებს სულს მარტოდენ ღვთიური მადლი“.
— „რა ვქნა, არ მესმის ეგ სიტყვები და აზრი მათი“, —
ტიბურციუსმა უთხრა ძმას და ვალერიანმაც
პასუხი იგი საწყალს აღარ დაუგვიანა:

„მე ანგელოსმა დამანახა გზა ჭეშმარიტი,
რომელსაც მხოლოდ ის მიჰყვება ყველა კაცთაგან,
ქვის უსიცოცხლო კერპებს თვისგან ვინც განარიდებს“.
(შროშნის და ვარდის თაიგული მრავალნაცადმა
წმინდა ამბროსიმ ციურ ტრფობის ნიშნად რაცხა და,
როგორც თქვენ უწყით, წიგნშიც ითქვა ამის შესახებ
და დარჩა ესე წესი მერე წმინდა წესადვე).

ამ ყვავილთ ღირსი მაშინ გახდა წმინდანი ქალიც,
როცა გვამს სძლია და მიწიერს მით აღემატა

და გვამი იქცა მონად სულის და მისი მგვანი
და განიწმინდა ის იმდენად, გვამს რამდენადაც
დასწვდა ჭდე ცათა სახებათა და ხატებათა.
მაშინ მას ორი თაიგული არგუნა ბედმა:
ვარდის სისხლისფრად მოელვარე, შროშანი — თეთრად.

მან მერე ქმარიც მოაქცია და ძმაი მისიც
და სიწმინდე და უბიწობა წმინდანის ირგვლივ
ვით სურნელება ყვავილისა, განივრცო ისე.
ტიბურციუსს კი მხოლოდ მაშინ მოსცილდა მწიკვლი,
როცა კერპები ჯერ მან სულში დალეწა შიგნით
და მერე გარეთ იგრძნო მათი ამაოება,
მის უმეცარ და უმწეო სულს რომ იმონებდა.

„მხოლოდ პირუტყვი, მხოლოდ მონა ჰმორჩილებს კერპებს“, —
უთხრა ყმაწვილმა ცეცილიას, ხოლო წმინდანმა
დალოცა ის და თავი თვისი მიადო მკერდზე
და მოწიწებით ეამბორა გულზე, ვითარმედ
ეძმო ქრისტეში უკუნითი უკუნისამდე.
და ასე იდგა კარგა ხანი ყმაწვილთან უბრად,
მერე თვალებში ჩააცქერდა და წყნარად უთხრა:

„ვითარცა შენს ძმას ნებით ღმრთისა ვექმენ მეუღლედ
და ჯვარი მასთან გადამწერა ვითარცა ცაში,
ასე გვაქცია დღეს ჩვენ და-ძმად ცათა მეუფემ,
ხოლო ზეცაში გარდაწყვეტილს ამ ღვთიურ კავშირს
ვერც იქ, ვერც ქვეყნად, ვერც ქვესკნელში ვერარა დაშლის.
— მიეცი აღთქმა სიწმინდისა შენს წმინდა მფარველს,
მოინათლე და ანგელოსსაც იხილავ მალე“.

„ვისთან მივიდე, ვის მივმართო? — ჰკითხა ყმაწვილმა,
ძმამ უპასუხა — „მე მიგიყვან წმინდა მოძღვართან,
ვინც მე მომნათლა, ტიბურციუს, და ვინც განმწმინდა,
მას წმინდა ურბანს ეძახიან, მისთა ლოცვათა
შენც განგაღვიძონ, შენც განგკურნონ სულით ხორცამდე“.

„რას ამბობ წმინდა ურბანიო?“—თითქოს ყმაწვილკაცს
რაღაც უცხო რამ ჩაესმაო, ისე განცვიფრდა.

„ნუთუ იმ კაცზე ლაპარაკობს, ვისაც მრავალგზის
სიკვდილით დასჯა გარდუწყვიტეს? იგი ხომ ეხლაც
ბნელ მღვიმეებში იმალება, როგორც ავაზა
და არვინ უწყის ალბათ მისი გზა-კვალი ქვეყნად.
— მაგრამ პრეფექტის მოხელეებს თუ სადმე შეხვდა,
ხომ იცით, ვეღარ გადურჩება კოცონზე დაწვას
და მასთან ერთად მის მომხრეთაც დასჯიან მკაცრად.

ჩვენ, ცაში ღმერთის მაძიებელთ, მიწაზე, დაბლა,
ცეცხლი შეგვმუსრავს, ცეცხლი გვაქცევს მტვარტლად და
ფერფლად“.
მაგრამ აქ წმინდა ცეცილიამ ურიდად ჰკადრა:
„როდესაც ერთი და მთლიანი სამყარო შეჰქმნა,
გზა მიწიერი ერთადერთად არ რაცხა ღმერთმა.
— თვინიერ მიწის, ულმობელის და ამ ნაძრახი
ცხოვრების მიღმა, სხვაც არსებობს ბედი კაცთათვის.

არსებობს უფრო სრულყოფილი და უფრო სავსე
ცხოვრება, ღრმა და უსასრულო, ზღვაი ვითარცა,
ძემ ღმრთისამ, ქრისტემ, დაგვაყენა ჭეშმარიტ გზაზე,
ჩვენდა მხსნელად რომ მოგვივლინა ქვეყნად თვითარსმა,
და სულის წიაღ დაგვაუღლა მარად სიტყვასთან,
ხოლო ამ ნების აღსრულებად ადამიანთა
ეძლევათ ზეცით სული წმინდის ძალა ნიადაგ.

მაცხოვრის ჯვარმა გვაზიარა ამ უკვდავებას,
დამმარცხებელმა სიკვდილისა და დამთრგუნველმა“.
„მე ის ვიცოდი, — თქვა ყმაწვილმა, — ქვეყნად ღვთაება,
ვითარცა ყოვლის შემოქმედი, ერთი სუფევდა,
ეხლა კი უცბად დაი ჩემი სამს მეუბნება:
თვითარსი სული — მამაღმერთი, ძე მისი — ქრისტე
და სული წმინდა, — ან რა გზები მიდიან ღმრთისკენ?“

მაშინ წმინდანმა უპასუხა: „ვით სულს კაცისას
ძალუძს შეგრძნება, აზროვნება და ნებელობა,
ასევე ღმერთსაც სამი სახე აქვს სამ საწყისად“ —
და ნათქვამს მისას შუქი მეტი რომ მოჰფენოდა,
არ დაუკლია მაგალითი, სჯა და მცდელობა.
მერე გააცნო ქრისტეს რჯული და აღთქმა მისი,
უამბო მთელი ცხოვრება და აუხსნა ისიც,

რომ წარწყმედილი და ძლეული ადამის მოდგმა
ძემ ღრმთისამ თვისი სიკვდილით და აღდგომით იხსნა,
ქვეყნის შვება და ხსნა კაცისა რომ უკვე მოხდა,
და რომ აწ უკვე დარჩენია თვითეულს ისღა,
იწამოს ქრისტე და წილიდოს მაცხოვრის სისხლთან.
— მაშინ ყმაწვილმა გადასწყვიტა ურბანთან წასვლა
და გზას დაადგა ერთად თავის საყვრელ ძმასთან.

წმინდა ურბანმა აღავლინა ლოცვა ღმრთისადმი,
დაადგა ჯვარი და ასხურა თავს აიაზმა
და მეყსეულად ყმამ შეიცნა სულის მიზანი
და მთელი თვისი მიწიერი გზა გაიაზრა
ვიდრე წამებულ სიკვდილამდე, — და აი ასე
შეერთო ქრისტეს და იწამა სამება ღმერთის,
ცა გაეხსნა და ანგელოსი იხილა გვერდით.

ღმერთმა მათ კიდევ სხვა მრავალი ნიშნი აუწყა, —
ვერ ჩამოთვლიდეს ვერასოდეს ენა კაცისა
იმა საქმეთა, საოცრებათ და სასწაულთა.
მაგრამ დღე ერთი გაუთენდათ იმათ ძაძისფრად,
და შეპყრობილნი წარუდგინეს მაშინ ასისთავს,
და თვით პრეფექტმა, ვინც სიბილწით და სიგლახითა
ცნობილი იყო მთელს ქალაქში, მრევლი დაკითხა.

და ბოლოს ბრძანა: „ვინც არ სწირავს მსხვერპლს ჩვენს
ღვთაებას,
დღესვე მოკვდება“, — ბრძანა მან და აღარ გადათქვა,
თვის მდივანს უთხრა ამ საქმისთვის თავი დაედგა,
წაესხა მრევლი რომაელთა ღმერთის ქანდაკთან

და ის, რომელიც უარყოფდა ოველ წეს-ადათთა,
ბოეკლათ. — კაცი სულკეთილი გახლდათ მდივანი
და გულს დააჩნდა სიტყვა ესე ვით სატკივარი.

ხოლო როდესაც მან წმინდანთა სიტყვა ისმინა,
მსწრაფლ განარიდა მოწამენი ჯალათთა მახვილს,
შინ მოიწვია მთელი მრევლი და ხალისითა
და სიამითა დაიმშვენა თავისი სახლი,
თითქოს ციური მოეფინა ნათელი მაღლით, —
ღვთიური სიტყვით განიწმინდა მთელი ჯალაბი
და ცრემლებს ვეღარ იმაგრებდნენ თვითონ ჯალათნიც.

მაქსიმეს ბინას — ასე ერქვა მდივანს პრეფექტის,
მამებთან ერთად ცეცილიაც ეწვია ღამით,
დალოცა ძმები წმინდანმა და მთელი სვე-ბედი
და გზა ცხოვრების გაუნათლა ვითარცა წამი —
„მძლეავარი ჯვარი მაცხოვრისა გფარვიდეთ, ამინ! —
შეიბით ნათლის მახვილი და უარჰყავთ ბნელი,
რაინდებს წმინდა სამსხვერპლოზე უფალი გელით.

თქვენს გამარჯვებას ანგელოსნი გალობენ ცაში,
ვარდის და შროშნის თაიგულნი დაიძრნენ თქვენსკენ“, —
და როცა ჯვარი გარდასახა წმინდანმა, მაშინ
მტარვალნიც მოსკდნენ, თითქოს პირი მოერღვა ქვესკნელს, —
რიცხვი იმათი იყო თურმე მრავალი ესდენ!
— ლეგიონერი დაუყენეს თვითეულს მცველად
და ასე მთავარ მოედანთან მირეკეს ყველა.

არცერთმა არ სცა მოწამეთგან თაყვანი კერპებს
და არცა მსხვერპლი შეუწირავთ, — მუხლმოყრით იდგნენ
უსიტყვონი და მდუმარენი, და გულში ეგრე
ჭეშმარიტ ღმერთთან საუბრობდნენ და ჭვრეტდნენ სიბრძნეს
სიკვდილისა და სიცოცხლისა იქამდე, ვიდრე
არ დაეკარგათ მოთმინება მათ მცველთ და ჯალათთ
და ვიდრე მერე არ აკაფეს ვითარცა ჩალა.

მერე მაქსიმე უყვებოდა რომში მორწმუნეთ,
თუ ვით იხილა სულნი მათი ცისკენ მავალი
და მის სიტყვაზე, როგორც ირემს წყალი მოსწყურდეს,
ქრისტეს რჯულს ისე დაეწაფა ხალხი მრავალი —
მოხუცებული თუ ჭაბუკი, ყმა თუ მთავარი,
მეორე დღეს კი თვითონ გახდა მსხვერპლი ჯალათის,
გასცდა საწუთროს და წილიყო ყოფა მარადი.

მაქსიმეს გვამი ცეცილიამ დამარხა თვითონ,
სად მეუღლისა და მისი ძმის იყო საფლავი —
შროშნის და ვარდის თაიგულებს ქალწულმა თითქოს
შეურია და შეუზავა სუნი დაფნარის.
მერე წმინდანსაც სწვდა პრეფექტის ხელი მსახვრალი —
ისიც აწვიეს ქვის კერპებთან იმავ მოედანს,
მათი რწმენა და ერთგულება რომ გამოეთქვა.

და სიტყვა მისი რა ესმოდათ ცენტურიონთა,
ლეგიონერთა, ჯალათთა და სხვათა მსახურთა,
თვითეულს მწარე სინანულის ცრემლი სდიოდა,
მაცხოვრის ჯვარი თითო-თითომ მიისაკუთრა
და ქალწულს ყველამ ერთგულების ფიცი აღუთქვა —
„ქრისტეა ღმერთი ჭეშმარიტი — თავისი ჯვარცმით,
აღდგომითა და ამაღლებით მან იხსნას კაცი“.

მაშინ პრეფექტი ალმაქიოს მოიხმობს წმინდანს,
და როს პალატში წარუდგენენ, ქალივით ჰკივის:
„ვინა ხარ, რა ხარ, საიდან ხარ, რა სისხლი გიდგას?“
— „პატრიციელი — წარმოშობით, ამჟამად ქვრივი“.
— „არა, მე მაგას არ ვკითხულობ — რა ღმერთი გივის,
ვისა სცემ თაყვანს, რწმენა შენი საიდან მოდის?“
— ასეთი კითხვა დაუყენა პრეფექტმა „ცოდვილს“.

„თქვენ არ გადარდებთ ჩემი რწმენა — თქვენ ის გაოცებთ,
რად უარვყავი ქვის კერპები, მაგრამ ამ ქვეყნად
კაცი ცოცხალი ვერ იცხოვრებს სასაფლაოზე

და მონურ შიშით ლაღი სული არ უნდა შერყვნალ".
გაშრა პრეფექტი: „შე ურჯულოვ, რომელმა ღმერთმა
გაგწირა ასე და შეგშალა?" — ხოლო წმინდანმა:
„რწმენა მაცხოვრის ჯვრით მეძლევა, ძალა — ციდანა".

„პრეფექტის ძალას აღარ უფრთხი?" — „მას, ეისაც ღმერთმა
მადლი სცხო, ვეღარ შეაშინებს ძალა მეფეთა,
სასაცილო ჩანს სიდიადე კაცისა მეტად,
მეტადრე ქვეყნის მბრძანებელთა და განმგებელთა,
კაცს ისევ ღმერთი მოავლინებს ქვეყნად პრეფექტად —
და ეს ქვეყანაც ღმერთის თვალში ამპარტავანთა
და მზვაობართა ქედმაღლობით დაპატარავდა".

— „ნუ ჭირვეულობ, უბედურო, მრუდ გზაზე დგახარ,
ყველა ქრისტიანს უცილობლად სიკვდილი ელის
და ახლა აღარც ჯვარი გიხსნის მისგან და აღარც
მეუფე შენი, მაგრამ თუ გსურს მსახვრალი ხელი
აგცდეს და თვითონ შენი თავის არ გახდე მკვლელი,
უნდა უარჰყო ქრისტეს რჯული და მცნება მისი
და ვინც თაყვანს სცემს ქრისტეს ჯვარს და მისი სწამს, ისიც".

— „თვითონ მეფეც კი ვერ ასცდება ქვეყნად ცდუნებას,
მაგრამ ქრისტიანთ უმიზეზოდ ებრძვით და სდევნით,
სისხლის ზღვა დადგა მოწამეთა და მორწმუნეთა
და უმიზეზოდ კიდევ წავა ამქვეყნით ბევრი,
მაგრამ უწყვეტლივ სულ იზრდება მაცხოვრის შრევლი.
ნუთუ ბრალს მარტო იმაში გვდებთ, რომ ყველა ჩვენგანს
ქრისტე უყვარს და მხოლოდ მისი ერთგული რჩება.

სულს გვირჩევნია მარტო მისი წმინდა სახელი".
ხოლო პრეფექტი უპასუხებს: „გეყოფა, კმარა,
ან მსხვერპლს შესწირავ რომის ღმერთებს, ანდა ახლავე
გამოეთხოვე შენს სიცოცხლეს — ამ ქვეყნად სხვა რამ
აღარ დაგიცავს, არ არსებობს ასეთი ძალა".
წმინდანს ბაგენი აუთრთოლდა და თავის მსახვრალს
კვლავინდებურად შეუპოვრად და მტკიცედ დახვდა:

„როგორ უარვყო სიწმინდე და პატიოსნება,
ქვეყნის სინდისი და ხატება სრულყოფილების,
მაშინ წყეულმა მთელი ჩემი დღე და მოსწრება
უნდა ვიტანჯო და ვეწამო დაუსრულებლივ,
— ამგვარ სიცოცხლეს ალბათ მტერსაც არ ვუსურვებდი,
თვითონ მაცთური ეშმა უნდა იყოს, რომელიც
ასე გულქვაა, კაცის მიმართ და ულმობელი".

„ხმა ჩაიკმინდე! — იღრიალა მაშინ პრეფექტმა. —
მე კაცთა ბედის ჭეშმარიტად ვარ გამგებელი,
უგუნურებმა არ უწყიან ისიც, ეგების,
რომ, რაკი პრეფექტს ეკითხება ქვეყნის სვე-ბედიც,
სიკვდილ-სიცოცხლეს უნდა სწყვეტდეს ისევ პრეფექტი.
— ჭკუას მოუხმე, სჯობს მორჩილი სახე მანახო,
და აწ განწირულს რაღა დაგრჩა ან საამაყო!"

— „სიამაყე და ქედმაღლობა კაცის მანკია,
მე არ ვამაყობ, მაგრამ რაკი ჭეშმარიტებას
არ სცნობ, გამოდის, რომ თვითონ ხარ დიდი ბაქია —
კაცის სიცოცხლის რომ შეგეძლოს ნერგვა კიდევაც,
მაშინ სიკვდილზე ლაპარაკიც გაგიჭირდება,
მაგრამ, ვაი რომ შ ნ კაცის კვლა ძალგიძს მარტოდენ
და მთელ სიცოცხლეს მხოლოდ ამ ბილწ საქმეს ანდომებ",

— „მაგრამ შენ სხვა გზა მაინც არ გაქვს — დაგვემორჩილე.
თაყვანი ეცი ჩვენს ღმერთებს და შესწირე მსხვერპლი.
(ისე, რაც რწმენას შეეხება, უფრო მომჭირნედ
უნდა ხარჯავდე სიბრძნესა და სიმართლეს ქვეყნის).
სანამ ვარსებობ, წინაპართ წესს ვერავინ შერყვნის.
— დაგვემორჩილე — ნაძრახ სიტყვას და მაგ სიფიცხეს.
ვფიცავარ ზეცას, რომ, ვითარცა ბრძენი, ვივიწყებ".

— „ჰოი, უგულო გამკითხველო, — უთხრა ქალწულმა. —
მთელი ეს ხანი, ჩვენ რომ ასე ცხარედ ვკამათობთ,
ფუჭად გავიდა, მეფის ტოლი ან რამ გაცთუნა,
რომ ცრუ აზრებმა, უმიზნოდ და უმისამართოდ
ნათქვამმა, ლამის მეც მაბრუა და მეც დამათრო —

კაცი, რომელიც აზრს ვერ ატანს თავის ნაუბარს,
რომის პრეფექტად ვერ ივარგებს, რაღა თქმა უნდა

ბრმა უნდა იყო, რომ გრანიტის უსულო კერპი
ღმერთად შერაცხო, უფრო მეტიც, ლენჩად ქცეულმა
მსხვერპლი შესწირო და დაემხო წინ მისთა ფერხთით.
— რაა ამ ქვაში საკვირველი და უჩვეულო,
ანდა ისეთი უებარი რა განსხეულდა?
— ტლანქი, და მუნჯი, უმოძრაო ცივი საგანი
დგას შენს წინაშე და ვითარ სცე კაცმა თაყვანი.

ამაზე მეტი უჭკუობა აღარც იქნება,
ანდა სირცხვილი კიდევ არის ამაზე მეტი?!
მონამაც იცის, დღეს კაცადაც რომ არ ითვლება,
რომ ცაში ჰგიეს უხილავი კაცთაგან ღმერთი —
თქვენ კი ძეგლებად დაგიდგიათ გრანიტის სვეტი,
მსხვერპლი მრავალი შეგიწირავთ და იმ უმაქნისთ
მთელ ქვეყანას და თქვენს საკუთარ თავსაც უმადლით".—

მაშინ განრისხდა ალმაქიოს და კარის მოძღვარს
უბრძანა ქალი მიეყვანა საკუთარ სახლში
და გახურებულ აბანოში დაეწვა ცოცხლად.
გაავარვარეს ქურა წითლად მცველებმა მაშინ
და როცა ჭერი აღარ ჩანდა ბურში და ალში,
უბრძანეს ცეცხლში ცოცხლად დაწვა რომის უნაზეს
ქალწულს და კარი რკინის რაზით გადაურაზეს.

ის ღამე თეთრად მიილია და დღეც დაღამდა
და ვერაფერი ვერ დააკლო კურთხეულს ცეცხლმა,
მაშინ კი პრეფექტს, სანამ თავის ჯალათს ნახავდა,
თითოეული წუთი ლამის წამებად ექცა,
ხოლო ჯალათს, თუ ჯალათია, რად უნდა ხვეწნა, —
მისი ხელობა კაცის კვლაა და იმ ურჯულოს
უნდა მოეკლა ეხლაც ქალი, ოღონდ უჩუმრად.

— სამჯერ მან ყელში გამოუსვა მახვილი ქალწულს
და ვერას გახდა, შეირცხვინა ტყვილად ხელობა,

ხოლო იმ ხანად წესი იყო, ურიგო არცთუ,
რომ თუ განწირულს სამჯერ თვითონ ბედი შველოდა,
არრა კაცს მაშინ არ ძალუძდა მეტი მცდელობა
და, მეყსეულად, დარჩენილმა სახტად ჯალათმა
მიაგდო ქალი უგონო და კარში გავარდა.

მაშინ წმინდანი მოიკითხეს ქრისტიანებმა,
მოუარეს და უპატრონეს, ერთერთმა მათგან
აკრიფა სისხლი მოწამეთა სათაყვანებლად.
სამმა დღემ კიდევ გაიარა — სულს შიგან სადღაც
მალულმა სამი ღამეც გასძლო ღვთიურმა მადლმა —
ლოცავდა ყველა თავისიანს და სიკვდილამდი
ქრისტეს სიყვარულს ასწავლიდა დიდი წმინდანი.

მესამე დღეს კი, როცა ყველა სიკეთე გასცა,
თავისი მრევლი ჩააბარა მან წმინდა ურბანს,
და უთხრა: ღმერთმა წყალი თვისი სამი დღე მასვა,
და სამი ჭრილი, სამი წყლული და სამი ურვა
იგი სამი დღე აიტანა მართ ჩემმა სულმა.
მათ შენ გაბარებ, ხოლო ჩემი სახლკარი, სადაც
ვიგრძენი ქრისტეს სიყვარული, მათ ექმნეს საყდრად".

დამარხეს იგი ურბანმა და მოწაფეთ მისთა,
ვითარ მეექვსე იყო ჟამი, — მტილოვან ადგილს
ბევრი ესვენა სხვა წმინდანიც. — ახლაც დღე-ცისმარ,
წმინდა საფლავთან მომლოცველი დგას ხელში სანთლით
და მის სულს ახლაც ეპკურება უებრო მადლი.
ხოლო იქ, წმინდა ცეცილიას ტაძარში დღესაც
განადიდებენ ქრისტე ღმერთს და გალობენ მესას.

აქა დასასრული მეორე მონაზვნის ამბისა

კანონიკე ბერის მსახურის ამბის პროლოგი

ის იყო, ტკბილად ვიგონებდით მონაზვნის ამბავს,
ბოუტონ-ანდერ-ბლიდან მაშინ ხუთ მილზე ალბათ
არც ვიქნებოდით გამოსული, რომ ღობეწვრილთან
ვიღაცა უცხო ცხენოსანი წამოგვეწია.
ფერდები ისე შელახვოდა ცხენს, უეჭველად,
სულ ცოტა, სამი მილი მაინც უნდა ეჭენა:
მხედარს პოდორი ეცვა შავი, როგორც ყორანი,
შიგნით კი ყელთან მოუჩანდა თეთრი ოლარი.
ცხენი თითქოს და სისვი იყო, მაგრამ ამლაყი
ჩანდა, იმდენი მოხვედროდა გზაზე მათრახი.
ოფლი და მტვერი ტანზე მრუმე ზოლებად აჩნდა
და ამ სიჭრელით ჰგავდა კიდეც გაწუწულ კაჭკაჭს.
მოსართავები და თოქალთო ისე ვაგლახად
ეკიდა, ალბათ შეზარავდა თვითონ ჯაგლაგსაც.
ამ ჩაცმულობით, ცხენითა და ჩემი გუმანით
ვერ დავადგინე, რა მოხელე გახლდათ სტუმარი,
მაგრამ როგორც კი მის კაპიშონს თვალი მოვკარი,
იმწამსვე მივხვდი, თუ ვინ იყო ეს ამბოკარი, —
კანონიკეა, რა თქმა უნდა, ნაღდად ის არის, —
გავიფიქრე და მართლაც ზუსტად გამოვიცანი.
ფარფლებიანი დიდი ქუდი მოგრძო და მსუქან
კისერზე ზონრით შენასკვული ეკიდა უკან.
კინწზე ეფინა ოროვანდის ფოთოლი სქელი
და კაპიშონით შეესუდრა თავიც და ყელიც.
მიტომ წყალივით გასდიოდა ხვითქი და ოფლი
და, ვით საარყე ქვაბს, გარშემო ეხვია ორთქლი.
მხედარმა ლამის ზედ მოგვაგდო უმწეო ცხენი
და ბურუსივით მოგვაბოლა ალმური ცხელი:

„გწყალობდეთ ჯვარი მაცხოვრისა, — იკივლა მაშინ, —
ძლივს მოგეწიეთ, მაგრამ მგონი მოვკალი რაშიც.
კენტერბერიში მეც მოვდივარ, ჰოდა, მლოცველი
თქვენზე უკეთეს თანამგზავრებს, ვიღას მოძებნის“.
თავაზიანი კაცი ჩანდა მისი მსახურიც:
„აქეთ წამოსვლა არც კი გვქონდა ჯერ განზრახული,
მაგრამ როგორც კი დაგინახეთ, ჩემმა ბატონმა
მთხოვა მაშინვე შემეკაზმა ცხენი რატომღაც,
ხოლო მე რომ ჩემს ბატონს ვიცნობ და მის ხასიათს,
თქვენთან მგზავრობას მისთვის მართლაც რაღაც ფასი აქვს“.
„სწორი ბრძანდებით, — დაეთანხმა სახლის პატრონი,
მსახური თვალში მოუვიდა, როგორც ვატყობდი, —
და კარგიც ჰქენით, — მხიარული კაცი ამბავსაც
მხიარულს გვეტყვის, თუ გვიკადრა და დაგვაფასა“.
„ბატონზე ბრძანებთ? — მას არ იცნობთ, — თავზე კიდეეაც
რომ დაგვათენდეს, ლაპარაკი არ მოსწყინდება.
ბატონთან ერთი წელი მანიც უნდა გაცხოვრათ,
მაშინ იგრძნობდით ალბათ მაგის კაიკაცობას,
რა გინდა მაგან არ იცოდეს, მართლაც ძნელია
მათი ჩამოთვლა, მაგრამ ნაღდად ოქროს ხელი აქვს
თუ დამიჯერებთ, არც კი იცის რაა მოწყენა,
„დავიღალეო“ ერთხელაც კი არ წამოსცდება,
როცა მუშაობს, აღარც ჭამა ახსოვს, გეთაყვა, —
რაღაც რეტორტას უკირკიტებს თითქმის დღედაღამ,
ისეთი საქმე წამოიწყო, ვიცი, ნამდვილად
დღეს კაცი არც კი დაიჯერებს, ფიცი რად მინდა.
თავმდაბალია, ცხვირი მაღლა კი არ უჭირავს,
როგორც ინგლისში ყველა ბრიყვს და ყველა უჯიათს.
ჯერ მასთან უნდა იმეგობრო პირველ ყოვლისა,
მერე თვალშიც რომ ჩაგივარდეს, ხელს არ მოისვამ.
ჩემი ბატონის გულისათვის ცეცხლშიც ჩამდგარან
და ბარე ორჯერ დარჩენიათ უკან ჯანდაბაც“.
„კეთილი, — უთხრა მეფუნდუკემ, — შენი ბატონი
რა მოხელეა, ის მითხარი და რა გვარტომის,
სწავლულს ჩამოგავს, მაგრამ რიზა მღვდლის რომ აცვია,
ასეთს რას უნდა აკეთებდეს და რა კაცია?“

„სწავლულია და მეტიც არის, აქ ორი სიტყვით
ვერაფერს ვერც თქვენ გაიგებთ და, სჯობს, ნურც მე ვიტყვი,
ეგ ისეთ სიბრძნეს დაეუფლა, რომ ნამეტანი
გახმაურებაც არ ივარგებს მისი, ღმერთმანი,
აბა, ვინ იცის მაგის საქმე, მე თუ არ ვიცი,
მაგრამ ნამდვილად მიჭირს, ძმაო, ლაპარაკიც კი,
ისე, მაგან რომ მოინდომოს ამ მთელ სოფლებს და
დაბებს სულ წმინდა ოქროთი და ვერცხლით მოფენდა.
არ დაიჯერებთ, ვიცი, მაგრამ, თუ ტყვილს ვამბობდე,
არ გავატანო ანდერ-ბლიდან ამ საღამომდე!“

„ღმერთო, ძლიერო!“ — აწრიალდა სახლის პატრონი,
დიახაც ჰქონდა სადაო და საკამათონიც, —
შენს ბატონს ძალა თუკი მართლა შესწევს ისეთი,
თქვე უბედურნო, თქვენს თავს მაშინ რას ივიწყებდით? —
ეს ჭუჭყიანი ძველმანები რომ ჩაგიცვიათ,
თქვენთვისაც უნდა მიგეხედათ ცოტა, ბიძია.
თავმდაბლობა რომ კაცს ამშვენებს, მეც ვიცი, მაგრამ
არც ამნაირი ჯანჯლობა და ძუნწობა ვარგა.
ნუთუ ისეთი ფეთხუმია შენი ბატონი,
რომ სამოსელი ბერებში აქვს ჩამონათხოვი?
ასე რომ დადის ქუჩა-ქუჩა, ბედოვლათივით,
რა ამბავია? — მე მიზეზი მინდა ნამდვილი!“

„მაგას ნუ მკითხავთ!—ისე, თუმცა, რჯულს გეფიცებით,
ეს კაცი უხვად შემკულია ყველა ღირსებით,
მაგრამ მას ბრძნობა და მჩხიბავთა მიეთ-მოეთი
იმდენად უყვარს, რომ შიშველი ივლის ყოველთვის.
ჩვენს შორის დარჩეს და სიმართლე თუ გსურთ გაიგოთ,
მე ჭირივით მძულს გოგირდმჟავას სუნი, ძამიკო.
ბრძენს უთქვამს, საქმეს ვაფუჭებთო გადამლაშებით,
მაგის თავში კი არაფერი მსგავსი არ შედის,
მე ერთი ხეპრე და საწყალი იომენი ვარ,
მაგრამ წითელი შავში მაინც არ ამერევა, —
თუ არაფერი არ გამოგდის, კაცო, სრულებით,
მოეშვი დროზე, შენს თავს მაინც ნუ ისულელებ.
მაგრამ როგორც ამ ფაშატს ესმის, ისე ბატონსაც,
ჩემს სიტყვას მაინც სულ არაფრად აგდებს რატომღაც.

ასე ერთიან ღმერთმა მაინც როგორ გასწირა,
მეტი აღარც მე შემიძლია, მეც ხომ კაცი ვარ“.

„გასაგებია, მეგობარო, მე შენი მესმის,
მოდი, ბარეღამ თქვენი სიბრძნის რჯული და წესიც
გაგვაგებინეთ, რაა მისი ფესვი და ძირი,
არაფერია, კაცმა რომ თქვას, ამაში ძვირი.
მერე მაგ კაცსაც ჩავაგონებთ რამეს გზადაგზა,
— ისე, სად ცხოვრობთ, მეგობარო, ბინა სადა გაქვთ?“

„გარეუბნებში, რა თქმა უნდა, ანდა ამდაგვარ
ყრუ ადგილებში, ქურდებივით დავალთ კარდაკარ,
დღის ნათელს ვუფრთხით, მზის სინათლე გვეუცხოვება,
ჩვენ ღამით ვცხოვრობთ, თუკი ამას ჰქვია ცხოვრება“.

„და რას აკეთებ, კაცის ფერი სულ რომ არ გადევს,
ანდა რა იწვევს სახის კანის ამ სიქათქათეს?“

„მიკვირს, ცოცხლებში რომ ეწერიეარ, ზამთარ და ზაფხულ,
ქურას ვახურებ, — ლამის კვნესა აღმოხდა მსახურს, —
ვინ ჩამახედებს მე სარკეში, ჩემო ბიძია,
უბრალოდ, თავის მოსაფხანად ვერ მომიცლია.
ღუმელს რომ ხელი ერთი წამით მაინც მოაკლო,
იმ ჩემი ცოდვით სავსე მეტალს რა გამოადნობს.
ქურაში ვხრუკავ ჩემს სიცოცხლეს! მაგრამ ერთხელაც
ქურის ფსკერს ვერცხლის მისხალიც კი არ მიეტყეპა.
ყველას ვატყუებთ, — დოყლაპიაც ბევრია ქვეყნად, —
ჰერცოგმაც იცის ფულის ყადრი, ბერმაც და გლეხმაც,
მაგრამ ფულს არვინ არ გვიკავებს, — ვითომდა სესხით
სპილენძიც ბევრი აგვიღია, ოქროც და ვერცხლიც.
ის დოყლაპია მერე ამ ფულს ელის შვიდმაგად
და მოუციათ ათიცა და ოცი გირვანქაც.
მაგრამ იოლი გამდიდრების მოიმედენი
როდემდის გინდა შეიქციო დაპირებებით?
არც ის გვეშვება, არც ჩვენ ვიტეხთ, ძმაო, იხტიბარს,
მერე კი უცბად დავკრავთ ფეხს და სხვაგან მივდივართ.
ახლა სხვებს ვეძებთ და, ვით თაფლი ბუზებს, ვიზიდავთ,
დოყლაპია ხომ ჩვენში ყველგან გვხვდება ისედაც“.

ჯერ უთვალთვალა კანონიკემ მსახურს შორიდან,
მერე კი რაღაც იაზრა და ახლოს მოვიდა.

არ ენდობოდა ქვეყნად არვის იგი რატომღაც,
ეგონა, ყველა ატყუებდა და ღალატობდა, —
ერთგან კატონი გვეუბნება, — ცოდვილი მუდამ
მართალ სიტყვასაც უცილობლად მიითვლის მრუდად
და იქით გიწყებს კამათსაო, და აი, უცბად
მსახურს გინება კანონიკემ დაუწყო ურცხვად:
„დაგწყევლი, ბრიყვო, შეგაჩვენებ! — უყვირა მკაცრად, —
მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ბატონის ლანძღვა.
მაგ ენას კბილი დააჭირე, გიჯობს, ახლავე,
თორემ ხომ იცი, მერე მაინც არ გაგახარებ?!“
„რამ გააგიჟა ეს ოხერი, — თქვა მეფუნდუკემ, —
მას ქუდი ეწვის, თორემ ასე არ იდუდღუნებს,
შენ მიდი, ძმაო, გააგრძელე, ჩვენ შენთანა ვართ,
როგორ გაბედავს აქ ჩხუბსა და დავიდარაბას“.
„მე მაგის აღარ მეშინია, — უთხრა მსახურმა, —
დე, იდუდღუნოს!“ — კანონიკემ თავი ჩაღუნა,
მიხვდა, რომ საქმეს ვერაფერი ვერ უშველიდა
და ერთგული ყმაც ეცლებოდა უცბად ხელიდან.
ორივე ფერდში დეზები ჰკრა პირუტყვს ანაზდად,
გავარდა ველზე და ორ წუთში მთასაც გადასცდა.
მსახურმა უკან მიაძახა: „უ, შე მშიშარა!
რატომ აქამდე არ წახვედი, ვინ დაგიშალა?
რაც შენზე ვიცი, წისქვილივით დავფქვავ ყველაფერს,
რა დამაკავებს, ვალებში ვარ მაინც ყელამდე.
შენ ხომ მოწამვლას მპირდებოდი, ჰოდა, საწყალმა
სად უნდა გდიო, ვინ მაღირსებს აწი საწამლავს?
— დიახ, მოწამვლას მპირდებოდა! და რამდენჯერაც
გაქცევა ვცადე, იმდენჯერვე მავნე მეჩვენა, —
თავი ვერაფრით დავაღწიე! კაცი გავთავდი!
ხანდახან კარგად ვერც სულს ვითქვამ, ვით ცოცხალ-მკვდარი,
მაგრამ, მე მგონი, მეც მეშველა, — ახლა, ყმაწვილო,
თავს მოგჭრი ხალხში, ნახე როგორ გაგათახსირო“.

აქა დასაწყისი კანონიკე ბერის მსახურის ამბისა

კანონიკესთან თითქმის შვიდი წელი დავყავი,
შვიდ წელში საღი და ჭკვიანი გავხდი საპყარი.
ისიც დავკარგე, რაც გამაჩნდა, ხოლო სანაცვლოდ
ტანჯვამ და გარჯამ ტანზე კანი ცხრა გადამაძრო.
მე რომ მიყვარდა ერთ დროს კოხტა ჩაცმა-დახურვა,
ვერ დაიკვეხოს თუნდ ათასში ერთმა მსახურმაც,
მე შენ გეტყვი და არ მშვენოდა! — ახლა, ბიძია,
ქუჩაში თავზე ძველი წინდაც ჩამომიცვია.
ტყვიის დნობისგან არც ფერხორცი არ შემრჩა ოდნავ,
მერე და ერთ დროს რა ღაყღაყა ლოყები მქონდა!
ვინც ამ ჭაობში ჩაეფლობა, ცხადია, მხოლოდ
წვალობს და ამას, რა თქმა უნდა, მეც მიეხვდი ბოლოს,
მაგრამ ყოველთვის მაბრმავებდა, ტვინს მიბრუნებდა
გამრავლების და მულტირების დიდი ცთუნება.
საშუალო კაცი ალქიმიით ვერ აშენდები,
არა ჩანს, ყოველ შემთხვევაში, შენთვის შედეგი.
ჯიბეში გროშიც არასოდეს შენ არ გიჭყავის,
ვალი გაქვს, პურს ჭამ ან ნისიად, ანდა იჯარით.
რა ცხოვრებაა, თუ ვირივით შრომობ დღედაღამ,
და სამადლოდ რომ დაგმარხავენ ბოლოს, გეთაყვა.
— ჩემი ცხოვრება გაკვეთილად გამოგადგებათ! —
მავანი კარტის სათამაშოდ თუკი დაჯდება,
იოლად ვეღარ წამოდგება, მოსვლისთანავე
გონებას ჰკარგავს და უმატებს ფსონსაც მანამდე,
სანამ მთლიანად არ წააგებს, რაც აბადია,
მაგრამ ნამდვილი განგაში და გაწამაწია
მერე იწყება, როცა ბრძოლა კია ჩავლილი,
მაგრამ მოჯანყე გვამში სული გდია ჩვარივით,
და არ არსებობს ქვეყნად ძალაც, რომ უმაქნისო
სულს წაადგეს და ოდნავ მაინც გამოაფხიზლოს.
პირიქით, მერე უმწეო და ნაზულუქარი

სული წაბილწვას და დაღუპვას სხვასაც უქადის.
შვებად მიითვლის ბოლოს იგი სხვათა ვაებას
და მწუხარება სულ თანდათან ეცოტავება, —
ასე ამიხსნა ცოდვილის ზნე ერთმა სწავლულმა
და თვითონ ჩემი ცხოვრების გზაც ასე გამრუდდა.

ყოველთვის, როცა სამუშაოდ გავემზადებით,
ისე ვუწკურავთ თვალებს მუშტარს როგორც ადეპტი.
გზადაგზა ხშირად ვხმარობთ ერთობ უცხო ტერმინებს,
ანუ არაფერს მუშტარს განგებ არ ვაგებინებთ.
ვითომდა რაღაც იდუმალი გზით თუ წესრიგით
ღუმელს ვახურებთ და ქვას ვურტყამთ მაშას კვესივით,
აქ ვერ ჩამოვთვლი ვერც დოზებს და ვერც პროპორციებს,
რაში ჭირდება მათი ცოდნა ან ძე-ხორციელს?
და ვერც ზოგიერთ ნაყენებს და უცხო ბალახებს, —
აღთქმა მაქვს, ძმაო, მიცემული და ვერ გავამხელ.
ისე კი მუდამ ხუთწილ ტყვიას და ზოგჯერ ექვსწილ
სინდიყს ვუმატებთ, როგორც წესი, შენადნობს ვერცხლის.
ვერც იმას ვიტყვი, თუ რა ფერის იკეთებს ნაწდობს,
ან ოპერმენტს და ძვლების ნაფქვავს რამდენ ხანს ვაწრთობთ,
როგორ ვინახავთ მერე ნაერთს ბოთლებში, ხოლო
როდის გადაგვაქვს იგი თიხის ქოთანში ბოლოს,
რამდენს შევაყრით პილპილსა და დანაყულ მარილს
და მერე როგორ შევაზავებთ ძვირფასი ხსნარით.
ვირის ნაწლავით პირს მოვუკრავთ ქოთანს და თიხით
გავგლისავთ, რომ არ შეიპაროს ჰაერი შიგნით.
ნელ ცეცხლზე ქოთანს ამის შემდეგ კარგა ხანს ვათბობთ,
თავს ვევლებით და ვეფერებით, ვითარცა სატრფოს.
კალცინაციას, ბატონებო, მთელი დღე მიაქვს,
ასაორთქლებლად მერე ქოთანს დავტოვებთ ღიად,
ნაერთს კი ვწურავთ და ერთი დღე წურვაში მიდის,
ამის შემდეგ კი ამალგამას ვუმატებთ სინდიყს,
ანუ იგივე მერკურიუმს, — არაფერს ვაკლებთ,
მაგრამ ჯერ სად ხარ, წინ ვერ წავა იოლად საქმე.
ტყვიის და ვერცხლის ნადნობს ჩავყრით როდინში ახლა
და მას გოგირდის ფხვნილთან ერთად დილამდე ვნაყავთ.

მერე იწყება დოზირება, წონა და არწყვა,
სანამ ამ ნაერთს სქელს არ გახდი, თხიერის ნაცვლად.
მაგრამ ვერც ამით ვერ უშველი შენს საქმეს, რადგან
დროში მოტყუვდი, ანდა რაღაც გამოგრჩა სადღაც, —
გოგირდს მისხალი დააკელი, უნცია სინდიყს,
ანდა საწვავი მოგვიდა უთუოდ დიდი
და შენი შრომა, დრო, მასალა, გარჯა და ხარჯი —
წყალმა წაიღო ყოველივე და მშრალზე დარჩი.
და არაფერი გიჯობს იმ დროს დარიშხნით სიკვდილს, —
როგორ გადავრჩი ან ცოცხალი, ნამდვილად მიკვირს.
რომ დავფიქრდები, ხშირად გული მწყდება ძალიან, —
ამ ქვეყანაზე რა ბევრი რამ არ მისწავლია,
თორემ ახლა ხომ აგიწერდით სულ დაწვრილებით,
რაც მაშინ ვნახე, რაც გავიგე და რაც ვიგრძენი.
მაგრამ ვეცდები, თუნდ უღირსად და უგერგილოდ,
გითხრათ, რაც მახსოვს და რაღაცა გაგაგებინოთ,
რა მახსოვს მაინც? — პირველ ყოვლის, მიწა ფერადი,
ნაცარი ბლომად, გოგირდი კი ალბათ ყელამდი.
დიდი თასები, გრაფიტის და შუშის ჭურჭელი,
კოლბებითა და რეტორტებით სავსე უჯრები.
გამოსახდელი კუბები და ერთი სარწყავი,
სასწორები და თითქმის ყველა ჯურის საწვავი.
სუბლიმატორი, ურინალი, დიდი ხალამი,
ბევრი წვრილმანი ხარახურა და მისთანანი.
კიდევ რა? — კაკლის საღებავი, საშარდე ბუშტი,
დარიშხანი და ნიშადური, სინდიყი, მუშკი.
ოთხი საშიში ელემენტი — თვითეულ მათგანს,
ფიცი რად მინდა, სიკვდილივით ვუფრთხოდით მართლაც.
ქურა და ციცხვი. და უამრავ ფესვებს და ბალახს
არც ჩამოვთვლი და ალბათ აღარც მეყოფა ძალა,
გვიმრას, ბირკას და კატაბალახს მაინც ვახსენებ, —
მელანქოლიას აქარვებს და სულსაც აღზევებს.
ვახურებთ ქურას, ვუკირკიტებთ ისევ რეტორტას,
ასეა წესი და დაღლაც რომ აღარ გვეტყობა?!
ისევ იწყება ძველებური კალცინაცია,
ვხმარობთ საღებავს, მისწრებაა დესტილაციაც.

ვწურავთ თიხაში, ზოგჯერ ცარცში ანდა ცილაში, —
არცერთ წვრილმანსაც არ ვივიწყებთ, ღმერთის წინაშე.
კარგია ქვიშაც, მარილი და წმინდა ნაცარიც,
— ახლა დაიწყებს ალბათ ბზინვას წდე, სადაც არი,
მაშინ ბორაკში გავატარებთ, ანდა პოტაშში,
ფუნაც კარგია, მაგრამ სუნი დგება ოთახში.
არც რეალგარი გვავიწყდება და არც ნახშირი,
თაფლის სანთელსაც უნდა ჰქონდეს რაღაც კავშირი.
ცოტა აჯასპი დავუმატოთ, სურმაც, გვარჯილაც,
სურინჯსაც ვხმარობთ, თუკი საქმე ერთობ გაჭირდა.
რკინაქვაც ვარგა, ოღონდ რუხი ფერის რკინაქვა,
შე, დალოცვილო, ამ დარიშხანს რაღას ვინახავთ?!
ბოლოს ბუყბუყს და რაღაც შიშინს იწყებს ნარევი.
— აბა, გვეშველა, მაგრამ ჯერ ნუ გაეკარები,
ცოტა ხნის შემდეგ ჯოხი მაგრად უნდა ურიო,
მაგრამ არ უნდა მოელოდე მანამ კურიოზს,
სანამ ფერისთვის ვერცხლის ფხვნილსაც არ მიამატებ
და არ დაფარავ გამომშრალი ამალგამათი.
ნარევს კვლავ ადნობ. სინჯს აიღებ ბოლოს იქიდან
და... ზარალის მეტს, რა თქმა უნდა, ვერრას იხილავ.

ქვეყნად ნივთთაგან უმთავრესი თერთმეტი არის —
მჭროლავი მათგან ოთხი გახლავთ, შვიდი კი მყარი.
ბატონი იმათ თვლიდა თითქმის ცოდნის საზომად
და უნებურად მეც ყველანი დამამახსოვრდა —
სინდიყს, დარიშხანს, ნიშადურსა და ბოლოს გოგირდს
მუდამ მჭროლავებს აკუთვნებენ. მყართაგან ზოგი
მანამდეც მქონდა გაგონილი: ოქრო—მზის ხვედრი,
ტყვია — სატურნი, ხოლო ვერცხლი — მთოვარე თეთრი,
კალა ნივთთაგან გახლავთ თურმე იუპიტერი,
რკინა იქნება, რა თქმა უნდა, მარსი წითელი,
სპილენძი — ყოვლად მშვენიერი და დიდებული
ვენერა, ხოლო სინდიყი კი არის მერკური.
(მჭროლავი გახლავთ სინდიყი და თანაც მეტალებს
მიაკუთვნებენ, — განსწავლული ბრძენნი მეტადრე).
მე რაც კოლბები მირეცხია და რეტორტები,
ოქროს ბრკე მაინც შემხვედროდა, ფრჩხილის ოდენი!

ალქიმიკოსი ბოლოს მაინც ისე მომკვდარა,
რომ ვალების და ვახშის მეტი არა ჰქონდა რა,
თანაც იმდენ ხალხს დაუბნია გზა და ცხოვრება,
იმისი სული, რა თქმა უნდა, არც იქ ცხონდება.
ასეთი „სიბრძნე“ აცუნდრუკებს მხოლოდ სულელებს,
ერთის დაკვრით რომ ოქროს ტახტებს მოისურვებენ.
მხოლოდ ასეთი უგუნური ცდილობს სოფელსაც
თავი როგორმე მოაჩვენოს ფილოსოფოსად.
ის შეიძლება მღვდელიც იყოს და დიაკვანიც,
კანონიკეც და თუნდა ვინმე სწავლულთაგანიც,
მაგრამ ამ საქმეს ვერ გაუგებს მაინც ვერაფერს,
ხელსაწყოები და ფულიც რომ ჰქონდეს ყელამდე.
ხოლო უმეცრებს და უწიგნურ ტაკი-მასხარებს
რა დღეც ადგებათ ამ კირკიტში, თავად განსაჯეთ.
თითქოს მენცარი უმეცარზე უფრო მეტია,
მაგრამ ორივე მათგანს მაინც ერთი ბედი აქვს,
რადგან ვერცერთი ვერ პოულობს სიბრძნის გასაღებს
და ოდენ სიზმრად რჩება მათთვის ოქროს სასახლე.

რაკი საქმეზე ვლაპარაკობთ, აუცილებლივ
უნდა ვახსენოთ ნალექებიც, ანუ წიდებიც,
მქავეებიც და ტუტეებიც, სქემა, მოდელი,
მწარე, მლაშე და მქავე წყლებით სავსე ბოთლები.
მყარი სხეულის დაშლა თითქმის ანაზდეულად,
სითხის, პირიქით, გადაქცევა ისევ სხეულად...
სხვადასხვა ზეთი, ცხიმეული, ნახერხი, ბამბა
და სხვა მრავალი — ყველაფერის ჩამოთვლას ალბათ
არ დამიშლიდით, მაგრამ, ვიცი, არც ინებებდით.
— ჯანდაბას მათი სახელიც და სახსენებელიც!
ნეტავ, მეც თვითონ არ ვიცოდე! კი ვყვები, მაგრამ
ვის დასჭირდება მავნეს გარდა, ან რაში ვარგა?

ეჰ, რა უნდა ქნა? — თვითეული ჩვენი მენცარი
ფილოსოფიურ ქვის ძიებას ძილშიც ესწრაფვის,
ამ ელექსირით, მგონი მეც კი მჯერა რატომღაც,
გადაიქცევი წამში ქვეყნის ბატონ-პატრონად.
ჩვენც ბევრი ვცადეთ (ცოტას გაწყდა, არ გადავყევით),
მაგრამ რჩებოდა კოლბში მხოლოდ მღვრიე ნაყენი

და ზედ სველ ტილოს ვაფარებდით, ყარდა იმგვარად,
იმედი მაინც არასოდეს არ დაგვიკარგავს.
იმედი იყო, ჩვენს ცხოვრებას აზრს რომ აძლევდა
და ჩვენც ვფიქრობდით: „ან რას აღწევ დაუმარცხებლად?“
მუდამ ამ აზრით ვიღვიძებდით და ვიძინებდით,
სულელს ხომ მაინც სიკვდილამდე ჰყოფნის იმედი
და ისე იღვწის, მართლაც რამეს აღწევდეს თითქოს
და ტკივილებშიც კი ჰპოულობს თავის წილ სიტკბოს.
ალქიმიკოსებს ისე უყვართ მაინც ხელობა,
თავს მოიკლავენ, წინ თუ რამე გადაეღობათ, —
ლაბადას, ლოგინს გაჰყიდიან, ოღონდ საჭირო
ნივთი დროულად გამოძებნონ და გააჩინონ.
ყველაფერს წვავენ — სკამებს, ტახტებს, აუცილებელ
ხის ჯამ-ჭურჭელს და ქურას მაინც არ აცივებენ.
იმათი ცნობა ადვილია — მძაღე გოგირდის
სუნით ყარს მათი სამოსი და მათი ლოგინიც,
თუნდაც ერთ ვერსზე ჩაგიარონ, სუნს მაინც იგრძნობ
და არც დაგჭირდეს მაშინ მათი გაცნობა ვინძლო.
სნეულებს ჰგვანან, ძვალზე ტყავი ჰკიდიათ ჩვარად
და კონკებში და ძველმანებში აღარც კი ჩანან.
თუ ჰკითხე, რატომ დადიხარო ასე ღატაკად,
თვალს მოწკურავს და მერე უცბად გეტყვის ხმადაბლა,
რომ ჩვრები არის საიმედოც და უხიფათოც,
რომ ეშინია ვინმემ რამე არ უხიმანდროს,
რომ ქვეყანაზე ყველა ქურდს და ყველა უჯიათს
მაინცდამაინც თვალი იმის განძზე უჭირავს,
რომ რატომ უნდა დაიღუპოს ტყუილ-უბრალოდ,
განა არა სჯობს, ქურდებს ეჭვი რომ გაუფანტოს.
რა დაგიმალოთ, მეც ხომ ერთ დროს ასე ვამბობდი
და ბევრი კიდეც გავაცურე მსგავსი ლაყბობით.
მაგრამ სჯობს ამბავს დავუბრუნდეთ. ბატონი ჩემი,
ვიდრე მსახურთა დადგებოდა რიგი და ჯერი,
ახარისხებდა მუდამ თვითონ საჭირო საგნებს —
კრისტალებსა და მეტალს ცალკე, სითხეებს ცალკე.
ანგარიშობდა პროპორციებს, ადგენდა დოზებს,
არჩევდა საწვავს და ზრუნავდა საკუთრივ დროზე, —

რაც მართალია მართალია, მენცარზე ნაკლებ
ბატონს უდავოდ არ ესმოდა თავისი საქმე.
და ზოგჯერ ალბათ, არ ვაჭარბებ, შეეძლო მეტიც,
მაგრამ ნამდვილად არ სწყალობდა საცოდავს ბედი —
აი, ქურაზე, მაგალითად, შემოდგამს ქოთანს
და მეყსეულად გადიშლება ქოთანი ოთხად.
მაინც ისეთი ძალა მოსდევს გადნობილ მეტალს,
ქოთანს კი არა, კედლის ქვებსაც ბზესავით ხვეტავს.
და როგორ გინდა შეაკავო ასეთი ძალა,
როცა მის ახლოს ყველა მსახურს ერთიან ზარავს,
ზოგჯერ კედლებსაც აწყდებოდა, როგორც მეწყერი,
და ელექსირის წვეთებს მაშინ ჭერზე ვეძებდით.
ასეთ წახდენილ საქმეს ღმერთიც ვერ უშველიდა,
მხოლოდ მეტალს თუ ამოვგლეჯდით კედლის ხვრელიდან
ეშმას ოთახში ვერ ვხედავდით, ფიცი რად მინდა,
მაგრამ არც თუ შორს იქნებოდა ჩვენგან ნამდვილად.
ჰოდა, მითხარი, რას გააწყობ კაცი ავსულთან,
მის ახლოს წაღმა ან რომელი საქმე წასულა.
ამ ყოფაში რომ შემძლებოდა რამე კიდევაც,
არ ამცდებოდა ბატონისგან მაინც გინება —
როცა უეცრად ჩაეფლობი ვალში ყელამდე,
რაღა თქმა უნდა, შეუგინებ მსახურს ყველაფერს.
თავის მართლებას მოვყვებოდით უკლებლივ ყველა.
პირველ ყოვლისა იწყებოდა ღუმელის წყევლა,
მერე ცეცხლფარეშს აგინებდნენ — მე, ესე იგი,
ხმა მატულობდა, იზრდებოდა თვალის სეირი.
ვიღაც ხმამაღლა ჩაურთავდა: „რა სათქმელია,
მაგრამ შენ ჯოხი უფრო სწრაფად უნდა გერია“.
მას ყვირილითვე აჩუმებდნენ„რწმენის ბრალია,
ამ ბოლო ხანში ურწმუნონი გავხდით ძალიან“.
„რწმენა კი არა, — და მოსდევდა ამ სიტყვებს ლანძღვაც,—
ჩვენ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ არასდროს საწვავს,
ნაძვი ვიხმარეთ, თანაც, მგონი, შარშანწინდელი,
იმ დროს როდესაც მისწრებაა ნედლი წიფელი“,
და სხვა მრავალი... რა თქმა უნდა, ლანძღვა-გინება
გადავიდოდა ბოლოს ჩხუბში აუცილებლად,

მაგრამ ბატონი მუდამ დროზე დასვამდა წერტილს:
„ქმარა, ბიჭებო, წაგვიგია ამაზე მეტიც,
პირობა რატომ გავიწყდებათ — დღეს არ გამოდის,
ხვალ ხომ გამოვა — და წყდებოდა ალიაქოთიც, —
— ამჯერად დნობა მოგვივიდა, ჩანს, ნაადრევად,
მაგრამ რა ვუყოთ, — გაკვეთილად გამოგვადგება.
თუ შეამჩნიეთ, ბზარი ჰქონდა ფსკერზე ქოთანსაც,
ამხელა კუნძი ან ღუმელში როგორ მოთავსდა?
მოდი, შენ დაზგა გადარეცხე უცბად ცხელი წყლით,
შენ კი ოთახი გამოჰგავე, აბა, თქვენ იცით!“

ირეცხებოდა დაზგა უცბად, უცბად ოთახიც
ლაგდებოდა და მშვიდდებოდა გულიც ცოტა ხნით,
მერე კი საქმე იწყებოდა, საქმე, რომელიც
დაუცხრომელი წვდომა იყო მიუწვდომელის, —
დაზგაზე ეწყო დაფანტული ვერცხლის ნაჭრები,
კოლბებით მჟავას და ნაყენის ცოტა ნარჩენიც.
„აი, ხომ ხედავთ ყველაფერი არ დაკარგულა, —
ბატონი ბაასს გაგვიბამდა ამხანაგურად, —
ცდა არ ჩატარდა, თუმცა ხელი არ დავაკელით,
მაგრამ შემდეგი ცდისთვის მაინც დაგვრჩა ნაყენი.
განა ვაჭარი მუდამ იგებს, — გზაზე, სანამდის
ბაზარში მივა, მასაც ხშირად მოსდის ზარალი —
აქეთ ხომალდი ეღუპება, იქით ძარცვავენ,
ანდა ერთიან უნადგურებს საწყობს ხანძარი.
მარცხს, ჩემო ძმაო, მუდამ უნდა შეხვდე გულგრილად,
გამარჯვება და წარმატება მართლა თუ გინდა...
პასუხს მე ვაგებ, ჭკუა მაინც შემრჩა იმდენი,
შეცდომას მივხვდე, ოღონდ მხარში ამომიდექით“.
და მრავალ წვრილმანს, თავს და ბოლოს თუ ვერ ვუგებდით,
დროულად მაინც ვასრულებდით ყველას უკლებლივ.

თუმცა დროდადრო ძველებური ისმოდა ისევ:
„ცეცხლი სუსტია“, „მე კი თითქოს არ მომწონს სისქე“,
მაგრამ ვერც ცხელი ღუმელი და ვერც თხელი წიდა
ვერ ჩამოკრეფდა მიუწვდომელ ვარსკვლავებს ციდან.
საუბედუროდ ამ სიმართლეს მე ეხლა ვხვდები,
როცა სულ უქმად გამიფრინდა ძვირფასი წლები.

ყველა რეგვენს და სულელს ძალუძს ეძიოს განძი,
ტოლს არც სოლომონს არ დაუგდებს უტეხი კაცი,
მაგრამ მენცარნი და სწავლულნი ამბობდნენ წინათ:
„ოქრო არ არის ყველაფერი, რაც ოდენ ბრწყინავს“.
როგორც არ უნდა განადიდონ კენარი ვაზი,
თუკი არ ისხამს, კაპიკია იმისი ფასი.
დღეს ყველა მხდალი დეეგმირია, რეგვენი — ბრძენი
და მატყუარა ლაპარაკობს სიმართლის ენით,
და ვიდრე ისევ დავყვებოდე ჩემს ამბავს ქვემოთ,
თქვენ მაინც უნდა დამეთანხმოთ ამაში, ძმებო.

ერთ ალქიმიკოს კანონიკეს კარგად ვიცნობდით,
განთქმული იყო თაღლითობით და გულბილწობით
რა ბოროტებაც მან მარტოდენ ერთმა დათესა,
ნინეევიასაც დაღუპავდა, რომსაც, ათენსაც,
ტროასაც, მოკლედ, სული მისი ღრჯუ და ხენეში
ქვას ქვაზე აღარ დატოვებდა ალბათ თებეშიც.
იმის დახლართულ ხრიკებსა და მზაკვრულ ოინებს
რა სიტყვა იტყვის და რომელი ენა მოილევს!
ისეთ სიცრუეს მოჩმახავდა, ბრძენთა ბრძენებსაც,
სულ მთლად თუ არა, ცოტას მაინც დააჯერებდა.
საწყალი ხალხი თავში ხელებს მაშინ იცემდა,
გუდა-ნაბადს რომ აიკრავდა ის გაიძვერა.
მერე რამდენი გააცურა! მაინც ისეთი
ფხიანი იყო, ვერ დაძლევდა მაცდურის მეტი.
მთელი ქალაქი მიდიოდა მასთან შეგირდად,
რომ ნდომებოდა წამში ალბათ მთელ ჯარს შეყრიდა.
რჩევისთვის უცხო ქვეყნიდანაც ჩამოდიოდნენ, —
ან რა გამოლევს დამთხვეულებს და იდიოტებს?!

პატივცემულო, ღირსეულო კანონიკენო,
არ მინდა ჩემი სიტყვა მხოლოდ შხამად იგემოთ,
ერთი ულირსი ყველასა გვყავს, თქვენი ორდენი
არ იბღალება ერთი ბილწი კაცის ცოდვებით.
არც ვინმეს ლანძღვას არ მოვყვები აქ უხეიროდ,
მე მსურს სიკეთემ და სიმართლემ რომ იზეიმოს.
იუდაც იყო, მეგობრებო, მოციქულთ შორის,

მაგრამ არავინ არ წამწყდარა მის გარდა, მგონი.
მხოლოდ მან ერთმა იმუხთლა და იმრუდა ღმერთთან
და საზღაურიც ღმერთთან აგო მხოლოდ მან ერთმა.
იუდასავით მოღალატე თქვენშიც უკეთუ
ჰგიეს დროულად მოუთხარეთ ძირი უკეთურს,
რომ ერთიანად არ დაღუპოთ მთელი ჯეჯილი, —
ეხლა კი, მოდი, ამბავს მივუყვეთ იმ წაწყმედილის.
საპანაშვიდო ბიუროში, ლონდონის ცენტრში,
ერთი ხუცესი მსახურობდა, წყნარი და ლენჩი.
სულ ღიმი კრთოდა ამ კეთილი კაცის სახეზე,
სადილში ფულს არ უქვითავდა დიასახლისი,
მუქთად აძლევდა სამოსელს და ვით საკუთარ ძმას
დილით ჯიბეში ჩაუყრიდა ხოლმე ხურდასაც.
მასთან სუფრაზე ჯდომა მართლაც სიამეს გგვრიდა
და, მოკლედ, თავი შეაყვარა სუყველას დიდად.
ერთხელ, უზმოზე, დილით ადრე კარებთან ხუცესს
ვიღაც უცნობი კანონიკე წარუდგა უცებ,
თვითონ სტუმარმა იუარა ოთახში შესვლა
და მორცხვად სთხოვა ერთი მარკა მიეცათ სესხად:
„ამ ფულს სამ დღეში დაგიბრუნებთ, ძმაო, რამეთუ
მე კაცს ვაფასებ და ქველმოქმედ კაცს კი ნამეტურ.
ათ დღეში თუ არ დავაბრუნე, უფლებას გაძლევთ
მომკლათ, დამახრჩოთ, დამწყვეტოთ და გადამცეთ ხატზე“.
ხუცესს ეამა, თუმცა ვერც კი გაუგო კარგად,
მაგრამ ადგა და სტუმარს ოქროს მიართვა მარკა.
იმან ბოდიში მოუხადა ხუცესს ათასი
და მერე ფულიც დააბრუნა ზუსტად ვადაზე.
ეხლა ნამდვილად მოეწონა სტუმარი ხუცესს,
თავს ვერ უყრიდა კარგა ხანი მოღიმარ ტუჩებს:
„როდესაც სიტყვის პატრონია, ძმაო, ვაჟკაცი,
მისთვის არ უნდა დაგენანოს ათი მარკაც კი“.
„რას ბრძანებთ, ჩემო მწყალობელო, სიტყვის გატეხვა
და მოტყუება ჭეშმარიტად არ მეკადრება,
მერე ვინ უნდა გავაცურო? — კაცი, რომელმაც
ირწმუნა ჩემი და ძმასავით ტკბილად მომეპყრა?
— არა, გეთაყვა, პირში სული მიდგას ვიდრემდის,

თქვენი კაცობის მადლიერი მუდამ ვიქნები.
როგორც ძმას, ერთი საიდუმლოც მინდა გაგანდოთ,—
ღირსი ხართ გქონდეთ ოქროსა და ვერცხლის საბადო,—
ფილოსოფიას ვსწავლობ, ძმაო, ჭაბუკობიდან
და ქვეყნის ბევრი სასწაულის მოწმე ვყოფილვარ,
მე შემიძლია სიბრძნის ყველა სიღრმე გიჩვენოთ,
და ცოტა შიშიც მიპყრობს — ვაჰ თუ არ დამიჯეროთ“.
„მაგას რად ამბობთ, მე არა ვარ ისე უზრდელი...
მაგრამ მანამდე ჩემთან ხომ არ ისაუზმებდით?“
„რაკი ვთქვი, უკან არ დავიხევ, ოღონდ გაფიცებთ,
სიტყვა არვისთან არ წამოგცდეთ ამ რთულ საკითხზე“.
თავის მსხვერპლს მახეს თითქმის მუდამ ასე უგებდა
ეს „სიმართლისა და სიწმინდის განსხეულება“,
ასეთ საკბილოს ვერ ნახავდა კაცი ადვილად
და კანონიკემ ხუცესს თითქმის ბდღვირი ადინა,
ისე შეუჩნდა, სულის მოთქმას აღარ აცლიდა,
თან დაემუქრა კიდეც, მაგრამ ბევრიც აცინა.
მღვდელი ხარობდა, არ მოსვლია აზრადაც საწყალს,
თუ ვისთან ჰქონდა საქმე, ანუ რა ჯურის კაცთან.
პირიქით, თურმე კაცს ჭამაში უჩნდება მადა,
და მღვდელმა დიდი საიდუმლოს გაგებაც სცადა,
ესიამოვნა იმ უბედურს მელიის ტყავი
და უნებურად თვითონ შეჰყო სოროში თავი.
ვერაფერს იტყვი! — ანგარების მოყვარულ ხუცესს
ჩვენი არ იყოს, გამდიდრება მოუნდა უცებ.
აი სულელი! — ბნელ სოროში რაკი შევიდა,
ახლა მას თვითონ კანონიკეც ვერ უშველიდა.
ჩემი ბატონი არ გეგონოთ ის კანონიკე, —
არა, ღმერთმანი — მისთვის იგი იყო კოლეგა, —
იმასთან ჩვენი სახლიკაცი სად მოვიდოდა, —
(ასე გლახაკად დავდიოდით ალბათ მიტომაც).
სად მისი ჭკუა ან სისწრაფე და მარიფათი, —
ჩვენს ბატონს ასი წელი მაინც აკლდა იქამდი.
მერე ის ფლიდი ნაღდად იყო დიდი ბოროტიც
და თაღლითად და გაიძვერად დარჩა ბოლომდის

ეხლაც კი, როცა მას ვიგონებ, ტანი საშინლად
მიკრუის, თითქოს სახსრებში და ძვლებში დავშლილვარ.
„ცდებისთვის, — უთხრა კანონიკემ, — გვინდა სინდიკი,
გავგზავნოთ ვინმე, სამ უნციას ყველა გვიყიდის.
თქვენს დიასახლისს ეყოლება ალბათ მოახლე,
მოვა სინდიკი და სასწაულს ხელად მოვახდენ“.
მღვდელმა მსახური დაასაქმა. სტუმარმა მაშინ
მშრალი ნახშირიც მოითხოვა თავისი მაშით.
გაჩნდა ნახშირიც. მაშინ ჩვენმა სწავლულმა სწრაფად
გახსნა სკივრი და ამოიღო ქურა და ტაფა.
მერე დაიწყო ტერმინებით რაღაცის ახსნა,
საწყალ ხუცესს რომ არ სმენია არასდროს არსად.
„მე მინდა თვითონ გააკეთოთ დღეს ყველაფერი,
პრაქტიკით, ძმაო, უფრო მალე გაიწაფებით
თქვენივე ხელით ამოიღეთ ერთი მისხალი
მერკურიუმი, — სუყველაფერს დღესვე ისწავლით,
ჩააგდეთ ციცხვში, ასეთ სიბრძნეს, — უთხრა მენცარმა
ყველას ვერ ეტყვი, მაგრამ თქვენში მე არ შევმცდარვარ.
ეხლა კი სინდიკს მე რაღაცა ფხვნილს დავუმატებ
და სუფთა ვერცხლი მოგვანათებს თვალში უმალვე.
არ გეხუმრებით, დიახ, დიახ, ვერცხლის ნაჭერი,
თანაც ნაღდი და სუფთა, როგორც ფული ნაჭედი. —
ეხლა ეს ფხვნილი რომ არ მქონდეს, მაშინ თაღლითსაც
მიწოდებდით და გამაგდებდით კიდეც სახლიდან.
ეს არის ჩემი ყველაფერი, მაგრამ, ძმობილო,
მეც მინდა ჩემი სათნოება რომ გაგრძნობინოთ,
გთხოვთ, სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ მესამე
კაცი ნამდვილად ზედმეტია, თქვენი კენესამე“.
მსახური გარეთ მიაბრძანეს. ჩაკეტეს კარი,
დახურეს ყველა დარაბა და აანთეს მკვარი.
შეუგზნეს ცეცხლი, გააჩაღეს ღუმელი ფარსაგ
და კანონიკემ კიდევ რაღაც წესები ახსნა.
მერე შემოდგეს ცეცხლზე ციცხვი და რკინის ტაფა
და მაგიდაზე ფხვნილიც გაჩნდა ასევე სწრაფად.
ფხვნილისას ვერას მოგახსენებთ, ნამდვილად მაგრამ
ასეთი მტვერით ექიმბაშებს სავსე აქვთ აბგა.

ცოტა ნაცარიც ურევია და ცოტა ცარციც
სხვადასხვა ფერის, ერთი სიტყვით, ხსენებად არ ღირს.
საკმაოდ არის ამ ნაფხვენში ნეხვიც და ქინქლიც,
დოყლაპიებს კი ესეც ჰყოფნით აღგზნებად ფიქრის.
„ამ ქურას, — უთხრა კანონიკემ, — მიხედვა უნდა,
საბერველს ბერვა ზომიერი უხდება მუდამ,
თუ გინდათ ყველა სასწაული აგიხდეთ ნაღდად“.
„Grand merci, ძმაო, — კანონიკე ძმაც მალე გახდა, —
არ დაგივიწყებთ ამ სიკეთეს“ — და ჩვენმა მღვდელმა
ტყავის საბერველს უფრო მძლავრად დაუწყო ჟღლეგმა.
ამ დროს კი მალვით „დიდებულმა მენცარმა“ უცბად
ხელი ნახშირით გამოტენილ ხალამში სტუცა,
ერთი ნატეხი ამოიღო, ამოღრღნა ფრჩხილით
და ღრმულში ჩასდო ვერცხლის ერთი უნცია ფხვნილი,
ცვილით კი პირი მოუგლისა და დონდღო ხუცესს
მოესმა სტუმრის უტკბილესი ღიღინი უცებ...
კარგად იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე თაღლითმა
და ამიტომაც წამოიღო ვერცხლი სახლიდან.
გათვლილი ჰქონდა ყველაფერი თურმე წინასწარ
და ალბათ ბლომად მოელოდა მღვდლისგან ფინანსსაც.
ერთი რამ მტკიცე ჩვევად ჰქონდა ფლიდს და მუხანათს —
საკბილოს წირვას ორ-სამ დღეში გამოუყვანდა.
ჭირივით მძულდა ის ოხერი, — ბარე ორჯერაც
პირადად ვცადე ხან დასმენა, ხან გამოჭერა,
მაგრამ როგორც კი მის ბინძურ კვალს დავადგებოდი,
მუდამ ხელიდან მისხლტებოდა, როგორც დემონი.
ეჰ, მოდი ისევ ამბავს მივყვეთ. — ფლიდმა ნახშირი
სახელოს შიგნით გადამალა მყის და მაშინვე
თავის მეგობარს მიაშურა, მაგრამ ანაზდად
კოპები შეჰკრა, ისე, თითქოს მართლა გაბრაზდა:
„ასე ყველაფერს გავაფუჭებთ, ეს ნაკვერცხლებიც
რად შეგიყრიათ ერთ ადგილზე, შიგ რას ეძებდით?
თქვენ, ჩემო კარგო, სულ ერთიან ოფლად გაღვრილხართ,
არც ასე ვარგა, — დაუყვავა მერე თაღლითმა, —
ერთი ეგ მაშა მომაწოდეთ, თქვენ კი მანამდის
სახეზე ოფლი შეიწმინდეთ ჩემი ხალათით.

ამ ქურას ახლა მე მოვუვლი, — ხომ ვთქვი, ნახშირი
სულ ერთ დონეზე უნდა იყოს-მეთქი გაშლილი?"
სანამდის მღვდელი ოფლს იწმენდდა, ჩვენმა სწავლულმა
ცეცხლში ნახშირი გადააგდო მღვდლისგან მალულად,
რაიმე ხომ არ შემნიშნაო ანაზდად მღვდელმა
და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეუდგა ბერვას.
„ეხლა კი ერთი კაი ღვინო მართლაც მისწრება
იქნება, ძმაო, გამოგვიშრა ყელი ისედაც,
საქმე მოთავდა, მალე ქურაც გამოცივდება
და სასიკეთოდ გაგვიღიმებს ბედი კიდევაც".
მხურვალე ალში ის ნახშირიც დაიწვა ბოლოს,
ცვილით რომ პირი მოუგლისა სწავლულმა, ხოლო
შერბილებული ვერცხლის ფხვნილი, ვით ვერცხლისწყალი,
ქურიდან ციცხვში ჩაიღვენთა სიმძიმის ძალით,
თითქოს მოგვური სასწაული ნამდვილად მოხდა.
— სუფრაზე თავი კანონიკეს ეჭირა კოხტად —
ხალვათად იჯდა, ნელა სვამდა ბორდოულ წითელს,
მასლაათობდა და ჟამი-ჟამ ხუმრობდა კიდეც.
მასპინძელს აზრად არ მოსვლია სტუმრის ფლიდობა,
სწავლულს სახეში შესცინოდა ალბათ მიტომაც,
ღვინოს უსხამდა, მსუქან ნაჭრებს მის წინ აწყობდა,
ცალი თვალი კი სულ ციცხვისკენ ჰქონდა საცოდავს.
ამასობაში ცეცხლიც ჩაქრა, ფერფლი დაცვივდა
და კანონიკემ მღვდელს გახედა როგორც არწივმა
და მთელი რიხით შემოსძახა: „აბა, მეუფევ,
ღმერთი ვახსენოთ მოწყალე და საქმეს შევუდგეთ,
უიმედობას ვერ ვიტანდი იმთავიდანვე, —
ეხლა კირი და ჯამით წყალი შემომიტანეთ.
კირით ჯერ ყალიბს გამოვძერწავთ კარგა ლამაზად,
მერე კი შიგნით შენადნობი უნდა ჩავასხათ,
ხინჯი არ უნდა მიეკაროს ზეცის წყალობას
და რამემ რომ არ დაგაეჭვოთ, მეც თან წამოვალ".
ასეც მოიქცნენ, რკინის კლიტე დაადეს კარებს,
იქვე მეზობლად კირიც ბედად იშოვეს მალე,
დაბრუნდნენ კარებს ახლა შიგნით გაუგდეს რაზა,
ისევ დახურეს დარაბები და კირი ფარსაგ

დანაყეს, დაფქვეს, ნელთბილ წყალშიც აზილეს ცინცხლად
და დუღაბს სახე კანონიკემ ყალიბის მისცა.
ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, უბრალოდ ვიტყვი:
სასწაულისთვის ყველაფერი მზად იყო თითქმის.
მაგრამ ის როგორ გამოვტოვო, რაიც სწავლულმა
აქ ჩაიდინა: სახელოდან მღვდლისგან მალულად
ვერცხლის ნაგლინი ამოიღო, შემოუკეცა
გვერდები, მაგრამ ვერ შენიშნა ესეც ხუცესმა,
მერე კი ნაგლინს ფორმა მისცა კირის ყალიბის
და მაინც აზრზე ვერ მოვიდა ჩვენი არიფი;
ნაგლინი ისევ გადამალა და შესაფერი
პოზაც მიიღო, — წამში მოხდა ეს ყველაფერი.
„დროა!" — ამაყად შეუძახა, ასწია ციცხვი
და ყალიბისკენ წამოვიდა ნაბიჯით მტკიცით,
დააპირქვავა ციცხვი სწრაფად, ყალიბი მაშით
აიტაცა და ჩადგა იქვე წყლით სავსე ჯამში.
„მზად არის, ძმაო, მიდით, თავად აიღეთ სინჯი, —
არავითარი მინარევი, ბიწი და ხინჯი, —
სუფთა ვერცხლია, ოღონდ ცოტა გაწმენდა უნდა,
მონეტას მისგან ჩემივ ხელით გამოვჭრი თუნდაც".
როდესაც ციცხვიც გამოცივდა, სახელდახელოდ
ამღვრეულ წყალში კანონიკემ ჩაჰყო სახელო,
ნაგლინი ფრთხილად ჩააცურა და ჰა ციცხვიდან
თაღლითმა მართლაც ამოიღო თეთრი ფირფიტა.
„გმადლობთ, უფალო, — იღრიალა მაშინ ხუცესმა,
თვალს ვეღარ სწყვეტდა სტუმარსაც და ვერცხლის
ფურცელსაც.—
მოგვი ყოფილხართ, ჭეშმარიტი, არ დავიქადნებ,
მაგრამ ნაღდ კაცად მიგიჩნიეთ იმთავიდანვე.
ყოველთვის ხელი მოგიმართოთ, ძმაო, გამჩენმა,
ამაზე სიტყვა სხვასთან, აბა, როგორ დამცდება".
„გავიმეოროთ კიდევ ერთხელ აუცილებლად, —
სულ სხვა ძალა აქვს ვარჯიშსა და გამოცდილებას,
არ შეიძლება თვალით ნახულს არ დაუჯეროთ,
და ცდებს თქვენც უკეთ ჩაატარებთ მერე უჩემოდ.
—ჩქარა, სინდიყი! აჰა, ციცხვი! აბა, ნახშირი! —

და დატრიალდა გულუბრყვილო მღვდელი ბავშვივით, —
ახლა საბერველს მიმიხედეთ! შრომა სწავლულმაც
უნდა იცოდეს; — უფრო სწრაფად! უფრო ძალუმად!"
რა გინდა, ბედიც ამას ჰქვია! მღვდელი თვალებსაც
არ უჯერებდა; — თვით ფორტუნა მოეალერსა!
არავითარი სამსახური აწი არც უნდა,
მე შენ გეტყვი და ვერ იცხოვრებს ბატონკაცურად.
გაავარვარა ხელად ქურა, არწყა მისხალი,
აიღო ციცხვი და ჩაასხა შიგ ვერცხლისწყალი.
თვალს ადევნებდა კანონიკეც ხუცესს შორიდან,
თითქოსდა საქმის ყოველ წვრილმანს თვალით სწონიდა.
ასე უყურა კარგა ხანი, მერე სკივრიდან
რაღაცა ჯოხი აიღო და მღვდელთან მივიდა.
ჯოხს გული ჰქონდა გამოხრული, შიგ კი უნცია
ვერცხლი იდო და თავის მზაკვრულ მიზანს უცდიდა,
გარედან ბოლო ცვილით ჰქონდა ამოგლესილი, —
ყველგან უყვარდა გაიძვერა თაღლითს წესრიგი".
და აი, როცა შრომამ მღვდელი კარგად მოქანცა,
კვლავ შესთავაზა დახმარება მოყვასს მოყვასმა,
ჯერ ყოვლისშემძლე ფხვნილი ციცხვში ბლომად ჩაყარა,
ფხვნილის ძალაზე დაიფიცა ორჯერ ჭაღარა,
ჯოხით დაუწყო მერე ჩხრეკა წითელ ნაკვერცხალს
და წარმატება უსინდისომ ღმერთს შეახვეწა.
სანთელი გადნა, ვერცხლი ისევ ციცხვში ჩაცურდა
და ამოითქვა, როგორც იქნა, სული მაცდურმაც;
ხუცესზე უფრო ბედნიერი მეორე ეხლა
რაღა თქმა უნდა, რომ ნამდვილად არ იყო ქვეყნად.
ამჯერად იგი გააცურეს ცხადია უკეთ
და საცოდავი შეშლილს უფრო მოჰგავდა უკვე.
მერე იყვირა მეუსეულად და ქვითინს მოჰყვა,
თავს და სიცოცხლეს უმადლოდა ჯადოქარ მოყვასს.
„რა ვქნა, — ამბობდა კანონიკე, — უფალმა უწყის,
ღარიბად ვცხოვრობ თუმცა, მაგრამ არა ვარ ძუნწი.
ეს საქმე ვიცი, ძმობილო, და არც იმას ვმალავ,
რომ ზეციერმა სანუკვარი მომმადლა ძალა.
კარგად არ მიცნობთ, — სახლში ალბათ გექნებათ სადღაც
სპილენძის ძველი ჭურჭლეული — ჯამი თუ კათხა".

„კი, როგორ არა, განჯინაში მიყრია ბლომად
ხარახურა და ძველმანები, — ეხლავე მომაქვს!"
გაჩნდა სპილენძიც, ფსკერგავარდნილ, დაჟანგულ ტოლჩას
თაღლითმა დანით მხოლოდ ერთი მისხალი მოჭრა.
(რა ენა მოთვლის მის სიბილწეს, — მე ვეღარ ვუძლებ,
ასე მგონია მარტო ბოღმა გამგუდავს უცებ.
მაგრამ ბოლომდე მაინც ვიტყვი ყველაფერს, ვინძლო
მისდამი ზიზღი, ბატონებო, სუყველამ იგრძნოს,
მინდა თქვენ მაინც გადაურჩეთ იმის ბასრ კლანჭებს.
და ესე სიტყვაც სხვათა შეკის სწავლებად დარჩეს).
სპილენძის კვნიტი კანონიკემ ციცხვში ისროლა
და ჯადოფხვნილი მოაბნია, — არც უმისობა
არ ივარგებდა, მიაყოლა მერე სინდიყიც
და გამობერა საბერველი ჯინის ფილტვივით.
ეს გაიძვერა სწრაფიც იყო, ვით ჯადოქარი,
სულ ტრიალებდა, თითებს მაინც თვალს ვერ მოკრავდით.
ქვეყნად ვერავინ აჯობებდა თაღლითს ამაში,
მღვდლის გაცურება მისთვის იყო ოდენ თამაში.
და აი ეხლაც, როცა მისთვის ჩვეულ ხალისით,
ჩაასხა ბოლოს შენადნობი კირის ყალიბში
და წყალში ჩადგა, სულ ორიოდ წამში მენცარმა
სპილენძი ისევ ვერცხლის თხელი ფურცლით შეცვალა, —
ამღვრეულ წყალში ორჯერ ჩაჰყო ხელი პირადად.
გრძელ სახელოში ჯერ სპილენძი დააბინავა;
საქმის პირველი ნახევარი კარგად დასრულდა
და ოდნავ უკვე დაიმშვიდა გული მაცდურმაც.
მეორედ ვითომ სინჯს იღებდა მღვრიე სითხიდან
და კვლავ სახელოს ჩააყოლა ვერცხლის ფირფიტა.
უკვე მზად იყო ყველაფერი კვლავინდებურად
და ჰკითხა ხუცესს, „ძმაო, რაზე დაფიქრებულხართ,
არ გინდათ თვითონ ამოიღოთ სინჯი სათლიდან?" —
მკლავი მოჰხვია და ციცხვისკენ წამოათრია.
მღვდელი ღელავდა, ჯერ ამღვრეულ წყალს დააჩერდა,
სული მოითქვა და ნელინელ ჩაჰყო მარჯვენა,

მკლავი მორივით ამოვარდა მერე უცებ და
მკვარის სუსტ შუქზე გაიელვა თეთრმა ფურცელმაც.
„თქვენ, როგორც ვატყობ, ჩემზე უფრო სწრაფად
მოქმედებთ —
და გაოგნებულს ხელი დაჰკრა ბეჭზე მოკეთემ, —
ეხლა ჩვენ წავალთ და უკლებლივ ყველა ფირფიტას
ოქრომჭედელთან გასასინჯათ ერთად მივიტანთ, —
აბა, რა ვიცი, — ორივენი ვცდებით, ეგება,
მაგრამ ამ საქმის მცირე რამე თუ გამეგება,
ნაღდია, ძმაო, და ამაზე უფრო ხალასი
ვერცხლი ბარე ორს არ ექნება დღეს ჩვენს ქალაქში“.
სიხარულისგან კანში აღარ ეტია მღვდელი,
დაპატარავდა მის წინაშე ქვეყანა ვრცელი,
მაგრამ ხალისის დროც არ იყო იმისთვის ეხლა, —
სხვა, უფრო დიდი, საქმეებიც არსებობს ქვეყნად.
შემოახვიეს სველი ტილო ლითონის ფურცლებს
და ოქრომჭედელს მიაშურა ორივემ უცებ.
იუველირმა ჯერ ფირფიტებს ჩაქუჩი დაჰკრა,
დაასხა მჟავა, მერე ცეცხლშიც შეაგდო, მაგრამ
ხინჯი და ნაკლი ვერაფერი უპოვა მეტალს
და გადარია მით საწყალი ხუცესი მეტად.
მაშინვე ენად გაიკრიფა, იკვნეტდა თითებს,
მღეროდა, ბჭობდა, იცინოდა, ტიროდა კიდეც.
ასე არც ჩიტი ეგებება მაისში ცისკარს,
არ სდევს ამბოხი ეგოდენი ჭაბუკის სისხლსაც,
ასე ქალებიც კი არ ბჭობენ ცეცხლისპირ მწუხრზე,
როს საუბარი ტრფობის საკითხს ეხება უღრმესს.
ასე რაინდიც კი არ იბრძვის, როდესაც სატრფოს
ეცილებიან და სიყვარულს არც ერთი არ თმობს.
რაკი დარწმუნდა, რომ ბრძნობის გზას დაადგა ნაღდად
და უცბად თითქმის მთელი ქვეყნის მფლობელი გახდა,
ჩვენმა ხუცესმა მოგვის სწორფერ, დიდებულ სტუმარს
უკანასკნელი ხვაშიადიც აუწყა უმალ:
„ყველგან გვაფარვდეთ მაცხოვარის მძლეავარი ჯვარი!
თქვენ ადეპტი ხართ ჭეშმარიტი, სულით და ძალით!
მგონი არ უნდა გაგიჭირდეთ მაინცდამაინც,

ფხვნილის რეცეპტი რომ ახლავე მომყიდოთ, რაიც
ჩვენს საიდუმლოს შეეხება, იმედი გქონდეთ,
არსად არ დავძრავ ამ საკითხზე სიტყვასაც ოდენ“.
„მოგყიდით, მაგრამ დაგიჯდებათ ნამდვილად ძვირი,
სულ ორმა ვიცით მთელს ინგლისში რეცეპტი ფხვნილის“.
—„კი მაგრამ, მაინც რას აფასებთ? მითხარით ბარემ,
მეც აქა ვარ და დავამთავროთ ეს საქმე მალე“.
„თქვენი სიკეთე კარგად მახსოვს. ზედმეტი გროში
არ გაამდიდრებს კაცს ნამდვილად ჩვენს დუხჭირ დროში,
მეგობარს ზედმეტს არ წავგლეჯავ, ხოლო თუ ორმოც
გირვანქას მომცემთ, ოდნავ მაინც დავფარავ ორმოს,
ჩემს ჯიბეში რომ გაჩენილა, თანაც ფსკერს მხოლოდ,
მითქვამს და ეხლაც ვიტყვი, ძმაო,—ხელმოკლედ ვცხოვრობ
ხელი ხელს მისცეს ორივემ და ხელად მორიგდნენ
და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყო ორივე.
თითქმის სულ მუქთად ჩაიჯიბა ფული თაღლითმა,
წასვლის წინ მღვდელი გააფრთხილა: „უნდა აღმითქვათ,
რომ საიდუმლოს შეინახავთ, ძმაო, სიკვდიმდე, —
მხოლოდ ერთგული მოყვასია ჩემი სიმდიდრე.
ფიცის გამტეხი სუყველაფერს ერთად დაკარგავს
და ვით ბოგანო მაწანწალა ივლის კარდაკარ“.
„ რას ბრძანებთ, ჩემო მწყალობელო. ნუთუ იმდენად
უგუნური ვარ რომ ფიცი და მტკიცი მჭირდება?
მე რომ არ მქონდეს მართლაც ჩემი თავის იმედი,
ასეთ რთულ საქმეს მაშინ ხელსაც არ მოვკიდებდი“.
„გმადლობთ, ძმობილო, ეგ ხმა თითქოს მესმის ზეციდან
და კანონიკეს რომ ანაზდად არ გაეცინა,
რიხით თქვა — ამ ფიცს ნუ გადახვალთ ნუღარასოდეს
და თქვენი მონა კანონიკეც მუდამ გახსოვდეთ,
მშვიდობით, ძმაო, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“ —
და სიზმარივით უცებ გაჰქრა გამომძალველი.
ხუცესს კი ცოდვის დღე დაუდგა — რა არ იღონა,
მაგრამ ქურაში ვერცხლის მსგავსი არა იყო რა,
ბოლოს კი მიხვდა კანონიკეს ყალთაბანდობას,
თავში ხელები შემოიკრა და განმარტოვდა.
ამ დროს თაღლითი შორს ფუნდუკში იყო განცხრომად
და სამერმისოდ ახალ-ახალ გეგმებს აწყობდა.

სხვა რაღა გითხრათ? ოქრომ ბევრი გაასულელა
და გუნდრუკს უკმევს და თაყვანს სცემს მაინც სუყველა.—
ყველას ამარცხებს და უკვალოდ ქრება ნიადაგ,
ისე გასხლტება, იმის კვალსაც ვერსად მიატან.
მულტირება და გამრუდება ჭკუას გვიბნელებს
და სიბნელეში მოგვადგება კარზე სიბერეც.
ყველაფერს ისე ორჭოფულად გიხსნის ადეპტი,
მის შეგირდობას სხვაგან ალბათ არც იკადრებდი.
ქვეყნის ტერმინებს ხმარობს ამდროს ერთობ იაფად
და ლაპარაკი ყვავის ყრანტალს უფრო მიაგავს.
სიქას გაგაცლის მარტო სიტყვის კორიანტელი,
მაგრამ უთქმელი კიდევ რჩება ორი ამდენი.
შედეგი მაინც არსად არ ჩანს, მხოლოდ ეს არის,
რომ უფრო გამრჯე ხდება ბრიყვი და უმეცარი,
უფრო გენდობა, უფრო ხშირად გიმხელს იმედებს
და, რა თქმა უნდა, ფულსაც უფრო ბლომად იმეტებს.
ალქიმიაში შემოსავალს მხოლოდ და მხოლოდ
იძლევა ბრიყვი და თუ ქვეყნად ადეპტიც ცხოვრობს,
ბრიყვს მოძღვრავს, და მის ჯიბეებში ფიცილით წრფელით
იღლიამდე აქვს ჩაყოფილი ორივე ხელი;
სანამდე შენი დოყლაპია მიხვდება რამეს,
იცხოვრე, ძმაო, შენს გემოზე შესვი და ჭამე.
და ბოლოს, სანამ დაიწყება წყევლა და ლანძღვა,
სხვა ვინმე უნდა გამონახო ჭკვიანმა კაცმა.
პირველს მოეშვი — ვეღარაფერს იმისგან ნადდად
ვერც გაიგონებ წყევლისა და გინების გარდა.
თუ ვერ გაასწრებ, მთელ ქვეყანას შეგიყრის ხელად
და მერე ცხვირის აბზუებას დაგიწყებს ყველა.
ამდენს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თუკი ვინმე
ამდაგვარ მზაკვრულ ოინებზე ამყარებს იმედს,
დროზე უშველეთ, სანამ კიდევ არ არის გვიან,
სანამ მიწაზე დასეირნობს და კაცი ჰქვია.
— არსებობს ერთი ჭკვიანური ანდაზა მართლაც —
„სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“, —ეს აზრი სადღაც
სწორიც არის და მისაღებიც — შრომა და გარჯა
ბოლოში მაინც გაძლევს ნაყოფს, თუ თავში არ ჩანს.

მხოლოდ სულელი მენცარია, თვალებს რომ ხუჭავს
და სიკვდილამდე შრომობს ასე უქმად და ფუჭად.
— უკეთუ თვალმა შენ გაცდუნა, განაგდე იგი, —
ანუ გონებით გაიხედე იმ თვალის იქით,
მაგრამ, გეთაყვა, რაც არ უნდა ხედავდე საღად,
ამ თვალთმაქცობით ხეირს მაინც ვერასდროს ნახავ.
ქურაში ცეცხლი დროზე უნდა ჩააქრო კაცმა,
თორემ სახლ-კარს და მთელ ცხოვრებას ამ ცეცხლზე დაწვავ.
აი რას წერდნენ ამ დაწყეველილ საქმეზე ძველი
ალქიმიკოსნი, ჭეშმარიტი მოგვნი და ბრძენნი:
„ვერცხლს სინდიყიდან ვინ მიიღებს, თუ არა გიჟი“ —
ამას წერს არნოლდ ვილანოვა ერთ მოგვურ წიგნში.
ტრისმეგისტოსმა, თვით ჰერმესმა, პირველმა მოგვმა,
თქვა: „დრაკონს მხოლოდ ისევ მისი ღვიძლი ძმა მოკლავს“.
დრაკონში სინდიყს გულისხმობდა პირველი მოგვი,
ხოლო დრაკონის აღმსრულებელ ღვიძლ ძმაში — გოგირდს.
ისინი ჰქმნიან ნივთთა ხატს და საგანთა ნიშანს,
ერთი მთვარისგან, მეორე კი მზისაგან იშვა.
მზე გოგირდს ჰბადებს, როგორც წესი, მთვარე კი — სინდიყს
და მასში შექმნის და არსობის აზრია დიდი.
ამ სიბრძნეს ყველა ვერ ჩაწვდება — მოგვთაგან ბარე
ორს არ უღებდნენ ოზირისის სასახლის კარებს.*
მარტოდენ იქ მყოფს აღარ ბორკავს ხიბლი და გრძნება
და იდუმალთა იდუმალის წილხვედრი ხდება.
ვიღაც მოწაფე მუხლმოყრილი ევედრა პლატონს:
„მოძღვარო, თქვენი ელექსირის სახელს გთხოვთ მარტო“,
„ტიტანი“, — უთქვამს ფილოსოფოსს, — ტიტანი არის
მთელი სამყაროს ალქიმიის კლიტე და კარი“.
„კი მაგრამ ერთ დროს მაგ ელექსირს თუ რაღაც ხვითოს
„Ignatum per Ignatius“-ი[1] უწოდეთ თვითონ“.
— „სწორია“, — „ჰოდა, მეც, მოძღვარო, მხოლოდ ეგ
გკითხეთ“.
— „ეს არის ოთხი ელემენტით ნაზავი სითხე“.
„რა ჰქვია ნეტავ?“ — „არასოდეს არ გეტყვი სახელს“ —

---

* იდუმალთა იდუმალი (შეუცნობელთა შეუცნობელი) (ლათ.)

უთხრა პლატონმა არამკითხე მოწაფეს მკვახედ, —
და ჭეშმარიტად არც არსებობს ამ ქვეყნად, რადგან
ის აქამომდე ჯერ ბრძენთაგან არავინ გათქვა.
სახელი ესე იდუმალი ღმრთის პირით ითქმის
და მოკვდავთაგან იგი არვის არ ესმის თითქმის".
ჩემს ამბავს ასე დავამთავრებ: თუ ზენა ძალა
კაცთაგან არსის იდუმალის შეცნობას კრძალავს,
მაშინ ამ მიზანს სულ ფუჭად და ამაოდ ელტვი
და ამ ლტოლვაში ჰგიეს მავნე და არა ღმერთი.
ხოლო ვინც მუდამ უკეთურის ნაკვალევს მისდევს,
თანდათან მისდა უნებურად იხრება მისკენ.
და რაც არ უნდა ამახვილოს ჭკუა და აზრი,
ხსნა მისთვის მაინც არ ეგების აროდეს არსით.
ეჰ მშრალად არც მე გამოვსულვარ ნამდვილად, მაგრამ
წუმპიდან მაინც ამომაგდო განგებამ მაღლა,
რამეთუ ყოვლისმწყალობელმა მანიშნა ამით
დავიხსნა სული და კეთილი ვამრავლო, ამინ!"

აქა დასასრული კანონიკე ბერის
მსახურის ამბისა

მნის ამბის პროლოგი

გზის პირად ერთი სოფელია, ბლიის ტყის ქვევით,
სახელად ჰქვია, თუ არ ვცდები, ხრამი თუ ხევი,
სულ ოღრო-ჩოღრო კალთებია, და აი ისევ
კიჟინა დაგვცა მეფუნდუკემ ზედ ხევის პირზე:
„სწრაფად ბიჭებო, მგონი, ლაფში გვეფლობა წაბლა,
კი არ ჩერდება, თავქვე მიდის დაბლა და დაბლა,
ხელი ჰკარით და გააღვიძეთ, აბა, ჰე, მარდად,
თორემ ეგ ლოთი მალე ხევში მოადენს ზღართანს.
ისე მკვდარივით ჩაეძინა ამ რეგვენს, ახლა
რომც მოიპარო, ვერ გაიგებს ვერაფერს ნაღდად.
ქეჩოზე ურტყამს ცხენს ცინგლიან ცხვირსა და ნიკაპს
და მაინც ერთი დამთქნარებაც არ მოსდის ფიქრად.
ამას ლონდონის მზარეულის რა უგავს ნეტავ?
ვაი, სირცხვილო! არც შევხედავ ამაზე მეტად,
მაგრამ რიგი რომ მაგისია? — თუ ძმა ხარ, ერთი,
გამოაღვიძე, ზედ კეფაზე დაჰკარი კეტი...
ნახელავს ვერვინ დაუწუნებს, ჯერ მარტო ორთქლი
მაძღებდა კერძის, სლოკინისგან კინაღამ მოვკვდი.
ჰე, მზარეულო, კმარა, ძმაო, გეყოფა ძილი
რას მიკეთებდი წუხელ ღამით, კოღო და რწყილი
ხომ არ ითვალე, აბა, ძმაო, დღისით და მზისით
არ გამიგია ძილი, ცხენის ტახტაზე ისიც.
მე მგონი, ღამით კაბიანებს დასდევდი კუდში,
ან ღვინით ხომ არ დაიმყავე ოხერი კუჭი?
კი მაგრამ ამ ხალხს რაღას ერჩი? ყვავივით ვჩხავით
და შენ კი ყურსაც არ იბერტყავ, შეგირცხვეს თავი!"
უცბად დუდღუნი შემოგვესმა: „...ბატონო ჰარი,...
მზარეულს წირპლით სავსე ჰქონდა ორივე თვალი.

..ნამდვილად დიდი წყალობაა... ვერ დავლევ წვეთსაც...
რას მეძინება, ეს ოხერი... რომელმა მხეცმა...“

„კარგად ყოფილა, აბა საქმე,—მსაჯულთა სახლის
მნემ ჩაიქნია უცბად ხელი, — რა შავ ქვას ვახლით,
მზარეულს თავი კვლავ სუფრაზე ჰგონია ალბათ,
მე მოგიყვებით, ბატონებო, ერთ ლამაზ ამბავს.
მკვდრის ფერი ადევს ამ უბედურს და ვეღარ სუნთქავს,—
არაყზე იცის ასეთი რამ ღვინომ და ლუდმა.
ავადმყოფია, ალბათ სიცხეც ექნება, მაგრამ
ვერ შევიცოდებ, ბატონებო, ოხერს და რა ვქნა?
შეხედეთ ერთი, პირზე როგორ ჩამოსდის დორბლი,
ამ ლოთებს მაინც ორიოდე ჭიქაც კი ყოფნით.
როგორ ამთქნარებ, შე მუტრუკო, ნამდვილად ქაჯსაც
ჩაყლაპავ ეგრე, დიახ, დიახ, რა თვალებს ქაჩავ?!
ან ასე მაინც სად დაკარგე ჭკუა და აზრი,
ღვინო ჩახეთქე თუ ელით და არაყით გასკდი?
სწორად დაჯექი ცხენზე, თორემ ბაწარით შეგკრავთ,
— მტყუანია და სიტყვაც გულზე ესობა ეკლად.
ასე რუმბიეთ რამ გაბერა, რა ჭამა, რა სვა?
მხოლოდ სამიზნედ გამოდგება ამხელა მასა.
ნაღდად ნახერხი გადმოსცვივა ჭიპზე რომ გაჭრა,
რა უნდა ჩვენთან ამ მათხოვარს, საიდან გაჩნდა?
მაიმუნამდე მაინც გესვა, თვალებს რომ წკურავ,
ხომ იცი ვერვინ ვერ აიტანს ღორსა და ბურვაკს“,

არ მოუთმენდა მზარეული ამ კაცს ნამდვილად,
მაგრამ სათქმელი აზრი ცოტა ვერ დაადგინა,
ენას კი ნაღდად ვერაფერი ვერ მოუხერხა
და მხოლოდ მძლავრად გაიწია, ვით ცალუღელ ხარს
სჩვევია ხოლმე, გაიწია და მეუსეულად
ლაფში ზღართანი მოადინა ქვამ თუ სხეულმა.
დასცეს ყიჟინა და მისცვივდნენ ასაყენებლად
და გაოგნებულს ყოველი მხრით დასწვდა ხელები:
„რა გრჯიდა, ძმაო, ამ მხედრობას, ძროხის ბეჭიდან
ახლა მწვადების, ანდა სუკის თლა არ გერჩივნა?
ატრიალებდი შენთვის ახლა წიწილს მაყალზე
და ჟამიდანჟამ გაუბამდი ჭუკჭუკს ხაბაზებს“.

საწყალი მართლაც ბურვაკს ჰგავდა ლაფში ამოსვრილს.
სულ ლაპლაპებდა, არც კი ეცვა თითქოს სამოსი.
ამოათრიეს, როგორც იქნა, ჩვენი ბურვაკი,
ასწიეს მაღლა და დააკრეს თოკით უნაგირს.
ზოგმა ნამდვილად შეიცოდა, ბევრმა დასწყევლა,
მაგრამ სიცილი აღარ დათმო მათგან არცერთმა.

სახლის პატრონი მნეს მიუდგა: „იმთავიდანვე
მივხვდი, რომ მაგან არ იცოდა კარგი სიმთვრალე.
თქვენ ფიქრობთ ალბათ ელი შეხვდა ერთობ მაგარი,
არა, გეთაყვა, თვითონ არის კაი ჯაბანი.
უყურეთ ერთი რას ქშინავს და რამდენს ახველებს,
როგორ ჩამოსდის განუწყვეტლივ ოფლი სახეზე.
ამდენ გულზიდვით დედის რძეც კი არ შერჩენია,
მერე და ფერიც რომ მიუგავს ნაღდად ჭლექიანს?
ეგ, ძმაო, კიდევ არაფერი, მე ის მადარდებს
არ ჩაისვაროს უცბად გზაზე მანამ, სანამდე
დუქანს შევხვდებით, თორემ ის ხომ ვიცით ისედაც.
ერთი-ორჯერ რომ ლაფში კიდევ ამოისვრება.
რამსიმძიმეა ეს ოხერი, ზიდვა არ გინდა,
მე შენ გეტყვი და შემოაწვდენ მკლავებს ადვილად.
რას იზამ, ძმაო, ამბავს ისევ თქვენ თუ გვიამბობთ,
ისე მაგრა კი შეახურეთ ეს უნიათო,
მაგრამ საქვეყნოდ რომ დასცინით ამ კაცს, გეთაყვა,
ერთი ეგ თქვენი დავთარი და ნიხრიც გეენახა,
დანაკლისი რომ აღმოგიჩნდეთ, მაშინ რას შვრებით,
მზარეულისგან არ გექნებათ მაინც საშველი.
მე რომ თქვენს ლაზათს ვიცნობ, ძმაო, ამ დროს მსაჯულებს
და მეტიჩარა მზარეულებს ქრთამით აჩუმებთ,
მაგრამ ახლა კი მზარეულიც აღარ დაგინდობთ
და მალე სადღაც წაიტეხავთ ცხვირს უამისოდ“.

„ო, ღმერთმა ნუ ქნას,—მნე შეშინდა,—თუ მაგ ბატკნებმაც
რამე იკადრეს, მე კარგი დღე არ დამადგება.
და კაცმა რომ თქვას, რა ვუთხარი ანდა ისეთი,
არც ვაპირებდი მაგის წყენას, რჯულს გეფიცებით,
მე მხოლოდ ჭკუა დავარიგე, როგორც მეგობარს
და მით სიკეთეს ვუკეთებდი-მეთქი, მეგონა.

მას ჩემგან ცუდი არაფერი ახსოვს აქამდე
და რა დაშავდა, თუ ხუმრობით რაღაც ვაკადრე,
ოქრო ბიჭია, კაცი არის მართლაც კაცური
და რა სჭირს ჩემი დასაცინი და დასაწუნი.
— ღვინო მაქვს, ძმაო, მკვდარს მოარჩენს, აი, მათარა,
ერთმა ნაცნობმა მიკიტანმა გამომატანა.
თუმც მზარეული დღის მგზავრობამ ძლიერ დაქანცა,
მაგრამ ერთ ჭიქას მაინც ასწევს თავის ძმაკაცთან.
არ იწირება მეგობრობა ასე იოლად", —
მნემ თითქოს მიზანს მიაღწია და ზეიმობდა.

მართლაც მნემ კარგად ჯერ სათქმელიც არ დაამთავრა,
რომ მზარეულმა წაუწია ხელი მათარას.
დღეს უკვე ღვინო მერამდენედ დააჭაშნიკა,
მაგრამ თავი კი უზუოდა მაინც საშინლად,
ხარივით რაღაც დაიღმუვლა ბოლოს, — ამჟამად
მან ალბათ მნესთან შერიგება გამოამჭღავნა.

აქ მეფუნდუკემ გულიანად გადიხარხარა, —
„დღეს შერიგება რა იოლი საქმე გამხდარა,
კაცს თურმე მხოლოდ ერთი ჭიქა უნდა დაუსხა
და იმ წუთშივე დაავიწყებ სირცხვილ-ნამუსსაც.
აწი მიყურეთ ყველგან ღვინო უნდა ვატარო,
არ დავადგები ამის შემდეგ გზას უმათაროდ.
დიდ ალიაქოთს, ჩხუბს და სამტროდ გადაკიდებას
ალბათ ორ დოქზე მეტი მაინც არ დაჭირდება.
დიდება ბახუსს! ჭეშმარიტად, ღვინის სიფიცხე
გულის დარდს ადნობს და ყოველგვარ მტრობას ივიწყებს!
— აბა, გვეყოფა ლაპარაკი, გისმენთ, ბატონო,
ზოგჯერ ღვინო ვსვათ, მაგრამ საქმეც არ მივატოვოთ".

მნის ამბავი

აქა დასაწყისი მნის ამბისა ყვავის შესახებ.

თვითონ ფებუსიც ცხოვრობდაო მიწაზე ძველად,—
ამბობს მითი და ეს ამბავი მეც სადღაც მჯერა.
მშვენიერი და მხიარული რაინდი გახლდათ

და მასთან ყოვლის მძლევარადაც შერაცხა ხალხმა,
გმირმა ბოროტი პითონიც კი განგმირა ისრით
და ქვეყნით ასე აღიკვეთა პარპაში მისი,
წყალობითა და შემწეობით მძლევარი გმირის
ხრიოკი დაბად გადაიქცა, ბაღნარად მწირი.

მღეროდა თურმე კურთხეული საოცრად ტკბილად
და გრძნეულ ბგერებს გამოსცემდა იმისი ლირა.
ამბობენ ხმაში ამფიონსაც მოსდგამდა ძალა
და მტრისგან თურმე სიმღერებით იცავდა ქალაქს,
მაგრამ ფებუსთან არც ეგების ხსენება მისი,
თუმც ისიც არის ქებისა და დიდების ღირსი.
სილამაზეშიც არ ჰყოლია ფებუსს ბადალი,
მზედ ხმობდნენ მას და მართლაც იყო მისი სადარი.
სიბრძნეშიც ყველას აღემატა, მისებრ ალალი
და გულკეთილიც არ ყოფილა ქვეყნად არავინ,
ნიშნად ძლევისა ბოროტისა მის ასპიტისა,
ის განუყრელად ატარებდა ოქროს მშვილდისარს,
რომელსაც თურმე საკმეველის სუნი სდიოდა,
შორს მიფრინავდა და აღწევდა მიზანს იოლად.

ფებუსს, ამბობენ, ჰყავდა ყვავი, მისი გალია
დარბაზში იდგა სარკმლის პირად და ღმერთს ძალიან
უყვარდა თურმე ეს ფრინველი, დიახ, წარღვნამდე
ისინი თურმე ამ ჩვენს ყვავებს სულაც არ ჰგავდნენ;
იმ ხანად ყვავი ფრიად თეთრი გახლდათ ფრინველი
და მგალობელთა სირთა შორის იყო პირველი.
ფებუსი ფრინველს ასწავლიდა კაცის ენასაც
და მალე თხრობის უნარით და ნიჭით შერაცხა.
ფრინველს ძალუძდა აზრიც ეთქვა, სხვისიც გაეგო,
დავაც იცოდა, თუკი იყო რამ საპაექრო.
ტოლს ლაპარაკში, მოკლედ, არვის არ დაუდებდა,
ხშირად ხმარობდა შიგადაშიგ ნართაულებსაც.

ფებუსს, ამბობენ, ცოლიც ჰყავდა უსაყვარლესი,
ცხოვრობდნენ ქალი და ფრინველი ერთ სასახლეში,
თავს ევლებოდა ვაჟი ქალს და მცირე წადილსაც,
არა თუ ნატვრას, უსრულებდა დია ადვილად.
ისე უყვარდა, ცოტას კიდეც ეჭვიანობდა,

თუმცაღა კაცი სხვაფრივ აძას ვერ შეატყობდა,
მაგრამ კურთხეულს სახლში სტუმრად არვინ მიჰყავდა
და ცოლსაც არსად არ უშვებდა დაუკითხავად.
ეჭვიანობა ყველას ზედმეტ ბარგად აწვება,
ეს, მით უმეტეს, მართ შეიგნონ უნდა კაცებმა,
რადგან ქმარს ცოლი მაშინ ჰყიდის თურმე მეტადრე,
როცა მას რკინის გალიაში გამოკეტავენ.
მაგრამ თუ ცოლი წმინდაა და თავიც სტუმართან
კარგად უჭირავს, მაშინ ამ ქალს ვიღას უმალავთ?
ხოლო თუ ქმარი არ უყვარს და მხოლოდ ქალია,
ვერ დააკავებს იმას მაშინ ასი გალიაც.
მიდი მერე და შეაჩვენე და გამოლანძღე,
ანდა წიგნები წაუკითხე ქალის მორალზე.
ყველას სჯობია მას ნებაზე თუკი მიუშვებ,
რამეთუ ოდენ ჯოჯოხეთში მიდის სიმრუშე.
მაგრამ მე, მოდი, ისევ ამბავს დავუბრუნდები, —
სიყვარულისგან, კურთხეული, იყო წუთები,
ჭკუას კარგავდა. ერთადერთი, რაც ჭეშმარიტად
ატკბობდა, იყო თუნდ მითიდან და ზღაპარიდან
უბადლო უნჯის გამოტანა სატრფოს გულისთვის
და ლამის მსხვერპლად შეეწირა ამ დროს სულიც კი.
მაგრამ რას უზამ იმ ბუნებას, რაიც უკუნთა
წიაღ, ვით წესი, მარტოოდენ ვლიდა უკუღმა,
ვისთვისაც შუღლი და ყოველმხრივ მეტოქეობა
არის კანონი ცხოვრებისა ანუ ზნეობა?
კრუხად ვერ დასვამ ვერასოდეს ქორს და შევარდენს,
ხარის მძორიც რომ დაუყარო ცხვირწინ ყელამდე.
ლაღ ფრინველს ოდენ ციხედ უღირს ოქროს გალიაც
და მისთვის შენი ბურგუნდული ღვინოც წყალია.
გულზე ადგება იმას შენი ოქროს მარცვალი
და დღენიადაგ კოღო-ბუზზე ფიქრობს საწყალი.
სულ წვალობს ტყეში შობილი და ტყეში გაზრდილი
და სასახლიდან კვლავ უსიერ ტყეებს გასტირის.
ცაში ირაო თუ ჭიუხით გამოქროლება
სულ ურჩევნია ერთიანად მთელს შენს ქონებას.
კოღო და ბუზი სიამოვნებს, ჭია-მატლებს და

შავ-შავ ხოჭოებს რომ უყურებს, ნერწყვი ადგება,
ათოვს და აწვიმს და ხორციც და ძვალიც უდნება,
მაგრამ ყველაფერს ურჩევნია თავისუფლება.
აიღეთ კატა, მაგალითად, ჩია ცინდალი,
გინდათ რძით სავსე ჯამში თავით ჩასვით პირდაპირ,
მიეცით თევზი, ქათმის ხორციც არ დაუკავოთ,
მერე ლოგინშიც ჩაიწვინეთ, თუკი უკატოდ
ვეღარ იძინებთ, მაგრამ ამ დროს საკმარისია
გაიფაჩუნოს სადღაც თაგვმა, ან სარკმლის მინას
დაეცეს ლანდი ბეღურისა, რომ უცაბედად
შენს ჩია ცინდალს თვალში სხივი გაუმწვანდება.
ამაგს და ალერსს ერთიანად წყალში ჩაგიყრის
და არაფერში არ დაინდობს მსხვერპლს ყაჩაღივით
ველურმა მადამ საზღვარი და ზომა არ იცის
და ქათმის შემდეგ გეახლებათ თაგვსაც ხალისით.
თუ კაცის სულში ცხოვრობს მხეცი ანუ ხვადაგი,
იმას ამ ქვეყნად ვერაფერი ვეღარ გარდაქმნის.
ძუ მგელი, როცა მძუნაობის დრო დაუდგება,
ტრფობას ისე ბრმად ეკიდება და დაუდევრად,
იმდენად თრგუნავს სულს ვნება და სისხლის ხურვება,
რომ გზად შემთხვევით პირველ შემხვედრს ხვადს ეუღლება.
მე უფრო კაცებს ვამათრახებ, ქალებს ზედმეტად,
ალბათ არც არის გასაკვირი, ცუდს ვერ შევბედავ.
კაცი ისედაც ქალზე უფრო ურიდალი და
ვნებიანია, ჩემის აზრით, კაცს, მაგალითად,
არაფრად უღირს მშვენიერი ცოლის ღალატი,
მახინჯი იყოს სატრფო, თუნდაც ნაკლებ თვალადიც.
უფრო მეტს გეტყვით, ქმარი სხვა დროს ასეთ ალქაჯებს
საყვარელ ცოლთან ახლოს არც კი გააჭაჭანებს, —
ასეთი არის ვნების ძალა, იმას ხორციდან
მხოლოდ გეენის შავი ცეცხლი თუ ამოძირკვავს.
ტრფობის სიახლე და ფარული ლტოლვა ახლისკენ
ისე გვიჯანყებს სულს და გულსაც ისე აღგვიგზნებს,
რომ სათნოება და ნასწავლი პატიოსნება
მოგეჩვენება უნებურად ძველმან ძონძებად

და გულით გინდა შეიძოსო ძეფის ძახტიით
და ერთხელ შენი თავისადმიც იგრძნო პატივი.
მეუღლე ფებუსს ღალატობდა, ხოლო ქმარი კი
აუგს ვერაფერს ვერ ამჩნევდა ვითარ ტარიგი.
მთელი თავისი სიყვარული, ძალა და ვნება
მეუღლეს ოდენ მიჯნურისთვის მიჰქონდა მსხვერპლად.
სალახს მოჰგავდა გარეგნობით იარი მისი,
სუნი რომ ასდის დღენიადაგ კურკლის და სისხლის.
ვერ გამონახა უკეთესი მიჯნური ქალმა, —
უფრორე მისი უხეშობა მოსწონდა ალბათ.
ერთხელ ფებუსი შორს კარგა ხნით წავიდა სადღაც
და კუროს ხელში სახლი ლამის ყირაზე დადგა.
— აქ ხალხში „კურო“ არც კი უნდა ვახსენო, მაგრამ
ვაი-მიჯნურთა მით ძაგებაც მინდა და რა ვქნა.
პლატონი ამბობს ერთიაო სიტყვა და საქმე,
არ არსებობსო სიტყვა ცალკე და საქმე ცალკე,
სხვაობა ქრება სახელთა და საქმეთა შორის,
თუ საქმეს ერთი სიტყვა ჰქვია და არა ორი.
საუბედუროდ მე უხამსი და უნდილი ვარ,
გინება ბევრი ამოსულა ჩემი პირიდან,
მაგრამ არ მესმის ჭეშმარიტად რისთვის და რატომ
უნდა ვუწოდო გრაფის ცოლის საყვარელს სატრფო,
მაშინ როდესაც იქვე მისი მოახლის იარს
არ გაესვლება არსად ხალხში და კურო ჰქვია.
კურო ორივეს მოუხდება, — აქ, მე თუ მკითხავთ,
არ გამოდგება არც რბილი და არც მტკნარი სიტყვა.
ასევე ტახტის დამტაცებელ ტირანსაც მხოლოდ
ყაჩაღი უნდა დაუძახო, — ბოლოს და ბოლოს
ორივე ქურდობს, ორივენი ვიღაცას ყვლეფენ,
მაგრამ ერთს ყაჩაღს უწოდებენ, მეორეს მეფეს.
იგივე არქვა ალექსანდრეს ვიღაცა ბრძენმა,
რომ, თუკი მეფის ხმალი ხალხის კაფვაში ცვდება,
არ იცავს კანონს, არად აგდებს საკუთარ რჯულსაც
და შინაურს და გარეულსაც ერთიან მუსრავს,
წარხოცავს პირით მიწისაგან სოფელს და ქალაქს,
არღვევს ადათებს და პირვანდელს ყველაფერს კრძალავს,

სწორედ ამ ტირანს უწოდებენ გმირსა და ბელადს,
სწორედ ამ ტირანს თაყვანს სცემს და ადიდებს ყველა,
ვიღაც ყაჩაღს კი ამ დროს მთელი ქვეყანა უფრთხის,
ოდენ გმობენ და აგინებენ ყოველი კუთხით,
ის მტერია და მოძალადე ხალხისთვის მხოლოდ
და დევნიან და აძაგებენ ვითარცა ბოროტს.
ვერ დავიკვეხნი მწიგნობრობას და სიბრძნის ცოდნას,
ვიცი, რომ აზრის გამოთქმაშიც საკმაოდ ვცოდავ,
ვერც ციტატებით გაგაკვირვებთ, მაგრამ ჩემს ამბავს
ბოლოში მაინც შეუმცდარად გავიტან ალბათ.
დროს ატარებდა საყვარელთან ფებუსის ცოლი,
ორთავ გვერდებიც კი ასტკივდა ლოგინში წოლით.
ყვავი შორიდან უყურებდა მათ სულმდაბლობას,
კი წუხდა, მაგრამ აუგს მაინც არას ამბობდა,
გულში იკლავდა მწარე ბოღმას და იმიტომაც
დუმდა, რომ კახპას მერე მაინც არ დაინდობდა.
და აი, როცა შინ დაბრუნდა ქმარი, უეცრად
აღზევდა ყვავი, აყვირდა და გული მოეცა, —
თავი მოგჭრესო, გიღალატეს — ფებუსს ბახალამ
ჯერ არც კი იყო შემოსული რომ მიახალა,
„რაო, რა თქვიო, — გაუკვირდა ფებუსს ძალიან, —
ყრანტალი, მგონი, არასოდეს არ გისწავლია,
რამ დაგავიწყა ასე უცბად ტკბილი გალობა, —
მაშ, შენთან მოსვლა მე ამაოდ მომიხაროდა“.
„ყური დამიგდე, — აყრანტალდა ისევ ბახალა,
მეუღლემ შენმა თავი თვისი სხვას ასაყვარლა,
გათელეს შენი წმინდა სული, ლაფში ისვრება
შენი სახელი და ღვთიური შენი ღირსება,
აღარ დაინდეს ნიჭი შენი, ფხა და ტალანტი,
მეუღლემ შენმა თავი ურცხვად მოგჭრა ღალატით.
შენს არ ყოფნაში, მეუფეო, ვიღაც სალახმა
შენი უბიწო საყუდელის ბჭე გადალახა.
შებილწა შენი სარეცელი იმ არაკაცმა,
ტრფობა მოგტაცა უტიფრად და ლაფი დაგასხა“,
და დაწვრილებით აღუწერა ბახალამ პატრონს,
თუ ყოველივე როგორ მოხდა, ვითარ და რა დროს,

არ დაუკლია არაფერი და ეხა ყვავთა,
ამო და ტკბილი, დაემსგავსა თანდათან ყრანტალს.
    გაშრა ფებუსი, გაიგუდა და სიტყვა ვერ თქვა,
ერთი სიკვდილი გაათავა უკვდავმა ღმერთმა,
მერე მოიღო ისარი და უებრო მშვილდი
და ვინც უყვარდა სიყვარულით ეგოდენ დიდით,
ვისაც ეტრფოდა ტრფიალებით ეგოდენ სრულით,
თავისი ხელით განგმირა და განუფრთხო სული.
სხვა რაღა გითხრათ? — მერე ბევრი ინანა ღმერთმა
და მერე მშვილდიც გადატეხა ისრებთან ერთად,
დალეწა ლირა, მიანაყა ბარბითი კარებს,
კითერონი და ფსალტრიონიც ისროლა გარეთ.
ბოლოს ბახალას მიუბრუნდა: „მყრალო და ბილწო,
ასპიტის შხამში ამოავლო ეგ ენა ვინძლო,
ცოლი კი არა, მე განმგმირე ჩემივე ისრით,
მე მოვკვდი, ბრიყვო, მე მადინე გულიდან სისხლი.
ვინ დამიბრუნებს სიყვარულს და ცხოვრებას ჩემსას,
რად ალმაზევე ცოდვისა და სიკვდილის თესვად?
— ჩემო სიცოცხლეე, სიხარულო ღამეთა ჩემთა,
ამ ქვეყნის ჭირი რაოდენი გავლიეთ ერთად.
ძალას და იმედს მხოლოდ ტრფობა მაძლევდა შენი,
შენ მინათებდი გზას უსასოდ წყვდიადში შთენილს.
რად არ მომაგებ, უბედურო, სიყვარულს უხვად,
წევხარ ცივი და უსიცოცხლო და როგორ დუმხარ.
ერთგულო ჩემო, ხელმა როგორ გაგწირა ჩემმა,
ეშვს რა გული ჰქმნის და ბოროტ აზრს რა ტკივილი ჰედავს?
ან როგორ ვენდე უცხო სიტყვას, ან ვითარ შევსვი
უნდობლობის და სიძულვილის შხამი და გესლი.
სად იყო გული, როცა გკლავდი, რომელმა ძალამ
წარმტაცა გონის სხივოსნობა და შემრთო წკვარამს,
ვინ არის ცილისმწამებელი, მზაკვარი ბრძენი,
ასე უტიფრად რომ მეტყველებს სიმართლის ენით?
ან რომელია ბოროტება უფრორე მეტი —
მართლის სიფხიზლე თუ სიცრუის თრობა და რეტი?
მე უფრო ვცოდე ღვთის წინაშე, თუ ჩემმა ცოლმა,
თუ მხოლოდ ცილისმწამებელმა ბახალამ სცოდა?

რატომ ავჩქარდი, რაღა არის სიცოცხლე ჩემი,
სულში ვკვდები და ქვეყანაზე ცოცხალი ვრჩები“.
    მერე კვლავ ფრინველს მიუბრუნდა: „ბილწო ქმნილებავ,
სასტიკად უნდა დაისაჯო აუცილებლად.
ყველაზე თეთრი შენ იყავი მთელს ფრინველებში
და მგალობელთა სირთა შორის უპირველესი.
უნდა დაჰკარგო სახეცა და ნიჭიც, რამეთუ
ბოროტისაკენ მიიდრიკე სული ნამეტურ.
შხამით შეცვალე ზეციური სიტკბო გალობის
და სიხარულის ნაცვლად ოდენ მგლოვიარობდი.
აწ და მარადის შავი უნდა იყო ჭვარტლივით
და როცა ცივი და მსუსხავი ქარი გადივლის,
უნდა იჩხავლო ავბედითად, რათა ნიადაგ
ოდენ გწყევლოს და შეგაჩვენოს ადამიანმა“.
    თეთრი ბუმბული გააცალა და ტანზე ბერის
რიზა ჩააცვა ძაძისა და სიკვდილის ფერის.
წაართვა ნიჭი გალობისა, დაუხშო სმენა
და სამუდამოდ დაავიწყა ადამის ენა.
აწ ვინმე თუკი მოისმენდა უამურ ყრანტალს,
შეაგინებდა ერთ ჯიშსა და გასაგისს ყვავთა.
მთლად დაგლახავდა უბედური, ფებუსმა მაშინ
დაავლო ხელი და ქვასავით ისროლა კარში.
მას შემდეგ ყვავი სუყველას სძულს — მხეცსაც და კაცსაც,
რამეთუ ღმერთმა ის მაცილის მსახურად რაცხა.
    ესე ამბავი, მეგობრებო, იმას გვასწავლის,
რომ ყველაფერი არ უნდა თქვა ბახალასავით.
არ უნდა უთხრა ქმარს აროდეს ცოლის ღალატი,
რომ უსაშველოდ არ იტანჯოს კუბოს კარამდის,
თორემ ყვავივით შენც კაი დღე არ დაგადგება.
ამით არაფერს მოევლება მაინც სრულებით;
ამაგს არც ქმარი დაგიმადლებს და შესძულდები.
ჩვენ სოლომონმა დაგვიტოვა ბრძნული იგავნი,—
სანამდის სიტყვას იტყოდესო, კაცმა იქამდის
ცხოვრება უნდა გაიაზროს სრულად თითქმისო,
მაგრამ აჯობებს თუ ამ სიტყვას სულ არ იტყვისო.
— ჩემი ცოდნით რომ, მეგობრებო, ქვეყნად კაციშვილს
ვერ გავაკვირვებ, მგონი, უკვე ვთქვი დასაწყისში.

ლაპარაკშიაც იმ არაკებს ვხმარობ მეტადრე,
ბავშვობაში რომ უამბნია ჩემთვის დედაჩემს.
მეტყოდა: შვილო, ზედმეტი რამ არსად წამოგცდეს,
ხოლო რაღაცის თქმა თუ გინდა, ჯერ შეამოწმე,
ღირს კი ნამდვილად შენი მდარე სიტყვა სათქმელად,
თორემ ყვავივით შენც კაი დღე არ დაგადგება.
ვერ დაიბრუნებ ნათქვამ სიტყვას უკან ადვილად
და მეგობარი არ დაგრჩება ერთიც ათიდან.
ბოროტმა ენამ, შვილო ჩემო, თუ გადაკრულმა
სიტყვამ ამქვეყნად ბარე ორი კაცი დაღუპა.
უფალმა ღმერთმა, ვენაცვალე იმის მარჯვენას,
ენა კბილსა და კბილის შუა მიტომ გაჭედა,
რომ სიტყვის თქმამდე გაანძრიოს თავი სულელმა,
ეგებ იმ ტვინში კიდევ აზრი რამ ეგულება,
თორემ როყიოდ თქმულმა სიტყვამ ვინძლო, ყმაწვილო,
კაციც კი მოჰკლას და ოჯახიც კი დააქციოს.
სიტყვაძუნწი და გონიერი კაცი, პირიქით,
ყველას უყვარს და მასზე რამეს გლახად ვინ იტყვის?!
ერთი რამ კარგად დაიხსომე: ენას ლაგამი
მაშინ მოხსენი და მიეცი გულს გასაქანი,
როდესაც უფალს განადიდებ და უგალობებ,
სხვაგან და სხვა დროს — ჭეშმარიტად არსად, აროდეს!
— თუ რამედ მაგდებ და თუ ჩემი მცირე ხათრი გაქვს,
მაგ ენას, შვილო, მაშინ არსად აღარ გატლიკავ.
შენს შვილიშვილსაც გადაეცი, დედა-შვილობამ,
და ასე ტკბილად თქვენც იქნებით, მე და შენ რო ვართ.
სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს ყოველთვის,
ან რას იძლევა ლაყაფი და მიეთ-მოეთი?"

სხვა ბევრი კარგი შეგონებაც მასწავლა დედამ:
„სიტყვამრავლობა არის თურმე, მე როგორც ვხედავ,
თავი და თავი ბოროტების, — ნაჯახით ხესაც
წააქცევს კაცი და უნებურ მოიჭრის ხელსაც, —
ასეა სიტყვაც, ჩემო კარგო, მე კაცის სიტყვით
მოჭრილიც ბევრი მინახავს და მოკლულიც თითქმის.
ენას შუაზე გაუყვია და და ძმის ფაცხაც,
მეგობრებზე რომ არაფერი აღარ თქვას კაცმა.

ცილისმწამელს არ ექნება შენდობა ღმრთისგან,
მათ ყველა დროის მოძღვარიც და სწავლულიც რისხავს,—
გინდ სოლომონი გადაშალე, გინდა სენეკა,
არც წმინდა მამათ წიგნებში აქვთ კაი ხსენება.
მათი გინება ფსალმუნებშიც შეგხვდებათ მრავლად,
ჩემგან ნამდვილად არ გჭირდებათ, ბატონო სწავლა,
მაგრამ დავითი კარგად ამბობს ფსალმუნში ერთგან, —
მავნესგან ყველა დაგვიფაროს მაღალმა ღმერთმა,
ხოლო თუ შეგხვდა და სიბნელედ გითხრათო ცხადი,
ყრუდ მოაჩვენე თავი მას და შენი გზით წადი.
ფლანდრიელებსაც კარგად უთქვამთ: „იქ არის ლხენა,
სადაც ნაკლებად აწვალებენ სიტყვას და ენას".
თავი ქუდში აქვს მუდამ. ვისაც არ უთქვამს სიტყვა,
იმან იკითხოს, ვისი აზრიც სახალხოდ ითქვა.
ყველაფერს ოდენ დუმილი და სიჩუმე იტევს, —
თუ რამე ითქვა, თქმისთანავე გათავდა კიდეც.
ხმა სულ არ უნდა ამოიღო მეტადრე მტერთან, —
უკეთუ ძალუძს გადმოცემა სიტყვათა შენთა,
იმისი მონა-მორჩილი და უმწეო ყმა ხარ
და მერე, შვილო, ვერც აკადრებ ვერაფერს გლახად.
შეუმჩნეველი უნდა იყო მოყვასთა შორის,
ახალი ამბის გეშინოდეს და გძულდეს ჭორი,
აზრი არა აქვს სწორი არის ჭორი თუ მრუდი,
სწორიც და მრუდიც ჭორი მაინც არაფერს უდრის.
მაშ, სიტყვა უქმად არ იხმარო აროდეს არსად,
ისე, კარგს იზამ, თუ ხანდახან ახსენებ ყვავსაც".

აქა დასასრული მნის ამბისა
ყვავის შესახებ

მღვდლის ამბის პროლოგი

როცა დასრულდა მნის ამბავი, მზე უკვე დაღმა
დაშვებულიყო და არც ისე ცხელოდა ახლა,
ოცდაცხრა გრადუსს თუ აღწევდა მზის ცეცხლის ბურთი
და იქნებოდა ასე ალბათ საათის ხუთი.
ამ დროს კი ჩრდილი ექვსი ფუტის სიმაღლის კაცის
თორმეტი ფუტის სიგრძით იწვა შარაგზის გასწვრივ, —
(თვითონ გავზომე ლანდი ჯოხით და მიტომ მახსოვს),
სატურნი უკვე მიეახლა ზეცაში სასწორს,
მერე სიწითლე შეეპარა საუფლოს ზეკარს
და შორით კიდეც შემოგვესმა ზარების რეკვა.
  და მეფუნდუკემ, ვით ყველაფრის მოთავე კაცმა,
მიმწუხრის ყუჩში სიტყვა ახლაც პირველმა დაძრა
და საქმიანად წამოიწყო: „დანო და ძმანო,
პირველ ჯერს თითქმის ვამთავრებთ და უფალიც გვწყალობს,
ერთი ამბავი დაგვრჩა მხოლოდ და თავშიც გავალთ, —
ფუნდუკში ასე დაადგინეთ მე მგონი თავად.
აქ მრავალი რამ მოვისმინეთ, თვითეულ ამბავს
ნაკლიც ჰქონდა და არც ღირსება არ აკლდა ალბათ.
გამჩენს ვთხოვ, ბოლო მხიარული გვარგუნოს მხოლოდ, —
სახალისო და სალაღობო კარგია ბოლოს.
— თქვენ გეუბნებით, — ვიკარო თუ პრელატო, იქნებ
მრევლის მღვდელიც ხართ და ქადაგით ქვეყანას იკლებთ, —
ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა ნამდვილად ამას, —
თქვენ ერთი სიტყვაც კი არ გითქვამთ, წმინდაო მამა,
და ქვეყანას კი გვპირდებოდით! — გახსენით ჩანთა
და თუ რამე გაქვთ მხიარული, დააწყვეთ ნარდად.
— მის ჯაგლაგს ვფიცავ, მე სახეზე შევატყვე ხელად,
ეს კაცი, ძმებო, დღეს სიცილით დაგვხოცავს ყველას.

სერ, რატომ დუმხართ, თქვენ მორცხვობთ თუ არაფრად
  გვაგდებთ, —
ხმა ამოიღეთ, დალოცვილო, რაშია საქმე?!“
  „მე მზად ვარ, — მღვდელმა უპასუხა, — მაგრამ, ეგება
სხვა რამ მსურს გითხრათ, იგავების რა გამეგება.
რაც უანდერძა მოციქულმა პავლემ ტიმოთეს,
მღვდელიც იმ აღთქმის აღსრულებას უნდა ცდილობდეს, —
უკეთუ კაცი მწიგნობარი მართალს განუდგა,
ის ჩმახავს ოდენ ალთა-ბალთას და აბდაუბდას.
მე სარეველა რად ვამრავლო, როცა ჯეჯილსაც
ვთესავ, ვახარებ და ვპატრონობ დია ბეჯითად.
ლაზღანდარობას ვერ დაგიშლით, მაგრამ ხანდახან
თუკი სიბრძნის და შეგონების ბაღშიც გადახვალთ,
ამით არარა დაგაკლდებათ, — სწავლა სიმართლის
შვებაა სულის და მეტადრე ალბათ იმათთვის,
ვინც სიკეთის და სათნოების ნიჭს ეზიარა
და მით თავადაც გარდაიქმნა ძირფესვიანად,
მე სამხრეთელი კაცი ვარ და იმთავიდანვე
რემ, რამ და რუფი ვერ იქნა და ვერ გავითვალე.
გამომატვინა ლამის რიტმის აღმართ-დაღმართმა,
ვერც რითმებს გავწვდი, მოკლედ, ლექსზე მწყრალად
  გახლავართ.
და რაკი, ძმანო, ბრგვნილი ლექსით ვერვინ დატკბებით,
აჯობებს ისევ პროზად გითხრათ ჩემი სათქმელი.
ბატონი ჰარი მხიარულ ლექსს მიტომ აფასებს,
რომ მისი ეშხით დგება მუდამ ჭამის მადაზე.
ერთხელ მოძღვარსაც მოუსმინოს ამ დალოცვილმა, —
ამდენი ლხინი და ჭამა-სმა აღარ მოსწყინდა?!
— მე იმ საფეხურთ განვმარტავ და იმ გზებს მოვხაზავ,
ქრისტეს ქალაქი რითაც უნდა ჰპოვოს მოყვასმა.
ბევრი რამ არის ასახსნელი და დასადგენი
და ვინძლო ერთობ გამიგრძელდეს კიდეც სათქმელი.
წინასწარ ვითხოვ მიტევებას, თუ რომ ციტატებს
აკლდეს სიზუსტე და ვერც ჩემი ენა ბრწყინავდეს, —
უცხოა სიტყვაკაზმულობა ჩემთვის ისედაც,
სიტყვაში, ძმაო, ერთადერთი აზრი მიზიდავს.

ვერც მწიგნობრობას დავიკვეხნი და თუ შემთხვევით
სადღაც შევცოდე რამე, ფეხით კი ნუ შემდგებით“,
    რაკიღა ოდენ სალოცავად ვვიდოდით ყველა,
მღვდელს ღვთისმოსავი მლოცველები დავთანხმდით ხელად,—
წმინდა მოძღვართა შეგონება და სიტყვა ახლა
ჩვენს ცოდვილ სულთაც შემართავდა ღმრთისაკენ ალმა,
კენტერბერისაც მივაღწევდით ლოცვებში მალე
და ვთხოვეთ ხუცესს სიტყვა თვისი დაეწყო ბარემ.
    სახლის პატრონი მარტო რაკი ვერაფერს გახდა,
შებმას შეყოლა ამჯობინა მომლოცველ ხალხთან
და ბოლოს ხელი ჩაიქნია: „კეთილი, გისმენთ,
ოღონდაც მართლა წაგვიყვანე პირდაპირ ცისკენ“.
მერე მოტკბა და მიუბრუნდა კმაყოფილ ხუცესს:
„მოკლედ თქვი, ძმაო, აქ გრძელ სიტყვას ვერავინ უძლებს,
თანაც მზე უკვე სადაცაა დაიწყებს ჩასვლას, —
ისე თქვი, ღმერთსაც ემსახურო კარგად და კაცსაც“.

დააქმღვდელი იწყებს თავის გრძელ, ჭკუის სასწავლებელ ქადაგებას შვიდი მომაკვდინებელი ცოდვისა და მათი დაძლევის შესახებ, რითაც წყდება ჩოსერის დაუმთავრებელი წიგნი კენტერბერიული მოთხრობებისა.

შენიშვნები

ᲙᲔᲠᲢᲔᲠᲑᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲔᲒᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘ

გვ. 26. ალგეზირი (ალჯეზირი) 1344 წელს წაართვეს მავრებს ევროპელებმა.
ლიესი (ლაიასი)—დღევანდელი აიასი სომხეთში.
სატალია — დღევანდელი ადალია მცირე აზიაში.
დიდი ზღვა — შუა საუკუნეებში ასე უწოდებდნენ ხმელთაშუა ზღვას.

გვ. 27. ტრემისენი — დღევანდელი ტლემსენი, ქალაქი ალჟირში.
ფლანდრია, არტუა და პიკარდია მრავალი ბრძოლის არენას წარმოადგენდა ასწლიანი ომის დროს.

გვ. 28. იომენი — გააზატებული მიწის მუშა, რომელიც ომში მუდამ თან ახლდა თავის სუზერენს.
წმ. ქრისტოფერი მეტყველების მფარველად ითვლებოდა.

გვ. 29. კათოლიკური ეკლესიის სამონასტრო წესდებები წმ. მავრიკიისა და წმ. ბენედიქტეს მოძღვრებათა მიხედვით იყო შედგენილი.

გვ. 31. კურატი — მრევლის მღვდელი, ვიკარი.

გვ. 32. ორველი (ინგლისის პორტი) და მიდელბურგი (ჰოლანდიის პორტი) მთავარ სავაჭრო და საზღვაო გზად ითვლებოდა.

გვ. 34. ივულისხმება ვილჰელმ დამპყრობელის დროინდელი ანგლონორმანული კანონმდებლობა.
წმ. ივლიანე მგზავრისა და სტუმრის მფარველად ითვლებოდა.

გვ. 35. შერიფი — მეფის ძალაუფლების აგენტი საგრაფოში.
გილდჰოლი — გილდიის სახლი, რატუშა.
გრძელი კაბის ტარების უფლება დაბალი წოდების ქალს არ ჰქონდა. ძველ ინგლისში ცეცხლის დანთების მთელი ხელოვნება არსებობდა.

გვ. 36. ტყვეებს გემის კაპიტნები ვიწრო ფიცარზე იტარებდნენ. თვალახვეული ტყვე, რა თქმა უნდა, ზღვაში ვარდებოდა და იხრჩობოდა. ლ ო ც ი ა — საზღვაო გზის სისტემატური აღწერილობა მგზავრობის უსაფრთხოებისათვის.

გოტლანდი და ფინისტერი, კარტახენი და ჰული საზღვაო რეისებად ითვლებოდნენ ინგლისსა და ესპანეთს შორის.

გვ. 37. შავი ჭირის ეპიდემია იყო 1348-49 წლებში.

თვითეული ადამიანის ხასიათი, ტემპერამენტი სამ. საუკუნეების მედიცინის მიხედვით ოთხი ელემენტიდან (გრილი, ნედლი, მშრალი, მხურვალი) ორი ელემენტის ნაერთით წარმოდგებოდა. ნედლისა და გრილის ნაერთი იძლეოდა ფლეგმას; მხურვალისა და ნედლის — სანგვინიკს, მხურვალისა და მშრალის — ქოლერიკს, ხოლო გრილისა და მშრალის — მელანქოლიკს.

ჰ ი პ ო კ რ ა ტ ე—ბერძენი ექიმი (III ს. ჩვენს ერამდე), „მედიცინის მამა".

ა ს კ ლ ე პ ი ო ს ი, ე ს კ უ ლ ა პ ი—მედიცინის მფარველი ღმერთი. ძვ. საბერძნეთში.

დ ი ო ს კ ო რ ი დ ი—ბერძენი ექიმი (II ს. ჩვ. წ-ით).

გ ა ლ ი ე ნ ი, ი გ ი ვ ე გ ა ლ ე ნ ი—ბერძენი ექიმი (120—210 წ.წ. ჩვენს ერამდე).

ჰ ა ლ ი — გალიენის არაბი კომენტატორი, IX ს.

გ ი ლ ბ ე რ ტ ი ნ ი—გილბერტუს ანგლიკუს — XIII საუკუნის ინგლისელი ექიმი.

რ უ ფ უ ს ი — ბერძენი ექიმი, ეფესელი, ტრაიანეს თანამედროვე.

ა ვ ე რ ო ე ს ი — არაბი მეცნიერი და მედიკოსი (1226—1298).

გ ა ტ ი ს დ ე ნ ი — ოქსფორდელი მეცნიერი, მეფე ედუარდ II-ის მკურნალი.

ა ვ ი ც ე ნ ა — (980—1037) ცნობილი არაბი მეცნიერი და მედიკოსი.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ი—ბენედიქტელი ბერი, მედიკოსი. (XI—XII ს).

ოქრო ძველად წამლადაც ითვლებოდა.

გვ. 38, 40. მღვდელსა და მიწის მუშას ჩოსერი აშკარა სიმპათიით იხსენიებს.

გვ. 40. ფაშატზე ჯდომა სირცხვილად ითვლებოდა.

გვ. 41. ინგლისის დროს ჩხირებს ჭდეებს ადებდნენ.

გვ. 42. ვილანები იჯარით ემსახურებოდნენ მემამულეებს.

გვ. 43. ტანებს წვრილ აზნაურებს უწოდებდნენ.

გვ. 44. „Significavit" (nobis venerabilis pater)" – („მიგვითითა ჩვენ ღირსმა მამამ" — ლათ.) — ცოდვილის მიერ წარმოთქმული ფორმულის დასაწყისი, რასაც ეკლესიიდან მოკვეთა მოჰყვებოდა. ლუდხანის აბრად ძველ ინგლისში ხშირად ტირიფის დიდი ტოტი იხმარებოდა.

დიოცეზი საეპისკოპოსოს ეწოდებოდა.

გვ. 45. გოჭის ბარკალი თილისმად ითვლებოდა.

რაინდის ამბავი

გვ. 50. ამბავი წარმოადგენს ბოკაჩოს „თებეიდის" ძალზე შემოკლებულ და გადამუშავებულ თარგმანს, სადაც მხოლოდ 400—500 სტრიქონია თუ ინარჩუნებს მიახლოებით სიზუსტეს ორიგინალთან.

გვ. 81. კ ი თ ე რ ო ნ ი — აქ შეცდომაა; ვენერას კუნძულს ჰქვია კითერა, ხოლო კითერონი მთის სახელწოდებაა, რომელიც ვაკხსა და მუზებს ეკუთვნოდათ.

გვ. 87. თ ა რ ს ი ს ა ბ რ ე შ უ მ ი — უნდა იყოს თათრის აბრეშუმი; ჩინური აბრეშუმი ევროპაში თათართა ქვეყნების გავლით შემოდიოდა.

გვ. 91. ს ტ ა ც ი უ ს ი, პ უ ბ ლ ი ც ი უ ს პ ა პ ი ნ ი უ ს ი (61—96 წ.წ.)— რომაელი პოეტი, ორი ეპიური პოემის, „თებეიდასა" და „აქილეიდას" ავტორი.

„ო, ს ა მ ს ა ხ ე ბ ა ვ ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ო"—დიანას სამი სახე ჰქონდა. ცაში იგი მთვარე იყო, ლუცინად ანუ დიანად მიწაზე იწოდებოდა, ხოლო ჰადესში იგი ჰეკათად, ან პროზერპინად იყო ცნობილი.

მეზღვაურის ამბავი

გვ. 120. მალვაზიური ეწოდებოდა კვიპროსულ ღვინოს, ვერნული კი იტალიურს.

გ ა ნ ე ლ ო ნ ი — ფრანგული ეპოსის, „სიმღერა როლანდზე", პერსონაჟი, რომელმაც როლანდს უღალატა.

სერ თოპაზის ამბავი

გვ. 132. ეს იუმორული ამბავი პაროდიას წარმოადგენს იმდროინდელ რაინდულ რომანებზე; დაწერილია ე. წ. დოგერელის ლექსით, რითაც უმეტესად სახუმარო, ეანრულ სიუჟეტებს გადმოსცემდნენ.

გვ. 134. ტ ე რ მ ა გ ა ნ ი, ტ ე რ მ ა გ ა უ ნ ტ ი — გარყვნილებისა და დაუოკებელი დროსტარების მოტრფიალე მითიური არსება.

გვ. 138. პ ა რ ც ი ფ ა ლ ი — წმინდა გრაალის თასის მფლობელი და მფარველი რაინდი.

ბერის ამბავი

გვ. 144. „ტრაგედიების" სიუჟეტები აღებულია ბოკაჩოს „დიდგვაროვან ქალთა და მამაკაცთა ისტორიებიდან" და ბოეციუსის წიგნიდან „ფილოსოფიით შვების შესახებ". ხოლო ესპანეთის მეფის, პედრო სასტიკის, კვიპროსის მეფის, პეტრე ლუზინიანისა და მილანელი

ბარნაბო ვისკონტის ტრაგიკული ამბების მოძსწრე თვითონ ჩოსერი იყო.

ამბავი დაწერილია ე. წ. ფრანგული ბალადური ოქტავით, ანუ რვა სტრიქონიანი ლექსით.

გვ. 145. ოლოფერნის ამბავი აღებულია ბიბლიიდან, მაკაბელთა წიგნი IX.

გვ. 147. „შავი არწივი თეთრ მინდორზე", „ბოროტების ბუდე" — იმ ბრეტონელ რაინდთა ღერბებია, რომლებიც პედრო სასტიკის განადგურებაში მონაწილეობდნენ.

გვ. 148. გრაფი უგოლინო შიმშილით მიიცვალა დილეგში 1289 წელს.

მონასტრის კაპელანის ამბავი

გვ. 151. მოთხრობის ფაბულა აღებულია XIII საუკუნის მწერალი ქალის, მარია ფრანგის ეგავიდან. ზოგიერთი კომენტატორი მას ფრანგულ ხალხურ ეპოსს, „მელაკუდას რომანსაც" უკავშირებს.

გვ. 152. ბერებს მეტსახელად ზოგჯერ სერ ჯონს, ან სერ პეტრეს უწოდებდნენ.

გვ. 156. „შიში მუცლის ამოყორვით იწყება" — ეგულისხმება ინგლისელი მწერლის რობერტ ბერტონის (1577—1640) წიგნი „მელანქოლიის ანატომია", საიდანაც ეს სტრიქონია ამოღებული.

გვ. 157. ჭიაყელას მსუბუქი ხორცი, რა თქმა უნდა, აქ ქათმების გემოვნებაზე მიუთითებს, მაგრამ ამავე დროს ეს წინადადება დიოსკორიდის ერთ-ერთ ტრაქტატსაც („De medica materia") ეხმაურება, სადაც მატლები და ჭიაყელები ციებ-ცხელების წამლად არის აღიარებული.

გვ. 161. ნეტარი კენელმი — ლაპარაკია მერსიის მეფის შვილზე, რომელიც 819 წელს (ძვ. წ.) საკუთარმა დეიდამ მოაკვლევინა.

გვ. 162. ამ ანდაზას ქალთან შანტეკლერი განგებ არბილებს, მსგავსად რაინდული რომანების გმირებისა.

გვ. 164. ლანსელოტი — მეფე არტურის მაგიდის ცნობილი რაინდი, რომელიც დედოფალ ჯინევრას ჰყვარობდა.

სინონმა ურჩია ტროელებს ოდისევსის ხის ცხენი ქალაქში შეეთრიათ.

გვ. 165. ბოეციუსი, ანციუს — რომაელი ფილოსოფოსი (475—526 წწ.) ჩოსერმა თარგმნა მისი ტრაქტატი „ფილოსოფიით შვების შესახებ".

ბროდვარდინი, ეპისკოპოსი (გარდაიცვ. 1349 წ.), ოქსფორდის უნივერსიტეტის მოძღვარი. თავის ტრაქტატებში იცავდა ნეტარი ავგუსტინეს იდეას ბედის წინასწარ განსაზღვრულობის შესახებ.

გვ. 166. „ფიზიოლოგმა რომ აღწერა" — ლაპარაკია ტეობალდის ტრაქტატზე „Physiologus de naturis XII animalium" („ფიზიოლოგი თორმეტი ცხოველის ბუნების შესახებ"), სადაც ავტორი ზღვის ურჩხულებს ზღაპრულ თვისებებს მიაწერს.

გვ. 167. დიდყურა ვირის ამბავი — „ვირი, ანუ სულელთა

სარკე" ეკუთვნის კენტერბერიელ ბერს, უირეკერს. ამ წიგნში არის ასეთი ამბავიც: მამალი დილით აღარ გააღვიძებს თავის პატრონს, რის გამოც ეს უკანასკნელი კარგავს მემკვიდრეობას.

გვ. 168. პარასკევი ვენერას დღეა.

ჯეფრი დე უინსოფი — რიჩარდ პირველის კარის პოეტი; მეფის სიკვდილზე დაწერა ლექსი „Nova Poetria" („ახალი ლექსთწყობა").

გვ. 169. უოტ ტაილერის აჯანყების დროს ლონდონელმა ხელოსნებმა ჯეკ სტროუს ხელმძღვანელობით დაარბიეს ფლამანდიელი ვაჭრები, რომლებიც მათ მეტოქეობას უწევდნენ; ტაილერთან ერთად ჯეკ სტროუსაც თავი მოჰკვეთეს.

ექიმის ამბავი

გვ. 172. პროფესორ ლაუნსბერის აზრით მოთხრობის ფაბულა აღებულია არა უშუალოდ ტიტუს ლივიუსიდან, არამედ „ვარდის რომანიდან".

გვ. 179. იეფთეი—ისრაელთა მოძღვარი, რომელმაც ღმერთს ერთადერთი ქალიშვილი შესწირა მსხვერპლად ამონიტებზე გამარჯვების შემდეგ.

გათელი ქალის ამბავი

გვ. 182. ეგულისხმება ქორწილი კანაში.

გვ. 189. დენმაუური შაშხი — დენმაუში, ესექსის საგრაფოში, ერთმანეთის მოყვარულ ცოლ-ქმარს ჯილდოდ შაშხს აძლევდნენ.

გვ. 203. ამ ნაწყვეტის შინაარსი ეხმაურება თეოფრასტეს ტრაქტატს „ქორწინების შესახებ", რომელიც წმ. იერონიმის წიგნში შემოინახა; თეოფრასტე (371—286 წწ. ჩვ. ერამდე) იყო ბერძენი სწავლული.

ტერტულიანე — II საუკუნის ცნობილი ღვთისმეტყველი.

ტროტულა — რომაელი ნახევრად ლეგენდარული იმპერატორი ქალი. მისი აზრით, ქალის ნდობა არ შეიძლება.

ქრიზიპე (281—207 წწ. ჩვენს ერამდე) — სტოელთა სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ჰელოვისი (ელოიზა) — პარაკლეტის მონასტრის აბატესა, რომელიც ცნობილ ფრანგ ფილოსოფოსს, აბელიარს ჰყვარობდა.

გვ. 204. ვინ დახატაო ლომი? — ეგულისხმება ეზოპეს ეგავი, სადაც სკულპტორი ლომს განუმარტავს, რომ ადამიანს მუდამ ლომზე გამარჯვებულ გმირად ხატავენ. „ვინ ხატავს ასე? ადამიანი?" — ეკითხება სკულპტორს ლომი და იქვე დასძენს, — ლომს რომ დაეხატა, პირიქით იქნებოდაო.

გვ. 209. მოთხრობის ფაბულა აღებულია მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების ციკლიდან.

გვ. 215. „თურმე ვერ აღწევს ყველა რტომდე ფესვების წვენი" — იხ. დანტე, „სალხინებელი", VII, 121—123.

მნათეს ამგავი

გვ. 220. „რომ მერე კვერთხით ეპისკოპოსს მოეწყალა უცებ“ — არსებობდა წარმოდგენა, რომ ეპისკოპოსს თავისი კვერთხის კაუჭით ცოდვილები წუმპედან ამოჰყავდა და სწორ გზაზე აყენებდა, ხოლო კვერთხის მახვილი წვერით გამოუსწორებლებს ანადგურებდა.

გვ. 223. ბეილიფი — სამოქალაქო სასამართლოს მსაჯული.

„ვცხოვრობ შორეულ ჩრდილოეთში“—ძველგერმანული მითოლოგიის მიხედვით ჯოჯოხეთი—„სიცივისა და წყვდიადის სამეფო“ — ჩრდილოეთში მდებარეობდა. შუა საუკუნეებშიც ლიუციფერის ადგილსამყოფლად ჩრდილოეთს თვლიდნენ.

გვ. 226. პითონისა (პითია)—დელფოსის ტაძრის ქურუმი ქალი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ენდორის ჯადოქარი.

ეკლესიის მსაჯულის ამგავი

გვ. 232. ბერები სამოწყალოდ წყვილად დადიოდნენ ხოლმე; მათგან მხოლოდ ღირსეულს ეძლეოდა უფლება მარტოს ევლო სოფლად.

გვ. 239. ფარტინგი — ყველაზე წვრილი ინგლისური ფული, პენსის 1/4.

თომა მოციქულმა მთელი ქონება ქრისტეს შესწირა—აპოკრიფული გადმოცემების მიხედვით თომა მოციქული ინდოეთში ჰქადაგებდა ქრისტეს სჯულს და, როგორც ხუროთმოძღვარმა, მეფე პონდოფორუსის დიდძალი თანხა, რომელიც სასახლის ასაგებად იყო განკუთვნილი, ქრისტიანული ეკლესიის ცაში ასაგებად გაიღო.

გვ. 240. სენეკა, ლუციუს ანეუს — რომაელი ფილოსოფოსი.

გვ. 242. ილიას აქეთ — კარმელიტების ორდენი თავის დასაბამად იმ პერიოდს თვლიდა, როცა წინასწარმეტყველი ილია კარმელის მთას შეეხიზნა.

გვ. 246. „რაკი სავანეს რიცხვი უნდა იყოს ცამეტი“— სამონასტრო წესდების თანახმად სავანე შედგებოდა 12 ძმისაგან, მსგავსად მოციქულებისა; მეცამეტე იყო პრიორი, სავანეს მოძღვარი.

გავამეტრიის კანონები — გეომეტრიის კალამბურია.

ვასალის ამგავი

გვ. 250. არის რაღაც მსგავსება ამ ამბავსა და ბოკაჩოს პოემა „ფილოკოლოს“ შორის.

ლეი — პატარა ამბავი ლექსად.

გვ. 257. „ჰმორჩილებს ზღვანი და ჯურღმულნი“ — დიანა ჰადესსაც განაგებდა, სადაც მას ჰეკათას უწოდებდნენ.

გვ. 262. ნოელ — საშობაო ჰიმნი.

ტოლედური ტომი—ასტრონომიული ტაბულების წიგნი, რომელიც ქალაქ ტოლედოს გეოგრაფიული სიგრძედისა და განედის გათვალისწინებით იყო შედგენილი.

გვ. 263. ალნათი — ასტროლოგიური წარმოდგენებით იყო ის ვარსკვლავი, რომელიც ვერძის ზოდიაქოში რქებს აღნიშნავდა.

მეორე მონაზვნის ამგავი

გვ. 272. მოთხრობის სიუჟეტური ფაქტურა აღებულია დომინიკელი არქიეპისკოპოსის იაკობ ვირაჯოელის წიგნიდან „ოქროს ლეგენდა“. ეს ამბავი ჩოსერს დაწერილი აქვს პოემამდე რამდენიმე წლით ადრე.

კანონიკე ბერის მსახურის ამგავი

გვ. 295. ამ ამბებში სხვა მოთხრობებთან შედარებით, ბევრია სტილისტური უზუსტობანი და ენობრივად დაუმუშავებელი ადგილები, რაც კრიტიკოსების აზრით, ჩოსერის, როგორც შემოქმედის, გადაღლაზე მეტყველებს.

გვ. 296. ოპერმენტი — orpimentum — მიღებულია ლათინურიდან áura pigmentum ოქროს საღებავი — ყვითელი გოგირდოვანი დარიშხანი.

კალცინაცია—ნელ ცეცხლზე წრთობა.

გვ. 297. სუბლიმატორი — გამოსახდელი ჭურჭელი.

ურინალი — შარდის დასალექი ჭურჭელი.

გვ. 298. რეალგარი — წითელი გოგირდოვანი დარიშხანი.

გვ. 299. ელექსირი — ალქიმიკოსების წარმოდგენით არსებობდა ფილოსოფიური ქვის სამი სახესხვაობა (მცენარისა — სამკურნალო, მინერალისა — რაც უბრალო მეტალებს ოქროდ გადააქცევდა, და ცხოველისა — რომელიც ადამიანის გრძნობებსა და ორგანოებს ანახლებდა), ფილოსოფიურ ქვას რამდენიმე სახელწოდება ჰქონდა: ელექსირი, წითელი ლომი, პანაცეა და ა. შ.

გვ. 315. არნოლდ ვილანოვა—ესპანელი ექიმი, თეოლოგი, ასტროლოგი და ალქიმიკოსი (1235—1314). ვილანოვა villa nova-ს, ახალ ქალაქს, მისტიურ, ზებუნებრივ ქალაქს ნიშნავს.

„ერთი მთვარისგან, მეორეკი მზისაგან იშვა“ — ალქიმიკოსთა წარმოდგენით ფილოსოფიური ქვის მამა არის მზე (ოქრო, გოგირდი), ხოლო დედა მთვარეა (ვერცხლი, სინდიყი).

ფნის ამგავი

გვ. 318. ბიბლიის მიხედვით კაცი ღვინის სმისას ჯერ ცხვარს ემსგავსება, მერე ლომს, მაიმუნსა და ბოლოს ღორს.

გვ. 320. ამ მოთხრობის ფაბულა ჩოსერამდე კარგად არის ცნობილი მსოფლიო ლიტერატურაში. ჩოსერმა მას პაროდიული ელფერი მიანიჭა.

გვ. 326. ფსალტერიონი — მუსიკალური ინსტრუმენტი.

გვ. 327. მსჯელობები სიტყვამრავლობისა და დუმილის შესახებ აღებულია ალბერტინო დი ბრეშიას ტრაქტატიდან „ლაპარაკისა და დუმილის ხელოვნება“.

მღვდლის პროლოგი

გვ. 331. „რემ, რამ და რუფი“ — მღვდელი აკრიტიკებს იმდროინდელ ალიტერაციულ ლექსს, სადაც ყოველთვის სამჯერ მეორდებოდა ერთი თანხმოვანი.

გიორგი ნიშნიანიძე

შინაარსი

ც. თოფურიძე. ჯეფრი ჩოსერი და მისი „კენტერბერიელი ძოთხრობები“ . . . 5

პროლოგი . . . 25

რაინდის ამბავი . . . 50

მეწისქვილის ამბავი . . . 114

მოურავის ამბავი . . . 115

ვექილის ამბავი . . . 116

მეზღვაურის ამბის პროლოგი . . . 117

მეზღვაურის ამბავი . . . 118

მეზღვაურის ამბის ეპილოგი . . . 130

პროლოგი სერ თოპასის ამბისა . . . 131

ამბავი სერ თოპასისა . . . 132

სერ თოპასის ამბის ეპილოგი . . . 138

ჩოსერის ამბავი . . . 140

ბერის ამბის პროლოგი . . . 141

ბერის ამბავი . . . 144

მონასტრის კაპელანის ამბის პროლოგი . . . 151

მონასტრის კაპელანის ამბავი . . . 153

მონასტრის კაპელანის ამბის ეპილოგი . . . 171

ექიმის ამბის პროლოგი . . . 172

ექიმის ამბავი . . . 172

ინდულგენციის გამყიდველის ამბავი . . . 181

ბათელი ქალის ამბის პროლოგი . . . 182

აქა დასაწყისი ბათელი ქალის ამბისა . . . 209

მნათეს ამბის პროლოგი . . . 219

მნათეს ამბავი 220
ეკლესიის მსაჯულის ამბის პროლოგი 231
ეკლესიის წმინდა მსაჯულის ამბავი 232
სტუდენტის ამბავი 248
ვაჭრის ამბავი 249
ვასალის ამბის პროლოგი 250
ვასალის ამბავი 250
მეორე მონაზვნის ამბავი 272
კანონიკე ბერის მსახურის ამბის პროლოგი 290
კანონიკე ბერის მსახურის ამბავი 295
მნის ამბის პროლოგი 317
მნის ამბავი 320
მღვდლის ამბის პროლოგი 330
შენიშვნები 333

რედაქტორი ლია იმერლიშვილი
მხატვრული რედაქტორი რომან მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი მერი ანუაშვილი
კორექტორი ზაირა მსხილაძე
გამომშვები არჩილ სააკაძე

გადაეცა წარმოებას 13/X-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/III-77 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1, 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,06. სააღრ.-საგამომც. თაბახი 16.72. ტირაჟი 50.000. შეკვ. № 2912
ფასი 2 მან. 02 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი 7.

Библиотека всемирной литературы
(На грузинском языке)

Джефри Чоссер

Кентерберийские рассказы

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1977

И(Англ)
82—13
Б 802

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა
პირველი სერია
ტ. 16.

Ч $\frac{70404-118}{М601(08)-77}$ 242—77

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

მსოფლიო ლიტერატურის გიბლიოთეკა

პირველი სერია

1. ძველი აღმოსავლეთის პოეზია.
2. ჰომეროსი. ილიადა.
3. ჰომეროსი. ოდისეა.
4. პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები.
5. ბერძნული ტრაგედია.
6. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები.
7. სიმღერა ნიბელუნგებზე. უფროსი ედა.
8. შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი.
9. ირანული პოეზია.
10. კალევალა. კარელურ-ფინური ხალხური ეპოსი.
11. ნიზამი. ლირიკა. ლეილი და მაჯნუნი.
12. დანტე. ღვთაებრივი კომედია.
13. ჯ. ბოკაჩო. დეკამერონი. წ. I.
14. ჯ. ბოკაჩო. დეკამერონი. წ. II.
15. ფ. რაბლე. გარგანტუა და პანტაგრუელი.
16. ჯ. ჩოსერი. კენტერბერიული მოთხრობები.
17. უ. შექსპირი. დრამები. წ. I.
18. უ. შექსპირი. დრამები. წ. II.
19. მ. სერვანტესი. დონ კიხოტი. წ.I.
20. მ. სერვანტესი. დონ კიხოტი წ. II.
21. ესპანური დრამა.
22. ჟ. მოლიერი, პ. კორნელი, ჟ. რასინი. პიესები.
23. ვოლტერი. ფილოსოფიური მოთხრობები. დ. დიდრო. რამოს ძმისწული.
24. ჯ. სვიფტი. გულივერის მოგზაურობა. ზღაპარი კასრზე.
25. ჯ. მილტონი. დაკარგული სამოთხე. დაბრუნებული სამოთხე.
26. ჯ. ფილდინგი. ტომ ჯონს ნაპოვარას ამბავი.
27. ჟ. ჟ. რუსო. ახალი ელოიზა.
28. საბა სულხან ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა. დავით გურამიშვილი. დავითიანი.
29. რ. ბერნსი. ლექსები და პოემები.
30. ი. ვ. გოეთე. ფაუსტი.
31. ლ. სტერნი. ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი.
32. ფ. შილერი. დრამები.
33. ვ. სკოტი. რობ როი.
34. სტენდალი. წითელი და შავი. იტალიური ქრონიკები.
35. ჯ. ბაირონი. ჩაილდ ჰაროლდი. ლირიკა. პოემები.
36. ჰ. ჰაინე. რჩეული.
37. ა. მიცკევიჩი. რჩეული.
38. ო. ბალზაკი. მამა გორიო. შაგრენის ტყავი. მოთხრობები.
39. ა. პუშკინი. ლირიკა. პოემები. ევგენი ონეგინი. მოთხრობები.
40. ვ. ჰიუგო. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.
41. პრ. მერიმე. შარლ მეცხრის მეუობის ქრონიკა. ნოველები.
42. ნ. გოგოლი. ტარას ბულბა. მკვდარი სულები. პეტერბურგის მოთხრობები. რევიზორი.
43. უ. თეკერეი. ამაოების ბაზარი. წ. I.
44. უ. თეკერეი. ამაოების ბაზარი. წ. II.
45. ჩ. დიკენსი. დავით კოპერფილდი.
46. მ. ლერმონტოვი. ლირიკა. პოემები. ჩვენი დროის გმირი.
47. ტ. შევჩენკო. ლ. უკრაინკა. ი. ფრანკო. რჩეული.
48. ი. ტურგენევი. მონადირის ჩანაწერები. მამები და შვილები.
49. გ. ფლობერი. მადამ ბოვარი. სალამბო.

50. თ. დოსტოევსკი. დანაშაული და სასჯელი.
51. შ. პეტეფი. რჩეული.
52. ჰ. იბსენი. დრამები.
53. ლ. ტოლსტოი. ანა კარენინა. წ. I.
54. ლ. ტოლსტოი. ანა კარენინა. წ. II.
55. მ. ტვენი. ტომ სოიერის თავგადასავალი. ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი. იუმორისტული მოთხრობები.
56. ე. ზოლა. ჟერმინალი.
57. ა. დოდე. ტარტარენ ტარასკონელი. წერილები ჩემი წისქვილიდან.
58. ა. ფრანსი. ღმერთებს სწყურიათ. თაისი.
59. ი. ვაზოვი. დამონებულნი.
60. გ. მოპასანი. ლამაზი მეგობარი. წუთისოფელი. ნოველები.
61. ა. ჩეხოვი. ნოველები. მოთხრობები. პიესები.
62. ქართველი რომანტიკოსები.
63. ილია ჭავჭავაძე. რჩეული.
64. აკაკი წერეთელი. რჩეული.
65. ჰ. სენკევიჩი. ჯვაროსნები.
66. ვაჟა ფშაველა. რჩეული.
67. რ. თაგორი. ლექსები. მოთხრობები.
68. რ. როლანი. კოლა ბრუნიონი. მოთხრობები.
69. ჯ. გოლზუორთი. მესაკუთრე. მოთხრობები.
70. მ. გორკი. დედა. არტამონოვების საქმე.
71. თ. დრაიზერი. ამერიკული ტრაგედია.
72. თ. მანი. ჯადოსნური მთა. წ. I.
73. თ. მანი. ჯადოსნური მთა. წ. II.
74. ჯ. ლონდონი. მარტინ იდენი. მოთხრობები.
75. ი. ჰაშეკი. ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის თავგადასავალი.
76. ს. ცვაიგი. ნოველები.
77. ზ. სადოვიანუ. მიტრია კოკორი. მოთხრობები.
78. გ. ტაბიძე. რჩეული.
79. XX საუკუნის რუსული პოეზია.
80. ე. ჰემინგუეი. რჩეული ნაწარმოებები.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა

პირველი სერია

გამოცემულია:

ტ. 4. პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები.
ტ. 8. შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი.
ტ. 10. კალევალა. კარელურ-ფინური ხალხური ეპოსი.
ტ. 11. ნიზამი. ლირიკა. ლეილი და მაჯნუნი.
ტ. 13. ჯ. ბოკაჩო. დეკამერონი, წ. I.
ტ. 14. ჯ. ბოკაჩო. დეკამერონი, წ. II.
ტ. 38. ო. ბალზაკი. მამა გორიო. შაგრენის ტყავი. მოთხრობები.
ტ. 39. ა. პუშკინი. ლირიკა. პოემები. ევგენი ონეგინი. მოთხრობები.
ტ. 40. ვ. ჰიუგო. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.
ტ. 42. ნ. გოგოლი. ტარას ბულბა. მკვდარი სულები. პეტერბურგის მოთხრობები. რევიზორი.
ტ. 43. უ. თეკერეი. ამაოების ბაზარი, წ. I.
ტ. 44. უ. თეკერეი. ამაოების ბაზარი, წ. II.
ტ. 52. ჰ. იბსენი. დრამები.
ტ. 55. მ. ტვენი. ტომ სოიერის თავგადასავალი. ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი. იუმორისტული მოთხრობები.
ტ. 59. ი. ვაზოვი. დამონებულნი.
ტ. 68. რ. როლანი. კოლა ბრუნიონი. მიქელანჯელოს ცხოვრება. ბეთჰოვენის ცხოვრება.
ტ. 69. ჯ. გოლზუორთი. მესაკუთრე. ნოველები.
ტ. 74. ჯ. ლონდონი. მოთხრობები. მარტინ იდენი.
ტ. 50. თ. დოსტოევსკი. დანაშაული და სასჯელი.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა

პირველი სერია

მალე გამოვა:

ტ. 6. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები.
ტ. 9. ირანული პოეზია.
ტ. 16. ჯ. ჩოსერი. კენტერბერიული მოთხრობები.
ტ. 17. უ. შექსპირი. დრამები, წ. I.
ტ. 18. უ. შექსპირი. დრამები, წ. II.
ტ. 25. ჯ. მილტონი. დაკარგული სამოთხე. სამსონი.
ტ. 34. სტენდალი. წითელი და შავი. იტალიური ქრონიკები.
ტ. 41. პროსპერ მერიმე. შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა. ნოველები.
ტ. 65. ჰ. სენკევიჩი. ჯვაროსნები.